საქართველოს ისტორია

საკითხავი წიგნი

შედგენილი

აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით

მეცნიერება

9 (С 41)
ББ.К 63.3 (2 Г)
9 (47.92г)
სა 23

წიგნში პოპულარულადაა მოთხრობილი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან. იგი შედგენილია აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით, რომლებიც თავის დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მკითხველთა შორის. მასში გაშუქებულია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ — ეკონომიკური ისტორიის, აგრეთვე კულტურის საკითხები. წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

შემდგენელ-რედაქტორი

ვიორგი მელიქიშვილი

მეორე გამოცემა

1604
ს————————195—90
M 607 (06)—90

წინასიტყვაობა

ცნობილია, რომ კარგი სახელმძღვანელოს შექმნა მეტად რთული საქმეა. თუ ეს მოსერხდა, საჭიროა გავუფრთხილდეთ მას და დავიწყებას არ მივცეთ. მე მიმაჩნია, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას არსებითია არა ის თუ რა მასალას გადმოვცემთ (ამას ადვილად მოევლება), არამედ ის თუ როგორ გადმოვცემთ. ის პოპულარობა, რაც ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობასა და, საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში მოიპოვა საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელომ, რომელიც აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობითა და რედაქციით შეიქმნა, უკვე მოწმობს მის დიდ ღირსებას. ეს სახელმძღვანელო პირველად სამამულო ომის წლებში, 1943 წელს გამოქვეყნდა და მალე იმდროინდელი უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო — სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ყოველთვის მაწუხებდა, რომ ეს კარგი წიგნი ჩვენ 50-იან წლებში განზე გადავდეთ და მთლიანად ახალი სახელმძღვანელოს შექმნა ვიკისრეთ. თუმცა ეს ახალი სახელმძღვანელო, რომელიც აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედაქციით გამოვიდა, თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯი იყო — იგი შეიცავდა აგრეთვე XIX—XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას, რაც ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსულ წიგნში არ მოიპოვებოდა. განსაკუთრებით ცოცხალ და საინტერესო თხრობას XIX საუკუნის ამსახველ მონაკვეთში შეიცავდა ამ სახელმძღვანელოს არა საბოლოო ვარიანტი, არამედ ის მაკეტი, რომელიც მას საფუძვლად დაედო. მეცნიერული თვალსაზრისით ბევრი საყურადღებო კორექტივი იქნა შეტანილი წინა პერიოდის ამსახველ ნაწილშიც ძველ სახელმძღვანელოსთან შედარებით. სამაგიეროდ ეს სახელმძღვანელო უფრო სქემატური იყო, რაც სულ უფროდაუფრო

გაღრმავდა შემდგომში ტექსტის განუწყვეტელი შემოკლებისა და გადამუშავების პროცესში.

მუდამ მეჩვენებოდა, რომ ჩვენი საშუალო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებს და, საერთოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს გარკვეულ სამსახურს გაუწევდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის პოპულარული თხრობა, გადმოცემული ამ სახელმძღვანელოების მიხედვით. ამან გაგვაბედინა მკითხველთათვის შეგვეთავაზებინა წინამდებარე წიგნი საქართველოს ისტორიაში საკითხავი წიგნის სახით.

მასალა მთლიანად ჩვენ დავამონტაჟეთ. წიგნის ის ნაწილი, რომელიც XIX საუკუნემდელ საქართველოს ისტორიას შეიცავს, ამოღებულია უმთავრესად აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოდან[1] (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი — ჩვენი წიგნის §§ 64—88, ი. ჯავახიშვილი — §§ 39—51, 53—63, ს. ჯანაშია — §§ 1,2,5—8,12—15,21 — 38,52), გარდა ზოგიერთი ნაწილისა (§§ 3,4,9—11, 16—20), რომელიც შეტანილია მასში აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი სახელმძღვანელოდან[2] და § 37-ისა[3] (ამ პარაგრაფების ავტორია გ. მელიქიშვილი). § 80 შეტანილია „საქართველოს ისტორიის წარკვევების“ IV ტომიდან (გვ. 429—432). XIX საუკუნის საქართველოს ისტორია კი (ავტორები: მ. დუმბაძე — §§ 89—94, პ. რატიანი — §§ 95—101), წიგნში შეტანილია აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი სახელმძღვანელოდან ან კიდევ ამ უკანასკნელის მაკეტიდან, რომელიც ხელნაწერის უფლებით გამოიცა 1956 წელს. მთელი მასალის მონტაჟი და ყოველგვარი ცვლილება თავის დროს ავტორთა ხელიდან გამოსულ ტექსტში, როგორც ვთქვით, ჩვენ გვეკუთვნის და, რა თქმა უნდა, ამისი მთელი პასუხისმგებლობაც ჩვენ გვაკისრია.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნათა პროცესმა აუცილებელი გახადა უახლესი პერიოდის — XX საუკუნის ისტო-

---

1 იხ. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, თბ., 1943.

2 იხ. საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, მეექვსე გამოცემა, თბ., 1966.

3 პირველად გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“ 1989 წ. 25 მარტს.

რიის არსებითი გადამუშავება, ახლებური გააზრება. ამას დრო უნდა. ამიტომ საკითხავი წიგნის ამ გამოცემაში ჩვენ თავი შევიკავეთ ამ პერიოდის ისტორიის შემოტანისაგან, ვფიქრობთ, წიგნის ეს ხარვეზი მომავალ გამოცემაში გამოსწორდება და XX საუკუნის მოვლენათა ამსახველი ნაწილიც წარმოდგენილი იქნება.

გ. მელიქიშვილი

თავი I

საქართველო უძველესი დროიდან ელინისტური ხანის დასაწყისამდე

§ 1. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე

მრავალი მილიონი წლის წინათ ახლანდელი კავკასიის თითქმის მთლიანად ზღვით იყო დაფარული. მაგრამ ნელინელ, უთვალავი საუკუნეების განმავლობაში, წყალი ხმელეთს უთმობდა ადგილს. ზღვიდან ამოიწია კავკასიონმა და სხვა მთაგრეხილებმა, დასასრულ, კასპიის ზღვა მოსწყდა შავს და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა.

მაღალი ქედების წარმოშობას შემდეგში გამყინვარება ზედ დაერთო. ერთ დროს მყინვარები მთის კალთებზედაც ჩამოდიოდა, ზოგან ბოლომდე. შემდეგში ისინი მწვერვალებსღა შემორჩნენ. ხმელეთის გაჩენასთან ერთად თანდათან მოშენდა და მომრავლდა მცენარეულობა და ცხოველები.

ბოლოს აქ გაჩნდა ადამიანიც. საქართველოში რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი ამ პირველყოფილი ადამიანის კვალი: ზემო იმერეთში, ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, თრიალეთში. სოხუმის რაიონში ნაპოვნი იმდროინდელი ზოგი ნაშთი კვლევაზე ძველია საბჭოთა კავშირში. ამ უძველესი ადამიანის სადგომებს ზოგჯერ გამოქვაბულებში ვხვდებით. მაშინდელი ადამიანი სიცივე-ავდრისაგან თუ საშიში მხეცებისაგან თავს ხშირად გამოქვაბულში იცავდა.

მაშინდელი ბუნება განირჩეოდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ბუნებისაგან. ტყეები იყო ბევრად უფრო მეტი და ხშირი, მდინარეებიც უფრო წყალმრავალი. მცენარეებშიაც და ცხოველებშიაც მას შემდეგ ბევრი რამე გამოიცვალა. ასე,

მაგალითად, მაშინ ჩვენში იყო გამოქვაბულის დათვი, რომელიც ახლა უკვე აღარ გვხვდება. გადაშენდა მას აქეთ ბევრი სხვა ცხოველიც. სამაგიეროდ, გაჩნდა ზოგიერთი ახალი ცხოველი და მცენარე.

უმწეო და გარუვითარებელი იყო იმდროინდელი ადამიანი. მას არც მიწის დამუშავება შეეძლო, არც შინაური ცხოველი ჰყავდა. იგი თავს ირჩენდა მხოლოდ ტყის ნაყოფითა და ნადირის სორცით. იარაღიც მას ისეთი ჰქონდა, რომ ბუნებასთან ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გახდებოდა — კაჟისა და ობსიდიანის (ვულკანური მინაა) ნამტვრევები, წვეტიანი ძვალი, ხის კეტი. ქვასა და ძვალს ადამიანი ტკეცავდა და ჩორკნიდა ისევ ქვით, მოსახმარ ფორმას აძლევდა მათ და ასე ამზადებდა საჭრისებს, საფხეკებს, სახვრეტებს. აკეთებდა ის აგრეთვე ხელის ცულს. ასეთი ტლანქად დამუშავებული იარაღის ნაშთები ბლომად არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გამოქვაბულებში, მაგალითად — გამოქვაბულ „ლევის-ხვრელში“, ხარაგოულის მახლობლად.

ცხოვრობდნენ მაშინ პატარ-პატარა ჯგუფებად. ეს ჯგუფები ერთად მიდიოდნენ სანადიროდ, რაკი იარაღი ისეთი სუსტი ჰქონდათ, რომ მარტოხელა კაცი ვერასგზით დიდ ნადირს ვერ მოერეოდა. ყოველგვარ სხვა სამუშაოსაც ადამიანები მაშინ მეტწილად საეროო ძალით ასრულებდნენ.

ტანისამოსით ვერ დაიკვეხნიდა იმდროინდელი ადამიანი, ტანის დასაფარავად მაშინ ჩვეულებრივად ნადირის ტყავს ხმარობდნენ.

თიხის ჭურჭლის გაკეთება ჯერ არ იცოდნენ. იმდროინდელი ადამიანის ენაც განუვითარებელი იყო.

ეს პირველყოფილი ადამიანი საქართველოშიაც, ისევე როგორც სხვაგან, იცნობდა და ხმარობდა უკვე ცეცხლს.

ამ ხანას „ძველი ქვის“ ანუ „პალეოლითის“ ხანას ეძახიან. თანდათან ადამიანმა გააუმჯობესა თავისი იარაღები, თავისი მეურნეობა. კულტურა ახალ საფეხურზე ავიდა. ეს იყო უკვე „ახალი ქვის“ ანუ „ნეოლითის“ ხანა.

მრავალმა ათასმა წელმა გაიარა, ვიდრე ადამიანი პალეოლითისაგან ნეოლითზე გადავიდა. ნელინელ ადამიანმა ისწავლა ქვის ხეხვა, ხერხვა, სვრეტა და გაკრიალება. კაჟზე

ტულებს, რომელსაც ყურს უხვრეტდა სის ტარისათვის, აკეთებდა აგრეთვე სატეხებს, ხერხებსა და ბევრს სხვა იარაღს. ახლა მშვილდ-ისარი იქცა ადამიანის მთავარ საბრძოლო-სანადირო იარაღად. ისარს უკეთებდნენ მაგარ წვერს, მეტწილად კაჟისაგან, აგრეთვე ძვლისაგან.

გაჩნდნენ იარაღის ოსტატები და მათი სახელოსნოები, რადგანაც ამგვარი იარაღის გაკეთებისათვის დახელოვნება იყო საჭირო.

ქვის ცულით, ხერხითა და სატეხით ადამიანი უფრო კარგად ამუშავებდა ხესაც. ხისას აკეთებდნენ შინაურ ჭურჭელს, მარხილებს, ნავებს, ძელურ (ჯარგვალა) სახლებს.

ადამიანმა ნეოლითის ხანაში ისწავლა კალათების წვნა, ჭსოვილების ქსოვა, თიხის ჭურჭლის კეთება.

ახლა ადამიანი უფრო ძლიერი იყო ბუნებასთან ბრძოლაში, ვიდრე პალეოლითის დროს. ის ნადირსაც უფრო ადვილად ერეოდა და უსულო ბუნებასაც.

მონადირეობის წყალობით ადამიანმა თანდათან მოაშინაურა ცხოველები, ყველაზე ადრე — ძაღლი, შემდეგ — ირემი, თხა და ცხვარი, ღორი, ზროხა (სარ-ძროსა). შინაურ საქონელს ადამიანი ხმარობდა თავდაპირველად ხორცად (საჭმელად) და შესაბმელად (ძაღლი, ირემი, ზროხა). შემდეგში წველაც ისწავლეს.

თანდათან შეითვისა ადამიანმა მიწათმოქმედებაც. წვეტიანი ჯოხისა და სადა ოხის (ქარჩის) საშუალებით ამუშავებდნენ მიწას და თესლნენ ქერს, ფეტვს, ხორბალს.

ნეოლითური იარაღები ნაპოვნია იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში. სამეგრელოში, სოფელ ოდიშში, აღმოჩენილია ნეოლითური ხანის სადგომ-სასელოსნოთა ნაშთი.

ნეოლითური ხანის მეურნეობის წყალობით ადამიანი უფრო ადვილად იკვებავდა თავს და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა. მოსახლეობა გახშირდა და ერთ ადგილას დაბინავდა. ხალხი ახლა სოფლებად ცხოვრობდა.

§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილების დარღვევა. საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა

თანდათან გამოიცვალა ჩვენი წინაპრების პირველყოფილ-თემური ცხოვრება. შემოვიდა ლითონის იარაღი ჯერ სპილენძის, შემდეგ — ბრინჯაოსი (სპილენძისა და კალის შენადნობი) და, ბოლოს, რკინისაც. ქართველმა ტომებმა ძალიან ადრე ისწავლეს ლითონის დამუშავება. ამიტომ ქართველი ტომების ისტორიაში ლითონის იარაღის გავლენა უფრო ადრე გამოჩნდა.

ბრინჯაოს და, განსაკუთრებით, რკინის იარაღმა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახადა. ვისაც ახლა ხელში ასეთი იარაღი ეჭირა, ის ბუნებასთან ბრძოლაშიაც უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ძველად — ქვისა და ხის იარაღების დროს. ამიტომ ხალხი უფრო შეძლებული და მდიდარი გახდა და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა.

ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ კულტურაზე ჩვენ არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვმსჯელობთ. საქართველოს ნიადაგში აუარებელი ძეგლი და ნივთია ჩამარხული, ჩვენი წინაპრების ნახელავი და ნაკვალევი. ზოგი მათგანი საფლავში ჩაუტანებიათ, ზოგი განძად შეუნახავთ, ზოგიც სხვა შემთხვევის გამო არის გადარჩენილი. დიდმა გათხრებმა მცხეთაში, გათხრებმა კოლხეთის დაბლობში, თრიალეთში, ჩვენ უმდიდრესი მასალა შეგვძინა. ნივთიერი კულტურის ეს ნაშთები წარსულის უტყუარი მოწმეა.

თრიალეთში, 1936—1939 წწ. გათხრების დროს, გახსნილ იქნა სხვადასხვა დროის მრავალი სამარხი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ყორღანული (ამობორცვილი) სამარხები მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრისა, ძვ. წ. ამ უზარმაზარ საფლავებში (ზოგჯერ — 100—175 კვადრატული მეტრის ფართობისა) იმდროინდელი წარჩინებული ხალხია დაკრძალული, შესაძლოა — ბელადები და მათი ოჯახის წევრები. ერთ სამარეში აღმოჩნდა ოთხთვლიანი ხის ეტლი, რომლითაც, ჩანს, მიცვალებულის ნეშტი იყო საფლავში ჩასვენებული. მიცვალებულთათვის თან ჩაუტანებიათ უძვირფასესი ნივთები — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს

ჭურჭელი, იარაღი და სამკაული, თიხის მოხატული ჭურჭელი და სხვა. ლითონისაგან გაკეთებული ნივთები შემკულია ნაირ-ნაირი ორნამენტით, ფერადი თვლებით (ფირუზით, სარდიონით და სხვ). და რელიეფურად შესრულებული სურათებით, რომლებშიაც ადამიანები, სხვადასხვა ცხოველი და მცენარეა გამოსახული. თრიალეთში ნაპოვნი როგორც ოქრომჭედლობის ნივთები, ისე თიხის ჭურჭელი, ხელოსნობისა და ხელოვნების განსაკვირვებელი ძეგლებია. ისინი თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეს, კერძოდ — ხელოსანთა და ხელოვანთა დახვეწილ ოსტატობას.

იმ ხანაში საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. მოჰყავდათ სხვადასხვა ჯურეული — სორბალი, ქერი, ფეტვი. იმდროინდელი ხორბლეულის ნაშთები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგში.

მისდევდნენ მევენახეობასაც — განათხარ მასალებში ყურძნის წიპწაც არის აღმოჩენილი.

ფართოდ იყო განვითარებული მესაქონლეობაც. შინაური პირუტყვიდან ჰყავდათ ცხვარი, ზროხა, ღორი, ცხენი, ძაღლი.

მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა. უკვე იყვნენ კარგად გაწაფული ოსტატები, რომელნიც აკეთებდნენ მშვენიერ, ზოგჯერ საუცხოოდ მოხატულ, თიხის ჭურჭელს, საუკეთესო ბრინჯაოს იარაღს, ლამაზი ორნამენტით შემკულ, მატყლისა და სელის ქსოვილებს. ცმაროებდნენ ოთხთვალა და ორთვალა ურმებსა და ეტლებს. ორთვალა ეტლი, რომელშიაც ცხენს უბამდნენ, საომარი საშუალება იყო.

განვითარებული ყოფილა იმდროინდელ საქართველოში ხელოვნებაც. თითქმის ყველა ნივთს, განსაკუთრებით კი სამკაულებს, ჭურჭლეულობას, იარაღს, საყოფაცხოვრებო საგნებს (მაგ., სარტყლის ბალთებს) ალამაზებდნენ, რთავდნენ ჩუქურთმით, ადამიანის, შინაური და გარეული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებით. ნივთების ეს მორთულობა და მოსატულობა მოწმობს იმდროინდელ ხელოვანთა დაოსტატებისა და გემოვნების მაღალ დონეს. ამასვე ამჟღავნებს თვით ნივთების ნაკეთობაც.

ხუროთმოძღვრების ყველაზე ძველი ძეგლები ჩვენს ქვეყანაში მ ე გ ა ლ ი თ ე ბ ი ა. „მეგალითი" ბერძნული სიტყვაა

და „დიდ ქვას" ნიშნავს. ასეთი ძეგლები დიდი ლოდებისაგან არის აგებული, მაგრამ უკიროდ და უდუღაბოდ. საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბლომად მოიპოვება მეკალითური ციხე-დარბაზები, ნაქალაქარები, დოლმენები (ჩვეულებრივად ხუთი ლოდისაგან გაკეთებული ბინაა, მეტწილად — მიცვალებულისათვის; გვხვდება აფხაზეთში), მენჰირები (მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები) და „ვეშაპები" (მიწაში ჩასმული უზარმაზარი სალოცავი თევზის გამოსახულებანი).

მეგალითურ ძეგლებს ციკლოპურსაც ეძახიან, როგორც ვითომც ზღაპრული არსებების, ციკლოპების, მიერ აშენებულთ. ჩვენში ხალხი მათ გმირთ-ნაკვეთებს, დევთა ნასახლარებს, ქვაკაცებს უწოდებს.

ეს მეგალითები ბრინჯაოს ხანის ძეგლები უნდა იყოს.

ბრინჯაოს ხანაში ჩვენ წინაპრებს აღებ-მიცემა ჰქონიათ საკმაოდ შორეულ მხარეებთან — ხმელთაშუა ზღვის, მცირე აზიის, მესოპოტამიის ქვეყნებთან და ეგვიპტესთანაც, ფულად ბრინჯაოს რგოლებიც გამოუყენებიათ.

უკვე იმ დროს ბარის მოსახლეობაში მდიდარი ხალხი განირჩეოდა ღარიბებისაგან. საზოგადოებრივი უთანასწორობაც უკვე გაჩენილი იყო. ჰყავდათ მონები, არსებობდნენ მთავრებიც (ბელადები).

მაგრამ სიმდიდრე და სიღარიბე, დიდკაცობა და სიბეჩავე-უუფლებობა განსაკუთრებით გაძლიერდა და გავრცელდა მას შემდეგ, რაც რკინა გაჩნდა.

§ 3. უძველესი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები

პირველყოფილი ადამიანი უმწეო იყო ბუნების ძალებთან ბრძოლაში. ბუნება, მისი ყოველი მოვლენა და თვით უსულო საგნებიც კი მისთვის საიდუმლოებით მოცულ სამყაროს წარმოადგენდა. ბუნება ზოგჯერ მოწყალე თვალით გადმოხედავდა ადამიანს, ზოგჯერ კი დიდად გაამწარებდა. ამიტომ, ადამიანს ეგონა, რომ სამყარო სავსეა კეთილი და ბოროტი ძალებით, ანუ სულებით. ყოველ საგანში იგი ამა თუ იმ სულს

ხედავდა და ცდილობდა კეთილი სულისათვის პატივი ეცა, სოლო ბოროტის გული მოელბო. სულთა ასეთი თაყვანისცემა იყო რელიგიის ერთ-ერთი უძველესი საფეხური. ამგვარივე თაყვანისცემის საგნად იქცეოდა სოლმე ზოგჯერ ესა თუ ის ცხოველიც — განსაკუთრებით ისეთი, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში.

შემდგომ ადამიანის რელიგიურ წარმოდგენებში გარკვეული გარდატეხა მოხდა. თუ ძველად მთავარი ადგილი საკვნებისა და ცხოველების გაღმერთებას ეკავა, ახლა უკვე ბუნების ძალების გაღმერთებას წამყვანი როლი მიენიჭა. თაყვანისცემის საგანი გახდა, მაგალითად: მიწა, წყალი, მნათობები — მზე, მთვარე, ვარსკვლავები. დიდი გახდა ნაყოფიერების იდეის გამოსახატველი ღვთაებებისა და ამასთან დაკავშირებული რელიგიური წეს-ჩვეულებების მნიშვნელობა.

ყველა ტომს თავისი საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავდა. მაგრამ, თუ ერთი მხრივ, ყალიბდებოდა ერთგვაროვანი ნივთიერი კულტურის დიდი არეები, მეორე მხრივ, თანდათან დიდ ტომთა კავშირების ფარგლებში და მათ მეზობლადაც ხდებოდა რელიგიურ წარმოდგენათა შერწყმა. იქმნებოდა აგრეთვე ღვთაებათა საერთო პანთეონი. რა თქმა უნდა, რაც რამ საერთო იყო იმდროინდელ ტომთა სარწმუნოებაში, ყველაფერი როდი იყო ამ ტომთა დაახლოების შედეგი, ზოგი რამ მათი საერთო წარმოშობის შედეგიც იყო, მათი საერთო წინაპარი ტომისაგან მიღებულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა.

რთულდება სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებებიც. ღმერთების პატივსაცემად, მათი გულის მოსაგებად იმდროინდელი მოსახლეობა მრავალ სხვადასხვა რელიგიურ წესს ასრულებდა. თრიალეთში აღმოჩენილ შუაბრინჯაოს ხანის ვერცხლის სასმისზე გამოსახულია ერთი ასეთი სარწმუნოებრივი ცერემონია: სასმისის ზედა ნაწილზე გამოხატულია ტახტზე მჯდომი ადამიანისებრი არსება, რომელსაც ხელში სასმისი უჭირავს. მის უკან ხე დგას, ხოლო წინ — სამსხვერპლო, რომლის აქეთ-იქით ორი მხეცია გამოსახული. ტახტზე მჯდომისაკენ მიემართება მისივე მსგავსი არსებების პროცესია: ამათაც ხელში სასმისები უჭირავთ. ყველა ერთნაირადაა ჩაცმული, სახეზე ოთქოს ნიღბები აქვთ აფარებული,

სოლო უკან ნადირის კუდები ჰკიდიათ. სასმისის ქვედა ნაწილზე კი ირმების მსვლელობაა გამოსახული.

ძველ დროს ქართველ ტომებს ჰქონდათ მრავალი თქმულება, რომლებშიაც, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა სალხის ამგვარ თქმულებებში, დიდი ადგილი ეკავა კეთილი გმირის ბოროტ ძალებთან ბრძოლის მოტივს. კერძოდ, უკვე ამ დროს ქართველ ტომებში გავრცელებული იყო სხვადასხვა თქმულება, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნობილი ძველი ქართული ეპოსი ამირანის შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, უკვე ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ნივთზე წარმოდგენილ გამოსახულებებში მეცნიერები არჩევენ ამირანის ეპოსის ცალკეულ მოტივებს.

ამირანის ეპოსი გადმოგვცემს კეთილი გმირთა-გმირის ამირანის ბრძოლას ბოროტ არსებებთან და ამირანის მიერ ამ არსებათა დამარცხებას. გმირთა-გმირი ამირანი ნახევრად ღმერთია და ნახევრად ადამიანი. მამამისი ადამიანია, ხოლო დედა კი ღვთაება — ნადირობის ქალღმერთი დალი. ბოროტ სულებთან ამირანის ბრძოლის მოტივს გარდა, ეპოსში დიდი ადგილი უჭირავს ამირანის მიერ „ღრუბელთ მეუფის“ (ცის, ჭექა-ქუხილის ღვთაების) ქალის, მზეთუნახავ ყამარის მოტაცების ამბავს. ყამარის მამა თავისი ღვთიური ლაშქრით დაედევნება ამირანს, მაგრამ მარცხდება ამირანთან ბრძოლაში. ამირანი ამ გამარჯვებას თვით ყამარის დახმარებით აღწევს. თქმულება თავდება ღმერთის მიერ ამირანის კლდეზე მიჯაჭვის ამბით. ღმერთმა ამირანი იმიტომ დასაჯა, რომ მან, თავისი ძალითა და გამარჯვებით გაამაყებულმა, ღმერთთან შებრძოლებაც კი მოინდომა.

ამირანის ეპოსმა დროთა განმავლობაში მრავალგზისი ცვლილება განიცადა. მასში ბევრი სხვადასხვა დროის ფენაა, მაგრამ, როგორც ვთქვით, თქმულებანი, რომლებიც ამ ეპოსის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად, უეჭველია, უკვე ძალიან ძველ დროს, ბრინჯაოს კულტურის სანაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული ქართველ ტომებში.

§ 4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები

დაახლოებით ამ სამი-ოთხი ათასი წლის წინათ, ქართველი სალხის შორეულ წინაპრებს უკვე ჰქონდათ თავისი საკუთარი სახე. ისინი ენითა და კულტურით უკვე საგრძნობლად განირჩეოდნენ კავკასიასა და მასლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებ სხვა მონათესავე თუ არამონათესავე ტომებისაგან. კიდევ უფრო მეტი: თვით ქართველთა ამ უშუალო წინაპარ მოსახლეობაშიც დიდხანს ურთიერთისაგან გათიშული ცხოვრების გამო ფეხი გაიდგა განსხვავებამ ენის, ზნე-ჩვეულებისა, მატერიალური და სულიერი კულტურის მხრით. განსხვავება ისახებოდა არა მარტო ქართველი ტომების ისეთ დიდ ჯგუფებს შორის, როგორც არიან ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები, არამედ თვით ქართების, მეგრელ-ჭანებისა და სვანების ცალკეულ ტომებს შორისაც.

საქართველოს ტერიტორიაზე ძველად სხვა მოდგმის ტომებსაც უცხოვრიათ. მათ შორის იყვნენ აფხაზურ-ადიღეურ, ვეინახურ, დაღესტნურ და სხვა ენებზე მოლაპარაკე ცალკეული ტომებიც. ამ მოდგმის ტომები იმ დროს ფართოდ იყვნენ გავრცელებული უმთავრესად საქართველოს მეზობლად — ჩრდილო კავკასიაში, აგრეთვე თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

სამხრეთიდან ქართველ ტომებს ემეზობლებოდნენ ძველი აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების შემქმნელი ხალხები — ხურიტები (მითანის სამეფოს ძირითადი მოსახლეობა), ხეთები (მცირე აზიაში), ურარტუელები (ხურიტების მონათესავე ხალხი, რომელმაც ვანის ტბის რაიონში შექმნა ჩვ. წ. აღ-მდე IX საუკუნეში ძლიერი სახელმწიფო ურარტუ), ძველთაგანვე ქართველი ტომების უშუალო მეზობლები იყვნენ აგრეთვე სომეხი ტომებიც, რომლებიც იმ დროს მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ცხოვრობდნენ.

ამ ხანაში, როგორც ზევით დავინახეთ, საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ტომთა დიდი კავშირების ჩამოყალიბება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ერთი ასეთი დიდი გაერთიანება იყო დიაოხი, რომლის სახელიც შემდგომ საქართველოს ერთ-ერთ ოლქს, ტაოს, შემორჩა. სამხრეთით

დიაოხის ტომთა კავშირის ტერიტორია დღევანდელ ქალაქ არზრუმის რაიონამდე აღწევდა.

უკვე ჩვ. წ. აღ-მდე XII საუკუნის ბოლოს დიაოხი საკმაოდ გაძლიერდა. ამიტომ იყო, რომ, როდესაც ჩვ. წ. აღ-მდე 1112 წ. ჩრდილო მესოპოტამიაში მდებარე დიდი სახელმწიფოს — ასურეთის — ლაშქარმა ჩრდილოეთისაკენ გამოილაშქრა, დიაოხის ბელადი სიენი ჩაუდგა სათავეში ამ მხარეში მცხოვრები ტომების ბრძოლას ასურელების წინააღმდეგ. ბრძოლაში ასურელებმა გაიმარჯვეს. მაგრამ შორეულ ასურეთს ძალა არ შესწევდა ნამდვილად დაემორჩილებინა დიაოხი.

უფრო გართულდა დიაოხის მდგომარეობა მაშინ, როდესაც მის მეზობლად, ვანის ტბის ირგვლივ მდებარე მიწა-წყალზე, ჩვ. წ. აღ-მდე IX საუკუნეში ძლიერი ურარტუს სამეფო ჩამოყალიბდა. ურარტუს მეფეები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დაემორჩილებინათ მადნეულითა და ლითონით მდიდარი ეს ქვეყანა. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში უცხოვრები ტომები ძველთაგანვე განთქმული იყვნენ ლითონების დამუშავების ოსტატობით. ამ დროს კი აქ ფართოდ იწყებს განვითარებას რკინის მეტალურგია. ძველი ბერძნები ამ ადგილებში მცხოვრებ ზოგიერთ ტომს „რკინის გამომგორებლად“ თვლიდნენ.

ურარტუს მეფეებმა მრავალგზის ილაშქრეს დიაოხის „ძლევამოსილი ქვეყნის“ წინააღმდეგ, როგორც თავიანთ წარწერებში უწოდებენ მას. რამდენჯერმე დაამარცხეს მისი მეფე უტუფურში, რომლისგანაც ერთდროული ხარკის სახით დიდძალი პირუტყვი (ცხენი, სარი, ძროხა, ცხვარი) და აგრეთვე რამდენიმე ათეული კილოგრამი ოქრო-ვერცხლი და ტონობით სპილენძი მიიღეს; ყოველწლიური ხარკის სახით კი დიაოხს უნდა ესადა 5 ტონაზე მეტი სპილენძი, აგრეთვე ოქრო, პირუტყვი და სხვ. ურარტუელებმა შეძლეს დიაოხისათვის სამხრეთი რაიონები მოეწყვიტათ და ისინი თავიანთ სამეფოს შეუერთეს.

ჩვ. წ. აღ.-მდე მე-8 საუკუნის შუახანებში დიაოხის ეს დიდი გაერთიანება გაანადგურეს, ერთი მხრივ, ურარტუმ და, მეორე მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა მეორე დიდმა გაერთიანებამ — კოლხამ.

კოლსა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები ტომების გაერთიანება იყო, რომელიც ძალიან ადრე ჩამოყალიბდა. მან დიდი როლი შეასრულა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრები ტომების ისტორიაში. მოაქცია რა ისინი თავისი გავლენის ქვეშ, ამით მან დიდად შეუწყო ხელი აქ მცხოვრები ტომების დაახლოებას, მათ კულტურულ მონაპოვართა ურთიერთგაზიარებას და გვიანი ბრინჯაოს ხანის ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის დიდი არის შექმნას.

ბერძნები ამ ადგილებს სწორედ კოლხური ტომების ამ გაერთიანების ძლიერების ხანაში გაეცვნენ.

კოლხას ამ ძლიერ გაერთიანებაზე ხსოვნამ გამოხატულება ჰპოვა ძველ ბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ. თქმულება მოგვითხრობს, რომ კოლხეთში ერთ დროს მეფობდა ძლიერი მეფე აეტი. იგი სხვა ბევრ სიმდიდრესთან ერთად, ფლობდა ოქროს საწმისს — ზღაპრულ ოქროსმატყლიან ცხვრის ტყავს. ამ საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთს გაემართა ორმოცდაათიოდე ბერძენი გმირი იაზონის მეთაურობით. თქმულება მათ არგონავტებს უწოდებს, რადგან მათ იმგზავრეს ხომალდით, რომელსაც სახელად „არგო“ ერქვა.

კოლხეთის მეფე აეტმა არგონავტები თავის ბრწყინვალე სასახლეში მიიღო. იაზონმა ამცნო მეფეს მოსვლის მიზანი და ოქროს საწმისის სანაცვლოდ მეზობლებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა.

აეტმა იაზონს უპასუხა: ოქროს საწმისს მოგცემ, ოღონდ მანამდე სამი რამ უნდა გააკეთო: სპილენძის ჩლიქიანსა და ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მიწა მოათხრევინო, ურჩხული მოკლა და მისი კბილები დათესო; და, ბოლოს, იმ ნათესიდან რომ ლაშქრები ამოვლენ, ისინი დახოცო.

იაზონი ვერც ერთ პირობას ვერ შეასრულებდა, აეტის ასულს, მედეას რომ არ აღმოეჩინა მისთვის დახმარება. მედეამ ეს იაზონისადმი ტრფობის გამო ჩაიდინა. მედეას დახმარებით იაზონმა აეტის ყველა დავალება შეასრულა. მიუხედავად ამისა, აეტი მაინც არ აპირებდა მისთვის ოქროს საწმისის მიცემას. მაშინ იაზონმა და მისმა თანამგ-

ზავრებმა გაიტაცეს ოქროს საწმისი — ისევ მედეას დახმარებით, რომელმაც მოუხიბლა და მიაძინა საწმისის მცველი ურჩხული. არგონავტებმა მედეაც თან წაიყვანეს და საბერძნეთისაკენ გაემართნენ. გზაში მათ წამოეწივნენ აეტის მიერ დადევნებული მეომრები, მედეას ძმის აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ არგონავტებმა დაამარცხეს მდევრები და თვით აფსირტეც მოკლეს.

ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ თქმულებაში ისტორიული სინამდვილეც არის ასახული.

კოლხეთის სამეფოს აღწერისას აქ ნაწილობრივ აირეკლა რეალურად არსებული ღრმა კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ეს ორი დიდი გაერთიანება — დიაოხი და კოლხა — საუკუნეთა განმავლობაში ხშირად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ხშირად იყო მათ შორის შეტაკებებიც. ჩვ. წ. აღ.-მდე მე-8 ს. შუა ხანებში ურარტუსთან გამუდმებული ბრძოლით დასუსტებულმა დიაოხიმ ვეღარ გაუძლო ძლიერი კოლხას შემოტევას და განადგურებულ იქნა.

დიაოხის მიწა-წყლის ნაწილი კოლხას შემადგენლობაში მოექცა. ურარტუ და კოლხა უშუალო მეზობლები გახდნენ. ახლა ბრძოლა მათ შორის გაჩაღდა. ამ ბრძოლებმა დიდად დაასუსტა კოლხა. მალე მას კიდევ უფრო საშიში მტერი გამოუჩნდა ჩვ. წ. აღ.-მდე მე-8 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო კავკასიონის იქითა მხრიდან სალხის დიდი მასების შემოსევა. ამ შემოსევის პირველ ტალღას შეადგენდნენ კიმერიელები, რომლებიც სამხრეთისაკენ გამოიჭრნენ შავი ზღვის კოლხური სანაპიროს გამოვლით. ეს შემოსევა საბედისწერო აღმოჩნდა კოლხეთისათვის, რომლის მიწა-წყალზე გადაიარეს კიმერიელებმა. ამას კოლხას გაერთიანების განადგურება მოჰყვა შედეგად.

მალე ისევე ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ, ახლა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გზით, კიდევ ახალი ტომები — სკვითები. სკვითებისა და კიმერიელების ნაწილი ამიერკავკასიისა და სამხრეთით მის მოსაზღვრე ზოგიერთ ოლქში დამკვიდრდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ ზოგჯერ

მტრული ურთიერთობა ჰქონდათ, ზოგჯერ კი მათ მოკავშირეებად ხდებოდნენ გარეშე მტრებთან ბრძოლაში.

ამგვარად, ჩვ. წ. აღ.-მდე მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში განადგურდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ორი დიდი გაერთიანება (ალბათ უკვე ადრეკლასობრივი სახელმწიფო) — დიაოხი და კოლხა.

§ 5. საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 და მე-6 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით

მე-7—მე-6 საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაემსხო ძველი სახელმწიფოები, მათ ადგილას კი ახალი აღმოცენდა. ბევრმა ტომმა გამოიცვალა თავისი ადგილსამყოფელი, ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა ან გააძევა, ან შეიერთა, ან მოსპო. მოსულებისა და დამსდურების შეერთებით სრულიად ახალი ხალხებიც.

ურარტუს სამეფოს მიდიელებმა მოუღეს ბოლო მეშვიდე საუკუნის დამლევს. შემდეგ მიდიელებმა შემუსრეს აგრეთვე ასურეთი, რომელიც მეშვიდე საუკუნეში წინა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო.

მაგრამ არც მიდიელების ბატონობა გამოდგა ხანგრძლივი. მალე პირველობა სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელების მეფემ კიროსმა ჯერ (550 წ.) მიდიის სამეფო დაიპყრო, შემდეგ ხმელთაშუა ზღვისაკენ გაიკაფა გზა, ბოლოს ბაბილონიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა სპარსეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც აქემენიდების სამეფოსაც ეძახიან, იმიტომ რომ კიროსი და მისი მემკვიდრეები აქემენიდების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

მე-7—მე-6 საუკუნეებში მცირე აზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებს. ბერძენი ტომები აქ საბერძნეთიდან მოვიდნენ, დიდი სნის წინათ, და ეგეოსის ზღვისპირას დამკვიდრდნენ. ბერძენ ტომთაგან აქ განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ იონიელები, რომლებმაც მთელი რიგი ქალაქები დაარსეს, მათ შორის — მილეტი. მილეტი მცირე აზიელი ბერძნებისა და, საერთოდ, წინა აზიის უმნიშვნელოვანესი ქალაქთაგანი იყო. მილეტის ნავთსადგურში თავღებოდა ძველი ქვეყნის ყველაზე დიდი

სავაჭრო გზა, რომელიც შორეულ ინდოეთში იწყებოდა. აქაურ ქალაქებში, განსაკუთრებით — მილეტში, ჩაისახა და განვითარდა ბერძნული სამეცნიერო და პოეტური მწერლობა, ბერძნული ხელოვნება.

მე-6 საუკუნის დამლევისათვის მცირეაზიელმა ბერძნებმაც სპარსელების ბატონობა აღიარეს.

კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მე-7—მე-6 საუკუნეებში სკვითები და სავრომატები (ანუ სარმატები) პირველობდნენ. სკვითებს ეჭირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე, დონიდან აღმოსავლეთით კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. „სკვითიცა“ და „სარმატიც“ კრებითი სახელები იყო და მრავალ სხვადასხვა, ძირითადად ირანული, მოდგმის ტომს აერთიანებდა. სარმატებად სთვლიდნენ ზოგჯერ კავკასიელ ტომებსაც — ჩერქეზებს, ქისტებსა და სხვებს.

მე-7—მე-6 საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ სკვითები. სპარსელების მეფემ დარიოსმა, რომელიც დარწმუნებული იყო, დედამიწის ზურგზე ჩემი სწორი არავინ არისო, სკვითების დამორჩილება სცადა. იგი უზარმაზარი ლაშქრით შეესია სკვითეთს, მაგრამ მწარე დამარცხება იწვნია.

§ 6. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროზე

ძველთაძველი დროიდანვე კავკასია-საქართველოს ხალხებს აღებ-მიცემა ჰქონდათ ეგეოსის ზღვის ხალხებთან. ამ გაკვალულ გზებს შემდეგში ბერძნებიც მიჰყვნენ. მე-7 საუკუნისათვის ეს ვაჭრობა ისე გაფართოვდა და გაცხოველდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ დაინახეს შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ისინი შეუდგნენ აქ ახალშენების დაარსებას.

საქართველოში ბერძნული ახალშენები იყო ფასიდი (ანუ ფაზისი), დიოსკურია, პიტიუნტი. ეს იყო სანავთსადგურო ქალაქები. ფასიდი დღევანდელი ფოთის ადგილას ან მის მახლობლად მდებარეობდა, დიოსკურია — სოხუმის ადგილას, პიტიუნტი, რომელსაც ჭველი ქართველები ბიჭვინტას ეძახდნენ, მდინარე ბზიფის შესართავის ახლო იყო აშენებული.

ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ვაჭრობა აინტერესებდათ. აქ და, საერთოდ, კავკასიაში ბერძნებს ბევრი თავისთვის საჭირო საქონელი ეგულებოდათ. ბერძნებს აქედან გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავები, ძვირფასი ხის, მაგალითად — ბზის მასალა, საშენებელი ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები. შემოჰქონდათ კიდევ თავისი ხელოსნების ნაწარმოები: ქსოვილები, სამკაულები, ჭურჭლეულობა და კვების ზოგი პროდუქტი (მაგ., ზეთი).

მაგრამ კავკასიაში დამკვიდრებულ ბერძნებს პრაქტიკულმა ინტერესებმა თანდათან ცნობისმოყვარეობა გაუცხოველა — რა ხალხები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორია მათი ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, გზები, საზოგადოებრივი წყობილება და ისტორია, როგორია აქაური ბუნებაო. ამგვარ ცნობებს ჯერ ვაჭრები, მეზღვაურები და სამსედრო ბირები ჰკრებდნენ, შემდეგ იმდროინდელი მეცნიერები ამუშავებდნენ.

§ 7. ძველი ბერძნული ცნობები საქართველოს შესახებ

ამრიგად, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე, ძვ. წ., უმთავრესად არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვსწავლობთ, ამ დროიდან მოყოლებული უკვე წერილობით ცნობებსაც ვიყენებთ. ძველ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მისი კულტურის, სასელმწიფო საზღვრებისა და ისტორიის აღწერილობა. თავდაპირველად ეს ცნობები მცირე იყო, მაგრამ ისინი თანდათან გამრავლდა და გამდიდრდა.

უძველესი ბერძნული ცნობები (მე-6—მე-4 სს., ძვ. წ.) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყნად გვიხატავენ. კულტურული მცენარეებიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყენებდნენ ღვინოს. მოხსენებულია კაკალი და წაბლი. აღნიშნულია, რომ წაბლის ნაყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ, ან მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. შავი ზღვისპირა ქვეყნების და, მაშასადამე, საქართველოს შესახებაც ნათქვამია, რომ აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით,

ბლომად საროჩს აქ აგრეთვე ლეღვი და ბროწეულიო. ზოგი სეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასურტის სახელთანაა დაკავშირებული. პურეულიდან დასახელებულია ხორბალი, ასლი და ქერი. პური ზოგიერთ რაიონში ისეთი რაოდენობით მოჰყავდათ თურმე, რომ ახალი მოსავლის აღების შემდეგაც წინა წლის მოსავლიდან დიდი მარაგი რჩებოდათ. ტექნიკური (სართავი) მცენარეებიდან უკვე მეხუთე საუკუნეში, ძვ. წ., განთქმული იყო კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, ჩაჩს მნიშვნელოვანი რაოდენობით. ფასიანური (ე. ი. მდ. ფასიდის ანუ რიონის რაიონის) თხელი სელი საუკეთესო მასალად იყო მიჩნეული აგრეთვე ბადეებისათვის. იხსენიება სხვადასხვა ბოსტნეულიც.

ცნობილი იყო აგრეთვე შავი ზღვისპირის ფუტკარი, სშირი და მდიდარი ღალა იცისო, და აქაური „თეთრი და სქელი თაფლი". დასავლეთ საქართველოს ამგვარ თაფლს, რომელსაც ქართულად, „კიპრუშჩი" ჰქვიან, შემდეგშიაც ყოველთვის ძალიან აქებდნენ უცხოელები. მისდევდნენ შინაურ მეფუტკრეობას (ფუტკარი სკებში ჰყავდათ), და აგრეთვე ტყის ფუტკრის თაფლსაც აგროვებდნენ. შინაური ოთხფეხიდან დასახელებულია ძროხა, ცხვარი, ღორი, თხა, ცხენი, ვირი. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: „ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თითოეული ბევრ რძეს იძლევა". ეს ქართული ჯიშის ძროხა, პატარა ტანისა, მაგრამ კარგი მეწველი, დღემდე არის ჩვენში შემონახული (მაგალითად, ხევსურეთში).

ძველი ბერძნები საქართველოს ლითონებით მდიდარ ქვეყნად თვლიდნენ, აქ ქვეყანაში ბევრია ოქრო, ვერცხლი და რკინაო. მოუთხრობდნენ, რომ კოლხეთის ერთმა უძველესმა მეფემ თავის სახელმწიფოში, განსაკუთრებით — სვანეთში აუარებელი ოქრო და ვერცხლი მოიპოვაო. იუწყებიან აგრეთვე სხვა მინერალების შესახებაც. მაგალითად, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში ძველთაგანვე წარმოებდა სინგურის მოპოვება (ამ მინერალიდან, რომელიც ვერცხლის წყლისა და გოგირდის შენაერთია, წითელ საღებავს ამზადებენ).

კიდევ უფრო დიდი აზრისა იყვნენ ბერძნები აქაური მეტალურგების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ცნობა დაგვიტოვეს მათ სამხრეთის ტომების — ხალიბებისა და მოსინიკების — შესახებ. ხალიბების ქვეყანაში მდინარეებს რკინის ქვიშა ჩამოაქვს. ხალიბები ამ ქვიშას რამდენიმეჯერ რეცხავენ და ადნობენ ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვასთან“ ერთად, რომელიც ბევრია მათ ქვეყანაში. ასე ამზადებენ ხალიბები რკინას, რომელიც ბევრად სჯობია სხვა რკინას და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევია. მხოლოდ ამგვარ რკინას არ ეკიდება ჟანგიო. აქ აღწერილია მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადება. ამიტომაა რომ ფოლადის ბერძნული სახელი „ხალიფს“, ხალიბების სახელწოდებისაგანაა ნაწარმოები და ხალიბურ ლითონს აღნიშნავს. ასეთივე ნახელავით ცნობილი იყვნენ ტიბარენებიც, ხალიბების მეზობლები. ხალიბების სხვა მეზობლები, მოსინიკები, განთქმული იყვნენ თავისი მაღალხარისხოვანი თითბერით. მოსინიკების სპილენძი კაშკაშა ელვარეა და მეტისმეტად თეთრი; სპილენძს მოსინიკები კალას კი არ ურევენ, არამედ ერთგვარს იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად ადნობენო. თითბერის სახელიც ზოგიერთს ევროპულ ენაში (მაგ., გერმანული „მესინგ“) მოსინიკების სახელისაგან არის წარმომდგარი. ხალიბების, მოსინიკებისა და ტიბარენების ტერიტორია, რომელიც ჭოროხის აუზზე და ტრაპიზონ-გირესუნ-ორდუს საზღვრებში მოდის, განსაკუთრებით ამ ტერიტორიის მთიანეთი, მართლაც მეტად მდიდარია ლითონის მადნებით.

ეს სიმდიდრე იზიდავდა ბერძნებს კავკასია-საქართველოსაკენ. სხვა საქონელს გარდა აქ ისინი შოულობდნენ აგრეთვე მონებსაც. აი, როგორ აგვიწერს ერთი ძველი ბერძენი მწერალი საზოგადოდ შავი ზღვისპირა ქვეყნებს: „პონტოში ბევრი რამ არის, სხვა ხალხების ცხოვრებისათვის სასარგებლო... პონტოს გარშემო მდებარე ქვეყნები გვაწვდიან, აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, პირუტყვს და უეჭველად საუკეთესო მონებს უდიდესი რაოდენობით, ხოლო ფუფუნების საგნებად კი უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს (თაფლის სანთელს) და დამარილებულ თევზს. ხოლო იმ ნაწარმოებიდან, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნები, იღებენ ზეთსა და ყოველგვარ ღვინოს. პურითაც აღებ-მიცემო-

ბენ ჩვენთან, ხან გვაწვდიან საჭიროებას დროს, ხან იღებენ“.

დასავლეთ საქართველოს ძველად, როგორც ნათქვამია, ბერძნები კოლხეთს უწოდებდნენ, ადგილობრივ მას ეგრისი ერქვა. ამ სამეფოს შესახებ მე-7 საუკუნიდან, ძველი წელთაღრიცხვით, ბერძენი მწერლები გვიამბობენ.

ბერძნული ასალშენები დიდ სარგებელს პოულობდნენ კოლხებთან ვაჭრობაში. გაიზარდა და გამდიდრდა ეს ქალაქები. მარმარილოსაგან ნაკეთები შენობებით, კარგი ნავსადგურებით, არხებითა და წყალსადენებით, მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო და გამაგრდა პიტიუნტი და დიოსკურია, ფასიდი და ტრაპიზონი. უცხოელი ვაჭრებისაგან დარჩენილს სხვადასხვა ქვეყნის ფულს დღესაც პოულობენ დასავლეთ საქართველოს ნიადაგში.

ეს ვაჭრობა სასარგებლო იყო კოლხებისთვისაც. ერთმანეთშიაც კოლხებმა ისეთი აღებ-მიცემა გააჩაღეს, რომ მათ უკვე უცხოეთიდან შემოტანილი ფული აღარ ჰყოფნიდათ. მე-5 საუკუნიდან კოლხეთში ადგილობრივი ფულის ჭრა დაიწყეს. ეს ვერცხლის ფული იყო, რომელზედაც ჩვეულებრივ, ერთ მხარეს ხარის თავი იყო გამოსახული, მეორე მხარეს კი — კოლხების ქალღმერთი. ფულს სხვადასხვა ზომისას ჭრიდნენ. კოლხურ ფულს ახლაც ბლომად პოულობენ დასავლეთ საქართველოში. სამკაულები იცოდნენ ოქროსი, ვერცხლისა, ბრინჯაოსი — საყურე, ბეჭედი ჭინძისთავები, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებანი. უყვარდათ ბრინჯაოს ფართო ქამრის თავები ანუ ბალთები, რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა ცხოველი. უყვარდათ სხვადასხვა მძივისაგან გაკეთებული ყელსაბამებიც. მიცვალებულებს ხშირად ასაფლავებდნენ თიხის კუბოებში ან ქვევრებში.

მკვდრებს სამარეში, ფულის გარდა, ყოველგვარ იარაღს, ჭურჭლეულობასა და სამკაულებსაც აყოლებდნენ.

როცა ძველი კოლხების საფლავებს ვსინჯავთ, ვხედავთ, რომ ზოგ სამარეში მდიდარი კაცია დამარხული, ზოგში კი ღარიბი. ზოგისათვის ბევრი ოქრო-ვერცხლი, იარაღი და ფული ჩუტანებიათ, სხვებისთვის — ცოტა. აშკარაა, კოლხებში იმ დროს ქონებრივი უთანასწორობა უკვე იყო ფესვგადგმული. უფრო იშვიათად ისეთი სამარხებიც გვხვდება, რომ, საფიქრებელია, იქ მეფე ან ვინმე მთავარია დაკრძალული.

§ 8. იბერია-კოლხეთი და აქემენდების სამეფო

აქემენიდების დიდმა სახელმწიფომ თავისი გავლენა ამიერკავკასიასაც გადმოუწვდინა. სპარსელებმა სხვებზე ადრე ის ქართული თემები დაიმორჩილეს, რომელნიც ახლანდელი ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარეობდნენ. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის სამეფოს ორი ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ამ ქართულ და სხვა თემებისაგან შედგებოდა. მე-18 ოლქში, რომელიც მდ. არაქსის ხეობასა, მდ. ევფრატისა და ტიგროსის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იდო, შედიოდნენ მატიენები, სასპერები და ალაროდიები, როგორც ამას ჰეროდოტე მოგვითხრობს. მე-19 ოლქში კი, რომელიც ზავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ემხრობოდა, შედიოდნენ მესხები, ტიბარენები, მოსინიკები და სხვები. ეს ოლქები სპარსეთის მეფეს მძიმე ხარკს უხდიდნენ.

შემდეგ სპარსელები ამიერკავკასიაშიც შემოჭრილან. კოლხებმა და მათმა მეზობლებმა სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ძღვენი იკისრეს, რომ სპარსელების შემოსევებისაგან თავი დაეხსნათ. დრო-გამოშვებით ისინი სპარსეთის მეფეს ტყვეებს უგზავნიდნენ.

ხარკზე არანაკლებ სამძიმო იყო დამორჩილებულთათვის ბოვალეობა, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სპარსელების ყველა ლაშქრობაში, თუკი ამას მეფე მოითხოვდა. როცა, მაგალითად, სპარსელები საბერძნეთს შეესივნენ, მათს ჯარში ქართველი მებრძოლებიც ბლომად იყვნენ.

400 წ., ძველი წელთაღრიცხვით, ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ თავისი თვალით ნახა და დაწვრილებით ასწერა სამხრეთ-ქართული თემების, ხალიბების, მოსინიკების, ტაოხებისა და სხვების, ყოფა-ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ავბედობის წყალობით, ეს თემები იმ ხანად დასუსტებული იყვნენ, ქსენოფონტე მათს სოფლებში ყველგან დიდ სტუმართმოყვარეობასა და შინაურ საქონელსაც ბლომად პოულობდა.

ვაჭრობაც ამ თემებში გავრცელებული ყოფილა და მათ საკუთარი ქალაქებიც ჰქონდათ. ზღვისპირისაგან დაშორებით, მაგალითად, იყო გუმნიადი, დიდი და მდიდარი ქალაქი. როცა

ბერძნებთან კარგი განწყობილება ჰქონდათ, ეს თემები მათ თავის ბაზრებს უსსნიდნენ.

აქაური ჩვეულებრივი საომარი იარაღი ყოფილა: ნაირნაირი შუბები, დაწნული და ხარის ტყავგადაკრული ფარები, სარტყელზე დაკიდებული სანჯლები და რკინის ცულები. თავს იცავდნენ ხის ან ტყავის მუზარადით, ტანს კი სელის ჯავშანით. ატარებდნენ აგრეთვე ნაბდებს. ზღვისპირელები ლითონის დამუშავებას მისდევდნენ; მაგალითად, ტრაპიზონის სამხრეთით მცხოვრები ხალიბების უმრავლესობა თავს მხოლოდ ლითონის დამუშავებით ირჩენდა. მოსინიკები ზღვაოსნობაშიაც გაწაფული ყოფილან.

ქონებრივი უთანასწორობა აქ კაცს თვალში ეცემოდა. მდიდარი მშობლების პავშვები ძალიან გამოირჩეოდნენ ღარიბებისაგან, რადგანაც ისინი თურმე განსაკუთრებულად იზრდებოდნენ და იკვებებოდნენ. ამ თემებს თავისი მთავრები ჰყავდათ. ზოგან მთავრები (ბელადები, შეიძლება უმაღლესი ქურუმები) განსაკუთრებულ კოშკებში ცხოვრობდნენ, მცველებით გარშემორტყმულნი.

ხალხი გულადი, ამაყი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. ქსენოფონტე გაკვირვებით გვიამბობს მათი გმირობისა და თავისუფლების სიყვარულის ამბებს. როცა ქსენოფონტე და მისი ბერძენი მეომრები ტაოხების სოფლებს მიადგნენ, ტაოხებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს: მთელი ხალხი, ქალი და კაცი, ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტა და ისე ებრძოდა ბერძნებს. როცა მტერმა დიდი გაჭირვებით ბოლოს მაინც მოახერხა ტაოხების ციხეების აღება, მას საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ქალები ჯერ თავის ბავშვებს ისროდნენ კლდეებიდან და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ უფსკრულში. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც. ტაოხებს არ სურდათ ბერძნებს ცოცხლად ხელში ჩავარდნოდნენ, მონობას ისევ სიკვდილი სჯობიაო. ერთი ბერძენი დახარბდა ერთი ტაოხის ლამაზ ტანისამოსს და სცადა ტაოხის დაჭერა, როცა იგი უფსკრულში გადავარდნას აპირებდა. მაგრამ ტაოხმა აჯობა, ბერძენიც თან გადაიყოლა და ორივენი დაიღუპნენ.

მოსინიკებშიაც ასე მოხდა. როცა პერძნებმა მოსინიკები დაამარცხეს, ისინი დაემუქრნენ მოსინიკების მთავრებს, გამოდით თქვენი კოშკებიდან, თორემ დაგწვავთო. მთავრებმა

დამამცირებელ ტყვეობას ცეცხლში ცოცხლად სიკვდილი ირჩიეს, ბერძნებს მორჩილებაზე უარი უთხრეს და დაიღუპნენ.

ქსენოფონტეს მიერ აღწერილი თემები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე — ტრაპიზონის, კერასუნტისა და კოტიორას (ასლანდელი ორდუ) რაიონში — და ევფრატის ზემო წელზე მდებარეობდა. ამ თემების უმეტესობა ამ დროს სპარსეთის მეფეს უკვე აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მათ ერთმანეთშიაც მჭიდრო ერთობა არ ჰქონიათ.

თავი II

საქართველო ელენისტურ და რომაულ ხანაში

§ 9. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ მოსახლეობაშიც შორს წავიდა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავების პროცესი. აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ადგილას არის აღმოჩენილი იმდროინდელ წარჩინებულ პირთა სამარხები. ამ სამარხებში ნაპოვნი ნივთებიდან ჩანს, თუ რა სიმდიდრეს მოუყრია თავი ხალხის მასიდან გამოყოფილი ზედაფენის წარმომადგენელთა ხელში. ქსნის ხეობაში, მაგალითად, სოფ. საძეგურთან აღმოჩნდა მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლებიც წარჩინებული ქალის სამარხს უნდა ეკუთვნოდნენ. ეს ნივთები მოწმობენ, რომ მიცვალებული ნამდვილი დიდკაცური ფუფუნებით დაუმარხავთ. მისთვის ჩაუტანებიათ ოქრომჭედლობის მრავალი შესანიშნავი ნაკეთობა — სამკაული (ოქროს წყვილი სამაჯური, ყელსაბამები, ბეჭდები, საფეთქლის სამკაულები, საყურეები და სხვ.), ჭურჭელი, ცხენის აკაზმულობის ნაწილები, სარდიონის, მთის ბროლის, გიშრისა და ქარვის მძივები. ასეთი მდიდრული სამარხის მეზობლად კი არქეოლოგებმა მრავლად გაშოავლინეს ღარიბთა სამარხების ნაშთები. ამ სამარხებში ნივთები თითქმის არ აღმოჩნდა.

სოფ. საძეგურის მდიდრული სამარხის მსგავსი და იმავდროული სამარხები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც, მაგალითად, სოფ. ყაზბეგში და სოფ. წინწყაროსთან (თეთრიწყაროს რაიონი).

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ამ დროს ტომთა დიდი გაერთიანებები არსებობდა. მათ ბრძოლა ჰქონდათ როგორც უცხოელ დამპყრობლებთან, ისე ურთიერთშორი-

ლოვანი როლის შესრულებას იწყებს მცხეთის რაიონი. იგი სხვადასხვა მხრიდან (დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან მდ. არაგვის ჩამოყოლებით) მომავალი გზების შესაყარზე მდებარეობდა.

ამას გარდა, მცხეთას და მის მიდამოებს თავდაცვის თვალსაზრისითაც მეტად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. ეს იყო ძალიან მოსახერხებელი ადგილი მრავალი, ურთიერთდაკავშირებული ციხე-სიმაგრის ასაგებად.

გადმოცემა ქართლის სამეფოს დამაარსებლად თვლის მცხეთის მკვიდრს ფარნავაზს, რომელსაც ქართლიდან განუდევნია უცხოელი დამპყრობლები და განთავისუფლებული ქართლის მეფე გამხდარა. ამ საქმეში მისთვის დახმარება აღმოუჩენიათ დასავლეთ საქართველოს მმართველს ქუჯის, კავკასიონის მთიანეთში მცხოვრებ ტომებს და სომეხთა რაზმებს

§ 10. ქართლის სამეფო ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნეში

ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნეში, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრის საურმაგის მეფობაში, ქართლის სამეფო საკმაოდ ძლიერი იყო. ამ დროს იგი არა მარტო მთელ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, არამედ მის მოსაზღვრე ოლქებსაც ფლობდა. მას ეკუთვნოდა, კერძოდ, ისტორიული ტაოსა და სპერის ოლქები.

ქართლის სამეფომ უშუალოდ შემოიერთა დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი. აქ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სურამის უღელტეხილის მიმდებარე რაიონში, შეიქმნა ქართლის (იბერიის) ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული — არგვეთის საერისთავო. ქართლის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა აგრეთვე საკუთრივ ეგრისის სამეფოც, თუმცა იგი იბერიის სამეფოს ჩვეულებრივ პროვინციად არ გადაქცეულა.

ამან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მოსახლეობის შემდგომ დაახლოებას და საფუძველი ჩაუყარა ერთი ძირი-

დან წარმოშობილი ქართველი ტომების სწრაფ შეკავშირებას და ამ გზით ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას.

ქართლის სამეფო იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გავლენის ქვეშ მოაქცია კავკასიონის მთიანეთის იმ ნაწილის მოსახლეობაც, რომელიც აღმ. საქართველოს ბარს ემეზობლებოდა. საზოგადოებრივი განვითარების მხრივ მთიანეთის მოსახლეობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ბარის მოსახლეობას. მთაში ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილება იყო გაბატონებული.

ქართლის მეზობლად მდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ ტომებს ქართველები უმთავრესად „ლეკების", „დურძუკთა" და „დიდოელთა" სახელით იცნობდნენ (დღევანდელ დაღისტნურ და ბაცბურ-ქისტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა წინაპრები). მათ დასავლეთით აფხაზურ-ადიღური ტომები ცხოვრობდნენ.

ქართლის სამეფოსათვის მეზობელ მთიანეთზე გაბატონებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლო მას ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთში გადმომავალი გზების, კერძოდ დარიალის, გამაგრება და დაცვა. ამით ქართლის მმართველები დაიცავდნენ თავის სამეფოს მიწა-წყალს ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთის ველებზე მცხოვრები მრავალი მომთაბარე მეომარი ტომის შემოსევისაგან. კიდევ უფრო მეტი, რაკი კავკასიონის გადმოსასვლელები მათ ხელში ექნებოდათ, საშუალება ეძლეოდათ საჭიროების ჟამს შემოეშვათ ჩრდილოეთის ეს მეომარი ტომები და გამოეყენებინათ ისინი თავისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეზობელმა ძლიერმა სახელმწიფოებმა კარგად იცოდნენ ქართლის მეფეთა ამ იარაღის არსებობა და ანგარიშსაც უწევდნენ მას.

ქართლის მმართველებს იმიერკავკასიის ტომები ზოგჯერ მარტო დროებით კი არ გადმოჰყავდათ ამა თუ იმ მტრებთან ბრძოლის მიზნით, არამედ გადმოჰყავდათ სამუდამოდ და თავის სამეფოს მიწა-წყალზე ასახლებდნენ.

ქართლის მმართველებმა თავისი გავლენის სფეროში მოაქციეს აგრეთვე მეზობელი ალბანეთის (თანამედრ. აზერბაიჯანი) მოსახლეობის ერთი ნაწილი. აქ ამ დროს ის ტომები

ცხოვრობდნენ, რომლებიც ენით ყველაზე ახლოს დაღესტნის დღევანდელ მოსახლეობასთან იდგნენ. ისინი მრავალ ტომად იყოფოდნენ და ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილება ჰქონდათ. ქართლის სამეფომ განსაკუთრებით ენერგიულად შეუტია იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს, რომელნიც უშუალოდ ეკვროდნენ ქართლს. უკვე ქართლის სამეფოს წარმოქმნისას ეს მიწა-წყალი ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. აქაური მოსახლეობა თანდათან გაითქვიფა ქართლის დანარჩენ მოსახლეობაში.

§ 11. საგარეო პირობების გაუარესება. საქართველო ჩვ. წ. აღ.-მდე მე-2 საუკუნესა და 1-ლი საუკუნის დასაწყისში

ის ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც ქართლის სამეფოსათვის მანამდე არსებობდა, ჩვ. წ. აღ.-მდე მე-2 საუკუნეში საგრძნობლად შეიცვალა.

საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი სომხური სამეფო. ამ სომხურმა სახელმწიფოებმა ჩრდილოეთის მეზობელს — ქართლის სამეფოს — შემოუტიეს და ქვემო ქართლისა და იესსეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი ჩამოაცილეს (ეს ის ოლქებია, რომელთაც ძველი ბერძნები გოგარენეს, ხორძენეს და პარიადრის მთიანეთის სახელწოდებით იცნობდნენ). ქართლის სამეფო სომხეთის მმართველებმა არა მარტო სამხრეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც შეავიწროეს: ისინი დაეუფლნენ იბერია-ალბანეთის შესაყარზე მდებარე ოლქს კამბისენეს, ანუ, როგორც ძველად ქართველები უწოდებდნენ, კამბეჩოვანს (შემდეგდროინდელი ქიზიყი).

ძლიერ სომხეთთან ჩრდილოეთში ქართლის მმართველები ზოგჯერ პართიის სამეფოს მხარდაჭერით სარგებლობდნენ. პართიის სამეფო ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე მე-3 საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალზე. აქ არშაკიანთა დინასტია დამკვიდრდა. ჩვ. წ. აღ.-მღე მე-2 საუკუნის მეორე ნახევარში პართია უძლიერესი სახელმწიფო შეიქმნა და სომხეთის მეტად საშიში მოწინააღმდეგე გახდა.

დასავლეთის სომხური სახელმწიფოს — ე. წ. „მცირე სომხეთის“ — ხელისუფლებამ კი ამავე ხანაში შეძლეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები ქართველი ტომებით დასახლებული ზოგიერთი ოლქის დაუფლება. ამ ადგილებში, როგორც ზღვის სანაპიროზე მდ. ჰალისის აღმოსავლეთით, ვიდრე ჭოროხის შესართავამდე, ისე ამ ზოლის სამხრეთით გადაჭიმულ ჩრდილო ანატოლიის ანუ პონტოს ქედის კალთებზე ძველთაგანვე მრავალი დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ეთნოსის ტომი ცხოვრობდა. ძველი ბერძნები მათ ბევრი სხვადასხვა სახელით ისსენიებენ. ესენი იყვნენ ტიბარენები, სალდები (ანუ ხალიბები), მოსინიკები, მაკრონები, სანები (ანუ ჭანები) და ა. შ. აქ მცხოვრები ტომები კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ დასავლურ-ქართულ მოსახლეობასთან შედარებით ბევრად უფრო ჩამორჩენილები იყვნენ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით; ისინი ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ზღვის სანაპიროზე აქ უკვე ძალიან ადრე გაჩნდა ბერძნული ახალშენები (სინოპი, კერასუნტი, ტრაპეზუნტი, კოტიორა). ამ ქალაქების ბერძნულ მოსახლეობას იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც ბოლოს და ბოლოს ბერძნული და ადგილობრივი ელემენტების შერწყმას იწვევდა. შემდგომ ეს ადგილები შევიდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, სადაც ელინური (ბერძნული) და ადგილობრივი მოსახლეობის შერეული პროცესი კიდევ უფრო სწრაფად წარიმართა.

შედარებით ხელუხლებლად ინახავდა თავის ტომობრივ თავისთავადობას მთიანეთში მცხოვრები თავისუფალი თემების მოსახლეობა (ჭანები).

რაც შეეხება საკუთრივ ახლანდელ დასავლეთ საქართველოს, მისი ერთი ნაწილი უშუალოდ შეიერთა ქართლის ძლიერმა სამეფომ, მეორე ნაწილი (ეგრისის ანუ კოლხეთის ძველი სამეფო) მანვე დაიმორჩილა. კოლხეთის ჩრდილო მთიან ნაწილში კი მრავალი ტომი ცხოვრობდა, რომლებიც ამ დროსაც ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. როდესაც ჩვ. წ. აღ.-მდე მე-2 საუკუნეში ქართლი დასუსტდა, დასავლეთ საქართველოზედაც მისი ძალაუფლება საკრძნობ-

ლად შეირყა. დასავლეთ საქართველოში გავრცელება იწყო მეზობელი პონტოს სამეფოს გავლენამ. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ.-მდე მე-3 საუკუნეში ჩამოყალიბდა შავი ზღვის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების მასლობლად. პონტოს სამეფო დიდ ძალას წარმოადგენდა უკ-ვე ჩვ. წ. აღ.-მდე მე-2 საუკუნის შუა სანებში, ხოლო განსაკუთრებით გაძლიერდა მითრიდატე VI ევპატორის (ჩვ. წ. აღ-მდე 111—63 წწ.) დროს. ამ უკანასკნელის მეფობის დასაწყისშივე კოლხეთი პონტოს სამეფომ დაიმორჩილა. მითრიდატე აქ თავის ნაცვალს აგზავნიდა სოლმე მმართველად. ჩვ. წ. აღ.-მდე 83 წ. კოლხებმა ბოსფორელებთან ერთად (ასე უწოდებდნენ ყირიმში ბერძნული ქალაქების მეთაურობით შექმნილ სახელმწიფოს, რომელიც აგრეთვე მითრიდატეს ჰყავდა დამორჩილებული) აჯანყება მოაწყვეს მითრიდატეს წინააღმდეგ, მაგრამ ამ აჯანყებას წარმატება არ მოჰყოლია.

პონტოს მეფისა და მისი ნაცვლის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე და უმთავრესად ქვეყნის ზღვისპირა დაბლობი რაიონებით შემოიფარგლებოდა. ქართლის სამეფო არგვეთში ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდა თავის პოზიციებს. ჩრდილო კოლხეთის მთიანეთში (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე) მცხოვრებ ტომებზედაც პონტოს გავლენა მეტად სუსტი იყო.

§ 12. რომის დაპყრობითი ომები აღმოსავლეთში

მე-3 საუკუნის დამლევიდან, ძვ. წ., რომი ერევა მსოფლიო პოლიტიკაში, ხოლო მე-2 საუკუნის დასაწყისიდან იგი აზიაშიც იჭრება. მე-2 საუკუნის დამლევისათვის რომაელებს უკვე თავისი სამფლობელო ჰქონიათ მცირე აზიაში. რომის მიერ აქ დამყარებული წესები, დიდძალი გადასახადები, მოხელეების ძალმომრეობა სულს ხდიდა რომის ქვეშევრდომებს და წინააღმდეგობის ცეცხლს აღვივებდა მათში. ამ განწყობილებით ისარგებლა მითრიდატე პონტოელმა, რომელსაც არაფრად ეპიტნავებოდა რომის ასეთი გაძლიერება თავის მახლობლად, და ომი აუტეხა. ომი პონტოელებსა და რომს ხორის ოც წელზე მეტს გაგრძელდა (88—65 წწ., ძვ. წ.). ამ ომში უპირატესობა ჯერ მითრიდატეს მხარეზე იყო და მან

დიდად შეავიწროვა რომაელები, რომელნიც შინაური უთანხმოებითა და ბრძოლით იყვნენ დასუსტებულნი. მაგრამ შემდეგ უკვე ომის ბედი რომის მსარეს გადავიდა. რომაელებმა რიგრიგობით დაამარცხეს მითრიდატე და მისი მოკავშირეები.

პონტოს მეფის მოკავშირეები უკანასკნელ ომში რომაელების წინააღმდეგ იყვნენ არმენიის, ალბანიისა და იბერიის მეფეები. არმენია ანუ სომხეთი, პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, ძვ. წ., ძლიერი სახელმწიფო იყო. იქ მეფობდა ამ დროს ტიგრან მეორე.

66 წ., ძვ. წ., რომაელების ახალმა სარდალმა, პომპეუსმა, სასტიკად დაამარცხა მითრიდატე პონტოელი. მითრიდატემ თავს გაქცევით უშველა, იგი ჯერ კოლხეთში გადაისვენა, სადაც ის ზამთარი ქალაქ დიოსკურიაში გაატარა, სოლო აქედან ჩრდილოეთისაკენ წავიდა ახალი ჯარის შესაგროვებლად.

პომპეუსი ამის შეიღეგ მითრიდატეს მოკავშირეებს მისდგა. ჯერ სომხეთში შეიჭრა და დაიმორჩილა ტიგრანი. შემდეგ რომაელებმა ალბანიისა და იბერიისაკენ გაილაშქრეს. ალპანელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ რომაელებისათვის.

§ 13. რომაელები საქართველოში

ქართლში ამ დროს მეფედ არტაგი იყო. არტაგმა საჭირო წინდახედულება გამოიჩინა: ზავის შესახებ რომაელებთან მოლაპარაკება გამართა, ფარულად კი სამხედრო სამზადისს აწარმოებდა. რომაელებმა არტაგს ხერხი გაუგეს, დაასწრეს და ქართლში შემოიჭრნენ.

არმაზის ციხე რომაელებმა შედარებით ადვილად ჩაიგდეს ხელში, რადგანაც ჩოლოდნელად დაესხნენ თავს. არტაგი მტკვრის გაღმა გავიდა და სიდი დასწვა. შემდეგ არტაგმა კიდევ უფრო შორს გაიწია. რომაელები მას ფეხდაფეს მისდევდნენ სასტიკი ბრძოლით.

ხალხი სამშობლოს აღვილად არ სთმობდა. ქართველი ჯარი თავგამეტებით განაგრძობდა ომს, თუმცა მეფე მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ქართველი მეომრები, ვინც წინა ბრძოლებში გადარჩა, გარშემომდებარე ტყეებში გაი-

ფაწტნენ, მაღალ სეებზე ავიდნენ და იქიდან უშენდნენ რამ-დენიმე დღე რომაელებს ისრებს. რომაელები იძულებული გახდნენ ტყე გაეჩეხათ. ქართველი მებრძოლები დაიღუპნენ, მტერს კი არ დანებდნენ.

რომაელებთან ბრძოლაში ქართველებმა ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეს: ცხრაათასი კაცი მარტო მოკლული იყო.

ბოლოს არტაგი შეურიგდა თავის მარცხს და პომპეუსთან ზავი დასდო. არტაგმა რომაელებს მძევლად თავისი შვილები მისცა, პომპეუსს კი მდიდარი ძღვენი მიართვა: ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროსავე მაგიდა.

ეს ამბავი მოხდა 65 წ. ძვ. წ.

ქართლიდან პომპეუსი თავისი ჯარით კოლხეთში გადავიდა, მითრიდატეს ხელში ჩასაგდებად. კოლხეთში რომაელებს ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, როგორც ქართლში. მითრიდატეს ბატონობამ, ჩანს, ხალხს თავი მოაბეზრა. პომპეუსმა კოლხეთიც რომაელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს მიათვალა.

რომაელებმა კოლხეთში თავისი მმართველი დააყენეს. პომპეუსის ჯარში იყვნენ ისეთი ბერძნებიც, რომელნიც მწერლობას მისდევდნენ. ისინი წერდნენ პომპეუსის ლაშქრობის ისტორიას, თან იმ ქვეყნებსაც ასწერდნენ ხოლმე, სადაც პომპეუსი გაივლიდა. ამ მწერლებმა საქართველოც ასწერეს.

მათი აღწერილობა, უფრო ძველი ბერძენი მწერლების ცნობებთან ერთად, შეჰკრიბა და გამოაქვეყნა განთქმულმა ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.

პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ჩვენ ვიგებთ, თუ როგორი იყო საქართველოს ვითარება პირველი საუკუნის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით.

§ 14. საქართველოს საერთო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამდეგს, ჩვ. წ. აღ-მდე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავისი ბუნებით. დიდი იყო განსხვავება მთასა და ბარს შორის. ხალხი და მისი კულტურა ბარში უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მთაში. ბარში მისვლა-მოსვლა უფრო ადვილი იყო კარგი გზების გამო და ბუნებაც უფრო ემორჩილებოდა ადამიანს. რაც უფრო მაღლა მდებარებოდა მთაში ადამიანთა საცხოვრისი, მით უფრო მკაცრი იყო ბუნება და მით უფრო ძნელი იყო ცალკე სოფლების დაკავშირება ერთმანეთთანაც და ბარის დაწინაურებულ თემებთანაც.

ბარში ხმელეთის გზებს გარდა მისვლა-მოსვლისათვის მდინარეებსაც იყენებდნენ. ნავებით დადიოდნენ რიონზე, ყვირილაზე შორაპანამდე, მტკვარზე, ალაზანზე. ბლომად და კარგად უშენებიათ ჩვენს წინაპრებს ხიდებიც, რომ მიმოსვლა არ შეფერხებულიყო. მარტო მდ. ფასიდზე შორაპანს ზემოთ, სადაც ნავები ვეღარ დადიოდა, 120 ხიდი ყოფილა აგებული. ხიდები იყო მტკვარზე, მაგალითად, მცხეთასთან, სადაც მტკვარი საკმაოდ განიერია, და სხვა მდინარეებზედაც. მთიულები კი ასე ადვილად ვერ მოძრაობდნენ. ვინც ძალიან მაღლა ცხოვრობდა მთაში, როგორც სვანები, ისინი ზამთარში მთლად მოწყვეტილი იყვნენ გარეშე ქვეყანას; ზაფხულობითაც მათ უჭირდათ სწირად ბარში ჩამოსვლა.

ამიტომ ვინც ყველაზე მაღლა ცხოვრობდა, ყველაზე ღარიბიც იყო. სვანები და მათი მეზობლები თავს თურმე უფრო ნადირობითა და მესაქონლეობით ირჩენდნენ. უფრო დაბლა, მთის კალთებზე, მოსახლენი უკვე მიწასაც ხნავდნენ და პურს სთესდნენ, მაგრამ უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და ჯოგებს აშენებდნენ.

სულ სხვა იყო ბარში. აქ მთავარი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას ჰქონდა. კოლხეთი განთქმული იყო თავისი ხილით, სელით, კანაფით, ცვილით (თაფლის სანთელით), ფისით, ხომალდების საშენებელი ხე-ტყით. ასევე იყო ქართლშიაც. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვა პურეული, ძველთაგანვე აშენებდნენ ვაზსა და აყენებდნენ ღვინოს. ბლო-

მად ჰყავდათ შინაური პირუტყვი. იცოდნენ სხვადასხვანაირი ხელოსნობა და საუცხოო ოსტატებიც იყვნენ.

ვაჭრობაც განვითარებული ყოფილა. კავკასიონის ყველაზე მაღალი ადგილების მცხოვრებნიც იძულებულნი იყვნენ ბარში ჩამოსულიყვნენ, მაგალითად, მარილის საყიდლად. თვითონ ბარელები ხომ უფრო მეტს ვაჭრობდნენ. საშინაო ვაჭრობის გარდა, იმდროინდელ საქართველოს საგარეო ვაჭრობაც შორს ჰქონია გაშმული. ინდოეთიდან, კერძოდ, საქონელი მოჰქონდათ კასპიის ზღვამდე, შემდეგ კასპიის ზღვაზე გამოატარებდნენ და მტკვარზე ნავით ამოიტანდნენ ქართლში. აქედან, სადაც უკვე ნაოსნობა აღარ შეიძლებოდა, ხმელეთის გზით გადაჰქონდათ ყვირილას ხეობაში, შორაპნამდე, შორაპნიდან კი ისევ ნავებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე ქალაქ ფასიდში, საიდანაც საქონელი უკვე ზღვით იგზავნებოდა დასავლეთისაკენ.

სტრაბონი ამბობს იმდროინდელ საქართველოზე: „...ეს მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი მოსახლეობა ჰყავდეს. და მართლაც, იბერია მშვენივრადაა დასახლებული მეტწილად ქალაქებითა და დაბებით, ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები".

ასეთი საზოგადოებრივი შენობების ნაშთები აღმოჩენილია არმაზში, — დიდი აბანოს, წყალსადენისა და, იქნებ აგრეთვე, ტაძრის ნანგრევები. სამთავროში კიდევ აღმოჩნდა საფლავის ლოდი წარწერით, რომელშიაც მოხსენიებულია „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქოლი". ეს მცხეთის მთავარი არქიტექტორი უნდა ყოფილიყო. აქვე ნაპოვნია დიდი რაოდენობით სამშენებლო მასალა — კრამიტი, აგური.

იმდროინდელი უმთავრესი ქალაქები იყო: ფასიდი, დიოსკურია, პიტიუნტი და შორაპანი — კოლხეთში, მცხეთა-არმაზი — ქართლში.

§ 15. საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს ჩვ. წ. აღ-მდე

როგორიც იყო მეურნეობა და ცხოვრების წესი, საარსებო სასხრის მოპოვების წესი იმდროინდელ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისეთივე იყო ამ კუთხეში საზოგადოებრივი წყობილება.

მთიელებს უფრო ჩამორჩენილი საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. მთაში ბუნება ძალიან მკაცრი იყო; მიწის დამუშავება იქ ძნელი ხდებოდა, რაკი შრომის იარაღებიც პრიმიტიული იყო. სიმღიდრის დაგროვებაც უჭირდათ. საარსებო სასხრის მოსაპოვებლად სალხს ერთად უნდა ებრძოლა გარემო ბუნების წინააღმდეგ. ამიტომ ერთი გვარისა და თემის შვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად.

სვანებს თუმცა მთავარი ჰყავდათ, მაგრამ ის თავის ნებაზე ვერ მართავდა ხალხს. სალხის სათავეში საბჭო იდგა, 300 კაცისაგან შემდგარი. ეს 300 კაცი ცალკე სვანური გვარებისა თუ თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ ყველას თანასწორი სმა ჰქონდათ საბჭოში. ცალკე გამოყოფილი ჯარი სვანებს არ ჰყავდათ, — როცა სვანებს სამხედრო გასაჭირი დაადგებოდა, მთავარი და საბჭო ქუდზე კაცს დაუძახებდნენ, ყველა ხალისით გადიოდა ბრძოლის ველზე, რადგანაც ყველა საერთო სასალხო საქმისათვის იბრძოდა. ხალხი და ჯარი ერთი იყო. იარაღიც ერთიმოქმის ყველას ერთნაირი ჰქონდა. ისეთივე წყობა ჰქონდათ იმ დროს სხვა ქართველ ტომებსაც, ვინც სვანებსავით მაღლა მთაში ცხოვრობდა.

ბარში საზოგადოებრივი თანასწორობა აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა საზოგადო საკუთრებაც. ან რა ტოლები იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, თავისუფალი და არათავისუფალი ადამიანები, მონათმფლობელები და მონები. სტრაბონი მოგვითხრობს და სხვა ცნობებითაც ვიცით, რომ იმ დროს ქართლში ხალხი ოთხ წოდებად იყოფოდა.

პირველი წოდებიდან მეფეები გამოდიოდნენ. მეფის ამ საგვარეულოს „სეფე“ ეწოდებოდა, მის წევრებს „სეფეწულები“, სოლო მეთაურს „მეფე“. მეფე იყო სახელმწიფოს მეთაური.

მეორე წოდებას ქურუმები შეადგენდნენ, რომლებიც წარმართულ ტაძრებს ემსახურებოდნენ და ამავე დროს მეზობელ ხალხებთან სადავო საქმეებსაც განაგებდნენ. ტაძრებს იმ დროს ქართლში დიდი მამულები და განძები ჰქონდა. მესხეთში, მაგალითად, იყო ლევკოთეას ტაძარი, ისეთი მდიდარი, რომ მეზობელი ქვეყნების მეფეები მას გასაძარცვად თავს ესხმოდნენ ხოლმე.

მესამე წოდებაში თავისუფალი ხალხი შედიოდა, ისინი მიწასაც ამუშავებდნენ და ომშიაც გადიოდნენ, როცა მეფე დაუძახებდა. ამ წოდებას ძველებურად „ერი" ერქვა, მაგრამ ახლა უკვე ამ ერს ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც პირველყოფილი თემური წყობილების დროს.

მეოთხე წოდებაში ვაბიო ხალხი შედიოდა. ისინი სეფე-სახლს ანუ სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ ყმურად. ამ მდაბიო ხალხს მაშინ „გლეხებს" ეძახდნენ. „გლესები" მაშინ მხოლოდ სეფე-სახლს ჰყავდა და ამიტომ ისინი „მესეფე გლესებად" იწოდებოდნენ. იმ ბეგარასაც, რომელსაც გლესები სეფე-სახლს უხდიდნენ, „სეფობა" ერქვა. მესეფე გლეხები მიწის მუშა სოფლელები იყვნენ, პირად თავისუფლებას მოკლებულნი.

იყვნენ მაშინ საქართველოში მონებიც, მაგრამ მონებს საზოგადოების წევრებად არ სთვლიდნენ, მონები ჰყავდათ მეფის საგვარეულოს, სხვა მდიდარ ხალხსაც. მონებს სხვადასხვა საქმეზე ამუშავებდნენ, საშენებელ ქვას ათლევინებდნენ, თიხას აზელინებდნენ, მადანს ათხრევინებდნენ.

ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილებას ჩვენ უფრო კარგად ვიცნობთ ქართლის სამეფოს მაგალითზე. ამ ორი ათასი წლის წინათ ქართლის სამეფო ძლიერი სახელმწიფო იყო. მთელი ქვეყნის პატრონ-პატრონად მეფე ითვლებოდა. მეფის წოდებულება ასეთი იყო: „ქართველთა მეფე, დიდი მეფე". მეფეს ბევრი მოხელე ჰყავდა, რომელთა საშუალებითაც იგი ქვეყანას მართავდა. „ქართველთა მეფის" უფროსი მოხელეები იყვნენ დიდი და მცირე ერისთავები, ეზოსმოძღვარი და სხვები.

§ 16. ქართლის სამეფოს გაძლიერება ჩვ. წ. აღ-ით 1 –ელ-2 საუკუნეებში

აღმოსავლეთ საქარიველოში ფეხის ისე მტკიცედ მოკიდება, როგორც დასავლეთ საქართველოში, რომაელებმა ვერ შეძლეს. ეს ქვეყანა მათი ცენტრებიდან უფრო შორს იმყოფებოდა და თავისი მდებარეობის გამო (მთებით იყო შემოზღუდული) ძნელად დასამორჩილებელი იყო. ამიტომაც ისინი მალე იძულებული შეიქნენ ქართლის სამეფოს მოკავშირეობაც კი ეძიათ. რომისათვის ქართლის სამეფოს მოკავშირეობა მეტად საჭირო იყო. კეთილგანწყობილი ქართლი, რომლის ხელშიც იყო კავკასიონის გადმოსასვლელები, დაიცავდა რომის სამფლობელოებს ჩრდილოეთის მომთაბარეთა შემოსევებისაგან. მეორე მხრივ, რამდენადაც ამ დროს ძალზე გამწვავდა ურთიერთობა რომსა და პართიას შორის, ამ ბრძოლაშიც ქართლის მოკავშირეობა რომისათვის უაღრესად სასარგებლო იქნებოდა.

რომს სურდა ქართლი გამოეყენებინა პართიასთან სომხეთისათვის წარმოებულ ბრძოლაში, ხოლო ქართლი კი ამ გზით სომხეთის დაუფლებას ცდილობდა.

ჩვ. წ აღ.-ით 30—60-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან I. რომაელთა დასტურით იგი შეიჭრა სომხეთში. მას თან ახლდა ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილი სარმატებისა და მეზობელი ალბანელების დამხმარე ლაშქარი. ბრძოლაში პართიის ლაშქართან, რომელსაც პართიის მეფის ძე ოროდი სარდლობდა, ფარსმანის ლაშქარმა გაიმარჯვა. ფარსმანმა თვითონ დაჭრა მოწინააღმდეგის სარდალი ოროდი. სომხეთში ფარსმანმა თავისი ძმა მითრიდატე გაამეფა. უკანასკნელმა ერთხანს დაკარგა სომხეთი, მაგრამ კვლავ დაიბრუნა იგი. შემდეგ, ჩანს, მითრიდატემ ფარსმანს ურჩობა დაუწყო, რის გამოც უკანასკნელმა მის წინააღმდეგ დიდი ლაშქრით თავისი ვაჟი რადამისტი გაგზავნა, რომელმაც ტასტი წაართვა ბიძას და თვითონ გამეფდა სომხეთში. მაგრამ მალე რადამისტი სომხეთიდან გაიძევეს. ჩანს, საქმე ეხებოდა ქართლისა და სომხეთის გაერთიანებას ერთი ხელისუფლების ქვეშ. ასეთი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა კი არაფრად მოეწონებოდათ რომაელებსაც. ამიტომაც მათ ახლა უკვე რა-

დამისტისა და ფარსმანის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება. ფარსმანი იძულებული გახდა თავი დაენებებინა სომხეთის დაუფლების ცდებისათვის.

ჩვ. წ. აღ-ით I ს. 70-იან წლებში ქართლის ტახტი ფარსმანის ვაჟმა მითრიდატემ დაიკავა. რომაელები ცდილობენ მეგობრული ურთიერთობა იქონიონ მასთან. მცხეთაში ისინი გალავანს უმაგრებენ, როგორც აქ მათ მიერ ამოკვეთილ წარწერაშია ნათქვამი, „იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და (დედოფალ) ჰამაზასპუჰის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს". ეს მითრიდატეც არ აკლებდა თავისი სამეფოს საზღვრების სამხრეთისაკენ გაფართოების ცდას. ერთი მისი მოსელის, პიტიახშ შარაგასის, წარწერაში მოთხრობილია სომხეთში მოპოვებულ გამარჯვებათა ამბავი. მითრიდატეს დროს უნდა მომხდარიყო იბერიელების დიდი ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიელ ალანებთან ერთად სომხეთში. ალანებმა, რომელთა შთამომავლები დღევანდელი ოსები არიან, ჩვ. წ. აღ-ით I საუკუნის შუა ხანებში ჩრდილო კავკასიაში დიდი გაერთიანება შექმნეს. ამ გაერთიანებაში საკუთრივ ალანებს გარდა მონაწილეობდა კავკასიის ბევრი სხვა ტომი. ქართლის ხელისუფალთ გადმოუყვანიათ ოსები და სხვა ჩრდილოკავკასიელი ტომები (ჯიქები, დურძუკნი, ლეკები, დიდონი) და სომხეთზე ულაშქრიათ. ეს დიდი ლაშქრობა ჩვ. წ. აღ-ით I საუკუნის 70-იან წლებში მომხდარა.

აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა ქართლი აგრეთვე ჩვ. წ. აღ-ით მე-2 საუკუნის 30—50-იან წლებში, ფარსმან II-ის მეფობის ხანაში. ფარსმანს გადმოუყვანია ალანები და მიუსევია როგორც პართიისათვის, ისე რომის სამფლობელოებისათვის. რომის კეისრის ადრიანეს (ჩვ. წ. აღ-ით 117—138 წწ.) მოთხოვნაზე, გამოცხადებულიყო მასთან — ფარსმანს უარი განუცხადებია. რომაელები იძულებული გამხდარან ისევ საჩუქრებით ეცადათ ქართლის მმართველების კეთილგანწყობილების მოპოვება. ადრიანეს ფარსმანისათვის სამხედრო რაზმი და სპილო გამოუგზავნია ძღვნად.

ქართლის სამეფო ამ დროს დიდად იფართოებს საზღვრებს. სამხრეთის მიწები, ერთ დროს ჩამორთმეული სომეხთა სამეფოების მიერ, ახლა კვლავ მის ფარგლებშია მოქცე-

ული. სამხრეთ საქარიველოში, ჭოროხის შესართავის მიდამოებში, იგი შავი ზღვის პირას გადის — აქ მცხოვრები ძიძრიტების ტომი ფარსმანს ემორჩილებოდა. ასევე ქართლის სამეფოში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ქართლს ეკვროდა. აქ იყო ამ სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოლქი — არგვეთის საერისთავო, რომელსაც მეფის მოხელე ერისთავი განაგებდა. ქართლის სამეფოს გავლენის სფეროში იყო ამ დროს მოქცეული მეზობელი ალბანეთის გარკვეული ნაწილი. მდ. ალაზნის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი ახლა ქართლის ორგანული შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ როცა ამ ადგილების ფლობას ადრე მას სომხეთი ეცილებოდა.

ადრიანეს მემკვიდრის, რომის იმპერატორის ანტონინეს (ჩვ. წ. აღ-ით 138—161 წწ.) დროს ფარსმან მეფე რომს სწვევია თავისი მეუღლით, ვაჟიშვილითა და წარჩინებულთა ამალით. იმპერატორს იგი დიდი პატივით მიუღია, თვით დასწრებია ქართლის მეფის, მისი ვაჟისა და სხვა ქართველი წარჩინებულების სამხედრო ვარჯიშობას და მოხიბლულა ამ სანახაობით. იმპერატორის ბრძანებით რომში აღუმართავთ ფარსმან მეფის ქანდაკება. აქ ფარსმანი ცხენზე მჯდომი ყოფილა გამოსახული. იმპერატორს „განუდიდებია მისი სამფლობელო“, ე. ი. უცვლია სამეფოს შორს გაწეული საზღვრები.

§ 17. კულტურული ვითარება ძველ საქართველოში

ქართლის სამეფოს პოლიტიკურმა ძლიერებამ, მისი გავლენის გავრცელებამ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის დაახლოებას. ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის შეკავშირება-შედუღება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ პროცესს ადგილი ჰქონდა როგორც ენის მხრივ, ისე სულიერი თუ მატერიალური კულტურის დარგში.

ამ ეპოქის მატერიალური კულტურა კანონიერი მემკვიდრეა წინა პერიოდის კულტურისა და ადგილობრივ ნიადაგზეა ჩამოყალიბებულ-განვითარებული, თუმცა მასში გარკვე-

ულად შეინიშნება ბერძნულ-რომაული სამყაროდან მომდინარე ნაკადიც, რომელიც ძირითადად საზოგადოების ზედა ფენებში ინენს თავს.

ხუროთმოძღვრება. ამდროინდელი ხუროთმოძღვრების ძეგლები ყურადღებას იქცევენ თავისი გრანდიოზულობითა და დახვეწილი ფორმებით. მშენებლობას გამოცდილი ოსტატები ხელმძღვანელობდნენ. მცხეთაში, მაგალითად, ყოფილა სპეციალური თანამდებობა „ხუროთმოძღვრისა და მხატვართა უხუცესისა“; ერთი ასეთი პირის, აქოლის, საფლავის წარწერამ ჩვენამდე მოაღწია.

ხუროთმოძღვრების ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთაგან ყველაზე გრანდიოზულია არმაზციხე — სამეფო რეზიდენცია — ციტადელი. მისი შენება ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე მე-3 საუკუნიდან დაწყებულა. ძლიერი გალავნის შიგნით აგებული იყო სასახლის ტიპის მრავალი შესანიშნავი ნაგებობა. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს „სვეტებიანი დარბაზი“, რომლის კედლებიც დიდრონი, ლამაზად თლილი ქვითაა აგებული, ხოლო შუაში სვეტების მთელი წყება მდგარა.

ამავე ტიპის ნაგებობები გამოვლინდა მცხეთისავე რაიონში, სოფელ წიწამურთან. აქ იყო დედაქალაქის მეორე დიდი ციხე-სიმაგრე, რომელსაც ადგილობრივ „ზადენციხეს“, ხოლო უცხოელი მწერლები სევსამორას უწოდებდნენ. ასეთივე ციხე-ქალაქი ყოფილა იმ დროს გორის ციხის ადგილას და სხვ. უფლისციხის კლდეში გამოკვეთილი დარბაზების დიდი ნაწილიც ამ დროისა უნდა იყოს. აქვე უკანასკნელ დროს არქეოლოგებმა გამოავლინეს ამ დროის გალავნის ნაშთებიც. დასავლეთ საქართველოში ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლთაგან აღსანიშნავია ვანის ძეგლები, აგრეთვე ნოქალაქევში გათხრილი ნაგებობები, სადაც, ცოტა უფრო გვიან, ლაზიკის სამეფოს მმართველთა რეზიდენცია იყო.

სასახლის ტიპის ნაგებობის ნაშთები გამოვლინდა არმაზისხევთან (მცხეთის მახლობლად). აქ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ქვის მოჩუქურთმებული სვეტისთავი და სასახლის ზოგი სხვა დეტალი. ამ ადგილას ქართლის მეფეთა დიდმოხელეების — ერისთავების ანუ პიტიახშების რეზიდენცია ყოფილა. აქ გაითხარა იმ დროის შესანიშნავი აბანოც,

რომელიც დიდმოსელეთა ამავე საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ოქრომჭედლობა და ხელოსნობის სხვა დარგები. ნამდვილ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს წარმოადგენს აგრეთვე მცხეთის მიდამოებში (ბაგინეთსა და მცხეთის რკინიგზის სადგურთან) გათხრილი მავზოლეუმები — აკლდამები, რომლებშიც სამეფო საგვარეულოს წევრები იყვნენ დამარხულნი. არმაზისხევთან გაითხარა ერისთავების საგვარეულო სასაფლაო. აქ მიცვალებულები დიდი თლილი ქვებისაგან აგებულ ქვაყუთებში ყოფილან ჩასვენებული. როდესაც ზოგიერთ ასეთ ქვაყუთს დიდი ქვის ფილის სახურავი ასადეს, მაყურებელთა თვალწინ ზღაპრული სიმდიდრე გადაიშალა: მიცვალებულებისათვის ჩაუტანებიათ ლალ-ფირუზით და აგრეთვე სხვა ფერადი თვლებით დამშვენებული ოქროს სამკაულები — ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ყელსაკიდები, მძივები, დიადემები (საშუბლე გვირგვინები) და სხვ. მარტო რამდენიმე ასეთმა სამარხმა, რომელიც აქ გაითხარა, უამრავი ოქროული და ვერცხლეული მოგვცა. აქ ნაპოვნი ბევრი ნივთი ფაქიზი გემოვნებითაა შესრულებული და ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

მაგრამ, არა მარტო ოქრო-ვერცხლის ნივთები იქცევენ ამ დროის მატერიალურ კულტურაში ჩვენს ყურადღებას; ოქრომჭედლობასთან ერთად ხელოსნობის ბევრი სხვა დარგი ჩანს აქ განვითარებული: კრამიტი, სხვა კერამიკული ნაწარმი, ლითონის იარაღები თუ საყოფაცხოვრებო ნივთები და ქანდაკებები, მინის ჭურჭელი — ყველაფერი იმ დროის კვალობაზე მათი შემქმნელების მაღალ ოსტატობასა და საერთოდ ქართლის სამეფოს მოსახლეობის კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს.

დამწერლობა. ქარ[illegible]ლის სამეფოში ამ დროს ფართოდ იყენებდნენ დამწერლობას. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია წარწერებმა მხოლოდ მაგარ მასალაზე (ქვაზე, ლითონზე). ესაა ჩვეულებრივ მოკლე წარწერები, რომლებიც შესრულებულია ბერძნულ, არამეულ და ებრაულ ენებზე. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ სამყაროში ბერძნული და არამეული დამწერლობა. ქართლის სამეფოშიც უმთავრესად დამწერლობის ამ სისტემებს იყენებდ-

ნენ. ზოგჯერ წარწერას ამ ორივე დამწერლობით აკეთებდნენ. არმაზისხევთან, ჰაგალითად, იპოვეს ჩვ. წ. აღ.-ით მე-2 საუკუნის ერთი ასეთი ორენოვანი (ბერძნულ-არამეული) წარწერა (ბილინგვა), რომელიც ამოკვეთილია ერთ-ერთი ერისთავის (პიტიახშის) ასულის საფლავის ქვაზე. წარწერაში ნათქვამია, რომ სერაფიტი, ფარსმან მეფის პიტიახშის ზევახის ასული და მეუღლე ფარსმანის მემკვიდრე ქსეფარნუგ მეფის „ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელ ეზოსმოძღვრის“ იოდმაწგანისა, გარდაცვლილა 21 წლისა — „ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით“.

საკუთრივ ქართული დამწერლობა გარკვეულ სიასლოვეს ამჟღავნებს არამეული დამწერლობის ქართლში გამოყენებულ სასეობასთან. ამასთან, ძველი ქართული ანბანის ზოგი ასო უფრო არქაული მოხაზულობისაა, ვიდრე არმაზში ნაპოვნი არამეული ასოები. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ქართული დამწერლობა ძალიან ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ მისი ინტენსიური გამოყენება უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელების ხანას. ქრისტიანული ეკლესიის ღვთისმსახურებას განსაკუთრებით ესაჭიროებოდა, რომ ადგილობრივ ენაზე ყოფილიყო მწერლობა. ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარიღიანი ქართული წარწერა ჩვ. წ. აღ-ით 492—493 წწ. არის ამოჭრილი ბოლნისის ტაძრის ერთ-ერთ სამშენებლო ქვაზე. იგი შესრულებულია ქართული დამწერლობის უძველესი სახეობით, ე. წ. ასომთავრულით. კიდევ უფრო ადრეულ ხანაში უნდა იყოს შედგენილი ზოგიერთი იმ ძველ ქართულ წარწერათაგანი, რომლებიც აღმოჩნდა იტალიელი არქეოლოგების მიერ ამ ცოტა ხნის წინ პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად გათხრილ ქართულ მონასტრის ნანგრევებში. მონასტრის იატაკი შესანიშნავი მოზაიკით ყოფილა მოჭედილი. სწორედ ამ მოზაიკით მოჭედილ იატაკზე აღმოჩნდა რამდენიმე ქართული წარწერა, რომლებშიც არა-ერთი ქართველი მოღვაწეა მოხსენიებული, მათ შორის პეტრე იბერი — ცნობილი ფილოსოფოსი და ქართველი მოღვაწე აღმოსავლეთში. წარწერაში იგი „მარუანის“ („მურვანოსის“) სახელით არის მოხსენიებული, რომელსაც ის ახალგაზრდობაში ატარებდა. ქართული

მონასტერი ბეთლემის პატრლობლად პეტრე იბერს V საუკუნის ოცდაათიან წლებში აუშენებია და წარწერები, სადაც იგი და მისი წინაპრები იხსენიებიან, ამავე ხანისა უნდა იყოს, ე. ი. ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებს ბოლნისის ქართულ წარწერას. პალესტინის ეს უძველესი ქართული წარწერებიც ქართული დამწერლობის უძველესი სახეობით — ასომთავრულით — არის შესრულებული. ჩვ. წ. აღ.-ით მე-7—მე-8 საუკუნეებიდან საქართველოში ძველი ქართული დამწერლობის ახალი სახეობა — ნუსხური მკვიდრდება, ხოლო შემდეგ თანდათან გაბატონდა ქართული დამწერლობის თანამედროვე სახე — ე. წ. მხედრული. ამრიგად, ქართულ დამწერლობას განვითარების გრძელი გზა აქვს გამოვლილი.

რელიგიური წარმოდგენები. ღვთაებათა ძველი ქართული წარმართული პანთეონი. საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობა ბუნების ძალებს აღმერთებდა: მრავალღმერთიანობა კვლავ რჩებოდა, ამასთან ჯერ კიდევ განვლილი არ იყო განვითარების ის საფეხური, როდესაც ყოველ კუთხეს თავისი ადგილობრივი ძფარველი ღვთაება ჰყავდა. მაგრამ ქვეყნის გაერთიანებამ გამოიწვია ოფიციალური სახელმწიფო რელიგიისა და ღვთაებათა საერთო-სამეფო პანთეონის ჩამოყალიბება. პანთეონის სათავეში იდგა მთვარის ღვთაება. მას აქ არმაზს უწოდებდნენ. სამეფო რეზიდენციაც მისი სახელის მიხედვით არმაზციხედ იწოდებოდა. არმაზციხის უმაღლეს ადგილას, მწვერვალზე, იდგარა არმაზის ქანდაკება — იგი ბრინჯაოსაგან ყოფილა ჩამოსხმული. ხელში ხმალი სჭერია და თვალები ზურმუხტისა ჰქონია. აქ, კერპის წინაშე დიდი რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა. მტკვარგაღმა მცხოვრები მცსეთელებიც თურმე ყოველდღე, მზის ამოსვლისას, თავიანთი სახლების ბანებზე დაიჩოქებდნენ და თაყვანს სცემდნენ არმაზის კერპს. აქვე იმართებოდა დიდი ბაზრობები, სადაც სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან მოედინებოდა ხალხი. მთვარის ღვთაება არმაზი ომის, ომიანობის ღვთაებად ითვლებოდა. მისი კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართლის სამეფოში. როდესაც შემდგომ ქრისტიანობა გაბატონდა, ხალხმა არმაზის თავყვანისცემის ბევრი მომენტი წმიდა გიორგის თაყვანისცემაზე გადაიტანა. ჩვენში ძველად გავრცელებული გიორგობის დღესასწაულები (თა-

ვისი ღამის თევითა და ბევრი საკულტო რიტუალით, მაგალითად, ქვაბაგად დაცემის ჩვეულებითა და სხვ.) ძალზე მიაგავს იმ დღესასწაულებს, რომელთაც მართავდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები მთვარის ღვთაება არმაზის პატივსაცემად.

ძალიან გავრცელებული იყო საქართველოს იმდროინდელ მოსახლეობაში მზის კულტიც. თუ მთვარე და მისი განმასახიერებელი ღვთაება არმაზი მამაკაცად, მამაღმერთად იყო მიჩნეული, მზე ქალად, ქალღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი. მისი ტაძრები საქართველოს არაერთ ადგილას ყოფილა, მაგალითად, სამხრეთ საქართველოში — მესხების მიწა-წყალზე ან კიდევ ზღვის პირას — ფაზისში (დღევანდელ ფოთში).

ძალიან გავრცელებული ყოფილა ნაყოფიერების იდეის გამომხატველ ღვთაებათა კულტიც. ერთი ასეთი ღვთაებათაგანი, და მასთან, ერთ-ერთი უმთავრესი ღმერთი იყო ზადენი, რომლის კერპიც აღმართული ყრფილა ზადენ მთაზე (დღევანდელი ზედაზნის მთას მიდამოებში).

ძველ ქართულ სარწმუნოებაში კიდევ ბევრი სხვა ღვთაების თაყვანისცემას ვხვდებით. თაყვანსა სცემდნენ, მაგალითად, ღვთაება კვირიას, ტაროსის (ამინდის, ქარიშხლის) ღმერთს ვობის, მოსავლის ღმერთს არალეს, ქალღმერთ ნანას, მიწის ღმერთს, ცის ღმერთს და ა. შ.

პანთეონში ღვთაებათა მკაცრად დადგენილი უფროს-უმცროსობა არსებობდა — უმაღლეს ღვთაებებს მოსდევდნენ მეორე რიგის ღვთაებები, კეთილი თუ ავი სულები. ღვთაებებს თავისი ღვთაებრივი ამალაც ჰყავდათ და ა. შ.

§ 18. დასავლეთ საქართველო ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში. ლაზიკის სამეფოს გაძლიერება

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში უფრო არამყარი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ისე მტკიცედ შეენახა თავი, როგორც ეს ქართლის სამეფომ შეძლო აღმოსავლეთში. აქ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯერ პონტოს სამეფო გაბატონდა, შემდეგ კი რომი, დასავლეთ საქართვე-

ლის ერთი ნაწილი კი, რომელიც ქართლის სამეფოს ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრებოდა (არგვეთი და სხვ.), ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო უშეტესწილად მოქცეული.

ძველი კოლხეთის მოსახლეობიდან უფრო დაწინაურებული იყო მისი ცენტრალური ნაწილის — თანამედროვე დასავლეთ საქართველოს პარის მოსახლეობა. კოლხეთის სამხრეთ მთიანეთის (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის) და კოლხეთის ჩრდილო მთიანი ნაწილის მოსახლეობა უფრო ჩამორჩენილი იყო, ჯერ ისევ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა.

ყველაზე უფრო მტკიცედ პონტომ და შემდეგ რომმა სამხრეთ კოლხეთის დამორჩილება შეძლეს. ამ რაიონის დაბლობ ადგილებში, ზღვისპირა ზოლში, მცხოვრები ქართველი ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი შეერია ბერძნულ ელემენტს და ასე, თანდათან ნარევი წარმოშობის მოსახლეობა ჩამოყალიბდა. ღამოუკიდებლობა და საკუთარი ტომობრიობა მტკიცედ დაიცვა აქ მცხოვრები ქართველი ტომების იმ ნაწილმა, რომელიც მთიანეთში (პონტოს ქედზე) ცხოვრობდა. მათ ჭანებს უწოდებდნენ. პონტოს დაცემის შემდეგ (ჩვ. წ. აღ.-მდე I საუკუნის შუა ხანებში) საერთოდ კოლხეთის მიწა-წყალზე არამყარი მდგომარეობა შეიქმნა. რომაელებმა, მართალია, ზღვისპირა ქალაქებში (ტრაპეზუნტი, აფსარი ჭოროხის შესართავთან, ფაზისი, დიოსკურია) თავიანთი გარნიზონები ჩაყენეს, მაგრამ ქვეყნის შიდა ნაწილზე ეფექტური კონტროლის გაწევის ძალა მათ ნაკლებად შესწევდათ. მთიანეთის მცხოვრები ჭანები არამცთუ ემორჩილებოდნენ რომაელებს, სარკს არ უხდიდნენ და ა. შ., არამედ მათ ტომთა დიდი კავშირი შექმნეს და სისტემატურად ესხმოდნენ თავს რომაელთა სამფლობელოებს მცირე აზიაში. ამავე ხანებში ჭანები დაბლობ ადგილებში ჩამოსასლებასაც იწყებენ.

მთიელ ტომთა მოძალებას განიცდიდა არა მარტო სამხრეთ კოლხეთი, არამედ მისი ცენტრალური და ჩრდილო ნაწილიც. მთიელთა ჩამოსახლების შედეგად მოსახლეობა აქაც საგრძნობლად შეიცვალა. დასავლეთ საქართველოს ბარშიც მთიელთა დიდი ტალღა ჩამოსასლდა და იმავე

წარმოშობის ძველისძველ მოსასლეობას შეერია. აქ, მდ. ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალზე ჩვ. წ. აღ.-ით 1—მე-2 საუკუნეებში საკმაოდ დიდი გაერთიანება ჩამოყალიბდა, რომელსაც რომაელები ლაზების სამეფოს ანუ ლაზიკეს, ხოლო ქართლის სამეფოს მოსასლეობა ეგრთა (მეგრელების) ქვეყანას ანუ ეგრისს უწოდებდა. ლაზიკის სამეფო ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ მიიჩნევდა თავს. მთიანეთის მოსასლეობის დიდ ნაკადის შესვლით მასში ძველი, პირველყოფილი თემური წყობილების ელემენტები კიდევ უფრო ძლიერი გასდა. კერძოდ, აქ რიგითს თავისუფალთ კვლავ მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას პრაქტიკაში იყო მეთემეთა თუ მათი წარმომადგენლების კრების მოწვევაც.

ლაზიკის სამხრეთით, მდ. ჭოროხის შესართავის მიდამოებში მცხოვრები მოსასლეობა ჩვ. წ. აღ.-ით მე-2 საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოს ემორჩილებოდა. მათ სამხრეთით, ზღვისპირას, დღევანდელ ათინას რაიონში, ამ დროს ჭანური გაერთიანება არსებობდა. ლაზიკის სამეფოს ჩრდილოეთით, დღევანდელ აჭარაზეთსა და მის მეზობელ ადგილებში, ამ დროისათვის რამდენიმე დიდი გაერთიანება ჩამოყალიბდა; უშუალოდ ლაზების ჩრდილოეთით აფშილების გაერთიანება იყო, ხოლო მათ ზემოთ კიდევ აბაზგებისა და სანიგებისა. ჩრდილო კოლხეთში ამ დროს ძირითადად აფხაზური და სვანური ტოები ცხოვრობდნენ, ჩრდილო კოლხეთის მოსასლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა, რომლის რღვევის პროცესი უკვე ძალიან შორს იყო წასული. საზოგადოების ძირითად მასას ეყოფოდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ზედაფენა. ზემოჩამოთვლილი გაერთიანებების სათავეში ადგილობრივი წარმოშობის ბელადები იდგნენ, თუმცა მათ რომაელები ამტკიცებდნენ. ეს მორჩილება მხოლოდ სიმბოლური სასიათისა იყო. აქაური მოსასლეობა რომაელებს ჩვ. წ. აღ.-ით მე-2—მე-3 სს-დან არც სარკს უხდიდა და არც სხვა რამ ვალდებულებას ასრულებდა.

ასეთივე უნდა ყოფილიყო ამ დროს რომაელთა მიმართ კოლხეთის ყველაზე ძლიერი ერთეულის — ლაზიკის სამე-

ფოს დამოკიდებულებაც. მისი მმართველებიც ცნობდნენ რომაელთა ძალაუფლებას. მათაც ტასტზე რომის იმპერატორი ამტკიცებდა, მაგრამ ისინი არც ხარკს ისდიდნენ და არც ჯარი გამოჰყავდათ რომის ხელისუფალთათვის. ერთადერთი, რაც მათ მოეთხოვებოდათ, ეს იყო ჩრდილოეთიდან გადმომავალი გზების დაცვა, რომ იქაური მომთაბარეები კავკასიონის გზით და კოლხეთის გავლით სამხრეთში არ შეჭრილიყვნენ და რომაელთა სამფლობელოები არ დაერბიათ. ჩვ. წ. აღ.-ით მე-3—მე-4 საუკუნეებში მაინც, როცა რომი საკმაოდ დასუსტდა, იგი ლაზიკის ასეთი მოკავშირეობით სავსებით კმაყოფილდებოდა.

ლაზიკის მმართველები ამას საკუთარი მიზნისათვის იყენებდნენ. მათ თანდათან მოახერხეს ჩრდილო კოლხეთის მთიანეთის მოსახლეობის (აფშილების, აბაზგების, სვანთა ტომების) დამორჩილება. ამათგან სვანების დამორჩილება ლაზებმა ძვ. წ. აღ.-ით მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში შეძლეს. სვანთა მთავარს, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის პირი იყო, ამიერიდან ლაზების მეფე ამტკიცებდა და მთავრის ნიშნებს უგზავნიდა. სვანები, ამასთანავე, ლაზებს ხარკის სახით უგზავნიდნენ თაფლს, ტყავს და სხვ. ასეთივე დამოკიდებულებაში მოექცა ლაზების მეფეთა მიმართ აგრეთვე ჩრდილო კოლხეთის დანარჩენი მოსახლეობაც.

§ 19. ქართლის სამეფო მე-3—მე-4 საუკუნეებში. ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრება ქართლში

III საუკუნიდან ქართლის სამეფოს საგარეო მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა მეზობელი ირანის გაძლიერების გამო. 224 წ. ირანში დაემხო პართიის სამეფო, რომელსაც სათავეში ედგა არშაკუნიანთა საკმაოდ სუსტი დინასტია: იგი ახალმა, სასანიანთა, დინასტიამ შეცვალა.

სასანიანთ ირანი პართიის სამეფოსთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერი სახელმწიფო იყო. სასანიანებმა სახელმწიფო რელიგიად აქციეს უძველესი ირანული სარწმუნოება, ზოროასტრიზმი, რომელიც საბოლოოდ სწორედ მათ დროს ჩამოყალიბდა. ეს რელიგია ცნობილია აგრეთვე მაზდეანობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის სახელით. სასანიანები

დაბორჩილებულ ქვეყნებში ამ რელიგიის ძალით დანერგვის გზას დაადგენენ.

უკვე პირველმა სასანიანმა მეფეებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს რომთან, რომელიც ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაიმართა მათ შორის სომხეთის გამო. ასეთ პირობებში სპარსეთის ხელისუფალთ ქართლზე ენერგიული შეტევისათვის ჯერჯერობით არ ეცალათ. ქაროლის მმართველებიც ამჯერად უფრო ძლიერი მხარისათვის მხარდაჭერის გზით ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების განმტკიცებას. სასანიანი შაბურ I-ის თანამედროვე ქართლის მეფე ამაზასპი, მაგალითად, სპარსულ ორიენტაციას დაადგა. შაბურმა მრავალჯერ დაამარცხა რომაელები, მაგრამ მე-3 საუკუნის დასასრულს რომაელებმა, თავის მხრივ, რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხეს სპარსეთი და 298 წ. ნიზიბინში დადებული ხელშეკრულებით აიძულეს იგი ქართლი და სომხეთი რომის გავლენის სფეროდ ეცნო.

ეს იყო ხანა, როდესაც რომის იმპერიის ცენტრი თანდათან აღმოსავლეთისაკენ იცვლებოდა. დასავლეთში რომი მონათა აჯანყებების თუ გერმანელი ტომების მოძალების გამო სულს ღაფავდა. აღმოსავლეთში კი მისი პოზიციები უფრო მტკიცე ჩანდა. ამისდაკვალად რომის მმართველმა წრეებმა იმპერიის დედაქალაქიც კი შეცვალეს — რომიდან სამეფო რეზიდენცია ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონში გადმოიტანეს. ეს მოხდა 330 წ. იმპერატორ კონსტანტინეს დროს, რომლის სახელის მიხედვით ამ ქალაქს კონსტანტინოპოლი ეწოდა (დღევანდელი ქალაქი სტამბოლი თურქეთში). ასე მიეცა საწყისი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას", ანუ როგორც მას შემდეგ უწოდებდნენ (დედაქალაქის — ძველი ბიზანტიონის სახელის მიხედვით) — ბიზანტიას.

ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა აგრეთვე რომის მმართველთა რელიგიურ პოლიტიკაში. ამაზე დიდი ხნით ადრე რომის იმპერიის ვრცელ მიწა-წყალზე ფართოდ გავრცელდა ახალი რელიგიური მოძღვრება — ქრისტიანობა. რომში გაბატონებული პოლითეისტური სისტემისაგან (მრავალღმერთიანობისაგან) განსხვავებით ქრისტიანობა მონოთეისტური რელიგია იყო; იგი ერთ ღმერთს აღიარებდა. პირველ ხანებში ქრისტიანობა გამოდიოდა ღარიბ-ღატაკთა და

შეიწროებულთა მფარველ რელიგიად და მას მომხრეები შედარებით უფრო დაბალ ფენებში ჰყავდა. რომის მმართველი წრეები სდევნიდნენ ქრისტიანებს. რომის მეტოქე ირანი კი, რომელიც თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მფარველობას უწევდა მათ. თანდათან ქრისტიანებმა რომის იმპერიაში მტკიცე ორგანიზაცია შექმნეს, რომელიც მასებზე გავლენას ახდენდა. ამის გარდა, ქრისტიანობა მრავალმხრივ სასურველი ჩანდა რომის იმპერატორებისათვის: ქველმოქმედებისა და საიქიოში განცხრომის მოპოვების იმედი იზიდავდა ღატაკთა მასებს, ხოლო მორჩილებისა და ქედის მოდრეკის ქადაგება მას მმართველი წრეებისთვისაც მისაღებს ხდიდა. ამიტომაც, რომის ხელისუფლებამ ქრისტიანული რელიგიისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა: იმპერატორმა კონსტანტინემ (306—337 წწ.) ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლება გამოაცხადა და ქრისტიანობის მფარველობის გზას დაადგა. მალე ქრისტიანობა აქ სახელმწიფო რელიგიადაც იქცა და ქრისტიანული ეკლესია სწრაფად დიდი ძალაც გახდა.

მას შემდეგ, რაც რომის ხელისუფლება ქრისტიანობის დევნიდან მის მფარველობაზე გადავიდა, მისმა მეტოქე ირანმა მკვეთრად შეცვალა ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება, მფარველობის ნაცვლად მან მათი სასტიკი დევნა-შევიწროება დაიწყო.

ამიერიდან იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ირანისა და რომის (ბიზანტიის) მეტოქეობის ობიექტს წარმოადგენდნენ, ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ორიენტაციის საგანი გახდა.

მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, შაბურ II-ის მეფობის სანაში, სასანიანთა ირანმა ახალი ენერგიული შემოტევა დაიწყო. სომხეთმა და მისმა მეზობელმა ქართლის სამეფომ სწორად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა. აშკარა იყო, რომ სასანიანთა ირანი მათთვის ბევრად უფრო საშიშ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე რომი, ამიტომაც სომხეთი და ქართლის სამეფო გადაჭრით რომის (ბიზანტიის) ორიენტაციას დაადგნენ და ირანს დაუპირისპირდნენ. ამ ორიენტაციის ერთ ერთი გამოხატულება იყო მათ მიერ სახელმწიფო რელიგიად მიღება ქრისტიანობისა, რომელსაც რომის მმართველები

მფარველობას უწევდნენ. ეს რომთან დაახლოებისა და ირანის წინააღმდეგ მასთან მტკიცე კავშირის უცილობელი გამოხატულება იყო. სომხეთშიც და ქართლშიც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს სულ მალე იმის შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა რომში. ქართლში ეს 337 წელს მოხდა.

რა თქმა უნდა, გარდა ამგვარი საგარეო ორიენტაციისა, ქართლის მმართველებს ქრისტიანობის მიღებისას სხვა, შინაგანი მიზეზებიც ამოძრავებდათ. ამ გზით მათ სურდათ ლახვარი ჩაეცათ ქართლის ტაძრებისა და ქურუმთა გაბატონებული წრის ძლიერებისათვის. ტაძრები ამ დროისათვის დიდ სიმდიდრესა და მამულებს ფლობდნენ. სამეფო მიწის ფონდი კი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მეფე სისტემატურად არიგებდა მიწებს სამხედრო და სახელმწიფო სამსახურის სანაცვლოდ. ძველი რელიგიის აკრძალვის შედეგად ტაძრების მთელი სიმდიდრე მეფისა და საერო დიდებულების ხელში გადადიოდა.

როგორც ეს სხვა ქვეყანაში მოხდა, ქართლის გაქრისტიანების ამბავიც ზღაპრულ-ლეგენდარული სახით შემოგვინახა ძველმა ტრადიციამ; ქართლის გაქრისტიანებაში ეს ტრადიცია მთავარ როლს ანიჭებს უცხოელ კაბადოკიელ ტყვექალ ნინოს, რომელმაც ქართლში იქადაგა ქრისტიანობა და მთელი რიგი სასწაულები მოახდინა. სხვათა შორის ავადმყოფობისაგან განკურნა დედოფალი და დაარწმუნა მეფე ახალი რელიგიის ჭეშმარიტებაში. ქართლში მეფედ ამ დროს იყო მირიანი, გადმოცემის მიხედვით რომის იმპერატორის კონსტანტინეს თანამედროვე. მის მიერ ქრისტიანობის მიღების ამბავი მირიანს მაშინვე უცნობებია კონსტანტინესათვის და მღვდელ-მსახურთა გამოგზავნა უთხოვია. მართლაც, ქართლს კონსტანტინემ მოავლინა ეპისკოპოსი, რამდენიმე მღვდელი და დიაკონი. მათ მასობრივი ნათლისღება მოუწყვიათ ქართლში, კერძოდ მცხეთაში, მტკვრის პირას. წარჩინებულთ ცალკე მიუღიათ ნათლობა. პირველად ნათელუღიათ თვით მეფესა და დედოფალს და მათი სახლის წევრებს. გადმოცემის მიხედვით, ქართლის ბარის მოსახლეობას წინააღმდეგობა არ გაუწევია ახალი რელიგიის მიღებისას. ქრისტიანული რელიგია აქ, ისევე როგორც მის მეზობელ

ქვეყნებში, ამ დროისათვის სალსში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

სამაგიეროდ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევია ქრისტიანობის დანერგვისათვის მთიანეთის მოსახლეობას. მირიან მეფემ მოინდომა ძალით მიეღებინებინა ქრისტიანობა მათთვის და ნინოსა და სპერძნეთიდან მოსულ მღვდელს ერისთავი გააყოლა სახიზრად რაზმითურთ. ერისთავს იარაღის სმარება დასჭირდა, რომ „დაერწმუნებინა“ მთიელები (ჭართალელნი, ფსოველნი, წილკნელნი, ერწო-თიანეთელნი, გუდამაყრელნი, ყვარლელნი) ქრისტიანობის უპირატესობაში. მთიელთა უდიდესი ნაწილის გაქრისტიანება მაინც ვერ მოსერხდა. ბევრი მათგანი გაისიზნა კავკასიონის გადაღმა. დარჩენილთათვის მირიან მეფეს სარკე გაუდიდებია. შემდეგში ქართლის მეფეები და ქართლის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში ცდილობდნენ გაექრისტიანებინათ მთიელთა ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა.

რა თქმა უნდა, ქართლის მმართველებს ამ შემთხვევაშიაც ქრისტიანობის განსაკუთრებული სიყვარული კი არ ამოძრავებდათ, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესები. ქრისტიანობის გავრცელება მთაში საუკეთესო საშუალება იყო მთის ნასვრად დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსასპობად და მის გაღასაქცევად სანეფოს ნვეულებრივ შემადგენელ ნაწილად. მთა ჯერ კიდევ დიდად განსხვავდებოდა ბარისაგან: ხალხი აქ ძირითადად კვლავ გვაროვნული წყობილების ტრადიციების მიხედვით ცხოვრობდა, მას საკუთარი სატომო ღვთაებები ჰყავდა და მათი სამლოცველოები ჰქონდა. ბარის წესები მისთვის უცხო იყო. ქრისტიანობის გავრცელება ამ ზღვარს სპობდა. კულტურულ-რელიგიურად მთა და ბარი ერთგვაროვანი ხდებოდა. ყველაფერ ამას მოსდევდა აგრეთვე მთაში პატრიარქალურ ურთიერთობათა ნგრევა და კლასობრივი ურთიერთობის დამყარება — იქ უკვე მტკიცედ იკიდებდნენ ფესვს ფეოდალებად გადაქცევის გზაზე მდგარი დიდმოხელეები — ერისთავები, რომელთაც სოციალური ჩაგვრის მძიმე უღელი მოჰქონდათ მთიანეთის მოსახლეობისათვის. ამიტომ იყო, რომ მთა ასე სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობის გავრცელებას.

ქრისტიანობის გავრცელებამ ამ გზით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო ქართლის მთისა და ბარის მოსახლეობის ერთ მთლიანობად შედუღების საქმეში, არამედ საბოლოოდ იგი საკმაოდ ბასრი იარაღი აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობის ქართლის მოსახლეობასთან დაახლოებისა და ერთიანი ქართველი ეროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება კიდევ უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ქართლში, რადგანაც იგი უფრო ახლო და მჭიდრო ურთიერთობაში იყო რომის იმპერიის ცენტრებთან, სადაც ქრისტიანობის ძლიერი კერები არსებობდა. ამასთანავე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მცხოვრებ ბერძნულ მოსახლეობაში ქრისტიანობას ადრე უნდა ჰოეკიდა ფეხი. მე-4 საუკუნეში პიტიუნტში (თანამედროვე ბიჭვინთა) უკვე ეპისკოპოსი იჯდა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარება ლაზიკის სამეფოში ქართლზე ბევრად უფრო გვიან — მე-6 საუკუნის დასაწყისში მოხდა; მე-6 საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა აბაზგებმაც. აქ დიდი როლი აგრეთვე მმართველი წრეების საგარეო ორიენტაციამ შეასრულა. ლაზიკის დამოუკიდებლობისათვის ირანთან შედარებით უფრო მეტ საფრთხეს ქრისტიანული რომი (ბიზანტია) წარმოადგენდა. ამასთანავე, რომ-ბიზანტიის გზით მომდინარე ქრისტიანობას უცხო, ძირითადად ბერძნული, კულტურის უფრო მეტი გავლენა მოჰქონდა თან. ბერძნული კულტურა და ბერძნული ენა აქ ძველთაგანვე მეტად მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. მის გავრცელებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ ზღვისპირა ბერძნული ქალაქები.

ქრისტიანობაშიც აქ თავდაპირველად ბერძნული გავლენა გაბატონდა. წირვა-ლოცვა ბერძნულად წარმოებდა და აქაური ეკლესიაც ორგანიზაციულად ბერძნულ ეკლესიას დაექვემდებარა.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო რელიგიად იქცა, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობამ შეღწევა იწყო ქართლის გზითაც. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც აქამდე, ისე ამის შემდეგაც, დროდადრო ქართლის სამეფოს გავლენის სფე-

როში ექცეოდა. თვით ქართის ელემენტიც დასავლეთ საქართველოში დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ამიტომ აქ ქართული ქრისტიანული ეკლესიის გავლენა, რომელიც წირვა-ლოცვაში ქართულ ენას იყენებდა, საკმაოდ მძლავრი ნაკადის სახით იკვლევდა გზას. შემდეგში თვით დასავლეთ საქართველოს მმართველთათვის ქართული ენა და ქართული ეკლესია საუკეთესო იარაღი შეიქმნა უცხო, ბერძნული გავლენისაგან თავის დასაღწევად და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. დასავლეთ საქართველოს ეკლესია თანდათან განთავისუფლდა ბერძნული გავლენისაგან და ქართლის ეკლესიას დაუკავშირდა. ქართლის ეკლესიის მეთაურის — მცხეთის კათალიკოსის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების გარდა, დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებზედაც გავრცელდა. წირვა-ლოცვაში ყველგან ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა გაბატონდა. ამან ძალიან დააახლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა და ნიადაგი მოუმზადა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობის — ერთიანი ქართველი ხალხის შექმნას.

თავი III

საქართველო IV–V–მე-10 საუკუნეებში

§ 20. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება

მე-4—მე-5 საუკუნეებში სულ უფრო და უფრო თვალნათლივ იწყო გამოჩენა ახალმა მოვლენებმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ ახალი მოვლენებისათვის ნიადაგი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.

ამ დროისათვის ძალიან შორს წავიდა ძველ თავისუფალ მიწათმოქმედთა — „ერას" — დიფერენციაციის პროცესი. „ერი" განუწყვეტლივ დაშლას განიცდიდა, მისი მცირე ნაწილი მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა, ხოლო დიდი ნაწილი ღატაკდებოდა და კნინდებოდა. მუდამ ომიანობას ყველასათვის ერთნაირი შედეგი არ მოჰქონდა. მეურნეობისაგან დიდი ხნით მოწყვეტა უარყოფითად მოქმედებდა მცირე შეძლების მქონე მოლაშქრე მეურნეზე, მით უმეტეს, რომ ომში ნაშოვნი ნადავლისა და ტყვეებისაგან მას წილად ბევრი არაფერი ხვდებოდა. უდიდესი ნაწილი იმათ მიჰქონდათ, ვინც გამარჯვების მოპოვებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ესენი იყვნენ ცხენოსნები ან მძიმედ შეიარაღებული ქვეითნი. საომარი იარაღ-საჭურველიც ამ დროს საგრძნობლად გაძვირდა: საჭირო გახდა ლითონის მუზარადის, ჯაჭვის ან ლითონის ფირფიტებიანი პერანგის და სხვათა შეძენა. ჩვენ ვიცით, რომ ომში ყველა საკუთარი იარაღით გამოდიოდა. ასე შეიარაღება კი, ისევე როგორც თავისი მეურნეობისათვის გაუმჯობესებული იარაღებით შეძენა, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ.

სწორედ ასეთი გამდიდრებული ხალხის ფენიდან ადგენდნენ სამეფო რაზმებს, მათ ნიშნავდნენ სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე. სარდლებსა და დიდმოხელეებს მეფე, სამსახურის სანაცვლოდ, მიწებს ურიგებ-

და და, აგრეთვე, სამარადავ-საგამეებლოდ სოფლების და მიწის ოლქებს აბარებდა. თავის მიწებს ასეთი წარჩინებული ხალხი „სამეფო მონების" ან საკუთარი მონების ხელით ამუშავებდა. შემდგომ კი აქ სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იწყეს მუშაობა გაღატაკებულმა თავისუფალმა მიწათმოქმედებმა, რომელთაც მიწა და შრომის იარაღები აღარ გააჩნდათ. ასე იქმნებოდა ყმა გლეხების კატეგორია. ამ დროს ესენი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ მიწათმოქმედთა უმრავლესობას. მიწათმოქმედთა დიდი ნაწილი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ გაჩანაგებისაგან თავი დაეცვა და მიწა შეენარჩუნებინა. თემები ჯერ კიდევ არსებობდნენ, მაგრამ ისინი ახლა არა მარტო სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ და გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებდნენ მის მიმართ, არამედ სულ უფრო და უფრო დამოკიდებულები ხდებოდნენ ადგილობრივი ოლქისა თუ უფრო მცირე ერთეულების მმართველებისა და მეზობელი მდიდარი მემამულეებისაგან. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ თემებიც თავის სამსახურში ჩაებათ, მიეთვისებინათ საერთო-სათემო საძოვრები, სარწყავი სისტემა და ჯერ კიდევ თავისუფლად დარჩენილი მიწათმოქმედნიც ისეთივე დამოკიდებული გაეხადათ, როგორიც იყვნენ უკვე მათ საკუთარ მიწაზე დასმული ყოფილი მონები ან გაღატაკებული მიწათმოქმედნი.

ასე ყალიბდებოდა საზოგადოებაში ორი ძირითადი კლასი — წარჩინებულნი ანუ აზნაურნი და მდაბიო სალხი, რომელსაც „წვრილ ერს" უწოდებდნენ. აზნაურთა შორისაც იყო განსხვავება, ისინი რომელთაც განსაკუთრებით დიდი თანამდებობები ეკავათ სახელმწიფოში, და, საერთოდ, დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა ჰქონდათ, „დიდ აზნაურებად" იწოდებოდნენ, ქრებოდა წინანდელი განსხვავებაც სამეფო წარმოშობის და არასამეფო წარმოშობის დიდებულებს შორის.

დიდებულთა შორის ყველაზე ძლიერი, უწინდელივით, ერისთავები — დიდ-დიდი ოლქის მმართველები — იყვნენ. ეკლესიაში დიდი თანამდებობების (ეპისკოპოსობისა და მისთ). დაკავებაც თანდათან დიდ აზნაურთა წრიდან გამოსული სალხის პრივილეგია შეიქმნა.

დიდებულები, ისევე როგორც ეკლესიის მესვეურები,

ცდილობდნენ მეფისაგან სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ თავიანთ საგამგებლო-სამწყსოს მმართველობაში. დიდმოხელეებს სურდათ თავიანთი თანამდებობები (ერისთავობა და მისთ.) სამემკვიდრეო უფლებად გაეხადათ, ისე რომ მეფეს აღარ შესძლებოდა ამ თანამდებობის წართმევა მათთვის ან მათი მემკვიდრეებისათვის. ასევე, მათ სურდათ სრული ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ საგამგებლოდ მათთვის მიცემული მიწა-წყლისა და აქაური მოსახლეობის ექსპლოატაციაში მეფისათვის წილი არ დაედოთ. ამ საფუძველზე თანდათან მწვავდებოდა ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასა და დიდებულ აზნაურთა შორის. მეფე ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებად და დიდებულთა წინააღმდეგობის გასატეხად გამოეყენებინა ჯერ კიდევ თავისუფალ მიწათმოქმედთა მასა — „წვრილი ერი“, რომელთაც დიდებულთაგან სრული დამორჩილებისა და ყმა-გლეხებად გადაქცევის საფრთხე ელოდა. მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში წარჩინებულთ ხშირად ზურგს უმაგრებდნენ უცხო სახელმწიფოები (ბიზანტია, ირანი), რომელთაც ერთი მეფის ხელთ გაერთიანებულ ძლიერ ქართლის სამეფოს მცირე ერთეულებად დაქუცმაცებული ქართლი ერჩიათ.

იგივე პროცესები, იუმცა უფრო ნაკლები ინტენსივობით, მიმდინარეობდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის — ლაზიკის სამეფოს წიაღში.

ასეთი იყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი.

§ 21. ქართლი მე-5 საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი და მისი ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ

მე-5 საუკუნეში სპარსელები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ ამიერკავკასიაში. ყველაზე ადრე სპარსელებმა ფეხი სომხეთში მოიკიდეს, ხოლო შემდეგ ალბანეთსა და ქართლს მოუჭირეს ხელი. ახლა უკვე სპარსელებმა ამ ქვეყნების მოსახლეობას ხარკიც დააკისრეს. ეს პირველი შემთხვევა იყო რომ ქართლის სამეფო მტერს ხარკს აძლევდა. ქართლის მეფესაც სპარსელები ახლა უფრო ავიწროებდნენ, მაგრამ განსაკუთრებით იტანჯებოდა ხალხი — ხარკის გადამ-

სდელი ის იყო. წარჩინებულებთან, აზნაურებთან კი სპარსელებმა საერთო ენა მონახეს.

მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა. ვახტანგი გოლიათური ტანის პატრონი, თავისუფლების მოყვარე, ძლიერი და გულადი კაცი იყო. სპარსელებმა ვახტანგს „გორგასალი“, ესე იგი „მგელთავა“ დაარქვეს (სპარსულად „გორგ“ მგელსა ნიშნავს, „სარ“ — თავს), იმიტომ რომ ვახტანგი ომში თავზე მუზარადს იხურავდა, რომელზედაც მგელი იყო გამოსახული. ვახტანგმა ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სპარსელების გაძევება მოიწადინა და ამ მიზანს მოახმარა მთელი თავისი მსნეობა, საორგანიზაციო ნიჭი და სამხედრო გამოცდილება.

ქართველ ხალხს თავი მობეზრებული ჰქონდა სპარსელების ძალადობისა და მეურკეობისაგან. გამწარებული ჰქონდათ ცხოვრება სპარსელებისაგან სომხებსაც. ამიტომ ვახტანგი სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლებს აგროვებდა საიდუმლოდ არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ სომხეთშიაც. იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი გვიამბობს, რომ გორგასალმა ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო სერხები გამოიყენა ზოგი გულგატეხილი და უიმედო ადამიანების გასამხნევებლად და ამ დიდ ბრძოლაში ჩასაბმელად.

ვახტანგს უმთავრესად ხალხის იმედი ჰქონდა. ხალხი, ერთი ძირით, სპარსელებისაგან იტანჯებოდა, მეორე მხრივ - სპარსელების მოკავშირე ქართველი მთავრებისა და დიდი აზნაურებისაგან. ეს მთავრები და დიდი აზნაურები, რომელნიც სპარსელების დახმარებით ქართლის მეფეს ებრძოდნენ, იმავე დროს, ხალხის, „წვრილი ერის“, გაძარცვასა და დამონებას ცდილობდნენ. ამიტომ იყო რომ ხალხს ვახტანგ მეფე თავის მხსნელად მიაჩნდა გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომვეა რომ სალხში დღემდე დარჩა სიმღერა, რომელიც ვახტანგს აქებს და ადიდებს:

„ვახტანგ შეუე ღმერთს უცვარდა,
ციდან ჯაჭოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიღმა მთებმა შექმნეს დრეკა“.

სამაგიეროდ ეპისკოპოსები და მთავრები ვასტანგ მეფეს ხელს უშლიდნენ, ან პირდაპირ ღალატობდნენ კიდევაც. ქართლის ეკლესიის მეთაურს, მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რომელსაც გაგებული ჰქონია, ვასტანგი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებსო, დაუწყევლია მეფე და მისი ჯარი. ვასტანგს გულზვიადი მღვდელმთავრის შემორიგება უცდია და თვითონ მისულა მასთან. მაგრამ მიქაელი იმდენად გაბოროტებული ყოფილა ვასტანგის წინააღმდეგ, რომ დიდი შერიგება მიუყენებია მეფისათვის — ფეხი ჩაუცია მისთვის. ვასტანგმა განდეკა მიქაელი და კათალიკოსობა დაუწესა: ქართლის ეკლესიის სათავეში მთავარეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსი დააყენა. პირველ კათალიკოსად ვასტანგმა დიოფიზიტობის მომხრე პირი დანიშნა (დიოფიზიტები ქრისტეს ორი ბუნების — ღვთაებრივისა და ადამიანურის — მქონედ თვლიდნენ) და ამით „სპარსულ“ ქრისტიანობას, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა (მონოფიზიტები ქრისტეს ერთბუნებიანად, ღვთაებრივი ბუნების მქონედ თვლიდნენ).

სპარსეთის მომხრე აზნაურების მეთაური მაშინ ქართლში ვარსქენ პიტიახში იყო, იმ არშუშა პიტიახშის შვილი, რომელმაც სპარსეთის მეფის მოთხოვნით მაზდეანობა (სპარსთა რელიგია — ცეცხლთაყვანისმცემლობა) მიიღო. ვარსქენიც, სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად, ქრისტიანობას გადაუდგა. ქართლში დაბრუნებულმა პიტიახშმა კამაზდეანება დაუპირა თავის ცოლს, შუშანიკსაც. რადგანაც შუშანიკი ქმრის ნებას არ დაჰყვა, ივი ვარსქენმა აწამა. ეს ამბავი აღწერილი აქვს შუშანიკის მოძღვარს იაკობს. იაკობ ხუცესის ეს თხზულება ქართული მხატვრული ორიგინალური მწერლობის უძველეს ძეგლად ითვლება.

ვასტანგმა შუშანიკის წამება მოიმიზეზა და ვარსქენი მოაკვლევინა 484 წელს. ამით ვასტანგ მეფემ თავიდან მოიშორა სპარსელების მომხრე აზნაურთა მეთაური. იმავე წელს ვასტანგმა ომი დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ. აამხედრა სომხებიც, რომელთაც მაშინ სარდალი ვაჰან მამიკონიანი მეთაურობდა. ვასტანგის საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე მოღალატეები გამოჩნდნენ, უმთავრესად აზნაურების წრიდან. ეს მოღალატეები მტრის მხარეს გადავიდნენ და თავისიანები დაამარცხეს. ქართველებისა და სომხების დამარ-

ცხებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოკავშირეებს არ მოუვიდათ ჰუნების მეშველი ჯარი, რომელსაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ელოდნენ. ვახტანგი დროებით ეგრისში გაიხიზნა.

შემდეგ ვახტანგი დაბრუნდა ქართლში და კვლავ მტერს ბრძოლა დაუწყო. ერთ-ერთ ომში სპარსელების წინააღმდეგ ვახტანგი დაიღუპა, ისევ ღალატის წყალობით: ვახტანგის ყოფილმა მონამ მიპარვით ისარი ჩასცა, მოხერხებულ ადგილას, მებრძოლ მეფეს. ვახტანგი გარდაიცვალა ციხე-ქალაქ უჯარმაში, რომელიც იმ დროს კახეთის ცენტრი იყო. გმირი მეფე მცხეთაში დაკრძალეს, სიონის ტაძარში, და მისი საფლავის ლოდზე ვახტანგის ჯილიათური ფიგურა გამოსახეს. ვახტანგის აბჯარი და სამოსელიც საუკუნეების განმავლობაში იყო შენახული საქართველოს სამეფო საგანძურში, როგორც ძვირფასი ისტორიული ნაშთი.

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს საქმე უკან წავიდა. 523 წელს ქართლში ისევ აჯანყება მოხდა სპარსელების წინააღმდეგ, რადგანაც სპარსელებს ახალი ბრძანება გამოეცათ — ყველამ მაზდეიანური წესები შეასრულეთ, მკვდრები ეკლესიაში არ დამარხოთო. ქართლის მეფე გურგენი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული კეისართან და კეისრისაგან ჯარსაც ელოდა, სპარსელებს გადაუდგა. მაგრამ რომაელების მეშველი ჯარი რიცხვ-მცირე გამოდგა, გურგენი სპარსელებს ვეღარ გაუმკლავდა და იძულებული შეიქნა მთელი ოჯახითა და თავისი მომხრე დარბაისლებით ეგრისს შეჰფარებოდა. ქართლში მეფობა მოისპო და სპარსელების მმართველობა დამყარდა.

§ 22. ქართლი სპარსელების ბატონობის ქვეშ

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ქართველებს ნებას თავისი მეფე ჰყოლოდათ, არც ქართველები ემორჩილებოდნენ სპარსელებს ნებაყოფლობით. სპარსელები და ქართველები დიდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს". ეს ნათქვამი, ცხადია, ქარ-

თველ ხალხს ესება, რომელიც იძულებული გასდა დროებით დამორჩილებოდა უსუშ ძალას, მაგრამ ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ ქედიდან მოეხსნა უღელი გადაეგდო.

ქართლის მთავრები და დიდი აზნაურები თავს კარგად გრძნობდნენ. მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად მათი საქმე იყო. ძველი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, მას შემდეგ რაც ვასტანგის შთამომავლობას მეფის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. მართლაც, დიდი აზნაურები ადვილად შეუხმატკბილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქართლის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავის წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.

იმ თანამდებობებთაგან, რომლებიც ქართლში სპარსელებმა ადგილობრივ აზნაურებს დაუმტკიცეს, ყველაზე დიდი იყო „ქართლის მამასახლისის“ და „ქართლის პიტიახშის“ თანამდებობანი. ამ მთავრებს გარდა იყვნენ აგრეთვე ცალკე თემების ერისთავები; ქართლის კათალიკოსიც კარგად იყო განწყობილი სპარსელებისადმი.

ქართლის სათავეში სპარსელებს თავისი მოხელე ეყენათ, რომელიც „მარზპანის“ წოდებას ატარებდა. „მარზპანი“ სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს“ ნიშნავს. მარზპანს დიდი უფლება ჰქონდა. მას შეეძლო ქართლის ყოველი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც კი. მარზპანივე ჰკრეფდა სარკს ქართველი მთავრებისა და ერისთავების სამუალებით.

ქართლის დიდი ქალაქების, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის, ციხეებში სპარსელების ჯარი იდგა.

ქართლის მოსახლეობას სპარსელებმა, სარკის გარდა, სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ეს სპარსული სარკი, ბეგარა და უსამართლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და აღვივებდა ქართველ ხალხში სიძულვილს დამპყრობლებისადმი. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო სპარსელებმა დიდხანს ვერარ იბოგინეს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ აქ იყვნენ, მათ დიდი ვნება მიაყენეს არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოსაც.

§ 23. ეგრისი IV-VI საუკუნის დამლევს. ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ეგრისში

როცა სპარსელებმა ქართლი მთლიანად დაიმორჩილეს, აღმოსავლეთ რომის მფლობელობა საგონებელში ჩავარდა, ვაი თუ სპარსელები ეგრისსაც გადმოსწვდნენო. სპარსელები არც მალავდნენ თავის ასეთ განზრახვას. მით უმეტეს, რომ ეგრისის მეფე თვითონაც ცდილობდა სპარსელები გამოეყენებინა რომაელების წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ, ჯერ ერთი, ეგრისის ხელში ჩაგდებით გული საგულეს ჰქონოდათ ქართლშიაც. ქართლსა და ეგრისს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა ძველთაგანვე, არაერთხელ დახმარებიან ისინი ერომანეთს ჯაჭრვებაში, და თავშესაფარიც არაერთხელ უშოვნიათ ეგრისში ქართლიდან გახიზნულ სახელმწიფო მოღვაწეებს. ის კი არა და, სპარსელების მტარვალობისაგან გამოქცეულა სომხებიც სახიზარს ეგრისში პოულობდნენ. ამიტომ სურდათ სპარსელებს მოეშალათ ეს ბუდე, სადაც ირანის ურჩი ქვეშევრდომები ასალ ძალებს აგროვებდნენ და თავისი ქვეყნის განთავისუფლების გეგმებს ამუშავებდნენ. გარდა ამისა ეგრისში დამკვიდრებით სპარსელებს უნდოდათ შავი ზღვისაკენ გზა გაეკაფათ, რომ თავისი მოსისხლე მტრისათვის, რომაელებისათვის ზღვიდანაც დაეკრათ.

ქართლის საზღვარზე ეგრისს ორი ძლიერი ციხესიმაგრე ჰქონდა — შორაპანი და სკანდა. ძველთაგანვე ამ ციხეებს თვითონ ეგრისელები იცავდნენ და კარგადაც. ახლა კი რომაელები ჩიოდნენ, ლაზებს არ სურთ თავისი ქვეყნის ჩვენთან ერთად დაცვაო. მართლაც, როცა ეგრისელებმა შეატყვეს, რომაელებს თვითონ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელთ ჩაიგდონო, ციხეების გამაგრებაზე გული აიყარეს — სალხს სამშობლო თავისთვის უნდოდა და არა სხვებისათვის.

კეისარმა გადაწყვიტა ჯარის გაგზავნა ეგრისში. დიდი ხანი იყო უკვე გასული, რაც რომაელების ჯარები ეგრისში არ მდგარიყო და მაიო გამოჩენა სალხმა ძალიან იუცხოვა. რომაელებმა გამოიყვანეს შორაპნისა და სკანდის ციხეებიდან ადგილობრივი მეციხოვნენი და მათ მაგიერ თვითონ ჩადგ-

ნენ შიგ, მაგრამ დიდ ხანს ვერ გაძლეს. სურსათის ამოტანა რომაელებს აქ თვითონ არ შეეძლოთ, ეს მათ ლაზებს დაავალეს. ლაზებმა ანუ ეგრისელებმა ერთი პირობა კი უზიდეს რომაელებს სურსათ-საზოვაგე, მაგრამ შემდეგ ამ სამსახურზე უარი თქვეს. რომაელები იძულებული გახდნენ ციხეები დაეცალათ და სკანდა-შორაპანი სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში სულ გაურჯელად.

ახლა კეისარი კიდევ უფრო შეფიქრიანდა და ეგრისის გამაგრებისათვის მეტ ზრუნვას შეუდგა. რაკი ქვეყნის შიგნით მდებარე ციხეების დაცვა მათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომაელებმა ზღვისა და დიდი მდინარეების ნაპირების გამაგრება დაიწყეს. უფრო მისაწვდომ ადგილებში რომაელთა ციხის ჯარი ჩადგა.

გარდა ამისა, კეისარმა საჭიროდ იცნო სხვამხრივაც შეწოემტკიცებინა ეგრისი. ეგრისში ამ დროს ის-ის იყო მეფე გარდაცვლილიყო და მისი მემკვიდრე, წათე, ტახტზე ასვლას აპირებდა. კეისარმა წათე კონსტანტინოპოლში დაიბარა და პირობა დაუდო, თუ ეგრისის მეფობა გსურს, ქრისტიანობა უნდა მიიღოო. იმდროინდელ გარემოებაში წათეს სხვა რა ღონე ჰქონდა, თვითონაც მოინათლა და თავისი შვილიც მონათლა. ამის შემდეგ კეისარმა წათე ეგრისის მეფედ დაამტკიცა და დიდი დიდებით სამშობლოში გაისტუმრა. ეს ამბავი მოხდა 523 წ.

ეგრისში ქრისტიანობა დიდი ხნიდანვე იყო შემოსული. ზღვისპირა ქალაქებში უკვე მე-4 საუკუნის დამდეგს ეპისკოპოსები ისხდნენ. მაგრამ ეგრისის მეფეებს არ სურდათ რომაელების სარწმუნოების მიღება, რადგანაც რომაელები არაფრად ეპიტნავებოდნენ და იმასაც კი ცდილობდნენ, რომ რომაელებისათვის სპარსელები დაეპირისპირებინათ, როცა რომაელებს თავს გაუდიოდათ ხოლმე. ახლა, როცა რომაელებმა სამხედრო მუზრუჭი მოუჭირეს დასავლეთ საქართველოს, ეგრისის მეფე იძულებული გახდა სარწმუნოების საკითხში დაეთმო რომაელებისათვის. ასე გადაიქცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისში.

§ 24. „საუკუნო ზავი“ და მისი შედეგები

წაიეს ამბავი სპარსელებს ელდად ეცათ და შაჰმა კეისარი საყვედურით აავსო. კეისრის ცბიერი პასუხი საკმაო არ აღმოჩნდა სპარსელების დასამშვიდებლად და 528 წ. ისინი ეგრისს შეესივნენ: მეფე წათემ, რომაელების დახმარებით, სპარსელები თავის სამეფოდან განდევნა. სპარსელები ისევ-ისე შორაპანსა და სკანდაში დარჩნენ მხოლოდ. 532 წ. რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთში ზავი დადეს, რომელსაც „საუკუნო“ უწოდეს, ვითომც იგი არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. „საუკუნო ზავის“ პირობით, რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთს დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს. სპარსელებმა სკანდა და შორაპანი დასთმეს. ამ ზავს უნდობლობა და ეჭვი მაინც არ მოუსპია; ორივე მხარე მერმისზე ფიქრობდა და ყოველი შემთხვევისათვის ემზადებოდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ამ დროს იუსტინიანე იყო კეისრად (527—565 წ.), ირანში კი შაჰი ხოსრო ანუშირვანი მბრძანებლობდა (531—579 წ.). ორივემ მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა მუდმივ ომიანობასა და ერთმანეთის მტრობაში გაატარეს. იუსტინიანემ გაამრავლა რომაული ჯარები ეგრისში.

რომაელი მეცისოვნეების გაჩენა ეგრისელებს თავისთავადაც არაფრად ეპრიანათ. მაგრამ ამას რომაელი მოხელეების ბოროტმოქმედებაც დაემატა. იმდროინდელი რომაელი მოხელეები საერთოდ ცნობილი იყვნენ თავისი სისარბით, თაღლითობითა და თვითნებობით. ქვეშევრდომების ყვლეფის საქმეში მათ ტოლი არ ჰყავდათ.

ასევე იქცეოდნენ რომაელები ეგრისშიაც. განსაკუთრებით შეაწუხა სალხი სტრატეგმა ციბემ.

§ 25. ომის დაწყება ეგრისში. ომის მიზეზები

ციბემ ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა მოსპო. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ თვითონ შემოეტანათ ეგრისში საქონელი, არც ეგრისელებს ჰქონდათ უფლება თავის ნებაზე გაეყიდათ საქონელი. როგორც შემოსატანს, ისე გასატან საქონელს ჯერ

ციბეს ხელში უნდა გაეკლო და ფასებსაც მათ თვითონ ციბე უწესებდა. ეგრისელებს აიძულებდნენ ისეთი საგნებიც ეყიდათ, რომლებიც მათ სრულებით არ სჭიროდათ. ხშირად კიდევ რომაელები ფულს არ აძლევდნენ იმ საქონელში, რასაც მათგან ყიდულობდნენ.

ეგრისი ამ დროს ფართო ვაჭრობას აწარმოებდა. ბლომად გაჰქონდათ ეგრისიდან ტყავეულობა, ბეწვეული და სხვა ნედლეული, ბევრი გაჰყავდათ მონებიც. სამაგიეროდ, ეგრისელებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მარილი, რომელიც ადგილობრივ არ იპოვებოდა. ამას გარდა, მეფე და წარჩინებული ხალხი ადგილობრივ პურსა და ღვინოზე მეტად უცხოურს ეტანებოდა. შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები და იარაღიც, იმავე წარჩინებული ხალხისათვის.

ვაჭრობდნენ ეგრისელები უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან პირველ რიგში — პონტოსა და ყირიმთან, — რომელნიც ამ დროს აგრეთვე რომაელებს ემორჩილებოდნენ. საქონელსაც ამიტომ ხომალდებით ზიდავდნენ და თვითონ ეგრისელებიც დახელოვნებული მეზღვაურები იყვნენ.

გარდა იმისა, რომ ზღვიერთი საგნის, მაგ. მარილის, შემოტანა აუცილებელი იყო, რადგანაც უმისოდ ხალხს გაძლება არ შეეძლო, — ამ ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა მისი მიმდევრებისათვის ეგრისში. ვაჭრობას უმთავრესად თვითონ მეფე და წარჩინებულები აწარმოებდნენ, ისინი ყიდულობდნენ საზღვარგარეთულ ძვირფას საქონელს და ისინივე იძლეოდნენ საჰაგიერო საგნებსაც. მონების გამყიდველნიც მეფე და წარჩინებულნი იყვნენ. აქ მონებად მეტწილად ტყვეები იგულისხმებიან: თავს დაესხმოდნენ მეზობელ ტომებს — ჩვეულებრივად ჩრდილოეთ კავკასიაში, — მოიტაცებდნენ იქიდან ხალხს და შემდეგ რომაელებზე ჰყიდდნენ. ზოგიერთი უფრო სასტიკი მთავრები კი, როგორც, მაგალითად, აბაზგების მთავრები, საკუთარი ქვეშევრდომების გაყიდვასაც არ თაკილობდნენ. ტყვის სყიდვა წარჩინებული ხალხის ხელობად იყო გადაქცეული. ამიტომ ციბეს მიერ შემოღებულმა სავაჭრო მონოპოლიამ ძალიან შეავიწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. რაკი, ამასთან ერთად, რომაელები სხვა მხრივაც ძალზე აწუხებდნენ ეგრისელებს, ამი-

ტომ ეგრისის მეფემ და დიდებულებმა გადაწყვიტეს თავისი ქვეყნიდან რომაელების განდევნა. დახმარების მისაღებად არჩიეს სპარსელებისათვის მიემართათ.

ეგრისში ამ დროს მეფედ იყო გუბაზი, რომელიც ცდილობდა მოზღვავებულ უცხო, მტრულ ძალებს შორის როგორმე დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

გუბაზმა ირანის მპრისანებელს, ხოსრო ანუშირვანს, ელჩები გაუგზავნა ფარულად. ეგრისის წარმომადგენლებმა ხოსროს უთხრეს: „უნდა ვთქვათ ზოგიერთი ბოროტების შესახებ, რაც ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა ჩაიდინეს. ჩვენს მეფეს მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ძალა-უფლება საქმეებში კი თვითონ მიითვისეს. მეფე მოსამსახურეს დაემსგავსა, მას განმკარგულებელი სტრატეგის ეშინია. აუარებელი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა შემწუხებლებისაგან, — მოსაზღვრე სალხებიდან ჩვენ ხომ სხვა არავინ გვაწუხებდა, რომაელების გარდა; არამედ იმისთვის, რათა დავემწყვდიეთ ჩვენ, როგორც ციხეში, და რათა ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ.“ ელჩებმა სთხოვეს ხოსროს დახმარებოდა ეგრისს ჯარით რომაელების განდევნაში. ელჩები უხატავდნენ ხოსროს იმ სარგებლობას, რომელიც სპარსეთისათვის ეგრისში დამკვიდრებას უნდა მოეტანა: „სპარსელების ძალას თქვენ გაზრდით უძველესი სამეფოთი (ე. ი. ეგრისით) და მისი საშუალებით განდიდდება თქვენი ხელმწიფის ღირსებაც. ჩვენი ქვეყნის ზღვით — კი რომაელების ზღვას დაუკავშირდებით. თქვენზე იქნება დამოკიდებული რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელების მიწა-წყალი... თქვენ ალბათ იცით რომ ლაზების ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“.

ხოსრო ძალიან გახარა ამ ამბებმა. იმდროინდელი ისტორიკოსები ასე ასწერენ ხოსროს გულისნადებს: „ხოსროს ღირსშესანიშნავ მონაპოვრად მიაჩნდა კოლხეთის მტკიცედ დასაკუთრება, რადგანაც, მისი აზრით, ირანის ძალა-უფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ... აგრეთვე ლაზიკის მეზობლად

მოსახლე ჰუნებიც სპარსელების სახელმწიფოს ვერასოდეს ველარ დაარბევდნენ, თვითონ ხოსრო კი ამ ჰუნებს გაცილებით უფრო ადვილად მიუსევდა რომაელების სახელმწიფოს, როცა ეს მისთვის სასურველი იქნებოდა: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსების წინააღმდეგ მსოლოდ ლაზიკა არის ზღუდე... ლაზიკიდან შეტევით სპარსელები ადვილად შეძლებდნენ თავდასხმას ხმელეთითაც და ზღვითაც, ევრეთწოდებულ ევქსინის პონტოს სანპირებზე, და მოულოდნელად დაიპყრობდნენ ბიზანტიელებს... ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება". ეგრისის ელჩებს ხოსრომ ცბიერი თანხმობა მისცა, ვითომც მხოლოდ დახმარებას უპირებდა.

542 წ. ხოსრო უზარმაზარი ჯარით მოვიდა ქართლს და აქედან უეცრად გადავიდა ეგრისში, რითაც დაარღვია „საუკუნო ზავი". სპარსელებს შეეზურები თვითონ ლაზები იყვნენ. ეგრისის საზღვრები უღრანი ტყეებით იყო დაფარული და სპარსელები იძულებული იყვნენ გზა სახელდახელოდ გაეკაფათ. გუბაზ მეფე შეხვდა ხოსროს შუა კოლხეთში და ეგრისის ჯარებით სპარსელებს შეუერთდა. რადგანაც რომაელების მთავარი ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, ამიტომ მოკავშირეები პირველად პეტრას ეცნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტრა აიღეს და შიგ სპარსელების გარნიზონი ჩადგა.

სამაგიეროს გადასასღელად რომაელები ირანს შეესივნენ. ამიტომ თვითონ ხოსრო იძულებული შეიქმნა შინ დაბრუნებულიყო. 545—6 წელს სპარსელებმა და რომაელებმა დროებითი ზავი შეჰკრეს ხუთი წლის ვადით. ამ ზავის დროს ეგრისში ახალი ამბები დატრიალდა.

§ 26. სპარსელების ნამდვილი განზრახვის გამოაშკარავება. ომის გაფართოება

ხოსროს ფარული განზრახვა ის იყო, რომ მთლიანად აეყარა ეგრისის ხალხი და მის მიწა-წყალზე სპარსელები და სხვა, სანდო ტომები დაესახლებინა. ახლა ხოსრო იმასაც ატყობდა, რომ ეგრისელები სპარსელების მადლიერი სრულებით არ დარჩენილან. სპარსელების ლაზიკაში დამკვიდრებამ შეწყვიტა ლაზების ვაჭრობა რომაელებთან, რის გამოც

ეგრისის მეფე და წარჩინებული სალხი ძალიან ზარალობდნენ. გარდა ამისა სპარსელები არც ქცევით სჯობდნენ რომაელებს. ეგრისის მეფე და დიდებულები უკმაყოფილო იყვნენ.

ხოსრომ გადაწყვიტა, დროებითი ზავი შესაფერისი დროა, რომ ჩემი გეგმა შევასრულოო. მან ერთს თავის სარდალს დაავალა მოეკლა გუბაზ მეფე. სარდალმა თავისი მხრით ეს საქმე ერთს წარჩინებულ ლაზს, ფარსანსს, დააკისრა, რომელსაც გუბაზ მეფესთან მტრობა ჰქონდა. თუმცა ეგრისში მეფესა და აზნაურებს ისეთი მტრობა არ ჰქონიათ, როგორც ქართლში, მაგრამ მეფის უკმაყოფილო ხალხი აქ მაინც იყო, წარჩინებულთა შორის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ფარსანსიც.

მაგრამ ფარსანსმა ასეთს მუსანათურ საქმეში სელი არ გაისვარა, მან, პირიქით, ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. სპარსელების ვერაგობით აღშფოთებულმა გუბაზმა კვლავ იუსტინიანე კეისარს მიმართა, თავისი წინანდელი საქციელი მოინანია და შესთავაზა — ისევ რომაელების მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსელები გადაგვარეკინეთო. იუსტინიანეს ეს ამბავი დიდად ეამა და ეგრისში ახალი ჯარები გამოგზავნა.

ახლა ომი ახალი სიძლიერით ატყდა. ასეთი დიდი და გამანადგურებელი ომიანობა იშვიათად ყოფილა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ეგრისში მოთარეშე სპარსელებისა და რომაელების ერთადერთი მიზანი ამ ქვეყნის დაპყრობა იყო და ამ მიზნისათვის ისინი არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ — არც მოსყიდვას, არც შეჩენილ კაცისმკვლელებს, არც ორპირობასა და ღალატს. ქვეყანასაც ისინი დაუნდობლად აოხრებდნენ.

გამარჯვების სასწორი რომაელებისა და ეგრისელებისაკენ ისრებოდა. ეს უფრო ეგრისელების დამსახურება იყო: ისინი ჩინებული მეომრები იყვნენ, ადგილობრივ პირობებს ყველაზე უკეთ იცნობდნენ და სამშობლოსათვის გაალმასებით იბრძოდნენ. სპარსელებს ადრე გააძევებდნენ ეგრისიდან, რომ იმთავითვე ლაზებსა და რომაელებს შორის უთანხმოება არ ყოფილიყო. ეგრისელები თავის ქვეყნის დასაცავად თავს არ ზოგავდნენ, რომაელი სარდლები კი, რომელთაც პირადი ინტერესების გარდა სხვა არაფერი ამოძრავებდათ, გულგრი-

ლობასა და უთაობას იჩენდნენ. ეს ახელებდა ეგრისელებს რომაელების წინააღმდეგ.

როცა ხოსრომ ეგრისის ამბები შეიტყო, ძალიან შეწუხდა, და ახალი დიდი ლაშქარი გამოგზავნა ეგრისში. სპარსელებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს რიონის პირებში, მაგრამ პეტრა მაინც შეინარჩუნეს (549 წ.).

550 წ. ხოსრომ ეგრისში ახალი სარდალი გამოგზავნა უზარმაზარი ჯარით. ეს ლაშქარი მუხურისის თემში დაბანაკდა, ძდინარე ცხენისწყლის ნაპირას. მტრის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ამხედრდნენ მეფე გუბაზი თავისი ჯარით და რომაელები. სამხედრო თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს უეცარი იერიში მიეტანათ სპარსელებზე, მაგრამ აქ თავი იჩინა უთანხმოებამ მოკავშირეთა შორის. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს: „ლაზები შეუძლებლად თვლიდნენ რომაელებთან ერთად დარაზმულიყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რომაელები ბრძოლაში გასვლით არც სამშობლოსთვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, ლაზებს, საფრთხე მოელით შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყნისთვის. ასე რომ ლაზებს თავისი ცოლებისა უნდა შერცხვეს, თუ მტრისაგან დამარცხებული იქნებიან... ლაზებს ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი და მარტო დაძგერებოდნენ მტერს, რათა მათთვის საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც ლაზებსავით არ იყვნენ გატაცებულნი სახიფათო ბრძოლაში. ლაზები რომ ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გუბაზს ძალიან გაეხარდა, მოუხმო მათ რომაელებისაგან ცოტა მოშორებით და ასე მიმართა: „მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ დარიგებით მოგმართოთ თქვენ გასამხნევებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმას, ვინც ჩვენსავით თვით გარემოებით არის უკვე აღფრთოვანებული. საფრთხე მოელის ხომ ჩვენს ცოლშვილს, სამშობლო ქვეყანას და, ერთი სიტყვით, ყველაფერს... ნუ გაქრება ლაზების სახელი! ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთანაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ომში"...

მართლაც, ეგრისის ცხენოსანი ჯარი პირველად ეძგერა მტერს, ატყდა ფიცხელი ომი. ომი სპარსელების სასტიკი

დამარცხებით დამთავრდა. სპარსელების სარდალმა და მეომრების უმრავლესობამ პრძოლის ველზე დალიეს სული, სხვებმა გაქცევით თავი უშველეს. მოკავშირეებმა კი სპარსელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ამის შემდეგ სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ლაზები მოითხოვდნენ, პეტრასაც ახლავე თავს დავესხათო, მაგრამ რომაელების სარდალი ამას ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ლაზებმა კეისართან იჩივლეს, შეიძლება თქვენი სტრატეგი სპარსელების მოსყიდული იყოს, ისე იქცევაო. იუსტინიანემ ეგრისში სხვა სტრატეგი გამოგზავნა. სპარსელებიც ეგრისში ახალი ჯარით შემოიჭრნენ. სპარსელებმა ახლა ახალი ტაქტიკით დაიწყეს მოქმედება: მათ ირჩიეს ეგრისის ჩრდილოეთ ნაწილში, ახლანდელ აფსაზეთში, გამაგრებულიყვნენ.

§ 27. მდგომარეობა აბაზგიაში

დღევანდელი აფსაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, მაშინ სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. მე-4 საუკუნეში, ახ. წ., ეს ტომები ეგრისის სამეფოში გაერთიანდნენ. მაგრამ შემდეგ აქ ცვლილება მოხდა. აფშილები ისევ ეგრისის მეფის ქვეშევრდომები დარჩნენ. აბაზგები კი, რომელნიც აფშილებზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და მე-6 საუკუნის დამდეგიდან უშუალოდ კეისრის ვასალებად ითვლებოდნენ.

აბაზგებს ძველთაგანვე ორი მთავარი ჰყავდათ, ერთი აბაზგიის დასავლეთ ნაწილში, მეორე კი — აღმოსავლეთში. აბაზგები ძალიან შეწუხებული იყვნენ თავისი მთავრების მტარვალობისა და სიხარბის მიზეზით. როცა ეს მთავრები თავის ქვეშევრდომებში ლამაზ ბავშვებს დაინახავდნენ, წაართმევდნენ მათ მშობლებს და ჰყიდდნენ რომაელებზე, ბავშვების მამებს კი ხოცავდნენ, შური არ იძიონო. აბაზგებმა ვეღარ აიტანეს ეს უსამართლობა და ორივე მთავარი მოსპეს.

ამასთან ერთად, იუსტინიანეს მოთხოვნით, აბაზგებმა ქრისტიანობა მიიღეს. ქრისტიანობის საშუალებით იუსტინიანეს აბაზგების შემომტკიცება სურდა. კეისრის ძალა-უფლებას ამაგრებდნენ რომაელი მეცხოვნენიც, რომელნიც ბიჭვინტაში და ცხუმში (სევასტოპოლისში) იდგნენ. როდე-

საც ხოსრო პირველად შეიჭრა ეგრისში, ამ პუნქტების რომაულმა გარნიზონებმა ძირამდე დაანგრიეს დასახელებული ციხეები, რადგანაც ეშინოდათ, რომ სპარსელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. სპარსელებმა მაშინ აბაზგიაში მაინც ფეხი ვერ მოიკიდეს.

მაგრამ შემდეგ სხვა ამბები მოხდა. რომაელმა მოსელეებმა და ჯარისკაცებმა, რომელნიც კვლავ გაჩნდნენ აქ, მოინდომეს აბაზგების სრული დაპყრობა და ისე შეაწუხეს ისინი თავისი ძალადობით, რომ აბაზგები გადაუდგნენ რომაელებს. რომაელივე ისტორიკოსი გამოტეხით ამბობს, აბაზგებს „ეშინოდათ რომ ამიერიდან რომაელების მონები არ გამხდარიყვნენ". მაშასადამე, როგორც სხვაგან საქართველოში, ხალხი აქაც გააფთრებით იცავდა თავისუფლებას.

აბაზგებმა ახალი მთავრები დაიყენეს და ფარულად სპარსელებს მიმართეს დახმარებისათვის. მაგრამ რომაელებმა დაასწრეს და დიდი ჯარით მიადგნენ აბაზგებს როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. აბაზგები გამაგრდნენ ერთს მიუვალ ციხეში, რომელსაც მაშინ ტრაქეას ეძახდნენ, ახლა კი გაგრა ჰქვიან. რომაელებმა ციხეს ალყა შემოარტყეს, ატყდა დაუნდობელი ომი. რომაელები რიცხვით ბევრად მეტნი იყვნენ და ბოლოს ციხეში შეიჭრნენ. აბაზგები ახლა თავისი ცოლშვილით სახლებში ჩასაფრებულიყვნენ. მტერმა მათ სხვა ვერაფერი მოუხერხა და სის სახლებს ცეცხლი წაუკიდა. მხოლოდ აბაზგების მთავარმა მოასერხა რამდენიმე კაცით ციხიდან გასვლა, „დანარჩენები კი ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩაცვივდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობით, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს", — მოგვითხრობს რომაელი ისტორიკოსი. ცხადია, აბაზგებს რომაელები ახლა თვალით არ დაენახებოდათ, და როცა სპარსელების ახალმა სარდალმა მათ ქვეყანას მიაშურა, აბაზგები სპარსელების მხარეს გადავიდნენ. სპარსელებმა იცოდნენ, რომ აბაზგებს არც სპარსელები ეხატათ გულზე და სიმტკიცისათვის მათ სამოცი ბავშვი გამოართვეს მძევლად, წარჩინებულთა გვარებიდან.

ამავე დროს არეულობა მოხდა აფშილეთშიაც. ეგრისის

მეფის ერთმა დიდმა მოხელემ, რომელიც აგრეთვე გუბაზის უკმაყოფილო აზნაურებს რიცხვს ეკუთვნოდა, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილების მეტად მაგარი ციხე წიბილი (წებელდა). მაგრამ სპარსელების სარდალმა შეურაცხყოფა მიაყენა ცისისთავის ცოლს, ტომით აფშილს. ქალის ღირსებას ხალხი ძვირად აფასებდა და აფშილებმა ამოჟლიტეს წიბილის ციხეში შესული სპარსელები.

ამრიგად, აფშილეთში სპარსელები ვერ გამაგრდნენ. მათი მთავარი სიმაგრე მაინც პეტრა იყო. ამიტომ ლაზებსა და რომაელებს გულისყური პეტრასკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

§ 28. პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ ძეფის მოკვლა

550 წ. რომაელებმა კვლავ ალყა შემოარტყეს პეტრას. ხოსროს პეტრა ძალიან გამაგრებული ჰქონდა, მაგრამ რომაელები ორჯერ მეტი იყვნენ და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მათ მოასერხეს ციხის აღება.

ახლა ქართლიდან ეგრისში სპარსელების ახალი ჯარი გადმოვიდა. სპარსელებმა შეაკეთეს ქუთათისის (ასლანდელი ქუთაისის) ძველი ციხე და აქ გამაგრდნენ. ამით სპარსელებმა გზა მოუჭრეს ეგრისს მის თემებთან — ლეჩხუმთან და სვანეთთან და აგრეთვე მსიშვნელოვან ციხესთან — უქიმერიონთან.

552 წ. რომაელებმა და სპარსელებმა ისევ შეჰკრეს ხუთწლიანი ზავი, რომლითაც სპარსელებმა კარგად ისარგებლეს თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად ეგრისში. ამავე დროს, ეგრისის აზნაურებში ისევ გაიზარდა მიდრეკილება სპარსელებისადმი. რომაელი ისტორიკოსი აგვიამბობს, რომ თუმცა გუბაზ მეფეს რომაელების მხარი ეჭირა, „დანარჩენი ლაზები, რომელნიც რომაელი ჯარისკაცებისაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროებულნი, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ, არა იმიტომ რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ რომაელების ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ". ეგრისის ხალხი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდა.

ერთმა ეგრისელმა აზნაურმა, სპარსელების მომხრემ, უჭიმერიონის ციხე სპარსელებს გადასცა. ეს ციხე სვანეთის გზაზე ბატონობდა და ამრიგად სპარსელებმა ახლა სვანეთლეჩხუმის თემები უფრო კარგად დაიმორჩილეს. შორაპნის ციხეც სპარსელებს ეჭირათ მტკიცედ ხელში. გუბაზ მეფე და რომაელები ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, მაგრამ გუბაზს სპარსელებთან შერიგება მაინც არ სურდა და წვრილ-წვრილი თავდასხმებით, პარტიზანული ომით, მათ მოსვენებას არ აძლევდა. 553 წელს გუბაზს რამდენიმე ბრძოლა ჰქონდა სპარსელებთან. ამ ბრძოლებში რომაელები სრულ უდარდელობასა და სილაჩრეს იჩენდნენ. გუბაზ მეფე მათზე ძალიან გაგულისებული იყო და საჯაროდ ილანძღებოდა, რომაელი სარდლები უჭკუო, უქნარა და მშიშარა ხალხიაო. ამიტომ 554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოკლეს გუბაზი, ვითომც სპარსელებთან კავშირის გამო.

§ 29. სახალხო კრება ეგრისში და ბჭობა ორიენტაციის საკითხის შესახებ

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გუბაზის ვერაგულად მოკვლამ „ააღელვა ლაზების მთელი ჯარი. ლაზები ისე იყვნენ აღშფოთებულნი, რომ გადაწყვიტეს აღარ შეერთებოდნენ რომაელებს და აღარ ეომნათ მათთან ერთად. როცა ლაზებმა გუბაზი დაასაფლავეს თავისი ჩვეულების თანახმად, მათ აღარ მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში, რადგანაც თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ, ჩვენმა სამშობლომ დაჰკარგა თავისი სახელი და დიდებაო“.

თუ რას ნიშნავდა ლაზების ჯარის დახმარება, ეს რომაელებმა მალე დაინახეს ონოგურის ბრძოლაში. აქ 3.000 სპარსელმა სამარცხვინოდ დაამარცხა 50 000 რომაელი, რომელთაც ეგრისელები არ ეხმარებოდნენ.

თვითონ ლაზები ამ დროს თავისი ქვეყნის შემდგომ ბედზე ფიქრობდნენ. ხალხის თავკაცებმა ერთ ხეობაში დიდი საერო კრება მოიწვიეს. აქ ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა იმის თაობაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში. კრების მეთაური აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ.

ერთი ჯგუფის სათავეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების ჭომსრე.

აიეტი ამტკიცებდა, გუბაზის მოკვლა ძალოლად დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახულიო, სპარსელები კი უფრო სანდონი არიანო. „გაქრა კოლხების ძველი ღირსება, — ამბობდა აიეტი და დღეიდან უკვე ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები აღარ დაგვესხნებიან და კიდევ უფრო მეტად გაგვაბასებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა, რომაელები იმათ კიდევ უფრო თავხედურად ექცევიან, ვინც მათ ემორჩილება, და, ჩვეულებრივად, ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა რომ კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭიროდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს იგი მხოლოდ თავისთავს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ანდა ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან“.

აიეტის სიტყვამ ისე აანთო ხალხი, რომ ერთხმად იგრიალეს, სპარსელებს მივეშველოთო.

მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფარტაძმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში მოხვეჭილი, შეაჩერა ხალხი. ფარტაძი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულისათვის დავივიწყოთ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა ავირჩიოთო. გუბაზის მოკვლა სტრატეგების საქმეა და კეისარი აქ არაფერ შუაშიაო. რომაელები მაინც უფრო მისაღები არიან, რადგანაც სპარსელები ვერასოდეს შეურიგდებიან, ჩვენ რომ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვსო. „სასოწარკვეთილებასა და გრძნობათა ღელვას კი არ უნდა ავყვეთ და პირებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი უღირსი და მამაპაპური წესების შემბ-

ღალველი". შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზეო.

ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა, შეატყობინეს იუსტინიანე კეისარს მომხდარი ამბავი, მოითხოვეს მკვლელების დასჯა და სთხოვეს ეგრისის მეფედ გუბაზის ძმის, წათეს, დამტკიცება, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. იუსტინიანეს კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი ლაზების მნიშვნელობა იმდროინდელ გარემოებაში და რომ ეგრისის სალხი მას არ გადასდგომოდა, სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა მოთხოვნა. მკვლელები დაისაჯნენ, სოლო მეფედ ნაკურთხი წათე მეორე დიდი ზეიმითა და დიდებით ჩამოიყვანეს სამშობლოში. წათე შეუდგა ეგრისის მართვას მამა-პაპური წესების თანახმად.

§ 30. მისიმიელების აჯანყება. სპარსელების საბოლოო დამარცხება ეგრისში

მისიმიელები აფშილებს ზემოთ ცხოვრობდნენ, მდ. კოდორის სათავეებში. ისინი ეგრისის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა თავისი საკუთარი ენა და ადათები ჰქონდათ. 555 წელს მათს ქვეყანაში მოვიდა ერთი რომაელი სტრატეგი, რათა ყოველწლიური ხარკი გადაეცა ალანებისათვის, რომელნიც მაშინ დღევანდელი ყარაჩაის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და რომაელების მოკავშირეები იყვნენ.

სტრატეგის ქცევა მისიმიელებს არ მოეწონათ და ეჭვიც გაუჩნდათ, ჩვენი ციხის გადაცემა ხომ არ უნდა ალანებისათვისო. ამიტომ მისიმიელებმა მას მოციქულები მიუგზავნეს და ასე შეუთვალეს: „უსამართლობას გვიპირებ, როგორც ჩანს, სტრატეგო. შენ არც სხვას უნდა მისცე ნება, რომ ჩვენი საკუთრება წაიღოს, არც თვითონ უნდა მოისურვო ასეთი რამ. თუ რომ მართლაც ამგვარი რამე გულში არ გიძევს, წაბარგდი ახლავე აქედან, სხვაგან დადექ და სამყოფ სასმელ-საჭმელს ჩვენ მოგიტანთ".

სტრატეგმა ისეთი სიბრიყვე ჩაიდინა, რომ ელჩები ჯოხით

აცემინა. მთიელი ხალხის აზრით, ცემა ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც სისხლით უნდა მოირეცხოს. აქ კიდევ ხალხის ღირსება იყო გაქელილი, რაკი მის წარმომადგენლებს მოექცნენ ეგრე უდიერად. ამიტომ იმავე ღამეს მისიმიელები თავს დაესხნენ რომაელებს და მუსრი გაავლეს, თვითონ კი სპარსელების მხარეს გადავიდნენ. როცა რომაელები კვლავ მოვიდნენ აქ, ისეთი გამხეცებული იყვნენ, რომ ბავშვებსაც არ ინდობდნენ — ზოგს კლდიდან ძირს ისროდნენ, ზოგს შუბის წვერზე აცმევდნენ, მაგრამ თავისუფლების სიყვარულმა იმდენი ჰქნა, რომ ამ პატარა ტომმა სამარცხვინოდ გააქცია თავპირდალეწილი რომაელები. ბოლოს საქმე შერიგებით გათავდა: მისიმიელებმა რომაელებს ზარალი აუნაზღაურეს, სამაგიეროდ თარჩობა მიიღეს ეცხოვრათ თავის ნებაზე ძველებურად, მამა-პაპური ადათების მიხედვით.

ამავე 555 წ. სპარსელების სამოცათასიანმა ჯარმა იერიში მიიტანა რომაელებზე ციხეგოჯის მიდამოებში, რომაელების საქმე შეიძლებოდა ცუდად წასულიყო, მაგრამ ისინი ერთი ლაზის გმირობამ გადაარჩინა. ეს კაცი სპარსელებს დაეჭირათ, გზა გვიჩვენეო. მეგზურმა იმდენი მოასერხა, რომ რომაელებს შეატყობინა მტრის მოძრაობა და სპარსელები ხაფანგში შეიტყუეს. რომაელებისა და მათი მოკავშირეების უეცარი თავდასხმის გამო სპარსელები შედრკნენ და გაიქცნენ დიდად დაზარალებულნი. ამის შემდეგ სპარსელებმა ქალაქ ფასიდზე გაილაშქრეს, მაგრამ აქ კიდევ უფრო საშინელი დამარცხება განიცადეს, 12.000 კაცამდე დაჰკარგეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს.

ახლა შაჰმა ეგრისში თავისი საქმე წაგებულად ჩათვალა და ჯერ დროებითი ზავი შესთავაზა რომაელებს, შემდეგ კი, 562 წ. ქალაქ დარაში უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულებაც დაუდო.

ქალაქ დარაში დადებული ზავის პირობით, სპარსელები უარს ამბობდნენ ეგრისზე, მაგრამ სადაოდ მიაჩნდათ სვანეთი, ეგ კუთხე ჩვენი იყო და ჩვენ უნდა დაგვრჩესო.

სვანებიც ძველთაგანვე ეგრისის მეფის ვასალები იყვნენ. ეგრისის მეფე ამტკიცებდა სვანეთის მთავარს თვით სვანების წრიდანვე. გარდა ამისა, ეგრისის მეფე სვანებისაგან ძღვნად იღებდა თაფლს, ცვილს, ტყავებსა და სხვა ამგვარ საგნებს,

თვითონ სამაგიეროდ პურს უგზავნიდა, რომელიც სვანებს აკლდათ.

სპარსელებთან ომის დროს კი მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სვანები იმასაც აბრალებდნენ ეგრისელებს, რომ პური აღარ მოგვაწოდესო. ამიტომ სვანებიც ერთი პირობა სპარსელების მხარეს გადასულან. უეჭველია, რომ სვანებიც ამ შემთხვევაში თავის სახალხო თავისუფლებაზე ფიქრობდნენ და იმას არჩევდნენ, ვინც იმ არეულსა და შფოთიან დროში ნაკლებად საჩიფათო მოკავშირე ჩანდა. ახლა კი სპარსელები სვანეთიდან დაძვრას აღარ აპირებდნენ. მართლაც, სვანეთის საუღელტეხილო გზებს მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ, თუ ისინი სვანეთში გამაგრებას მოახერხებდნენ, ეგრისი მუღამ საფრთხის ქვეშ იქნებოდა. ამიტომ არც რომაელები სთმობდნენ სვანეთს.

ეს დავა დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე 575 წლის მახლობლად რომაელები სვანეთში არ შეიჭრნენ და სვანეთის მთავარი ტყვედ არ წაიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელების გავლენა დასავლეთ საქართველოში ძირიანად ამოვარდა.

§ 31. კულტურა და იდეოლოგია მე-4—მე-6 საუკუნეებში

ისე როგორც სხვაგან, საქართველოშიაც თავდაპირველად კულტურა და იდეოლოგია უპირატესად სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაგებია, რადგანაც რაც უფრო უძლური იყო ადამიანი გარემო ბუნებასთან ბრძოლაში ტექნიკისა და მეცნიერების სუსტი განვითარების გამო, მით უფრო ცრუმორწმუნე იყო იგი.

მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, კულტურასა და იდეოლოგიასაც საეკლესიო-ქრისტიანული ელფერი ედო მეტ-ნაკლებად. ასეთი იყო, მაგალითად, მწერლობა, ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ კი უმთავრესად თარგმანებით დაიწყო. როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიაც უძველესი ნათარგმნი საქრისტიანო წიგნები სახარება და დაბადება იყო. სთარგმნიდნენ ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან.

მალე ორიგინალური მწერლობაც გაჩნდა ჰაგიოგრაფიული ხასიათისა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში მოთხრობილი იყო ისეთი პირების ცხოვრება, რომლებმაც ღვაწლი დასდეს ქრისიტანობას, ან თავიც კი შესწირეს მას. უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებაა „შუშანიკის მარტვილობა“ ანუ წამება, დაწერილი იაკობის მიერ მე-5 საუკუნის სამოცდაათიან წლებში. აქ აღწერილია თუ როგორ აწამა ვარსქენ ქართლის პიტიახშმა თავისი ცოლი შუშანიკი იმის გამო, რომ შუშანიკამ არ შეასრულა ვარსქენის მოთხოვნა და ცეცხლისმსახურება არ მიიღო. დაწერილია ეს ძეგლი მოქნილი, მომჭირნე და მდიდარი მხატვრული ენით. იგი ამავე დროს ძვირფასია როგორც ისტორიული წყარო, იმიტომ, რომ მასში კარგად არის ასახული ქართლის საზოგადოება და მისი ყოფა-ცხოვრება მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე კარგი ისტორიული წყაროა „ესტატე მცხეთელის წამება“, რომელიც უცნობ ავტორს დაუწერია მე-6 საუკუნის შუა წლებში და რომელშიაც აღწერილია ქართლის ვითარება მარზპანობის ღროს.

მწერლობა მაშინ სრვა მიზნებსაც ემსახურებოდა, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოებრივსა და კერძო სამოქალაქო საქმის-წარმოებას, წარწერებს აკეთებდნენ ფულებზედაც. შენახულია ერთი წარწერა, ახალციხის მხარის სოფ. წყისეში ნაპოვნი. ეს წარწერა მე-6 საუკუნის დამლევს თუ მე-7 საუკუნის დამდეგს ამოუჭრევინებია ქვის ჯვარზე ვინმე კონსტანტის იმის ნიშნად, რომ მიწა, სადაც აღმართული იყო ეს ქვაჯვარი, ნაყიდი მისული იყო.

მწერლობას ხმარობდნენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის ღროს. ეგრისის სამეფო არქივში ძალიან ძველი დოკუმენტებიც ჰქონდათ დაცული. ასევე იყო, რა თქმა უნდა, ქართლშიაც.

იმდროინდელი ქართული პოეტური და ფილოსოფიური მწერლობიდან თითქმის არაფერია ჩვენ დრომდე შემონახული, თუმცა ამ დარგის უცხო ლიტერატურას ჩვენში კარგად იცნობდნენ. მე-4 საუკუნეში ეგრისელებს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე, ბერძნები კი ამ საქმის უდიდესი ოსტატები იყვნენ, ამიტომ საუკუნის მეორე ნახევარში აღმო-

სავლეთ რომის იმპერიაში კარგად ყოფილა ცნობილი თავისი ჭკუით, განათლებით და ფილოსოფიის სიყვარულით ქართველი სეფეწული ბაკური.

ცხადია, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. მართლაც, მე-4 საუკუნეში კოლხეთში, ფასიდის მახლობლად, არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, სადაც ფილოსოფიური განათლების მისაღებად ახალგაზრდებს გზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა, შორეული ადგილებიდან. კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლაში მიუღიათ თავისი განათლება იმდროინდელს გამოჩენილს კონსტანტინოპოლელ რიტორს ევგენისა და მის შვილს თემისტის. როგორც ქართლში, ისე ეგრისში, ჩანს იცნობდნენ სპარსულ მწერლობასაც.

მწერლობა გამოყენებული იყო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. როცა სპარსელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ზოროასტრიანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და, სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ არის დანერგილი, რომელიც ვითომც სპარსეთთან იყო დაკავშირებული.

მონოფიზიტები შეუბრალებლად სპობდნენ დიოფიზიტების ანუ ქალკედონიტების მწერლობას. დროგამოშვებით გავლენას იხვეჭდა სხვა მიმართულებებიც, მაგალითად, მანიქეველობა, რომელიც განსაკუთრებული სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური მოძღვრება იყო და მესამე-მეოთხე საუკუნეებში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთში. სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა სპარსელი მოხელეებისათვის.

ამიტომ, მოკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსე-

ლების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წ. სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დ ვ ი ნ შ ი, მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებამ, სპარსელებისავე კარნახით, ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა. ამის შემდეგ ეკლესია სპარსელების მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ, როგორც კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, მაშინვე თავი წაიყენეს ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წ., გურგენის აჯანყებისთანავე, ძალა ჰქონდათ მოპოვებული ქართლში, მე-6 საუკუნის დამლევისათვის კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებული იყვნენ. რადგანაც სომხეთში, რომელიც სპარსეთთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონოფიზიტებმა მეტ ხანს გაძლეს, ამიტომ სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა (607 წ.). ახლა ქალკედონიტებმა დაუწყეს მონოფიზიტებსა და მათ მწერლობას უწყალო დევნა. ამიტომ არის ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაზიანებული სახით ჩვენ დრომდე მოღწეული.

სულიერი კულტურის სფეროში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ დროს ქართლისა და ეგრისის თანდათანი დაახლოება. არც მეგრულს, არც სვანურს, არც აფსაზურ ენაზე მწერლობა ძველად არ ყოფილა. როცა ქრისტიანობა შემოვიდა ეგრისში, იგი აქ ბერძნულ მწერლობას ხმარობდა. მაგრამ ბერძნული ენა გაუგებარი იყო ადგილობრივ მოსახლეობისათვის.

ამავე დროს არგვეთიდან (დღევანდელი ზემო იმერეთი), რომელიც ყოველთვის ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, ეგრისში მარჯვედ ვრცელდებოდა ქართული ენა, რომელიც უფრო ადვილად შესათვისებელი იყო ახლობელი ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ქართული მწერლობაც. ქართულმა მწიგნობრობამ ადრე დაიჭირა ეგრისში ბერძნულის აღგილი. ქართული კულტურის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი დასავლეთ საქართველოში იყო ქალაქი ქუთათისი (ქუთაისი). კულტურულ დაახლოებას თან მოსდევდა მოძმე ტომთა ერთობის შეგნების ზრდაც.

ნივთიერი კულტურის სფეროშიაც ამ ხანიდან მრავალი ძვირფასი ძეგლია შემონახული. უმეტეს წილად გადარჩენილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები, უფრო მცირე რაოდენობით მოღწეულია საერო არქიტექტურის ნაშთებიც. საერო ხუროთმოძღვრების ძეგლია, მაგალითად, უჯარმის ციხე.

იმდროინდელი საეკლესიო არქიტექტურა ორი მთავარი რიგისაა. უფრო ძველი შენობები ანტიკური ხანის არქიტექტურას უახლოვდება და ეგრეთწოდებულ „ბაზილიკას“ ანუ უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ასეთია მეხუთე საუკუნის დიდებული ძეგლები — ბოლნისისა და ურბნისის ტაძრები და სხვები.

მე-6 საუკუნიდან გაბატონდა სხვა რიგის საეკლესიო ხურმოთმოძღვრება, რომელიც თავისი წარმოშობით იმ ხანაზე უფრო ძველი იყო. ეს იყო ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა, რომელიც უფრო შეეფერებოდა ფეოდალური ხანის მოთხოვნილებასა და გემოვნებას. ჯვრის ტიპის ტაძარია მცხეთის ჯვარის საყდარი, რომელიც არაგვის შესართავთან მაღალ კლდეზეა აგებული VIექვსე-მეშვიდე საუკუნეების მიჯნაზე.

მცხეთის „ჯვარი“ გენიალური არქიტექტორის უკვდავი ქმნილებაა და ქართული კულტურის საამაყო ძეგლი.

საერთოდ, „ჯვარის“ არქიტექტორული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიადაგზე. მისი ხალხური წინამორბედია ქართული გლეხური სახლი „დარბაზი“ ანუ „ერთობის სახლი“, რომელიც დღემდე არის შემონახული აღმოსავლეთ საქართველოში.

მე-5—მე-6 საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა ამტკიცებს, რომ საამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა.

§ 32. საქართველოს მეზობელი ქვეყნები VII-VII საუკუნეში

საქართველოს გარშემო მდებარე ქვეყნებში გასვლილ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა. გამოიცვალა მოსახლეობა, საზოგადოებრივი წყობილება. ისტორიის სარბიელიდან ჩამოვიდა ზოგი ძველი ტომი, მათ ადგილას კი ახალი ხალხები გამოვიდნენ.

დიდი ცვლილება გამოიარა რომის სახელმწიფომ. მე-4 საუკუნის დამლევს იგი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქი უკვე მე-4 საუკუნის დამდეგიდან კონსტანტინოპოლი იყო. მე-5 საუკუნის დამლევს მოსპობილ იქნა დასავლეთ რომის იმპერია.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ამის შემდეგ მარტო განაგრძობს არსებობას. მე-7 საუკუნიდან ჩვენ მას ბიზანტიას ვუწოდებთ. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა. გარდა ამისა, ბიზანტიაში ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური ენა.

ჩრდილოეთ კავკასიაშიც ბევრი ახალი ამბავი მოხდა. მე-4 საუკუნიდან აქ ჰუნები ბატონობდნენ, რომელნიც განსაკუთრებით მე-5—მე-6 საუკუნეებში მძლავრობდნენ. ჰუნები შეცვალეს ხაზარებმა, რომელთაც მე-6 საუკუნის დამლევიდან მოიპოვეს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში. მალე აქ მათ მეტად ძლიერი სამეფო შექმნეს, რომელიც მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ხაზართა სამეფოს მეთაური ხაკანის ტიტულს ატარებდა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის არაბების გამოჩენას მსოფლიო ისტორიაში.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. მე-7 საუკუნის დამდეგს მოხდა არაბი ტომების გაერთიანება. ახალი სახელმწიფოს მეთაური იყო მუჰამედი, რომელმაც ამავე დროს არაბებში ახალი სარწმუნოებაც გაავრცელა. ახალ სარწმუნოებას „ისლამი“ ეწოდა, რაც „მინდობას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევარს „მუსლიმს“ („მინდობილს“) ეძახიან. მუსლიმებს მაჰმადიანებსაც უწოდებენ მუჰამედის ანუ მაჰ-

მადის სახელის მიხედვით. მუჰამადის ქადაგებანი ჩაწერილია ცალკე წიგნში, რომელიც „ყ უ რ ა ნ ი ს“ (არაბულად ნიშნავს „ს ა კ ი თ ხ ა ვ ს“) სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ არაბულ სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოს მეთაური შემდეგში იწოდება სალიფად, რაც ნიშნავს „მ ო ა დ გ ი ლ ეს“ (იგულისხმება მუჰამედის „მოადგილე“). ამიტომ ავით სახელმწიფოს სალიფატს ანუ სახალიფოს ეძახიან. ხალიფები სარწმუნოების მეთაურებადაც ითვლებოდნენ.

§ 33. საქართველო მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში

მე-7 საუკუნის დამდეგს სპარსეთის ძველი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ. ამ ომში ჰერაკლე კეისრის ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და თანაბოლაშქრეები იყვნენ ქართველები, ეგრისელები და აბაზგები. ქართველ მოკავშირეებს მაინც თავი დამოუკიდებლად ეჭირათ. ისინი თვითონ უკარნახებდნენ კეისარს ბრძოლის გეგმას და როცა ჰერაკლე ამ გეგმას არ ეთანხმებოდა, საეროდ უარს ამბობდნენ ლაშქრობაზე.

ჰერაკლემ კავშირი გააბა ხაზარებთანაც, რომლებმაც დიდი ჯარი მისცეს ბიზანტიის მფლობელს.

ამ დროს ქართლის ერთი ნაწილი, უმთავრესად — საპიტიახშო, ჯერ კიდევ სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თბილისშიც სპარსელების ჯარი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისს ალყა შემოარტყეს, ბევრი ძალაც შეალიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მეციხოვნე ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარი და ხაზარების ხაკანი მასხრად აიგდეს: ციხის გალავანზე გადმოდგებოდნენ ხოლმე და ბიზანტიელებს მისძახოდნენ — თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაცის კისერი აქვსო, ხაზარებს კი დიდ კვასს უჩვენებდნენ, რომელზედაც ადამიანის სახე დაცინვით იყო გამოსახული და უყვიროდნენ, აი, თქვენი ჯიბღუ ხაკანიო. კეისარი და ხაზარები მძვინვარებდნენ ამ შეურაცხყოფის გამო, მაგრამ თბილისელებს მაინც ვერაფერი უყვეს და იძულებული შეიქმნენ გასცლოდნენ ქართლის დედაქალაქს. მხო-

ლოდ მეორე წელს, როცა კეისარმა სპარსელებს ირანში ახალი დამარცხება მიაყენა, ჩაზარებმა კვლავ ალყა შემოარტყეს თბილისს და ორი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ძლივს აიღეს იგი (627 წ.)

, ხაზარებმა ქალაქი აოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და თვითონ კი უთვალავი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ძველი ალბანელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ როცა ხაზარებმა აიღეს „ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი", მათ ხელი მიჰყვეს ქალაქის საგანძურების ძარცვასო. ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტით შემკული ნივთების ასეული ზვინები დაუდგეს თავის ბატონს ხაზარმა მეომრებმა, რომ თვალს წყალი ელეოდა მათს ცქერაშიო.

როგორც ვხედავთ, მე-7 საუკუნის დამდეგს თბილისი მდიდარი და დიდი სავაჭრო ქალაქი იყო.

§ 34. არაბების შემოსვლა და გაბატონება საქართველოში. ბრძოლები მათ წინააღმდეგ

სალიფები თავიდანვე ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ. უკვე მეორე სალიფა ომარის დროს (634—644 წწ) არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, ირანის მეტი ნაწილი. ამის შემდეგ მათ გზა გახსნილი ჰქონდათ ამიერკავკასიისაკენაც. მართლაც პირველი არაბული რაზმი სომხეთში უკვე 640 წელს გამოჩნდა, მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო, ვიდრე ქვეყნის დაპყრობა.

ქართლსაც არაბები პირველად 642-3 წელს მოსდგომიან, მაგრამ ქართველებს ისინი დაუმარცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. თანდათანობით არაბები მომაგრდნენ. 654 წლის დამდეგისათვის არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალ. თეოდოსიოპოლი, დღევანდელი არზრუმი, ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერკავკასიაში და ქართლისაკენ გამოემართნენ.

ქართლის მმართველს — პატრიკიოზს, ესე იგი, ერისმთავარს, გადაუწყვეტია, არაბებთან ბრძოლა აღარ ღირსო, მათ-

თვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. არაბთა სარდალს მოეწონა ქართლის ერისმთავრის საქციელი და მისცა მას ეგრეთწოდებული „დაცვის სიგელი“ ,რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული.

ამ სიგელის მთავარი მუხლები ასეთი იყო: 1) არაბები ქართლის მოსახლეობის სარწმუნოებას ხელს არ ასლებდნენ, ხოლო თუ ვინმე ნებაყოფლობით ისლამს მიიღებდა, ის არაბების ძმად ჩაითვლებოდა, ესე იგი, ხარკს აღარ გადაიხდიდა; 2) ქართველები ისღიდნენ არაბების სასარგებლოდ ჯიზიათს, პირად გადასახადს, თითო დ ი ნ ა რ ს ანუ დრაჰკანს (ოქროს ფული იყო, წონით ერთ მისხლამდე, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს უდრის ოქროთი) კომლზე; 3) ქართველებს არ უნდა შეერთებინათ კომლები, გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კიდევ არ უნდა დაეყოთ კომლები, გადასახადის გასადიდებლად: 4) ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და, საერთოდ, მუსლიმებისათვის დახმარება: 5) სამაგიეროდ, არაბები უშიშროებას ჰპირდებოდნენ ქართლის მოსახლეობას.

მაგრამ ქართლი არაერთხელ აუჯანყდა არაბებს და ამ უკანასკნელთ არა ერთი ლაშქრობის მოწყობა მოუხდათ მის ხელახლა დასამორჩილებლად. იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორც 736-8 წლებში აქ არაბთა სარდალმა მურვანმა დაატრიალა. მურვანი ისედაც სასტიკი და გულქვა ადამიანი იყო, რის გამოც მას ქართველებმა „ყრუ“ შეარქვეს, ახლა კიდევ მას ქართველების სამაგალითოდ დასჯა სურდა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ასე აგვიწერს ამ შემოსევას: მურვანმა მთელი კავკასია დაიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე, მაგრამ ეს არ იკმარა, არამედ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამგალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფხაზეთის ღედაქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვებიო. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერკავკასია აოხრებულა — ქართლი, სომხეთი და ალბანეთი: აქ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საჭმელიო. ქართლში მურვანმა ღანგრია ძველი დედაქალაქის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანთაგანი — არმაზი.

დასავლეთ საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ქართლი კი მურვანის შემოსევამ კარგა ხნით წელში გასტეხა. ამ დროიდან იწყება არაბების ნამდვილი ბატონობა ქართლში.

გასაგებია, ამიტომ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, თუმცა ქართველებს ზოგი გარემოება ხელს უწყობდა.

ჯერ-ერთი, არაბების ძალა-უფლება უფრო ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა და მთიან რაიონებს ეგრე რიგად ვერა სწვდებოდა. ამით სარგებლობდა ხალხი, ხეობებსა და მთიანეთს თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა მტერს.

სიცოცხლეს უმწარებდნენ არაბებს ხაზარებიც. ხაზარები ხშირად კავკასიონის სანხრეთითაც ახერხებდნენ შემოჭრას და აოხრებდნენ არაბთა სამფლობელოს. 764 წ. ხაზარებს მოკლე ხნით თბილისიც დაუჭერიათ. ძველი ქართველი ისტორიკოსი გვიამბობს: ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს ჰყავდა და, შუშანი, სილამაზით განთქმული. ხაზართა ხაკანმა სთხოვა ჯუანშერს, შერი და ცოლად მომეც და არაბების წინააღმდეგ გიშველიო. შუ ნი და მისი დედა ცივ უარზე იდგნენ, წარმართის ცოლობა როგორ იქნებაო. გაგულისებულმა ხაკანმა დაალაშქრინა ქართლი და შუშანი და ჯუანშერი ტყვედ წააყვანინა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია: შუშანს ბეჭდის თვლის ქვეშ საწამლავი ჰქონდა, მოსწოვა ის და თავი მოიკლაო. დიდი მეფის არასასურველ ცოლობას, ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პროვინციელი არაბი ამირების ურჩობას, ხალიფების მიმართ, რაც მე-9 საუკუნის დამდეგიდან იწყება. ბრძოლა ხალიფასა და ამირებს შორის ძალიან ხელს უწყობდა არაბების შინაგან დასუსტებას, რითაც დაპყრობილი ხალხები კარგად სარგებლობდნენ.

დიდი აჯანყების ცეცხლი, არაბების წინააღმდეგ, უფრო ადრე სომხეთში დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს გარემოებაც აღიზი-

ანებდა არაბებს, რომელნიც ლტოლვილების გაცემას მოითხოვდნენ და მათს მასპინძლებს სასტიკად სჯიდნენ ხოლმე.

იქნებ ასეთი მიზეზით დაისაჯა ქართლის ერისმთავარი ნერსე, რომელიც 772-3 წელს ხალიფას თავის სატახტო ქალაქში ბაღდადში, დაუბარებია და „ბოროტ კაცთა შესმენით" საპყრობილეში ჩაუსვამს. ნერსე სამი წელიწადი მჯდარა ბაღდადის საპატიმროში. შემდეგ ნერსე ისევ ერისმთავრად დაბრუნებულა ქართლში, მაგრამ, ჩანს, არაბებთან შეგუება მისთვის ძნელი იყო. ნერსე იძულებული გამხდარა თავისი ოჯახი და ქონება აფხაზეთში გაეგზავნა, თვითონ კი დიდი ხმალით გადავიდა ჯერ საზარეთში და შემდეგ აგრეთვე აფხაზეთში. ეს ამბები მე-9 საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს მოხდა.

ამ დროიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანეთი უკვე გამუდმებით აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. მეტი წილი მთავრები, სეფეწულები და დიდი აზნაურებიც, რომელთაც ერთი სანობა, დასაწყისში, არაბებთან თითქოს საერთო ენა ჰქონდათ გამონახული, ასლა ცდილობდნენ ხალხს არ ჩამორჩენოდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალიფები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ, ერთიმეორეზე უფრო სასტიკი ამირების მეთაურობით, და შეუპარალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. მათ შორის პირველი იყო მე-8 საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე. საბანისძემ ასწერა ერთი ჭაბუკი არაბის, აბოს, ცხოვრება. აბო ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახური იყო. მან ისლამს თავი დაანება და ქრისტიანობა მიიღო. 780 წ. 6 იანვარს ქართლის ამირამ აბო სიკვდილით დასაჯა, რადგანაც აბომ უარი თქვა ისევ ისლამს დაბრუნებოდა, რასაც მისგან არაბები მოითხოვდნენ.

საბანისძემ გამოიყენა აბოს წამების ამბავი, რათა თავის თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის შეგნება გაეღვივებინა: აი, როგორია ჩვენი რჯული, ჩვენი წესი და ქვეყანა,

რომ გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენკენ გაიმოყის და თავსაც კი სდებს ახალი სამშობლოსათვისო.

საბანისძე მიზნად ისახავდა გაემხნევებინა მერყეები და სუსტნი, რომელნიც „შაშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა", არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა კვლავ მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა" დაშინებით, ვერაგობით, მოსყიდვით, „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუილებით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრობით". ღამის ჩვენი საკუთარი სახე დაგვეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთო, მრისხანე გულისწუხილით მოსთქვამდა საბანისძე: „აღვერიენით ერსა უცხოსა".

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა საბალხო თვითშეგნებას, აკაჟებდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

§ 35. არაბების დასუსტება. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში

თუმცა არაბებმა საბოლოოდ მოსპეს ქართლის ერისმთავრობა, რომელსაც ორი საუკუნე იარსება, მაგრამ ხალხმა მაინც მოახერხა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ქართლის განაპირა თემებში. მათ შორის ყველაზე ადრე გაძლიერდა კახეთი, რომელიც არაგვიდან იწყებოდა.

აქ ივრისა და ალაზნის ნოყიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულმშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევრისათვის კახეთში ხალხი ძალიან მომრავლებული და შეძლებულიც იყო. მისდევდნენ კახელები მიწათმოქმედებას, კერძოდ — მევენახეობას, და მესაქონლეობას ფართოდ. კახელები საუცხოო ცხენებსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ჯოგ-ფარების პატრონები იყვნენ. ხარბ დამპყრობლებს კახელების სიმდიდრე ძალიან იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამა-

ყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ.

მე-8 საუკუნის შუა წლებიდან კასეთი აინუნშიაც არ აგდებდა არაბებს. არაბული ცნობებით, კახელები ამ დროს ყველაზე საშიში მტრები იყვნენ არაბებისათვის ამიერკავკასიაში. მართლაც, სისხლისმღვრელ ბრძოლებში, არაბებსა და კახელებს შორის რომ ხშირად ხდებოდა, გამარჯვება ჩვეულებრივად კახელებს რჩებოდათ. მე-8 საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე თავისი მთავარიც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყვეს.

რიგი ცვლილებები ხდება ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, მე-6 საუკუნის დამდეგიდან აბაზგების სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. მე-8 საუკუნეში აფხაზეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული, ღონიერი და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა იყო.

მე-8 საუკუნის დამლევს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არევ-დარევა იყო. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის სამეფო დაუძლურებული იყო. აფხაზთა ერისთავმაც ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი.

აფხაზთა მეფებმა თავის სატახტო ქალაქად ქუთათისი, დღეყანდელი ქუთაისი, აირჩიეს: აფხაზთა სამეფოს ვრცელ ტერიტორიას ცენტრად ქუთაისი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ძველი ციხე-გოჯო. გარდა ამისა, ქუთაისი მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა. ამის შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებულებაც მიიღო.

ამ გაბატონებული დინასტიის მიხედვით თვით სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა, თუმცა მოსახლეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მე-9—მე-10 საუკუნეებშიაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები — ქართები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ.

ყველაზე გვიან ახალი ქართული ფეოდალური სამთავრო სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი აშოტ ბაგრატიონი იყო.

ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით სპერის (ახლანდელი ისპირის) პროვინციიდან იყო, ამ ძველისძველი ქართული თემიდან. თავისი წინდახედული, მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს მე-6—მე-8 საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე — ქართლში. ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს, ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნეს მე-19 საუკუნის დამდეგამდე.

ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, აშოტი, არაბთა სამსახურში ყოფილა თბილისში მე-9 საუკუნის დამდეგს. მაგრამ აშოტი ვერ შესწყობია არაბებს და თავისი ოჯახითა და ამალით ჭოროხის ხეობაში, შავშეთისა და კლარჯეთის თემებში, გადასულა. რადგანაც ეს ხეობა მაშინ ბიზანტიის საზღვრებში ითვლებოდა, ამიტომ აშოტმა თავისი თავი კეისრის ვასალად აღიარა, კურაპალატის ტიტული მიიღო და სამთავროს ორგანიზაციას შეუდგა.

თავის მთავარ საყდრად აშოტმა ძველი ციხე-ქალაქი არტანუჯი აირჩია, რომელიც თვითონვე განაახლა. აშოტის მიერ დაარსებულ სამთავროს ჩვეულებრივად ტაო-კლარჯეთის სამთავროს ეძახიან, იმიტომ რომ მის ძირითად ოლქებს ტაო და კლარჯეთი შეადგენდნენ.

აშოტ კურაპალატი მოკლეს 826 წ.

მე-9 საუკუნის დამდეგისათვის თბილისის არაბმა მმართველებმა — ამირებმა, ისევე როგორც სახალიფოს სხვა ადგილობრივმა მმართველებმა განაპირა ქვეყანაში, ხალიფების ურჩობა და გაწბე წევა დაიწყეს. ეს ამირები ყურს აღარ ათხოვებდნენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებას და ქვეყნიდან მოკრეფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიდნენ, არამედ თვითონ ითვისებდნენ.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ თბილისის ამირებსაც. უკვე მე-9 საუკუნის ოციან წლებში გადასდგომია ხალიფას თბილისის ამირა. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა მომდევნო ამირა, საჰაკი, რომელსაც კახელები უმაგრებ-

დწენ ზურგს. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთმეტი წელი გაგრძელდა. გაგულისებულმა ხალიფამ საქართველოში 853 წ. დიდი ჯარი გამოგზავნა ბუღა თურქის მეთაურობით. ბუღამ, ზოგი ადგილობრივი მთავრის დახმარებით, დაამარცხა საჰაკი და მისი მოკავშირეები, 5 აგვისტოს აიღო თბილისი, დასწვა იგი და მცხოვრებნი გაყლიტა. სიკვდილით დასაჯა საჰაკიც. არაბული ცნობებით, ამ ამბების დროს თბილისში 50 000 კაცი დაღუპულა. აქედან ჩანს, თუ რამდენად დიდი ქალაქი ყოფილა მაშინ თბილისი.

ამის მიუხედავად, თბილისის ამირები მეცხრე საუკუნის დამლევიდან უკვე ფაქტიურად აღარ ემორჩილებიან ხალიფას. მორჩილება გარეგნულად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ერთი ხანობა კიღევ თბილისის ამირები ფულს ხალიფას სახელით ჭრიან.

თბილისის საამირო ამ დროს მეტად შემცირებული იყო. საამიროს საზღვრები ვიწროვდებოდა ქართული სამთავროების — კახეთის, ტაო-კლარჯეთისა და აფსაზეთის — შემოტევის წყალობით.

§ 36. პირობების ჟომზადება ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის

მე-9—მე-10 საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და გაძლიერდა ეკონომიკურად. მართალია, არაბთა შემოსევებმა მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მურვან ყრუს ლაშქრობამ, შეაცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა ბარის ზოგიერთ რაიონში, მაგრამ ორასი წლის განმავლობაში ხალხმა აქაც შეძლო ხელახალი დამკვიდრება და მეურნეობის გაჩენა.

არაბებისაგან დაცულ განაპირა რაიონები კი წინ მიდიოდა უფრო სწრაფი ნაბიჯით. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ძველისძველი კულტურული გამოცდილება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ახერხებდა თავისი მეურნეობის ფართოდ გაშლას, სამოქალაქო ცხოვრების გაჩაღებასა და მარჯვედ თავის დაცვასაც ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მე-9—მე-10 საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-9 საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ომები, როგორიც იყო, მაგალითად, ბუღა თურქის შემოსევა, იშვიათი გახდა. ჩვეულებრივად იმდროინდელი ომები პატარა ცხენოსანი რაზმების ერთი შეტაკებით თავდებოდა ხოლმე. ამგვარი შეტაკება იშვიათად თუ გაგრძელდებოდა ერთ დღეზე დიდხანს. უეცრად შემოსული მტერი ასევე ქრებოდა, რადგანაც ყოველთვის მამაცი ხალხის შეუდრეკელ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ იყო რომ მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-10 საუკუნეში ეს ომები ეგრერიგად ვეღარ აბრკოლებდნენ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და მშენებლობას.

ამრიგად, კახეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ ჩ-9 საუკუნისათვის. როცა, მე-9 საუკუნის დამდეგს, არაბებმა ზავი დასდეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს თუ როგორი დიდი რაოდენობით აშენებდნენ კახელები იმ დროს საქონელს. შემდეგშიაც კახეთი განთქმული იყო თავისი ცხენებითა და ცხვრით. კახური ჯიშის ჩამომავალია ახლანდელი საყოველთაოდ ცნობილი თუშური ცხვარი. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყუარი ნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია კახეთის მიწა-წყალი.

მე-9—მე-10 საუკუნეებში დასავლეთ საქართველო (აფხაზთა სამეფო) ყველაზე მყუდროდ დაცული მხარე იყო. ხალხის გამრავლებასა და მის ცხოვრებას გარეშე მტერი ხელს არ უშლიდა. იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთია მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს შესანიშნავი ტაძარი ჭყონდიდში, განახლებულ-გადაკეთებული აფხაზთა მეფის გიორგის მიერ მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, მოქვის დიდებული ტაძარი, აშენებული აფხაზთა მეფის ლეონის მიერ მე-10 საუკუნის შუა წლებში და სხვა ძეგლები.

აფხაზეთს წააცილებდა თავისი სიმდიდრით ტაო-კლარჯეთი. ერთი აქაური ქართველ ტომთაგანი, მესხების სახელით ცნობილი, როგორც ვიცით, უძველეს დროშიაც განთქმული იყო თავისი მიწათმოქმედებით. პური, მაგალითად,

მესხებს და ტაო-კლარჯეთის სხვა ქართველ ტომებს (კლარჯებს, შავშებს...) იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. მისდევდნენ ისინი მევენახეობა-მეღვინეობასაც და ბლომად აშენებდნენ აგრეთვე შინაურ საქონელს.

იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისეთი შესანიშნავი ძეგლები არქიტექტურისა, როგორიცაა ოშკის, იშხანის, ბანას, ხახულის ტაძრები. რა სახსარი სჭიროდა ასეთი ტაძრების აშენებას, ეს კარგად ჩანს ოშკის ტაძრის წარწერიდან. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ კალატოზების, მუშებისა და მუშა-საქონლის ქირა ყოველწლიურად შეადგენდა ოცი ათას დრამას. დრამა ვერცხლის ფული იყო და უდრის დაახლოებით 20—25 კაპიკს ოქროთი. 20 000 დრამა 4.000 მანეთზე მეტია ოქროთი, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს ფული ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახალ ხანაში. გარდა ამ ფულისა, ღვინო დაუხარჯავთ ყოველწლიურად ხუთი ათასი საწყაო, ხორბალი 250 გრივი (დაახლოებით — 10.000 კილოგრამი) და რკინა 50 ლიტრა (დაახლოებით — 20 კილოგრამი). შემდეგ წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძრის მშენებლობაზე მუდმივად მუშაობდაო 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი, ქვისმზიდავი ხარი — 30, ჯორი და სხვა საკიდარი საქონელი — 30 და სხვ.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაასლოების საჭიროებას. ერთი კუთხე ერთი საქონლით იყო მდიდარი, მეორე — სხვა რამით. ზოგან საუკეთესო ჭურჭელს აკეთებდნენ, მეორე ადგილას კარგ შალის ქსოვილებს ქსოვდნენ, მესამეგან — მადანს თხრიდნენ და იარაღს ჭედდნენ, სხვები კიდევ საშენ მასალას ამზადებდნენ, წისქვილის ქვებს თლიდნენ და მრავალ სხვა ხელობას მისდევდნენ. განვითარდა ხელოსნური წარმოება. მთიელები ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას: ჯოგებს საზაფხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო კი — მეორეგან. „ჩინოს ცხოვრებაში“, რომელიც ამ დროს არის დაწერილი, აღწერილია თუ როგორ აძოვებენ ჯავახეთში თავის ჯოგებს არაგველი მწყემსები. ყოველივე ეს

იწვევდა საქართველოს სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და აღებ-მიცემას.

ფართოდ იყო იმ დროს განვითარებული საგარეო ვაჭრობაც. ქართულ სამთავროებს მაშინ სავაჭრო კავშირი ჰქონდათ მრავალ უცხო ქვეყანასთან. ბიზანტიური ცნობით, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთის დედაქალაქი არტანუჯი ძალიან ძლიერი სიმაგრე და დიდი ქალაქი იყო. აქ მოაქვთ საქონელი ტრაპიზონიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, მთელი სომხეთიდან და სირიიდანო. არტანუჯი მეტად ფართო ვაჭრობას აწარმოებს ამ საქონლით; თვითონ კლარჯეთიც დიდი და უხვი ქვეყანაა და გასაღებია იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისათვისაო.

თუ როგორ შორსმდებარე ქვეყნებთან ჰქონდათ ქართველებს კავშირი იმ დროს, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ქართული ფული, ტაო-კლარჯეთში მოჭრილი მე-10 საუკუნეში, ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო მრავალი სამთავროს არსებობა საქართველოში. ყოველ სამთავროს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, ყოველ მთავარს — თავისი საკუთარი საბაჟო. ამიტომ ვაჭრებს ბაჟი რამდენიმე ადგილას უნდა გადაესადათ, ისევე როგორც ხელოსნებსა და სოფლის მეურნეებს, რომლებსაც საქონელი, სხვისი თუ საკუთარი ნაწარმოები, ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰქონდათ. მეჯოგეებიც კი, რომელნიც საქართველოს ერთი თემიდან მეორეში გადადიოდნენ საზაფხულოდ თუ საზამთრო საძოვრების გულისათვის, ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ.

ამიტომ იყო რომ მრავალი სამთავროს არსებობა ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრისაგან, მოსპობდა დაქსაქსულობას და შინაგან მტკიცე წესრიგს დაამყარებდა.

§ 37. საქართველოს გაერთიანება. ერთიანი ქართველი სალხის ჩამოყალიბება

X საუკუნის ბოლოს, ამ 1000 წლის წინათ, მოხდა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ქართველი სალხის, მთელი საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში — შეიქმნა მყარი პოლიტიკური გაერთიანება — ერთიანი ქართული სახელმწიფო, რითაც საწყისი მიეცა საქართველოს ისტორიის სახელოვან სანას, როდესაც მალე, XI—XII საუკუნეებში, იგი კავკასიისა და მასლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. სშირად ამ სანას ქართველი სალხის ისტორიაში „ოქროს სანას“ ეწოდებენ, რაც გამართლებული ჩანს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება არა მარტო პოლიტიკურ გაძლიერება-აღმავლობას, არამედ ღიდ კულტურულ აღმავლობას, ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის არაერთი შედევრის შექმნას, რომელთაც აგვირგვინებს შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისაკენ მიმავალი გზა გრძელი, სანგრძლივი და მძიმე იყო. იგი ჩვენ წარმოგვიდგება საუკუნეების მანძილზე ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესის სახით.

უძველესი ქართული სახელმწიფოები, როგორც ვიცით, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში ჩამოყალიბდა. გვიანდელი ტაოს ტერიტორიაზე უკვე ამ 3000 წლის წინათ არსებობდა ძლიერი გაერთიანება — დიაოხი (მისი სახელი შემორჩა ძველ ქართულ პროვინცია „ტაოს“). მისი პირველი მოხსენიება ასურულ ლურსმულ წარწერებში ძველი წელთაღრიცხვის 1112 წელს განეკუთვნება. ამ წელს დიაოხი სათავეში ედგა სამხრეთ ამიერკავკასიისა და კიდევ უფრო სამხრეთით მცხოვრები ტომების დიდ გაერთიანებას, რომელსაც ბრძოლა მოუხდა აქ შემოჭრილ ასურელ დამპყრობლებთან. დიაოხი გაგრძელდა არსებობას ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის შუახანამდე, როდესაც იგი განადგურდა მეზობლების — ურარტუსა და კოლხას (ე. ი. კოლხეთის) მიერ. ეს უკანასკნელი მეორე დიდი ქართული გაერთიანება იყო ისტორიული საქართველოს დასავლეთ რეგიონში. სწორედ მისი ოდინდელი ძლიერება და ბრწყინვალება აისახა (რა თქმა უნდა, ლეგენ-

დარული სასით) ძველ ბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ.

როგორც დიაოხი, ისე კოლხა საბჭოთა (ქართველი, რუსი) ისტორიკოსების აზრით უკვე ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ — ამაზე მიგვითითებენ ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში დაცული ცნობები ამ ერთეულების ეკონომიკისა და მმართველობის სისტემის შესახებ. არც ის არის შემთხვევითი, რომ უძველესი სახელმწიფოები სწორედ სამხრეთით (კოლხას — ამ ე. წ. „ძველკოლხურ სამეფოს“ ცენტრსაც ისტორიკოსები სამხრეთით, ჭოროხის აუზში ვარაუდობენ), ძველი დროის დიდი ცივილიზაციების (ხეთები, ჰურიტები, ურარტელები) სიახლოვეში წარმოიშვნენ. ეტყობა აქ თავისი როლი ამ მაღალგანვითარებულ ცივილიზაციებთან ურთიერთობამაც შეასრულა.

„ძველკოლხური სამეფო“ VIII საუკუნის ბოლოს განადგურდა ჩრდილოეთიდან შემოსეული კიმერიელების მიერ. მისგან განსხვავებით VI—IV საუკუნეებში ძირითადად კოლხეთის დაბლობის ფარგლებში არსებულ პოლიტიკურ ერთეულს ჩვენ „ახალი კოლხური სამეფო“ შეიძლება ვუწოდოთ. ისიც სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო — ამას მოწმობს მისთვის დამახასიათებელი ბევრი ისეთი ნიშან-თვისება, რომელიც სწორედ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის არის დამახასიათებელი (ფულის ინტენსიური მიმოქცევა, ეკონომიკის მაღალი დონე, მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია...).

ბნელითაა მოცული ამავე ეპოქაში აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში არსებული ვითარება. უნდა ვიფიქროთ რომ აქაც არსებობდა ამ დროს არაერთი მცირე ადრეკლასობრივი სახელმწიფო ანდა სახელმწიფოებრიობის ზღურბლზე მდგომი გაერთიანება და სწორედ მათ შორის ჰეგემონობისათვის წარმოებული ბრძოლის ვითარებაში შეიქმნა მთელი ამ რეგიონის მომცველი დიდი პოლიტიკური ერთეული ცენტრით მცხეთაში, რომელსაც ძველი ქართული ტრადიცია „ქართლის“, ხოლო უცხოელები „იბერიის“ სახელით იცნობენ. ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეთა მიჯნაზე და მის შემდეგ ქართული ისტორიული ტრადიცია მეფე ფარნავაზს მიიჩნევს. ეს იყო ნამდვილად

ასალი ეტაპი ქართული სახელმწიფოებრიობის ზრდა-განვითარების ისტორიაში. აქამდე არსებული არცერთი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, კერძოდ, არ გაერთიანებულა ისეთი ვრცელი ტერიტორია, არც ერთ მათგანს არ მიუღწევია ისეთი სიძლიერისათვის, როგორსაც მიაღწია ფარნავაზისა და მისი უშუალო მემკვიდრეების დროს (ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნე) ქართლის სამეფომ (იბერიამ). უკვე ფარნავაზის დროს, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ამ სამეფოს ფარგლებში ერთიანდებოდა მთელი აღმოსავლეთი (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) და სამხრეთი (სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი) საქართველო. ძველი ბერძენი ავტორის სტრაბონის ცნობის თანახმად, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩამოყალიბებული სომხური სამეფოების მიერ ამ სამეფოს ჩამოეჭრა სამხრეთით მდებარე მიწები — გოგარენე (ქვემო ქართლი), ხორძენე (კლარჯეთი) და „პარიადრის მთის კალთები" (ესაა გვიანდელი პარხალი) — სატალასა და ბაიბურთის ჩრდილოეთით გადაჭიმული მთის ქედი, რომელიც ზღვის სანაპიროს პარალელურად მიიმართება შებინყარაჰისარიდან მდ. ჭოროხის შესართავისაკენ. პარიადრის მთიანეთი, ცნობილი სომეხი მეცნიერის ნიკოლოზ ადონცის მიხედვით მოიცავს ტაოსა და სპერის (დღევანდელი ისპირის) ოლქებს. რაკი ძვ. წ. II საუკუნიდან ეს მიწა-წყალი ქართლის (იბერიის) მეფეებს დაუკარგავთ, უნდა დავასკვნათ, რომ უფრო ადრე, პირველ ფარნავაზიანთა ხანაში (ძვ. წ. III საუკუნე) იგი მათი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამრიგად, ეს უკანასკნელი ამ დროს შორს, სამხრეთ-დასავლეთით იყო გადაჭიმული. ამას გარდა, საკუთრივ ფარნავაზის მოღვაწეობის აღწერისას მის მიერ წარმოებული ომების ასპარეზად იხსენიება ისეთი შორეულ სამხრეთში მდებარე ოლქები, როგორიცაა „ანძიანძორა" და „ეკლეცი" (ანტიკური წყაროების აკილისენა — მდ. ევფრატზე მდებარე რეგიონი). ტრადიციას დაუცავს გადმოცემა ფარნავაზის უშუალო კონტაქტებზე პონტოს, სელევკიდების სამეფოებსა და მათ მმართველებთან, რაც აგრეთვე სამეფოს სამხრეთით შორ მანძილზე გავრცელებაზე მეტყველებს.

ამჟამად, ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას უფრო მეტად იქცევს საისტორიო ტრადიციის ის ცნობები, რომლებიც ფარნავაზის სამეფოს გავლენის სფეროში დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონების შემოსვლაზეც მიგვანიშნებს. ტრადიცია ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ ოლქებად —საერისთავოებად ასახელებს, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ოლქებს გარდა, დასავლეთ საქართველოს ისეთ ოლქებს, როგორიცაა არგვეთი, აჭარა. ფარნავაზის სუვერენობა, ტრადიციის თანახმად, სცნო აგრეთვე ეგრისის მმართველმა ქუჯიმ.

ასეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, უნდა ვიფიქროთ, დიდად ხელი შეუწყო გვიანაქემენიდურ და ადრეელინისტურ ხანაში წექმნილმა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ — სამხრეთში საკმაოდ არასტაბილური ვითარების არსებობამ, აქ არსებული დიდი სახელმწიფოების დასუსტებამ ან ჯერ კიდევ სტაბილურობას მოკლებული ახალი სახელმწიფოების შექმნამ.

მართალია, მალე ეს ვითარება ქართლის (იბერიის) საზიანოდ შეიცვალა, მაგრამ პირველი ფარნავაზიანების ეპოქის ძლევამოსილებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებაში აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების წამყვანი როლი. იგი გამოიხატებოდა არა მარტო პოლიტიკურ ძლიერებაში, არამედ კულტურული თავისთავადობის დაცვასა და მაღალ განვითარებაში. უკანასკნელი აღეული წლების არქეოლოგიური სამუშაოები სულ უფრო ნათლად ავლენს ძველი იბერიის კულტურის ბრწყინვალებას.

ე. წ. ელინისტურ და მომდევნო — „რომაულ“ ხანაში დასავლეთ საქართველოში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ (ერთიანი კოლხური სახელმწიფოს დაცემა და აქ უცსო სახელმწიფოებრს — პონტოს, რომის — გაბატონება, მოიელი ტომების ჩამოსახლება...) კიდევ უფრო გამოკვეთილი გახადა ქართლის (იბერიის) სამეფოს წამყვანი მდგომარეობა საქართველოს მიწა-წყალზე. ამ სამეფოს ახალი აღმავლობის სანა ემთხვევა ახალი წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეებს, განსაკუთრებით მეფე ფარსმან II-ის

დროს (II საუკუნის 30-იანი — 50-იანი წლები). ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ დროს ქართლის სამეფოს საზღვრები მეტად შორს იყო გაწეული სამხრეთ-დასავლეთით. ამ მიმართულებით სამეფოს ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროზე გასულა. ამით იგი სრულიად შეიჭრა რომაელთა სამფლობელოში და ერთი მეორისაგან გათიშა ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოდან ამ დროს ქართლის სამეფოში მტკიცედ შედიოდა არგვეთიც ცალკე საერისთავოს სახით. საერთოდ, ფარსმან II-ის დროს ქართლი უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ებრძვის რომს და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ მეომარ ალანებთან (დღევანდელი ოსების წინაპრებთან) მტკიცე კავშირი ქართლის მმართველებს საშუალებას აძლევს ერთდროულად დაუპირისპირდნენ იმ დროს ძლევამოსილ სახელმწიფოებს — რომსა და პართიას. რომთან, სადაც ამ დროს იმპერატორად ადრიანე იყო, ფარსმანს გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა და არც რეაგირებდა ადრიანეს ცდებზე გაეუმჯობესებინა ეს ურთიერთობა, თავი დამოუკიდებლად ეჭირა და დათმობებზე წასვლას არ აპირებდა. მან ქედმაღლურად, როგორც ამბობს რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი, უარი თქვა ადრიანეს მიწვევაზე მასთან გამოცხადებულიყო, მხოლოდ მომდევნო იმპერატორის, ანტონინუს პიუსის დროს ფარსმან II დიდი ამალით გაემგზავრა რომს, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს — საპატიო სტუმარს ნება დართეს მსჯელობა შეეწირა კაპიტოლიუმში, თვით იმპერატორი დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა იბერიელი დიდებულების სამხედრო ვარჯიშობას, რომის ერთ-ერთ ტაძარში დაულგამთ ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება, და რაც მთავარია, იმპერატორს, როგორც მემატიანე ამბობს, „უცვნია იბერიის შორს გაწეული საზღვრები". ქართლის (იბერიის) ამ ძლიერების ხანაში (I-II საუკუნეები) მან მართლაც დაიბრუნა სამხრეთით ადრე მის მიერ დაკარგული ბევრი ტერიტორია და მტკიცე პლაცდარმი ეპყრა დასავლეთ საქართველოშიც.

ძველი ქართული ისტორიული ტრადიცია დასავლეთ-სა-

ქარიველოს მთელ რიგ რაიონებს, მათ შორის „ეგრისს“ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მყოფად მიიჩნევს III ს. ქართლის ძლიერი ხელისუფლების მეფე ამაზასპის, IVს-ის პირველ ნახევარში მეფე მირიანის, მეფე ვარაზ-ბაკურის დროსაც (IV ს. მეორე ნახევარი) და სხვ.

აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა კიდევ ერთხელ სცადეს ქართული მიწების გაერთიანება როგორც ჩანს სასელოვანი ვახტანგ გორგასლის დროს, V საუკუნის მეორე ნახევარში. ბუნებრივია, რომ ეს ბიზანტიელთა („ბერძენთა“) წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო. რომაელთა მემკვიდრენი დასავლეთ საქართველოს თავის სამფლობელოდ თვლიდნენ. „ქართლის ცხოვრებამ“ დასავლეთ საქართველოსათვის ვახტანგ გორგასლის ბრძოლის არა ერთი ეპიზოდი შემოგვინახა. აფსაზეთში „ბერძნები“ (ბიზანტიელები) მტკიცედ ფეხმოკიდებულები ჩანან. ვახტანგის ბავშვობისას მათ ახალი წარმატებისათვის მიუღწევიათ: „გამოვიდეს ბერძენნი აფსაჲეთით — ამბობს მემატიანე — რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს (ისტორიკოსები აიგივებენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მდინარესთან — ენგურთან, ოსოჯასთან ან კიდევ ღალიძგასთან) ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“ (დღევანდელი ნოქალაქევი სენაკის რაიონში). შემდგომ მეფე ვახტანგი ჩრდილო კავკასიაში — „ოსეთში“ გადავიდა და იქიდან, ჩრდილოეთიდან შეიჭრა აფსაზეთში და მთელი ეს ტერიტორია წაართვა ბიზანტიელებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ციხე-გოჯის აღმოსავლეთით დასავლეთ საქართველოს მიწები მთელი ამ დროის განმავლობაში იგულისხმება ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ვახტანგის გამარჯვებებმა ბიზანტიის კეისარი აიძულა დათმობებზე წასულიყო — მან დაუბრუნა ვახტანგს საქართველოს რიგი ოლქებისა, აგრეთვე აფხაზეთის ნაწილი, სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა სცნო ბიზანტიელთა მფლობელობა აფსაზეთის დანარჩენ ჩრდილოეთ მხარეზე.

ამრიგად, უკვე ანტიკურ ხანაში და ადრეულ შუასაუკუნეებში მიმდინარეობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისკენ მიმართული პროცესი. ამ ეტაპზე წამყვან როლს ამ პროცესში ქართლის (აღმოსავლურ-ქართული, იბე-

რიის) სამეფო ასრულებდა. საბოლოო ჯამში ამან განსაზღვრა ქართლის წამყვანი როლი ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესშიც. ყველაფერ ამას თავისი საფუძველი ჰქონდა. პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იბერიის ეკონომიკურ სიძლიერეს. იგი თავის ფართოდ განვრცობილ საზღვრებში მაინც, ვეტალურგიის, მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგების, მესაქონლეობის განსავითარებლად უფრო მეტ შესაძლებლობებსა და რესურსებს ფლობდა, ვიდრე კოლხეთი, რომლის არა მარტო მთიანეთი, არამედ ბარის რაიონებიც, დიდი ფართობის დაჭაობიანების გამო, შეზღუდული ეკონომიკური ბაზის მქონე რეგიონს წარმოადგენდა. სხვა შედეგებს შორის ამას თემის დაშლისა და ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის პროცესის შენელებაც უნდა გამოეწვია. მეკობრეობა, ტყვეებით ვაჭრობა, რომელიც ასე ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში არა მარტო ანტიკურ ხანაში, არამედ შუასაუკუნეებშიც, აგრეთვე იმ დროს ამ რეგიონის შეზღუდული ეკონომიკის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ანტიკურ ხანაში კოლხეთის მოსახლეობის მხოლოდ ცირე ნაწილი ავიდა კლასობრივი ურთიერთობის, სახელმწიფოებრიობის დონეზე. ეს იყო განვითარებული ცხოვრების ერთგვარი კუნძული, რომელიც გარშემორტყმული იყო ჯერ კიდევ ტომობრიობის პირობებში მცხოვრები მთიელთა ბასით. მათზე ეფექტური კონტროლის დაწესება კოლხურმა სახელმწიფოებრიობამ ვერ შესძლო. პირიქით, აქ ბარი განიცდიდა მთიელთა მხრით მოძალებას და შემოღწევას, რაც ხშირად თემური ტრადიციების აღორძინებასაც უწყობდა ხელს ბარის განვითარებულ რაიონებში.

სხვა ვითარება იყო ანტიკური ხანის იბერიაში. ეს იყო ძლიერი, საკმაოდ ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელმაც ადვილად შეძლო ეფექტური კონტროლი დაეწესებინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაზე, სადაც მოსახლეობა, მარიალია, განაგრძობდა თემური წყობილების პირობებში ცხოვრებას და ინარჩუნებდა ერთგვარად ავტონომიურ არსებობას აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ არა მარტო საფრთხეს არ უქმნიდა ამ სახელმწიფოს, არამედ ცენტრალური ხელისუფლების და-

საყრდენის როლს ასრულებდა მისი როგორც შინაგანი (ერისთავები და სხვ.), ისე საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კოლხური (დასავლურ-ქართული) სასელმწიფოებრიობის შედარებითი სისუსტე განსაზღვრა აგრეთვე გარეშე ძალის (ელინისტური ხანის პონტოს სამეფო, რომი, ბიზანტია) თითქმის განუწყვეტელმა ბატონობამ ამ რეგიონში. ეს უკანასკნელი უარყოფით როლს თამაშობდა კულტურულ განვითარების ასპექტშიც — მაღალგანვითარებული ბერძნულ-რომაული კულტურა აშკარად ბოჭავდა აქ საკუთარი კულტურის წინსვლას, მაშინ როდესაც მეზობელი იბერია უკეთ ინარჩუნებდა კულტურულ ოავისთავადობას და უმკლავდებოდა უცხო კულტურის (ძირითადად ირანულის) მოძალებას. ამიტომ იყო რომ ეროვნული (ქართული) ენის გამოყენებაზე აგებული ეკლესიაც აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდა (IV ს.) და მდიდარმა ქართულმა ლიტერატურამ იწყო განვითარება, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოში რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში მოსახლეობისათვის უცხო ბერძნული ენა იყო გაბატონებული. შემდეგში ეს გარემოებაც ერთ-ერთი დამატებითი ბერკეტი გახდა იმისათვის, რომ ქართველთა კონსოლიდაცია და ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება ქართული ენის უპირატესობით წარმართულიყო. თუ გავიხსენებთ აღმოსავლეთ საქართველოს ემაროველთა ცდებს თავის გამგებლობის ქვეშ მოექციათ დასავლეთ საქართველო, აგრეთვე ამ რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქართულენოვნებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ენის პოზიციები საკმაოდ მტკიცე უნდა ყოფილიყო რეგიონში უკვე ანტიკურ ხანაში, რომ იგი ბერძნულს წარმატებით უწევდა მეტოქეობას საურთიერთობო ენად გადაქცევაში. ალბათ ამით აიხსნება, რომ მალე (VIII—IX სს.) დასავლურ-ქართული ეკლესია ასე უმტკივნეულოდ გაეყარა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მღვდელთმსახურებაზე, იერარქიულად ბიზანტიურ ეკლესიას ჩამოშორდა და მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა.

ვახტანგ გორგასალის მეფობა ქართლის სამეფოს უკანასკნელი ძლიერი გაბრძოლება იყო არა მარტო ერთიანი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად, არამედ, როგორც მა-

ლე გამოირკვა, თვით ქართლის სამეფოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად. სულ უფრო და უფრო მძლავრად უტევდა ქართლს სასანიდური ირანი. მეორეს მხრივ, ბიზანტიამაც მალე აღუკვეთა ფესი ქართლის მმართველებს დასავლეთ საქართველოში და საკუთრივ იბერიის დაუფლების იმედებსაც არ კარგავდა. იმავდროულად ფეოდალიზაციის პროცესი იქ იმდენად შორს წავიდა, რომ მომძლავრებული ფეოდალური ზედაფენა ველარ ეგუებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და სამეფოს ცალკეულ საფეოდალოებად — საერისთავოებად დანაწილებაზე ოცნებობდა.

ქართლის სამეფო სოციალურად საქართველოში უეჭველად ყველაზე განვითარებულ რეგიონს წარმოადგენდა. ასე იყო უკვე გვიანანტიკურ ხანაში. აქ ჩვენ სამეფო საგვარეულოს გვერდით ვხვდებით სამხედრო და სამოხელეო არისტოკრატიის ძლიერ ფენას. ორივენი, ქურუმობასთან ერთად, სულ უფრო და უფრო იქვემდებარებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ უშუალო მწარმოებელთა ფართო მასას. ვითარდებოდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა. — სამეფო საგვარეულოსა და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლებს სამსახურისათვის სამემკვიდრეო მფლობელობაში ეძლეოდათ მიწები. ანტიკურობიდან შუასაუკუნეებზე გარდამავალ ეპოქაში. სოციალურ ურთიერთობათა ეს სისტემა რაიმე კატასტროფას კი არ განიცდის, არამედ ტრანსფორმაციას — გადადის ფეოდალურ ურთიერთობაში. იქმნება პრივილეგიური ფენა სამხედრო წოდების — აზნაურობის სახით. აზნაურობაშიც დიდი გრადაცია იყო. პირამიდის სათავეში იდგნენ ერისთავები — სამეფოს ცალკეული ოლქების („ქვეყნების") მმართველები. „ქართლის ცხოვრება" სწორედ მათ მიიჩნევს დამნაშავეებად ქართლში მეფობის ინსტიტუტის ლიკვიდაციასა და სამეფოს ფაქტობრივ დაშლაში, რა თქმა უნდა, მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან — ირანთან და ბიზანტიასთან კავშირში. VI საუკუნის ამბების გადმოცემისას წყარო მოგვითხრობს, რომ ქართლის ერისთავნი ერთობლივ სთხოვენ „ბერძენთა მეფეს" (ე. ი. ბიზანტიის კეისარს) გამოუგზავნოს მათ მმართველად ვინმე ქართლის მეფეთა ნათესავთაგან, „რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთაოსა შეუცვალებლად". და მართლაც მათ მმართველად

მოევლინა ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულოს მამამთავარი გურამ კურაპალატი. იგი „კეთილად და უშფოთველად" მეფობდა, თუმცა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონღეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა" — ანუ ერისთავები თავიანთ საერისთავოებში მემკვიდრეულ მმართველებად და მფლობელებად იქცნენ. ბაგრატიონთა საგვარეულოს მემატიანე სუმბატ დავითის ძე ამავე ეპოქაზე ლაპარაკისას აღნიშნავს: „ხოლო ვინაითაგან მოაკლდა მეფობა შვილთა ვორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა...", მთელი ქართლის მასშტაბით მეფის ინსტიტუტი შეცვალა ერისმთავრის ინსტიტუტმა. ერისმთავრები არა ერთმმართველებს, არამედ „ტოლთა შორის პირველებს" (primus inter pares) წარმოადგენდნენ. ისინი, როგორც წესი, ბიზანტიურ ტიტულებს (პატრიკიოსი, კურაპალატი) ატარებდნენ. ბუნებრივია, ამ პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა აზნაურების მიერ მწარმოებელი საზოგადოების დაყმევება-დამორჩილების პროცესი. VIII ს-ში ქართლის მმართველმა არჩილმა აღიარა ერისთავთა „ხელმწიფობა" საერისთავოებში. ქვეყნის ერთი ნაწილი მან საკუთრებად დაიტოვა, მეორე კი ერისთავებს გადასცა, მაგრამ არა პირობით და დროებით, არამედ მკვიდრად და სამამულოდ. სპეციალისტები საქართველოს ამ რეგიონში ამ დროისათვის უკვე განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის არსებობას ვარაუდობენ.

ასეთმა საგარეო და საშინაო ვითარებამ ქართლის სამეფო დიდი ხნით გამორიცხა ქვეყნის გაერთიანების პრეტენდენტთა წრიდან. ამისი ინიციატივა სხვა, უფრო ასალაგზრდა პოლიტიკური წარმონაქმნების ხელში იწყებდა გადასვლას.

სწორედ ამ მხრივ იქცევს ამიერიდან ყურადღებას დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარება. ეს რეგიონი მნიშვნელოვანწილად გადაურჩა იმ ძლებედობას, რომელიც თავს დაატყდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, ჯერ ირანის, ხოლო შემდეგ არაბთა პატრონობის სახით. მართალია დასავლეთ საქართველოში ბიზანტია გაბატონდა, მაგრამ, მისი უღ-

ლის ქვეშ მყოფთა აღიარებითაც, მისი ბატონობა ბევრად ადვილი შესაგუებელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთის ისეთი დიდი იმპერიებისა, როგორიც ჯერ ირანი და შემდეგ არაბთა სახალიფო იყო.

ასალი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არსებითი ცვლილებები ხდება. ადგილი აქვს მთიელი ტომების მასობრივ ჩამოსახლებას და მათი აქტიური მონაწილეობით ახალი ადრეკლასობრივი წინაფეოდალური პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას — ასეთებია, კერძოდ, ლაზთა სამეფო, აფშილების, აბაზგების და ზოგი სხვა სამთავროები. ამათგან IV საუკუნისათვის დიდად დაწინაურდა ლაზთა სამეფო. მათი მმართველები იმორჩილებდნენ ჩრდილოეთ კოლხეთის მთიელ ტომთა გაერთიანებებს ,(აფშილებს, აბაზგებს, სვანებს). ფეოდალიზაციის პროცესი აქ შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის ერთერთი მიზეზი უნდა იყოს ზემოთ უკვე აღნიშნული ეკონომიკურად ამ რაიონების შედარებითი სიმწირე, რასაც საგულდაგულოდ ხაზს უსვამენ VI ს. ბიზანტიელი ავტორები (მაგალითად, პროკოპი კესარიელი). უშუალო მწარმოებლის — მიწისმოქმედის ექსპლუატაციის შესაძლებლობა აქ, ჩანს, საკმაოდ შეზღუდული იყო. ამიტომ ლაზთა სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატია თავის გაზრდილ მოთხოვნილებას სხვა გზებით იკმაყოფილებდა, კერძოდ ხარკავდა მათ მიერ დამორჩილებულ მეზობელ გაერთიანებებს, თავს ესხმოდა სუსტ მეზობლებს და ეწეოდა ტყვეებით ვაჭრობას. ზოგიერთი ცნობა ჩვენ მიგვანიშნებს ლაზებს შორის გვაროვნული წყობილების ცალკეული ინსტიტუტების შემორჩენაზე — ასეთია „სახალხო კრების“ ინსტიტუტი (გავიხსენოთ ამგვარი კრების მოწვევა ბიზანტიელი სარდლების მიერ ლაზთა მეფის გუბაზის ვერაგულად მოკვლის გამო საგარო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადასაწყვეტად არქეოპოლისში — ძველ ციხე-გოჯში (ახლ. ნოქალაქევი). ასევე ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ლაზთა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის არც თუ მტკიცედ დადგენილი წესი, რაც საერთოდ დამახასიათებელია განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოებისათვის, როდესაც სამეფო საგვარეულო სამეფოს უყურებს როგორც თავის საგვარეულო საკუთრებას. ამიტომაც ტახტზე

უფრო ხშირად გარდაცვლილი მეფის ძმები ადიან, ვიდრე შვილები. ივ. ჯავახიშვილი ამ მხრივ ლაზთა სამეფოში VI-ს-ში არსებულ ვითარებას უდარებდა სტრაბონის ცნობით იბერიაში დიდი ხნის წინ (ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეებში დამოწმებულ ვითარებას.

კიდევ უფრო „ახალგაზრდული“ უნდა ყოფილიყო ვითარება სოციალური განვითარების თვალსაზრისით ლაზების ჩრდილოეთის მეზობლებთან — აფშილებთან და განსაკუთრებით, აბაზგებთან — აფხაზების ამ წინაპრებთან. აბაზგებს VI ს-ში ორი მთავარი ყოლიათ, ერთი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, მეორე აღმოსავლეთში. ორივენი ძირითადად თანამემამულეთა რომაელთა ქვეყანაში გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი, რის გამოც აბაზგებმა „ორივე მეფე მოსპეს და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“ (პროკოპი კეისარიელი). შემდეგ, ბიზანტიელი ძმართველების მიერ შევიწროებულებმა, რომლებიც მათ „ახლა-ახალ რაღაც წესებს ემყარებოდნენ“, აბაზგებმა იმისი „შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ“, კვლავ დაიყენეს მთავრები. ამრიგად, ჩვენს წინაშეა რიგითი მეთემეების ისეთი აქტივობა, რომელიც ყველაზე უფრო სახელმწიფოებრიობის ზღურბლზე მდგომ საზოგადოებას შეჰფერის. VII ს-ში კი ყალიბდება უცილობლად ერთიანი, საკმაოდ მძლავრი და დამოუკიდებელი აფხაზთა სამეფო — უეჭველია, ადრეკლასობრივი სახელმწიფო ერთეული. ასეთი სახელმწიფო იმითაც ხასიათდება, რომ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ფართო დასაყრდენი გააჩნია თავისუფალ მეფემეთა მრავალრიცხოვანი მასის სახით. აფხაზთა სამთავროში თემური საკუთრებისა და თემობრიობის ტრადიციების ხვედრითი წონის განმტკიცებისათვის ხელი უნდა შეეწყო მის შემადგენლობაში ჩრდილოეთით მდებარე და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით კიდევ უფრო „ახალგაზრდული“ საზოგადოებების მომცველი ვრცელი რეგიონის შესვლას. VIII ს-ში აფხაზეთის საზღვარი ჩრდილოეთით ნიკოფსიამდე აღწევდა (ტუაფსეს ჩრდილოეთით, დღევ. ნეჩეფსუხოს შესართავთან) და, შეიძლება, კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც მდებარეობდა (ქართულ წყაროებს ეს საზღვარი გაჰყავთ „სპარეთის მცირე მდინარეზე“, ე. ი. ყუბანზე).

სწორედ ამ ფაქტში უნდა ვეძებოთ აფხაზეთის მთავრების ძალა. სწორედ ფეოდალური ურთიერთობის შედარებითი განვითარებლობა, სოციალურად მცირედდიფერენცირებული საზოგადოების და თავისუფალ მწარმოებელთა ფართო მასის არსებობა განსაზღვრავდა აფხაზთა მთავრების დასაყრდენი პაზის სიფართოვეს. ამან, უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზთა სამთავროს შემდგომ წარმატებებში — მთელი დასავლეთი საქართველოს გაერთიანებაში მათი ჰეგემონობით.

აფხაზთა სამთავროს ამ წარმატებას ხელი შეუწყო ბიზანტიასთან ჭიდილში ლაზთა სამეფოს დასუსტებამ. ბიზანტიელებმა აქაც მეფის სელისუფლების გაუქმება მოახერხეს. აფხაზთა სამთავროს წარმატება განსაზღვრა აგრეთვე მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარებამ ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე არსებულ ხაზართა ძლიერ გაერთიანებასთან. სწორედ მათი დახმარებით აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ 786 წელს მოახერხა მოკლე დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება „ბერძენთაგან" (ე. ი. ბიზანტიისაგან) და მთელი ამ რეგიონის გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში „აფხაზთა მეფის" ტიტულით. ცნობილი ძველი ქართული საისტორიო წყარო „მატიანე ქართლისა" აღნიშნავს: „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა..." თავისი სამეფოს დედაქალაქად ლეონ II-მ ქუთაისი გაიხადა.

სამეფოს მოსახლეობა უპირატესად ქართული იყო (მეგრელ-სვანები, ქართები) და, ბუნებრივია, იგი ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, თუმცა აფხაზები და მათი ჩრდილოკავკასიელი მეზობლებიც მასში აქტიურ როლს ასრულებდნენ. ბერძნებთან ბრძოლაში განთავისუფლებული ქვეყანა კულტურულადაც ქართული უნდა ყოფილიყო. სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ეკლესია გაქართულდა, მოიცილა ბერძნულ ეკლესიისაგან დამოკიდებულება, სამეფოში ურთიერთობის, სა-

ხელმწიფო დოკუმენტების, მწიგნობრობის ენაც ქართული იყო.

იმავდროულად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა მეორე დიდი ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელმაც „აფსაზთა სამეფოსთან" ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში. ეს იყო ტაო-კლარჯეთის სამეფო. ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი გამოექცა არაბთა ხელისუფლებას და არტანუჯში დამკვიდრდა. მან დაიქვემდებარა მეზობელი თემები, ბიზანტიის მფარველობაში შევიდა და ჩამოაყალიბა ახალი საძთავრო, რომელსაც ქართველთა სამთავრო (საკურაპალატო, სამეფო) ეწოდა — ბიზანტიის კეისარმა აშოტს კურაპალატის მაღალი წოდება უბოძა. იგი დღეს უფრო მეტად ცნობილია ტაო-კლარჯეთის სამეფოს სახელწოდებით. ეს ამბავი VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა.

აქ, ამ პოლიტიკურ ერთეულში, ისევე როგორც ქართლში, რომლის გამონაყოფსაც იგი წარმოადგენდა, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა იყო გამეფებული. თანდათან მასშიც შემდგომი ფეოდალური დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. სამოყარო ორად გაიყო — ტაოსა და კლარჯეთის სამთავროებად. ბიზანტიის კეისართაგან ტაო-კლარჯეთის ხელისუფლისათვის ბოძებული „კურაპალატის" ტიტული ამის შემდეგ ტაოს მბართველ სახლში დამკვიდრდა. ისინი ატარებდნენ აგრეთვე უმაღლეს ადგილობრივ ტიტულსაც — „ქართველთა მეფის" ტიტულს. ტაოს ცენტრი ბანა გახდა, ხოლო კლარჯეთის ცენტრად დარჩა გაერთიანებული სამთავროს დედაქალაქი არტანუჯი. უფროსობა ტაოს აქვს და ნომინალურად ტაოს სახლი ითვლება უფროსად, თუმცა კლარჯეთი მისგან ფაქტობრივად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს. კურაპალატს გარდა ბიზანტიელები გულუხვად ურიგებენ თავის საკარისკაცო ტიტულებს (მაგისტროსი, ანტიპატოსი, პატრიკიოსი) ამ სამთავროთა მფლობელი სახლის წევრებს. შემდეგში, თვით ძლევამოსილი დავით კურაპალატის დროს (IX ს-ის მეორე ნახევარი) ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტობრივად უკვე სამად იყო გაყოფილი და თითოეულ მათგანს ბაგრატიონთა საგვარეულოს გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა. იმ დრო-

ის მსატვრული ლიტერატურის ძეგლებიდან, სხვა დოკუმენტებიდან ცნობილია თუ რა ენერგიით იღვწოდნენ ტაო-კლარჯეთის ფეოდალები აქაურ მიწისმოქმედთა დაყმევებისათვის. ერთი სიტყვით, ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო") სოციალური განვითარების თვალსაზრისით შიდა და ქვემო ქართლთან ერთად ერთ რეგიონს ქმნიდა, სადაც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა იყო დამკვიდრებული.

ცალკე სამთავრო ჩამოყალიბდა იმავე VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე კახეთში. აქ ეს, ჩანს, მთიელი წანარების ჰეგემონობით მოხდა. კახეთში აქამდეც ძლიერი იყო თემური ან სამეფო მიწისმფლობელობის პოზიციები. მთიელთა ჩამონერგვამ, იგი, უნდა ვიფიქროთ, კიდევ უფრო გააძლიერა. ფეოდალურ ურთიერთობათა დონით და მაღალი პოლიტიკური ცენტრალიზაციით კახეთი აფხაზთა სამეფოსთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე ტაო-კლარჯეთთან და ქართლთან.

ასეთი იყო საქართველოს ტერიტორიაზე IX საუკუნისათვის ჩამოყალიბებული ძირითადი პოლიტიკური ერთეულები, რომელთა შორის მომდევნო პერიოდში გაიშალა ჭიდილი ქვეყნის გაერთიანებისათვის, ერთიანი ქართული სამეფოს შექმნისათვის.

პირველ სანებში კახეთის სამთავრო აქტიურობდა, ხოლო შემდეგ დიდხანს ამ პროცესში „აფსაზთა სამეფო" პირველობდა. ეს სწორედ ორივე ამ ერთეულის მეტი ცენტრალიზაციით, მათი დასაყრდენი ბაზის სიფართოვით იყო განპირობებული, ფეოდალიზაციის უეზღუდული ხასიათით — თავისუფალი უშუალო მწარმოებელთა ფენის მრავალრიცხოვნებით, თავისუფალ მთიელთა აქტიური მონაწილეობით ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბრძოლები თავდაპირველად უპირატესად შიდა ქართლის დაუფლებისათვის სწარმოებდა. აშოტ ბაგრატიონის აქედან გახიზვნის შემდეგ ამ რეგიონის მფლობელები აქაური აზნაურები ჩანან, რომლებიც ხშირად კოლექტიურად გამოდიან ამა თუ იმ საგვარეულოს, ჩვეულებრივ ტბელთა საგვარეულოს მეთაურობით. ხან ამ „ქვეყანას" ტაო-კლარჯეთის მმართველები იბრუნებენ, ხან მის ნაწილს კახეთის სამთავრო იერთებს, უმეტეს წილად კი იგი „აფხაზთა სამეფოს" გამგებ-

ლობაშია ხოლმე. ამ ბრძოლებში დროდადრო, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ თბილისის საამიროც და სომხური გაერთიანებებიც.

გაერთიანებისათვის ბრძოლების ფინალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედზე მოდის. საბედნიეროდ ჩვენ ბევრი რამ ვიცით, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროებიდან მომდარი ამბების პერიპეტიებისა და მასში მონაწილე პიროვნებების შესახებ. სამი დიდი პიროვნება წამოიმართება ჩვენს წინაშე ამ დიდი აქტის აქტიურ მონაწილედ — ტაო-კლარჯეთის განთქმული მმართველი დავით კურაპალატი, ქართლის მმართველი — აფხაზთა მეფის ნაცვალი იოანე მარუშის ძე და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე — ბაგრატ III. მათ შორის განსაკუთრებულ სოტბას ასხავს ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი იოანე მარუშის ძეს — აღნიშნავს, რა რომ ქვეყანაში აშლილობა სუფევდა, აფხაზთა ძლიერ სამეფოს სათავეში ედგა ძალაუფლებას ფაქტობრივად ჩამოცილებული უსინათლო თეოდოსი, იგი დასძენს: „მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებულთა ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წაძიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი იოანე მარუშის ძე ყოფილა... მას „საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აირჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეეძლო ეს განეხორციელებინა: იგი სათელგანთქმული იყო ყველგან, როგორც შინ საქართველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებით და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით; ამასთანავე მტკიცე და ძლიერი ხასიათის პატრონი იყო და თავის თავს არავის დააჩაგვრინებდა. რაკი მას შვილი არ ებადა, აქიტომ თავისი მახლობელი ნათესავი „ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად"; მაშასადამე, იგი არამც თუ ქართველთა მეფეთა სამფლობელოს მემკვიდრე იყო, არამედ ჭაოსაც; ხოლო თუ აფხაზთა მეფეების ტახტზე მართლაც ბაგრატს დასვამდნენ (დედით იგი აფხაზთა სამეფო კარსაც უკავშირდებოდა — გიორგი აფხაზთა მე-

ფის ასულის ძე იყო), მაშინ იგი გახდებოდა თითქმის მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფედ...“

იოანე მარუშის ძის მიწვევით დავით კურაპალატმა ილაშქრა ქართლზე და აქ მმართველად დასვა თავისი შვილობილი ბაგრატი, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრი. აქედან წასვლისას თავაშვებულ ქართლის აზნაურებს მან უბრძანა: „ესე (ბაგრატ) არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“. ეს მოხდა 975 წელს. სამი წელი გაატარა აქ ბაგრატმა, თუმცა ერთხელ მის მფარველს დავით კურაპალატს კვლევ მოუხდა აქ გამოლაშქრება, რადგანაც ქართლის ურჩმა აზნაურებმა კახელების დახმარებით დაატყვევეს ბაგრატი დედ-მამითურთ და კახეთში წაიყვანეს. დავით კურაპალატმა გაანთავისუფლებინა ტყვეები და კვლავ მმართველობის საჭესთან დააყენა ისინი.

ამასობაში იოანე მარუშის ძემ, ჩანს, მოამზადა ნიადაგი ბაგრატის „აფხაზთა სამეფოში“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოში) გასამეფებლად. მან დაიყოლია იქაური დიდებულები და ბაგრატი ახლა აფხაზთა მეფედ გამოაცხადა. ამრიგად 978 წელს ბაგრატ III გახდა ქართლთან ერთად მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველიც. თანდათან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა მისი ძალაუფლება. 980 წელს თავისი უსინათლო ბიძა თეოდოსი — „აფხაზთა მეფე“ მან ტაოში დავით კურაპალატთან გააგზავნა და, როგორც ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, „თითონ ქართლისა და აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს, გ. მ.) ერთადერთ ბატონად გახდა... ამიერითგან საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე სასიათისა და შეუდრეკელი ნების პატრონს მეფეს ჩაუვარდა ხელში“. შემდეგშიც არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ბაგრატს — კვლავ შეეტაკა და სძლია ქართლის აზნაურებს, 989 წელს სძლია თრიალეთის, მანგლისის ხევის, სკორეთის, ატენის ციხის მფლობელს — ურჩ ფეოდალ რატის, რომელიც „არა მორჩილებდა ბაგრატ მეფესა“, მშვიდობიანად მოაგვარა გართულება დავით კურაპალატთან და მის მოკავშირეებთან (988 წ.).

გაუცრუვდა ბაგრატს ტაოს მფლობელის დავით კურაპალატის მდიდარი მემკვიდრეობის მიღების იმედი. როგორც

ცნობილია, 979 წელს, ბასილი კეისრისათვის ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს აღმოჩენილი დასმარების სანაცვლოდ კეისარმა დავითს კიდევ დიდი მიწა-წყალი უბოძა, მაგრამ როდესაც ბასილი კეისრის წინააღმდეგ ფოკას აჯანყების დროს (989 წ.) მან არასწორი არჩევანი გააკეთა — ამ უკანასკნელის მხარეზე ღადგა, მისი მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ იძულებული გახდა ბასილისათვის აღეთქვა, რომ მთელი მისი სამფლობელოები მისი სიკვდილის შემდეგ მას, ბასილი კეისარს, გადაეცემოდა. 1001 წ. დავით კურაპალატი გარდაიცვალა. აღთქმა ასრულდა და ბაგრატმა ვერაფერი მიიღო კეისრისაგან გარდა ბიზანტიური ტიტულისა (კურაპალატი). სამაგიეროდ, მამის — გურგენის გარდაცვალების შემდეგ 1008 წელს მის მფლობელობაში გადმოვიდა ტაოს ის ნაწილი, რომელსაც გურგენი ფლობდა და ამასთან ერთად ტიტული „მეფე ქართველთა". 1008—1010 წლებში ბაგრატ III-მ შეიერთა კახეთ-ჰერეთიც. ამას გარდა იგი მთლიანად დაეუფლა კლარჯეთსაც, როდესაც მისი მფლობელი — თავისი ნათესავი „კლარჯეთის სელმწიფენი" სამუდამოდ ციხეში გამოჰკეტა. დაიმორჩილა მან რანის მმართველი — განძის ამირა ფადლონიც, რამაც უფლება მისცა თავის ტიტულატურაში „რანის მეფობაც" შეეტანა. ამიერიდან იგი იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა".

ასე გაერთიანდა ქვეყანა — შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მის გარეშე დარჩა ფაქტობრივად მხოლოდ თბილისი, სადაც კვლავ არაბი ამირა იჯდა. იგი, როგორც ცნობილია, მხოლოდ დიდმა დავით აღმაშენებელმა დაუბრუნა ქართულ სახელმწიფოს და მის დედაქალაქად აქცია (1122 წ.). მანამდე ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად ქუთაისი რჩებოდა.

„ბაგრატ მეფის მტკიცე სასიათმა, ბრძნულმა და წინდასედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა". მართლაც, ძნელია გადაჭარბებულად შეაფასოთ ამ 1000 წლის წინათ მომხდარი ეს დიდი მოვლენა. საფუძველი ჩაეყარა დიდ და მტკიცე საერთო ქართულ სახელმწიფოს, რომელსაც, მართალია ჯერ კიდევ არაერთი

საფრთხე ელოდა მომავალში, მაგრამ რომელმაც სათავე დაუდო XI-XIII სს-ის ძლევამოსილ ქართულ სახელმწიფოებრიობას, დიდ კულტურულ აღმავლობას და ქვეყნის აყვავება-გაფურჩქვნას.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მოჰყვა ამ მოვლენას — ესაა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესის დასრულება, ქართველური მოდგმის ტომთა კონსოლიდაცია ერთიან ეთნო-სოციალურ ერთობად.

ერთგვარი პარადოქსია, რომ მიუხედავად იმისა — რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნაში წამყვანი როლი უცილობლად დასავლურ-ქართულმა სახელმწიფომ („აფხაზთა სამეფომ") შეასრულა, ერთიანი ქართველი ხალხის ფორმირების დამთავრება, რომელიც ამ პროცესს თან სდევდა, კვლავ აღმოსავლურ-ქართული ენისა და კულტურის დამკვიდრების ნიშნით მიმდინარეობდა. ამ საქმეში იბერიული ფენომენის როლს ჩვენ ზემოთ გაკვრით უკვე შევეხეთ. ანტიკური ხანის იბერიის (ქართლის) სახელმწიფოებრივი და კულტურული სიმტკიცე და სიძლიერე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში. უკვე იმ ხანაში ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოების პროცესს.

შემდგომი ბიძგი ამ პროცესს IV-V სს-დან მიეცა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრდა ქრისტიანობა, შეიქმნა ქართული ქრისტიანული ეკლესია და ქართული მწიგნობრობა. მომდევნო ხანაში ეს უკანასკნელნი უდიდესი ფაქტორები შეიქნენ დასავლეთ საქართველოს ახლო მონათესავე მოსახლეობის ქართლის მოსახლეობასთან დაახლოება-შერწყმაში. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ საქართველოში უცხოელთა სანგრძლივი ბატონობის პირობებში მეტად ფეხმოკიდებული იყო კულტურის სფეროში დასავლური, ბერძნულ-რომაული გავლენა. პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და კულტურული თავისთავადობისათვის ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ და მისმა მმართველებმა მძლავრი იარაღი ჰპოვეს ქართული ქრისტიანული ეკლესიისა და ქართული მწიგნობრობის სახით. ამ უკანასკ-

ნელთა მიერ ახალ-ახალი პოზიციების მოპოვება დასავლეთ საქართველოში სულაც არ უკავშირდება ძალის პოლიტიკას (აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფალთ ამისათვის ამ დროს საჭირო ძალა არც გააჩნდათ). ამ მხრივ ინიციატორებად თვით დასავლეთ საქართველოს (VIII საუკუნის შემდგომი ნომენკლატურით „აფხაზეთის“) მმართველი წრეები გამოდიან. მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელება (ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება და აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მიწების შემოერთება) მოითხოვდა ბერძნულისაგან განსხვავებული ერთადერთი შესაძლებელი იარაღის — ქართული ეკლესიისა და ქართული მწიგნობრობის დანერგვას და ეს ასეც ხდებოდა. შემთხვევით არ არის ამიტომაც, რომ ტერმინი „ქართველის“ და „საქართველოს“ გაჩენა სწორედ X საუკუნეში ხდება სრულიად საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღსანიშნავად, ხალხის მთელი იმ წრის აღსანიშნავად, რომელიც ქართულ ქრისტიანობას, წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე მისდევდა. გავიხსენოთ X ს. ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს ცნობილი გამოთქმა რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ — ე. ი. ქართლია (საქართველოა) ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება.

ამრიგად, საქართველოს გაერთიანებით დასრულდა დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველთა შერწყმა-გაერთიანებისა. ამ დროიდან წარმოიქმნა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა — ერთიანი... ქართველი ხალხი, მისი ერთიანი სახელმწიფოებრივი, სამწიგნობრო და საეკლესიო ქართული ენით. ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შედეგი იყო ამავე ხანებში ტერმინ „საქართველოს“ დამკვიდრება, რაც უკვე ერთ ხალხად ჩამოყალიბებულ ქართველთა ერთიან მიწა-წყალს, სამშობლოს აღნიშნავდა“ (ნ. ბერძენიშვილი).

ეს გარემოებაც ჩვენი თაობის საპატიო მოვალეობად ხდის აღნიშნოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ათასწლოვანი იუბილე.

§ 38. კულტურული ვითარება მე-8—მე-10 საუკუნეებში

მე-8—მე-10 საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე მე-9 საუკუნეში როგორც ტაო-კლარჯეთში, ისე კახეთში, ქართლსა და დას. საქართველოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელს ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. მე-10 საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ სპეციალური შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

მე-9—მე-10 საუკუნეებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ბასილი ზარზმელისა, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვები. ეს ბიოგრაფიული თხზულებები დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია. მათი საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ იმდროინდელ საქართველოს ყოფაცხოვრებას, მეურნეობას, საზოგადოებრივ წყობასა და კულტურის დონეს. ამავე დროს ამ ძეგლებში მაღალ განვითარებას მიაღწია ქართულმა სალიტერატურო ენამ. ამ მხრივ პირველ ადგილას დგას მერჩულის ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი 951 წელს.

იმდროინდელი ქართული ორიგინალური მწერლობიდან ცალკე აღსანიშნავია საკულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და იოანე ზოსიმე. ეს მწერლები თავის ლექსებს წერდნენ იამბიკოსა და შაირის საზომებით. შაირის საზომი, როგორც ცნობილია, შემდეგში მწვერვალამდე აიყვანა რუსთაველმა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ლექსებს ზოგჯერ თან ასდევს მუსიკალური ნიშნები ანუ ნოტები; ეს იმდროინდელი მუსიკაა, სასულიერო პოეზიისათვის დაწერილი.

ორიგინალური მწერლობის გვერდით ვითარდებოდა თარგმნილი მწერლობაც. ამ ხანაში სთარგმნიან უკვე არაბული ენიდანაც.

თარგმნილი მწერლობა მეტად მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. მთარგმნელობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს ამ დროს თავისი საკუთარი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრები ჰქონდათ. უკვე მე-6 საუკუნეში ქართული ეკლესიები არსებობდა პალესტინაში, საბაწმინდის განთქმულ ლავრაში. ბევრი იყო ქართველი იმავე საუკუნეში შავ მთაზედაც, ანტიოქიის მახლობლად. მე-10 საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვითონ საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა დაიწყო მე-6 საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით გაიშალა იგი მე-8 საუკუნის დამლევიდან. კერძოდ, ტაო-კლარჯეთში ამ ხანიდან ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვები. შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ ცენტრებთან.

თარგმნილ მწერლობაში აღსანიშნავია მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულებები, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, რომელიც მოთავსებულია განთქმულს შატბერდის კრებულში მე-10 საუკუნისა. ფილოსოფიის ცოდნა იმ დროს უკვე სავალდებულოდ ითვლებოდა განათლებული კაცისათვის. გრიგოლ ხანძთელს, მაგალითად, რომელიც ცნობილი ჩერსე ქართლის ერისთავის კარზე იზრდებოდა მე-8 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ჯერ ზეპირი გზით შეუთვისებია ცოდნა („სმითა სასწავლელი“ „ზეპირით მოიწვრთნა“, ამბობს მისი ბიოგრაფი), შემდეგ ქართულის გარდა მრავალ სხვა ენაზედაც უსწავლია მწიგნობრობა და ამრიგად შეუძენია როგორც საეკლესიო, ისე საერო, კერძოდ — ფილოსოფიური განათლება.

მაშინდელი მწერლები, დროის შესაფერისად, დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. მოცემულ სანაში წარმოიშვა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა“. „ბალავარის სიბრძნე“ არის ქართველი მწერლის მიერ და-

მუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ. ქართული „ბალავარის სიბრძნე“ თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი მხატვრული ოსტატობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა მე-11 საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან იგი იმავე მე-11 საუკუნის პირველსავე ნახევარში გადაითარგმნა ლათინურადაც და მთელ ევროპას მოედო.

ამავე დროს, საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც, კერძოდ — თარგმნილი პოეტური ძეგლები, მაგრამ მათგან მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია დარჩენილი. თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია ამ საერო მწერლობას საისტორიო და საეკლესიო მწერლობაზე.

შესანიშნავ განვითარებას მიაღწია ამ ხანაში ქართულმა ხელოვნებამაც, კერძოდ — არქიტექტურამ. იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, როგორიცაა ოშკი, სასული და მრავალი სხვა ახლაც აკვირვებს მნახველს თავისი სიდიადითა და სილამაზით.

თავი IV

საქართველო XI-II—მე-12 საუკუნეებში

§ 39. საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალი მე-11 საუკუნეში

საქართველოს გამაერთიანებელი მეფის — ბაგრატ მესამის მემკვიდრე მისი შვილი გიორგი იყო. გიორგი პირველიც მცირეწლოვანი გამეფდა. ქართლ-კახეთის დიდგვაროვანმა აზნაურებმა ამ გარემოებით ისარგებლეს: კახეთიდან გააძევეს ბაგრატ მესამის მოხელეები და თავისი წინანდელი მმართველი მიიწვიეს. ამგვარად, კახეთ-ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოს ისევ ჩამოშორდა.

გიორგი პირველმა თავისი ყურადღება სამხრეთ საქართველოსაკენ მიმართა. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი 1014 —1016 წლებში ბულგარელებს ეომებოდა და, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს შემოსაერთებლად, ბიზანტიის საზღვარი გადალახა. ქართველებმა ტაო დაიპყრეს.

როცა კეისარმა მოიცალა, გიორგის ტაოს დაცლა მოსთხოვა. გიორგი მეფემ არაფრად თუ ეს წინადადება უარყო, არამედ მაჰმადიან მფლობელებთან საიდუმლო მოლაპარაკებაც კი დაიწყო, რომ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბასილ კეისარს ეს არ გამოჰპარვია და 1021 წ. ის მრავალრიცხოვანი ჯარით უეცრად დაიძრა საქართველოსაკენ. გიორგიც იძულებული იყო მტრის წინააღმდეგ საჩქაროდ ამხედრებულიყო. ბრძოლა ბასიანში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს ჯერ ოლთისში, სოლო იქიდან კოლას. ბიზანტიის ჯარი უკან მოსდევდა. სოფელ შირიმში დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც ბევრნი დაიხოცნენ, მათ შორის გამოჩენილი ქარ-

თველი სარდლები რატი ლიპარტის ძე და ხურცი. ქართველები დამარცხდნენ.

გიორგიმ აქედანაც დაისია, ჯერ არტაანში მოვიდა, შემდეგ სამცხეში. ბასილი ჯავახეთის გზით ცდილობდა დასწეოდა ქართველებს და გზადაგზა ქვეყანას აოხრებდა. გიორგი იძულებული იყო უკვე თრიალეთში გადასულიყო, სადაც მას მეშველი ჯარი დახვდა. ახლა კი ბიზანტიის კეისარმა უკან დახევა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. საზამთროდ მან ქ. ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა და დასავლეთ საქართველოში შესასევად ხომალდებს ამზადებდა.

ამავე დროს საზავო მოლაპარაკებაც წარმოებდა, მაგრამ გიორგი მეფე მოლაპარაკებას აჭიანურებდა და ხელსაყრელ დროს არჩევდა, რომ ბიზანტიისათვის დაერტყა. მაშინ კეისარმა დაასწრო — კვლავ ომი ატყდა, რომელშიაც ქართველები ისევ დამარცხდნენ. 1023 წ. გიორგი პირველი იძულებული იყო მეტად მძიმე ზავის პირობებს დასთანხმებოდა: მას დავით კურაპალატის სამფლობელო ტაოს, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში კეისრისათვის უნდა დაებრუნებინა და ამას გარდა თავისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატიც სამი წლით მძევლად მიეცა ბიზანტიის მთავრობისათვის.

გიორგი პირველი გარდაიცვალა 1027 წ. და მის მაგიერ სამეფო ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ბაგრატი, რომელიც ბიზანტიიდან ახალი დაბრუნებული იყო.

ბაგრატს შინაურობაში აწეწილ-დაწეწილი საქმეები და დამარცხებული ქვეყანა ერგო მემკვიდრეობად. ყველაზე მეტად მეფეს საქმეს ურთულებდა დიდგვარიან აზნაურთა ორჭოფული და ვერაგული მოქმედება. ტაოელი აზნაურები სახელმწიფო ღალატსაც არ ერიდებოდნენ. 1027 წ. ისინი ბიზანტიელთა მსარეზე გადავიდნენ და თავისი ყველა ციხე მტერს გადასცეს.

1028 წ. საქართველოს ბიზანტიის ჯარი შემოესია და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთ დროსაც აზნაურებმა თავისი ორჭოფული ქცევით ბიზანტიელებს საქმე გაუადვილეს. ქვეყანა დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მაგრამ მცირეწლოვან მეფეს ერთგული სალხიც ჰყავდა. მათ შორის განსაკუთრებით თავი ისახელა ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა, რომელმაც ტბეთში (შავშეთშია) ციხე ააგო, მცხოვრებლები-

საგან ჯარი შექმნა და მტერს მედგრად დახვდა. მალე შესაძლებელი გახდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება, რომელსაც საქართველოს მხრივ ბაგრატის დედა, მარიამ დედოფალი აწარმოებდა. ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ მეოთხეს თავისი ასული ელენე მიათხოვა ცოლად და მებრძოლი ქვეყნები დაზავდნენ.

მალე ბიზანტიამ ისევ დაიწყო მტრული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. 1032 წ. ბიზანტიელები შეუჩდნენ ბაგრატის ნახევარძმას დემეტრეს; ისიც კეისართან გაიქცა და ანაკოფიის ციხე აფხაზეთში ბერძნებს გადასცა. ბაგრატს ამ დროს თბილისის ამირას წინააღმდეგ ჰქონდა ბრძოლა დაწყებული და აფხაზეთისათვის არ ეცალა.

1032 წ. ქართლის დიდმა ფეოდალებმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა ხელში ჩაიგდეს და მას ბირთვისის ციხე წაართვეს. მაგრამ ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა ჩაგონებით მცირეწლოვანმა ბაგრატმა ამირა გაათავისუფლა. თბილისი ისევ ამირას დარჩა.

1037 წ. თბილისის დაპყრობა კვლავ საზრუნავი გახდა. ბაგრატ მეოთხემ, კახთა მეფის მეშველ ჯართან ერთად, თბილისს ალყა შემოარტყა. ეს გარემოცვა ორი წელი გაგრძელდა, რის გამოც ისეთი შიმშილობა მძვინვარებდა ქალაქში, რომ, იმდროინდელი ისტორიკოსის თქმით, მოქალაქეები ერთ ლიტრა ვირის ხორცში ხუთას დრამას აძლევდნენ. (ლიტრა — წონის ერთეული, უდრიდა 300—400 გრამს).

თბილისის ამირამ უკვე გადაწყვიტა გაქცეულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბაგრატმა მოულოდნელად, ლიპარიტისათვის შეუტყობინებლივ, 1039—40 წწ. ზავი დასდო ამირასთან. ამ ამბავმა ლიპარიტის უკმაყოფილება გამოიწვია მით უმეტეს, რომ ბაგრატ მეფის საქციელი ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა ოინების შედეგი იყო.

დამოკიდებულება ბაგრატ მეფესა და ლიპარიტს შორის იმდენად გამწვავდა, რომ, თუმცა ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთში ძლევამოსილი ომი გადაიხადა, მაგრამ, შინაური მტრის შიშით, მეფე იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაეხია. სწორედ ამ დროს, 1044—5 წელს, მათ შორის უკვე აშკარა ბრძოლა ატყდა.

ლიპარიტი ძლიერი პიროვნება და განთქმული სარდალი იყო, ცნობილი მთელს ახლობელ აღმოსავლეთში. ბიზანტიელებიც და მაჰმადიანი მმართველებიც მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბიზანტიის მთავრობა ცდილობდა, რომ ის საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა და ამიტომ მის მხარეზე იყო.

ბაგრატ მეფე კარგად გრძნობდა ლიპარიტის ძალას. შეურიგდა მას და ქართლის ერისთავადაც კი დანიშნა. ამ დროიდან მცირე ხნით მაინც მშვიდობა დამყარდა.

1045 წ. ქ. ანისის „პერებმა“ (მოქალაქეთა უფროსებმა) ბაგრატს ანისი და ცხრა ციხე შესთავაზეს. ბაგრატმა სომხეთის სამეფოს ეს ყოფილი დედაქალაქი და ციხე ჩაიბარა და იქ თავისი მოხელეები ჩააყენა მეციხოვნე ჯარით.

1046 წ. თბილისის ამირას გარდაცვალების გამო, თბილისის „პერებმაც“ ბაგრატ მეოთხე თბილისში მიიწვიეს და საქართველოს ძველი ღედაქალაქი გადასცეს მას, როგორც საქართველოს მეფეს. მაგრამ ლიპარიტი მეფეს კვლავ აუჯანყდა. ლიპარიტის მოღალატურმა მოქმედებამ საქართველოს ანისიც დააკარგვინა და თბილისიც ხელიდან გამოაცალა.

ასლა უკვე მეფესა ღა ლიპარიტს შორის გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა,. რომელიც ათ წელიწადზე მეტი გაგრძელდა. ლიპარიტი თვითონაც ძლიერი ფეოდალი იყო და კეისარიც მას დაუღალავად მხარს უჭერდა. ამიტომ გამარჯვება მეტწილად კლდეკარის ერისთავის მხარეზე იყო. ლიპარიტმა ბაგრატ მეფეს ბევრი ვნება მიაყენა, სხვათა შორის, თბილისი, რომელიც მეორეჯერ გადმოსცეს ქალაქის ბერებმა ბაგრატს, კვლავ დაუკარგა საქართველოს სამეფოს.

ღონეგამოლეული ბაგრატ მეფე 1054 წ. ბიზანტიაში გაემგზავრა და კეისარს შუამავლობა სთხოვა. მართლაც, კეისარმა ბაგრატ მეფე ღა მისი ურჩი ყმა დააზავა. ბაგრატს სახელად მეფობა შერჩა, ლიპარიტი კი თუმცა მის ქვეშევრდომად, მაგრამ მთელი მესხეთის მთავრად აღიარეს.

სანამ ბაგრატ მეფე ბიზანტიაში იმყოფებოდა, ლიპარიტის მეცადინეობით ტაკირეწლოვანი მეფისშვილი გიორგი ბაგრატის ძე მეფედ აკურთხეს, ლიპარიტი კი მის მზრუნველად დანიშნეს. ამრიგად, საქართველოს მართვა-გამგეობა მთლიანად ლიპარიტს ჩაუვარდა ხელში.

ლიპარიტის ასეთა განდიდება სხვა ფეოდალებმა ვერ აიტანეს. კლდეკარის ერისთავი მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს და ბაგრატ მეფეს მიჰგვარეს. მეფემ თავისი დაუძინებელი მტერი, რომელსაც ვერც ერთი აზნაური ვერ შეედრებოდა სიძლიერით, იძულებით მონასტერში ბერად შეაყენა.

ახლა ბაგრატ მეფე თავს უკვე თავისუფლად გრძნობდა. 1060 წ. მან კახეთის ღაპყრობაც მოახერხა და შემდეგ ბიზანტიასთან ურთიერთობაც მოაწესრიგა.

ახლა განსაცდელი ქვეყანას უკვე სხვა მხრიდან მოადგა. მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ირანს აღმოსავლეთიდან თურქული მოდგმის ტომები შემოესივნენ. მათ სათავეში სელჩუკის საგვარეულო ედგათ და ამის გამო ამ თურქებმა სელჩუკიანების სახელწოდება მიიღეს. მათ მალე ირანი დაიპყრეს და სომხეთის უდიდესი ნაწილიც ხელში ჩაიგდეს. 1065 წ. თურქების სულთანი ალფარსლანი საქართველოს შემოესია, ქვეყნის აოხრება დაიწყო, შემდეგ ჯავახეთის ახალქალაქი აიღო, გაძარცვა და დიდძალი ხალხი ამოხოცა. 1068 წ. სულთანი კვლავ შემოესია საქართველოს. თურქებმა ჯერ ქართლი ააოხრეს, შემდეგ არგვეთიც. თუმცა ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულთანი საქართველოდან გასულიყო, მაგრამ წასვლის წინ თბილისი და რუსთავი მან განძის პატრონს ფადლონს მისცა. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს კახეთის შემოერთების საქმეც ჩაეშალა.

მეფე ბაგრატს გული არ გასტეხია. როგორც კი სულთანი საქართველოს გარეთ გაიგულა, ბაგრატ მეოთხემ სულთანის მიერ აქ დატოვებულ ფადლონსა და მის ჯარს მუსრი გაავლო, შემდეგ თბილისიც აიღო. მეფემ ქალაქი და საამირო გადასცა თბილისის ძველი ამირების მემკვიდრეს იმ პირობით, რომ როგორც ყმადნაფიცს მას საქართველოს მეფისათვის წლიურად 44 000 დრაჰკანი უნდა ეძლია.

ბაგრატი 1072 წ. გარდაიცვალა.

ბაგრატ მეოთხის მაგიერ 1073 წ. მისი ჭაბუკი ვაჟიშვილი, გიორგი მეორე, გამეფდა. ის სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და არც სახელმწიფოს მმართველად ვარგოდა: მას უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა.

გიორგი მეორის ხასიათის სისუსტით ყველაზე ადრე საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს. უკვე 1073 წ. ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი გადაუდგნენ მეფეს და ქვეყანა არიეს. ნიანიამ ქუთაისიც კი ღალატით დაიპყრო და სახელმწიფო საჭურჭლე (ე. ი. საგანძური, ხაზინა) ჩაიგდო ხელში. ვარდანმა სვანები აიყვანა, მათთან ერთად ეგრისს შეესია და რბევას შეუდგა. გიორგი თავის ურჩ ყმებთან სხვას ვერაფერს გახდა, გარდა იმისა, რომ მათ წყალობა და მამულები გაუმრავლა.

დიდგვარიანთა ურჩობა და მოღალატეობა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით თავი ისახელა ამ მხრივ კლდეკარის ერისთავმა ივანემ, იმ ლიპარიტის შვილმა, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა ბაგრატ მეოთხეს.

თუმცა მალე გიორგი მეფეს ბიზანტიის გამოჩენილმა მოხელემ და ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, გრიგოლ ბაკურიანმა, ძვირფასი საჩუქარი უძღვნა — კარის (ყარსის) ციხე-ქალაქი მისი მიმდგომი ქვეყნით, მაგრამ თითქმის იმავე წელს ეს დიდი შენაძენი თურქებმა გააქარწყლეს.

ამ ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო თურქების დიდი გაძლიერება. 1071 წ. ხელშეკრულებით ბიზანტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი, რომელიც მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, თურქ სელჩუკიანებს დაუთმეს. ახლა საქართველო მარტო დარჩა თურქების ამ უდიდესი სამეფოს პირისპირ.

მართლაც, თურქებმა ჯერ კარის ციხე-ქალაქი ჩაიგდეს ხელში, შემდეგ კი საქართველოს შინაგანი თემების რბევა დაიწყეს.

1080 წ. „დიდი თურქობა“, თურქების დიდი შემოსევა დაიწყო. ამ დროს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამოქალაქო, არგვეთი და ქართლი დარბეული და აოსრებულ იქნა. მტერთან ბრძოლაში დიდძალი ხალხი დაიხოცა. სოფლები და ქალაქები განადგურდა. გიორგი მეფემ გადაწყვიტა, დამორჩილების გარდა სხვა გზა არ არისო და თურქების სულთანთან წავიდა.

სულთანმა მელიქ-შაჰმა გიორგი მეფე ყოველწლიური ხარკის გადახდაზე დაითანხმა, სამაგიეროდ მას კახეთი და ჰერეთი მისცა. მშვიდობას შეჰპირდა, სამშობლოში დიდე-

ბით გამოისტუმრა და თან ჯარიც გამოატანა კახეთის დასაპყრობად.

მტრისა და ქართველთა შეერთებული ჯარი კასეთს შეესია და ვეჟინის ციხეს გარშემოადგა. მაგრამ სანამ ვეჟინის ციხეს ებრძოდნენ, გიორგის მოაგონდა, აჯამეთში (იმერეთში) ნადირობის დრო დადგაო, ვეჟინისა და კახეთის დარდი უკვე აღარ ჰქონდა, მტრის ჯარს საშველად ივრისპირა კახეთი დაანება და თვითონ დასავლეთ საქართველოში გაეშურა.

კახეთის სამეფო ხომ დაუპყრობელი დარჩა, მაგრამ ივრისპირეთიც ისე აუოხრებიათ მაშინ თურქებს, რომ ეს მხარე შემდეგშიაც დიდხანს ვეღარ გამობრუნებულა.

შინაურსა და საგარეო უმწეო მდგომარეობას ზედ სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1088 წ. საქართველოში საშინელი მიწისძვრა დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელმაც დიდძალი ციხე-ქალაქი და სოფელი იმსხვერპლა. მთლიანად დაინგრა განთქმული ქ. თმოგვი ციხით. მრავალი ხალხიც დაიღუპა და უსახლკაროდ დარჩა. ამას მკაცრი ზამთარი, გაზაფხულზე კი საშინელი წყალდიდობა მოჰყვა. 1089 წ. გიორგი მეორე იძულებული გახდა ტახტიდან ეღამღვარიყო.

§ 40. საქართველოს კულტურული ვითარება მე-11 საუკუნეში

მე-11 საუკუნეში ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ ს როგორც ადგილობრივს, ისე, განსაკუთრებით, საზღვარგარეთულს. სწავლა-განათლების კერა საზოგადოდ საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა.

უცხოეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ სანაში ა თ ო ნ ი ს (საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე) მონასტერს მიუძღვის. ეს მონასტერი მე-10 საუკუნის დამლევს იოანე მთაწმინდელმა დააარსა. ათო-

ნის მონასტერში მოღვაწეობდა, სსვა პირებთან ერთად, იოანეს შვილი, სახელგანოქმული ექვთიმე მთაწმინდელი. ექვთიმემ ზედმიწევნით იცოდა ბერძნულ ენა. ბერძნულ ენაზე მან ქართულიდან გადათარგმნა, „ბალავარის სიბრძნის“ გარდა, აგრეთვე „აბუკურა“.

ექვთიმე მთაწმინდელი შესანიშნავი მწერალი და მოაზროვნე იყო. ბერძნულიდან ქართულად მან ასამდე წიგნი გადმოთარგმნა.

ძველი დროიდან მოყოლებული, საქართველოს მონასტრებში ასეთი წესი იყო დამყარებული: მონასტრის მამასახლისი სამონასტრო დანესებულებებში ყველა მოხელეს თვითონ ნიშნავდა, თვითონვე სიკვდილის წინ ასახელებდა იმ პირსაც, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისი უნდა გამხდარიყო.

თანდათან ეს წესი შეიცვალა. მონასტრის თანამდებობის პირთა დანიშვნის მაგიერ მათი არჩევა შემოვიდა. ჯერ სამ კანდიდატს დაასახელებდნენ, შემდეგ მათ კენჭს უყრიდნენ. ამ წესით მონასტრის სულმოღვანეობა უფრო ღირსეული ადამიანების ხელში გადაეცოდა.

ამ საფუძველზე მოწყობილ ათონის ქართველთა სავანეში მოღვაწეობდა მე-11 საუკუნის მეორე შესანიშნავი პიროვნება, გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელის საქმიანობის გამგრძელებელი იყო როგორც სალიტერატურო, ისე სამონასტრო სარბიელზე.

გიორგიმაც ბევრი წიგნი გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად, ბევრიც ძველად ნათარგმნი შეასწორა.

გიორგი იმ დროის მოწინავე კაცი იყო; ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა თაკის შორეულ სამშობლოს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიაც. 1060 წ. გიორგი საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს საქართველოში შიმშილობა მძვინვარებდა, შინაური ბრძოლაც მხოლოდ ოდნავ იყო მინელებული.

გიორგიმ გაბედულად დაუწყო მხილება დიდებულებსა და ეპისკოპოსებს, მათი სიხარბისა და გულქვაობისათვის, აგრეთვე იმ უწესოებისათვის, რომელიც მას საქართველოში დასდგა. მან ქადაგება დაიწყო, სამღვდელო პირებად ღირსების მისედვით უნდა ავირჩიოთ ხალხი და არა შთამომავლო-

ბის მისედვითო. ბაგრატ მეოთხის დასმარებით გიორგიმ ნაწილობრივ განახორციელა კიდევაც თავისი მოთხოვნა: მან საეკლესიო თანამდებობებზე ბევრი უგვარო ხალხი დააწინაურა. მეფე ხელს უწყობდა გიორგის ამ საქმეში, იმიტომ რომ ამით ბაგრატი თავის შინაურ მტრებს, დიდგვარიან აზნაურებს ასუსტებდა.

ათონის სავანის გარდა მე-11 საუკუნეში სხვა მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრებიც არსებობდა — სირიაში (შავ მთაზე), პალესტინაში, ბალკანეთში (პეტრიწონში). შავმთელი მოღვაწეებიდან განსაკუთრებით სახელგანთქმულია ეფრემ მცირე, დიდი მთარგმნელი და ფილოლოგი, რომელმაც 70-ამდე წიგნი გადმოიღო ქართულ ენაზე, მათ შორის ფილოსოფიური თხზულებები, და ორიგინალური ნაწარმოებებიც დაგვიტოვა — კერძოდ ისტორიული გამოკვლევები.

მე-11 საუკუნეში ქართული ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ წ ე რ ლ ო ბ ა ძალიან დაწინაურდა. სწორედ ამ ხანაში არაერთი საუცხოო საისტორიო თხზულებაა დაწერილი. მათ შორის გიორგი მთაწმინდელის ნაშრომია აღსანიშნავი, რომელიც ათონის სავანის დაარსებისა და საქმიანობის ისტორიას მოგვითხრობს, აგრეთვე თვით გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფია, გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ დაწერილი, ამავე ხანიდან გადარჩენილი საერო საისტორიო „მატიანე ქართლისაი“ და ბევრი სხვა.

მაშინდელი ქართული მეცნიერების დიდი წარმატებას მოწმობს ექვთიმე მთაწმინდელის ფ ი ლ ო ლ ო გ ი უ რ ი ნაშრომებიც, მეტადრე კი მისი მოღვაწეობა ს ა მ ა რ თ ლ ი ს თეორიის დარგში. მას ეკუთვნის „მცირე სჯულის კანონი“, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ექვთიმეს ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბოროტმოქმედების შესახებ. ეს საყურადღებო ძეგლი იმდროინდელი ქართული ეურიდიული აზროვნების მაღალი დონისა და თვით ექვთიმეს დიდი ნიჭის ცხადი დამამტკიცებელია.

მე-10 საუკუნის დამლევს და მე-11 საუკუნეში შემდგომ წარმატებას მიაღწია ქართულმა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა მ ა ც. იმ

დროიდან შემონახულია ქართული სუროთმოძღვრების ბევრი საუცხოო ძეგლი, პათ შორის — ბაგრატ მესამის მიერ აგებული ქუთაისისა და ბედიის დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდის, სამთავისისა და ბევრი სხვა ტაძარი.

§ 41. დავით აღმაშენებელი

მე-11 საუკუნის 80-იან წლებში საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან აღმოსავლეთი საქართველო აოხრებული იყო, ქართლისა და კახეთის ბარის ზოგი თემი გაუკაცრიელებულ, ტყით დაბურულ მხარედ გადაქცეულიყო. ამასთანავე საქართველო განაგრძობდა სელჩუკიან სულთანებისათვის დამამცირებელი ხარკის ძლევას.

ამგვარ ვითარებაში ქვეყნის წინაშე მდგარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანებისათვის წარმატებით ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა განსაკუთრებული პირადი ღირსებებით დაჯილდოებული სახელმწიფო მოღვაწე.

სწორედ ასეთი იყო გიორგი მეორის ძე, დავით IV, რომელიც 1089 წ. 16 წლის ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე.

ბუნების მიერ მძლავრი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული, თავისი დროისათვის ღრმად განსწავლული დავით IV ადრევე ჩამოყალიბდა ძველი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ. მას შეთვისებული ჰქონდა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს განათლება და თანაც საფუძვლიანად შესწავლილი არაბული და სპარსული ენები. არაბი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ დავით მეფე კარგად იცნობდა ისლამსაც და ერთ დროს ვინმე განჯელ ყადისაც კი გამოჰკამათებია ყურანის წარმოშობის საკითხების გარშემო. დავითის გონებრივ ინტერესთა წრე მეტად ფართო იყო, მის ცნობისმოყვარეობას ვარსკვლავთმრიცხველობაც კი იზიდავდა.

მისი თანამედროვე მოღვაწე, შესანიშნავი ისტორიული ოსშულების, „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი"-ს ავტო-

რი, მრავალ ამბავს მოგვითხრობს დავითის მწიგნობრობით მუდმივი გატაცების შესახებ.

დავითის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა ყოფილა. მას გზაში და ლაშქრობაში სატარებელი წიგნთსაცავიც ჰქონია, რომელსაც იგი არასდროს არ იშორებდა. როცა მას კითხვისაგან თვალი დაეღლებოდა, დავითი სხვას აკითხებდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, განმეორებით გამოჰკითხავდა ხოლმე ჩვეულებრივ „თვით განუმარტავდა წანაკითხის ძალასა და სიღრმეს“.

დავით მეფე დიდბუნებოვანი, თავისი დროის მოწინავე აზროვნების კაცი იყო. იგი უნდობლად ეკიდებოდა მრავალს რასმე, რაც სამღვდელოებას ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. იმავე დროს მან სახელი მოიხვეჭა თავისი საოცრად ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომებისა, ისევე როგორც უცხო სარწმუნოებათა მიმდევრების მიმართ.

დაუღალავმა, დასაბული მიზნის განხორციელებისათვის შრომაში უდრეკელმა დავით მეოთხემ უკვდავჰყო თავისი სახელი შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი საქმეებით, რის გამოც მას „აღმაშენებელი“ ეწოდა.

დავითმა უწინარეს ყოვლისა, თავი მოუყარა აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან გაქცეულ-დაფანტულ მოსახლეობას და ლტოლვილები თავ-თავის ადგილას დააბრუნა. შემდეგ იგი მისდგა ქვეყნის სისუსტისა და დამარცხების მთავარ დამნაშავეებს — პირველ რიგში დიდგვარიან აზნაურებს და მალე აგრძნობინა მათ, რომ სამეფო ტახტზე ახლა უკვე ძლიერი პიროვნება ზის, რომელიც თვითნებობასა და ურჩობას არავის აპატიებს.

ურჩ დიდგვარიან აზნაურებს ამ დროსაც კლდეკარის ერისთავები, ბაღვაშები მეთაურობდნენ. ბაღვაშების თავკაცი, ლიპარიტი, იმ ლიპარიტის შვილიშვილი ბაგრატ მეოთხეს რომ მტრობდა, არაერთგზის იყო მხილებული მეფის ორგულობაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ხატოვანი თქმა რომ გავიმეოროთ, მეფე დარწმუნდა, რომ ლიპარიტის გასწორება ისევე არ შეიძლება, როგორც ძაღლის კუდის გამართვა ან კიბოს სწორი სიარულიო, დავითმა საქართველოდან გააძევა ლიპარიტი და კლდეკარის საერისთავოც თვითონ დაიჭირა.

მე-11 საუკუნის დამლევს დასავლეთ-ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქებს სირიისა და პალესტინის რიგი მნიშვნელოვანი ქალაქი და მხარე წაართვეს. დავითმა ისარგებლა სელჩუკიანთა სამხედრო მარცხით და შინაგანი განხეთქილებით და სულთანს სარკის ხდაზე უარი უთხრა.

მაგრამ თვით საქართველოში ზოგიერთი ადგილი ჯერ კიდევ მტერს ეჭირა.

დავით მეფე შეუდგა საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას მოსეტიალე თურქული ურდოებისა და სელჩუკიანთა მეცისოვნეებისაგან. დავითის სამხედრო ტაქტიკა იყო მტერზე მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა პატარ-პატარა რაზმებით. რაკი საქართველოს სამხედრო ძალა ჯერ კიდევ მცირე იყო, მხოლოდ ამგვარი ბრძოლით შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი მტრის გამკლავება. მაგრამ ამ ბრძოლაში სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა ქართველი ერის ყველა ძალთა გაერთიანება ერთს ცენტრალიზებულ სასელმწიფოში.

დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჯერ საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების ამოცანას. მისი სამეფოს გარეთ იყო ამ დროს ხომ ისეთი უმნიშვნელოვანესი თემები, როგორიც იყო კახეთი და თბილისის საამირო. დავითმა კახეთიდან დაიწყო. კასეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთით ზედაზნის ციხე იყო. 1101 წ. დავითმა წაართვა ეს ციხე კახთა მეფეს. სამი წლის შემდეგ ჰერეთის დიდებულებმა თვით კახთა მეფე აღსართანიც შეიპყრეს და დავითს გადასცეს. დავითმა ახლა უკვე საბოლოოდ შემოუერთა კახეთ-ჰერეთი საქართველოს სამეფოს.

დიდებულებთან ბრძოლამ დავით მეფე დაარწმუნა, რომ მეფის მოწინააღმდეგე ძალების, დიდგვარიანი აზნაურების ერთი მთავარი საბუდარი ე კ ლ ე ს ი ა იყო.

ეკლესიის თავკაცები დიდგვარიან აზნაურთა წრის შვილები და წარმომადგენლები იყვნენ და საიდუმლოდ თუ დაუფარავად სხვა დიდგვარიან აზნაურებთან ერთად მეფეს ებრძოდნენ.

აუცილებელი იყო ეკლესიის ძალაუფლების გალაშქრება საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ. ნიადაგი ამისათვის ნაწილობრივ გიორგი მთაწმინდელის საქმიანობით იყო მომზადებული,

მაგრამ ის, რაც გიორგი მთაწმინდელმა გააკეთა მხოლოდ პირველი ცდა იყო. დავითმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ეკლესიას.

1103 წ. მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც რუის-ურბნისის კრებას ეძახიან, რადგან იგი ქართლის ორ სოფელში, რუისსა და ურბნისში (საეპისკოპოსო ცენტრებში) აწარმოებდა თავის სხდომებს. კრებამ დაადგინა, რომ ის ეპისკოპოსები, რომელნიც „მამულობით", ე. ი. მემკვიდრეობით, ფლობდნენ საეკლესიო თანამდებობას და არა პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო, გადაყენებული ყოფილიყვნენ და მათ მაგიერ, შთამომავლობისა და მიუხედავად, ღირსნი და განსწავლულნი აერჩიათ, ესეცა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანიც რუის-ურბნისის კრებისა მეფემ სწრაფად და გაბედულად განახორციელა. საეკლესიო არისტოკრატია განადგურებულ იქნა.

საეკლესიო რეფორმებს მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი სახელმწიფოს ცხოვრება-გამგეობაში, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ქართული სახელმწიფოს ძლიერებასა და მეფის შეუზღუდველ ხელისუფლებას, თვითმპყრობელობას.

როცა შინაურობაში ღავითმა ზურგი გაიმაგრა, ის კვლავ სამხედრო საქმეებზე გადავიდა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი სელჩუკიანთა მეციხოვნე რაზმებიც გაენადგურებინა და ამრიგად ბოლომდე მიეყვანა საქართველოს გაერთიანების საქმე.

თურქებს ჯერ კიდევ ეჭირათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი მეჩი, ისევე როგორც ქვემო ქართლის სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქები და ციხეები, — მათ შორის ციხე-ქალაქები დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვანი, რომელნიც ერთიანს მძლავრს თავდაცვის სისტემას ჰქმნიდნენ.

1110 წ. დავით მეფემ იერიში მიიტანა ამ სისტემაზე და კიდევაც გამოსტაცა თურქებს სამშვილდე. ფრიად მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი და ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან იცავდა თბილისს. სამშვილდის აღება იმდენად დიდი გამარჯვება იყო ქართველებისა, რომ ამით

შეშინებულმა თურქებმა ქვემო ქართლის ციხეების უმეტესობა თვითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სულთანმა სცადა დანაკარგის დაბრუნება, — საქართველოს სელჩუკიანთა მრავალრიცხოვანი ჯარი შემოესია. დავითმა სწრაფად შეუტია მტერს და სასტიკადაც დაამარცხა იგი თრიალეთში.

1115 წ. დავითმა თურქებს წაართვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი — რუსთავი, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთის მისადგომებზე მდებარეობდა, მტკვრის ნაპირას.

1117 წ. დავით მეფეს სელთ იგდო ჰერეთის ციხე-ქალაქი გიში (დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ქალ. ნუხის მახლობლად). იმავე დროს იგი დაუღალავად სდევნიდა და სპობდა სელჩუკიანთა რაზმებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ ბოგინობდნენ, საქართველოს სამხრეთ განაპირა თემებში.

1118 წ. ქართველთა ჯარმა აიღო ლორის ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთიდან მომავალ მტერს გზას უკრავდა და მეტად მნიშვნელოვანი მეწინავე სიმაგრე იყო იმ მთავარ გზაზე, საქართველოს რომ სომხეთთან და სამხრეთის სხვა ქვეყნებთან აერთებდა.

ამ ძლევამოსილი ბრძოლებით დავითი თანდათან თბილისს უახლოვდებოდა. მაგრამ საქართველოს დედაქალაქის აღებისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესება. მეფეს ხელთ ჰყავდა მხოლოდ ბატონყმობაზე დამყარებული ჯარი. მართალია, მეფეს თავისი საკუთარი მამული ჰქონდა და ამ მამულიდან გამომავალი საკუთარი ლაშქარი ჰყავდა, მაგრამ თითოეულ დიდგვარიან აზნაურსაც მოეპოვებოდა თავისი ფეოდალური სამფლობელო, სადაც იგი თავს ბატონ-პატრონად გრძნობდა და რომლის მოლაშქრე ყმები ამ აზნაურის მეთაურობით გამოდიოდნენ ბრძოლის ველზე. ამგვარ პირობებში არ შეიძლებოდა, მეფე დამოკიდებული არ ყოფილიყო თავის ძლიერ ყმებზე. სანამ ეს უკანასკნელნი მეფის ერთგულნი იყვნენ, მათი მონაწილეობა ლაშქრობაში მეფეს უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მეფესა და დიდგვარიან აზნაურს შორის უთანხმოება, ჩამოვარდნილიყო, რომ ამ აზნაურისა და მისი ჯარის მეფისადმი ერთგულება

საეჭვო ან უიმედოც გამხდარიყო. უთანხმოების გამწვავება კი შეიძლებოდა შეტაკებითაც დამთავრებულიყო.

ამ გარემოებამ გადაწყვეტინა დავით აღმაშენებელს შეექმნა ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მტკიცე შინაგანი ერთობით იქნებოდა შეკავშირებული, მუდამ მზად იქნებოდა ბრძოლისათვის და სავსებით დაემორჩილებოდა მეფის ნება-სურვილს. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ამ ახალი ტიპის ჯარის გაჩენას უნდა შეეცვალა აგრეთვე ჩვეულებრივი საპატრონყმო, საჭიროების კვალობაზე მოწვეული რაზმების ბუნება და მნიშვნელობა.

ამ მიზნით მეფემ გადაწყვიტა გადმოეყვანა საქართველოში ყივჩაყები. ყივჩაყები ძლიერი და მეომარი ტომი იყო, ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე. მათ წინათაც არაერთგზის უმსახურიათ ქირით საქართველოს ლაშქარში. ამასთანავე დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მეთაურის ასული ჰყავდა მეუღლედ.

1118 წ. დავითი თავისი უახლოესი მრჩევლებისა და თანაშემწეების თანხლებით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. იქ საქართველოსა და ყივჩაყებს შორის ოსები ესახლნენ, რომელნიც ყივჩაყებს ემტერებოდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოში მათი გადმოსვლისათვის.

დავითმა დაიმორჩილა ოსები, დაიჭირა ოსეთის ციხეები და გზებიც გახსნა.

მეფემ 45.000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიუჩინა მათ მიწა და ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ, მისცა.

დავითმა ახალი ორგანიზაცია მისცა ყივჩაყებს და ორი წლის გაძლიერებული წვრთნის შემდეგ, საქართველოს უკვე ჰყავდა 40 000 საუკეთესო ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი.

გარდა ამისა, დავითმა შეადგინა კიდევ ერთი ცალკე რაზმი 5.000 კაცისაგან, რომელსაც „მონასპას“ ეძახდნენ და რომელსაც თვით მეფის დაცვა ევალებოდა.

რაკი დავითმა შინაურობაში მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ძალაუფლება განამტკიცა, მას საშუალება მიეცა კვლავ შედგომოდა თურქებთან ბრძოლას. ცხადი იყო, რომ საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფა ვერ მოხერხ-

დებოდა, თუ საქართველოსაკენ მომავალი ყველა მნიშვნელოვანი გზა შეკრული არ იქნებოდა. ეს გზები იმავე დროს უმთავრესი სავაჭრო გზებიც იყო.

უკვე 1120 წ. დავითმა შარვანში გაილაშქრა და ცისე-ქალაქი კაბალა აიღო. იგი თურქებს სულისმოთქმას არ აცლიდა: ხან ერთ ადგილას დაეცემოდა მათ, ხან მეორე ადგილას და მუსრს ავლებდა ყველგან, — საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან ქალაქ ბარდავამდე და კასპიის ზღვამდე. ძალზე შევიწროებულმა კავკასიელმა თურქებმა საჩივრით მიმართეს სულთანს, რათა მათ დავითის წინააღმდეგ დახმარებოდა.

თურქების სულთანმა შემოიერთა ყველა მაჰმადიანი მთავარი და ამირა დამასკოდან და ერაყიდან, სამხრეთში, ვიდრე სომხეთამდე, ჩრდილოეთში, და საქართველოსაკენ უზარმაზარი ჯარი გამოგზავნა. იმდროინდელი უცხო მწერლების სიტყვით, მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი ვითომც 400—600 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ამასთანავე ეს მწერლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქართველთა ჯარი რიცხვით რამდენჯერმე ნაკლები იყო თურქებისაზე.

მტრის ჯარმა სწრაფად იარა, მოულოდნელად შემოიჭრა, საქართველოში, მხარმარჯვნივ დასტოვა თბილისი და 1121 წ. 12 აგვისტოს მოადგა ქალაქ მანგლისს. თურქებს განზრახული ჰქონდათ ამ რაიონში გადაელახათ თრიალეთის ქედი და მოეწყვიტათ დავით მეფე დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი პაზებისაგან.

შემოსევის მოულოდნელობამ ხელი შეუშალა დავითს სრულად გამოეყენებინა თავისი ძალები. მაგრამ დაყოვნება აღარ ივარგებდა და მეფემაც გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის, შეეტია მისთვის მთიან-ტყიან ადგილებში, სადაც, მისი ანგარიშით, თურქ-არაბთა ცხენოსანი ლაშქრის სიმრავლეს უნდა დაებრკოლებინა მოწინააღმდეგის მოძრაობა და შეემცირებინა ბრძოლის უნარიანობა.

დავითმა დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცათასიანი ლაშქარი და მანგლისს ჩრდილოეთით, დ ი დ გ ო რ ი ს მ თ ა ზ ე შეაგება იგი თურქებს.

დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წ. 15 აგვისტოს. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაემართა 200 მხედარი. თურქებს

ისინი მათ ბს რეზე გადასული მოღალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლივ მიუშვეს რაზმი შუაგულ ბანაკამდე. მაგრამ გულადმა ქართველმა მეომრებმა უეცრად ხმლები იშიშვლეს და დაერივნენ გაოცებულსა და დაბნეულ თურქებს, დავითმა ისარგებლა მტრის არევ-დარევით და ელვისებურად ეკვეთა მისი ლაშქარი ფრთებს. მაჰმადიანთა უზარმაზარი ჯარი სასტიკად დამარცხდა. თურქებმა ბრძოლის ველზე დატოვეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი და გაქცევით უშველეს თავს. ქართველებმა დიდსანს სდიეს ლტოლვილ მტერს და აურაცხელი სიმდიდრე და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველთა მხნეობამ სრული გამარჯვება მოუპოვა საქართველოს.

დიდგორის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო უკვე.

დიდგორის ომიდან დიდი ხანი არ გასულიყო, რომ, 1122 წ. დავით მეფემ თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისში მყოფმა სელჩუკიან-მაჰმადიანთა მეციხოვნე ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას, მაგრამ ვერას გახდა; ქართველებმა თბილისი აიღეს.

მაჰმადიანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ გაჯავრებულ გულზე პირველ დღეს მეფემ მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ ძალიან მალე მოლბა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, თანასწორ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, მაჰმადიანებს ზოგიერთი უპირატესობაც კი მიენიჭა.

400 წლის განმავლობაში უცხოელთა სელში ნამყოფი დედაქალაქის განთავისუფლების შემდეგ დავითმა სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლო აღმოსავლეთში მან დავითსა და ქართულ მხედრობას დიდი სახელი მოუპოვა.

ახლო აღმოსავლეთის სელჩუკიან-მაჰმადიანი მბრძანებლებისათვის ძნელი ასატანი იყო ასეთი მარცხი, როგორიც იყო თბილისის დაკარგვა, და მათ ახალი, საპასუხო ლაშქრობის მოწყობა სცადეს. 1123 წ. სულთანი შარვანში შეიჭ-

რა, შეიპყრო შარვანის მფლობელი „შარვან-შაჰად“ წოდებული, შარვანის დედაქალაქი შამახია აიღო და დავითს გამოუგზავნა მუქარითა და დაცინვით სავსე წერილი, რომელშიც „ტყის მეფეს“ უწოდებდა მას: თუ გული გერჩის, მაგ შენ ტყიან ქვეყანაში ნუ კი იმალები, ველზე გამოდი და შემებრძოლეო.

დავითი თავისი ჯარით დაუყოვნებლივ შარვანისაკენ დაიძრა. გაიგო თუ არა ეს ამბავი, სულთანმა ომს თავი მოარიდა და ბოლოს გაიქცა კიღევაც. დავითმა შამახიაც აიღო, შარვანიც თავის გავლენას დაუმორჩილა, ხოლო შემდეგ უფრო შორსაც გაიწია და დარუბანდის მმართველს ქალაქი შაბურანი წაართვა.

იმავე 1123 წ. დავითმა ხელთ იგდო სომხეთის მრავალი ქალაქი და ციხე. შემდეგ კოლასა და ბასიანში გაილაშქრა და გაანადგურა თურქები, რომელნიც საქართველოს ამ სამხრეთ თემებში ჯერ კიდევ მაგრობდნენ.

ბოლოს ჯერი მიდგა სომხეთის დედაქალაქ ანისზედაც, რომელიც ამ დროს მაჰმადიან მფლობელს ეჭირა. საქართველოს წარმატებით გამხნევებულმა, ანისელი სომხების თავკაცებმა დავით მეფეს თავისი თავი და თავისი ქალაქი შემოავედრეს.

დავითმა სწრაფად შეკრიბა 60 000 ცხენოსანისაგან შემდგარი ჯარი, შემოეწყო ანისსა და, სომეხი მოსახლეობის დახმარებით, სამ დღეში აიღო ქალაქი. ანისი დავითმა სამეფოდ დაიჭირა, ქალაქს გამგედ თავისი კაცი დანიშნა, ხოლო მეციხოვნეებად კი მესხი აზნაურები ჩააყენა.

ანისის, სომეხთა ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ცენტრის, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი სავაჭრო ქალაქისა და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტის აღებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ამ ამბავს მთელი ხალხი ზეიმით შეხვდა. სომეხი ისტორიკოსი მათე ედესელი თავის თანამემამულეთა განწყობილებას გადმოგვცემს, როცა მოგვითხრობს, თუ როგორ „გაათავისუფლა დავით ქართველთა მეფემ, სომეხი ერის მფარველმა და მეგობარმა, 60 წლის მონობისაგან სატახტო ქალაქი სომხეთისა ანისი, და მისი დიდებული, მეჩეთად ქცეული ტაძარი. დავითმა დიდი ზეი-

მით კვლავ აკურთხებინა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა მთელ სახლში".

ერთი ძველი ქართული ქრონიკა მათეს ამ ცნობას დასძენს, რომ დავითი მივიდა ანისის ტაძრის ამშენებლის, კათრონიტედე-დედოფლის საფლავზე და სამგზის ჩასძახა მას: „გისაროდეს, დედოფალო, რადგანაც იხსნა უფალმა ტაძარი შენი ურწმუნოთაგან".

ანისის აღების შემდეგ დავითს დიდხანს აღარ უცოცხლია: 1125 წლის 24 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, იგი გარდაიცვალა ქ. თბილისში. მისი ცხოვრების აღმწერელი გვამცნობს, რომ „ეფეს განზრახული ჰქონდა კიდევ უფრო დიდი საქმეები და ლაშქრობანი" და რომ იგი ენერგიულად ემზადებოდა კიდევაც მათთვის, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა მას ამ გეგმების შესრულება.

§ 42. კულტურული ვითარება დავით აღმაშენებლის მეფობაში

დავითის მეფობაში ქვეყანა დაწინაურდა კულტურულადაც.

დავითმა ააგო გელათის შესანიშნავი ტაძარი, დღემდე შემონახული და დააარსა იქ მონასტერი, რომელიც, მეფის განზრახვით, მეორე ათენად უნდა ქცეულიყო. მართლაც, დავითმა გელათში თავი მოუყარა თავისი დროის ყველაზე სწავლულ ქართველებს. მათ შორის იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. გელათში ცხოველი სამწერლო და საგანმანათლებლო მუშაობა გაჩაღდა. დავითმა ააშენა აგრეთვე ცნობილი შიომღვიმის დიდი ტაძარი. აქ მოღვაწეობდა მწერალი არსენ იყალთოელი. დავითი მფარველობდა უცხოელ კულტურის მოღვაწეებსაც. გამოჩენილი მაჰმადიანი პოეტებისა და მეცნიერებისათვის მან თბილისში თაყვანსაფარი დააარსა.

საერთოდ, დავითი ყველა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენელს ერთნაირად ეპყრობოდა.

ასეთი წინდახედული პოლიტიკით დავით აღმაშენებელმა საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა როგორც ქართველ, ისე სპარსელ, თურქ და სომეხ მოსახლეობაშიც.

არაბულ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ მაჰმადიანთა არც ერთ საბრძანებელში მაჰმადიანები ისე კარგად არ გრძნობდნენ თავს, როგორც საქართველოში დავითის დროსო.

დიდ ყურადღებას აქცევდა დავით მეფე აღებ-მიცემის განვითარებას. დავითმა დააარსა ქალაქი გორი, რომელიც ამის შემდეგ მუდამ ქართლის მთავარი ქალაქი იყო. მიმოსვლის გასაადვილებლად დავითმა იქ, სადაც მანამდე მგზავრობა გაძნელებული იყო, გზები შეაკეთებინა და ქვებით მოაფენინა, ჭარ მდინარეებზე ხიდები ააგებინა, გზებზე ფუნდუკები, ანუ სასტუმროები ააშენებინა.

დავით აღმაშენებელმა მოსახლეობის ჯანმრთელობასაც მიაქცია ყურადღება. ამისათვის მან საავადმყოფოები ააგო, უზრუნველყო ყველაფრით და შიგ სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფები მოათავსებინა.

აღსანიშნავია, რომ დავითი თვითონაც მისდევდა მწერლობას. შემონახულია, მაგალითად, დავითის „გალობანი სინანულისანი“, რომელშიაც ავტორი მკაცრად აფასებს თავის საკუთარ ცხოვრებას.

§ 43 გიორგი მესამის მეფობა

დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს არაერთი შინაური და საგარეო გართულება შეემთხვა (ბრძოლა ტახტის გარშემო, მაჰმადიან მმართველთა ცდები დაებრუნებინათ დაკარგული ტერიტორიები და სხვ.) მხოლოდ გიორგი მესამის დროს დაუბრუნდა საქართველოს სამეფო დავით აღმაშენებლის აქტიურ საგარეო პოლიტიკას. გიორგიმ ყველაზე ადრე თავისი ყურადღება სომხეთისაკენ მიმართა.

გიორგი მეფეს არ სურდა, რომ ანისი ადგილობრივი მფლობელის, თუნდაც საქართველოს მეფის ყმადნაფიცის ხელში ყოფილიყო. მეფეს უნდოდა ეს მდიდარი და ძლიერი ციხე—ქალაქი საკუთარ სამფლობელოდ ჰქონოდა. 1161 წ. ზაფხულში, გიორგი თავისი ჯარით მოულოდნელად ანისისაკენ გაემართა, ბრძოლით გააძევა ანისის ძველი მფლობელები, ციხე-ქალაქი აიღო და საქართველოს ჯარის მხედართმთავარს, ამირსპასალარს იოანე ორბელს ჩააბარა. ორ-

ბელის თანაშემწედ მეფემ სარგის მსარგრძელი დანიშნა, ციხეში რჩეული მეციხოვნე ჯარი დატოვა, თვით ქალაქი და ანისის ოლქი კი უშუალოდ სამეფოს ტახტს დაუმორჩილა.

ამ ამბავმა მახლობელ მაჰმადიან მმართველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შაჰ-არმენად წოდებული ხლათის მფლობელი, დიარბექირის მმართველი და არზრუმის მთავარი იმავე წელს დიდი შეერთებული ლაშქრით ანისს მიადგნენ, მაგრამ ანისთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და დიდი ტყვე და ალაფი იშოვა.

ანისის გამო ბრძოლა შემდეგშიაც დიდხანს არ შეწყვეტილა, მაგრამ 1173 წლიდან მოყოლებული სომხეთის ძველი დედაქალაქი საქართველოს მეფეებს მტკიცედ ეჭირათ ხელში.

შემდეგ ჯერი უფრო სამხრეთით მდებარე მეორე, ფრიად მნიშვნელოვან ქალაქ დვინზე მიდგა, რომელიც აგრეთვე სომხეთის დედაქალაქი იყო ძველად და მდიდარ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. 1162 წ. ქართველმა ჯარმა გიორგი მეფის მეთაურობით დვინიც აიღო.

საქართველოს სამეფოს ამ დამკვიდრებამ სომხეთში ახალი, კიდევ უფრო დიდი შეშფოთება გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელებში. მათ გადაწყვიტეს, რაკი პირდაპირ ბრძოლაში ქართველ ჯარს ვეღარ უმკლავდებოდნენ, წვრილი თარეშებითა და მოულოდნელი თავდასხმებით დაესუსტებინათ საქართველოს სამეფო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერას გახღნენ.

დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, შარვანი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო და მჭიდროდ იყო საქართველოსთან დაკავშირებული როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად. საქართველოს მეფეებსა და შარვან-შაჰებს მოყვრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. ახლა შარვანს ძალიან გაუჭირდა. ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიან მფლობელებს დარუბანდის გზით იერიში მოჰქონდათ შარვანზე. შარვან-შაჰად ამ დროს გიორგი მესამის დისწული აღსართანი იყო, რომელმაც თავის პატრონსა და ბიძას დახმარება სთხოვა. გიორგი მეფემ 1167 წ. გაალაშქრა; ქ. შაბურანი და დარუბანდი აიღო და შარვან-შაჰის სამფლობელო ჩრდილოეთიდან

უზრუნველყო. დარუბანდი მან საქართველოს ყმადნაფიც შარვანშახს გადასცა.

1177 წ. საქართველოში შინაური ბრძოლა ატყდა. საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა იოანე ორბელმა აჯანყება დაიწყო. მიზნად მას გიორგი მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ დემნა უფლისწულის გამეფება ჰქონდა დასახული. დემნა ანუ დემეტრე გიორგი მესამის უფროსი ძმის, დავით მეხუთის, შვილი იყო. გიორგის მტრები ამტკიცებდნენ, საქართველოს სამეფო ტახტი დემნას ეკუთვნის, როგორც უფროსი ძმის შვილსო. ნამდვილად, დიდგვარიან აზნაურებს არ მოსწონდათ გიორგი მეფე, იმიტომ რომ გიორგი მაგარი და მკაცრი იყო, და ფიქრობდნენ, ახალგაზრდა დემნას უფრო ადვილად ვათამაშებთ ჩვენს ნებაზეო. ამასთან, დემნა იოანე ორბელის სიძე იყო.

იოანე ორბელს დიდგვარიანი აზნაურებიდან ბევრი მიემხრო, ისე რომ მეამბოხეებს 30.000 მებრძოლი შეუგროვდათ.

მეფე არ დაიბნა, ერთგული ჯარები შეაგროვა და ლორეს ციხეს შეუტია, სადაც აჯანყებულები გამაგრებულიყვნენ. გიორგი მეფის ენერგიული მოქმედების გამო მისი მოწინააღმდეგეები დაიქსაქსნენ და გაითიშნენ. სხვებზე ადრე გამრეკელ-თორელმა მიატოვა დემნა, იგი მორჩილების მოსახსენებლად გიორგი მეფესთან გამოცხადდა. მას სხვებმაც მიჰბაძეს, მათ შორის — ნარგრძელებმაც. მეამბოხეებმა მეზობელ მაჰმადიანთა სამფლობელოში თავისი კაცები მეშველი ჯარის სათხოვნელად აფრინეს, მაგრამ ეს ცდაც ამაო გამოდგა.

ლორეს ციხეში მომწყვდეულებს გაუჭირდათ. დემნა უფლისწულმა ველარ აიტანა, ციხიდან საბლით ჩამოეშვა და თავის ბიძას წარუდგა, პატიების მთხოვნელი. შემდეგ თვით აჯანყების მომწყობი იოანე ორბელიც იძულებული იყო მეფეს დამორჩილებოდა. ამგვარად აჯანყება ჩაქრობილ იქნა. გიორგი მესამემ დამნაშავენი სასტიკად დასაჯა, მათ შორის — თვით დემნაც (მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს), ორბელები კი ძირიანად მოთხარეს.

ამ აჯანყებამ გიორგი დაარწმუნა, რომ დიდგვარიან აზნაურთა ურჩობას ბოლო არ ჰქონდა და გადაწყვიტა, ამ მარჯვე

შემთხვევით ესარგებლა. მეფემ შეთქმულებაში გარეული ყველა დიდგვარიანი მოხელე გადააყენა, მათ მაგიერ კი თავისი ერთგული, პირადი ღირსებით გამოჩენილი პირები დანიშნა. ივანე ორბელის მაგივრად საქართველოს ჯარის მხედართმთავრად ნაყივჩაყარი ყუბასარი დაინიშნა, რომელმაც გიორგი მესამეს დემნას აჯანყების დროს თავისი ერთგულებით განსაკუთრებული სამსახური გაუწია. ამგვარადვე მან აზნაურთა ყმოპიდან აღზევებულ აფრიდონსაც მსახურთუხუცესის თანამდებობა მისცა. ასეთივე დიდი თანამდებობანი მიიღეს ყუთლუ-არსლანმა, ჭიაბერმა და სხვებმა.

ბევრი ამ ახალი მოხელეებიდან სრულიად უგვარო იყო. გიორგი მეფის ეს ღონისძიება მოუსვენარი დიდგვარიანი აზნაურობის წინააღმდეგ იყო აშკარად მიმართული.

მაკრამ დიდგვარიანი აზნაურობა ამით არ მოსპობილა. ძლიერი იყვნენ დიდგვაროვნები ეკლესიაში, სადაც მათ კვლავ მოიკალათეს დავით აღმაშენებელის შემდეგ, როცა გიორგი მეფე დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დედაქალაქში დაბრუნდა, აქ მას მოულოდნელად საეკლესიო კრება დახვდა. კრებამ მეფეს მოსთხოვა, რომ საეკლესიო ქონებაზე და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადები მოსპობილიყო და მეფეს ეკლესიის შეუვალობა აღედგინა, როგორც წინათ იყო. გიორგი მესამე იძულებული გახდა ეს მოთხოვნა შეესრულებინა.

ძველ საქართველოში სამეფო ტახტის მემკვიდრედ მეფის უფროსი ვაჟიშვილი ითვლებოდა. მაგრამ გიორგი მეფეს ვაჟიშვილი არ ჰყავდა და მას შემდეგ, რაც დემნა უფლისწული მოკვდა, არც სხვა ვინმე იყო მეფის ახლობელი ნათესავი ვაჟი, რომ ტახტის მემკვიდრედ წამოეყენებინათ. ამიტომ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, 1178 წ. გიორგი მესამემ თავისი ქალიშვილი თამარი მეფედ აკურთხა. ამით გიორგის უნდოდა დროულად გაენეტკიცებინა თამარის უფლება სამეფო ტახტზე. მაშინ თამარი მხოლოდ თანამმართველი იყო მამისა, ფაქტიურად სამეფოს ისევ გიორგი განაგებდა 1184 წლამდე. როდესაც ის გარდაიცვალა, ახალგაზრდა თამარს მრავალი ხალხით დასაბლებული დიდი სახელმწიფო დარჩა.

§ 44. თამარის გამეფება. ბრძოლა სამეფოს კარზე

გარდაიცვალა თუ არა გიორგი მესამე, სამეფო კარზე ისევ ბრძოლა ატყდა. თუმცა თამარი მამის სიცოცხლეშივე იყო მეფედ ნაკურთხევი, მაგრამ სახელმწიფო დარბაზის წევრთა შორის, თამარის თვითმპყრობელობის საკითხი ახლა ისევ საცილობლად გადააქციეს.

უეჭველია, მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ შემთხვევაში უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თამარის მამის სიცოცხლეში, მაგრამ ბოლოს მაინც დარბაზმა, მსჯელობის შემდეგ, თამარს მეფობის დასტური მისცა.

საკითხი თამარის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. მეფედ კურთხევის წესი დიდი დიდებით შეასრულეს. სხვათა შორის თამარს წელზე ხმალი შემოარტყეს, როგორც სამეფოს მეთაურსა და უზენაეს მთავარსარდალს.

მაგრამ გათავდა თუ არა ეს ზეიმი, მაშინვე თავი წამოჰყო ყველამ, ვინც უკმაყოფილო იყო.

მოწინააღმდეგენი უმთავრესად გიორგი მესამის მიერ დანიშნულ მოხელეებს მისდგნენ. იმ ცვლილებამ, რომელიც გიორგიმ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში მოახდინა, როდესაც მან დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ვაზირობა და სხვა თანამდებობანი წაართვა და მათ მაგიერ უგვარონი დანიშნა, მაშინაც დიდგვარიან აზნაურთა წრეში აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ დამარცხებულთ თავისი ბრაზი და ბოღმა უნდა უნებლიეთ გულში ჩაეკლათ. ახლა კი, როდესაც სამეფო ტახტზე უკვე ახალგაზრდა ქალი იჯდა, დიდგვარიანებმა დრო იხელთეს და დაკარგული ადგილების დაბრუნება მოინდომეს. ისინი გაიფიცნენ და თამარ მეფეს განუცხადეს, რომ ამიერიდან უგვარო მოხელეების ბრძანებას აღარ დაემორჩილებოდნენ. ამასთანავე ყველაზე ადრე მოითხოვდნენ, რომ თამარს სამსახურიდან დაეთხოვნა უგვარო მოხელეები — ამირსპარსალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომელნიც დიდგვარიანებს სხვებზე მეტად ეჯავრებოდათ.

ყუბასარი და აფრიდონი გიორგისა და თამარის ყველაზე ერთგული მოხელეები იყვნენ,. მაგრამ თამარი იძულებული გახდა დიდგვარიანთა მოთხოვნა შეესრულებინა. ეს, რა თქმა უნდა, მეფის მარცხი იყო.

§ 45. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესაცვლელად

დიდგვაროვანთა გამოსვლა ჯერ დამცხრალი არ იყო, როცა მეჭურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა მინისტრმა) ყუთლუ-არსლანმა, რომელსაც ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა, თამარ მეფეს სრულიად ახალი მოთხოვნა წაუყენა.

ამ მოთხოვნით, ისანში, ახლანდელ ავლაბარში, ახალი სახელმწიფო დაწესებულება „კარავი" უნდა დაარსებულიყო.

ისანში მეფის სასახლე იყო მოთავსებული და საქართველოს უმაღლესი დაწესებულება, სასელმწიფო დარბაზიც. დარბაზის მოწვევა მხოლოდ და მხოლოდ მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული, ახლა ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა, რომ სასახლის გვერდით კარავი ყოფილიყო დადგმული. ამ კარავში, მეფისაგან დამოუკიდებლად და მეფის დაუსწრებლად, სახელმწიფო მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საქმეები უნდა განეხილათ. აქ „კარავი" ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ დარბაზის მსგავსს დაწესებულებას ნიშნავს. ყუთლუ-არსლანის დასის გეგმით, კანონმდებლობითი უფლება მეფეს უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის დასს მიზნად დასახული ჰქონდა სასელმწიფო წესწყობილების იმნაირად შეცვლა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება მარტო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ამ დროს უკვე სახელმწიფო ძალა-უფლება ყუთლუს მოწინააღმდეგე დიდგვარიანებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული და მათ ყოველი ღონე იხმარეს, რათა ეს დიდი მოძრაობა ჩაეშალათ. მათი რჩევით თამარმა ამ პოლიტიკური დასის მეთაური დააჭერინა. თამარის მრჩევლებს ეგონათ, რომ ყუთლუს დაჭერა მოძრაობას ჩააქრობდა და დასიც თავისთავად დაიშლებოდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ყუთლუ-არსლანის თანამოაზრენი შეიკრიბნენ, მეფეს თავისი მეთაურის უვნებლობა და განთავისუფლება მოსთხოვეს

და თანაც იარაღი შეისხეს, შეიქმულნი მეფის სასახლეს ემუქრებოდნენ.

აჯანყებულებს მოსალაპარაკებლად თამარმა კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, ორი გამონენილი ქართველი მანდილოსანი, მიუგზავნა. შეთანხმება ურთიერთდათმობით გახდა შესაძლებელი.

თუმცა „კარავის“ დაარსება უარყოფილ იქნა, მაგრამ თამარ მეფემ დარბაზის „თანადგომის“, ესე იგი სახელმწიფო საქმეების განსილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის განსაკუთრებული უფლება აღიარა. ამ დროიდან მოყოლებული, დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ თამარის ისტორიკოსი ყოველთვის ასე ამბობს: „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“ თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირიო.

ამგვარად, საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით“ თვალსაჩინოდ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების წინამორბედსა და ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მე-13 საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, სადაც „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ („მაგნა ხარტა ლიბერტატუმ“) შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა.

§ 46. შინაური მდგომარეობა თამარის მეფობის დასაწყისში

დიდგვარიანი აზნაურები და მათი ცალკე ჯგუფები ამის შემდეგაც არაერთხელ გამოსულან თამარის წინააღმდეგ. ისინი თამარის პირად ცხოვრებაშიაც ერეოდნენ. ასე, როცა თამარის ქმრის საკითხი დადგა, ისინი საქმროდ უფრო ისეთ კაცს ეძებდნენ, რომელიც მათთვის იქნებოდა მისაღები. პირველი ქმარი თამარს მისი სურვილის წინააღმდეგ მოუყვანეს. 1185—86 წელს, სახელმწიფო დარბაზის გადაწყვეტილებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანეს და თამარს შერთეს სუზდალის რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გიორგის პიროვნების უარყოფითი თვისებები მოიმიზეზეს და იგი საქართველოდან გააძევეს. გიორგი ბიზანტიაში წავიდა.

1189 წ. თამარმა მეორედ იქორწინა. თამარის მეორე ქმარი იყო დავით სოსლანი. დავითი ოსეთის მეფისწული და ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და თამარის მამიდასთან, რუსუდანთან, იზრდებოდა. დავითისაგან თამარს ორი შვილი ეყოლა: უფროსი — გიორგი ლაშა და უმცროსი — რუსუდანი.

მაგრამ გიორგი ასე ადვილად არ შერიგებია თავის ბედს. მან ორჯერ მოაწყო აჯანყება თამარის წინააღმდეგ. პირველად გიორგი ერზერუმის გზით შემოვიდა საქართველოში. მაშინ მას ისეთი დიდი ფეოდალები მიემხრნენ, როგორიც იყვნენ გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის მმართველი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი.

ამ დიდგვარიან აზნაურებს იმედი ჰქონდათ, რომ გიორგის თავის სათამაშო ბურთად გადააქცევდნენ.

მართალია, გიორგის რომხრეებმა თავდაპირველად საქართველოს დიდი ნაწილის დაჭერა მოასერსეს და გიორგი მეფედაც გამოაცხადეს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ შემდეგ მათ საქმე ცუდად წაუვიდათ. თამარის ერთგულმა ჯარებმა აჯანყებულთა მთავარი ძალა გაანადგურეს ჯავახეთში, თმოგვსა და ერუშეთს შუა. როდესაც ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა ჯავახეთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს, უბრძოლველად გაიქცნენ. გიორგის მომხრე დიდგვარიანმა აზნაურებმა თამარს წინასწარ პატიება სთხოვეს, გადმოვიდნენ და გიორგიც მოიყვანეს. თამარმა გიორგი კვლავ გააძევა, აჯანყებაში გარეულს მის მომხრეებს კი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული სელისუფლები დანიშნა.

1193 წ. გიორგიმ ხელმეორედ სცადა თავისი ბედი წაღმა მოეტრიალებინა: რანში მოვიდა ათაბაგთან და იქიდან კამბეჩოვანში, ე. ი. ქიზიყში, შემოიჭრა. მაგრამ უმალვე დამარცხებულ იქნა და უკვალოთ გადაისვენწა.

§ 47. საგარეო ომები თამარის მეფობაში

ოთხმოცდაათიანი წლებისთვის შინაური მდგომარეობა საქართველოში უკვე დაწყნარებული იყო. ახლა იწყებოდა ისეთი დიდი საგარეო ომები, რომ მათი მსგავსი საქართველოს ცოტა ახსოვდა.

მეზობელი მაჰმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ საქართველოსაგან შემოერთებული ადგილები ისევ უკან დაებრუნებინათ. ირანის ადარბადაგანის ათაბაგი აბუბექრი შარვანს შეესია. ამ დროს შარვანში საშინელი მიწისძვრაც მოხდა, აღსართან შარვან-შაჰმა აბუბექრს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თამარს დახმარება სთხოვა. რაკი ის საქართველოს ყმადნაფიცი იყო, საქართველოს მთავრობამ დახმარება საჭიროდ იცნო.

საქართველოსა და ათაბაგის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა 1195 წ. ციხე-ქალაქ შამქორთან. მტერი საშინლად დამარცხდა და ათაბაგმა გაქცევით ძლივს უშველა თავს. ქართველებს დიდძალი საშოვარი ჩაუვარდათ ხელში, შამქორი კი თამარმა თავის ყმადნაფიცებს გადასცა.

შამქორის შემდეგ საქართველოს ჯარმა ქალაქი განძაც დაიმორჩილა.

დიდ ომებს შორის ქართველი ჯარები განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ საქართველოს მეზობელ თემებში, იქ მდგარ თურქებს ანადგურებდნენ, იბრუნებდნენ მტრისაგან მიტაცებულს უშორეულეს ქართულ ციხე-ქალაქებს და ახალ ქვეყნებსაც საქართველოს მეფეს უმორჩილებდნენ. ასე მოხდა გელაქუნისა (სევანის) და დვინის თემებში და ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილში.

1204 წ. თამარი იძულებული გახდა საქართველოს ჯარის მოქმედება უფრო შორეულ მანძილზე გადაეტანა. იმ ხანებში უცხოეთიდან ჩამოსულ ქართული სავანეების წარმომადგენლებს თამარ მეფემ დიდი ქონებრივი შეწირულობა გადასცა, მაგრამ ბიზანტიის კეისარმა უკან დაბრუნებულ ქართველ ბერებს ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი საქციელის დასასჯელად, თამარმა საქართველოს მხედრობა ბიზანტიის იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველი ტომები, ლაზები

ამუ ჭანები, ცხოვრობდნენ. ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა დაიპყრო მთელი ლაზისტანი, ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, აიღო კოტიორა და ერაკლიამდე მიაღწია. დაპყრობილი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე სამეფოდ („ტრაპიზონის სამეფოდ") გადააქცია, რომელშიც თამარმა შთამომავლობით ბერძენი უფლისწული, დედის მხრით თავისი ნათესავი და საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნენოსი გაამეფა.

ამნაირად, ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მეზობლად თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი დიდი სამეფო გაჩნდა, რომელიც ქართველი ტომითაც იყო დასახლებული და პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოსთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში (სამეფოში) საქართველოს გავლენა იყო გაბატონებული.

1204-1205 წელს საქართველოს ჯარმა ჯერ სლათი დალაშქრა, შემდეგ მანაზკერტი და არჭეში. ამავე ხანებში თამარმა თავისი ჯარი კარის (ყარსის) ციხე-ქალაქის ასაღებად გაგზავნა. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. კარის ციხეს სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სამხრეთიდან საქართველოში მომავალს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას ჰკრავდა. თამარმა კარის ციხე-ქალაქი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

საქართველოს ძლევამოსილების სმა მთელს მახლობელ აღმოსავლეთს მოედო. ეს ამბები მაჰმადიან მფლობელებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. ყველაზე მეტად რუმის სულთანი რუკნადინი იყო აღშფოთებული. რუმის სასულთნო ძლიერი თურქული სამეფო იყო, რომელიც დღევანდელი თურქეთის ფარგლებში მდებარეობდა. რუკნადინმა მეზობელი ყველა მაჰმადიანური სამფლობელოს უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შერთებული ძალით საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ.

მოკავშირეებმა რომ 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუკნადინმა თამარ მეფეს მუქარით სავსე, ბრიყვული წერილი გამოუგზავნა, რომელშიც, წინადადებას აძლევდა რას, უბრძოლველად დამემორჩილეო.

საპასუხოდ თამარმა ბრძანება გასცა ჯარის შეყრის შესახებ. ეს განკარგულება სისწრაფით იქნა ასრულებული და რუკნადინის უკან მიმავალ ელჩს საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაედევნა.

შეტაკება მოხდა საქართველოს ყველაზე სამხრეთით მდებარე თემში, ბასიანში (ერზერუმის მახლობლად). თავდაცვითი ბრძოლის შაკერ ქართველებმა თავდასხმის ტაქტიკა არჩიეს და მტერს შეუტიეს. თურქები იმდენად ჭარბობდნენ რიცხვით ქართველებს, რომ პირველი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართველების მოწინავე რაზმი, რომელსაც სახელგანთქმული სარდლები მეთაურობდნენ — ამირსპარსალარი ზაქარია მხარგრძელი, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები და სხვები — შედრკა და უკან დაიხია. მაგრამ მალე ქართველებმა, მეფე დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით, მოუარეს თურქებსა და გვერდიდან დაჰკრეს. მტრის უზარმაზარი ლაშქარი აირია და გაიქცა. თურქები ისე სასტიკად დამარცხდნენ, რომ თვით რუკნადინი ტყვეობას ძლივს გადაურჩა. მათი დროშები, მთელი ქონება, რაც კი თან ჰქონდათ, და მრავალი ტყვე საქართველოს ლაშქარს ჩაუვარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს ჯარის უძლეველობის სახელი განამტკიცა აღმოსავლეთში.

1207 წ. თამარის მეუღლე დავითი გარდაიცვალა და თამარმა სამეფო ტახტზე თანამმართველად თავისი თორმეტი წლის ვაჟი გიორგი ლაშა აიყვანა. საგარეო ლაშქრობანი ამის შედეგაც გრძელდებოდა. 1208—1209 წელს არჭეში აიღეს. 1208 წელსვე აღდგომა ღღეს, როდესაც რიჟრაჟზე ქალაქის კარები გაღებული იყო, არდაველის (ირანში) სულთანი ანისს შეესია, ეკლესიებში შეყოფი ხალხი ამოსოცა და ისევ სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ირანში დაბრუნდა. მოახსენეს თუ არა თამარს ამ კადნიერი შემოსევის ამბავი, მან საპასუხო დამსჯელი ლაშქრობა ბრძანა. იმავე წესით, როგორც ანისი იყო დარბეული, დარბეულ და აწიოკებულ იქნა არდაველიც, ხოლო არდაველის სულთანი სიკვდილით დასაჯეს.

ამ გალაშქრებამ ქართველ მხედართმთავრებს ირანის სრული უმწეობის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ირანის დაპყრობა ძნელი საქმე აღარ იყო. 1210 წ. ამირ-

სპარსალარ ზაქარია მსარგრძელისა და სხვა მაღალი მოხელეების თხოვნით სახელმწიფო დარბაზმა და თამარ მეფემ ირანში ლაშქრობა დაასკვნეს.

საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ირანისაკენ გაემართა. ზედიზედ აღებულ იქნა ირანის ცნობილი ქალაქები მარანდი, თავრეჟი (თავრიზი), მიანა ზენგანი (ზენჯანი) და ყაზვინი. დასასრულ, ქართველმა ჯარმა როგ-გურსაც კი მიაღწია, მაგრამ ახლა მას იმდენი ნაშოვარი ჰქონდა დაგროვებული, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა.

§ 48. ქართული სახელმწიფოებრიობა თამარის მეფობაში. გთიელების აჯანყება

თამარის მეფობის ხანძრის ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტელი, დიდი და წვრილი, ომები, წარმოებდა. ამ ომებს დიდი საშოვარი სდევდა თან, ჯარი დავლითა და ალაფით დატვირთული ბრუნდებოდა შინ. გასაგებია, რომ მდიდრდებოდნენ უმთავრესად ფეოდალები და მათს ამყოლს შინაყმებსაც ცოტა რამ ერგებოდათ ხოლმე.

ქვეყნისათვის ამ ომებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ საქართველო და მისი მეზობელი მხარეები გაწმინდეს უფრო დაბალი კულტურის მქონე, მოძალადე უცხოელებისაგან — უმთავრესად, თურქებისაგან, — და ხელი შეუწყვეს საქართველოს დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას. ამ სახელმწიფოში დამყარდა წესრიგი, რომელიც საჭირო იყო ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების განვითარებისათვის, იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა, მეურნეობის მრავალნაირი დარგი არსებობდა და სხვადასხვა რაიონები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ გაცვლა-გამოცვლის მიზნით.

თამარის მეფობის ღასასრულისათვის საქართველოს სამეფოში უკვე ბევრი არაქართველი ეროვნება შემოდიოდა. საქართველოსაგან დამოკიდებული გახდა მთელი ჩრდილოეთი კავკასია, აღმოსავლეთი ამიერკავკასია, სამხრეთის ანუ ირანის ადარბადაგანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები.

არაქართველი მოსახლეობის მიწა-წყლის შემოერთებას-

თან ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი იყო დაკავშირებული. ამ მხრივ საქართველოში ორგვარი წესი არსებობდა: ან უშუალო შემოერთება, ან ყმადნაფიცობა (ვასალური დამოკიდებულება). პირველ შემთხვევაში შემოერთებული ქვეყანა საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა უშუალოდ, მეორე შემთხვევაში კი შემოერთებული ქვეყანა საქართველოს მეფის ყმას, ადგილობრივ მფლობელს ექვემდებარებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის სამთავროები საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცები გახდნენ. თუმცა შარვანი და რანი თავდაპირველად უშუალოდ შემოერთებულ იქნენ, მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნებიც ყმადნაფიცობის წესზე იყვნენ მოწყობილნი, სამხრეთით მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოებიც აგრეთვე საქართველოს ყმადნაფიცებად იყვნენ ქცეულნი, ყოფილი სომხეთის სამეფოს სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია კი საქართველოს ხელმწიფის უშუალო სამფლობელო და კუთვნილება გახდა.

სომხურ თემებში დამყარებული წესის განსხვავება იმით აიხსნება, რომ როდესაც იქ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შედიოდა, თითქმის მთელი საუკუნით ადრე იქ სომხური ხელისუფლება უკვე მოსპობილი იყო და საქართველოს ამ ტერიტორიას მაჰმადიან მმართველებს ართმევდა. ადგილობრივი სომხური ხელისუფლება, რომელთანაც ყმადნაფიცობით დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყო, არ არსებობდა. საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანაში, სომხეთში მაინც ძალიან ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებდა: სომხური თემების მმართველად ისეთ პირებს ნიშნავდა, რომელნიც ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო ახლო იყვნენ თავისი სარწმუნოებითა თუ წარმოშობით.

საქართველოს სამეფოში არა მარტო ბევრი სხვადასხვა ეროვნება, არამედ ბევრი სხვადასხვა სარწმუნოებაც იყრიდა თავს. მართლმადიდებელი ქრისტიანების გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტი სომხებიცა და მაჰმადიანებიც — სპარსელები, თურქები და არაბები. ამიტომ იყო რომ საქართველოს მთავრობა, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის (ლმობიერების) პოლიტიკას მისდევდა.

ამ პოლიტიკის ნიმუშია ერთი შემთხვევა, რომელიც სა-

შუალო საუკუნეებისათვის სრულიად უჩვეულო ამბავი იყო. ორ სომხურ მონასტერს შორის დავა ატყდა ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო. ამ დაცის გასარჩევად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, განწიგნობართუხუცესმა, საგანგებო სასამართლო გამოჰყო, რომლის წევრებად მოწვეული იყვნენ როგორც სომეხი, ისე ქართველი სამღვდელო პირები. ესეც გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად დანიშნული იყვნენ თბილისისა და განძის ცნობილი ყადიები (მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნი)!

ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაჰმადიანები, თვით არაბულ-სპარსული იმდროინდელი ისტორიული წყაროების ცნობებით, თავის თავს ბევრ მუსლიმან სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე უკეთესად გრძნობდნენ.

მე-12 საუკუნის საქართველო, როგორც ვიცით, ფეოდალური ქვეყანა იყო. ფეოდალური ურთიერთობა აქ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სულ უფრო და უფრო მეტ ხალხს აბამდა თავის უღელში. სახელმწიფოც ხელს უწყობდა ფეოდალიზმის განმტკიცებას.

ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იწვევდა ხალხის ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ, თავისი ფეოდალური ვალდებულებების გადიდების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო დიდი აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთებში, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში.

აქაური მთიელები, ფხოველები (დღევანდელი ფშავ-ხევსურების წინაპრები) და დიდოელები, გადასდგომიან საქართველოს მთავრობას და სრული ურჩობა გამოუცხადებიათ. აჯანყება ისე გაფართოებულა, რომ თამარი იძულებული გამხდარა მთაში დიდი ჯარი გაეგზავნა ამირსპარსალარ-ათაბაგის ივანე მხარგრძელის მეთაურობით. ივანე ათაბაგმა სამი თვე მოანდომა მეამბოხეებთან ბრძოლას და დიდი სისასტიკით ჩააქრო იგი.

§ 49. საქართველოს კულტურული ვითარება მე-12 საუკუნეში

საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაძლიერება მე-12 საუკუნეში ის საფუძველი იყო, რომელზედაც აყვავდა ძველი ქართული, ფეოდალური ხანის, კულტურა.

მე-12 საუკუნის ქართული კულტურა წინამორბედი პერიოდების ქართულივე კულტურის ბუნებრივი განვითარება იყო.

ამ საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და ფილოსოფოსების, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, მოღვაწეობა მე-12 საუკუნეს აკავშირებს მე-11 საუკუნესთან. ამ ფილოსოფოსების მიერ ჩატარებულმა ბრძოლამ აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის ღრმა კვალი დააჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების შეგნებას. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ იოანე პეტრიწს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიაში, პეტრიწოსის ქართველთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა, სულ ბოლოს კი საქართველოში იყო გადმოტანილი. ღრმა ცოდნაზე დამყარებული სამაგალითო, ზედმიწევნითი თარგმანების გვერდით, მათ საუცხოო საკუთარი კომენტარები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შეჰქმნეს.

გაიფურჩქნა ამ ხანაში აგრეთვე ქართული საისტორიო მწერლობაც ამ დროს არის დაწერილი ისეთი წარჩინებული საისტორიო ნაშრომები, როგორიცაა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ბრწყინვალე თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის შესანიშნავი ნაწარმოებები. სახელმწიფო ამბებს გარდა, ამ ავტორებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ამბებიც არ ავიწყდებოდათ. შინაარსის მრავალფეროვნება და თვით საისტორიო წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან საისტორიო ძეგლებად სდის.

ძველი ქართული კულტურის გარდა, ფეოდალურ საქართველოს ელინური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული. ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქარ-

თველ მეცნიერებს საშუალება მისცა ბერძნული თხზულებები დედანში წაეკითხათ.

მე-12 საუკუნის ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით, ის წარმოადგენს, რომ როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამობის ნიადაგზე შექმნილს ახალს, მეტად თავისებურსა და მრავალფეროვანს, არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა. ქართველი ერი სარწმუნოებრივად მისთვის ამ დაშორებულსა და თითქოა უცხო კულტურას, როგორც ცხოელმყოფელ წყაროს, დაეწაფა, შეითვისა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება გაამდიდრა.

ქართველ ხალხს უძველესი დროიდანვე თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი ხმიერი და საკრავიანი მუსიკა ჰქონდა, ისევე როგორც სახიობაც. მკაცრი ქრისტიანულ- ასკეტური მოძღვრება ხალხური შემოქმედების ამ დარგებს სდევნიდა, მაგრამ მათ თანდათანობით თავისი ძალა კვლავ მოიკრიფეს და უკვე მე-10 საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

მე-11—მე12- საუკუნეებში ამ საერო მწერლობის მნიშვნელობა და გავლენა სწრაფად იზრდება. პირველ ხანებში მაჰმადიანთა საერო მწერლობის ჰანგების მიმბაძველობით შეფარდებული, თანდათანობით ის დამოუკიდებელი შემოქმედების გზას ადგება. ამ მხრივ ქართული „ვისრამიანია“ საყურადღებო, რომელიც იმავე სასელწოდების მქონე ლექსად დაწერილს სპარსულ რომანს არაფრით ჩამოუვარდება, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად აქვს დაწერილი. იოანე შავთელის „აბდულ მესია“ და ჩახრუხაძის სოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს მაღალხარისხოვანი კულტურის გამომხატველია. ასეთ თხზულებათა გაგება მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონე საზოგადოებას შეეძლო. იმავე დროს უმაღლესი ლექსთაწყობა, რომლის მაგალითებიც მათი ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განსაცვიფრებელი ოსტატობით არის მიმობნეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებული პოეტისათვის იყო მისაწვდომი.

მარტო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება ვეფხისტყაოსანიც“, სხკაც რომ არაფერი გვქონოდა შემორჩენილი, მაშინდელი ქაროული მხატვრული მწერლობის მაღალი დონის საბუთად კმარა. შოთას „ვეფხისტყაოსანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა იმდროინდელი როგორც აღმოსავლეთის, ისევე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასასრულამდე, ეს ქმნილება მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე სწორუპოვარი ლექსის მუსიკალობით, სრულყოფილი აღნაგობით, მაღალმხატვრული შეღარებებითა და ღრმა აზრებით. მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივს რომანებში იყო სოლმე, არამედ აქ მგოსანი და მისი გმირები დიდ საკითხებს დასტრიალებენ თავს.

შოთას მოქმედი პირები მარტო თავის ბედნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი არსებანი არ არიან. „ვეფხისტყაოსნის“ ქალებიც ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებული გმირები არიან და უკიდურესი განსაცდელის დროსაც მათ თავისი სამშობლოს ბედნიერება არ ავიწყდებათ.

საზოგადოებრივი ჰანგები, ადამიანის ბუნების იშვიათი ცოდნა და სიბრძნე განსაკუთრებით ამკობს „ვეფხისტყაოსანს“. ეს უკვდავი პოემა სამ ძირითად ჰანგზე არის აგებული: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულება, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად ძმადნაფიცთა ერთგულება. ყოველივე ამან „ვეფხისტყაოსანი“ შოთას თანამედროვეებისთვისაც უებრო თხზულებად აქცია და ქართულ მწერლობაში იგი დღევანდლამდე სწორუპოვარ მაგალითად დარჩა.

ქართულ მხატვრულ მწერლობას გვერდს ხელოვნებისს სხვა დარგებიც უმშვენებდა. იმდროინდელმა ხუროთმოძღვრებამ, კედლისა და ხელნაწერების მხატვრობამ, ჭედვითმა ხელოვნებამ თუ მინანქარმა, მუსიკამაც ბევრი პირველხარისხოვანი ნაწარმოები დაგვიტოვა.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინწვისის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ჯრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბე-

თის სახარებათა, ხახულისა და ანჩის ხატების მოჭედილობა, რომელიც იმდროინდელი შესანიშნავი ქართული ოქრომჭანდაკებლების ბექა და ბეშქენ ოპიზარების ნახელავია.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართულ მუსიკის დიდი დაწინაურებაც: მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოიყო, ისე რომ ამ დროს საგალობლების სიტყვებისა და ჰანგის შემთხზველნი საქართველოში სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორებისაგან შეთხზული ჰანგები, საკუთარი საგალობო ნიშნებით ჩაწერილი, ნაწილობრივ ჩვენ დრომდეც არის მოღწეული.

მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ხუროთმოძღვრებამაც. იკორთის, სამთავროს, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა ტაძრები ამ დიდი ხელოვნების მრავალმეტყველი მოწმენი არიან, იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა განმავლობაში ძალზე დაზიანდნენ და წინანდელი ბრწყინვალებიდან მათ ბევრი რამ უკვე დაკარგული აქვთ. მთლად კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერი, მრავალი სეწაკებითა და საუცხოოდ მოხატული ეკლესიით, დაანახვებს ადამიანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ხელოვნების ეს დარგი მაშინდელ საქართველოში.

მე-11—მე-12 საუკუნეების ქართულ ხელოვნებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ევროპაში საფუძვლად დაედო ეგრეთწოდებულს „რენესანსის (აღორძინების) ხანას“.

თავი V

საქართველო XII-XIII—XIV საუკუნეებში

§ 50. მონგოლთა გაბატონება საქართველოში

1122 წ. გარდაიცვალა ლაშა გიორგი და სამეფო ტახტზე მისი და რუსუდანი ავიდა. ამ უკანასკნელის დროს, 1125 წ., საქართველოს შემოესია შორეული ხორეზმის მმართველი ჯალალედინი და თბილისიც კი აიღო, რომელიც სასტიკად დაარბია. სულ მალე, მე-13 საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს უკვე მონგოლები შემოესიენ და დაიპყრეს იგი. რუსუდანმა მათდამი სარკის სდა იკისრა.

მონგოლები ორ მოკავშირე ჯგუფად იყოფოდნენ: მონგოლებად და თათრებად. საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც მონგოლებს ჩვეულებრივად თათრებს ეძახდნენ. მათი სამშობლო ცენტრალური აზია იყო.

მონგოლები მომთაბარე ხალხი იყო. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ საკვებისა და სხვა საცხოვრებელი სახსარის შემოლევის შემდეგ. ტყეში მობინადრე მონგოლთა ტომები უმთავრესად მონადირეობითა და მეთევზეობით ცხოვრობდნენ. ველად მოსახლე მონგოლები მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც მომთაბარეობის პრინციპზე იყო დამყარებული: ზაფხულად ისინი მთაში ადიოდნენ, ზამთრად კი ბარად ჩამოდიოდნენ. მიწათმოქმედება მათ არ ჰქონდათ, ხვნა-თესვას არ მისდევდნენ. მესაქონლეობის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა, რადგანაც ცხენი მათთვის ძვირფასი იყო, როგორც საწველი ცხოველიც: ისინი ცხენის რძესა სვამდნენ და ამას გარდა, სხვა ხორცზე მეტად, უმთავრესად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. მარტო მესაქონლეობა მათ არსებობისათვის საკმარის სახსარს ვერ

აწვდიდა,. ამიტომ დანაკლისის შევსება მათ მონადირეობით უხდებოდათ. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი და მათი არსებობის მესამე, არაუმნიშვნელო, წყაროს მეკობრეობა და მტაცებლობა შეადგენდა.

მონგოლები გვაროვნული წესწყობილების მქონებელი ხალხი იყო, მაგრამ მე-13 საუკუნის დამდეგისათვის მათი გვაროვნული წყობილება უკვე საკმაოდ შერყეული იყო და თავისებური ფეოდალიზმის ჩანასახი მათ ცხოვრებაში უკვე ჩანდა. მე-12 საუკუნის ღამლევისათვის მონგოლთა მეთაურებს შორის გაძლიერდა ერთი, სახელად თ ე მ უ ჩ ი ნ ი, რომელმაც თანდათან სძლია თავის მეტოქეებს და მონგოლები გააერთიანა. 1206 წ. მონგოლთა თავკაცების ყრილობამ თემუჩინი აღიარა თავის მბრძანებლად და თემუჩინმა ჩ ი ნ გ ი ზ ხ ა ნ ი ს ახალი სახელი მიიღო.

მალე ჩინგიზ-ხანმა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი და თავისი სამფლობელო ძალიან გააფართოვა.

ჩინგიზ-ხანმა ახალი სამხედრო ორგანიზაცია შემოიღო, რომელიც მთელს მონგოლურ მოსახლეობას ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად ანაწილებდა. ათეული შედგებოდა იმდენი ოჯახისაგან რამდენსაც ბრძოლის ველზე ათი შეიარაღებული მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ასეულს, ათასეულს, ათიათასეულს (რომელსაც მონგოლურად დუმენი ეწოდებოდა), ასევე, როცა სალაშქროდ გამგზავრება იყო საჭირო, ასი, ათასი და ათიათასი მოლაშქრე უნდა მიეცა.

მალე ჩინგიზ-ხანმა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი და თავისი სამფლობელო ძალიან გააფართოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინგიზ-ხანის სამფლობელო მის ოთხ შვილს შორის იყო გაყოფილი. უფროს შვილს, ჯუჩის, ჩრდილო-დასავლეთი ქვეყნები ერგო. აქ, კავკასიონისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, თანდათანობით ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული „ო ქ რ ო ს უ რ დ ო“ ანუ „ჯ უ ჩ ი ს უ ლ უ ს ი“, რომელსაც რუსეთი ემორჩილებოდა. ჩინგიზ-ხანის შთამომავლობის მეორე შტო კი დამკვიდრდა ირანში; მათ ი რ ა ნ ი ს ი ლ ხ ა ნ ე ბ ს ანუ ჰ უ ლ ა გ ი დ ე ბ ს ეძახიან. მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში ჯუჩიდებსა და ჰულაგიდებს შორის მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა ატყდა.

§ 51. მონგოლური მმართველობის წესი საქართველოში

ამრიგად, მონგოლური წყობილება უმთავრესად სამხედრო ორგანიზაციის წესს დაემყარა. მთელს მათ ყოფა-ცხოვრებას სამხედრო ხელისუფლება განაგებდა.

საქართველოში, პირიქით, სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს ემორჩილებოდა. მთავრობის სათავეში მწიგნობართუხუცესი იდგა, რომელიც „ვაზირთა უპირველესი" იყო. მას სხვა ვაზირებთან ერთად ამირსპასალარიც ექვემდებარებოდა. საქართველო, ინტესიური მეურნეობისა და მაღალი კულტურული დონის სახელმწიფო იყო.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, მონგოლები საქართველოს იმავე წეაით მოწყობას შეუდგნენ, როგორც თვითონ ჰქონდათ. მათ საქართველო დუმნებად დაჰყვეს. მთელი საქართველოს სახელმწიფო რვა ათიათასეულად ანუ დუმნად იყო დანაწილებული. პირველ დუმანს ჰერეთ-კახეთი და მისგან აღმოსავლეთით მღებარე თემები შეადგენდა; ამ დუმნის უფროსად ეგარსლან ბაკურციხელი დაინიშნა. მეორე დუმანს ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთით მოსაზღვრე თემები შეადგენდა; მის უფროსად ვარამ გაგელი ითვლებოდა. მესამე დუმნის, რომელიც სომხური თემებისაგან შედგებოდა, უფროსი შანშე მსარგრძელი იყო. მეოთხე დუმანი, შიდა ქართლი, გრიგოლ სურამელს ექვემდებარებოდა. მეხუთე დუმანი, ჯავახეთი, გამრეკელ თორელის საგამგეო იყო, მეექვსე კი — დანარჩენი მესხეთი ერზერუმამდე — ჯაყელისა. დასავლეთი საქართველო მონგოლებმა ორ დუმნად გაჰყვეს და ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს დაუმორჩილეს. მაგრამ დუმნებად დანაწილებამ საქართველოში დიდხანს ვერ იბოგინა და მალე მოისპო.

§ 52. კოხტასთავის შეთქმულება, ცოტნე დადიანის გმირობა

ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ ქართველ თავკაცებში აჯანყების აზრი დაბადა. ჯავახეთში, კოხტასთავზე, შეიკრიბნენ ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი,

ყვარყვარე ჯაყელი — სამცხის სპარსალარი, შოთა კუპრი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი, თორღვა პანკელი და სხვები. თავკაცებმა ითათბირეს და დაასკვნეს თათრების წინააღმდეგ აჯანყების აუცილებლობა. პაემანიც იყო დაწიშნული მოქმედების დასაწყებად. მაგრამ შეთქმულება, როგორც ჩანს, გასცეს და შეთქმულთა უმეტესობა მონგოლებმა დააპატიმრეს. პატიმრები სომხეთში მდგომ ნოინს წარუდგინეს. რადგანაც პატიმრები კოხტასთავზე შეკრების მიზეზად სათათრო ხარკის საქმეს ასახელებდნენ და აჯანყების განზრახვას უარყოფდნენ, ნოინის ბრძანებით პატიმრები გააშიშვლეს და მცხუნვარე მზეზე დასხეს იმ მიზნით, რომ ასეთი წამებით მათთვის სიმართლე ეთქმევინებინათ.

ცოტნე დადიანმა, რომელიც დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა, როგორც კი გაიგო თავისი ამხანაგების ამბავი, მაშინვე სომხეთს გაემგზავრა და ნებაყოფლობით მათი მწარე ბედი გაიზიარა: სამოსელი გაიხადა და თვითონაც იმ მოედანზე დაჯდა, სადაც მისი მხარგაკრული ამხანაგები მზეზე ეყარნენ. როცა ცოტნეს უცნაური საქციელით გაკვირვებულმა მონგოლებმა დაჰკითხეს იგი, ცოტნემ განაცხადა: ჩემი ამხანაგები უდანაშაულო არიან; და თუ უდანაშაულოთა დასჯა შეიძლება, დაე მათთან ერთად დავისაჯოო.

ცოტნეს თავგანწირვამ გაიმარჯვა. ძველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც გვიამბობს ამ ამბავს, ამტკიცებს, რომ ცოტნეს კეთილშობილებამ თათრები დააჯერა, ქართველები მართალი უნდა იყვნენო, და ყველა გაათავისუფლეს.

§ 53. დავით ულუს და დავით ნარინის მეფობა

რუსუდანი, საქართველოს მეფე, 1245 წ. გარდაიცვალა. მონგოლთა მმართველთან საქართველოს სამეფოს ტახტის ორი პრეტენდენტი აღმოჩნდა: რუსუდანის ვაჟი დავითი და ლაშა გიორგის უკანონო შვილი დავითი. მონგოლთა ყაენმა ორივე დავითი მეფედ დაამტკიცა — ლაშა-გიორგის ძე უფროსად (ამიტომ მას მონგოლურად დავით-ულუ (დავით-უფროსი) უწოდეს), ხოლო რუსუდანის ძე — უმცროსად (მას დავით-ნარინი (დავით-უმცროსი) შეერქვა).

საქართველო გმინავდა მონგოლთა მძიმე ხარკისა და სხვა ვალდებულებათა ქვეშ. 1259 წელს ჯერ დავით ნარინი, ხოლო 1260 წელს დავით ულუც, აუჯანყდნენ მონგოლებს. მონგოლებმა რამდენჯერმე დაამარცხეს აჯანყებულთა რაზმები, ბევრი ქართველი წარჩინებული, მათ შორის დავით ულუს მეუღლე გვანცა, ტყვედ იგდეს ხელთ და სიკვდილით დასაჯეს. ჯერ ნარინ-დავითმა, ხოლო შემდეგ ულუ-დავითმაც დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი. მაგრამ შემდეგ ულუ-დავითი შეურიგდა მონგოლებს და კვლავ დამკვიდრდა აღმოსავლეთ საქართველოში. მალე აქ მას შეტაკება მოუხდა სამცხის მმართველ სარგის ჯაყელთან. ამ უკანასკნელმა, მონგოლთა დახმარებით, ულუ-დავითისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და ამით საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებულ ორ ფაქტიურად დამოუკიდებელ სამეფოს (დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს) მიემატა კიდევ მესამე დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეული — სამცხე (სამხრეთ საქართველო), რომლის სათავეშიც ათაბაგის ტიტულის მქონე მთავარი იდგა. ასე რომ საქართველო ფაქტიურად სამ ნაწილად გაიყო.

1272 წ. გარდაიცვალა ულუ-დავითი და აღმოსავლეთ საქართველოში ტახტზე მისი ვაჟი დემეტრე მეორე დაჯდა.

§ 54. აღმოსავლეთ საქართველო დემეტრე მეორის (თავდაღებულის) მეფობაში

იმისდა მიუხედავად, რომ დემეტრე მეფე მცირეწლოვანი იყო, მასაც მონგოლთა ყველა ლაშქრობაში უხდებოდა მონაწილეობის მიღება.

ამ ხანაში მონგოლები უმთავრესად ეგვიპტის სულთანს ებრძოდნენ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარიც ამ ომიანობაში მუდმივ იყო ჩაბმული.

1277 წ. ირანის ილხანის (მმართველის) ლაშქრობა ეგვიპტის წინააღმდეგ საშინლად დამარცხდა. ამ ომში ქართველთაგან ბევრმა შესწირა თავისი სიცოცხლე. 3.000 მებრძოლიდან ცოტაღა დაბრუნდა საქართველოში. საგრძნობი

დამარცხებით დამთავრდა მონგოლთა ლაშქრობა იმავე ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ სირიაში 1280 წელსაც. ამ ლაშქრობაში 50 ათასი თათარი და 30 ათასი ქართველი, სომეხი და ბერძენი მეომარი იყო ჩაბმული. ამ ომშიც ქართველთა უმეტესობა დაიღუპა.

1281 წ. ქალაქ ამასიის მახლობლად მონგოლები კვლავ დამარცხდნენ და ამ ბრძოლაშიც დიდძალი ხალხი დაიღუპა, მათ შორის ქართველთა ლაშქრის ნაწილიც. თვით დემეტრე მეორე ძლივს გაღაურჩა სიკვდილს.

ასეთ მარცხიანსა და გაუთავებელ ლაშქრობას საქართველოს მოსახლეობა დიდ ეკონომიურ გაჭირვებაშიც უნდა ჩაეგდო. ეს უპირველესად ქალაქებში, მაგალითად, თბილისში, იყო საგრძნობი: იქ მათხოვარ-დავრდომილების რიცხვი ძალიან გამრავლებულა. მაღალი წრეების წარმომადგენელნიც კი თავის უმწეო მდგომარეობას საჯაროდ ჩიოდნენ.

ამ გაჭირვებას ზედ დიდი მიწისძვრაც დაერთო. მრავალი საყდარი, მონასტერი, ციხე, სახლი და სხვა ნაგებობა დაიქცა, კლდეებიც კი მტვრის მსგავსად ჩამოიფშვნა და მიწა გაიპო.

ეს საშინელი მიწისძვრა მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, დიდძალი ხალხიც დაიღუპა და უსასლკაროდ, უსახსროდაც ბევრი დარჩა. მიწისძვრის მთავარი ცენტრი სამცხეში იყო, მაგრამ მისი ანარეკლი ქართლში იმდენად ძლიერი იყო, რომ მცხეთის ტაძარიც კი დაიქცა.

ოთხმოციანი წლების დამლევს მონგოლებმა კვლავ ხალხის აღწერა მოახდინეს. ამ აღწერამ გამოარკვია, რომ ილხანების სამფლობელოს უმეტესი ნაწილი აოხრებული ყოფილა, მათ შორის საქართველოც, სოლო საქართველოში ყველაზე მეტად კახეთი და ჰერეთი იყო გაპარტახებული, ბერქა ყაენსა და ირანის ილხანებს შორის წარმოებული ბრძოლის წყალობით.

როგორც სხვა შემთხვევაშიაც მომხდარა, ახლაც გაჭირვება უმთავრესად ხალხს დააწვა. გაბატონებული წრეები, დიდებულები და სამღვდელოება ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რომ თვითონ თავი დაეღწიათ ამ გაჭირვებისაგან და მისი ტვირთი სხვებისათვის, უმთავრესად მდაბიო ხალხისათვის, გადაეტანათ. ფეოდალებმა ისევ ეკლესია-

მონასტრების მიწების მიტაცება დაიწყეს. სამღვდელოებაც ხალხის აშკარა ყვლეფას არ თაკილობდა. ცხადია, გლეხობა ცდილობდა თავი დაეცვა, რამდენადაც შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალური წრეების ზნე-ჩვეულებაშიაც ამ დროს ბეკრი ცვლილება ხდებოდა მონგოლების ზეგავლენით. ასე, მაგალითად, გაჩნდა მრავალცოლიანობის შემთხვევებიც, რაც ქართველი ხალხისათვის სრულიად უჩვეულო იყო.

მას შემდეგ რაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის ბრძოლა ატყდა, უთანხმოება და შუღლი თვით ირანშიც ჩამოყარდა. ილხანების საყაენოში შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ირანის ყაენებს ამ ხანაში თავისი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით დაემთავრებინოთ.

უნებლიედ ისეთი მღგომარეობა შეიქმნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ირანის საყაენოში პირველობისათვის მებრძოლთა ან ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო, ან მეორეზე.

ასე, როცა აბაღა ყაენის ძმასა და მემკვიდრეს, გამაჰმადიანებულ აჰმად ყაენს ნოინები აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არღუნი დასვეს ყაენად, აჰმადმა ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე დაიბარა ქართველი ლაშქრით. 1284 წ. აჰმადმა არღუნი თავისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრით დაამარცხა, მაგრამ აჰმადის ძლევამოსილება მალე გაქარწყლდა. ნოინები თავისას არ იშლიდნენ და მათი წყალობით არღუნი კვლავ ყაენად დაჯდა. ამავე დროს დემეტრე მეორეს საქართველოში შემოუთვალეს, დახმარება აღარ გაეწია აჰმადისათვის. ეს მოთხოვნა მეფემ შეასრულა.

არღუნის ყაენობისას ღემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც. არღუნის უმთავრესი მრჩეველი ბუღა საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო და დემეტრე მეფეს მსარს უჭერდა ხოლმე.

მაგრამ მალე მდგომარეობა სრულიად გამოიცვალა. 1288 წ. არღუნ ყაენის საწინააღმდეგო შეთქმულება გამომჟღავნდა. ამ შეთქმულების მეთაურობა პირველ ვაზირს ბუღას დაბ-

რალდა. ბუღა სიკვდილით დასაჯეს. მის შვილს, ნათესავებსა და მომსრეებსაც იგივე ბედი ეწიათ.

რადგანაც ცნობილი იყო, რომ საქართველოს მეფე შეთქმულების მეთაურთან ძლიდროდ იყო დაკავშირებული, ამიტომ არღუნმა დემეტრე ირანში დაიბარა. დემეტრეს წინაშე წამოიჭრა საკითხი, რაგორ მოქცეულიყო: წასულიყო, თუ მთებში გახიზვნით ეშველა თავისათვის. ამ განსაცდელის ჟამს მან სასელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, რას ურჩევდნენ.

თვითონ მეფეს ყაენთან წასვლა თავის მოვალეობად მიაჩნდა, რადგანაც იცოდა, რომ თუ ის არ გამოცხადდებოდა, ყაენი შურის საძიებლად უეჭველად საქართველოს ააწიოკებდა. დარბაზის წევრები კი ფიქრობდნენ, რომ დემეტრეს შეეძლო თავი ისევე გადაერჩინა, როგორც სხვებმა, თვით მისმა მამამაც, არაერთხელ გადაირჩინეს, და ურჩევდნენ, საქართველოში დარჩენილიყო. დემეტრემ ეს წინადადება უარჰყო. მან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სხვადასხვა ალაგას დამალა და გზას გაუდგა. გზაშივე დემეტრე მეფეს ყაენის საგანგებო მოსელე დახვდა, რომელმაც მეფეს მთელი ქონება ჩამოართვა, თვითონ ის შეიპყრო და ასე წარუდგინა ყაენს.

ყაენს გადაწყვეტილი არ ჰქონდა დემეტრე მეორე უთუოდ სიკვდილით დაესაჯა, მაგრამ ზოგი იმდროინდელი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ დემეტრე მეფე მონგოლების დროს დაწინაურებული ქართველის სადუნ მანკაბერდელის შვილმა, სუტლუ-ბუღამ, დაღუპაო. სუტლუ-ბუღა დემეტრეს ემდუროდა იმის გამო, რომ მან სადუნის სიკვდილის შემდეგ ათაბაგობა მას კი არა, არამედ ტარსაიჭ ორბელს უწყალობა. სუტლუ-ბუღა არღუნს წარუდგა და მოახსენა: იმერეთის მეფის დავითის შვილს ვასტანგს გადმოვიყვან, მას მიეცი მეფობა და ამრიგად საქართველოს ორივე სამეფო შენს ხელში იქნებაო. არღუნ ყაენს ეს გეგმა მოეწონა და ამ გარემოებამ დემეტრეს ბედიც გადაწყვიტა საბოლოოდ.

სიკვდილით დასჯის წინ დემეტრე მეფეს წინადადება მისცეს, თვითონვე დაესახელებინა, სად და რა სიმდიდრე ჰქონდა კიდევ. ამ ცნობის თანახმად, მას მთელი ქონება ჩამოართვეს და 1289 წ. 12 მარტს საქართველოს მეფეს თავი მოჰკვე-

თეს უცხოეთში. ამ ამბის გამო დემეტრეს „თავდადებული“ დაერქვა.

დემეტრე თავდადებულის ისტორია აღწერილი აქვს ილია ჭავჭავაძეს თავის ცნობილ პოემაში.

თავის საშინაო საქმიანობაში იმდროინდელი ისტორიკოსის მტკიცებით, დემეტრე ცდილობდა აოხრებული ქვეყანა განეახლებინა, ამოწყვეტილი მოსახლეობის მაგიერ სხვა მოეყვანა, მიწაზე დაესვა ღა ქვეყანა მოეშენებინა. დემეტრეს მშენებლობაც უწარმოებია, მის მიერ ისნის სამეფო სასახლის მახლობლად აგებული მეტეხის ტაძარი (ავლაბარში) დღემდეა შემორჩენილი. იგი მნიშვნელოვანია როგორც მე-13 საუკუნის ქართული ჩუროთმოძღვრების მაღალსარისხოვანი განვითარების დამამტკიცებელი ძეგლი. მდიდარი ჩუქურთმით შემკული, მშვენიერად შესრულებული მისი კარიბჭე და სხვა გადარჩენილი ნაწილები ცხადყოფს, რომ იმ დიდი გაჭირვებისა და უბედურების მიუხედავად, რომელიც მონგოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს თავს დაატყდა, ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი ნიჭი დაშრეტილი არ ყოფილა.

§ 55. შინაური მდგომარეობა საქართველოში მე-14 საუკუნის დამდეგისათვის

თუ როგორი შედეგები მოუტანა მონგოლების ბატონობამ საქართველოს, ეს კარგად არის გამოსატული ყაენის ერთ ბრძანებაში, რომელიც 1319 წლის ახლო ხანაში იყო გამოცემული. ყაენს ამ თავის ბრძანებაში ნათქვამი აქვს, რომ საქართველოში თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და გამოსაღებელი იკრიფებოდა. ამის გამო საქართველოს მოსახლეობა ისე ყოფილა შეწუხებული, რომ ხალხიო, ნათქვამია ყაენის ბრძანებაში, ქალაქებიდან და სოფლებიდან გარბის და თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და სახლ-კარი მიატოვაო. ყაენი ვითომ კრძალავდა ამ თვითნებობასა და უსამართლობას, მაგრამ ცარიელი ბრძანებით დარღვეული სახელმწიფოს აღდგენა შეუძლებელი იყო.

თათართა ბატონობის ხანაში საქართველოს საზოგადოებრივ წყობასა და ცხოვრებას დიდი ცვლილება დაეტყო.

ასლა წოდებრივ ფენათა შორის უმაღლესი საფეხური საქართველოში უკვე აზნაურებს აღარ ეკავათ, არამედ აზნაურებზე უფრო მაღლა დიღებულები იდგნენ. თავადობა, როგორც წოდება, მე-13 ღა მე-14 საუკუნეების განმავლობაში ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ მაინც აზნაურობა ის პირველი წოდება, რომელსაც წინათ მთელი ქვეყნის ბატონობა ხელში ჩაგდებული, აღარ იყო.

თვალსაჩინოდ გამოიცვალა გაბატონებული საგვარეულოების შემადგენლობა. ძალიან ხშირად, ჟამთა სიავის წყალობით, ძველს დიდ საგვარეულოებსა და კერძო პირებსაც თავისი წინანდელი მდგომარეობის შენარჩუნება უძნელდებოდათ. რაკი წოდებრიობა დამყარებული იყო ეკონომიკურ საფუძველზე, გაღარიბებას უნებლიეთ დაქვეითებას იწვევდა. ზოგი კიდევ თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და სამსახურებრივი დაწინაურების წყალობით აღზევებას ასერხებდა. ამრიგად, ბევრი ძველი და დიდი საგვარეულო მოისპო, მათ მაგიერ კი ასალი დაწინაურდა.

საგრძნობი ცვლილება მოხდა აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მდგომარეობაში. ირანის ილხანების მძარცველობამ და მოხელეთა ბოროტმოქმედებამ მიწის მუშა ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მას მიწის დამუშავებას გაქცევა ერჩია. რაკი სოფლის მოსახლეობა თავის მიწა-წყალს მრავლად სტოვებდა კიდეც და ცდილობდა ამ საშინელებისათვის თავი დაეღწია. ყაზან ყაენმა, მე-14 ს. დასაწყისში, თავის მიწა-წყლის თვითნებურად მიტოვება და სხვაგან გადასახლება აკრძალა ირანში. ვინც ამას ჩაიდენდა, ის თავის ქვეყანაში და თემში იძულებით უნდა ყოფილიყო დაბრუნებული და ამას გარდა, უნდა დაესაჯათ კიდეც.

საქართველოში გლეხობის ერთი ნაწილი უკვე წინათც იყო მიწაზე მიმაგრებული. მონგოლურ სანაში ასეთი გლეხების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამასთანავე, რამდენადაც საქართველო ირანის ილხანების ყმადნაფიცი სამფლობელო იყო, ყაზან ყაენის კანონს საქართველოშიც უნდა მოეხდინა ერთგვარი გავლენა.

ამრიგად, მე-13—მე-14 საუკუნეში საქართველოში ყმა გლეხების მდგომარეობა დიდად გაუარესდა. ამ ნიადაგზე

კიდევ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება მემამულე აზნაურებსა და ყმა გლეხებს შორის და მათ შორის ხანგრძლივი, სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

იმ გლესების მდგომარეობის გაუარესების გარდა, რომელნიც წინათაც ყმებად ითვლებოდნენ, გაუარესდა აგრეთვე თავისუფალი გლესობის მდგომარეობაც. ასეთი თავისუფალი გლეხობა იმ დროს ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით იყო შემორჩენილი მთიან რაიონებში. ამ რაიონების მმართველმა დიდმა აზნაურებმა, რომელთაც სამოხელეო თანამდებობა მეფისაგან ჰქონდათ მიღებული, მოიწადინეს, რომ მათ ხელქვეით მყოფი მოსახლეობა ისეთ დამოკიდებულებაში ჩაეგდოთ, რა დამოკიდებულებაც მათსა და მათ პირად ყმებს შორის არსებობდა.

მთიანეთის მოსახლეობას თავისი უფლებების ასეთი შეზღუდვა მტკივნეულად უნდა ეგრძნო და მკაცრი წინააღმდეგობაც გაეწია. მართლაც, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-14 საუკუნის დამდეგს ამ დიდ მოხელეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მთიანეთში ძალიან გამწვავებული ურთიერთობა ყოფილა.

მთელი სოფლის ან მთელი ხეობისა თუ თემის შეზრახებითა და მონაწილეობით მთიელები ხოცავდნენ ერისთავგამგებლებს, ციხეებს უქცევდნენ მათ, კარ-მიდამოს უწვავდნენ და, ამრიგად, შეუპოვრად იცავდნენ თავის უფლებებს.

§ 56. გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, მეფობა

გიორგი მეხუთე, დემეტრე თავდადებულის ძე, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო სამეფო ტახტზე აყვანილი, მაგრამ მაშინ მას თავისი ხელისუფლების გამოყენება არ შეეძლო.

როცა 1314 წ. გიორგი მეხუთე, ბრწყინვალედ წოდებული, შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას, ამ დროს ირანში მთელი ძალა-უფლება პირველ ვაზირს, ჩობანს ეპყრა. ყაენი ჯერ კიდევ პატარა იყო.

ჩობანი საქართველოს მეგობრობდა, ის აფასებდა გიორგის ნიჭსა და ჭკუას და მას ეთათბირებოდა ხოლმე ირანის

საქმეებზე. მეფე გიორგი ჩობანისათვის ძვირფასი და საჭირო იყო მარტო როგორც პირადი მეგობარი კი არა, არამედ როგორც მისი თანამოაზრე და თანაგანმზრახი.

ირანის ილხანების ძლიერება ამ დროს შერყეული იყო. მონგოლთა ჯარი მათთვის სარდო სამხედრო ძალას უკვე აღარ წარმოადგენდა. საქართველოს ჯარს კი, მისი მაღალი სამხედრო თვისებების გამო, ირანის მებრძანებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, საქართველოს სამხედრო ძალა მათთვის დასაყრდენი გახდა. ეს დამოკიდებულება ჩობანთან გიორგი მეფემ კარგად გამოიყენა თავის სამეფოს საქმეების მოსაგვარებლად. გიორგი მეფეს საშუალება ჰქონდა იმდენად თავისუფლად ემოქმედა თავის სამფლობელოში, რომ თუმცა ილხანების ბრძანება საქართველოშიც მოდიოდა, მაგრამ, თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსების ცნობით, მას საქართველოში ძალა აღარ ჰქონდა. ირანის მებრძანებლებს საქართველოში ამ დროს ლაშქარიც საკმაოდ შემცირებული ჰყავდათ: 10 ათას მეომარზე მეტი მათ აქ არ გააჩნდათ. ისინიც უმთავრესად საქართველოს საზღვრების დასაცავად იდგნენ.

ამრიგად გიორგი მეფემ გამაგრება და ქვეყნის გაერთიანება მოასერხა. მაგრამ, როცა ირანის ყაენი სრულწლოვანი გახდა, ყაენის კარზე ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა: ჩობანი და მისი ოჯახი ყაენის ბრძანებით ამოწყვიტეს, ირანში დიდი არეულობა ატყდა და ილხანების ხელისუფლების აღსასრულის დღეც მოახლოვდა. გიორგი მეფემ ეს მდგომარეობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

გიორგი მეფის პირველ ამოცანას საქართველოში შინაური წესრიგისა და მშვიდობიანობის დამყარება შეადგენდა. შუაგულ ქართლში ისევ ოსთა რაზმები დადიოდა და ქვეყანას დიდ ვნებას აყენებდა. გიორგი მეხუთე მათ ალაგმვასა და საქართველოდან გაძევებას შეუდგა. რადგან ოსების სამხედრო ძალა გორში იყო გამაგრებული, გიორგიმ გორს ალყა შემოარტყა და სამი წლის ბრძოლის შემდეგ აიღო.

გიორგი ბრწყინვალის მეორე ამოცანას მთავართა თვითნებობისა და მათი დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების მოსპობა წარმოადგენდა. თავისი ძალა-უფლების განსამტკი-

ცებლად და ქვეყნის გასაერთიანებლად გიორგი მეხუთემ ჰერეთ-კახეთისა და სომხეთის ერისთავნი, რომელნიც წინათ თათრებს ემხრობოდნენ, კახეთში ცივის მთაზე მიიწვია და ამოაწყვეტინა.

დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად გიორგი ბრწყინვალე უფრო ფრთხილად იქცეოდა. ნარინ დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი კონსტანტინე რომ გამეფდა, მას ძმა აუჯანყდა, მიქელი. მათ შორის მტრობა კარგა ხანს გაგრძელდა და 1327 წ., კონსტანტინე რომ გარდაიცვალა, მიქელი ბოლოს ჰეფობას ეღირსა. მაგრამ მას ორ წელიწადზე მეტი არ უცოცხლია. მიქელს პატარა ბავშვი, ბაგრატი, დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამ შემთხვევით ისარგებლა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისი აიღო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამით საქართველოში არსებული ორმეფობა მოისპო და საბელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგენილ იქნა.

1334 წ. სამცხის მთაკარი სარგის მეორე გარდაიცვალა და მისი ვაჟი ყვარყვარე თვითონ გიორგი მეფემ დაამტკიცა სამცხის მმართველად. ამრიგად, სამცხის მთავრის სამფლობელოც შემოუერთდა სრულიად საქართველოს.

გიორგი ბრწყინვალის მეფობას ცხოველი საკანონმდებლო მუშაობა ახასიათებს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს მთიანეთის თემებს, სადაც, როგორც ვიცით, მე-14 საუკუნის დამდეგისათვის დიდი საზოგადოებრივი ბრძოლა წარმოებდა. გიორგიმ საკანონმდებლო კრება მოიწვია და ამ მთიანეთისათვის სამართლის წიგნი, „ძეგლის დადება", შეადგენინა. ამავე ხანაშია შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელშიც მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების მაღალი დონე და საგრძნობი ეკონომიკური მოღონიერება კარგად არის აღბეჭდილი.

გიორგი ბრწყინვალემ წინა ხანაში, ყაზან ყაენის დროს, მოჭრილი ფულის მაგიერ, რომელიც ყაზანური თეთრის სახელით იყო საქართველოში ცნობილი, საკუთარი ფული მოჭრა. ეს იყო ახალი ქართული ფული, რომელიც გიორგაულ თეთრად იწოდებოდა.

მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს დედაქალაქ-

საც კარგად დაეტყო. გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანისათვის ევროპელები თბილისს სთვლიდნენ მთელი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო, ერმრავალ, მდიდარ და შესანიშნავ ქალაქად.

§ 57. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში

მე-14 საუკუნის ბოლოს საქართველოს ახალი სასტიკი დამპყრობელი მოევლინა,. ეს იყო თემურ-ლენგი. თავდაპირველად თემური ერთი შუააზიელი მოთარეშე რაზმის მეთაური იყო. კოჭლობის გამო თემურს მეტსახელად „ლენგი" შეერქვა („ლენგ" ანუ „ლარგ" სპარსულად კოჭლს ნიშნავს).

მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში შუა აზიაში ჩინგიზ-ხანის შთამომავალნი მეტად დასუსტებული და თითქმის მთლად გადაშენებულიც იყვნენ. ლანგ-თემურმა ანუ თემურ-ლენგმა ისარგებლა ამ გარემოებით და თავისი სამხედრო ნიჭის წყალობით 1360—1370 წლებში დიდი სამფლობელო შექმნა.

თავის საჯდომ ქალაქად მან სამარყანდი გაიხადა და იქიდან ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად შეუნელებელს სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა. შუა აზიიდან თემურ-ლენგი მალე ირანშიაც გაღმოვიდა და ილხანების სამფლობელოს დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო.

თემურ-ლენგის ასეთი სწრაფი გაძლიერება ჩრდილოეთის ოქროს ულუსის მბრძანებელმა, თოხთამიშ-ხანმა, თავისთვის სახიფათოდ ჩასთვალა და გადაწყვიტა საშიში მოწინააღმდეგისათვის დაესწრო.

1385 წ. ზამთარში თოხთამიშის ჯარი ადარბადაგანს შეესია და თავრიზი აიღო. მონგოლური ჩვეულების თანასმად აქ დიდძალი ხალხი იქნა დახოცილი-აწიოკებული. აუარებელი ნადავლით დატვირთულნი ჩრდილოეთის ულუსის მოლაშქრენი უკან გაეშურნენ და შინისაკენ მიმავალმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ოლებიც ააოხრეს.

თემურ-ლენგი ამ ამბავმა საშინლად განარისხა. 1386 წ. მან თავრიზი აიღო, მაგრამ ვიდრე ჩრდილოეთის ულუსზე გაემართებოდა, ჯერ საქართველოსაკენ იბრუნა პირი. თუმცა

თემურ-ლენგმა ხმა დაჰყარა, ვითომც მას საქართველოში მხოლოდ მაჰმადიანობის გავრცელება ჰქონდა განზრახული, ნამდვილად მისი შემოსევის მიზეზი სხვა იყო. თემურის აზრით, თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეჭრილიყო, საქართველოს მმართველებთან რომ წინასწარ შეთანხმება არ ჰქონოდა. ჯომავალში ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად ოქროს ულუსის შემოსევისაგან, თემურს უნდოდა კავკასიონის გადმოსასვლელი გზები შეეკრა, პირველ რიგში — დარიალი და დარუბანდი.

ჩვეულებისამებრ, თემურ-ლენგი საქართველოს წინააღმდეგ მოულოდნელად დაიძრა. ჯერ მან სომხეთის ციხე სიმაგრეები აიღო და გაანადგურა, მათ შორის — გარნისი და კარი (ყარსი), შემდეგ ჯავახეთში შემოიჭრა. აქედან დიდი ყინვების მიუხედავად ლანგ-თემური საქართველოს დედაქალაქისაკენ გამოემართა. თბილისი ისედაც მაგარი ციხე იყო, ახლა კი ის საქართველოს ჯარს გულდაგულ ჰქონდა გამაგრებული და თავგანწირვითაც იცავდა მას.

თემურმა ყოველი ღონე იხმარა თბილისის ასაღებად. ალყა შემოარტყა და გზები შეუკრა ქალაქს, შემდეგ საგანგებო საომარი მანქანები და იარაღი გაამართვინა. 1386 წ. ნოემბრის 21-ს თათრებმა, რომლებსაც თვითონ თემური ხელმძღვანელობდა, თბილისზე იერიში მოიტანეს. თათრები ქართველი მეომრების ისრებისაგან თავს დიდი ჩელტებით იფარავდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ თემურმა თბილისი აიღო და ამ დროს აქ მეფედ მყოფი გიორგი ბრწყინვალეს შვილიშვილი — ბაგრატიც ოჯახიანად ტყვედ იგდო ხელში.

თბილისის აღებას მოჰყვა თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიის დალაშქვრა და აოხრება თემურის ჯარების მიერ.

შემდეგ თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს, რომელიც მას ტყვედ ჰყავდა, გამაჰმადიანება მოსთხოვა. ბაგრატი, დიდი ყოყმანის შემდეგ გარეგნულად დათანხმდა, რომ ამ მტარვალის ტყვეობისათვის როგორმე თავი დაეღწია. ამასთანავე ბაგრატმა თემურ-ლენგს ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნა, მათ შორის — ერთი უცხო ჯიშის პერანგიც. თათართა მბრძანებელს ეს ძღვენი ძალიან მოეწონა და ბაგრატი, უხვად დასა-

ჩუქრებული, საქართველოში დააბრუნა. შეთანხმება 1387 წ. მოხდა.

ამ დღიდან მოყოლებული 1393 წლამდე საქართველოს საშუალება ჰქონდა ცოტათი მაინც დაწყნარებულიყო და მოყენებული ზარალის გამოსწორება დაეწყო.

§ 58. საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის თემურის წინააღმდეგ

1393 წ. ლანგ-თემური მეორეჯერ შემოესია საქართველოს, თითქოს ურჩების დასასჯელად. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატის ძაგიერ უკვე მისი შვილი გიორგი მეშვიდე იჯდა. თემურის ლაშქარი სამცხის თემს მოედო და აქ თარეში დაიწყო. ციხეები ჩაიგდო ხელში და დაანგრია. თემურის ჯარს ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლით შეეძლო.

სამცხის, მტკვრის ხათავისა და კარის (ყარსის) თემების მორბევის შემდეგ თემური თბილისში გადმოვიდა, მაგრამ აქ დიდ ხანს არ დარჩენილა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ გაემართა.

მართალია, თემურის ჯარმა არაგვის ხეობაში ციხეები დაიპყრო, მაგრამ მაინც მისი მთავარი მიზანი, დარიალის კარის ხელში ჩაგდება, განუხორციელებელი დარჩა. თემურმა ახლა მთელი თავისი ძალა ოქროს ურდოს წინააღმდეგ მიმართა.

1395 წ. თემურ-ლენგმა თერგის პირას საშინლად დაამარცხა თოხთამიში, მისი სატახტო ქალაქიც აიღო, მთლიანად გაძარცვა და დაანგრია.მომდევნო წლებში თემური უკვე სხვა საქმეებში იყო გართული. 1398 წ. მან ინდოეთს გაილაშქრა.

იმ დროს, როცა მონგოლთა მბრძანებელი ინდოეთის ლაშქრობაში იმყოფებოდა, თემურის დაპყრობილმა ან ყმადნაფიცმა ქვეყნებმა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა სცადეს.

საქართველო თავდასხმაზედაც კი გადავიდა: ქართველმა ჯარმა ადარბადაგანი დალაშქრა, თემურის რაზმები დაამარცხა და ზოგი მნიშვნელოვანი იქაური სიმაგრე ხელში ჩაიგდო.

თემურ-ლენგი რომ ინდოეთიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, საშინლად განრისხდა. მან გადაწყვიტა ასეთი კადნიერებისათვის საქართველო სამაგალითოდ დაესაჯა.

ამჯამად თემური საქართველოს აღმოსავლეთიდან შემოესია, კახეთისა და ჰერეთის თემებში. ამ თემების მმართველი მაშინ სიმშია ყოფილა. თემურმა ბრძანება გასცა, რომ ტყით დაბურულ საქართველოს ამ თემებში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად წინასწარ გზები გაეკაფათ. ოცი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა და დიდი თოვლიც დასდო, საქართველოს ჯარი მტერს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. თემურ-ლენგის სპარსელი ისტორიკოსი ამბობს, ამ ბრძოლაში იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ თოვლით დაფარული ველები ლალისა და ბროწეულის ყვავილის ფერად იყო შეღებილიო. ბოლოს მაინც თემურის ურდომ სძლია და ქართველებმა უკან დაიხიეს. მიტოვებულ ქვეყანას მტრის ლაშქარი მოედო და ძარცვა-გლეჯას შეუდგა.

თემურ-ლენგის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მან თავის ჯარს უბრძანა, სადაც ხელი მიუწვდებოდათ ვენახები, ბაღები, ბოსტნები გაეჩეხათ, ეკლესიები, სამლოცველოები, სასახლეები, სხვა შენობები, რის დანგრევაც შესაძლებელი იყო, დაენგრიათ. თვით თემურ-ლენგის ისტორიკოსის სიტყვით, თემურს ინდოეთშიაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოშიო.

ერთი სიტყვით, თემურ-ლენგს განზრახული ჰქონდა ძირიანად მოეთხარა ქართველობა, მოესპო ხალხი და მთელი მისი კულტურა. თემურის სპარსელი ისტორიკოსი ამბობს, ქართველები უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ პურს არ ჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ გრძნობენო. თემური მარტო ცხოვრების სიამოვნებას კი არ უსპობდა ქართველობას, არამედ იმ საძირკვლის ღარღვევას ლამობდა, რომელზედაც ქართული ხალხის მატერიალური დოვლათი იყო აშენებული.

მტარვალის ანგარიში არ გამართლდა: ომის დამთავრება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა. მთელი თვის განმავლობაში ბრძოლა მიმდინარეობდა, ხალხიც ბევრი დაიხოცა, ქვეყანაც აოხრდა, მაგრამ მაინც ვერც ამ თემის მთავარსარდალი, სიმშია ჩაიგდო ხელში თემურმა, ვერც სხვა ვინმე, რომ ზავის პირობებზე ხელი მოეწერინებინა. რაკი ქართველი ხალხის

წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და ძალიან მკაცრი ზამთარიც იდგა, თემურის ლაშქარს ზარალი დიდი მოსდიოდა, ცხენებსაც საჭმელი აღარ მოეპოვებოდათ, ისე რომ იძულებული იყვნენ ხის ქერქით გამოეკვებათ. ამის გამო თათრებს დიდძალი საქონელი დაეხოცათ. ვათი მბრძანებელი იძულებული გახდა საქართველოდან უკან დაეხია და გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

1400 წ. თემურმა გიორგი მეფეს ელჩი გამოუგზავნა და გადაჭრით მოსთხოვა, რათა გიორგის მისთვის მიეცა ერთი მაჰმადიანი მფლობელი, თემურის მტერი, რომელიც საქართველოში იყო შემოხიზნული. გიორგი მეფემ ამაზე მკვახე პასუხი შეუთვალა. ამით გაწბილებული თემურ-ლენგი კვლავ საქართველოში შემოიჭრა.

ახლაც თავის ჯარს მან უბრძანა, რომ მარტო სალხი კი არ ეხოცათ, არამედ შენობები, ნათესები, მოსავალი, ვენახები და ხეხილიც გაენადგურებინათ. ასეთ პირობებში ბარად მტერთან ბრძოლა ძნელი იყო და საქართველოს სარდლობამაც გადაწყვიტა, ბრძოლის წესი შეეცვალა. ქართველებმა ბარიდან დაიხიეს და მთიანეთში დაიწყეს გამაგრება, რადგანაც ვიწრო ხეობებში დიდი მტრისათვის გზის შეკვრა მცირე ლაშქრის საშუალებითაც იყო შესაძლებელი. ამ ხეობებში ქართველებს სარიზარებიც ჰქონდათ: გამოქვაბულებში შედიოდნენ, შემოსეულ მტერს იქიდან ესროდნენ ისრებსა და მუსრს ავლებდნენ. ასე გაამაგრეს, მაგალითად, არაგვის ხეობა.

თემურ-ლენგი სასტიკი ბრძოლით შევიდა არაგვის ხეობაში და გამოქვაბულებში შესიზნული სალხის მოსპობა სცადა. მან დიდი კალთები დააწვნევინა, შიგ თავისი მოლაშქრეები ჩასხა და ამ გამოქვაბულების გასწვრივ საბლეებით ჩამოუშვა, რომ მათ შესიზნული მოლაშქრეებისათვის იქიდან აეტეხათ სროლა. სადაც წინააღმდეგობის დაძლევა ამითაც ვერ მოხერხდა, თემურმა ბრძანება გასცა, ისრის პირებზე ნაძენძი დაეკვიათ, ნავთში ამოეველოთ და გამოქვაბულებში მყოფ ქართველ მებრძოლთათვის ცეცხლმოკიდებული ესროლათ.

ამრიგად არაგვის ხეობაში დიდძალი სალხი დაიღუპა.

მონგოლებმა თსუთმეტამდე ციხეც აიღეს, მაგრამ თემურმა თავის მიზანს საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწია: ხეობა მთლიანად ვერ დაიმორჩილა და გიორგი მეფეც ხელში ვერ ჩაიგდო.

ამიტომ ლანგ-თეშური აქედან გადმოვიდა ქართლში, დალაშქრა ის ბევრი მიმართულებით, ააწიოკა მოსახლეობა, დაანგრია, რის დანგრევაც შეძლო, ააოხრა ქვეყანა, მაგრამ გულისწადილს ვერც აქ ეწია: თუმცა ზოგი ფეოდალი მიუვიდა თათრებს, მაგრამ გიორგი მეშვიდე მათ სულ ხელიდან უსხლტებოდა და ხალხიც არ ტყდებოდა.

გიორგი მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქიდან გამართა მოლაპარაკება თემურ-ლენგთან. მაგრამ მტერი განაგრძობდა ქვეყნის აოხრებას. ასლა ის სამცხესა და ტაოს მისდგა.

1400 წლის დამლევისათვის მოხერხდა შეთანხმება თემურსა და გიორგი მეშვიდეს შორის. საქართველოს მეფე კისრულობდა ხარკს, მეშველი ჯარის გამოყვანასა და მაჰმადიანებისადმი კარგად მოპყრობის მოვალეობას.

1401 წ. თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედება მაინც განაახლა. თორთუმის ციხეში ორასი ქართველი გამაგრებულიყო. ისინი არც ხარკს იხდიდნენ და მაჰმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. თემურმა თორთუმის ციხეზე დიდი ჯარი გაგზავნა. რადგანაც ექვსთვენებამ დამორჩილებაზე უარი განაცხადეს, ციხე ღიდი ბრძოლის შემდეგ თათრებმა აიღეს და ორასივე ქართველი მეომარი შიგ ამოსოცეს.

ამავე დროს თვით საქართველოშიც განსეთქილება ჩამოვარდა: სამცხის მთავარი იოანე აღბუღას ძე და თვით გიორგი მეფის ღვიძლი ძმა, კონსტანტინე ბატონიშვილი, მეფეს გადაუდგნენ, თემურ-ლენგს წარუდგნენ და საჩუქრები მიართვეს. გიორგი მეფე დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებში ბრძოლის განგრძობა უგუნურება იქნებოდა და თემურ-ლენგს მორჩილება შეუთვალა.

თემურ-ლენგი გიორგი მეფეს არ ენდობოდა და მისი ბრძანების თანახმად, ოთრები საქართველოში მოსავლის მომკასა და აკრეფას შეუდგნენ, რომ ქართველებისათვის ბრძოლის წარმოების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპოთ.

ამ ამბავმა გიორგი მეფეს შეთანხმების ხალისი დაუკარგა და ამგვარად, ამ შემთხვევაშიც დაზავება ვერ მოხერხდა, მაგრამ გიორგი მეფის შეპყრობაც მტრისათვის მიუღწეველ ოცნებად იქცა. ამის გამო თემურ-ლენგმა 1403 წ. თავისი ლაშქარი კვლავ საქართველოს მოუსია. მან ჯერ ისევ ქარიალი დალაშქრა და ააოხრა, აქაური ციხე-სიმაგრეები ხელში ჩაიგდო და შიგ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა, რომელსაც უბრძანა, ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა დაეხოცა ან გაეძევნა და არცერთი ქაროველისათვის ამიერიდან აქ დასახლების უფლება აღარ მიეცა.

შემდეგ თემური დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მისი ჯარი დაბურულ ტყეში გზას იკაფავდა და ასე ბრძოლით მიდიოდა წინ. თემურ-ლენგის ლაშქარმა ქუთაისამდე მოახერხა მიღწევა. თუმცა გააფთრებული ომი წარმოებდა, მაგრამ დასუსტებულ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო ისე სანგრძლივ ებრძოლა, როგორც მანამდე. იმერეთშიაც გამოქვაბულებში შესიზნულ ხალხს თათრები ისეთივე საშუალებით ებრძოდნენ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. მტერმა იმერეთშიაც, სადაც კი ხელი მიუწვდა, ყველაფერი ააოხრა და დაანგრია. დასავლეთ საქართველოში განადგურებული სოფლების რიცხვი, უცხოელი მწერლების ცნობით, 700-ს აღემატებოდა, იმის გარდა, რომ მრავალი ქვიტკირის ნაგებობა, ეკლესია-მონასტრები, ციხე დარბაზები და სხვა მიწასთან გასწორებული იყო.

§ 59. ზავის დადება თემურ-ლენგსა და საქართველოს შორის

ამ დაუნდობელი ომის მიუხედავად, 1403 წელს 12 დეკემბერს თემურ-ლენგმა უეცრად ბრძოლა შეაჩერა. მონღოლთა დიდი ლაშქრისათვისაც ადვილი არ იყო ასეთ პირობებში ომის გაგრძელება: დაბურული ტყეები, ვიწრო ხეობები, ხალხის მეღვიძრი წინააღმდეგობა მას დიდ ზარალს აყენებდა. ბრძოლას ღრმა სრული არ უნდა და მტრის ჯარში უკმაყოფილებამა და მოუთმენლობამ იჩინა თავი, თვითონ თემურ-ლენგსაც გიორგი მეფის ხელში ჩაგდების იმედი აღარ

ჰქონდა, ხოლო ასევე ბრძოლით უფრო შორს შეჭრა სასიფათოდ მიაჩნდა. ამიტომ იყო რომ თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედება შეწყვიტა და თუმცა გამარჯვებული, მაგრამ ძალზე დაზარალებული ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა დასასვენებლად.

ამასთან ერთად საკუთარ ამბავიც მოხდა. თემურლენგს თავის ბარაკში გამოწვნილი ქართველი სარდლები ჰყავდა დატყვევებული. ამ სარდლებმა გიორგი მეფეს მოსწერეს, რომ დამორჩილების გარდა მშვიდობიანობის დასამყარებლად სხვა არაკეთილი საშუალება აღარ არის და, თუ გიორგი მეფე თემურს არ დაეზავება, მას გადაწყვეტილი აქვს ასლა უკვე მთელი ჩალხი ამოწყვიტოსო. ეს წერილი თვით თემურ-ლენგის მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

გიორგი მეფეს თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და თემურ-ლენგს ისევ ელჩები გაუგზავნა. თემური ვითომც დაზავების წინააღმდეგი იყო და ელჩებს ისე აჩვენებდა, რომ იგი თავისი სურვილის წინააღმდეგ მხოლოდ ნოინებისა და სამღვდელოების თხოვნას ეთანხმებოდა. ყველაფერი ეს მას იმ მიზნით ჰქონდა მოწყობილი, რომ გიორგი მეფისა და ქართველებისათვის ეგრძნობინებინა, ვითომც ბრძოლის გაგრძელება ადვილად შეეძლო და დაზავება მხოლოდ ქართველებისათვის იყო სასჭირო. ნამდვილად კი დაზავება თემურისთვისაც ისევე აუცილებელი იყო და მან დიდი ზეიმით იდღესასწაულა კიდევაც საქართველოსთან ომის დამთავრება.

გიორგი მეფე პირადად თემურ-ლენგს არ ჰხლებია, ამრიგად პირველი პირობა, რომელსაც თემურ-ლენგი საქართველოს მეფეს უდებდა, მაინც აუსრულებელი დარჩა. თემური იძულებული იყო ამასაც შერიგებოდა.

გიორგი მეშვიდემ თემურს მრავალგვარი საჩუქარი აახლა, მათ შორის თემურ-ლენგის სახელით შემკული ათასი ოქროს თანგა (ფული), ათასი ცხენი, ბევრი ძვირფასი ქსოვილი, ოქროს, ვერცხლისა და ბრონლის ფიალები, ერთი შესანიშნავი ძვირფასი ქვა — 18 მისხლიანი მანათობელი ლალი — და სხვა გახარებული თემურ-ლენგი აიყარა და თბი-

ლისში მოვიდა. ზავის მიუხედავად თემურმა თბილისის მიდამოებში ყველა ეკლესია-მონასტერი დაანგრევინა, ხოლო შემდეგ იგი ყარაბაღის გზით საქართველოდან წავიდა. ამის შემდეგ თემურს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დასცალია — 1405 წელს იგი გარდაიცვალა. მისგან გაწამებულმა ქვეყნებმა ცოტათი ამოისუნთქეს.

§ 60. საქართველოს სამეფოს რღვევის პირველი ნიშნები

თემურ-ლენგის შემოსევებმა წელში გატეხა საქართველო. ქვეყანა გაპარტახდა და ეკონომიკურად მოუძლურდა. თანდათან შესუსტდა სამეფო ხელისუფლებაც და გაძლიერდნენ დიდგვაროვანი აზნაურები. დაიწყო ერთიანი საქართველოს სამეფოს რღვევა.

1446 წელს გიორგი ბერვე გამეფდა. გიორგიმ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო ამტყდარ ბრძოლას შეალია. ამ სანაში კვლავ მთავრებმაც წამოყვეს თავი, სხვებზე ადრე — სამცხის მთავარმა.

სამცხეში, ჯაყელების საგვარეულოში, ამ დროს შინაური ბრძოლა იყო: ყვარყვარე თავის ძმისწულს, აღბუღას მთავრობას (ათაბაგობას) ეცილებოდა.

გიორგი მეფემ მხარი აღბუღას დაუჭირა და ყვარყვარე სამუდამოდ გადაიმტერა. თუმცა შემდეგ, 1451 წელს, როცა აღბუღა ათაბაგი გარდაიცვალა, გიორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს უწყალობა, ზაგრამ ყვარყვარეს მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა და მის წინააღმდეგ მოქმედებას განაგრძობდა.

ასე, მაგალითად, ყვარყვარემ თავისი სამთავროს ჩამოშორება სცადა საქართველოსაგან ეკლესიურადაც. ყვარყვარეს გეგმით, სამცხის მეთაური საეკლესიო სფეროში უნდა მაწყვერელი (ესე იგი აწყურის ეპისკოპოსი) ყოფილიყო, რომელიც მცხეთის კათალიკოსს არ უნდა დამორჩილებოდა.

მართალია, მცხეთის კათალიკოსმა ბოლოს და ბოლოს ძლია და საეკლესიო მთლიანობა აღდგენილ იქნა, მაგრამ

ეს ფაქტი მაინც მოწმობდა რღვევას, რომელსაც საქართველოს სამეფო ამ დროს უკვე განიცდიდა.

ამავე რღვევის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ამ დროს სამცხის გარდა, რომელსაც განკერძოებისადმი მიდრეკილება უკვე მე-13 საუკუნეში გაუჩნდა, სხვა კუთხეებიც სამთავროების სახით იყო მოწყობილი. ასე, აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს შეადგენდნენ, რომლის სათავეში ბედიანი იდგა. გურიაც ცალკე სამთავროს სახით იყო გამოყოფილი. მართალია, ეს მთავრები ჯერ კიდევ მეფის მორჩილად აცხადებდნენ თავის თავს, მაგრამ ძველი ერისთავებისაგან ისინი უკვე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ თავისი ძალაუფლების გაზრდის მხრივ.

§ 61. შინაური ზავის შეკვრა და შემდგომ მისი ბაშლა

მე-15 საუკუნეში ღიდად გაძლიერდა საქართველოს მეზობელი თურქ-ოსმალეთა სახელმწიფო. თურქებმა 1453 წ. ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლიც აიღეს და ამით ბიზანტიის არსებობას ბოლო მოუღეს. საქართველო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრებმა ერთმანეთში კავშირი შეკრეს თურქების წინააღმდეგ. დაიწყო დიპლომატიური კონტაქტები ევროპის სახელმწიფოებთან თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ორგანიზაციის მიზნით, მაგრამ რეალური შედეგები ამას არ მოჰყოლია, მალე ცხადი გახდა, რომ დღემოკლე იყო საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული 1459 წლის საზავო ხელშეკრულებაც. ამაზე უარესი ის იყო, რომ საქართველოს შინაურობაში ისეთი დაუნდობელი ბრძოლა ატყდა, რომელიც საქართველოს საზღვრებზე მოზღვავებული მტრის მოქმედებას ყოველნაირად უწყობდა ხელს.

ყვარყვარე ათაბაგი ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის კოცონი კვლავ დაანთო. სამცხის მთავარმა კვლავ ომი აუტეხა გიორგი მერვეს და საქართველოს მეფეს წინააღმდეგ ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც კი გამოიყენა. უზუნ-ჰასანი 1462 წელს სამ-

ცხეში მოვიდა, ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა და კიდევაც გაამარჯვებინა.

ათაბაგის გამარჯვებამ საქართველოს შინაური მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა. ახლა გიორგი მეფეს ასალი ურჩი ერისთავებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის ყველაზე აქტიური გამოდგა ბაგრატი, რომელიც, როგორც ჩანს, დავით ნარინის შთამომავალი და სამოქალაქოს, ესე იგი ქუთაისის ოლქის, ერისთავი იყო. გიორგი მეფემ რომ ამ ბაგრატს ორჭოფული ქცევისათვის ქუთაისის წაართვა, ის მეფეს უკვე ცხადად აუჯანყდა.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის ქალაქ ჩისორთან (იმერეთში, ჩხარის აღმოსავლეთით) 1463 წელს დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე დამარცხდა.

ამ ბრძოლაში ზოგი დიდგვარიანი აზნაური ბაგრატის მომხრე აღმოჩნდა. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი გიორგი მეფის დამარცხებისა ჩისორში.

მაგრამ ბაგრატმა ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შეძლო და ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი. ამრიგად, ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, როცა ყველაფერი ყვარყვარე ათაბაგის ასალმა განდგომამ გადაწყვიტა. ეს მოხდა 1465 წელს.

ასალი ბრძოლა მეფესა და ათაბაგს შორის სამცხეში მოხდა. ყვარყვარემ მეფეს სძლია და ის ტყვედაც კი წაიყვანა.

§ 62. საქართველოს დაყოფა ცალკე სამეფოებად

შექმნილი მდგომარეობით ყველაზე უკეთესად ბაგრატმა ისარგებლა 1466 წელს. ის ქართლში გადმოვიდა და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა.

ახლა კი ყვარყვარე ათაბაგი მისვდა, რომ ჭკუა წააგო: სუსტი გიორგი მერვის ნაგიერ მეფობა ჩაუგდო ძლიერსა და უფლებისმოყვარე ბაგრატს. ეს ათაბაგისათვის სრულებით არ იყო სელსაყრელი და მან გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა.

მართლაც, განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ თავის ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო, მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა წრეში ბაგრატს უკვე ბლომად ჰყავდა მომხრენი და გიორგიმ ბრძოლა წააგო. გიორგიც შექმნილ ვითარებას შეურიგდა და კახეთში გადავიდა. ასე ჩაეყარა საძირკველი ცალკე კახეთის სამეფო შტოსა და თვით კახეთის სამეფოს.

ბაგრატი თავის თავს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ, შირვანშად და ყოვლისა აღმოსავლეთ-დასავლეთის მპყრობელ სელმწიფედ ასახელებდა. ნამდვილად კი უკვე კარგა ხანია რაც ისტორიულად შექმნილი ეს წოდებულება რეალურ ვითარებას აღარ შეეფერებოდა, მით უმეტეს ბაგრატისათვის.

ბაგრატის სამფლობელოს გარეთ იდო კახეთი და სამცხე, მაგრამ თვით მისი საკუთარი სამეფოს შიგნითაც ერთი დიდი სამთავრო განკერძოების გზაზე იყო შემდგარი. ამ სამთავროს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ეჭირა და მაშინ ს ა ბ ე დ ი ა ნ ო დ იწოდებოდა.

საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და სამი იმ დროისათვის ძრ-შვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი — ცხუმი ანუ სევასტოპოლისი (ახლანდელი სოხუმი), ფოთი და ქაჯთა ციხე (ძველი პეტრა, ახლანდელ ციხისძირთან). საბედიანოსვე ეკუთვნოდა აგრეთვე ბათუმი.

საბედიანოს მთავარი ბაგრატს ემორჩილებოდა, როგორც უზენაეს ხელმწიფეს.

დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა ამ დროისათვის ჯაყელების სამფლობელო, რომელიც ამიერიდან ს ა მ ც ხ ე-ს ა ა თ ა ბ ა გ ო დ იწოდებოდა. ჯაყელები თავისთავს „საქართველოს ათაბაგსა და სამცხის სპასალარს“ უწოდებდნენ, ჩვეულებრივად კი მათ სამცხის ათაბაგებს ეძახიან. მათი საჯდომი ადგილი ქ ლაქი ახალციხე იყო, თვით სამთავროს კი ვრცელი საზღვრები ჰქონდა, ბორჯომის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ჭოროხის ხეობამდე და ერზერუმის მხარემდე.

ყვარყვარე ათაბაგს მეზობელთა შორის ძლიერი მბრძანებლის სახელი ჰქონდა დამსახურებული.

ბაგრატ მეექვსის საკუთარ სამფლობელოს საზღვრავდა: დასავლეთით — ცხენისწყალი, სამხრეთით — სამცხე-საათაბაგო, აღმოსავლეთით — კახეთის სამეფო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ლორეს მთელი მთიანეთი, რომელიც უზუნჰასანს, ირანის მფლობელს, ჰქონდა დაპყრობილი. ლორეს ციხეში უზუნს თავისი, თურქი მეცისოვნენი ჰყავდა.

ბაგრატის საბრძანებელში ორი დიდი ქალაქი, ქუთაისი და თბილისი იყო. თბილისი ისევე, როგორც წინათ, დედაქალაქად ითვლებოდა, ბაგრატიც იქ იმყოფებოდა. ქუთაისი უკვე ძალზე დაპატარავებულიყო. ქართლში ამ დროს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ გორს.

თბილისი, ძველად თავისი სიდიდით და სიმდიდრით განთქმული, მტრის შემოსევების წყალობით ამ ხანისათვის უკვე აგრეთვე დამცრობილა. ისლოლდ ზოგიერთი უბანი ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დასახლებული. ისნის ციხე იმ დროისთვისაც კარგ სიმაგრედ ითვლებოდა.

მე-15 საუკუნიდან მოყოლებული დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა წინა აზიის ორ დიდ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს — შორის. ეს ბრძოლა ცალი მხრით ყოველთვის საქართველოსაც სწვდებოდა ხოლმე. ასე, ბაგრატის მეფობაში, ირანის მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა საქართველოს მეფეს დახმარება სთხოვა თურქ-ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ უარი მიიღო. ამ ომში უზუნ-ჰასანი დამარცხდა.

ირანის ბატონმა გადაწყვიტა საქართველო დაუსმარებლობისათვის სამაგალითოდ დაესაჯა.

1477 წელს უზუნ-ჰასანი სრულიად მოულოდნელად და ფარულად დიდი ჯარით საქართველოში შემოიჭრა და თბილისს თავს დაესხა.

ქართველებმა მხოლოდ აყრა და გახიზნვა მოასწრეს. სპარსელებმა თბილისი და მის გარშემო მდებარე სოფლები ააოხრეს და შემდეგ გორისაკენ დაიძრნენ. იქაც ხალხი ყველგან გასიზნული დახვდათ. ამრიგად, უზუნ-ჰასანმა თბილისიცა და გორიც უბრძოლველად ჩაიგდო ხელში.

ბაგრატმა გადაწყვიტა უზუნ-ჰასანს დაზავებოდა. უზუნ-ჰასანი ზავის საფასურად 16 ათას დუკატსა (ოქროს ფულია) და თბილისის დათმობას მოითხოვდა. ეს ძალიან მძიმე საზ-

ღაური იყო და იმჯერად შეთანხმება არ მოხერხდა. უზუნ-ჰასანმა სამხედრო მოქმედება განაახლა. სპარსელები ახლა სამცხეს შეესივნენ და აწყურის მხარე ააოხრეს.

ახლა კი ბაგრატ მეექვსემ და ყვარყვარე ათაბაგმა ისევ დაზავება ირჩიეს ძველი პირობით. უზუნ-ჰასანი ამის შემდეგ საქართველოს საზღვრებიდან გავიდა, მაგრამ ლორეს ველი მაინც წინანდებურად თავისად დაიჭირა, არც თბილისი დასცალა, 5 ათასი ტყვეც წაიყვანა საქართველოდან.

საქართველოს ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს 70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო. უზუნ-ჰასანს კი 40 ათასზე მეტი მოლაშქრე არ მოუყვანია თან. საქართველოში რომ თანხმობა ყოფილიყო, იგი არამც თუ მტრის მოგერიებას, არამედ დამარცხებასაც შეძლებდა, მაგრამ შინაური ბრძოლით გაწაებული ხალხი და სასელმწიფოებრივად დაქუცმაცებული ქვეყანა მტრის თარეშის ასპარეზად ადვილად გადაიქცა. საქართველოს მღვომარეობა ამ მარცხის შედეგად კიდევ უფრო მძიმე გახდა, თუმცა მალე ირანში შინაური არეულობა დაიწყო და ბაგრატმა თბილისი და სომხითი უკან დაიბრუნა.

1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მეექვსე. ტახტის დაჭერა მისმა შვილმა ალექსანდრემ სცადა,. მაგრამ მეფობა ვერ შეინარჩუნა და რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ბაგრატის მაგიერ კი 1479 წელს კონსტანტინე ბატონიშვილი გამეფდა, რომელიც დიმიტრის (ალექსანდრე პირველის ძის) შვილი იყო.

კახეთში ამ დროს, 1476 წლიდან, გიორგი მერვის ძე ალექსანდრე მეფობდა. კონსტანტინე და ალექსანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაეზავნენ და თავისი სამფლობელოების საზღვრებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ.

ახლა კვლავ ატყდა ბრძოლა კონსტანტინესა და სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს შორის. 1483 წელს არადეთთან ყვარყვარე ათაბაგმა მეფეს სძლია. კონსტანტინე მეფის დამარცხებით მაშინვე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატის ძემ, ისარგებლა და იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამნაირად, ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა.

კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს ქუთაისიდან განსადევნად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სამეგრელოს მთავარი, დადიანი, კონსტანტინე მეფეს მიემხრო და ალექსანდრე იძულებული იყო ქუთაისს გასცლოდა. მაგრამ სპარსელების ახალმა შემოსევამ აღმოსავლეთ საქართველოში კონსტანტინეს იმერეთი მიატოვებინა ისე, რომ ალექსანდრე ბაგრატის ძემ 1489 წელს ქუთაისი კვლავ ხელში ჩაიგდო.

სრული შინაური უშლელობა და გარეშე მტრის მძლავრობა — ასეთი იყო მდგომარეობა. მისი გამოსწორებისათვის კონსტანტინე მეფე უცხოელი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. 1492—1496 წლებში კონსტანტინემ თავისი ელჩი გაგზავნა ეგვიპტის მბრძანებელთან, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქული ქაიროში კარგად მიიღო.

კონსტანტინე მეფის მიერ ელჩის გაგზავნა ეგვიპტეში შემთხვევითი ამბავი არ იყო. მიუხედავად თავისი დაქუცმაცება-დაკნინებისა საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული აღმოსავლეთში თავისი ზოგიერთი ძველი საერთაშორისო კავშირი, თავისი ძველი სახელი და პატივი. განსაკუთრებით ეგვიპტის მმართველები ეპყრობოდნენ ქართველებს დიდი პატივისცემით. ამის შედეგი იყო ის უპირატესობანი, რომლებიც ქართველებს ეგვიპტის მბრძანებლებმა შეუნარჩუნეს პალესტინასა და იერუსალიმში.

ქრისტიანთა სათაყვანებელ ქალაქ იერუსალიმში შესვლისას ქართველები საზეიმოდ მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ, ეაშლილი ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სულთანს დაწესებულ გადასახადს არ აძლევდნენ. ეგვიპტის მბრძანებელთა განკარგულებით, ქართველთა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის უზრუნველყოფისათვის საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მიმავალ მლოცავებს ალეპოში დახვედროდა, იქიდან იერუსალიმამდე მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავსადგურამდე გაჰყოლოდა.

ქაიროდან საქართველოს ელჩი იერუსალიმში მივიდა, სადაც ესპანეთის დედოფლის იზაბელას დესპანებისაგან ესპანეთიდან არაბთა საბოლოოდ განდევნის ამბავი შეიტყო. ამით გახარებულმა კონსტანტინე მეფის ელჩმა ესპანეთის დედოფლის დესპანი საქართველოში მოიყვანა.

ქართველმა პოლიტიკოსებმა იფიქრეს, რომ ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოს, როგორიცაა ესპანეთი, შეუძლია დახმარება გაგვიწიოსო. ამიტომ კონსტანტინე მეფემ იზაბელა დედოფლის დესპანს თავისი ელჩი გააყოლა, რომელსაც თან რომის პაპისა და ესპანეთის მბრძანებლისადმი წერილი გაატანა. ქართველ ელჩს კიდევ უფრო საიდუმლო დავალება სიტყვიერად მიჰქონდა.

ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში კონსტანტინე გამოსთქვამდა ქართველების უდიდეს სიხარულს მაჰმადიანების განდევნის გამო ესპანეთიდან. აღმოსავლეთი კი სულ სხვა დღეშიაო, წერდა კონსტანტინე, მოისპო ბიზანტია, ტრაპიზონი, სერბია და სხვა ქრისტიანული სამეფოები და ყველგან მაჰმადიანები არიან გაბატონებულიო. ასლა საქართველო მარტოდმარტო არის დარჩენილი და სპარსელების, თურქების, არაბების ურიცხვი ურდოებით გარემოცული. ჩვენც თავზე დიდი განსაცდელი დაგვტრიალებსო. ჩვენ მტრებს ჩვენთვის ბევრი უპედურება აქვთ მოყენებული. ისინი ყოველთვის სამ რამეს გვთხოვენ: დიდი ხარკი გადაიხადეთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და გამაჰმადიანდითო. შემდეგ მეფე კონსტანტინე ესპანეთის დედოფალს სთხოვდა, რათა მას დაუყოვნებლივ მოეწყო ლაშქრობა კონსტანტინოპოლის განსათავისუფლებლად თურქებისაგან და თვითონაც პირობას სდებდა, რომ თავისი ჯარით თურქების წინააღმდეგ გამოვიდოდა.

კონსტანტინე მეფის გეგმა უნიადაგო ოცნება იყო და განუხორციელებელი დარჩა. ესპანეთის დედოფალს არც ძალა და არც ხალისი არ შესწევდა ასეთი შორეული და ძნელი ლაშქრობისათვის.

საგარეო დახმარებაზე დამყარებული იმედების დაღუპვამ კონსტანტინე მეფე აიძულა საქართველოში არსებულ განხეთქილებას შერიგებოდა. ეს განხეთქილება იზრდებოდა კიდევაც. მე-16 საუკუნის დამდეგს ურთიერთობა მეფესა და სამცხის ათაბაგს შორის იმდენად გამწვავდა, რომ ათაბაგმა ცოტა ხნით სამცხე მოსწყვიტა საქართველოს ეკლესიურად.

ამრიგად, მე-16 საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

§ 63. ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში

მე-15 საუკუნის სიურჯეზე დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც.

მე-12 საუკუნეში, როგორც ვიცით, საქართველოს ფეოდალები მხოლოდ ერთი გაბატონებული წოდების შიგნით იყვნენ მოქცეულნი. ეს იყო აზნაურთა წოდება. მე-13—მე-14 საუკუნეებში აზნაურობაჲ გამოეყო დიდებულთა ცალკე ფენა.

დიდებულები დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ, „დიდგვართ თავადნი“ იყვნენ. როდესაც ამ დიდგვარიანი საგვარეულოების თავადების აღზევება მემკვიდრეობითი კუთვნილება გახდა, თავადობა უკვე წოდებრივად იქცა. მან აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. აზნაურთა წოდების წიაღიდან თავადობის წარმოების პროცესი მე-15 საუკუნეში უკვე დამთავრებულია.

თავადებსაც, აზნაურებსაც და მომრავლებულ მეფე-მთავრებსა და მათ კარისკაცებსაც თავისი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ. ეს კი მაშინ შესაძლებელი იყო მხოლოდ ვლესკაცობაზე დაკისრებული გადასახადების გაძლიერებით, ყმების გადიდებული ყვლეფით.

მართლაც განვლილი პერიოდის სიგრძეზე ქართველი ყმა გლეხობის მდგომარეობა დიდად გაუარესდა, მისი ფეოდალური ტვირთი ბევრად გაიზარდა და დამძიმდა. იმ გამოსაღების ზრდა, რომელიც მიწისმუშა გლეხს კისრად ედო მემამულე ფეოდალის სასარგებლოდ, სდებოდა როგორც ახალი გადასახადების შემოღებით, ისე ძველი გადასახადების გადიდებით. იმისათვის, რომ ძველი გადასახადების გადიდება უფრო შეუმჩნევლად შეეპარებინათ ყმებისათვის, ქართველმა ფეოდალებმა საზომ-საწყაოები გაადიდეს. ნატურალური გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (კოდი) და კოკით იყო განსაზღვრული. ამიტომ თუნდაც რომ გადასახადების ნორმები ძველებური, უცვლელი დარჩენილიყო, საზომ-საწყაოს გადიდებისას გადასახა-

დებიც ფაქტიურად მემამულეებს, ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირად ახალი საზომები გაჩნდა. თავდაპირველ საზომებს პირველი საწყაო (საზომი) ეწოდებოდა ან ცოტა (ე. ი. პატარა) საწყაო. ახალ საზომ-საწყაოებს კი დიდი ლიტრა, კოკა და კაბიწი (კოდი) ერქვა.

მე-16 საუკუნის დამდეგისათვის ლიტრა, ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. ლიტრაზე კი დანარჩენი საზომ-საწყაოები (კაბიწი-კოდი, კოკა და სხვა) იყო დამყარებული. მაშასადამე, მშრომელ სალხს ამ დროს ნატურალური გადასასადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებს, მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას, ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ისინი ჩაცვივნული.

ცხადია, გლეხობას არ შეეძლო ნებაყოფლობით შერიგებოდა თავის ასეთ ჩაგვრასა და ყვლეფას ფეოდალების მხრით. გაჩაღდა ბრძოლა მემამულე ფეოდალებსა და მიწისმუშა ყმა გლეხობას შორის. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. გათავდა ის გლეხობის დამარცხებითა და ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებით.

§ 64. ბატონყმობა

მედგრად და თავგამოდებით იცავდა თავს ქართველი ხალხი საშიში მტრებისაგან, მაგრამ თავდაცვის უნარს დიდად ასუსტებდა ის, რომ ქვეყანა ახლა სახელმწიფოებრივად მთლიანი არ იყო. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოების გვერდით ჩამოყალიბდა სამთავროები: სამცხე-საათაბაგო, ოდიში, აფხაზეთი, გურია, რომელნიც მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ალევდნენ თავის ძალებს.

მთლიანი ფეოდალური საქართველოს დაშლა შედეგი იყო იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩვენში მე-15 საუკუნისათვის. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობას და

მის ნიადაგზე წარმოშობილს სათავადოების სისტემას.

ბატონყმობა იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი მიწისმუშების ფენა გამქრალია. მიწისმუშებს შორის არსებითი უფლებრივი განსხვავება აღარაა. ყველა ისინი ბატონის მიწაზე სახლობენ, მას ამუშავებენ და ბატონის სასარგებლოდ ბეგარასა და მუშაობას ეწევიან. ამ მიწისმუშებს თავისუფლებისა თითქმის აღარა შერჩენიათრა. ბატონის უნებართვოდ ისინი ვერ დატოვებენ მიწას, რომელსაც ამუშავებენ, ვერ დატოვებენ ძველ ბატონს და სხვას ვერ მიუვლენ. ბატონს კანონი ნებას აძლევს 30 წელიწადი ეძიოს მისდა უკითხავად წასული გლეხი და, სადაც მოახელებს, უკან დააბრუნოს. საბატონო ბეგარა და მუშაობა უზომოდაა გაზრდილი. გარდა ამისა, გლეხი მოვალეა მრავალი სხვა გადასახადიც გაიღოს: სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო და სხვა. მასვე აწევს სამხედრო მოვალეობაც და მძიმე ხარკი უცხო დამპყრობელთა სასარგებლოდ.

მებატონეები ამავე დროს სულ უფრო და უფრო თავისუფლდებიან სამეფო ხელისუფლების მხრით მეთვალყურეობისაგან. სამეფო ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ბატონისა და ყმის დამოკიდებულებაში. ბატონები საშვილიშვილოდ დაუფლებიან იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ ოდესღაც სამეფო ხელისუფლებისაგან სამმართველოდ მიიღეს. საბოლოოდ მიუსაკუთრებიათ მათ თავისუფალი მიწისმუშებისაგან მონატაცები მიწა-წყალიც. ყოველივე ეს მინათავისებ-მინატაცები მებატონის მამამაპაპეულ საკუთრებასთან ერთად სათავადოს ქმნის. მრავალ ბატონს შეუვალობის უფლება მოუპოვებია, ესე იგი, მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია. ასეთ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები შეუვალობის მქონე მებატონეს უხდიან. მოპოვებულ უფლებას ბატონები ადვილად არ თმობენ, პირიქით, კიღევ უფრო აფართოებენ მას, გადასახადები, ადმინისტრაცია და სამართალიც კი მეტნაწილად ამიერიდან ამ მებატონეთა ხელშია.

მთელი საქართველო თანდათან ასეთი სათავადოებით მოიფინა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებდა, ამ ნახევრად „ხელმწიფებს" მეფის ხელისუფლებასთან, ეს იყო მათი

სალაშქრო მოვალეობა: თავადები მოვალე იყვნენ მათზე შეწერილ მოლაშქრეთა რაოდენობით გამოსულიყვნენ მეფის მოწოდებაზე. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეს ერთადერთი სახელმწიფო მოვალეობაც თავადებს ზედმეტ ტვირთად მიაჩნდათ. ისინი სულ უფრო და უფრო იფარგლებოდნენ თავისი სათავადოს ვიწრო ინტერესებით, მათ თანდათან უქრებოდათ საქვეყნო ინტერესების გაგება, სათავადოს ინტერესები კი სშირად არ ეთანხმებოდა საერთო სახელმწიფოებრივს.

ყოველივე ამას ის გარემოება კვებავდა, რომ ქვეყანა დიდიხანია ეკონომიკური დაცემის გზას ადგა. კარჩაკეტილი მეურნეობა უცილობლად ბატონობდა. ასეთ პირობებში ვერ წარმოიშობოდა ახალი, ძლიერი საზოგადოებრივი ფენა, რომლისთვისაც ქვეყნის სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მთლიანობა საარსებო პირობა იქნებოდა და რომელსაც მეფის ხელისუფლება ამიერიდან დაეყრდნობოდა. კარჩაკეტილი მეურნეობისას მზარდოებელი საზოგადოება ნაკლებად გრძნობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობის ძლიერ საჭიროებას და სახელმწიფოს მთლიანობის დაშლისაკენ მიმართულ საქმიანობას გულგრილად უყურებს. ასეთ პირობებში ყოველმხრივ გაძლიერებული თავადები, რომელთა ხელში სშირად მთელი ქვეყნებია, სრული ხელმწიფობისაკენ მიისწრაფვიან. უცხო დამპყრობლებიც ასეთ თავადებს მხარს უჭერენ და მეფის ხელისუფლებას გამდგარი თავადების დამორჩილების საშუალებას არ აძლევენ.

მაგრამ აღნიშნული ურთიერთობა არა მარტო ამ მხრით ასუსტებდა ქვეყანას. ბატონების უსამართლობა-გაუმაძღრობისა და ძალადობა-გაუკიცხაობის შედეგად გაძარცული, ნახევრადმშიერი გლეხკაცობა განსაკუთრებულ სალისსა და უნარს, ბუნებრივია, ვერ გამოიჩენდა ქვეყნის დაცვის საქმეში. ილაჯგაწყვეტილ გლეხს უცხო მოძალადე სძაგდა, მაგრამ არც შინაური მოძალადე უყვარდა.

§ 65. სიმონ პირველის მეფობა ქართლში

მე-16 საუკუნეში ქართლი განსაკუთრებით იბრძოდა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ირანში ამ დროს ყიზილბაშების თურქული ტომები წარმოადგენდნენ მთავარ სამხედრო ძალას (ყიზილბაშებს, ე. ი. „წითელთავებს" მათ ეძახიან იმის გამო, რომ თეთრი დოლბანდით გარშემოვლებული წითელი თავსაბურავი ეხურათ). საქართველო ამ დროს ბრძოლის ასპარეზი იყო ირან-ოსმალეთის ომებში, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. 50-წლიანი ომის შემდეგ, 1553 წ. დამპყრობლებმა ზავი შეკრეს, რომლის მიხედვით საქართველო გაინაწილეს: ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ირგუნა, ხოლო იმერეთის უჭერენ და მეფის ხელისუფლებას გაბდგარი თავადების დასამეფო გურიისა და ოდიშის სამთავროებით — ოსმალებმა.

სპარსელებთან (ყიზილბაშებთან) გმირულად იბრძოდა ქართლის მეფე ლუარსაბი (1537—1558), ხოლო შემდეგ სიმონ მეფე მამის პოლიტიკას განაგრძობდა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას არ ანელებდა.

მაგრამ რაც იარაღით ვერ მოახერხეს ყიზილბაშებმა, ის მოსყიდვა-შპიონაჟის გზით შეძლეს. მათ თანდათან მრავალი ფეოდალი გადაიბირეს, განსაკუთრებით ქვემო ქართლიდან, მოისყიდეს სიმონ მეფის ძმა დავითიც. ეს სულმოკლე და მოღალატე სხვა მოღალატეებთან ერთად 1564 წელს ირანის მბრძანებელ შაჰ-თამაზს ეახლა ყაზვინში.

დავითი თავისი ამალით ჩქარა გამაჰმადიანდა. შაჰ-თამაზმა ამ გადაგვარებულს ქვემო ქართლისა და თბილისის მეფობა დაუმტკიცა, ყიზილბაშთა ლაშქარი გამოატანა და საქართველოში გამოისტუმრა. ამიერიდან შაჰმა თვით ქართლელებს შორის დასაყრდენი გაიჩინა. მიუხედავად ამისა, სიმონმა ორჯერ სასტიკად დაამარცხა დავითი, მისი მომხრე მოღალატეები და ყიზილბაშთა დამხმარე ჯარი.

ყაენმა დავითის დასახმარებლად ახალი დიდძალი ჯარი გამოგზავნა, რომელიც ფარცხისს მოვიდა (ალგეთის სეობაში). სიმონ მეფე თავისი ჯარით მტერს ვაჟკაცურად ეკვეთა. მაგრამ ღალატმა აქაც თავი იჩინა, სამშობლოს გამყიდველმა აზნაურმა კასაბერ ყორღანაშვილმა, მტრის მეგზურმა, ომის

დროს მცირე რაზმით გამარტოებული სიმონ მეფე იცნო და მტერს ანიშნა იგი. მეორე მოღალატემ კი მეფეს მუხთლურად შუბი აძგერა და ცხენიდან გადმოაგდო. ყიზილბაშთა დიდი გუნდი სიმონს შესაპყრობად მოეტევა. მეფის თანამებრძოლთაგან ბევრი მტერს შეაკვდა, სხვები მეფესთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა. ქართველები დამაცხდნენ. ეს იყო 1569 წელს.

მეფე ირანში წაიყვანეს. შაჰ-თამაზი ბევრს ეცადა სიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ ვერც პატივმა, ვერც მუქარამ სიმონი ვერ შეცვალა. გაბრაზებულმა შაჰმა ტყვე მეფე ალამუტის ციხეში გამოჰკეტა, სადაც მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გაუტეხელი მებრძოლი.

სიმონის დატყვევება ირანის დიდი გამარჯვება იყო. ჩანდა, რომ ქართლი ხანგრძლივსა და უსწორო ბრძოლაში მოიქნცა. მიუხედავად ამისა ხალხი გულს არ იტეხდა და მტრისათვის სამაგიეროს გადასდას ლამობდა. ასეთ შურისმაძიებლებს აქებს ხალხური ლექსი:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალუეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“...

მას შემდეგ რაც განასლდა ირან-ოსმალეთის ომი, ირანელებმა სიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და 1578 წ. ქართლში ოსმალებთან საბრძოლველად გამოისტუმრეს. ოც წელზე მეტხანს იბრძოდა იგი გმირულად ოსმალებთან. ბოლოს, სიმონ მეფე ოსმალებმა გორთან ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს და 1601 წ. სტამბოლს გააგზავნეს, სადაც პატიმრობაში გარდაიცვალა. ქართლი XVI ს. ბოლოს ოსმალთა ხელში აღმოჩნდა.

§ 66. კახეთი მე-16 საუკუნეში. პირველი კონტაქტები რუსეთთან

კახეთი მე-16 საუკუნეში საკმაოდ მოშენებული ფეოდალური სამეფო იყო. აღმოსავლეთით მას აბრეშუმის წარმოებით განთქმული შაქი-შარვანი ესაზღვრებოდა. შაქი და შარვანის დიდი ნაწილი დიდხანს იყო საქართველოს მფლობელობაში და მხოლოდ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოშორდა მას. კახეთის მეფეები მე-16 საუკუნეშიაც მეზობელ შაქს დასაპყრობად უყურებდნენ.

მე-16 საუკუნეში დაუსრულებელი ქიშპი იყო ატეხილი კახეთსა და შამხალის სამთავროს შორის, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა, კასპიის ზღვის მხარეს. შამხალი კახეთს პირაქეთა დაღესტანს ეცილებოდა. კახეთს ამისი დათმობა ადვილად არ შეეძლო: საკუთარი საზაფხულო საძოვრები აღარ ექნებოდა და თვითონ კედელმორღვეული რჩებოდა.

ასეთ ხელსაყრელ პირობებში კახეთი მე-16 საუკუნეში დაწინაურდა, მოშენდა და ამ საუკუნის დასასრულისათვის სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ის ყველაზე მდიდარ და კეთილმოწყობილ ფეოდალურ სამეფოდ იქცა.

კახეთის სიმდიდრე მის სოფლის მეურნეობაში იყო. მეცხოველეობა კახეთს უძველესი დროიდან მოსდევდა. მე-16 საუკუნეშიც ის განთქმული იყო თავისი ჯიშიანი ცხენებით. განსაკუთრებით ფართოდ მისდევდნენ კახეთში ამ დროს მეაბრეშუმეობას, რომლითაც უცხოელებთან დიდ ვაჭრობას აწარმოებდნენ. მევენახეობა არ ჩამოუვარდებოდა მეაბრეშუმეობას, ღვინო უსვად გაჰქონდათ ახლო-ბელ თუ შორეულ ქვეყნებში, მნიშვნელოვანი გასატანი საქონელი იყო აგრეთვე ენდრო, მცენარე, რომლიდანაც საღებავი მზადდებოდა.

კახეთი ხელოსნობა-ხელსაქმობაშიაც დაწინაურებული იყო. სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობისა და ვაჭრობის ასეთი განვითარების ნიადაგზე იყო რომ მე-15 — მე-16 საუკუნეებში კახეთში ქალაქები კი არ მცირდებოდა და ქრებოდა, როგორც ეს საქართველოს სხვა ნაწილებში მოხდა ამ დროს, არამედ ჩნდებოდა და იზრდებოდა. ბაზარი, გრემი ამ გვიანფეოდალური ხანის ახალი ქალაქებია, რომელთაც დიდად გაუსწრეს ძველ თელავს, თიანეთს, ჟინვანს.

მე-15 საუკუნის მიწურულამდე კახეთი, ისე როგორც მთელი საქართველო, სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებად—საერისთავოებად იყო დაყოფილი. მთელი კახეთი შვიდი საერისთავოსაგან შედგებოდა. ერისთავები ძველად ფეოდალური მოსელეები იყვნენ, მაგრამ მე-15 საუკუნისათვის ისინი უფრო სახელად იყვნენ მოსელეები, ნამდვილად კი თავისი საგამგეო ქვეყნების საშვილიშვილოდ მფლობელობასა და ხელმწიფობას იჩემებდნენ.

მე-15 საუკუნის მიწურულში კახეთის მეფეებმა გააუქმეს ქვეყნის ეს ძველი დაყოფა საერისთავოებად. ამიერიდან კახეთი დაიყო გაცილებით უფრო მრავალ ტერიტორიულ საგამგეო ერთეულად — სამოურავოებად. მცირე ტერიტორიის მმართველი მოურავები ერისთავობას ვერ დაიჩემებედნენ, მეფის ურჩობას ისინი აგრე ადვილად ვერ გაბედავდნენ, მათ საამისო ძალა არ შესწევდათ. ამიტომაც მოურავი მხოლოდ სახელად კი არა, არსებითადაც მეფის ადგილობრივი ფეოდალური მოხელე იყო.

ამავე დროს კახეთში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომელიც აგრეთვე მიზნად ისახავდა მეფის გაძლიერებას და დიდი თავადების დასუსტებას. ძველი ერისთავი დროშის მჭონებელი იყო, ესე იგი საერისთავო ქვეყანა ცალკე სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა და აქედან გამოსული ლაშქრის სარდალიც ერისთავი იყო. სარდლობა ერისთავის გაძლიერების ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი იყო და მასზე დაყრდნობით აპირებდა განდიდებული ერისთავი საერისთავოში ხელმწიფობას.

ახლა კახეთი დაყოფილი იქნა ოთხ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულად — სადროშოდ, მაგრამ სადროშოების სარდლობა კახეთის მეფემ თავადთა გვარებს კი არ ჩააბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა კი სამემკვიდრეო თანამდებობა არ ყოფილა. ეპისკოპოსები მეფის მიერ ინიშნებოდნენ და საეკლესიო ყმებისა და მიწების გამოყენების საქმეში მეფის მფარველობას დიდად საჭიროებდნენ. ამის გამო ეპისკოპოსები მეფის უფრო ერთგული იყვნენ, ვიდრე საერო დიდბატონები. სარდლის უფლებებს მოკლებული და მცირე ტერიტორიული ეროეულების

მმართველი მოურავები კი „ხელმწიფობაზე“ ვერ იფიქრებდნენ. ამ ცვლილების გატარების დროს კახეთის მეფეების მთავარი დასაყრდენი იყო ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენები — აზნაურები, მოლაშქრეები.

მაგრამ თუ ეს ღონისძიება აძლიერებდა მეფესა და მის გავლენას, ამასთანავე იგივე ღონისძიება ზრდიდა დიდი ტოსების უკმაყოფილო განწყობილებას კახთა მეფეებისადმი.

მე-16 საუკუნის შუა წლებში შორს საქართველოდან დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მოსკოვის სამეფომ მდინარე ვოლგის აუზში მონგოლთა მფლობელობა მოსპო. ამიერიდან ვოლგის დიდი სავაჭრო გზა რუსეთის სამეფოს ხელში მოექცა. მალე ამის შემდეგ მოსკოვის მეფემ ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ფეხის მოკიდება სცადა, მდინარე თერგის შესართავთან ციხე ააგო და შიგ ჯარი ჩააყენა.

ამ დიდ ამბებს კახელებისათვის შეუმჩნეველად არ ჩაუვლია.

კახეთის მეფემ ჩქარა გააბა ურთიერთობა ჩრდილოეთიდან მომავალ ამ ახალ ძალასთან. 1564 წელს მოსკოვის მეფემ ივანემ „მფარველობის ხელი დასდო“ კახეთის მეფე ლევანს და მეციხოვნე ჯარიც კი ათხოვა მას (1564—1571).

ამ ამბებმა შეაშფოთა ირანი და ოსმალეთი. ოსმალეთმა ომის მუქარით აიძულა რუსეთი გაეყვანა ჯარი თერგის ციხიდან, ლევან მეფემ კი, შაჰის მოთხოვნით, რუსი მეციხოვნეები კახეთიდან დაითხოვა.

თავის მამის პოლიტიკას წარმატებით განაგრძობდა ალექსანდრე ლევანის ძე, კახთა მეფე (1574—1605).

ალექსანდრე მდიდარი და ძლიერი მეფე იყო. მისი ვაჭრები კასპური საქონლით აზიასა და ევროპაში დადიოდნენ. მეფეს შეძლება ჰქონდა დიდი თანხებით შესწეოდა ქრისტიანულ სალოცავებს იერუსალიმსა თუ სხვა ადგილებში. ალექსანდრეს განზრახვა ჰქონდა მთლიანად აღედგინა კახეთში საქართველოს აყვავება-ძლიერების დროინდელი მატერიალური ნაშთები: ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები. მეფე ცდილობდა მოეყვანა უცხოეთიდან ოსტატ-ხელოსნები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, სწავლული მწიგნობრები.

ალექსანდრე ცდილობდა წესიერება დაემყარებინა თავის სამეფოში, ლაგამი ამოედო ფეოდალური მოხელეების აღვის-

ასწინილობისათვის. მის დროს თურმე მშრომელი ხალხი, გლეხები მოურავებისაგან „ბევრსა ძალსა და უსამართლობას ჩიოდეს“. ალექსანდრემ მკაცრად განსაზღვრა მოურავების უფლება-მოვალეობანი და ფსიზლად ადევნებდა თვალყურს ამ მოხელეთა საქმიანობას.

ალექსანდრე მეფეს 15 ათასამდე რჩეული მოლაშქრე ჰყავდა, „ქუდზე კაცით“ კი, ესე იგი საყოველთაო მობილიზაციით, მას ორჯერ მეტიც შეეძლო გამოეყვანა. აქედან მხოლოდ 3.000 იყო ქვეითი, სხვა ყველა — ცხენოსანი. ალექსანდრემ იცოდა, რომ შეიარაღებით მისი ლაშქარი ძალიან ჩამორჩებოდა მეზობელი ქვეყნების ჯარებს: 15000 კაცზე მას მხოლოდ 500 კაცი ჰყავდა ხელთოფით შეიარაღებული, ზარბაზნები კი სულ არ გააჩნდა. ამიტომაც ალექსანდრე ცდილობდა გაეჩინა არტილერია, მოეწყო თავის ქვეყანაში თოფისა და ზარბაზნის ჩამოსხმის საქმე, უშოვა საამისო ოსტატები.

§ 67. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-16 საუკუნის მიწურულში

ოსმალეთი და რუსეთი კავკასიაში უკვე მე-16 საუკუნის შუაწლებში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მე-16 საუკუნის ოთხმოციანი წლების შემდეგ, როცა ოსმალეთმა ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად ჩრდიეთ კავკასიის დაუფლებაც სცადა.

ამ დროს განასხლდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა.

ოსმალეთთან მეტოქეობაში რუსეთი იმიერ და ამიერკავკასიაში მოკავშირეებს ეძებდა. მოსკოვის სამეფოს მესვეურებს აზრად მოუვიდათ კახეთთან პოლიტიკური კავშირის აღდგენა, ძალაუნებურად რომ გასწყვიტეს 1570-იან წლებში.

1585 წელს მოსკოვის მეფემ თეოდორემ ალექსანდრე კახთა მეფეს თავისი ელჩის, დანილოვის ხელით სიგელი გამოუგზავნა. რუსეთის მეფე კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა საქართველოს.

მაშინდელ პირობებში ალექსანდრე მეფე ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიპოვებდა თავისი ქვეყნისათვის. ამიერკავკასია

ითქმის მთლიანად ოსმალეთს ჰქონდა იმჟამად დაჭერილი და ოსმალეთის მთავრობა გამალებით იბრძოდა მისი საბოლოო გათათრებისათვის.

რუსეთის დახმარებით კასთა მეფეს დაღესტნის ალაგმვა სურდა. დაღესტნელები მალულად თავს ესხმოდნენ კახეთს და მშვიდობიან სოფლებს აოხრებდნენ. ლეკებს ამ საქმეში შამხალი შეყლოდა, ორივეს ერთად კი ოსმალეთი მფარველობდა.

მეფემ დარბაისლებთან მოითათბირა და დანილოვს მოსკოვის მეფესთან თავისი ელჩები გაატანა.

1586 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრეს ელჩები მეფე ოევდორეს წარუდგნენ. კახეთის მეფე მოსკოვის მეფისაგან „მფარველობას“ ითხოვდა. ეს მფარველობა შემდეგში უნდა გამოხატულიყო. რუსეთს კახეთი ყველა მტრისაგან უნდა დაეცვა, ამჯერად კი რუსეთის მეფეს თერგზე უნდა ციხე აეგო, აქ დიდი ჯარი დაეყენებინა და გზა თერგიდან კასეთამდე, დაღესტანზე რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა.

კახეთის მეფის წინადადება მოსკოვში ხელსაყრელი ეჩვენათ. ბოიარებმა თეოდორე მეფეს მისი მიღება ურჩიეს.

1587 წელს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებითა და დარბაისლებით ფიცი მიიღო მოსკოვის მეფის ერთგულებაზე, 1589 წელს კი მოსკოვის მეფემ მას წყალობის სიგელი გამოუგზავნა, სადაც დადასტურებული იყო როგორც „ხელდებულის“, ისე „მფარველის“ უფლება-მოვალეობანი.

რუსეთთან დაახლოების გამო კახეთის მეფე განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში მოექცა: ერთი მხრით, მას მოსკოვთან კავშირისა და „ორგულობისათვის“ ოსმალეთი ემუქრებოდა, მეორე მხრით, ირანის შაჰიც „მოღალატედ“ სთვლიდა ალექსანდრე მეფეს. ამავე დროს ხელშესახები რამ სანუგეშო კახეთისათვის მოსკოვის მეფესთან კავშირს არ მოჰყოლია.

ალექსანდრე მოსკოვის მეფეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას სთხოვდა, მაგრამ ვალდებულება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ის მოსკოვის სამეფოს მესვეურებს ჰქონდათ თავიდანვე წარმოდგენილი. რუსის ჯარმა დაღესტანი ვერ დაიმორჩილა და თერგ-კახეთის გზა ვერ დაიჭირა. 1604 წელს მოსკოვის მეფემ საგანგებო რაზმი გამოუგზავნა, რომელ-

მაც დაიპყრო დაღესტნის ჩრდილოეთი ნაწილი. მაგრამ ამას იქით საქმე არ წავიდა და ჩქარა სრული მარცხით დამთავრდა. დაღესტნელებს ოსმალეთი მიეშველა. შამახიის ფაშა ოსმალთა ჯარით და დაღესტნელები თავს დაესხნენ ხსენებულ რუსულ რაზმს და ერთიანად მოსპეს იგი 1606 წელს.

ამიერიდან რუსეთ-კახეთის ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა. კახეთს შაჰ-აბასი დაეპატრონა, ხოლო რუსეთი გლეხების აჯანყებათა ალში გაეხვია.

§ 68. სამცხე-საათაბაგო მე-16 საუკუნეში

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში სამცხის ათაბაგებმა გამარჯვებით დაასრულეს ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც ისინი საქართველოს მეფის ყმობისაგან განთავისუფლებისათვის აწარმოებდნენ. ამ ბრძოლის დროს ათაბაგებმა გაწმინდეს თავისი სამთავრო მეფის მომხრე ერისთავებისაგან — ზოგი ამოწყვიტეს, ზოგი განდევნეს და მათს მამულებსა თუ თანამდებობაზე თავისი მოხელეები დასხეს. ასეთივე დღე გაუთენეს მეფის მომხრე საეკლესიო ფეოდალებს — ეპისკოპოსებსაც, ისინიც გამოაძევეს და საეკლესიო ყმა-მამული თავის მომხრე თავადებს მრავლად უწყალობეს, ურჩი ეპისკოპოსების ადგილებზე კი თავისი მომხრე ბერძენი ეპისკოპოსები მოიწვიეს ოსმალეთიდან. ათაბაგებმა მიიტაცეს მეფის საკუთარი ყმა-მამულიც საათაბაგოში და თავის ერთგულებს გადასცეს; და, ბოლოს, მეფეს მოსტაცეს მთელი მხარე — ჯავახეთი და თავის სამთავროს შეუერთეს.

ათაბაგთა სამფლობელოს საქართველოს სხვა ნაწილებზე ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა ჰქონდა. დასავლეთიდან მას ოსმალეთი მოსდგომოდა, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ირანის ყაენის სამფლობელო ეკრა. სუსტ მეზობელს ორივე მტერი ჩასანთქავად უყურებდა. მხოლოდ საკუთარი ძალებით სამცხის მთავარს მათი გამკლავება არ შეეძლო და ამავე დროს იგი ვერც საქართველოს სხვა ნაწილებთან შეკავშირებას ახერხებდა. ათაბაგს ეშინოდა, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოწვეული ქართლის ან იმერეთის მეფე მას სამფლობელოს ჩამოართმევდა და ქვეყანას თვით დაიპყრობ-

და. ამიტომ სამცხის მთავარი უცხოელ თავდამსხმელებთან მოლაპარაკებას ირჩევდა, თავდამსხმელს მორჩილებას აღუთქვამდა და მდიდარი მისართმევლით მშვიდობიანობის ყიდვას ცდილობდა.

ათაბაგთა ასეთი პოლიტიკა დამღუპველი აღმოჩნდა. მათ ვერავის ასიამოვნეს: არც ირანი სწამებდა ათაბაგს ორგულობას, სან ოსმალეთი და რიგრიგობით არბევდნენ გზადაბნეული ფეოდალის ქვეყანას. ამავე დროს ირან-ოსმალეთის სამსახურით ათაბაგები მთელი საქართველოს დამონების ძალაუნებური აგენტები სდებოდნენ. მორჩილ სამცხეზე გამოვლით და ათაბაგთა შემოძღოლით ოსმალები თუ ყიზილბაშები სან ქართლს აოსრებდნენ, სან ლიხთ-იმერეთს.

1553 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შეღეგად სამცხე-საათაბაგო ორად გაგლეჯილი აღმოჩნდა. ქვეყნის უდიდესი ნაწილი ირანს სვდა. მაგრამ მის დასავლეთ მხარეს (ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს) ჩქარა ოსმალეთი წამოეჭიდა. აჭარა და ჭანეთი გურიელს ეჭირა, მალე ჭანეთი ოსმალეთმა წაართვა გურიელს, ხოლო აჭარა არაერთგზის დაურბია, თუმცა საბოლოოდ მტერმა ამ დროს ჯერ კიდევ იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

ოსმალთა წინააღმდეგ უძლური ქაიხოსრო ათაბაგი 1570 წელს ირანის მმართველ შაჰ-თამაზს ეახლა ყაზვინში და მას დახმარება სთხოვა. შაჰს ოსმალეთთან ზავის დარღვევა საჭიროდ არ მიაჩნდა და ათაბაგს ცარიელი დაპირებით კვებავდა. ქაიხოსრო დახმარებას ვერ ეღირსა, ისე გარდაიცვალა შაჰის კარზე 1573 წელს.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში მოექცა ქაიხოსრო ათაბაგის ძე ყვარყვარე. მას მტრად აღუდგა მესხი თავადების დიდი ჯგუფი შალიკაშვილთა მეთაურობით. გაიმართა დაუსრულებელი ფეოდალური ომი: ექვს წელიწადს არბევდნენ და ანგრევდნენ ერთიმეორის ციხე-ქალაქებს, სოფლებს და ერთმანეთის წინააღმდეგ დახმარებას ირანსა და ოსმალეთში ეძებდნენ.

მე-16 საუკუნე თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე სამცხე-საათაბაგოსათვის გამოდგა, გამოვლილ უბედურებათა შემდეგ მტრებთ ნ ბრძოლაში სამთავროს აღარ შერჩა იმდენი წინააღმდეგობის უნარი, რამდენსაც საქართველოს

სხვა ნაწილები იჩენდნენ. საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ აქ ყველაზე ცუდი საყოფი ჯამოიღო.

1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დარჩა. მტაცებელმა მსხვერპლი დაიმარტოხელა. დასმარების იმედი აღარსაიდან იყო. თავგამოდებით ცდილობდა მანუჩარ ათაბაგი, ხოლო შემდეგ მისი ქვრივი დედოფალი ელენე საათაბაგოში ქართველობის დაცვას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა.

1587—1594 წლებში სამცხე-საათაბაგოში ოსმალობა დამყარდა. სულთანის ბრძანებით ქვეყანა ასწერეს. მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესები შემოიღეს. გადასახადები ოსმალური სისტემით გააწესეს. ახალი წესები არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალური საქართველოს მიწისმფლობელობის ძველი წესისა და ქართული საგადასახადო სისტემისაგან. ოსმალური წესის თანახმად მხოლოდ სამხედრო პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მიწის მფლობელი. სამხედრო თანამდებობისათვის კი მაჰმადიანობა იყო აუცილებელი, ამ წესის მიხედვით, ქართველი ფეოდალების მიწები ოსმალო მხედრების ხელში გადადიოდა. ქართველი თავადისა თუ აზნაურის წინაშე მოელი სიმწვავით დადგა საკითხი: ან მაჰმადიანობის ღიღება, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწისმფლობელობის შენარჩუნება (ახალი წესით), ან ამ მფლობელობის დაკარგვა, ქართველი ფეოდალები ან გამოიქცნენ, ან გამაჰმადიანდნენ. ამრიგად, ოსმალურ საათაბაგოში ქართველ გლეხს ბატონი გამოეცვალა. ქართველი მთავარი, თავადი, აზნაური და ეკლესია-მონასტერი ოსმალთა დივანმა (სახელმწიფო), ფაშამ, სანჯაყ-ბეგმა, ალაიბეგმა, სიფაჰმა და ჯამემ შესცვალეს. ოსმალურ სახელმწიფო და სამოხელეო გადასახადების გარდა ქრისტიანობაში დარჩენილ გლეხობას ცალკე „ურწმუნოთა“ გადასახადიც დაკისრეს.

ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ-საქართველოს „გათათრება“. ეს პროცესი ერთი ან ათეული წლების ამბავი არ ყოფილა. ათასწლოვანი ქართული კულტურის უცხო კულტურით შეცვლა დიდ სიძნელეებს ხვდებოდა. ხალხი მხნედ იტანდა სიმძიმეს და მედგრად იცავდა ქართველობას. თათრობა დიდი შეფერხებით იკვლევდა გზას გლეხობაში. მე-16 საუკუნის მი-

წურულში დაწყებული ეს პროცესი მე-19 საუკუნის დასაწყისსაც დასრულებული არ ყოფილა.

ოსმალიბის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მისი ერთნულ, კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიას ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, — სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

§ 69. ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შაჰ-აბასის წინააღმდეგ მე-17 საუკუნის დასაწყისში

მე-17 საუკუნის დასაწყისში ირან-ოსმალეთის ომი განახლდა, 1602 წელს ზავი ირანის მბრძანებელმა შაჰ-აბასმა დაარღვია.

ირანის შაჰი ოსმალეთს წინა ომებში მინატაცებ საზღვრებს ეცილებოდა. შაჰ-აბასმა დაამარცხა ოსმალები ადარბადაგანში და 16 ნოემბერს 1603 წელს უკვე ერევანს შემოადგა. ერევანი საგანგებოდ გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო და ამიტომაც მისი ალყა დიდხანს გაგრძელდა.

შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მოუწოდა. გიორგი მეათეს, სიმონის ძეს, ქართლის მეფეს, და ალექსანდრე კასთა მეფეს ყოყმანი შეექნათ. მართლაც და ძნელი არჩევანი იყო: არავინ იცოდა, რომელი მოძალადე გაიმარჯვებდა. ბოლოს მაინც გამოცხადნენ შაჰთან. ერევნის ომში მონაწილეობისათვის ქართლისა და კახეთის მეფეები შაჰ-აბასმა ირანში სოფლებით დაასაჩუქრა და თითოეულ მათგანს თავისი ხაზინიდან ჯამაგირი გაუჩინა. სამაგიეროდ, შაჰმა ქართლის მეფეს ციხე ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა, ხოლო კახეთის მეფეს — ენისელის მხარე (საინგილოში). ლორე-დებედას ხეობა ქართლს სამხრეთიდან ჰკეტავდა, ენისელი კი კახეთის კედელი იყო

აღმოსავლეთის მხრიდან. ეს მხარეები შაჰმა საქართველოს წამოაცილა და თავის მოხელეებს (სულთნებს) ჩააბარა.

შაჰის მზაკვრობას ქართველები კარგად მიუსვდნენ და მომავლის მოლოდინში ბოღმას გულში ინახავდნენ.

თავის მხრივ, შაჰ-აბასს ქართველთა ერთგულებისა არაფერი სწამდა. ის კარგად ხედავდა, რომ ქართველებს ერთი საფიცარი ჰქონდათ: თავისუფლება. ცბიერი შაჰი სულ იმას ცდილობდა, რომ ქართველების ცისე შიგნიდან გაეტეხა. შაჰის აგენტები მოხერხებულად სარგებლობდნენ ქართველი ფეოდალების შინაური ქიშპით და შაჰისაგან დასმარება-წყალობის დაპირებით მის ერთგულთა დასებს ქმნიდნენ.

1605 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მისმავე შვილმა კონსტანტინემ მოკლა. კონსტანტინე შაჰის კარზე იყო გაზრდილი და გამაჰმადიანებული. ალექსანდრე მეფის მკვლელობაში შაჰის ხელი ერია. შაჰ-აბასს სურდა რუსთმოყვარე და ირანის ორგული ალექსანდრეს ნაცვლად კახეთის სამეფო ტახტზე მაჰმადიანი და ირანის ერთგული კონსტანტინე ჰყოლოდა, მაგრამ შაჰი შეცდა. გადაგვარებული და მამისმკვლელი კოსსტანტინე კახელებმა მეფედ არ ისურვეს და აჯანყდნენ. აჯანყებულებს ქართლის ჯარიც მიეშველა. კონსტანტინე თავისი ყიზილბაშებით დამარცხდა და ომში მოიკლა.

შაჰ-აბასი კახელების ასეთი სიმტკიცის გამო იძულებული შეიქნა კახეთის მეფედ ალექსანდრეს შვილიშვილი ქრისტიანი თეიმურაზი დაემტკიცებინა (1606 წელს). მაგრამ კახეთში კარგად იცოდნენ, რომ შაჰ-აბასი ისეთი მტერია, რომელსაც არ სძინავს. საჭირო იყო ფხიზლობა.

1606 წელს შაჰ-აბასმა ყარაბაღი და განჯა წაართვა ოსმალებს. აქედან შაჰი ქართლისაკენ წამოვიდა და ოსმალთა მეციხოვნეები ლორე-დმანის-თბილისიდან განდევნა.

თბილისში ყოფნის დროს შაჰ აბასმა ქართლის მეფობა 14 წლის ლუარსაბ გიორგის ძეს დაულოცა (გიორგი მეფე ამ ხანებში უეცრად გარდაცვლილიყო). აქვე შაჰს მთელი ქართლის თავადობა ეახლა. შაჰ-აბასმა დიდი წყალობა უყო „ერთგულებს", მაგრამ არსებითად ქვეყნის მდგომარეობა იგივე დარჩა. ახლა მხოლოდ ოსმალთა ბატონობა ირანის ბატონობით შეიცვალა, თბილისი, აღჯაყალა, ლორე, დმანისი ისევ უცხოელთა ბატონობის იარაღად რჩებოდნენ. ოსმალთა მეციხოვნე-

ების ნაცვლად ამ ქალაქებში ასლა შაჰის ყიზილბაშები ჩაღგნენ.

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით ძველი, 1553 წლის, საზღვრები უნდა აღდგენილიყო და შაჰ-აბასს ხონთქრისათვის წლიურად 200 საპალნე აბრეშუმი ეძლია, მაგრამ მიღებულ პირობებს არც ერთი მხარე არ იცავდა: ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოსა და ქართლ-კახეთს არ ეხსნებოდა, შაჰ-აბასს კი აბრეშუმის გადასდა ეძნელებოდა.

1614 წელს შაჰ-აბასს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დარღვევა.

ასეთ პირობებში ქართველების პოლიტიკურ განწყობილებას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. შაჰმა კი დანამდვილებით იცოდა, რომ ამ მხრივ თეიმურაზი და ლუარსაბი მისთვის სანდო არ იყვნენ.

სახელმწიფოებრივი დაშლილობის მიუხედავად ქართლსა და კახეთში ბევრნი იყვნენ ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირების მოსურნენი, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ გარეშე მტრისაგან თავის დაცვა მხოლოდ ამ გზით შეეძლო ქვეყანას.

ასეთმა მოღვაწეებმა თეიმურაზი და ლუარსაბი ერთიმეორეს დაამოყვრეს.

ეს შეთანხმება შაჰ-აბასს ჭკუაში არ დაუჯდა. ცბიერი შაჰი ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის მტრობის ჩამოგდებას შეეცადა და თუ მთლად ვერა, რამდენიმედ მაინც მიზანს მიაღწია. თეიმურაზი და ლუარსაბი მიხვდნენ ბოლოს შაჰ-აბასის განზრახვას, მაგრამ ურთიერთშორის ძველი ნდობა და კავშირი მაინც ვერ აღადგინეს.

შაჰ-აბასი ენერგიულად ემზადებოდა ქართლ-კახეთის მეფეთა და მათი მომხრეების წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიების მისაღებად. 1614 წლისათვის, დიდი წინასწარი მუშაობის შედეგად, არა მარტო თავისთან ჰყავდა მრაელად შაჰ-აბასს ლუარსაბისა და თეიმურაზის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალები, არამედ თვით ქართლსა და კახეთშიაც ბლომად იყვნენ შაჰის წყალობის მოიმედენი.

1614 წელს შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით წამოვიდა ქართლისა და კახეთის მეფეების დასასჯელად. შაჰს განსაკუთრებით თეიმურაზ მეფე ამოელო მიზანში.

ირანიდან წამოსული შაჰი ყარაბაღს დაღგა და კახეთის მეფისაგან ერთგულების ნიშნად მძევლები მოითხოვა. თეიმურაზმა კახი თავადების რჩევით ერთგულების საწინდარი გაუგზავნა განრისხებულ მტერს: დედა, ორი შვილი და მრავლად თავადთა შვილები. შაჰმა, რაკი ესენი ხელთ იგდო, თვით მეფეს მოსთხოვა მის წინაშე გამოცხადებულიყო. თეიმურაზი არ ენდო მტერს და შაჰიც კახეთზე წამოვიდა. გადამწყვეტი დღე დადგა. მოღალატე-მოტყუებულნი ყოველი მხრით ამოქმედდნენ: ერთი ნაწილი შაჰს მოჰყვებოდა, მისი მრჩეველი და მტრის ლაშქრის მეგზური იყო, მეორე ნაწილი კი ციხეს შიგნიდან სტეხდა. მტრის ეს აგენტები არწმუნებდნენ თეიმურაზს, რომ წინააღმდეგობა უნაყოფოა და ურჩევდნენ დამორჩილებას, ამავე დროს ხალხში პროვოკაციულ სმებს ავრცელებდნენ, რომ უძლეველი შაჰი კახეთის სალხის მწყალობელია, რომ ის მხოლოდ თეიმურაზისა და მისი მომხრეების დასასჯელად მოდისო.

თეიმურაზმა წააგო. კახელები პროვოკატორების ანკესს წამოეგნენ და ომი არ ისურვეს. შაჰი კახეთს შემოვიდა, თეიმურაზი კი ერთგულთა რაზმით ქართლისაკენ გაიქცა. შაჰ-აბასის მდევარმა რაზმმა მეფეს გზა გადაუჭრა, მაგრამ ჟალეთს, მდინარე იორზე, თეიმურაზი დაამარცხა ეს რაზმი და ქარიალს გავიდა. ლუარსაბი თეიმურაზს მუხრანს შეეყარა.

მეფეთა თათბირზე აღმოჩნდა, რომ ქართლის წინააღმდეგობაც წელში იყო გატეხილი. არაერთი დიდი თავადი უკვე შაჰს ჰხლებოდა მორჩილების გამოსაცხადებლად, დანარჩენებმა კიდევ მეფეებს ომი არ ურჩიეს.

თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთს გადავიდნენ. შაჰ-აბასმა კახეთის საქმეები მოაგვარა, აქ საკმაო ჯარი დატოვა და ქართლში შემოვიდა. შაჰი გორს დადგა და იმერთა მეფისაგან იქ შეხიზნული თეიმურაზი და ლუარსაბი მოითხოვა. გიორგი იმერთა მეფემ შაჰ-აბასის სტუმრების გაცემაზე უარი შეუთვალა. შაჰ-აბასი ოსმალეთთან ზავის დარღვევას მოერიდა და იმერეთს ომით აღარ გადავიდა. ამისდა მიუხედავად მან ლუარსაბის ხელში ჩაგდება ცბიერებით მაინც მოახერხა.

1614 წლის ლაშქრობაში შაჰ-აბასს თან ახლდა თბილისის ყოფილი მოურავი გიორგი სააკაძე.

§ 70. გიორგი სააკაძე

ჩამომავლობით სააკაძე თავადთა წრეს არ ეკუთვნოდა, მაგრამ გიორგის მამა-ბიძები უკვე სიმონ მეფის დროს ძალიან დაწინაურებული იყვნენ და სამეფო კარზე მათ მაღალი თანამდებობანი ეჭირათ.

1609 წელს გიორგი სააკაძე უკვე თბილისის მოურავი იყო და ლუარსაბ მეფესთან მეტად დაახლოებული პირი. ამ დროს ქართლს ომი ჰქონდა საათაბაგოში გაბატონებულ ოსმალებთან. 1609 წელს ოსმალთა ლაშქარი ახალციხის მხრიდან ქართლს შემოესია. მეფე ლუარსაბ საზაფხულო სადგომს იყო ცხირეთის ციხეში. ქართლის შემოსასვლელ გზებზე მას ყარაულები ეყენა. ოსმალთა ჯარმა გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, გაწყვიტა ქართული ყარაულები და მოულოდნელად მანგლისს მოატანა. აქედან მტერი მარჯვე გზით შიდა ქართლში ცხირეთის ციხეზე უეცრად მისვლას, ლუარსაბ მეფის ხელში ჩაგდებასა და შემდეგ შიდა ქართლის დაპყრობას აპირებდა. მეფე მოულოდნელ თავდასხმას არ ელოდა და ციხეში მცირე ამალით იდგა.

ოსმალ-თათრებმა სოფელ კველთას თედორე სუცესი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. გლეხი გმირი აღმოჩნდა: ქვეყნისათვის თავი გასწირა, მტერი სულ სხვა გზით წამოიყვანა და ის ცხირეთის ციხეს ააცდინა. როცა თედორეს ეს ხერხი გამომჟღავნდა, მეგზური ხმლით აკუწეს თათრებმა, სამაგიეროდ განზრახვამ მტერს ფუჭად ჩაუარა, ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო.

ამ დროს ცხირეთს მეფესთან იყო გიორგი სააკაძეც. სახიფათო ჟამს მოურავი არ დაიბნა. მან განსაკუთრებული სიმხნე, ნიჭი და სიმამაცე გამოიჩინა. ციხიდან ფიცხლავ შიკრიკები აფრინეს და ქართლის ჯარი იხმეს. სააკაძემ მეზობელი სოფლებიდან სახელდახელოდ ოთხასამდე მეომარი შემოიყარა. მოვიდნენ ახლობელი თავადებიც თავისი ყმებით. გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი მოთარეშე მტრის მცირე რაზმებს ეკვეთნენ და მუსრი გაავლეს მათ. მტერმა ძარცვა-რბევით მტკვრის მარჯვენა ნაპირი აიარა და გორს გასცლა სცადა — მას ქართლის გულის დაჭერა სურდა. გორელებმა მოასწრეს და მტკვარზე გადასასვლელი სიდი აჰყარეს. იმ დროს ზაფ-

სულის წყალდიდობა იყო და აქ მტკვარი არ გაისვლებოდა. მტერი ისევ მარჯვენა ნაპირს აჰყვა, სოფლები არბია, ბრბონასთან მდინარის გადალახვა მოასერხა და ქვიშსეთის ბოლოს დაბანაკდა.

ამასობაში ქართველმა ჯარმა თანდათან მოდენა იწყო. თბილისიდან ყიზილბაშთა სარდალიც მოვიდა შვიდასი კაცით. გადამწყვეტი ომი ქვიშსეთის ბოლოს მოხდა. წინასწარ სამხედრო რჩევაზე ქართველებმა გიორგი სააკაძის საომარი გეგმა მიიღეს და სასტიკ ომში მათ ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ.

ამიერიდან გიორგი სააკაძე კიდევ უფრო გავლენიანი და მეფის სანდო პირი შეიქნა. ჩქარა ლუარსაბ მეფემ სააკაძის და ცოლად შეირთო. სააკაძის ასეთ ამაღლებას ძველი გავლენიანი თავადები ვერ ურიგდებოდნენ. მათ ძალიან არ მოსწონდათ ამ აზნაურის პოლიტიკაც: სააკაძის იდეალი მეფის ხელისუფლების გაძლიერება იყო. ეს კი თავადების უფლებების შეზღუდვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ასევე მიუღებელი იყო თავადებისათვის საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავრების კავშირის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. აზნაური სააკაძის გეგმა კი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულისხმობდა ძლიერი მეფის ხელქვეშ. გიორგის თავისი მომხრეებიცა ჰყავდა თავადიშვილთა და განსაკუთრებით აზნაურთა წრეებიდან. მაგრამ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ. თავადები შემოადგნენ ლუარსაბს და იმდენი აბეზღეს მოურავი, რომ მეფე სააკაძის მოღალატეობაში დაარწმუნეს.

ლუარსაბმა მოურავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ მომხრეებმა სააკაძეს განსაცდელი შეატყობინეს. მოურავი თავის სიმამრისას გაიქცა, მისი ქონება კი მაბეზღარ-მოქიშპეებმა აიკლეს და დაიტაცეს.

გიორგი სააკაძის სიმამრი დიდი თავადი ნუგზარ არაგვის ერისთავი იყო. ლუარსაბ მეფის და ხორეშანი დიდხანს იყო ნუგზარის ვაჟზე დანიშნული, მაგრამ სწორედ ამ დროს თეიმურაზ კასთა მეფე დაქვრივდა და ლუარსაბმა, დარბაზის რჩევით, ხორეშანი მას მიათხოვა. ამით ამაყი ერისთავი მეტად შეურაცხყოფილი დარჩა.

ასლა სიძე-სიმამრი, გიორგი და ნუგზარი, ირანს წავიდნენ და შაჰ-აბასს ეახლნენ. ქართველ მოჩივართა მისვლამ შაჰს სეტად ასიამოვნა: გავლენიანი ქართველების მიმხრობა საუკეთესო საშუალება იყო თეიმურაზისა და ლუარსაბის სიმტკიცის გასატეხად და მათ დასამორჩილებლად. სააკაძეს კი შაჰის ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად სურდა.

შაჰ-აბასმა ნუგზარ ერისთავი დიდად შეწყალებული გამოისტუმრა, გიორგი სააკაძე კი ირანში დარჩა. გონიერებით, მამაცობითა და ძალღონით მოურავმა ჩქარა გაითქვა სახელი და შაჰის დიდი პატივი დაიმსახურა.

და აი, 1914 წლის ლაშქრობაში შაჰ-აბასს თან მოჰყვებოდა გიორგი სააკაძეც. ქართლში სააკაძის დაბრუნება მოსვენებას უკარგავდა მის მოსისხარებს — ისინი მოურავისაგან შურისძიებას ელოდნენ. მათს ასეთ შიშს შაჰის კარიდან განზრახ დარხეული ხმებიც აძლიერებდა: რადგან ლუარსაბს არ სურს შაჰს ეახლოს და შეწყალება ითხოვოს, შაჰი ქართლის მეართველად გიორგი სააკაძის დასმას აპირებსო. სააკაძის მომხრეები გახიზნულ ხალხს მშვიდობას აუწყებდნენ, უკანვე მოუწოდებდნენ და ხელმწიფის სახელით წყალობა-გაკეთებას აღუთქვამდნენ.

შეშფოთებული თავადები გამოსავალს ეძებდნენ. გიორგი სააკაძის მოსისხარმა შადიმან ბარათაშვილმა ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა თავს იდვა. შაჰიც მხოლოდ ამას ელოდა. შადიმანმა ნაკისრი შეასრულა და მალე ლუარსაბ მეფე შაჰს ეახლა. შაჰ-აბასი ირანს გაბრუნდა და ლუარსაბი დიდი პატივით თან წაიყვანა. შაჰმა თან გაიყოლა გიორგი სააკაძეც. თეიმურაზ მეფე კი იმერეთს დარჩა.

§ 71. აჯანყება კასეთში. კასეთის აოხრება

კასეთში ყოფნისას შაჰმა უხვი წყალობა უყო თეიმურაზის მოღალატეებს, შეურაცხყო კასთა სალოცავები — გრემი და ალავერდი — და სასტიკად ააოხრა საგურამო და ერწო-თიანეთი მეფის ერთგულებისათვის. აქ ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს ოცდაათი ათასამდე ტყვე. კასეთის მმართველად შაჰმა თეიმურაზის ბიძაშვილი, გამაჰმადიანებული ისა-სანი დასვა და

კახ თავადებს მისი მორჩილება უბრძანა. ისე რომორც ქართლიდან, შაჰმა კახეთიდანაც ძრავლად წაიყვანა ხელმწიფის მოლაშქრედ თავდაწერილი მეომრები.

კახელებმა კარგად დაინახეს, თუ რომორი „მწყალობელი" იყო ირანის შაჰი და ავღანყებაც სადღეისო საქმედ იქცა. ირან-ოსმალეთს შორის ომის განახლებამ ეს ავღანყება დაარჩინა. იმერეთს ლტოლვილი თეიმურაზი ოსმალეთს დაუკავშირდა, ისა-ხანი ამ დროს შაჰ-აბასთან იყო წასული, კახეთის საქმეები მას თავისი ორი უახლოესი კარისკაცის, ჯორჯაძის და ჯანდიერისათვის ჩაებარებინა. ავღანყება 1615 წლის 15 სექტემბერს დაიწყო. ჯორჯაძე და ჯანდიერი ავღანყების მოთავენი აღმოჩნდნენ. ავღანყებულებმა თეიმურაზი ისმეს და მეფეც სწრაფად წამოვიდა კახეთში. ყიზილბაშთა რაზმები განადგურებულ იქნენ და თეიმურაზმა ქვეყანა დაიჭირა. ახლა კახელების მაგალითს ქართლელებიც მრავლად აჰყვნენ, ავღანყდნენ და თეიმურაზი ქართლის მეფეთაც მოიწვიეს. საკაძის მტრებმა დრო იშოვეს და მოურავის მომხრეებს დაერივნენ. თვითონ მოურავი, რომელიც ამ დროს ირანიდან თავის მამულში მოსულიყო, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მალე თეიმურაზმა კახეთის ეოსაზღვრე შაქში ილაშქრა, ქალაქი არეში აიღო და იქ შაჰის მეციხოვნეები გაწყვიტა. შაქი-შარვანელებიც შაჰის წინააღმდეგ ავღანყდნენ. ამავე დროს თეიმურაზის აგენტები დაღესტანს ავიდნენ და ლეკებს ირანის წინააღმდეგ გამოსასვლელად მოუწოდებდნენ.

შაჰ-აბასი შეშფოთდა. ამ ავღანყებებში მას ოსმალეთის ხელი ეჩვენებოდა. შაჰმა სასწრაფოდ გამოგზავნა სარდალი ალიყულისხანი 15 ათასი მეომრით. ყიზილბაში სარდალი, რომელსაც თეიმურაზის შეპყრობა ჰქონდა დავალებული, თბილისს მოვიდა. მტრის ჯარმა კახეთიდან არაგვზე გადმოსასვლელი გზები შეჰკრა. თეიმურაზ მეფემ მორჩილების სიტყვებით ალიყული-ხანის სიფსიზლე შეანელა. ქართველმა მეგზურებმაც კახთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ სწორი ცნობები არ მიაწოდეს ყიზილბაშებს. ბაინდურ არაგვის ერისთვისშვილი კი თბილისიდან განუწყვეტლად ატყობინებდა თეიმურაზს მტრის ჯარის მოძრაობას. ამის შედეგად თეიმურაზი 6000 კაკით მოულოდნელად თავს დაეცა ყიზილბაშებს და სასტიკად დაამარცხა ისინი. მტერი თავზარდაცემული გაიქცა. გამარჯვე-

ბუღლებმა ხელთ იგდეს მტრის მთელი ბანაკი და მრავალი ტყვე.

შაჰ-აბასი გაცოფდა. აჯანყება საშიშ ხასიათს იღებდა და დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. შაჰი საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულზე მთელი თავისი ძალით კახეთის მოსასპობად წამოვიდა. მტრის ასეთმა ენერგიულმა და სწრაფმა მოქმედებამ აჯანყებულთა სიმტკიცე შეარყია. ვერც ოსმალეთი მოეშველა მათ.

აჯანყებულებმა საერთო საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანება ვერ მოახერხეს. ქაროლის ფეოდალები კახელებს ვერ მიეშველნენ, მოძმის აოხრებას უცქეროდნენ და თავის ჯერს უცდიდნენ.

ბრძოლის ველზე შაჰ-აბასის დიდი ჯარის გამკლავების ღონე თეიმურაზს არ შესწევდა. კარზე მომდგარი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად კახელებმა ნაცად ხერხს მიმართეს. თეიმურაზ მეფე და მისი ერთგულები ისევ დასავლეთ საქართველოში გაიქცნენ, მთელი კახეთი კი დაიხიზნა, სიმაგრეებში ჩაიკეტა, თავდასაცავად მოემზადა და ამავე დროს შაჰს მორჩილება გამოუცხადა და დანაშაულის შენდობა სთხოვა. შაჰ-აბასს კახეთის სრული მოსპობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ მან კახელების თხოვნა არ შეიწყნარა.

კახელებისათვის დახიზვნით გადარჩენის საშუალება რომ მოესპო, შაჰმა კახეთს მისასვლელი გზები თავისი ჯარებით წინასწარ დაიჭირა. ამავე დროს ის შეუთანხმდა დაღესტნელებს, რათა მათ მთებში შეხიზნული კახელები ეჟლიტათ. ასეთი საგანგებო მომზადების შემდეგ მტერი შემოესია ქვეყანას.

ქართველი ხალხის ისტორიაში უმაგალითო შავი დღე დატრიალდა. საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე იდგა,. მაგრამ განაზრახის შესრულება მოძალადეს ძვირად დაუჯდა. ბრძოლამ ერთ წელიწადს გასტანა. ყოველი ცისე, ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე, ხევი მტერს ომით უნდა აეღო. საკუთარი ბუდისა და თავისუფლების დამცველი ხალხი გმირი აღმოჩნდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ, ორგანიზაციამ და იარაღმა სძლია.

კახეთმა ამ შემოსევისას მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. დაღესტნელებმაც

დრო ისელთეს და სელი მოითბეს. მტერმა დასწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც კი მისწვდა. შაჰ-აბასის საგანგებო ბრძანებით არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწვავდნენ სოფლებსა და ყოველგვარ სამეურნეო შენებულებას, კაფავდნენ ზვრებსა და ვენახებს, სპობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად ტოვებდნენ ოთხფეხ საქონელს.

ნანგრევებად იქცა ქალაქები, სასახლეები, ფერფლად იქცა სოფლები. მშვიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა. დაიცალა და დაყრუვდა აყვავებული მხარე, დიდი ხნით შეწყდა აქ სიცოცხლის მაჯისცემა, ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანის ნასადგომევს.

კასელი ტყვეები ირანს გარეკეს. მათი ნაწილი შაჰ-აბასმა შიდა ირანის სხვადასხვა პროვინციაში დაასახლა. უცხოეთში, თვისტომს მოწყვეტილნი, ისინი თანდათან გადაგვარდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა ფ ე რ ე ი დ ა ნ შ ი შეინარჩუნა დღემდე დედაენა. კიდევ უფრო უარესი იყო დანარჩენი ტყვეების ბედი — ისინი ყიზილბაშმა მოლაშქრეებმა დაჰყიდეს. ქართველი მონა და მხევალი ყიზილბაში დიდკაცების ჩვეულებრივი სამკაული გახდა.

აოსრებული კახეთი შაჰ-აბასმა ორ ნაწილად გაჰყო: ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის სანს, ყიზილბაშ ფეიქარს ჩააბარა სამმართველოდ, დასავლეთი კი ქართლის ხანს ბაგრატს მისცა. დაცარიელებულ ქვეყანაში შაჰმა ხანებს თურქების დასახლება უბრძანა.

კახეთის მოთხრით შაჰ-აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო, კახეთში ჩასახლებული თურქმანები კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანს გადასახლებული კახელები კულტურული სოფლის მეურნეები და შაჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები იქნებოდნენ, — ასე ფიქრობდა შაჰი. მართლაც, ყ უ ლ ი ს ჯ ა რ შ ი (ყულის ჯარი ეწოდებოდა ირანის შაჰის მცველ ჯარს), რომელშიაც ამ დროიდან 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა, დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ.

როცა კახეთს მორჩა, შაჰი ქართლს ეწვია. მან აქ თეიმურაზის მომხრე თავადების მამულები დაარბია და ტყვეები მო-

აგროვა, სოლო ქართლის თავადაზნაურთა შვილების დიდი უმრავლესობა ყულის ჯარში გაიწვია. ქართლის ხანად შაჰ-აბასს ჯერ კიდევ 1615 წელს გამოეგზავნა გამაჰმადიანებულ-გასპარსებული ქართველი ბაგრატ დავითის ძე.

ფეიქარ-ხანმა მრავლად ჩამოასახლა თურქმან-თათრები კასეთის ველებში, ლეკებიც ჩამოსხდნენ ნაოხარ კახურ სოფლებში. ქვეყნის უდიდესი ნაწილი მაინც ცარიელი რჩებოდა. ფეიქარ-ხანი იძულებული გახდა კახი ხიზნების დაბრუნებასაც ცდილიყო.

ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა და თეიმურაზ მეფე იმედს არ ჰკარგავდა, რომ თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდა. ლტოლვილმა მეფემ ენერგიული პოლიტიკურ-დიპლომატიური მოქმედება გააჩაღა. ჯერ კიდევ 1615 წელს თეიმურაზის თაოსნობით საქართველოს ექვსივე მეფე-მთავარმა საერთო ელჩი გაგზავნეს მოსკოვს. ქართველები თავიანთი გაერთიანების შესახებ აუწყებდნენ რუსთა მეფეს და ერთმორწმუნე ხელმწიფეს საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მოუწოდებდნენ. ასეთივე მოწოდებით მიმართეს ქართველებმა რუს-ხელმწიფეს 1618 წელს. მეორე მხრით, თეიმურაზის ელჩები პოლონეთს და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც ეწვივნენ, თუმცა დახმარება შაჰ-აბასის წინააღმდეგ ვერსაიდან მიიღეს. ამავე ხანებში თეიმურაზი ოსმალეთის სოსთქარს ეახლა სტამბოლში და მას დახმარება სთხოვა. ოსმალეთს ამ დროს თვითონ უჭირდა: ყაზახ-რუსები სანაპიროებს ურბევდნენ, მცირე აზიაში აჯანყებები არ ნელდებოდა. ხონთქარმა თეიმურაზი მცირე იმედით გამოისტუმრა და მას საცხოვრებლად გონიის ციხე მიუჩინა (ჭოროსის შესართავთან). 1618 წელს თეიმურაზს თავისი საქმის წარმატების დიდი იმედი ჰქონდა. ოსმალთა დიდი ლაშქარი ირანში შეიჭრა და ქალაქ არდაველს მიუახლოვდა. თეიმურაზ მეფე თავისი კახელებით ოსმალთა ჯარის მეწინავეში იბრძოდა და თავზარდაცემულ შაჰს მუქარას უთვლიდა, რომ მას კასეთის აოხრების სამაგიეროს ჩქარა მიუზღავდა. კასეთის მეფეს იმედი ...რ გაუმართლდა. ოსმალთა ლაშქრის უნიჭო სარდლობამ თავისი უპირატესობა ვერ გამოიყენა, ომი ვერ მოიგო და შაჰ-აბასი აშკარა საფრთხეს ამჯერადაც გადაურჩა.

თეიმურაზის მოქმედება ირანის შაჰს მოსვენებას უკარ-

გავდა. ბრაზით გაცოფებული იგი უდანაშაულო მძევლებს სწვავდა. 1620 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით თეიმურაზის ძარი ვაჟი საშინლად დაასახიჩრეს.

თეიმურაზმა თანდათან დაკარგა ოსმალთა დახმარებით წარმატების იმედი, 1623 წელს მან ერთხელ კიდევ გაგზავნა ელჩები მოსკოვს. მოსკოვის მეფესაც თეიმურაზს მეტად უიმედო პასუხი შემოუთვალა, მაგრამ ამასობაში საქმე ისე წავიდა, რომ პასუხის მოტანას თეიმურაზი უკვე ქართლ-კახეთის მეფედ დასვდა.

§ 72. ქართლ-კახეთი 1616—1622 წლებში

ქართლის მმართველმა ბაგრატ-ხანმა საქმეს თავი ვერ გაართვა. მრავალი თავადი შაჰის ამ მაჰმადიან მოხელეს არ ემორჩილებოდა, ზოგი ლუარსაბს ელოდა, ზოგს კიდევ თეიმურაზთან ჰქონდა საიდუმლო კავშირი.

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და შაჰმა ქართლის მმართველად მისი შვილი სიმონი დანიშნა. მაჰმადიანობაში დაბადებულსა და ირანში გაზრდილს ახალგაზრდა სიმონ-ხანს კიდევ უფრო ნაკლებ შეეძლო ლუარსაბისა და თეიმურაზის მეტოქეობა. ქართლი ანარქიამ მოიცვა. უღონო სიმონი შაჰს ეახლა და ქართლის აშლა მოახსენა.

ირანის შაჰის წინაშე ლუარსაბ მეფის საკითხი დაისვა, ქართლიდან წაყვანის შემდეგ შაჰ-აბასს ლუარსაბ მეფე კარგა ხანს ასტრაბადში ჰყავდა. შაჰის სამსახურში მყოფი ქართლის თავად-აზნაურობა ხშირად შუამდგომლობდა შაჰის წინაშე ტყვე მეფის პატიებას. მოსკოვის მეფეც, თავის ძმრით, სთხოვდა ირანის შაჰს ქრისტიანი მეფის შეწყალებას. შაჰს ძლიერ არ მოსწონდა მოსკოვის ასეთი შუამდგომლობა.

შაჰ-აბასს შეუძლებლად მიაჩნდა ლუარსაბის შეწყალება მანამ, სანამ იგი ქრისტიანობას თავს არ დაანებებდა, გამაჰმადიანების სურვილს კი ქართლის მეფე არ იჩენდა.

ჩქარა ლუარსაბი შუა ირანს წაიყვანეს და შირაზის ციხეში გამოჰკეტეს. ქართლში თავადების აშლაც უბედურ ტყვეს დაბრალდა. ამავე დროს შაჰის წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა, რომლის მონაწილე ქაროველებიც აღმოჩნდნენ. და

რომ ქართველები ირანში თუ ქ[illegible]როლში დაუნარებულიყვნენ, შაჰ-აბასმა მათ იმედი გადაუწყვიტა: მისი ბრძანებით, ლუარსაბ მეფე შირაზის ციხეში მშვილდის საბლით მოასრულეს 1622 წელს.

არც კახეთის საქმე მიდიოდა შაჰისათვის სასურველად. თეიმურაზ მეფის აჩრდილი მოსვენებას უკარგავდა ფეიქარხანს. კახელები იმედით ცოცხლობდნენ: შაჰ-აბასი მოხუცებული იყო, საცა იყო გარდაიცვლებოდა და ირანში ტახტის მემკვიდრეებს შორის ჩვეულებრივი ომი გაჩაღდებოდა; თეიმურაზი კი ჯერ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე იყო; ირან-ოსმალეთის ომიც გრძელდებოდა და შესაძლებელი იყო ირანი დამარცხებულიყო.

ქართლისა და კახეთის საქმეების მოგვარება შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძეს უბრძანა. ამ დროისათვის მოურავი კიდევ უფრო სახელგანთქმული კაცი იყო, დიდი ჭკუის პატრონი და საქართველოს საქმეების საუკეთესო მცოდნედ მიჩნეული, დიდმა გონიერებამ, ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და ერაჩვეულებრივმა ღონემ გიორგი სააკაძეს მქუხარე სახელი გაუთქვეს არა მარტო ირანში, არამედ აგრეთვე ოსმალეთს, სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპაშიაც.

ახალგაზრდა სიმონ-ხანს სააკაძე მრჩეველად მიუჩინეს. ამასთან ერთად შაჰ-აბასმა საქართველოში ყიზილბაშთა დიდი ლაშქარი გამოისტუმრა ყარჩისა-სანის სარდლობით. სარდლის უახლოესი მრჩეველიც გიორგი სააკაძე იყო.

სააკაძის შეამდგომლობით შაჰ-აბასმა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა მოურავის ცოლისძმა და მისივე გაზრდილი ზურაბი, ნუგზარ ერისთავის შვილი.

1620 წელს სიმონ-ხანი, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და ყიზილბაშთა ჯარი ქართლს მოვიდნენ, ჩქარა ახალგაზრდა სიმონ-ხანი სავსებით სააკაძის გავლენის ქვეშ მოექცა.

ქართლ-კახეთის საქმეების მოგვარება შაჰ-აბასს ახლა ასე ჰქონდა განზრახული: კახელები, როგორც თეიმურაზ მეფის თაყვანისმცემებლები, უნდა საბოლოოდ ამოეწყვიტა, კახეთი სულ ყიზილბაშებითა და სხვა თურქმან-თათრებით დაესახლებინა, ლუარსაბისა და თეიმურაზის მომხრე ქართველების თავადები ირანს ჩაერეკა.

შაჰი შეცდა როცა სააკაძე საქართველოს თავისუფლების ჯალათად დაიგულა. შაჰ-აბასს ქართველებს შორის სასელი კარგა ხანია გატეხილი ჰქონდა. შაჰის კარზე ჩაყვანილი ქართველები, შაჰის მეგობარ-მოლაშქრეებად თავდაწერილი მეომრები ვერ ეღირსნენ დაპირებულ წყალობას. თვალუწვდენი ირანის კიდით კიდებამდე გასუწყვეტელი ლაშქრობა ათასობით იწირავდა შაჰისგან გაკეთების მოიმედეებს. ამავე დროს შაჰის ეს „მეგობრებიც“ (სპარსულად — „შაჰისევანები“) თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ „მწყალობელი“ ხელმწიფე მათ სამშობლო ქვეყანას მეტს აღარ ახილებდა. უარესი ის იყო, რომ ცბიერმა მტერმა ირანს ჩატყუებულ ქართველებს წყალობის ჰირობად გათათრება დაუდო. ასე რომ სამართლიანობის, წყალობისა და გაკეთების ნაცვლად „შაჰის მეგობრებმა“ თავისუფლების დაკარგვა, სამშობლოდან გადასახლება და გადაგვარება მიიღეს.

გიორგი სააკაძე კარგად მიუხვდა მტერს მის ვერაგულ გეგმებს და დაინახა, რომ შეცდა. ირანის შაჰის ინტერესები საქართველოში ყველაზე ნაკლებ სწორედ სააკაძის მიზნებს ეთანხმებოდა. ძლიერი, მთლიანი საქართველო შაჰისათვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველო სუსტი, დაშლილი, თავადური. სააკაძე საქართველოს გაძლიერებისათვის, მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა, შაჰი კი ჩვენი ქვეყნის დამონება-გადაგვარებას ცდილობდა და ამ საქმეში სააკაძის გამოყენებას ლამობდა. დიდი პატივითა და უხვი წყალობით მტერი სააკაძეს სამშობლოს მესაფლავედ გადაქცევას უპირებდა.

რაცა სააკაძე ქართლს მოვიდა და საქმის ვითარებას ჩაუკვირდა, მან ადვილად შეამჩნია, რომ ახლა ქართლშიაც მდგომარეობა სულ სხვა იყო, ვიდრე 1616 წლამდე. კახეთის განადგურებით შაჰმა საქართველოსადმი თავისი მგლური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ქართლის მაჰმადიანურ სასანოდ გადაქცევა, ქვეყნის დახარკვა, თავადების მრავლად დარბევა და დასჯა-გადასახლება, ქართლის აზნაურ-მოლაშქრეთა ყულის ჯარში გაწვევა, ქრისტიანობის შეურაცხყოფა და მაჰმადიანობის გავრცელების ცდა, — ყველაფერი ეს შაჰ-აბასის წინააღმდეგ აკავშირებდა ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დიდ უმრავლესობას. სააკაძემ დაინახა,

რომ ქართლში ირანის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყება მომწიფებულა და თვითონაც საჭირო სამზადისს შეუდგა. შურისძიების ნაცვლად სააკაძე შეურიგდა თავის ძველ მოქიშპეებს, მან დაიმოყვრა გავლენიანი თავადები და ხელი შეუწყო თავის ცოლისძმის- ზურაბ ერისთავის გაძლიერებას. ამავე დროს მოურავმა საიღუმლო მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან.

§ 73. გიორგი სააკაძის აჯანყება

1623 წელს, თითქოს იმერეთს სალაშქროდ, ყარჩისა სანმა კახი თავად-აზნაურობა და მოლაშქრენი მუხრანს მოიწვია. აქ ა ღ ა ი ა ნ ი ს მინდორზე მათი ერთიანად გაწყვეტა იყო განზრახული.

ყიზილბაშებმა განაზრახი ვერ შეასრულეს. მართალია, მრავალი კახი დაიღუპა, მაგრამ ლაშქრის დიდმა უმრავლესობამ ხმლით გზა გაიკაფა და კახეთს გაიქცა. ასე რომ ყიზილბაშებს ვერაგული გეგმა გაუმჟღავნდათ, ხოლო კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა. შაჰ-აბასის მუხანათობამ ქართლიც შეაშფოთა. ეს მარცხი ყარჩიხა-ხანმა და სხვა ყიზილბაშებმა სააკაძეს გადააბრალეს.

სააკაძე შაჰ-აბასს კარგად იცნობდა, თავი ფრთხილად ეჭირა და ამავე დროს არაფერს კი არ იმჩნევდა, კვლავ ყარჩიხა-ხანის ბანაკში იდგა.

შაჰ-აბასმა საიდუმლო ბრძანება გამოუგზავნა ყარჩიხა-ხანს: შაჰი კახთა გაწყვეტას და ქართლის აყრას განმეორებით უბრძანებდა სარდალს და სააკაძის მოჭრილ თავსაც ითხოვდა. მაგრამ არც მოურავს ეძინა. შაჰის ბრძანება ყარჩიხა-ხანის ნაცვლად სააკაძეს ჩაუვარდა ხელში.

გადამწყვეტი მომენტი დადგა. დრო აღარ ითმენდა, აჯანყების წარმატებისათვის საჭირო იყო, რომ ის მანამ დაწყებულიყო, სანამ ყიზილბაშთა სარდალი ჯერ კიდევ არ იყო გაფრთხილებული.

სააკაძემ მისთვის ჩვეული ენერგიით, სიფრთხილითა და მოფიქრებით აჯანყების გეგმა დააწყო. შაჰ-აბასის საიდუმლო ბრძანებამ სააკაძეს დიდი სამსახური გაუწია აჯანყების წარმატებით მოწყობაში. ქართლის თავადებმა თვით შაჰის

ბრძანებაში ამოიკითხეს თავის შესახებ ულმობელი განაჩენი. აჯანყების გეგმა ბრწყინვალედ იყო შედგენილი. ყარჩიხა-ხანთან შეთანხმებით სააკაძემ ქართლის თავადები იხმო, თითქოს მათთვის შაჰის სურვილი უნდა ეცნობებინა. მოურავმა აქ თავადებს შაჰის სავიდუმლო ზრახვები გააცნო და მათ აჯანყებისაკენ მოუწოდა, ქართლის თავადებმა აჯანყების გეგმა მიიღეს.

ყარჩიხა-ხანი თავისი ჯარით მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს მიდამოებში იყო, როცა ქართლის აჯანყებულთა ზვავი მის წასალეკად დაიძრა. პაემანზე, როდესაც ქართლის ჯარი მარტყოფის ვიწროებში მტერს თავზე წამოადგა, გიორგი სააკაძემ ყიზილბაშთა სიმტკიცე გაბედული დაკვრით სერხემალში გადასტეხა. მოურავი აქამდე მტრის ბანაკში იყო და ძოსაჩვენებლად შაჰის სამსახურზე ვითომც თავს არ ზოგავდა. ქართველ აჯანყებულთა ხმაურობაზე ის, ამხედრებული და იარაღასხმული, ყარჩიხა-ხანის კარავში გამოცხადდა. მოურავის რჩევით სარდალმაც სასწრაფოდ იარაღი აისხა და ცხენზე შეჯდომა დააპირა. მაგრამ როცა ყარჩიხა-ხანმა უზანგში ფეხი შესდო და აღსაჯდომად წამოიწია, სააკაძემ მას ისე მძლავრად ატაკა შუბი, რომ ერთი გვერდიდან მეორეში გაუყარა. ყიზილბაშები ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ სააკაძე მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს ხანის კარავს მიეჭრა და ელვის სისწრაფით ეს ხანიც ყარჩიხა-ხანის გზას გაუყენა. ამ დროს სააკაძის შეილმა ავთანდილმა ყარჩიხა-ხანის ვაჟი გაათავა. სააკაძის მხლებელ ვაჟკაცთა მცირე გუნდი დაბნეულ ყიზილბაშებს თავგამეტებით ეცა. ბანაკი საშინლად აირია. უსარდლოდ დარჩენილ მტერს გარს შემომდგარმა ქართველებმა გულსრულად შეუტიეს. ყიზილბაშები სასტიკად დამარცხდნენ. ვეება ჯარიდან მხოლოდ მეათედმა უშველა თავს გაქცევით. სიმონ-ხანი აღჯაყალას გადიხვეწა. ეს მოხდა იმავე 1623 წელს.

სააკაძემ მტერს მოფიქრების საშუალება არ მისცა, თბილისს თავს დაეცა, ქალაქი აიღო და ციხეში გამაგებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყა.

იმავე დღეს მოურავმა კახეთს გაილაშქრა, იქ შემოსახლებული თურქმანების გასაჟლეტად. მტკვარზე გადასავალს სააკაძე და ზურაბ ერისთავი მიეწივნენ გაქცეულ თურქმანთა ურდოებს. კახეთის მმართველმა ფეიქარ-ხანმა ძლივს

გაასწრო, ოურქმანების დიდი ნაწილი კი ქართველებს ტკვენ ჩაუვარდათ ხელში, მოურავი გამობრუნდა, სწრაფად შეემზადა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნებზე გაილაშქრა. ამ ლაშქრობაში მან დიდძალი ტყვე სელთ იგდო, შემდეგ დაარბია მდიდარი ყარაბაღი და ლტოლვილ ყიზილბაშებს ხუდაფირინის სიდამდე (მდ. არაქსზე) სდია.

აქედან დაელალავი სარდალი კვლავ სწრაფად თბილისს დაბრუნდა. ციხის აღება მაინც ვერ მოხერხდა, სპარსელთა შეიარაღება ცხადად სჯობდა ქართველებისას. თბილისის ზოგიერთი მოქალაქის ღალატმაც საქმე გააძნელა. ამ დროს სააკაძემ ლაშქარი გაგზავნა სამცხეს და ახალციხე ხელიდან გამოგლიჯა ყიზილბაშებს.

ოსმალთა ჯარის სარდალს, რომელიც ამ დროს დიარბექირს იყო და ბაღდადისკენ სალაშქროდ ემზადებოდა, სააკაძემ დახოცილ ყიზილბაშთა დაჭრილი თავებით აუწყა მტერზე გამარჯვება. მოურავი ოსმალებს ამიერკავკასიაში სალაშქროდ ეპატიჟებოდა. მაგრამ ოსმალთა უნიჭო სარდლობამ უეჭველი წარმატება ხელიდან გაუშვა, მოურავის წინადადება არ მიიღო და ამით შაჰ-აბასი უდიდეს სიფათს გადაარჩინა.

მარტყოფის ომის უმალ აჯანყებულებმა თეიმურაზი ნიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს.

შაჰ-აბასმა კარგად შეაფასა მდგომარეობის სერიოზულობა და შესაფერი ღონისძიებაც სწრაფად მიიღო. საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი ჯარის უფროსად მან ისა-ხან ყორჩიბაში დანიშნა. შარვანის ხანსა და აგრეთვე ერევნისა და ადარბადაგანის ბეგლარბეგებს ებრძანათ, რათა თავისი ჯარებით ყორჩიბაშს ხლებოდნენ.

ქართველებმა მტერს თავისი ძალების სრული მობილიზაციით უპასუხეს. მათთანვე მოვიდა ოსმალთაგან გამოძევებული მანუჩარ ათაბაგი მცირე რაზმით. ამ ომში მას უკანასკნელად მოუხდა სმლის მოქნევა ქართველობის დასაცავად. ქართველთა ჯარი ოცი ათასამდე მეომრისაგან შეღგებოდა. ყიზილბაშები მათ რიცხვით დიდად სჭარბობდნენ.

ქართველები კოჯორ-ტაბასმელას იდგნენ, როცა მტერი ალგეთზე მოვიდა და მარაბდის მიდამოებში გაიშალა.

ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ

სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი სვალისად შებას მოითხოვდა, თუ არა და, ბრძოლის ველს მივატოვებთო, იმუქრებოდნენ. საბარათიანოს ფეოდალების საამისო საბუთი ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში“ იდგა და მას აოხრებდა.

ასეთი ვიწრო იყო იმ დროს ქართველი თავადის თვალსაწიერი.

იმავე ღამით ქართველები მარაბდის ველისაკენ დაეშვნენ. რიყრაყზე ომი დაიწყო. მტერმა თოფ-ზარბაზნით შემოუტია, მაგრამ ქართველი მხედრები მსნედ მიექრნენ მტრის მეწინავე რაზმს და გადაქელეს იგი. მხნედ იყვნენ ყიზილბაშებიც, თუმცა ბრძოლა მაინც ქართველთა გამარჯვებით მიდიოდა. ქართველებმა გააპეს მტრის ჯარი და მათი ბანაკი ხელთ იდგეს. ყიზილბაშები თავზარდაცემული გარბოდნენ. ივლისის პაპანაქება შუადღე იყო. ქართველები ომს მოგებულად თვლიდნენ, მაგრამ ყიზილბაშთა მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ თმობდა და გადარჩენილი რაზმებით საქმის გამოსწორებას ცდილობდა. ქართველთა სარდლობა კი მტრის ერთიანად გაწყვეტის გეგმას აწყობდა.

ამ დროს მოუსწრო თავრიზის ბეგლარ-ბეგმა ალარბადაგანის ჯარით. დამხმარე ლაშქრის მოსვლით გამხნევებულმა მტერმა ქართველებს ძლიერად შემოუტია. ამავე დროს მოღალატეებმა ხმა გაავრცელეს: თვით შაჰი მოვიდაო. მეორე მხრით კი შექნეს თავში ცემა: თეიმურაზ მეფე მოკლესო. მოქანცულს ქართველთა ჯარს გული გაუტყდა და პირი იბრუნა. სარდლებმა ჯარი ვერ შეიკავეს. ყიზილბაშები აედევნენ და უწყალოდ ხოცავდნენ უკანდახეულთ. განსაკუთრებით მრავლად დაიღუპა გლეხობა — ომში ის ქვეითად იყო და ბრძოლის ველიდან სწრაფად გაცლის ღონე მას არ ჰქონდა. ცხენოსნების მიერ მიტოვებული გლეხები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ, სანამ უკანასკნელ კაცამდე არ შეაწყდნენ ყიზილბაშ მეთოფეებს. გაქცეულ მხედრებს კი ყიზილბაშებმა კოჯრის ძირამდე სდიეს. მოწინააღმდეგენი საღამოს ბინდმა გაყარა. ეს იყო 1624 წელს.

მარაბდის ომში ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბაში გაწყდა.

თავადთა პოლიტიკური სიბეცე — შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენილობა იყო მარაბდას ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზები.

მეორე დღეს ომი კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა. ქართველების მიზანი მტრის მეჩერება იყო, რომ მოსახლეობას დახიზვნის საშუალება ჰქონოდა.

მეფე თეიმურაზ და გიორგი სააკაძე შიდა ქართლში მოვიდნენ.

§ 74. მარაბდის ომის შემდეგ. სააკაძის დამარცხება

მართალია, მარაბდის ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერიც ისე ძლიერ დაზარალდა, რომ შაჰის დავალებათა შესრულების ღონე მას აღარ შესწევდა.

ქართველები საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდნენ და შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდნენ. ახლა ქართველებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს და პარტიზანულ ომს მიმართეს. ასეთი ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი მოურავი სააკაძე იყო.

დიდი თავგამეტებით იბრძოდნენ ქართველთა მცირე რაზმები. უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ ისინი გზის ვიწროებს, ზეკარებს, ფონებს თუ ხიდებს, რომ მტერი ქვეყნის შიგნით სწრაფად არ შემოჭრილიყო და სასიზარს მიმავალს მშვიდობიან მოსახლეობას არ დარეოდა. გმირებმა ათი დღე შეაკავეს მოზღვავებული მტერი, ყიზილბაშებმა დიდი გაჭირვებითა და ზარალით შეძლეს ბოლოს შიდა ქართლში შემოჭრა, მაგრამ ქვეყანა უკვე დახიზნული იყო და მტერმა ტყვე შედარებით მცირე იშოვა.

მეფე თეიმურაზ იმერეთს გადავიდა, გიორგი სააკაძე კი სამცხეს მივიდა და ოსმალეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა (1624 წ.)

...ისა-ხან ყორჩიბაში დარწმუნდა, რომ თეიმურაზისა და მოურავის ხელში ჩაგდება მას არ შეეძლო. შაჰის მოხელე იმისი მოხარული იყო, რომ ირანის ეს მოსისხარი მტრები

ქართლ-კახეთის გაეცალნენ, თურდაც დროებით. ისა-ხანი ქვეყნის შეშოშტიცებას შეუდგა. ირანის აგენტები გამრავდნენ, ძველ მოღალატე თავადებს დამარცხების შემდეგ სულმოკლესაც შეუმატეს. მტერმა ყველა ამათ წყალობა უყო და ზურგად და იმედად კიზილბაში მეცისოვნეები უჩინა. შაჰის ბრძანებით ქართლის მბრძანებლად ისევ სიმონ-ხანი დასვეს, რომლის დახმარებაც, ყიზილბაშთა ჯარის გარდა, განჯის სანს დაავალეს.

რაკი შაჰ-აბასი გულის წადილს ვერც ახლა ეწია — თეიმურაზი და სააკაძე ხელთ ვერ იგდო — გაბოროტებულმა მოხუცმა შურის ძიების წყურვილი ერთხელ კიდევ მოიკლა უდანაშაულო მძევლების სისხლით: საშინელი ტანჯვით აწამეს თეიმურაზ მეფის დედა ქეთევანი (1624 წ.), თავი ცხედრეს აგრეთვე გიორგი სააკაძის ვაჟს პაატას.

1625 წ. გაზაფხულზე თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე ისევ დაბრუნდნენ და ქედდაუდრეკელ მებრძოლ ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ. მოურავი მხნედ შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მან დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა ქვეყნის საშხედრო და ადმინისტრაციული წესწყობილების გაუმჯობესების მიზნით. ამავე დროს მოურავი თავგამეტებით იბრძოდა ქართლის ციხე-სიმაგრეებში შეყენებული ყიზილბაშებისა და მტრის მხარეზე გადასული მოღალატე თავადების წინააღმდეგ.

სამეფოს შეკიწროებით ესარგებლა და აჯანყებულიყო დვალეთი. სააკაძემ ხმლით გასტეხა აჯანყებულნი და დვალეთი ისევ სამეფოს დაუმორჩილა. შაჰის ძველი აგენტი და ქვეყნის მოღალატე ლორ ის ჩელიქი ახლაც თავადებს გიორგის წინააღმდეგ მოუწოდებდა. სააკაძე მიუსტა ლორეს. მელიქი გადაიხვეწა. ბირთვისის ციხის პატრონი ქაიხოსრო ბარათაშვილი მტერს ემხრობოდა. ბირთვისის ციხეში მას ხუთასი ყიზილბაში მეთოფე ჩაეყენებინა და თავს არხეინად გრძნობდა. სააკაძე მოულოდნელად თავს დაეცა ტბისში ქაიხოსროს სასახლეს, ხელთ იგდო მოღალატე თავადი და აიძულა ის ციხიდან ყიზილბაშები გამოეტყუებინა, სააკაძემ ყველა მათ თავები დააყრევინა, სიღნაღის ციხეში თავისი ხალხი შეაყენა.

ყიზილბაშები შეხუთულები ისხდნენ ციხესიმაგრეებში. სიმონ-ხანი თბილისიდან ველარ გამოდიოდა. არც მის დამ-

სმარე განჯის სანს აღგა მოურავისაგან კარგი ღღე. 1626 წ. სააკაძემ გაილაშქრა განჯას, აიღო და დაარბია იგი. შაჰ-აბასს, უეჭველია, კვლავ განსაკუთრებული ღონისძიებები დასჭირდებოდა, რომ ქართველი ფეოდალების შინაურ შუღლს ის ამ გასაჭირისაგან არ ესხსნა.

გიორგი სააკაძე ამ დროს ქართლის ფაქტიური მმართველი გახდა, ოსმალეთთან თუ სხვა მეზობელ ქვეყნებთან მოლაპარაკებას მოურავი თეიმურაზისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა. საქართველოში სააკაძეს უკვე ქ ა რ თ ლ ი ს მ ო ურ ა ვ ს ეძახდნენ, ხოლო ოსმალეთის ხონთქარი მას „ქართლის მპყრობელ მოურავსანს“ უწოდებდა და „თეიმურაზ-ხანის“ სწორად უყურებდა. თეიმურაზი ხონთქარს მხოლოდ კახეთის მმართველად მიაჩნდა. თეიმურაზ მეფე მოურავის ასეთ განდიდებას ვერ ითმენდა და მას ორგულობას სწამებდა. ამავე დროს შაჰ-აბასი თეიმურაზის შემორიგებას მოხერხებულად ცდილობდა. 1614—1616 წლებში ტყვედ წაყვანილი სალხის დაბრუნებას და აოხრებული კახეთის აშენებას პირდებოდა მას იმ პირობით, რომ მეფე ოსმალეთთან კავშირს შეწყვეტდა. ასეთ ვითარებაში სააკაძის მოქიშპეებმა მეფე და ქართლის მორუავი ერთი მეორეს ადვილად გადაამტერეს.

იმისათვის რათა თეიმურაზს ქარ ულზე ხელი აღღო, სააკაძემ წინ წამოსწია ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე — ქაიხოსრო მუხრანბატონი. ეს ტახტის მემკვიდრე ქართლის მოურავის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ჩქარა ქართლის თავადები ორ ჯგუფად გაიყვნენ: მუხრანბატონი და ქსნის ერისთავი სააკაძეს შერჩნენ, ამილახორი და ზურაბ ერისთავი თეიმურაზს მიემხრნენ. თეიმურაზმა ქართლი დატოვა და კახეთს გადავიდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ისევ დაიშალა.

თეიმურაზსა და სააკაძეს შორის ომი აუცილებელი შეიქნა.

სააკაძემ დახმარებისათვის იმერეთის მეფეს, გიორგის, და ახალციხის ფაშას საფარს მიმართა. საფარ-ფაშაც ოსმალთა სონთქრის ნებართვით სააკაძეს მოეშველა. ოსმალეთის სახელმწიფო კარი სააკაძეს, როგორც შაჰ-აბასის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს, დიდად აფასებდა და თეიმურაზ-სააკაძის ომში სააკაძის გამარჯვებას ირჩევდა.

საფარ-ფაშისა და იმერეთის მეფის ჯარები სააკაძეს მოუვიდნენ. 1626 წელს გვიან შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბასთან (დუშეთის მახლობლად), ომი მოხდა მორავსა და თეიმურაზ მეფეს შორის. სასტიკი ბრძოლა სააკაძის დამარცხებით დამთავრდა.

ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო. მოურავი, ქაისოსრო მუხრან-ბატონი და სხვები ოსმალეთს გაიქცნენ, სტამბოლს მივიდნენ და სონთქრისაგან დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ დახმარება ვერ მიიღეს. 1627 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და აღმოსავლეთი საქართველო ისევ ირანის სამფლობელოდ იქნა ცნობილი.

მომავლის მოლოდინში ემიგრანტები ოსმალეთში დარჩნენ. კარგა ხანს მოურავი ოსმალეთში დიდ პატივში იყო: მას ფაშობა უწყალობეს და სამმართველოდ დიდი ქვეყანა ჩააბარეს. მაგრამ 1629 წელს მოურავსა და მის ორმოც მხლებელს დიდი ვეზირის პრიზნებით თავი მოჰკვეთეს. თვით ოსმალეთში ამ ბოროტმოქმედების მიზეზად დიდი ვეზირის შურსა და მტრობას სთვლიდნენ სააკაძის მიმართ. ასე დაიღუპა ეს დიდი პიროვნება, თავისი დროის უკუღმართობის მსხვერპლი.

ბაზალეთის ომის შემდეგ კასეთი და შიდა ქართლი ისევე თეიმურაზს ეჭირა. თბილისში შაჰის მოხელე სიმონ-ხანი იჯდა, რომელსაც მხოლოდ სომხეთ-საბარათიანო ემორჩილებოდა.

1629 წლის დასაწყისს შაჰ-აბასი გარდაიცვალა და ირან-ოსმალეთის ომიც განახლდა. თეიმურაზ მეფემ ზურაბ ერისთავის დახმარებით სიმონ-ხანი დაღუპა და ქართლი მთლიანად დაიპყრო. ჩქარა თეიმურაზმა ზურაბ ერისთავიც მოაკვლევინა. განდიდებულ არაგვის ერისთავს ზურაბს თეიმურაზის ყმობა ემძიმებოდა და თვითონ აპირებდა ხელმწიფობას. ხევი და მთიულეთი ხომ ქართლის მეფეს მოსტაცა, ახლა იგი თიანეთსა და მუხრანს ეჭიდებოდა და თავისუფალი ფშავ-ხევსურეთის დამონებასაც ცდილობდა.

1631 წ. თეიმურაზი ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა ოსმალეთის დახმარების იმედით. მან იმერთა მეფისა-

გან დამხმარე ჯარი იშოვნა და შეერთებული ლაშქრით განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია.

მეორე მხრით, თეიმურაზმა რუსეთთან ურთიერთობა კვლავ გააბა და მოსკოვის მეფეს მტრის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამის საპასუხოდ ირანის შაჰმა ქართლი სიმონ ხანის ბიძას, როსტომს უწყალობა, კახეთის ხანად კი ყიზილბაში სელიმი დანიშნა. როსტომი დიდი ჯარით გამოისტუმრეს. ქართლის ფეოდალების ერთი ნაწილი როსტომს მოუვიდა, სხვებმა კიდევ თეიმურაზს ყიზილბაშებთან ომი არ ურჩიეს. უჯაროდ დარჩენილი თეიმურაზი მცირე ამალით იმერეთს გადავიდა, ქართლი კი როსტომმა დაიჭირა (1632 წ.). შემდეგ შაჰმა კახეთიც როსტომს მისცა სამმართველოდ.

§ 75. კახეთის აჯანყება 1659 წლისა

თეიმურაზის საქმიანობა სპარსელებს არ ასვენებდა. ამავე დროს არც კახეთში გამოილივნენ თეიმურაზის მომხრეები. განსაკუთრებით შფოთავდა მთიანეთი. კერძოდ, თუშები, ფშავლები და ხევსურები თეიმურაზისადმი თავის ერთგულებას ეფიცებოდნენ მოსკოვის მეფეს ალექსის, მორჩილებას უცხადებდნენ უკანასკნელს და მზად იყვნენ მტერზე სალაშქროდ. ასეთ პირობებში ირანში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა შაჰ-აბასის ძველი გეგმა: კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩასახლება. ამ საქმის შესრულება ეჭვიანმა შაჰმა არ მიანდო როსტომ-ხანს. ამიტომ კახეთი ჩამოართვეს როსტომს და ისევ განჯის ხანს სელიმს გადასცეს (1656 წ.).

სელიმ-ხანი დავალების შესრულებას ენერგიულად შეუდგა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ადარბადაგანიდან მან თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კასეთში. თურქმანებმა დაიჭირეს ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები.

ეს საქმის დასაწყისი იყო. სელიმ-ხანი მთელი შიგნითა და გარე კახეთის ბარი ადგილების თურქმანებით დასახლებას აპირებდა. ამავე დროს დაღესტნელები სასტიკად არბევდნენ და ატყვევებდნენ კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას. სელიმ-ხანი ამ ლეკებში თავის მოკავშირეს ხედავდა. კახეთს

ვადაშერება-მოსპობა ელოდა — თურქმანები მიიელ კახეთს თავის ყოშლაღ-ილაღებად გადაქცევას უპირებდნენ, როგორც ამბობს ხალხი ლექსში:

„ბასტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ასპეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ დავასასლებთ ელსაო".

მაგრამ საფრთხე მხოლოდ კახეთის ბარში მცხოვრებთ როდი უდგა. კახეთის მთიანეთის მოსახლეობა სულითა და ხორცით ბართან იყო დაკავშირებული. კახეთის ბარი მთიანეთის მარჩენალი იყო: ბარის პურითა და ღვინით ირჩენდა თავს მწირი მთის მოსახლეობა; ბარის საზამთრო საძოვრებზე იყო დამოკიდებული მთიანეთის მეცხვარეობა; კახეთის ბარი იყო ის ადგილი, სადაც მთის ჭარბი მოსახლეობა სულ მუდამ ესახლებოდა.

კახეთში მრისხანე აჯანყება მომწიფდა. საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა. მიწა-მამულის დასაცავად, სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად მთელი ქვეყანა წამოიშალა. კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე ზვავად მოსკდა და საშინელი დაკვრით ერთბაშად გასწმინდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან სამშობლო მიწა-წყალი ბასტრიონს, ალავერდს თუ სხვაგან შიგნით კახეთში არც ერთი თურქმანი არ გაუშვიათ. სელიმ-ხანი თავქუდმოგლეჯილი გადაიხვეწა (1659 წ.).

ეს აჯანყება ორ მთავარ მიზანს ისახავდა: კახეთის გაწმენდას ჩამოსახლებული თურქმანებისაგან და ქვეყნის განთავისუფლებას სპარსელთა ბატონობისაგან. პირველი მიზანი უახლოესი იყო. აქ აჯანყების ყველა მონაწილე, თავადი თუ გლეხი, მთიელი თუ ბარელი თანაბრად დაინტერესებული იყო და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა სულ გამარჯვებამდე ყველასათვის უდავო იყო. მეორე მიზანი უფრო შორეული იყო და აჯანყებულთა ფეოდალურ ნაწილში მის შესახებ ეროსულოვნობაც არ არსებობდა.

ხალხის ამ საშინელმა რისხვამ ძლიერად იმოქმედა მტერზე. მტერმა დაინახა, რომ შაჰ-აბასეული გეგმის განხორციელება მას არ შეუძლია. ამიტომაც კახეთის თურქმანებით და-

სასლების გეგმა დროებით უარყვეს. მარცხის გამოსასწორებლად შაჰმა სელიმ-ხანთან საცვლად სხვა მოხელე, მურთაზ-ალი-ხანი, გამოგზავნა დიდი ლაშქრით.

რაკი შაჰმა კახეთში თურქმანების ჩამოსასახლების გეგმა უარყო, ამით აჯანყების ერთი მთავარი მიზანი მიღწეული იყო. ამის შემდეგ მურთაზ-ალი-ხანმა აჯანყებულთა ფეოდალური ნაწილის გათიშვა და დაქსაქსვა ადვილად მოახერხა. აოხრების შუქარითა თუ დაყვავება-მოსყიდვით ხარმა თავის მხარეს გადაიბირა აჯანყების ნაკლებ აქტიური მონაწილენი. თავადები მრავლად გაბრუდგნენ თანამებრძოლებს და შაჰს დამორჩილდნენ.

აჯანყების მთავარი მომწყობი ზაალ არაგვის ერისთავი თავისი მომხრეებით დამორჩილებას არ ფიქრობდა. მაგრამ ზაალისა და მისი მომხრეების საქმე ცუდად წავიდა. 1658 წელს ქართლში როსტომი გარდაიცვალა და. მისი ადგილი ვახტანგ მუხრან-ბატონმა დაიჭირა. ზაალი და ვახტანგი ერთმანეთს მტრობდნენ და ერისთავი მუხრანბატონის მეფობას არ ცნობდა. 1661 წელს შაჰ-ნავაზმა (ეს იყო ვახტანგის თათრული სახელი) ზაალი დაღუპა — არაგვის ერისთავი მისმავე ძმისწულებმა მოჰკლეს. ერთს მათგანს, ოთარს, შაჰ-ნავაზმა არაგვის ერისთავობა უწყალობა. ზაალის სიკვდილის შემდეგ მისი თანამებრძოლები გატყდნენ. შალვა ქსნის ერისთავი, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი ეახლნენ ირანის შაჰს და დანამუსის შერდობა ითხოვეს. შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ურდოებს გადასცა, რომელთა მეტომეები აჯანყებულმა კახელებმა გაჟლიტეს 1659 წელს. თურქმანებმა აჯანყების ეს სამივე მეთაური დახოცეს.

§ 76. დასავლეთ საქართველო მე-17 საუკუნეში

მე-16 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ოსმალეთი უტევდა. ქვეყნის შიგნით ფეოდალური შუღლი მეფობდა. სამეგრელოსა და გურიის მთავრები — დადიანი და გურიელი ხშირად იმერეთის მეფის წინააღმდეგ ოსმალთა ძალას ეყრდნობოდნენ. გავრცელდა მაჩინჯი მოვლენა „ტყვის-სყიდვა“ — ადგილობრივი კაცის უცხოეთში გაყიდვა.

მე-17 საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთი საქართველო ასევე თანდათანი დაცემის გზით მიდიოდა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი დაშლა აღნიშნულ საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა. გაიზარდა სამთავროების განცალკევება და განკერძოება. სამთავროთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიში (სამეგრელო), რომლის მთავარი ლევან მეორე დადიანი (1611—1657), ხელმწიფობას იჩემებდა და თავისი სელმწიფობის ქვეშ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასაც ლამობდა. სამეფო-სამთავროებს შორის უკვე გამუდმებული ომები იყო. ეს ფეოდალური ომები გამარჯვებულს იმდენად არ აძლიერებდა, რამდენადაც დამარცხებულს ანადგურებდა. საბოლოოდ კი, ქვეყნის მეურნეობა სასტიკად ეცემოდა და პოლიტიკურად ყველა სუსტდებოდა.

ფეოდალურად დაშლილ-დასუსტებულ სამეფო-სამთავროებს მტერი სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზთა მთავარმა, გურიელმა და დადიანმა, ხოლო უფრო გვიან იმერეთის მეფემაც, იკისრეს ოსმალთა ყოველწლიური ხარკი. ოსმალთა სარკი ცალკეულ სამეფო-სამთავროებში სხვადასხვა იყო. მაგრამ ყველასათვის საერთო ის იყო, რომ ეს ხარკი თანდათან იზრდებოდა. ოსმალთა გაბატონებას თვით ფეოდალები უწყობდნენ ხელს. მე-17 საუკუნის სიგრძეზე ოსმალთა ჯარი არაერთხელ შემოსულა დასავლეთ საქართველოს მთავრების ან სხვა თავადების ხელისშეწყობით. მეზობლის მიერ მიმძლავრებული მთავრების ან თავადის მოწვევით თურქები გადმოდიოდნენ დასავლეთ საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს აღადგენდნენ“ ხოლმე.

მე-17 საუკუნის 60-იან წლებიდან მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა აშლილობამ მოიცვა. მეფისა თუ მთავრების ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა და ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა. დადიანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილი თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა ცვლიდნენ ერთიმეორეს სამეფო ტასტზე.

თავადებმა მიიტაცეს და გაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-მოურავებმა ხელმწიფობა დაიჩემეს. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებ-

დნენ საეკლესიო მამულებს, საერო ფეოდალებმა მიითვისეს საკათალიკოსო სოფლები.

ბოლომოუღებელი ურთიერთდავდასხმები საქსებით აჩანაგებდა მშრომელ მოსახლეობას. მძვინვარებდა გამანადგურებელი ტყვის სყიდვა. ტყვის მსყიდველთა ბრბოებმა მოიცვეს არა მარტო განაპირა ადგილები, არამედ შიგნითა რაიონებიც. ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივად თავადები იყვნენ, მაგრამ ამ ველურ საქმეში თანდათან საზოგადოების სხვა წრის სალხიც გაერია. მე-17 საუკუნეში, საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში საშიშარი ხასიათი მიიღო.

ქვეყანაში გაუკითხაობა მეფობდა. გლეხი სავსებით ბატონის ანაბარა გახდა და საბატონყმო ურთიერთობა ყოვლად აუტანელი შეიქნა. გამხეცებული ბატონისაგან გლეხი თავს იცავდა, რითაც და როგორც შეეძლო, მაგრამ ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყანაში გლეხობა დაურაზმავი და გაუერთიანებელი იყო, მისი საერთო გამოსვლა არ ხერხდებოდა. დაქსაქსულად იბრძოდნენ ცალკეული გლეხები, ან ცალკეული მებატონის ყმები, ერთი კატეგორიის გლეხები ან კიდევ ცალკე სოფლები. აუტანელ პირობებში მოქცეულ გლეხობას მეურნეობის სალისი აღარა ჰქონდა და ქვეყანა უფრო და უფრო ღარიბდებოდა. სიღატაკეს ხშირი შიმშილობა თანსდევდა. შიმშილობას ჭირი მოჰყვებოდა ხოლმე და ყველაფერი ეს ერთად ქვეყანას ავერანებდა.

ბუნებრივია, გლეხობა, ვისაც კი ამის შეძლება ჰქონდა, გარბოდა თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან. გაქცეულები ესახლებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ დროს შედარებით, წესიერება სუფევდა.

მე-17 საუკუნეში, ამ მიზეზით, მოსახლეობის რიცხვი დასავლეთ საქართველოში ერთიორად შემცირდა. თანდათან ძლიერდებოდა უცხოელ დამპყრობელთა გავლენაც იმერეთის სამეფოში. მე-17 საუკუნის 70-იან წლებში იმერელმა თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. ამით გარეშე მტერმა ქვეყნის შუაგულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა.

§ 77. კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

მე-17 საუკუნის მესამე მეოთხედში კახეთი შესამჩნევად მოშენდა. საგარეო მშვიდობა იყო. მმართველებმა (როსტომი, არჩილი) შეძლეს ლეკთა თავდასხმის ალაგმვა და ქვეყნის შიგნითაც შედარებით წესიერების დაცვა. ეს პირობა კი საკმაო აღმოჩნდა, რომ ხიზან-ბოგანო გლესები საქართველოს თუ სომხეთის სხვადასხვა კუთხიდან მრავლად მისულიყვნენ ამ ბუნებით მდიდარ მხარეში.

1677 წლიდან ამ საუკუნის დასასრულამდე ირანის შაჰი კახეთს სამმართველოდ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან ცალკე ხანებს აძლევდა. შაჰის ეს ყიზილბაში მოხელეები მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მოძრავლებას და ამ ქვეყნის თურქმანებით დასახლების ცდებს განაგრძობდნენ.

ხანების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო რომ მათ საკმაო დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერც ერთ ფენაში, მათი წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები (თავადები, ეკლესია) და სოფლის მშრომელი მოსახლეობა — გლეხკაცობა, თავისუფალი მთიელები. ამიტომაც სანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამსედრო ძალასა და მოახალშენე თურქმანებს ემყარებოდნენ. შაჰის ეს მოხელეები მეზობელ ლეკებშიაც თავის მოკავშირეს ხედავდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ჭარში — და არც ლეკთა იმ რაზმების წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომელნიც კახეთის სოფლების სარბევად განუწყვეტლივ მოდიოდნენ. ჭარში ლეკები ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაჩნდნენ. აქ ისინი კახთა მეფეების ნებართვით მათ ყმებად სსდებოდნენ. მე-17 საუკუნიდან, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ. ლეკების ჭარში ჩამოსვლა განსაკუთრებით. გაძლიერდა. აქ ამოწყვეტილი ან ირანში გადარეკილი კახური მოსახლეობის ადგილს დაღესტნიდან გადმოსახლებულნი იჭერდნენ. ყიზილბაში ხანებისავე მფარველობით ჭარი ჩქარა გაძლიერდა და ახლობელი სოფლების დაპყრობას ხელი მიჰყო. ამავე დროს ჭარი კახეთის მარბიელ ლეკთა სადგურადაც იქცა. მე-17 საუკუნის მანძილზე თანდათან ჩამოყალიბდა ჭარის, ბელაქნისა და თალას „უბატონო თემები", კიდევ უფრო გაძლიერდა ლეკთა

შემოტევა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. დაღესტნელები ჭარელებთან ერთად მუდამ ღე არბევდნენ კახეთის სოფლებს.

კახეთის რბევას ლეკებს ზოგიერთი მკვიდრიც უალვილებდა, ისედაც სდებოდა, რომ კახელ თავადს მოჰყავდა ლეკი მარბიელები თავისი მოქიშპე თავადის წინააღმდეგ. ზოგჯერ კიდევ მებატონეების მძარცველობით თავმობეზრებული გლეხებიც მიდიოდნენ ლეკებთან და მებატონის ავლადიდებას არბევინებდნენ მათ. კახეთის გაღმა მხარში ფესის მოკიდების მიზნით ჭარელები კახელ გლეხებს კავშირს სთავაზობდნენ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

თავი VI

საქართველო მე-18 საუკუნეში

§ 78. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა

მე-18 საუკუნის პირველ წლებში ქართლის სამეფო ტახტზე ერეკლე პირველი ვახტანგ მეექვსემ შეცვალა.

ვახტანგის მოღვაწეობა მრავალფეროვანი და მეტად შინაარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს.

საქმე ერეკლე პირველის დროს „შეშლილი", ესე იგი, შეცვლილი წესების აღდგენით დაიწყო. უპირველეს ყოვლისა ერეკლეს მომხრენი გადააყენეს. ერეკლეს მიერ დასჯილ თავადებს „უბრალოდ წართმეული" ყმა მამულები უკან დაუბრუნეს.

შემდგომი ღონისძიება დარღვეული საეკლესიო სამართლის აღდგენა იყო. ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათალიკოსად ვახტანგის ძმა დომენტი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა. ამას მალე მცხეთის ეკლესიის მემამულეობის აღდგენა მოჰყვა. თავადებს საეკლესიო ყმა მამული ბლომად ჰქონდათ მიტაცებული. 1707 წელს დომენტი კათალიკოსმა შაჰის ბრძანებით თავადებს მინატაცები უკან დააბრუნებინა.

1707 წელს შაჰმა ისეა დაროო ვახტანგსა და ქართლის თავადებს უკან მოეყვანათ ერეკლეს დროს ქართლიდან კახეთს გახიზნული ყმები. არც კახეთის მმართველსა და არც კახ ფეოდალებს გაქცეულ გლეხთა დაბრუნება არ სურდათ. კიდევ უფრო ნაკლებ ეხალისებოდათ თვით გლეხებს თავის

ძველ გულქვა მებატონეებთან დაბრუნება. საჭირო გახდა შაჰის მხრიო საგანგებო ღონისძიება, რომ კახი თავადები ქართლელ სიწყნებს შელეოდნენ. შეიქმნა „მყრელობა“, როგორც მაშინ ამბობდნენ. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მოედგნენ კასეთს თავისი გლეხების ასაყრელად. მიუხედავად ამისა, ყველა გლეხის დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. ხიზნები სარგებლობდნენ იმით, რომ თითოეული მებატონე ცალკე დაეძებდა თავის გლეხებს და თავს იცავდნენ: სუსტ მებატონეებს არ ნებდებოდნენ და იარაღით ხელში უმკლავდებოდნენ, ძლიერებს გაურბოდნენ, ემალებოდნენ. გაქცეულებს კასელი გლეხები და მთიელები იფარებდნენ.

ამავე ხანებში ვახტანგის კარზე **საკანონმდებლო მუშაობა** იყო გაჩაღებული.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს გააჩენდა, ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომსური) სამართლის წიგნები და ერთ კრებულად შეჰკრა ისინი. ამ კრებულს შემდეგ მან საკუთარი „სჯულიც“ დაურთო.

თავისი სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ესე იგი საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა. რა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ამ საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გავრცელდა და ჩქარა მთელს ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა.

ვახტანგის მოღვაწეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი — დასტურლამალი. დასტურლამალი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო საშუალო საუკუნეებში.

ამრიგად, ამიერიდან სასელმწიფო და კერძო წერილობითი სამართალი კვლავ მტკიცედ მოწესრიგდა.

ქართლი ვახტანგის დროს **ეკონომიკურად** კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრით ენერგიულად მუშაობდა. მან ხელასლა დაასახლა გლეხები დიდი სნის წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუნავდა გზებისა და სიღების მოვ-

ლა-შესასვლაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ყულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები.

ძველი არხების ეს განახლება დიდძალიშრომიანი საქმე იყო. გამოვლილ ჟამთასიავეში შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ ადგილს უთმობდა უფრო მაღალსა და შემოსავლიან მეურნეობას, ველსა და ტყეს — ბაღ-ვენახი, სოლო მოითაბარე ურდოს კვლავ სოფელი და ქალაქი სცვლიდა.

სარწყავად ქცეულს მდიდარ ჭალებში ვახტანგს ბლომად მოჰყავდა ბამბა და თუთისს აშენებდა. მეაბრეშუმეობასა და ბამბის კულტურაზე ნაკლებ ყურადღებას არ აქცევდა ის მეურნეობის სხვა დარგებსაც: მევენახეობას, მემინდვრეობას (ხორბლეულის კულტურას), მესაქონლეობას.

მე-17 საუკუნის დამლევსა და მე-18 საუკუნის დამდეგს ასეთი ცხოველი სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ მეფის სასლს არ ასასიათებდა. ეს სამეურნეო აღმავლობა მთელ ქართლს დაეტყო.

ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს ქალაქში ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარ-ხელოსნები მრავალ „რიგად“ იყოფოდნენ. თითოეული „რიგი“ ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭლეულს; ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენაქლემის მოკაზმულობას. ვაჭრობდნენ პურს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაუდს, ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანსა და სანოვაგეს. კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ. ირანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბეწვეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ გაჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიაც მიჰქონდათ.

შემოჰქონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდიოდა ევროპული საქონელიც, რომელსაც მაშინ „ფრანგული“ ეწო-

დებოდა. თბილისში ამ დროს გარედან სანოვაგეც შემოდიოდა. თევზი და სიზილალა — შარვანის სასარდან, თევზი და მარილი — ერევნის სახანოდან, ზეითუნის ზეთი — ოსმალეთიდან და სხვა.

ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს დიდად წინ უსწრებდა.

ამ სამეურნეო წინსვლის შესაბამისი იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის დარგში. ვახტანგი ამ საქმეში მარტო არ იყო, მას მხარს უჭერდა კულტურულ მოღვაწეთა მთელი დასი.

კულტურის დარგში ვახტანგის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტამბის დაარსება. 1709 წელს თბილისში პირველად მოეწყო სტამბა. ეს მეტად დიდი კულტურული საქმე იყო. მანამდე წიგნი მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასე დამზადებული წიგნი ცოტა იყო და ძვირიც ღირდა. სტამბა წიგნს ადვილად ამრავლებდა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა. ვახტანგის სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით მალე საერო სასიათის წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ბეჭდავდნენ „ვეფხისტყაოსანს“, სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს.

ვახტანგმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის დამუშავებასაც. ამ მიზნით ვახტანგმა შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ეს რთული საქმე, — შეადგინა საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე.

ვახტანგის სკოლაში მიიღო აღზრდა და ამავე ხანაში დაიწყო მოღვაწეობა ქართული საისტორიო მწერლობის დიდმა წარმომადგენელმა, ვასუშტი ბატონიშვილმა, რომელიც ვახტანგის შვილი იყო.

ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და სამარიელიანად მის სიამაყეს წარმოადგენდა ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი — დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი,

სახელგანთქმული იგავების მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. საბა-სულხანის მიერ შედგენილი ქართული ენის ლექსიკონი დღესაც ჩვენთვის დიდი საუნჯეა.

თვითონ ვახტანგიც მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის მარტო პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ გვერდში ედგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი. ვახტანგის წრის ღირსეული თანამშრომლები იყვნენ ავრეთვე მთელი გუსდი სხვა მეცნიერ-მწიგნობრები და პოეტები.

ვახტანგის ხანის უმცროს თაობას ეკუთვნის დავით გურგიჯვილი (დაიბადა 1705 წელს), ფეოდალური ხანის ერთ-ერთი უღიდესი პოეტთაგანი.

დავითი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა ქართლ-კახეთს მძიმე დღეები გაუთენა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე სამი დიდი მეტოქის — რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის ურთიერთშორის დატაკებამ. დავითი მოწმე იყო სამშობლო ქვეყნის ოსმალთა მიერ აოხრებისა. თავისი ქვეყნის ეს უბედობა მან პირადადაც მწარედ იგემა. პოეტი ლეკმა აბრაგებმა დაატყვევეს და დაღესტანს წაიყვანეს. დავითი ტყვეობიდან გაიქცა და რუსეთს გადავიდა, სადაც ის სამშობლოდან გადასვეწილ ქართველებს შეუერთდა და მათი ბედი გაიზიარა. უცხოობაში დარჩენილმა პოეტმა, მხურვალე პატრიოტმა დავით გურამიშვილმა მუქი ფერებით დახატა მისი დროის საქართველოს თავს დატეხილი პოლიტიკური უბედურება და სწორად და პირუთვნელად აღნიშნა ამ უბედურების უმთავრესი მიზეზები.

განსაკუთრებით მოსახსენებელია არჩილის მოღვაწეობა, რომელიც წინ უსწრებდა „ვახტანგის სკოლას“.

არჩილის პოეზია იდეურობის ნიმუშია. დამპყრობელთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენასაც ებრძოდა. არჩილის პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა. არჩილი აკვირდება საქართველოს მარცხის მიზეზს და სამართლიანად ხედავს მას ქვეყნის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ვითარებაში. არჩილი პირველი მწერა-

ლია საქართველოში, რომელმაც საზოგადოებრივი საკითხები წამოაყენა ქართულ პოეზიაში „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ", — აცხადებს პოეტი და მართლაც დაურიდებლად ამხელს აღვირახსნილ თავადებს, უგუნურ მეფეებს. არჩილია პირველმა სთქვა: „თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა". არჩილი კარგად სედავდა, რომ გლეხთა ამოწყვეტის მიზეზი ფეოდალების ძალადობა იყო. არჩილი ფეოდალებს ლმობიერება-წესიერებისაკენ მოუწოდებდა. ასეთ განწყობილებამდე არჩილი გლეხთა ინტერესს არ მიუყვანია, არჩილი ფეოდალი (მეფე) პოეტი იყო. გლეხთა გამოსარჩლებამდე იგი ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესმა მიიყვანა. ამიტომაცაა რომ ის გლეხებს ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ფეოდალების მიმართ გამოთქმული საყვედურითა და რჩევით კმაყოფილდება. იმ დროის მწერლობაში ესეც დიდი ამბავი იყო.

თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ვახტანგი მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. ამ ნიადაგზე ჩქარა დაიბადა უკმაყოფილება. თავადები ვერ ითმენდნენ იმ მცირე შეზღუდვასაც კი, რომელსაც მათ ახალი წესები უქმნიდა, და მტრული უნდობლობით უყურებდნენ მეფის გაძლიერებას. დიდ თავადებს განსაკუთრებით აფიქრებდა, რომ ვახტანგმა „მცველთა ჯარი" გაიჩინა. მცველთა ჯარი ჯამაგირზე იყო და ვახტანგის ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შედგებოდა. ეს ჯარი მეთოფეთა სამ გუნდად იყოფოდა, თითო გუნდს უზბაში (ასისთავი) სარდლობდა, ყველას ერთად— მეფის ყულარაღასი. მცველთა ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება ჰქონდა და განუყრელად ახლდა ვახტანგს.

ვახტანგის უკმაყოფილო მხოლოდ ზოგიერთი თავადი როდი იყო. ის არც ქართლის ყიზილბაშ მეცისოვნეებს მოსწონდათ. ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში ტყვის სყიდვა, რომელიც ერეკლე პირველის დროიდან ყიზილბაშში მეცისოვნეების დიდი შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლში კვლავ გაცოცხლდა ძველი მიდრეკილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საქმეებში ჩარევისა და მუდმივი ზეგავლენისადმი. ქართლის სამეფო კარი დაჟინებით ცდილობდა

საქართველოს ფეოდალურ ძალთა შეკავშირებას, საქართველოს სამეფოს — სამთავროების მეთაურობას.

ვახტანგი ირანს გაემგზავრა, მას შაჰისაგან ქართლის მეფობა უნდა მიეღო. ამოქმედდნენ ვახტანგის მტრებიც: ზოგიერთი თავადი ქსნისა და არაგვის ერისთავების მეთაურობით, ტყვით მოვაჭრე გადაკვარებული ფეოდალები, ყველა მტაცებელი და ყიზილბაშში ჰეციხოვნეები. შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ ვახტანგი უარზე დადგა. მაშინ შაჰმა ქართლის ჰეფენ მაჰმადიანი იესე, ვახტანგის ძმა, დანიშნა, ხოლო ვახტანგი ირანს დარჩა ნახევრად პატიმარი (1714 წ.).

ქართლის ფეოდალების მოწინავე ნაწილი ვახტანგს ეხმარებოდა და მის დასხნას ცდილობდა. ჯერ კიდევ 1713 წელს ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრა მეცნიერი ბერი საბა-სულხან ორბელიანი.

საბა ორბელიანი ეწვია რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის მეფეს ლუი მეთოთხმეტეს და 20 ათასი თუმანი სთხოვა მას. ამ ფულით, იმედი ჰქონდათ, ყაენის კარს მოქრთამავდნენ და ვახტანგს ქრისტიანობაში ქართლის მეფობას აშოვნინებდნენ, ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ სელცარიელი გამოისტუმრეს. ამ გარემოებამ მწარედ გაუცრუა ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპის იმედები.

ასლა ვახტანგის მომხრეებმა ისევ ნაცად გზას მიმართეს და დაჟინებით ურჩევდნენ ვახტანგს მაჰმადიანობის მიღებას. ამასობაში იესე სასტიკად ავიწროვებდა ქართლში ვახტანგის მომხრეებს.

1716 წელს ვახტანგმა დასთმო, მიიღო მაჰმადიანობა და შაჰმაც მისცა მას ქართლი. მაინც 1719 წლამდე ვახტანგი ირანს დარჩა ყაენის სამსახურში, ქართლს კი მისი ძე ბაქარი მართავდა. 1719 წელს ვახტანგი დაბრუნდა სამშობლოში და თავისი უბედურად შეწყვეტილი სასარგებლო სახელმწიფო მოღვაწეობა განაახლა.

§ 79. ვახტანგ მეექვსისა და პეტრე პირველის ურთიერთობა

მე-18 საუკუნის მეორე ოცეულში ძველი ამბავი დატრიალდა ერასულ კიდევ: ოსმალეთი, რუსეთი და ირანი კვლავ ერთმანეთს წაეკიდნენ ახლო აღმოსავლეთში. თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა ახლა სულ სხვა იყო, ვიდრე ასი წლის წინ. შედეგებიც მათთვის ახლა სხვა მოჰყვა ამ ჭიდილს, უცვლელი მხოლოდ ერთი რამ დარჩა: მთელი ბრძოლა ასლაც უმთავრესად ამიერკავკასიაში გათამაშდა და აქაური ხალხებისათვის ისეთივე მძიმე შედეგებით, როგორიც იყო შაჰ-აბასის დროინდელი სისხლიანი კატასტროფა.

ირანში უნებური ყოფნისას ვახტანგი საბოლოოდ დარწმუნდა ამ სახელმწიფოს უიმედო სისუსტეში. ქართლის მეფე სედავდა, რომ საქართველოს განთავისუფლების ჟამი მოახლოვებულიყო. ვახტანგი ფრთხილად ემზადებოდა, მომხრე-მოკავშირეებს ეძებდა და საქმის დაწყებას აპირებდა. მაგრამ ირანის დასუსტებას ამჩნევდნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოებიც, ოსმალეთი და რუსეთი, რომელნიც მოსალოდნელი მემკვიდრეობის გასაყოფად ემზადებოდნენ და ეჭვის თვალით ერთი მეორეს მტრულად ზვერავდნენ.

რუსეთიცა და ოსმალეთიც ირანის მიერ დაპყრობილ ხალხებში მომხრეებს ეძებდნენ. ოსმალეთმა კავკასიაში შარვან-დაღესტნის „მფარველობა“ დაიჩემა. პეტრე პირველმა კი ჯერ კიდევ 1720 წელს გააბა კავკასიის ქრისტიან სალხებთან დიპლომატიური მოლაპარაკება. რუსეთის მეფე ქართლის მეფეს თავის მხარეზე მოუწოდებდა და „ურწმუნოთა“ მონობისაგან განთავისუფლების იმედს აძლევდა.

ვახტანგ მეფეს სინამდვილედ ესახებოდა საოცნებო მდგომარეობა, როცა დიდი სახელმწიფოს დასმარებით ირანის მონობისაგან განთავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ ძალით ჩამოგლეჯილ სამცხე-საათაბაგოს უკან დაიბრუნებდა.

15 ივნისს 1722 წელს პეტრე პირველმა ირანს ლაშქრობის შესახებ მანიფესტი გამოაქვეყნა.

როგორც კი პეტრე თერგიდან დარუბანდისაკენ წამოვიდა, ვახტანგ მეფე ქართლის ჯარით განჯას ჩავიდა და შარვანს

ხელმწიფის მოვლას ელოდა. პაემნის თანასწორად რუსთა და ქართველთა ჯარები ერთიმეორეს იქ უსდა შეყროდნენ.

ვახტანგი სამ თვეს იდგა განჯაში. ბოლოს, ნოემბერში, ვახტანგს მოუვიდა რუსეთის მეფის ელჩი, რომელმაც პეტრეს ლაშქრობის მოშლა და მისი მომავალი წლისათვის გადადება აცნობა.

მეჭიდრე ვახტანგი განჯიდან თბილისს დაბრუნდა. ქართლის მეფის საქმე მეტად გართულდა: ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს ორგულობასა და ღალატს აბრალებდა; არც ოსმალეთი იყო ვახტანგის მადლიერი, — სონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას უსაყვედურებდა, თავის მხარეზე მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდა.

ვახტანგი, რუსეთის მეფის აღთქმას მინდობილი, საქართველოს ეანთავისუფლების იმედს არ ჰკარგავდა. იგი მტრებთან მოლაპარაკებით და მოსაჩვენარი მორჩილებით დროის მოგებას ცდილობდა და მომავალი გაზაფხულისათვის შარვანში პეტრეს გამოსვლას ელოდა.

ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო, განრისხებულმა შაჰმა „ორგულ ყმას" ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს კონსტანტინეს გადასცა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო იმედის გაცრუება რუსთა მეფის დახმარებაზე. ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი ეაინაწილეს: სონთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთის საკუთრებად იცნო, პეტრემ კი სამაგიეროდ ოსმალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთი საქართველოც მიათვალეს.

1723 წლის ზაფხულზე კახეთის მმართველმა კონსტანტინემ ლეკთა დიდი ჯარი დაიქირავა და თბილისს თავს დაესხა. ლეკებმა თბილისი აიღეს და ისე სასტიკად გაძარცვეს და ააოხრეს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველ კეთილდღეობას ვეღარ დაუბრუნდა. ვახტანგი შიდა ქართლში დადგა, კონსტანტინემ კი ქალაქი დაიჭირა. ამავე დროს ოსმალთა ჯარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ დაიძრა. 1723 წელს ივნისში ოსმალთა ჯარმა თბილისი უომრად აიღო.

რაკი ქვეყანა სელთ იგდო, დამპყრობელმა ქართლში ეკ-

უობის გაუქმებასა და ოსმალური წესწყობილების შემოღებას შეუდგა.

ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა და არც რუსეთს წასვლის გარდა სხვა გზა გააჩნდა. 15 ივლისს 1724 წელს ვახტანგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოღვაწეებითა და დიდი ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა. მეფე, მისი აზრით, ქართლიდან დროებით მიდიოდა და ჩქარა საქართველოს განსათავისუფლებლად რუსეთის ჯარით დაბრუნდებოდა, ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი.

ქართლში ამის შემდეგ ერთხანს ოსმალები ბატასობდნენ, მერე კი აქ ისევ ირანი გაბატონდა. 1744 წელს ქართლში თეიმურაზ II (ერეკლე I-ის ძე), ხოლო კახეთში მისი ვაჟი ერეკლე II გამეფდნენ.

§ 80. ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში

XVIII ს. პირველ მესამედში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში (მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვის სათავეები). ეს მოვლენა საკმაოდ დიდხნოვანი ისტორიული პროცესის შედეგი იყო.

იმიერკავკასიის ველებსა და მთებში მცხოვრებ ოსებს საქართველოსთან იმთავითვე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ; უკვე XIII საუკუნეში, ორი მონგოლური სახელმწიფოს — „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში საკმაოდ დიდხანს და საგრძნობი რაოდენობით იყვნენ დარუბანდის გზით აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ.

მონგოლები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში იძულებით იყენებდნენ დამორჩილებული ქვეყნების მეომრებს და მათ შორის განსხეთქილებას თესდნენ. XIV ს. დამდეგს საქართველო მონგოლი დაპყრობლებისაგან გაიწმინდა. ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართლიდან ოსებიც „განასხნეს“ ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ოსთა კომპაქტური მასები დიდხანს არ იხსენიებიან.

ქართლის მთიანეთში, თანამედროვე „სამხრეთ ოსეთის“ რაიონებში, ოსური კომპაქტური მოსახლეობა წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, XVI—XVIII საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონებში თავისებური სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, მიგრაციული მოვლენებისათვის ხელისშემწყობი ვითარება შეიქმნა

ოსთა გადმოსახლებას ქართლში რა თქმა უნდა, თავისი არსებითი მიზეზი ჰქონდა. დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში შემოიხიზნა. იქ მათი არსებობის პირობები მეტად არასელსაყრელი იყო. მწირი მთა და სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე მათი მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა.

სარჩო — საბადებლის მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას, ხშირად კი აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა საგარეო მტრების შემოსევათა შედეგად ძალზე შემცირებული იყო ან კიდევ ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით დაბლობისაკენ ინაცვლებდა.

ოსური ახალშენების წარმოქმნას ქართლის მთიანეთში XVI საუკუნეში უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ დათარიღებას რამდენადმე მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებულ წერილობით წყაროებში ოსთა მეტ-ნაკლებად შესამჩნევი დასახლება — 200-მდე სული—XVII ს. დამდეგისათვის ჩანს. ამის შესახებ გადმოგვცემს საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ. ი. ტატიშჩევი (1604—1615).

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის XVII ს. მიწურულის თუ XVIII ს. დამდეგის თხზულება — ბესარიონ ქართლის კათალიკოსის (გარდ. 1735 წ.). „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა“. ავტორი ახასიათებს ლუარსაბის წამების პერიოდს (1622 წ.), როცა საქართველო უაღრესად რთულ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფებოდა და ამასთან დაკავშირებით ახასიათებს ქართლის ჩრდილოეთის საზღვრებთან შექმნილ ვითარებასაც. იგი იხსენიებს „მახლობელთა ჩუენთა მთიულთა

ოსთა", რომლებიც „დამკვიდრებულ იყვნენ მასლობელად ჩუენსა". ამავე წყაროდან მოჩანს, რომ ოსები ებრძოლნენ მიწებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და ამდენად უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ეს ცნობა ეხმაურება ტატიშჩევის ზემოაღნიშნულ გადმოცემას და ქართლში ოსური ასალშენების წარმოქმნას ადასტურებს. XVI ს. I ნახევარს განეკუთვნება აგრეთვე ერთი ნასყიდობის სიგელიც, საიდანაც ჩანს, რომ სოფელ ზემო ჯავის მოსახლეობა ამოწყვეტილა. შემდეგში ეს სოფელი მაჩაბლებს ოსებით დაუსახლებიათ. გასაგებია, რომ ფეოდალი, დაცარიელებული სოფლების დასახლებით დაინტერესებული, ოსებს სიზნობა-ყმობის წესით სვამდა თავის მიწებზე.

დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ვრცელდებიან სამხრეთისაკენ, გადადიან მდინარეების: მც. ლიახვისა და ქსნის ვიწროებში. ვახუშტის ცნობილი აღწერილობის მისედვით, XVIII ს. პირველ ათეულ წლებში მათ უკვე უკავიათ მიწები სოფ. გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ მის სათავეებამდე, გერის სეობა, ვანათს რომ ეკვრის, მც. ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე); ოსთა ცალკეული დასასლებანი ჩანან ჭურთას, ისროლის-ხევის, ქოლოთ-ქვითკირის სეობებში და სხვ. ამავე დროს ნაწილობრივ უკავიათ ოსებს კუდაროც. როგორც ჩანს, ქსნის სათავეებში მათ შეაღწიეს შედარებით უფრო გვიან, ვიდრე მც. ლიახვის სათავეებში. ვახუშტის რუკის მიხედვით, XVIII ს. 30-იან წლებში ოსურ ასალშენებს უკვე ეკავათ დვალეთი (ნარმამისონის ქვაბული), ჯეჯორის, ლიახვისა და ქსნის სათავეები. აღნიშნული რაიონების რიგ სოფლებში ოსები ადგილობრივ მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან შერევით ცხოვრობდნენ, ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ ქართველთა განვითარებულ სამეურნეო და სამწერლობო კულტურას.

ჩამოსახლებული ოსები, როგორც წესი, ქართულ ქრისტიანულ სარწმუნოებას იღებდნენ და ამ გზით, ქართველთა მსარდამსარ, აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ერთობისა და მეგობრობის შეგნება ორი ხალხის წარმომადგენლებს შორის.

ოს მოახალშენეთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა

XVIII ს. 40—50-იანი წლებიდან. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ნათლად იგრძნობოდა ცვლილებები ქართლის მთიანეთის ახალმოსახლეთა ცხოვრებაში. თანდათანობით გამოვიდნენ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ასპარეზზე ოსი ხალხის შვილები. ქართული ასოების საფუძველზე მუშავდებოდა ოსური ანბანი. არა მარტო ქართლის, არამედ კავკასიონსგადაღმელი ოსების კულტურული ცხოვრება მჭიდროდ ქართველ მოღვაწეთა გულისხმიერი ზრუნველობის ობიექტი გახდა.

§ 81. ლეკიანობა მე-18 საუკუნის საქართველოში

ლეკები ქართველებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ. ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ქვეყნის დასაპყრობად არ მოდიოდნენ, მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწრაფდებოდნენ. ქართველებთან დიდ ბრძოლებში ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ ხოლმე.

მთებიდან ჩამოსვლის უმალ ლეკები წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად და ასეთი სადგომებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ. სამოქმედოდ ლეკები სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გასულიყო. სვნა-თესვის, მკისა თუ რთველის დროს მოედებოდნენ ლეკები მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა; ადამიანები, ოხრფეხი საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ამავე დროს მიუსტებოდნენ უკაცოდ დარჩენილ სოფლებს და მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს. ნაშოვნით დატვირთულები, ლეკები ტყის ბილიკებითა და უგზო ველებით ბრუნდებოდნენ დაღესტანში. მიდიოდნენ ღამით, დღისით კი მიუვალ სევ-ხუვებსა და ტყეებში ბანაკდებოდნენ. ჭარბელაქანს გასულნი ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ. აქ ჩვეულებრივ სტოვებდნენ, ნატაცებს, როცა მას საკმაოდ არ სთვლიდნენ, და საშოვრისათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნ-

დებოდნენ. დაღესტანში გადაყვანილ ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ.

ქართლ-კახეთში ლეკიანობა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754—1760 წლებში. მთელი ქართლი ლეკთა რაზმებით აივსო. მოსახლეობა ციხეებს იყო შეფარებული, მეურნეობა მიმქრალიყო.

გარდა წვრილ-წვრილი თავდასხმებისა, ლეკებმა ამ ხანებში რამდენიმეჯერ მსხვილი ლაშქრობაც მოაწყვეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლეკთა ორგზისი ლაშქრობა სუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წელს სუნძახის ბატონი დიდი ჯარით გადმოვიდა და ქართლ-კახეთის ერთიანად აოხრებას იმუქრებოდა. კახეთის მოსახლეობა ერეკლემ სულ ციხეებში შეიყვანა და კახეთის ჯარი კი თვითონ შემოიყარა, ქართლიც თეიმურაზმა დასიზსა.

ნურსალ-ბეგმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარა, არაგვი გადმოლასა, ქართლში შემოვიდა და მჭადისჯვრის ციხე-გალავანს (მუხრან-დუშეთის გზაზე) გარს შემოადგა. დაღესტნელ სარდალს იქ შეხიზნული სალსის დატყვევება სურდა. ჯარის სიმცირის მიუხედავად ერეკლე მხნედ შეება მტერს.

სასტიკი ომი გაიმართა, ლეკთა ქვეითობამ სიმრავლით სძლია ქართველების ქვეით ჯარს, მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა იხსნა ქართველები დამარცხებისაგან. აი, როგორ ასწერს ამ ამბავს მისი ერთი მონაწილე: „რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა (ესე იგი ერეკლემ) დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: — „ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯულისაო". — დაიქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქმნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი (ესე იგი, დიდრონი თოფები) და ზარბაზანნი, გააქციეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა, აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ შეუტივეს სმალდახმალ (ქართველებმა), დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე სოცდნენ ლეკთა. თვითონ მეფე ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდასმალ,

მიყვნენ სოცით არაგვამდის". ეს ბრძოლა 16 აგვისტოს მოხდა: „წავიდა, — განაგრძობს მწერალი, — ეს დამარცხებული ჯარი, გაიარა, დასვდნენ კახნი და დაუმარცხეს. მივიდა სუნძახის ბატონის სირცხვილეული დაღისტანში".

ლეკთა ეს დიდი ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ გამარჯვების სიხარულს ანელებდა ლეკების ბოლომოუღებელი თავდასხმები.

ამ წვრილ თავდასხმებს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. სუნძახის ბატონს მჭადისჯვართან დამარცხების სირცხვილი ვერ მოეწელებინა. ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით წასდენის აზრი მას მოსვენებას არ აძლევდა. წინა წლის გამოცდილების გამოყენებით ის ახლა საგანგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედვნენ მთელ დაღესტანს და ყველას საქართველოში სალაშქროდ იწვევდნენ. ნურსალ-ბეგმა დიდძალი ლეკი შემოიყარა, დაღესტნის სხვა ბატონებიც კი გამოჰყვნენ მას. ამ დიდი ლაშქრით სუნძახის ბატონი ყვარლის თავს დაადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ჭარს, კაკ-ენისელს, განჯას და ყველას საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდა. ესენიც ხალისით ეახლნენ დაღესტნელ სარდალს.

ქართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ სათანადო ღონეც დროულად იხმარეს. მეფეებმა მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ოთხი თვის მარაგით განსაკუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარიც ქვეყნიდან ქუდზე კაცი გამოიყვანეს და თან იასლეს.

ნურსალ-ბეგმა ამჯერად საქმე კახეთიდან დაიწყო. თავისი ოცი ათასი მეომრით ის ყვარლის დიდ ციხე-გალავანს შემოადგა, სადაც გაღმა მხრის მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო შეხიზნული.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ დაინახეს: მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართველებისას. ლეკთა დამარცხება მხოლოდ ხერხით თუ შეიძლებოდა და ერეკლემაც ამ ძნელ საქმეს ბრწყინვალედ მოუარა. ციხის დამცველებს უჭირდათ. ლეკებს გალავნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები შეეკრათ, რომ თოფს შიგ ციხეში ჩაისროდნენ. აუცილებელი იყო მეციხოვნეთა გამხნევება. ერეკლემ მეშველი რაზმის შეგზავნა გადა-

წყვიტა. ვინც ამ სავაჭაცო საქმის მოხალისედ გამოვიდოდა, მეფე პირდებოდა თავადსა და აზნაურს შესაფერი თანამდებობისა და მამულის წყალობას, ხოლო გლეხს — ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მიწა-ადგილსა და ფულად ჯილდოს.

საგმირო საქმეზე ორას კაცამდე გამოვიდა (ცხრა თავადიშვილი, ორი აზნაურიშვილი, ერთი სუცესი და დანარჩენი ყველა გლესი, ამათგან ასოცდაათი ქიზიყელი). ვაჭაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ ლეკთა ყარაულებს და სმალდასმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. მეშველმა რაზმმა ოოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანა ციხეში. იმედმოცემულმა მეციხოვნეებმა მოახერხეს ციხის გალავნის გარშემო ლეკთა საფრების დაწვა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს მერყეობა დაეტყო: ციხის ჩქარა და ადვილად აღება საეჭვო ჩანდა.

ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარლის ციხის ალყაზე მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ და სახლში წასვლა დააპირეს. ხუნძახის ბატონმა ძლივს შეიმაგრა ისინი.

მაშინ ერეკლემ უკვე მოზრდილი ლაშქარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარელს მდგომი ჭარელები ფიცხლავ წავიდნენ ქართველებთან შესაბმელად, მაგრამ ქართველები, ერეკლეს ბრძანების თანახმად ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაუროულდათ. ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოსრებლად ემუქრებოდა. ერეკლეს სამსედრო სერხმა გასჭრა. ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავისი სახლებისათვის მიეხედათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ბოლოს ისინი ერთმანეთს დაერივნენ კიდევაც, ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც: ქართველი მარბიელები არც მის ქვეყანას უქადდნენ მშვიდობას.

ამის დანახვაზე ნუხის სანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. ასე

რომ მოალყეთა ჯარის ერთი მსარე სავსებით მოიშალა. დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი, საჭირო ხდებოდა თავდაცვაზე ზრუნვა: გამხსნევებული ქართველები, საცა იყო, შეუტევდნენ დასუსტებულ მტერს. ასეთ პირობებში დაღესტნელი სურსაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეს და შინისაკენ გზას გაუდგა. 28 სექტემბერს ნურსალ-ბეგიცა და შამხალიც მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ამრიგად, ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძასელმა სარდალმა ახლა ისევ ძველებური ქურდ-ავაზაკობა ირჩია. დარჩენილი ლეკთა ჯარი მცირე გუნდებად დაიშალა, ტყეებსა და კლდეებს შეეფარა და აქედან რბევას შეუდგა.

დიდმა საფრთხემ გაიარა, საქართველოს ერთბაშად აოხრების გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკთა რაზმების მეთაურს, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შაჰ-აბასმაც კი ვერ შეძლო. ცრუმოქადულ ნურსალ-ბეგს ყველაზე უკეთ უხდება იმ დროს თქმული სალხური ლექსი:

„პამპულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:
— უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა!
ეს რომ ერეკლემ შეიტყო, გადაბრუნდა სიცილითა...“

მაგრამ ლეკთა მიერ საქართველოს ერთი დაკვრით გაოხრება თუ „პამპულაობა“ იყო, ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას.

აპრილში 1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე რუსეთს გაემგზავრა. ქართლის მეფეს რუსეთის იმპერატორისადმი გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა მოსახსენებელი.

რუსეთის მეფეს თეიმურაზი ჯარს ან ჯარის დასაქირავებლად ფულს სესხად სთხოვდა. ამ ჯარით ქართველი მეფეები ლეკებს ალაგმავდნენ და საგანგებო ლაშქრით ირანში შევიდოდნენ, იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და რუსეთისათვის სასურველ პირს ირანის შაჰად აარჩევინებდნენ.

ქართველების გეგმა გაბედული იყო და გონივრული. თეიმურაზი და ერეკლე ამით წინადადებას აძლევდნენ იმპერატორს, რომ ისინი ირანში რუსეთის ინტერესების დამცველებად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება, ფიქ-

რობდნენ ისინი, ირანის ბატონობისაგან საქართველოს გა-
თავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა.

რუსეთში ქართველ ძეფეთა წინადადებას ვერ გაიოეხია-
ურნენ, რადგანაც ეს წინადადება რუსეთის ზრახვებს ახლა არ
ეთანხმებოდა.

8 იანვარს 1762 წელს თეიმურაზ II იქვე, პეტერბურგს,
გარდაიცვალა. იქიდან ცგი წამოასვენეს და ასტრახანის მი-
ძინების ტაძარში, აქვე ადრე დაკრძალული ვახტანგ მეექვსის
გვერდით, დაკრძალეს.

§ 82. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ

თეიმურაზის გარდაცვალების უმალ ერეკლემ თავი ქართლ-
კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ერთ
სამეფოდ იქცა.

თავისი მიზნებისათვის ერეკლე მეფე მარტო გარეშე
მტრებს კი არ ებრძოდა, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ჰქონდა
მას თავადებთან.

თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს სახელმწიფო
მოღვაწეობა პროგრესულ მიზანს ემსახურებოდა. დაუღლავი
ბრძოლით მათ აღადგინეს ქართველობა და მის განმტკიცე-
ბა-უზრუნველყოფას ალევდნენ ძალღონეს. მაგრამ სწორედ
აქ ელოდათ მათ ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომლის გა-
დაულახავად დასახული მიზნის სავსებით მიღწევა შეუძლე-
ბელი იყო. ეს დაბრკოლება იყო სათავადოების არსებული
სისტემა.

სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას
ემყარებოდა და თავისი მხრით ამ ჩამორჩენილობას ემსახუ-
რებოდა. ამიტომაც საქართველოს აღდგენისათვის ანუ, რო-
გორც მაშინ ამბობდნენ, „აღდგომისათვის“ ბრძოლა სათა-
ვადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. ერეკ-
ლე ამ ბრძოლის თავდადებული გმირი იყო.

თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ კიდევ 1743 წელს შეუტი-
ეს ერთ-ერთ უძლიერეს სათავადოს. ამ დროს აჯანყებულმა
არაგველებმა ბეუან არაგვის ერისთავი მოკლეს. თეიმურაზმა

არაგველები მიიმხრო და საერისთავო თავისთვის საკუთრად დაიჭირა.

1744 წელს თეიმურაზმა ქსნისსველებიც გადმოიბირა და საერისთავო გივი ამილახვარს წაართვა.

ასე რომ თეიმურაზისა და ერეკლეს ბატონობა არაგვის საერისთავოს გაუქმებითა და თავადებთან ბრძოლით დაიწყო. ქართლის თავადები მტრულად უყურებდნენ თეიმურაზსა და ერეკლეს. მათ არ მოსწონდათ ამ მეფეების პოლიტიკა, თავადების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მათ არ სურდათ ქართლ-კახეთის გაერთიანება, მეფეს რომ აძლიერებდა. თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობამ სავსებით გამოააშკარავა თავადების ბრძოლის რეაქციული ხასიათი. თავისი თავადური მიზნებისათვის ბრძოლაში ეს რეაქციონერები ერთნაირი სალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა პტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს.

1747—1748 წლებში ქართლის რეაქციონერი თავადების სამეფო კანდიდატი მაჰმადიანი აბდულა-ბეგ იესეს ძე იყო. მწვავე ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა. 1751—1756 წლებში თავადების სასოება აზატ-ხანი იყო. აზატ-ხანს მრავლად შეხიზვნოდნენ აბდულა-ბეგის შვილები, რომელნიც „ქართლის შოვნას“ საქართველოს ამ მოსისხარი მტრის დახმარებით ელოდნენ. ამავე ხანებში ქართლის თავადებს თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგე ფალავნები რუსეთშიაც ეგულებოდათ. იქ ხომ ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები“, ბაქარის ძმა და შვილები, ისხდნენ; ისინი ქართლში გაბატონებაზე ოცნებობდნენ და თეიმურაზისა და ერეკლეს მოქმედებას, რაც შეიძლებოდა სელს უშლიდნენ.

1760-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართლის თავადებს გარედან დახმარების იმედები თითქმის გადაეწურათ; ირანის მეფე ერეკლეს მეგობრობდა, რუსეთიდან დახმარების მოლოდინი აღარ იყო, ოსმალეთიც ახლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ან ემორჩილებოდნენ, ან უსმენდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდნენ.

ამ ახალ პირობებში რეაქციონერებსაც ბრძოლის ხერხი უნდა შეეცვალათ. რაკი გარედან შკელის იმედი გადაუწყდათ, რეაქციონერი თავადები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ, მათ მეფისა და მისელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ საქმეს თავისი სელმძღვანელი გამოუნდა. ეს იყო პაატა ბატონიშვილი, ვახტანგ მეფის უკანონო შვილი. მალე პაატა ბატონიშვილის სადგომი, რომელსაც „მარკოზაშვილის დარბაზი“ უწოდეს თანამედროვეებმა, შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განაზრახის სისრულეში მოსაყვანად, საქმე გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა.

მეფემ სწრაფად დააჭერინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადობრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომსრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სხდომა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონაც კი მოჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა (ნასისხლი საზღაურია კაცის მოკვლისა, თუ მოკვლის განზრახვისათვის), შეთქმულების მეთაურები კი კანონის თანახმად დასჯეს.

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ ფიზიკურ დამარცხებასთან ერთად მორალურადაც დამარცხდნენ. რა თქმა უნდა, რეაქციონერები ამით არ გამქრალან და არც მეფის წინააღმდეგ მოქმედება შეუნელებიათ მათ. მაგრამ შექმნილი პირობების შესაფერისად მათ ბრძოლის ხერხი შეცვალეს და ამის შემდეგ მეფის წინააღმდეგ ტერორი აღარ უცდიათ.

ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ერეკლეს ამ დროს სხვა წარმატებებიც ჰქონდა. 1755 წელს მან ყაზახში ხანობა გააუქმა და ეს ქვეყანა სამოურავოდ აქცია. 1765 წლისათვის კი ბორჩალო-ბაიდარსაც მეფის მოურავები განაგებდნენ.

§ 83. ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა

გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებათა მიუხედავად ერეკლე მეფე კარგად ხედავდა, რომ საქართველო ჯერ კიდევ სამშვიდობოს არ იყო გასულიო, რომ ქვეყნის თავისუფალი მომავალი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ იყო. მტრები მოყვრებად არ იყვნენ გადაქცეულნი, ისინი მხოლოდ მიყუნებული იყვნენ და ხელსაყრელი ტაროსის მოლოდინში შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ. აუცილებელი იყო ქვეყნის ყოველმხრივი განმტკიცება, რომ მოსალოდნელი განსაცდელი საბედისწერო არ გამხდარიყო.

მაგრამ ქვეყნის განმტკიცება, მისი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი გაძლიერება გლეხთა საკითხის მოგვარების გარეშე შეუძლებელი იყო.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში გლეხთა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მებატონე არ სცნობდა ყმა გლეხის რაიმე უფლებას და როგორც ყმას, ისე მის ნაშრომსაც თავის საკუთრებად სთვლიდა.

ბატონისა და ყმის ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ჰქონდა. ნებითა და სიამტკბილობით ქართველი გლეხი თავის მებატონეს არაფერს უთმობდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ ბატონების უსამართლობას, ჩიოდნენ მეფესთან და მისგან სამართალს ითხოვდნენ, ეურჩებოდნენ უმართებულო ბეგარას და იარაღით იცავდნენ თავის უფლებებს, სცავდნენ გამხეცებულ მებატონეებს, სტოვებდნენ გაუმაძღარ მძარცველებს, აბრაგად დადიოდნენ ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ყაზახობდნენ“. სხვაგან გარბოდნენ. აყრა-გაქცევა გლეხთა ბრძოლის მეტად ფართოდ გავრცელებული სახე იყო, მაგრამ აყრა საქაროველოს ინტენსიურ მეურნეობასთან სრულიად შეუთავსებელი იყო. აყრა გლეხის ეკონომიურ განადგურებას ნიშნავდა. აყრილი გლეხი, ან ასაყრელად მზადმყოფი ინტენსიურ მეურნეობას (ესე იგი, მიწის გაპატივებასა და მრავალწლიან კულტურებს — მებაღეობას, მევენახეობას, აგრეთვე მეაბრეშუმეობას და სხვ.) ხელს ვერ მოკიდებდა. მისი ხვედრი ღარიბობა და ბოგანობა იყო. აყრილთა, ხიზანთა და ბოგანოთა სიმრავლე

ცხადად მოწმობდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების სიღუხჭირეს.

ასეთ პირობებში მყოფი გლეხობა მტრების წინააღმდეგ ძველებური მხნეობით ვერ იბრძოდა. ღატაკს, დაბეჩავებულს, ნახევრად უიარაღოს, მას თავდაცვის მცირე უნარი შესწევდა, ხოლო მძარცველი მებატონისა და მისი ქონების დაცვის ხალისი გლეხს არ ჰქონდა. ქართველ გლეხს რომ უცხოელ მტრებთან ბრძოლის უნარი დაბრუნებოდა, მას უნდა დაბრუნებოდა ბატონების მიერ მიტაცებული უფლებები, რომელნიც ყმას მონისაგან განასხვავებდნენ.

ქვეყანა ძალზე დაზარალებული იყო და გლეხთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული. ისინი გაწყვიტეს ან დაატყვევეს ყიზილბაშებმა, ოსმალებმა, ლეკებმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისინი აუტანელმა ბატონყმურმა პირობებმა გადააშენა.

ერეკლეს კარგად ესმოდა ეს გარემოება. იგი ხედავდა, რომ გლეხები მხოლოდ ლეკიანობამ კი არა, არამედ კიდევ უფრო „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან“, როგორც თვითონ გლეხები ჩიოდნენ, და მეფეც მთელი რიგი ღონისძიებებით ცდილობდა გლეხობის გადარჩენას, რადგანაც კარგად ამჩნევდა, რომ საქართველოს დაძაბუნების უმთავრესი მიზეზი „გლეხი-კაცის ამოწყვეტა“ იყო.

ერეკლეს საგლეხო კანონები მიზნად ისახავდა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ კანონებით გლეხს უნდა დაბრუნებოდა უფლებები, რომლებიც მათ მებატონეებთან ბრძოლაში დიდი ხანია დაკარგეს. მონის მდგომარეობიდან, რომელშიაც გლეხი იყო მოქცეული, ის ისევ „ნახევრად თავისუფალი ადამიანის“ (ლენინი) მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდა.

ერეკლე მეფე ენერგიულად ერეოდა ბატონისა და ყმის დამოკიდებულებაში. იგი როგორც ბატონისაგან, ისე გლეხისაგან სასტიკად მოითხოვდა „ბატონყმობის რიგის“ დაცვას, ესე იგი ძველადვე შემუშავებულ საბატონყმო უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ერეკლე ამ საქმეში მებატონეებისადმი დათმობას არ აპირებდა. „რომელიც ამათი დებულება არ არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის

საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან გიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ", ასე აფრთხილებდა ერეკლე მცხეთის ბატონებს, რომლის გლეხებიც მეფესთან ჩიოდნენ „არასამართლიანის საქმით" ბატონის შიერ თავის შევიწროებას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ერეკლეს ბრძანება სხვა თავადებისადმი; „თუ რომ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიად ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ". ასეთი ბრძანებით მეფე გლეხთა აყრისათვის პასუხისმგებლობას ბატონს აკისრებდა. ერეკლემ აკრძალა აგრეთვე გლეხკაცის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. მისი კანონით, უცხოეთიდან, ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა ძველი მებატონის ყმობისაგან. ყველაფერ ამით ერეკლე, რა თქმა უნდა, ბატონყმური დამოკიდებულების მოწესრიგებას ესწრაფოდა და არა მის გაუქმებას.

§ 64. დასავლეთი საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში

დასავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური არეულობა შეუნელებლად გრძელდებოდა. სათავადოების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის სელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფოსახასო ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცათ. ძლიერდებოდა ოსმალთა გავლენა იმერეთში.

1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს, აქ ფაშა დასვეს და ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. დაანგრიეს ძველი რუსის ციხე და ანაკლიის ციხე ააშენეს. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს ბათუმი, ციხისძირი, სოხუმი.

ოსმალთა ეს გაძლიერება მეტისმეტად სასიფათო გახდა. ციხეები ტყვისმსყიდველთა ბუნაგებად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან აღვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ.

1751 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. ამ დროს იმერეთში უძლიერესი თავადები

იყვნენ ლეკან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი. სხვენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ, აბაშიძე — არგვეთისას, ერისთავი — რაჭისას, და ამ ნიადაგზე მათ სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამასთან მეფე ალექსანდრესთან. ასალგაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩილებას ცდილობდა. საერთოდ, სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა. ამ მხრით სოლომონის მოღვაწეობა ერეკლესას ჰგავდა.

სოლომონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. სამეფო ქონება დიდიხანია თავადებს მიეტაცათ და წვრილი ფეოდალებიც ძლიერი თავადების გავლენის ქვეშ იყვნენ. საჭირო იყო ფრთხილი და მოხერხებული მოქმედებით ძალების თანდათანი შემოკრება. თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის — სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. ორივე უაღრესად მტკივნეული საკითხი იყო და იმერეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღნიშნულ მოვლენებთან ბრძოლა საჭირო საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საკითხების გარშემო ძალების გაერთიანება ყველაზე მეტად იყო შესაძლებელი. მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა.

მეფემ წვრილი თავადები თანდაათ შემოიკრიბა. ამავე დროს სოლომონმა მოხერხებულად შემოირიგა უძლიერესი ფეოდალები, — ოტია დადიანი და მამია გურიელი. ამით მეფემ მტერი გაიმარტოვა: ერისთავსა და აბაშიძეს ძლიერი მომხრეები შემოაცალა.

მეფე-მთავრების ეს შეთანხმება ოსმალეთს არ ესიამოვნა. მისთვის განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. თანდათან სოლომონმა თავის სამეფოში თითქმის სავსებით მოსპო ეს საშინელი სენი. ასალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ტყვის სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აკრძალა.

მაშინ ოსმალეთის სორთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავს თავისი დრო დაუდგათ. აბაშიძე ახალციხეს გაწნდა და მტერს სოლომონისა და მის მოშრეთა წინააღმდეგ იმერეთზე შემოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურიელის ჯარები მოეშველნენ.

დეკემბერში 1757 წელს ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავისი რაზმებით მტერს მიუვიდნენ. ახალგაზრდა სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეიტყუა თავის სიმრავლით დაიჭედებული ოსმალები მოხერხებულ ადგილში, ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე, და ისე გაბედულად დაესხა მტერს თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა იგი. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს, ან დახოცეს.

მათი ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა. მრავალიც ტყვედ იგდეს ხელში. ამ ომში მოკლულ იქნა ლევან აბაშიძე, ხოლო როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაშთმა თავს გააცევით უშველეს.

მეფემ აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა, ამ სათავადოდან თვითონ ლევან აბაშიძის წილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, სხვა აბაშიძეები კი ფიცით შემოიმტკიცა და სააბაშიოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა-მამული სხვა დამნაშავე ფეოდალებსაც. როსტომ ერისთავი ამ ჯერობაზე დაუსჯელი გადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა.

ამრიგად, ხრესილის ომის შედეგად მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი ავტორიტეტიც დიდად გაიზარდა.

1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან სამხედრო კავშირი დადვეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1779 წლამდე არ დარღვეულა.

ოსმალეთს ხრესილთან დამარცხება ვერ მოენელებინა და იმერეთის მეფის დამორჩილებას დაჟინებით ცდილობდა. 1758 წელს სოლომონ მეფისა და ოსმალთა ჯარებს შორის ომი ორჯერ მოხდა, პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მეორედ

კი ისინი სასტიკად დამარცხდნენ. სოლომონ მეფის სახელი და გავლენა ამით დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა.

მეფემ ისარგებლა ამ გამარჯვებით და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და იმერეთის გაერთიანების გზით ახალი ნაბიჯები გადადგა. 1759 წელს, დეკემბერში, სოლომონმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. ეს კრება მთელი თვე გაგრძელდა და მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. მსჯელობის საგანი მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საკითხები იყო.

ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ტყვის სყიდვის აკრძალვა დასავლეთ საქართველოში.

1759 წლის კრებაზე სოლომონ მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა, ხოლო მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი“ იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და იმდროინდელი ქარიველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები, გასაგებია, შიშნარევი ეჭვით უცქეროდნენ მეფის ასეთ გაძლიერებას. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო როსტომ რაჭის ერისთავი. მას ამის საბუთიც ჰქონდა. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზე იყო მიმდგარი. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ ერისთავის წინააღმდეგ რაჭაში მეფემ ერისთავის მოქიშპე წულუკიძეები დაიასლოვა. ამავე დროს დამდაბლებულ აბაშიძეთა ადგილზე სოლომონმა წერეთლის სახლი წამოსწია.

1763—1768 წლებში იმერეთის სალხი სოლომონ მეფის მეთაურობით გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობლებს და მათს დამხმარე თავადებს. სოლომონმა არაერთგზის დაამარცხა ოსმალთა რაზმები, არაერთი ორგული თავადი დასაჯა. შეუდრეკელი ბრძოლით იმერეთის ხალხმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობის განზრახვაზე. მტერმა მეფესთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სოლომონმა კარგად იცოდა მტრის ვერაგობა და მასთან ზა-

ვის სიმტკიცე არა სწამდა. მეფე შემდგომში ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ძველი-დანვე მტრობის ამბავი და სოლომონ მეფეც თავის გეგმას ამაზე აგებდა. 23 ივნისს 1768 წელს სოლომონმა საგანგებო ელჩი მაქსიმე ქუთათელი, გაგზავნა რუსეთს. სოლომონი რუსთ სელმწიფეს მფარველობას სთხოვდა, სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დასმარებას აღუთქვამდა.

§ 85. მორიგე ჯარი

საქართველოში აქამდისაც კარგად იცოდნენ, ხოლო 1769—1771 წლებში რუსთა ჯარის გაცნობით კიდევ უფრო დარწმუნდნენ ფეოდალური ლაშქრის ჩამორჩენილობაში და „რეგულის“, ესე იგი, მოსასლეობიდან გაწვეული, მუდმივი ჯარის უპირატესობაში. მაგრამ ქართველი მოღვაწეები იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ იმ დროის საქართველოში ასეთი ჯარის მოწყობა შეუძლებელი იყო, არც მეფეს გააჩნდა ასეთი ლაშქრის იარაღ-სანოვაგითა და ტანისამოსით მომარაგების საშუალება და არც თავადები მისცემდნენ მეფეს თავის ყმებს ამ ლაშქრისათვის.

1773 წლის მიწურულში ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეკთა თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხკაცობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“, რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია“, როგორც თვით ამ განაჩენშია ნათქვამი.

მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო: ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთი თვით ლაშქარში გასულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. ამისათვის მეფემ ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გადასახადისაგან („სურსათი“ ეწოდებოდა ყოველწლიურს სახელმწიფო გადასახადს ხორბლეულით) გაათავისუფლა.

იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე ლაშქარში სალხის უკლებლად გამოცხადებისათვის სოფლის მებატონე და მოხელე იყვნენ პასუხისმგებელი. ბატონო მოვალე იყო მორიგედ მიმავალი გლეხი მოემარაგებინა, როცა უკანასკნელს საკუთარი საშუალება არ გააჩნდა. მორიგე ლაშქარი ცალკე ერთეულებად იყოფოდა და თითოეულს მეფის მიერ დანიშნული მეთაური უფროსობდა. პირველ ხანებში მორიგეში თვიურად ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა.

მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა ჩქარა აშკარა შეიქნა. ლეკების თავდასხმები სავსებით შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლისმეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი სელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო. ამ ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს: მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს კი თავადებისათვის არ იყო სასურველი.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი თანდათანი შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანელის, ლევან ბატონიშვილის, მოულოდნელი სიკვდილით (1781 წ.). სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და მალე ეს საქმე ანყარი მოხელეების ხელში მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი სულ უფრო და უფრო ადვილად ახერხებდა თავისი ყმებით მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა.

მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი.

§ 86. რუსეთ-საქართველოს ურიერთობა. საქართველოს თავგადასავალი მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში

1768—1774 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი წარმოებდა. 1769 წელს რუსთა ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოვიდა ქართველთა ჯარებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ. მაგრამ ტოტლებენმა აშკარად მეფეების (ერეკლესა და სოლომონის) წინააღმდეგ კურსი აიღო და რეაქციონერ თავადებს უკავშირდებოდა და უფრო სწყალობდა, განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა ერეკლესა და ტოტლებენს შორის ასპინძის ომის შემდეგ (1770 წ. მარტი), როდესაც ერეკლესა და ტოტლებენის ჯარებმა აწყურის ციხეს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ტოტლებენი რუსთა ჯარით უეცრად უკან გაბრუნდა. ერეკლე ასპინძისაკენ გაემართა, სადაც შეეტაკა ოსმალთა და ლეკთა რაზმებს. ერეკლემ ამ ბრძოლაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ ამ გამარჯვების შედეგებით მთლიანად ვერ ისარგებლა ტოტლებენის უკანდასევის გამო და თვითაც სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა. ტოტლებენს საერთოდ, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება სურდა და შეუდგა ციხე-ქალაქების დაჭერას და სალიხის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას. მაგრამ ერეკლეს ენერგიულმა ჩარევამ იძულებული გახადა ამ საქმეს მოშვებოდა და იმერეთში გადასულიყო. სოლომონის ჯარებთან ერთად რუსთა ჯარმა აქ არაერთხელ გაიმარჯვა თურქებზე და 1770 წლის 6 აგვისტოს ქუთაისის ციხეც წაართვა მათ. მალე ტოტლებენმა ალყა შემოარტყა ფოთს, მაგრამ იგი ვერ აიღო. ამასობაში ადგილობრივ საერთოდ სახელგატეხილი ტოტლებენი რუსეთის სამეფო კარმა საქართველოდან გაიწვია და აქ მის ნაცვლად სხვა სარდალი გამოგზავნა.

ერეკლე მიხვდა, რომ რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის გარეშე ქვეყნის აღდგომა-გამოხსნის მიზანს ვერ განახორციელებდა და რუსეთის მთავრობას საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა შესთავაზა. ერთხანს რუსეთი ამაზე თავს იკავებდა ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის ნაადრევად გაუარესების შიშით. ერეკლე ცდილობდა კავშირის დამ-

ყარებას და თავისი მიზნებისათვის ოსმალეთის, სოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოყენებას, მაგრამ ეს იმედები ამაო გამოდგა. ამასობაში რუსეთს ისევ გაუცხოველდა ინტერესი ამიერკავკასიისადმი და 1783 წლის 24 ივლისს ციხე გეორგიევსკში (ჩრდ. კავკასიაში) ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობას“ (ტრაქტატს). ერეკლეს მხრით ხელმოწერას დაესწრნენ იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, ხოლო რუსეთის ხელმწიფის ეკატერინე II-ის მხრით — გენერალი პავლე პოტიომკინი. 6 თვის შემდეგ, 1784 წლის 24 იანვარს რუსეთ-საქართველოს ამ ტრაქტატს ხელი მოაწერა ერეკლემ და იგი ძალაში შევიდა. ტრაქტატით ერეკლე უარყოფდა ირანთან და ყველა სხვა სახელმწიფოსთან დამოკიდებულებას და რუსეთის მფარველობაში შედიოდა. ქართლ-კახეთის ტახტზე ახლადგამეფებული პირი ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. საგარეო ურთიერთობა ქართლ-კახეთს რუსეთთან უნდა შეეთანხმებინა, შინაურ საქმეებში კი დამოუკიდებელი რჩებოდა. თავის მხრივ რუსეთი ქართლ-კახეთის დაცვას კისრულობდა. ტრაქტატით რუსეთი კისრულობდა ქართლ-კახეთში ჯარის ყოლას. მართლაც რუსთა ორი ბატალიონი 1783 წ. 3 ნოემბერს თბილისში შემოვიდა, ხოლო 1784 წ. 23 იანვარს ერეკლემ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

ქართველები ამ ტრაქტატით ლეკიანობის ალაგმვას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ლამობდნენ. მაგრამ ტრაქტატმა საშინლად ააფორიაქა და დარაზმა კავკასიის მაჰმადიანი მფლობელები. ირან-ოსმალეთმაც უდიდესი საფრთხე იგრძნეს. განასლდა ლეკიანობა. 1785 წელს სუნძახის ბატონი ომარ-ხანი 20.000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა და ერეკლე იძულებული შეიქნა მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირის“ სახით 5000 მანეთის მიცემის პირობა დაედო. ამასობაში რუსეთში შენელდა ინტერესი ამიერკავკასიისადმი, სოლო თვით ქართლ-კახეთის სამეფოშიც ბევრი წარჩინებული რუსეთთან კავშირის წინააღმდეგი იყო. 1791—1792 წლებში დარეჯან დედოფალმა და უფლისწულებმა ერეკლეს დიდი დათმობა გამოსტაცეს: შეაცვლევინეს მეფობის წესი — ამიერიდან მეფობა უნდა გადასულიყო არა მამიდან შვილზე,

არამედ გვარში უფროსზე. ერეკლეს მრავალი შვილი ჰყავდა. უფროსი — გიორგი სხვა დედის შვილი იყო, ყველა დანარჩენი კი დარეჯან დედოფლისა. ამასთანავე მეფემ თავის შვილებს გაუყო სამეფო მამული საუფლისწულოებად და ამრიგად საფუძველი ჩაუყარა წინანდელზე უფრო უარეს სათავადოებს. ბატონიშვილებს ამ საუფლისწულოებში თავი ხელმწიფედ მოჰქონდათ.

ამასობაში, 1784 წ. გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი. ამ დროს წარმოიშვა იდეა ერეკლეს გამეფებისა იმერეთშიც, მაგრამ ეს აზრი თვით მან უარჰყო. იმერეთის ტახტზე აიყვანეს მისი შვილიშვილი დავითი (იგი სოლომონ პირველის ძმისწული იყო), რომელმაც სოლომონ მეორის სახელით დაიწყო მეფობა იმერეთში. ამასთანავე 1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრებმა (ერეკლემ და სოლომონმა, გრიგოლ დადიანმა და სიმონ გურიელმა) დადეს სამოკავშირეო ხელშეკრულება და საერთო მტრის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს. 1793 წელს ამ ხელშეკრულების მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

§ 87. ᲙᲠᲬᲐᲜᲝᲡᲝᲡ ᲝᲛᲝ

ამასობაში ირანში მრავალწლოვანი შინაური ომებიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, რომელმაც თავისი თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. აღა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 1786 წელს მოაგონა თავი ერეკლეს: „ძმობისა და სიყვარულის“ სიტყვები შემოუთვალა „გურჯისტანის“ მეფეს. აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობასა და პატივს ჰპირდებოდა ერეკლეს.

აღა-მაჰმად-ხანის წინადადება ერეკლესათვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგანაც მეფემ დიდი ხანია საქართველოს მომავალი პროგრესულ ევროპას სამუდამოდ დაუკავშირა. ამ პირობებში ომი ირანსა და საქართველოს შორის აუცილებელი ჩანდა.

1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს

საქართველოზე ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიჟებოდნენ შაჰს ქართლ-კახეთის მეფის მეტოქე ხანებიც. ერეკლე რუსეთს ჯარითა და არტილერიით დახმარებას სთხოვდა.

ხელშეკრულების თანასმად რუსეთის მთავრობა მოვალე იყო ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის ეს დახმარება არ ჩანდა. მენაპირე-უფროსი გუდოვიჩი ერეკლეს დაუსრულებლად აიმედებდა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა.

1795 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს შემოსდგომოდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოსმა თავი დიდი ქრთამით დაიხსნა. სექტემბრის დამდეგს აღა-მაჰმად-ხანი უკვე თბილისისაკენ წამოვიდა.

მრავალმგადასდილი ერეკლე სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. საჭირო თადარიგი მან თავის დროზე დაიჭირა, მაგრამ თავადური რეაქცია ქვეყანას ისე მოსდებოდა, რომ 40.000 მეომრის ნაცვლად მეფეს 4.000 ძლივს მოუვიდა. ბატონიშვილებიც კი საჭიროდ არ თვლიდნენ თავისი საუფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ. ზოგი კიდევ სულ მცირე ამალით მოდიოდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ დაძრწოდნენ სოფლიდან-სოფლად, მეფის სახელით სალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უომედობას ატყობინებდნენ და შორს დასიზვნას უბრძანებდნენ. ერეკლეს სიძემ, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა 2.000 ქიზიყელი ომის წინა ღამეს სოღანლუღის ბანაკიდან გააპარა. გიორგი ბატონიშვილი სიღნაღში იჯდა, სოლო გიორგის მომდევნო ძმა, იულონ ბატონიშვილი, ქართლში ნებივრობდა იმ დროს, როცა სამშობლოს თავისუფლებისა და მომავლის ბედი წყდებოდა.

საქართველოს ასაობრებლად აღა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ერეკლეს მხოლოდ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა. აქედან სამი ათასი მეომარი სოლომონ მეორის, იმერთა მეფის, მიერ მოყვანილი დამხმარე ჯარი იყო. სიმცირის მიუხედავად მეფემ ომი გადაწყვიტა. აღა-მაჰმად-ხანმა საქართველოს ვითარება არ იცოდა და ერეკლესაგან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს მტრის

მოწინავე რაზმი და დიდი ზარალით უკუაქციეს. მტერი შეფიქრდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეჭვდა. ამ დროს მოღალატეებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. მან მეფის სისუსტე ხანს აცნობა. მტერს იმედი მოეცა და 11 სექტემბერს ერეკლეს გულსრულად შემოუტია. კრწანისის მინდორზე, თბილისის კარებთან, გადამწყვეტი ომი მოხდა. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ერეკლეს შვილიშვილის იოანე ბატონიშვილისა და სხვა ერთგულთა თავდადებამ იხსნა მეფე: მებრძოლი მოხუცი გამოიყვანეს ომის ცეცხლიდან. ერეკლე მთიულეთში წავიდა, სოლომონი კი თავისი ჯარით იმერეთს გადავიდა.

გამარჯვებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მტერმა ქალაქი გაძარცვა, დასწვა, დაანგრია. ხანი მეფის სასახლეში შევიდა, ჯერ გაძარცვა ის, შემდეგ დაანგრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, აბანოები, ზარაფხანა (სახელმწიფო დაწესებულება, სადაც ფულს ჭრიდნენ). ამავე დროს ხანმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუსია. ერთი ასეთი რაზმი ასტალას ავიდა, იქ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემდეგ აღედგინა ერეკლეს, გაძარცვა და დაანგრია. აქ სპარსელებმა მრავლად დაატყვევეს მადნის მუშები. მარბიელთა რაზმებმა შიდა ქართლიც მოითარეშეს გორი-ცხინვალამდე, მაგრამ მოსახლეობა დახიზნულიყო და ბევრი ვერაფერი იშოვეს. არაგვზე მარბიელებს 300 კაცისაგან შემდგარი ხევსურთა რაზმი გადაეყარა. ხევსურები ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ, ქართველთა დამარცხება მათ ჯერ არ შეეტყოთ და თბილისში მეფესთან მიდიოდნენ. ხევსურებმა მარბიელთა ეს რაზმი თითქმის სულ გაწყვიტეს.

ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი საქართველოში იყო, მასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე, რომელიც ანანურს იდგა, დროის მოგებას ცდილობდა, მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ამის შესახებ რუსთა მენაპირეუფროსს გუდოვიჩს ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. არც აღა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობა.

საქართველოში მტერი დიდხანს არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ სექტემბრის მიწურულში ხანი აიყარა და სასწრაფოდ ირანს წავიდა. იქ, სორასანში, მდგომარეობა გართულებულიყო.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია არამარტო ზოგიერთ მეზობელ სანში. სიხარულით ცას ეწია ოსმალეთი. ხონთქარმა ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა. დიდად კმაყოფილი იყო საფრანგეთიც. სსენებული სახელმწიფოები ამ ფაქტში რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ და ამიერკავკასიიდან თავისი მეტოქის, რუსეთის, საბოლოოდ გასადევნად აღა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ.

საქართველოს გასაჭირით სარგებლობა ლეკებმაც მოინდომეს. ლეკთა რაზმები წამოიშალნენ და ქართლ-კახეთის დაუცველ სოფლებს მოედნენ.

§ 88. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთება

რუსეთის მთავრობამ კარგად დაინახა თავისი შეცდომა. გასაჭირში მიტოვებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე მას ეკარგებოდა, სოლო საქართველოს დაკარგვით რუსეთი იძულებული ხდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ფესი ამოეკვეთა. ამიტომაც რუსეთის სამეფო კარზე სულ უფროდაუფრო ფეხს იკიდებდა საქართველოს უშუალოდ შეერთების იდეა. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის მომდევნო წლებში რუსთა ჯარი შემოვიდა და კარგა ხანს იმყოფებოდა აღმოსავლეთ საქართველოში. მოეწყო რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობებიც განჯის სანის, აგრეთვე ლეკი მეფლობელების წინააღმდეგ. ამასობაში ირანი და ოსმალეთი ემუქრებოდნენ ერეკლეს და რუსეთთან კავშირის გაუქმებას მოითხოვდნენ. საქართველოზე ხელმეორე ლაშქრობა წამოიწყო აღა-მაჰმად-სანმაც, ყარაბაღამდე მოვიდა, მაგრამ აქ 1797 წ. 4 ივნისს მოკლულ იქნა.

1798 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ერეკლე მეორე. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა გიორგი მეთორმეტემ დაიკავა. ეს უკანასკნელი ფიქრობდა შეეცვალა ტახტის

მემკვიდრეობის წესი, რომელიც ერეკლეს დაადგენინეს დარეჯან დედოფალმა და მისმა ვაჟებმა, და იგი თავისი ვაჟიშვილებისათვის დაეტოვებინა. მაგრამ უფლისწულებისა და სხვა თავადების წინაშე იგი უძლური იყო. მის ერთადერთ იმედს უცხო ძალა წარმოადგენდა. ერთხანს მან ლეკების 1200-კაციანი დაქირავებული რაზმი გაიჩინა მცველად, თან რუსეთში თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდა და რუსეთის მთავრობას ახალ-ახალ დათმობებს სთავაზობდა, ოღონდაც მისთვის და მისი მემკვიდრეებისათვის შეენარჩუნებინათ სამეფო ტახტი და სხვა პრივილეგიები. გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც რუსეთის მთავრობამ 1800 წ. 22 დეკემბერს უკვე მიიღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ექვსი დღის შემდეგ გიორგი მეფე გარდაიცვალა. თბილისში მყოფ რუსის ჯარის სარდალს კარგა ხანია საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა გიორგის ვაჟის, სამეფო ტახტის მემკვიდრედ დასახული დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. 1801 წლის 16 თებერვალს სიონის ტაძარში, რომელსაც წინასწარ ძლიერი სამხედრო რაზმი შეემოარტყეს, წაიკითხეს რუსეთის იმპერატორის პავლეს მანიფესტი. 1801 წელს, 12 სექტემბერს, პავლეს მემკვიდრის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის ხელისმოწერით გამოქვეყნდა მანიფესტი ამავე საგნის შესახებ. ქართლ-კახეთის სამეფო „საქართველოს გუბერნიად“ გამოცხადდა, მთავარმმართველად გენერალი კნორინგი დაინიშნა, ხოლო სამოქალაქო საქმეების მმართველად — კოვალენსკი.

ამრიგად მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთი უშუალოდ შეიერთა. დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ისტორიაში.

თავი VII

საქართველო მე-19 ს. პირველ მესამედში

§ 89. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების თანდათანობითი შეერთება რუსეთთან

1801 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა. ამის შემდეგ იგი შეუდგა ზრუნვას საქართველოს და, საერთოდ კავკასიის სხვა ნაწილების შემოსაერთებლად, რომელნიც ნაწილობრივ დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს წარმოადგენდნენ, ნაწილობრივ კი მეზობელი ირანისა და ოსმალეთის (ე. ი. თურქეთის) მფლობელობაში იმყოფებოდნენ.

დასავლეთი საქართველო, კერძოდ, ამ დროს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსულ მხარეს წარმოადგენდა. აქ არსებულ იმერეთის სამეფოს, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებს ურთიერთშორის მუდმივი შუღლი და მტრობა ჰქონდათ. ამასთანავე, საკმაოდ ღონემიხდილი ოსმალეთი ამ დროს მაინც ახერხებდა დასავლეთ საქართველოზე თავისი გავლენის შენარჩუნებას. მის ხელთ იყო საქართველოს ზღვისპირა ქალაქები ბათუმი, ფოთი და სოხუმი. სწორედ ამ ქალაქებში მისი წაქეზებით ადგილი ჰქონდა საქართველოდან მოტაცებული ტყვეებით გაცხოველებულ ვაჭრობას.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ოსმალეთის გავლენა აფხაზეთის სამთავროში. მთავარ შარვაშიძეთა სახლი იმ დროს მაჰმადიანობას აღიარებდა და სულთანის ბატონობას სცნობდა. აფხაზეთის მოსახლეობაშიაც იკაფავდა გზას გათურქების პროცესი, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი მაინც მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას და საქართველოს მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა. ამ დროს სამეგრელოს დროებითი მთავარი ნინო ბაგრატიონი სწერდა რუსეთის მთავრობას,

რომ აფხაზეთში „გლეხნი... უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენიო".

საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის იმერეთი შედარებით დაწინაურებული ქვეყანა იყო. იმერეთის მეფე სოლომონ II ენერგიულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის. იგი არ სცნობდა ოსმალეთის სულთანის ხელისუფლებას და შავი ზღვის საქართველოს ნაპირებიდან ოსმალთა სავსებით განდევნისათვის ემზადებოდა. მაგრამ გამაერთიანებელი ძალების ბრძოლას ქვეყნის მოღალატე მთავრები აბრკოლებდნენ. თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით ისინი იმერეთის მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და საქართველოს საგარეო მტერს უკავშირდებოდნენ. აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და სვანეთის მთავრები, სხვა თავადებთან ერთად შიგნიდან ანგრევდნენ ქვეყანას და ხელს უწყობდნენ ოსმალეთის მტაცებლურ სახელმწიფოს საქართველოს დამონების საქმეში.

მე-19 ს. დამდეგს სოლომონ მეორემ შეძლო გურიელის დამორჩილება და რამდენიმეჯერ დაამარცხა და ტახტიდან ჩამოაგდო სამეგრელოს მთავარი დადიანიც, მაგრამ ეს უკანასკნელი, ხან აფხაზეთის მთავრის დახმარებით და ხან სხვა თავადთა ხელისშეწყობით, მაინც ახერხებდა სამთავრო ხელისუფლების დაბრუნებას. იმერეთის მეფის მიერ დიდად შევიწროებული დადიანი რუსეთის მთავრობას სთხოვდა შველასა და მფარველობას. დადიანის ეს მოთხოვნა მეტად ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, რომელსაც სამეგრელოს მოპოვებით გაუადვილდებოდა იმერეთის მეფის დამორჩილება და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთება.

რუსეთის მთავრობამ 1803 წ. დეკემბერში სამფარველო ხელშეკრულება დაუდო სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს, დაიცვა მისი ხელისუფლება და იგი იმერეთის მეფეს დაუპირისპირა. მას შემდეგ დადიანი რუსეთის ერთგული, მორჩილი და დასავლეთ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკის თავწამკვდარი მსახური გახდა.

იმერეთის მეფე სოლომონი ხედავდა, რომ მეფის რუსეთის მიერ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმება მის დამოუკიდებლობასაც უქადდა საფრთხეს და ამიტომ ცხოველ მონაწილეობას იღებდა ბაგრატიონთა მიერ დაკარგული

ტასტის აღდგენისათვის ბრძოლაში. რუსეთთან ურთიერთობაში იმერეთის მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს მეფობას ი[illegible]ებდა. მაგრამ რუსეთი მხარს არ უჭერდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფის ხელისუფლების გაფართოებას. ამიტომ სოლომონის ბრძოლას მარცხი მოელოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დადიანის დაცვა იკისრა, იმერეთის მეფის დამოუკიდებლობას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნა.

სოლომონ II თავის საშინაო დამოუკიდებლობას იცავდა და რუსთ ხელმწიფეს მხოლოდ საგარეო-პოლიტიკურ მბრძანებლობას სთავაზობდა. მაგრამ მეფის რუსეთი ამას არ სჯერდებოდა, საქართველოს მთავარსარდალი ციციანოვი იმერეთის მეფისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მეფისაღმი ციციანოვის მედიდურმა დამოკიდებულებამ უფრო მას შემდეგ იჩინა თავი, როცა რუსთა ჯარმა, 1804 წ. იანვარში, დაიპყრო განჯის სახანო აზერბაიჯანში და შიშის ზარი დასცა ირანს, იმავე წლის აპრილში რუსის ჯარი იმერეთშიაც შევიდა და სოლომონ მეფე უკვე იძულებული შეიქნა მიეღო ციციანოვის მიერ ნაკარნახევი სამფარველო პირობები.

1804 წ. 24 აპრილს დადებული ტრაქტატის საფუძველზე იმერეთის მეფე საქართველოს მთავარსარდლის ბრძანებათა აღმასრულებელი და მეფის რუსეთის მთავრობის მსახური ხდებოდა. მაგრამ ეს იყო იმერეთის მეფის დროებითი უკანდასევა. მიუხედავად ამ ხელშეკრულებისა, სოლომონ II დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის მფარველობა გავრცელდა გურიის სამთავროზედაც. იმერეთში მუდმივ სამყოფელად შეიყვანეს რუსის ჯარის მცირე რაზმი, რომლის რიცხვი შემდგომ თანდათან იზრდებოდა.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მფარველობაში მიღებითა და მათი ამგვარი დამორჩილებით საფუძველი ეყრებოდა ფეოდალური შინა ომების მოსპობას და საქართველოს გამთლიანებას რუსეთის მფლობელობაში.

რუსეთის მთავრობასა და იმერეთის მეფეს შორის ურთიერთობა წლითიწლობით მწვავდებოდა. სოლომონ მეფისათვის სავსებით ცხადი გახდა, რომ რუსეთს განზრახული ჰქონდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. ამიტომ იგი უნდობ-

ლად უყურებდა იმერეთში შეყვანილ რუსთა რაზმებს და ქუთაისიდან მათ გაყვანას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ. მართალია, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოლომონი რუსეთის წინააღმდეგ არ გამოსულა, მაგრამ არც არაფრით დახმარებია მას. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმერეთის მეფე ამ ომის ვითარებაში რუსეთს უპირისპირდებოდა და უნებლიედ ექცეოდა მტრული ოსმალეთის ბანაკში. რუსი მოხელეები, თავის მხრივ, ნიადაგს ამზადებდნენ სოლომონის თავიდან მოსაცილებლად. ისინი ცდილობდნენ, მეფე მოტყუებით ეგდოთ ხელთ და რუსეთში გადაესახლებინათ. 1810 წ. მათ ესეც მოახერხეს, სოლომონ II დაატყვევეს და თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ იმავე წლის 11 მაისს იგი გაექცა მათ და ოსმალთა ხელში მყოფ. ქ. ახალციხეში ჩავიდა.

იმერეთის მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა. აქაც იჩინა თავი მეფის რუსეთის სამხედრო მოხელეების ძალადობამ. იმერეთშიაც ისინი იძულების წესით მოითხოვდნენ გლეხთაგან ჯარებისათვის საჭირო სურსათს, ურმებს, ცხენებს, სამსახურს. იმერეთის გლეხობის ძველ ბატონყმურ უღელს ახლა კოლონიური ჩაგვრაც დაემატა. ბორგავდნენ მეფის მომხრე თავადაზნაურებიც, რომლებმაც ძველი პოლიტიკური უპირატესობა დაკარგეს. ამრიგად, ქვეყანაში საყოველთაო უკმაყოფილება შეიქნა და 1810 წ. ივნისში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის მებრძოლი სოლომონ II მეთაურობდა.

1810 წ. ზაფხულში იმერეთში რუსთა ჯარის წინააღმდეგ გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლას მეტად სახიფათო ხასიათი ჰქონდა. იგი დიდ საფრთხეს უქადდა მეფის რუსეთის ბატონობას საქართველოში.

რუსეთის მთავრობამ, სამეგრელოსა და გურიის მთავართა მიერ გამოყვანილი რაზმების დახმარებით, შეძლო აჯანყების ჩაქრობა და კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევა. სოლომონ მეფე ოსმალეთში დაიქცა. იმერეთში დამყარდა დროებითი მმართველობა, რომლის სათავეშიც რუსი მოხელეები ჩააყენეს.

ამრიგად, მეფის რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფოც, რომელიც საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დასაყრდენს წარმოადგენ-

და. სამაგიეროდ რუსეთმა თავისი მიზნებისათვის ხელსაყრელად სცნო დასავლეთ საქართველოში ცალკეულ მთავართა შეზღუდული ხელისუფლების შენარჩუნება, რადგან მისთვის ცხადი გახდა, რომ იმჯერად მთავრები ხელს შეუწყობდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში.

გურიის მთავარს, რომელიც 1804 წ. იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის მფარველობაში მიღებულად გამოაცხადეს, ახლა (1810 წ.) დამოუკიდებლად დაუდეს სამფარველო ხელშეკრულება. ამით დაუკმაყოფილეს პატივმოყვარეობა გურიელს, რომელიც დადიანთან შედარებით თავს დამცირებულად გრძნობდა, და მას შემდეგ იგიც მეფის რუსეთის ბრძანების მორჩილ შემსრულებლად გადააქციეს.

აფხაზეთის სამთავრო სახლი XIX ს. დამდეგიდანვე ხედავდა, რომ ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოში სულს ღაფავდა, ხოლო რუსეთი ძლევამოსილად მოიწევდა აქეთკენ. სამეგრელოს მთავრის მიბაძვით აფხაზეთის მთავარი, სულთანის ყმა ქელეშ-ბეგ შარვაშიძე, ახლა რუსეთის საფარველ ქვეშ ფიქრობდა თავისი პრივილეგიების დაცვას. რუსეთიც, თავის მხრივ, დიდად იყო დაინტერესებული აფხაზეთის ხელში ჩაგდებით. მაგრამ სოხუმში ოსმალთა საკმაოდ ძლიერი მეციხოვნე რაზმი იყო გამაგრებული და აფხაზეთის მშვიდობიანი გზით შემოერთება საძნელო ჩანდა. 1808 წლიდან აფხაზეთის რუსეთან შეერთების საქმის მოთავედ გამოდიოდა სამთავრო ხელისუფლების მემკვიდრე, გაქრისტიანებული გიორგი შარვაშიძე.

1810 წ. 10 ივლისს რუსთა რაზმებმა ფიცხელი ბრძოლით აიღეს სოხუმის ციხე. იმავე წლის ოქტომბერში დადიანისა და გურიელის მსგავსად მიღებულ იქნა რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზი და ქართველი ხალხების კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა-განმტკიცებისა და აფხაზი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისათვის. დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე შედეგების აღმოფხვრა და, საერთოდ, დასავლეთ კავკასიის მთიანეთიდან მათი განდევნის ხანა.

შემდეგში თანდათან მეფის რუსეთმა გააუქმა დასავლეთ

საქართველოს მთავრების ასეთი „დამოუკიდებლობაც" და მათი სამფლობელოები უშუალოდ შეუერთა იმპერიის მიწა-წყალს. 1828 წ. გააუქმეს გურიის სამთავრო, 1857 წ.— სამეგრელოს, 1857 — 1859 წლებში სვანეთის, ხოლო 1864 წ. — აფსაზეთის სამთავროები.

ამასობაში რუსეთი ოსმალეთთან და ირანთან ბრძოლაში კავკასიის ახალ-ახალ რაიონებს იერთებდა. ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ რუსეთმა განჯის სახანო შემოიერთა და უშუალოდ დაემუქრა ირანის ჩრდილო პროვინციებს. მალე დაიმორჩილეს აგრეთვე შაქისა და შუშის სახანოები აზერბაიჯანში. ირანის ჯარებთან შეტაკების შემდეგ 1806 წ. რუსეთის ჯარები ბაქოშიც შევიდნენ. რუსებთან ერთად ამ ბრძოლებში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ბევრი წარმატება იქნა მიღწეული ოსმალეთთან ბრძოლაშიც. რუსეთის ჯარებმა ქართველთა რაზმების აქტიური მონაწილეობით 1809 წ. 15 ნოემბერს აიღეს ქალაქი ფოთი, თუმცა 1812 წ. დადებული ზავით ფოთი კვლავ ოსმალეთს დარჩა; 1810—1811 წლებში ბრძოლები წარმოებდა ახალციხისა და ახალქალაქისათვისაც, მაგრამ აქაც ჯერჯერობით წარუმატებლად.

ოციან წლებში ბრძოლა ირანთან და ოსმალეთთან ახალი ძალით განახლდა.

რუსეთთან ომში დამარცხებული ირანი სამაგიეროს გადასასდელად ემზადებოდა. ირანს აქეზებდა და რუსეთის წინააღმდეგ საომრად ამზადებდა ინგლისი, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა რუსეთის ამიერკავკასიიდან გაძევებას. 1826 წ. ზაფხულში დაიწყო რუსეთ-ირანის ახალი ომი. მოულოდნელად შემოსულმა ირანელებმა დაიკავეს ყარაბაღი, განჯა, მიადგნენ ბაქოს და საქართველოში შემოჭრით საშიშროება შეუქმნეს თბილისსაც.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ამ ომშიაც რუსთა ჯარს ამოუდგა მხარში და მასთან ერთად ებრძოდა ირანელ დამპყრობლებს, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელურმა რეჟიმმა ბევრი სიმწარე აგემა გლეხობას.

ქართველ ხალხს იმდენად სძულდა ირანელი დამპყრობლები, რომ მან საკუთარი თაოსნობით, სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში, 6.000 მოხალისე გამოიყვანა. ეს რაზ-

მი და მასთან ერთად მრავალი ქართველი მეთაური (გენერალ-ლეიტენანტი გ. ერისთავი, პოლკოვნიკი ლ. სავარსამიძე, გ. ორბელიანი, ზ. ანდრონიკაშვილი და სხვები) წარმატებით მონაწილეობდნენ ომში, ფრონტის სხვადასხვა უბნებზე.

ქართველებმა თავი ისახელეს სომხეთის დედაქალაქ ერევნის განთავისუფლებისას 1827 წ. იმავე წლის 13 ოქტომბერს რუსთა რაზმებმა გენერალ გ. ერისთავის სარდლობით დაიკავეს სამხრეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქი თავრიზი.

თავრიზის აღებამ დააჩქარა ზავის დადება (1828 წ. 10 თებერვალს). ამ ზავის საფუძველზე რუსეთმა შემოიერთა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები და ამრიგად გაათავისუფლა ამ სახანოების სომხურ-აზერბაიჯანული მოსახლეობა ირანელთა ბატონობისაგან. მოძმე სომხური მოსახლეობის რუსეთთან შემოერთების შედეგად საქართველოს სამხრეთ საზღვრის ეს ნაწილიც უვნებელყოფილ იქნა.

მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა 1828 წ. დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომსაც — კერძოდ კავკასიის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლას, რომელზედაც ქართველობა დიდ იმედს ამყარებდა.

ოსმალეთთან 1806—1813 წწ. ომში „ახალციხის საფაშოს“ სახელით მონათლული ქართული მიწა-წყლის შემოერთების ცდები უშედეგოდ დასრულდა. ოსმალთა უღელ ქვეშ მგმინავი ქართველი მოსახლეობა კვლავ ოცნებობდა იმ ბედნიერ დღეზე, როცა ამ უღლისაგან განთავისუფლდებოდა და თავის ღვიძლ ძმებს შემოუერთდებოდა.

ახალციხის საფაშო წარმოადგენდა ოსმალეთის აგრესიის პლაცდარმს ამიერკავკასიაში. XIX ს. დამდეგიდან ახალციხე ანტირუსული საქმიანობის კერად იქცა. აქედან უკავშირდებოდა ოსმალეთი დაღესტნელ ერთმორწმუნე ფეოდალებს და აბრაგთა რაზმებს, რომლებსაც საქართველოს უსევდა. აქედანვე მყარდებოდა კავშირი ჭარელ აბრაგთა საბუდართან. ჭარში მოკალათებული აბრაგები კი, ოსმალებთან შეთანხმებით, ზურგიდან ურტყამდნენ ქართლ-კახეთს და იქ განლაგებულ რუსთა ჯარებს.

ქართველობა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დიდი ენთუზიაზმით ჩაება და კვლავ წარმატებით იბრძოდა თავისი მიწა-წყლის შემოერთებისათვის.

რუსთა რაზმების მიერ ყარსის აღების შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებითაც. 1828 წ. 24 ივლისს აღებულ იქნა ახალქალაქი, სოლო 16 აგვისტოს, ქართველთა რაზმების ენერგიული მონაწილეობით — ქ. ახალციხეც. იმავე დროს რუსთა რაზმებმა გენერალ ალ. ჭავჭავაძის სარდლობით დაიპყრეს ბაიაზეთის საფაშოც.

ახალციხე-ახალქალაქის აღებამ საქართველოში ნამდვილი ზეიმი გამოიწვია. თანამედროვეთა გადმოცემით, „უდიდესმა აღტაცებამ მოიცვა მთელი მოსახლეობა", „ახალციხის აღება იყო საქართველოს სახალხო დღესასწაული... საქართველო ზეიმობდა დიდი ხნის წინათ დაკარგული... ახალციხის დაბრუნებას თავის მშობლიურ წიაღში". ასე უყურებდა ქართველი ხალხი რუსეთის მფლობელობაში საქართველოს ტერიტორიათა გაერთიანებას.

1828 წ. ქართველმა რაზმებმა, ისევე როგორც 1809 წ., გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქ. ფოთისათვის ბრძოლაში. ფოთი აღებულ იქნა 15 ივლისს. ამის შემდეგ ქართულ-რუსულმა რაზმებმა ქობულეთ-ბათუმის მიმართულებითაც შეუტიეს მტერს. რუსებთან ერთად მარტო დასავლეთ საქართველოდან იბრძოდა 6 ათასი ქართველი. მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, იმჯერად ქობულეთ-აჭარის განთავისუფლება ვერ მოხერხდა.

ამ ომში მონაწილე ჯარის სურსათით მომარაგების მთელი სიმძიმე კვლავ ქართველ ხალხს აწვა კისრად. „შეიძლება თამამად ითქვას, — წერდა დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი, — რომ 1825 წლიდან დღემდე (1828 წ. სექტემბერი) საქართველომ პურით, სასაპალნე და შესაბმელი პირუტყვით, მეხრეებითა და ა. შ. საერთო ანგარიშით, მეტი დახარჯვა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამას შეძლებდა რუსეთის რომელიმე ყველაზე უფრო ღონიერი ოლქი, მაშინ როცა სივრცითა და მოსახლეობით იგი ველიკორუსული გუბერნიის მხოლოდ სამ მაზრას თუ უდრის". 1827—1831 წლებში საქართველომ გაიღო რუსთა რაზმებისათვის საჭირო პურის 40,3%, ბურღულის 46,2%. ქერის 76% და თივა-ჩალის 96,5%. იმ დროს აქ მყოფი ჯარის რაოდენობა კი 20 ათას კაცს აღემატებოდა. სამაგიეროდ, ქართველი ხალხის მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

1829 წ. სექტემბერში ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით რუსეთმა, სხვა წარმატებასთან ერთად, შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი და აგრეთვე ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხისა, ახალქალაქისა, ასპინძისა, აწყურისა, ხერთვისისა, ქვაბლიანისა, აბასთუმნისა, ჭაჭარაქისა, ფოცხოვისა და ჩილდირისა. მაგრამ ეს მაინც მცირე ნაწილი იყო იმ დიდი მიწა-წყლისა, რომელიც ოსმალეთმა საქართველოს XVI საუკუნეში წაგლიჯა.

1829 წ. ზავმა დაადასტურა მეფის რუსეთის ბატონობის განმტკიცება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ოსმალეთი საბოლოოდ განიდევნა მდ. ყუბანსა და მდ. ჩოლოქს შუა მდებარე სანაპიროდან. ოსმალეთის სახელმწიფო ძველებურად უკვე ვეღარ დაემუქრებოდა კავკასიის ხალხებს.

ომის დასრულების შემდეგ, 1830 წ., რუსთა და ქართველთა რაზმებმა საბოლოოდ შემოიერთეს ჭარ-ბელაქანი, სადაც აგრეთვე რუსული მმართველობა გავრცელდა. ამით ბოლო მოეღო ჭარის გზით დაღესტნელი ფეოდალების მტაცებლურ თავდასხმას ქართლ-კახეთზე. ჭარ-ბელაქანში რუსეთის მთავრობამ დიდად შეამსუბუქა ლეკური მუსლიმანური ზედაფენის მიერ დამონებული ქართველი ტომის, ინგილოების მდგომარეობა. მათ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დღიდან გასული თითქმის მესამედი საუკუნის მანძილზე საქართველოს მიწა-წყალი და ქართველობა ძირითადად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. გაირღვა საქართველოს მტრული გარემოცვა და, უდიდესი მსხვერპლის ფასად, ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გამოვიდა მშვიდობიანი განვითარების გზაზე. საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი მოვლენები საუკეთესოდ გაიაზრა გენიალურმა ქართველმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა, რომელიც თავის ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“ — ამბობდა:

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა.
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყინება.
შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოუვიგვრიან მრავლის მხრით ჩვენთა მოძმეთა“.

§ 90. ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მე-19 ს. პირველ მესამედში

ა) ეკონომიკური ვითარება

მე-19 ს. 1 მესამედში საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების სანგრძლივ პერიოდს თან სდევდა გაუთავებელი ომები, საშინაო მღელვარება და სტიქიური უბედურება, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. სოფლის მეურნეობა, უწინდებურად ფეოდალურ ბატონყმური ურთიერთობისა და საშინაო თუ საგარეო გართულების მძიმე ვითარების გამო, ვერ წინაურდებოდა. მებატონეთა ძალადობა, რუს მოხელეთა თვითნებობა, ეგზეკუციები, სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარა, მოთარეშე აბრაგთა რაზმების განუწყვეტელი შემოსევა და გაუთავებელ ომიანობასთან დაკავშირებული მთელი საშინელება ერთობ აუტანელს ხდიდა გლეხთა ცხოვრებას და მათ ნორმალური შრომითი მოღვაწეობის საშუალებას არ აძლევდა.

საქართველოში მოსულ რუსთა რაზმების მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებდა ის პური, რომელსაც გლესები ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ბეგარად უხდიდნენ. ამიტომაც იყო, რომ სასურსათო ბეგარის მოკრებას თან სდევდა თვითმყრობელობის მოხელეთა გაუგონარი ძალადობა და თავხედობა. 1801—1805 წლებში ქართლ-კახეთში მოიკრიბა 13 ათასამდე ჩეტვერტი (ჩეტვერტი 7-ოდე ფუთს უდრიდა) პური, ხოლო რეკვიზიციის წესით მოსახლეობას წაართვეს 190 ათასი ჩეტვერტი და რუსეთიდან კი 54.580 ჩეტვერტი შემოზიდეს. რაც დრო გადიოდა და საქართველოში რუსის ჯარის რიცხვი მრავლდებოდა, მით უფრო იზრდებოდა როგორც საბეგრო, ისე სარეკვიზიციო პურის რაოდენობა, ხოლო ჩვენში პურის წარმოება კი ძალზე მცირედ მატულობდა. მწარმოებელ გლეხს თავის სარჩენად აუცილებელ მინიმუმსაც კი არ უტოვებდნენ.

მე-19 ს. პირველ მესამედში ვერც მევენახეობა-მებაღეობა განვითარდა ჯეროვნად და ვერც სოფლის მეურნეობის

სხვა დარგები. მეღვინეობის ძირითადი მხარე იყო კახეთი. კახური ღვინო ძველთაგანვე ფართო საშინაო და საგარეო ვაჭრობის საგანი იყო. მაგრამ იმხანად პურის მოთხოვნილების ზრდამ და ღვინის ბაზრის შესუსტებამ ეს მაღალი სამეურნეო კულტურა დააქვეითა.

ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა მრეწველობაც, რომელსაც XVIII ს. მეორე ნახევართან შედარებით ნაწილობრივ დაქვეითებაც კი დაეტყო. იგი ჯერ კიდევ შინამრეწველობით, ხელოსნობითა და თითო-ოროლა საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებით იყო წარმოდგენილი. ახალი მთავრობა ნაკლებ, ან თითქმის სრულიადაც არ ზრუნავდა საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის. მას მსოლოდ სოფლის მეურნეობის ნაწარმი და ისეთი ნედლეული აინტერესებდა, რომელიც რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს გამოადგებოდა.

მე-19 ს. პირველ მესამედში საქართველოს მრეწველობაში წარმოების მარტივი ფორმები იყო გაბატონებული. ასეთი იყო შინამრეწველობა და ხელოსნობა.

საქალაქო მოსახლეობის ძირითად მასას იმ დროს ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ თავისუფალნიც (მოქალაქეები) და არათავისუფალნიც. თავისუფალთა რიცხვი ჯერ კიდევ ძალზე მცირე იყო, მაგრამ თანდათანობით კი იზრდებოდა.

გამონაკლის შემთხვევებში, ქალაქებში ცდილობდნენ კაპიტალისტური წარმოების დანერგვას, მაგრამ, ბატონყმური წყობილების სიმტკიცის გამო ასეთი ცდები ჯერ კიდევ ვერ აღწევდნენ მიზანს.

მიუხედავად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების შეფერხებისა, მე-19 ს. პირველ ათეულ წლებში, მტრული გარემოცვის გარღვევის შედეგად, შემზადდა სათანადო ხელისშემწყობი პირობები მომავალი სამეურნეო წინსვლისათვის.

20-იანი წლებიდან ჩვენში შესამჩნევი გახდა საქალაქო ცხოვრების შედარებითი განვითარება. ყველაზე ადრე ეს დაეტყო თბილისს, რომელიც იმავე ხანაში არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრადაც იქცა. მე-19 ს. დამდეგიდან ვიდრე 1826 წლამდე ქალაქის მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია იმავე დონეს, რო-

მელზედაც იგი მე-18 ს. 80-იან წლებში იყო (20.857 სული). თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და სხვა ქალაქების განვითარებას ხელი შეუწყო 20-იანი წლებიდან ვაჭრობის გამოცოცხლებამ.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა საქართველო ევროპას მოსწყვიტეს და შავი ზღვა ჩაკეტეს, ხოლო ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონდა, საქართველოშიც ოსმალეთ-ირანის სავაჭრო მონოპოლია დამყარდა. ევროპული საქონელიც აქ ირან-ოსმალეთის გზით თუ შემოვიდოდა. XIX ს. პირველი 20 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ შეძლო ამიერკავკასიის ბაზრის მომარაგება პირველი მოთხოვნილების საგნებით და საქართველოს ბაზარსაც კვლავ აღნიშნული ქვეყნებიდან შემოსული საქონელი ავსებდა. ფულის ნიშნებიც სხვადასხვაგვარი იყო.

მიუხედავად ამისა, რუსეთმა მაინც შეუწყო ხელი ჩვენში ვაჭრობის განვითარებას და ბაზრის დასაპყრობად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. აქ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარება და საკუთრების დაცვის გარანტიის შექმნა ფართო პერსპექტივებს შლიდა ამ მიმართულებით. განვითარდა საგზაო მშენებლობაც, რომელსაც უკვე მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა როდიღა ენიჭებოდა. გამოიყო რაზმები სავაჭრო-საქარავნო გზების დასაცავად. გადაიდგა ნაბიჯები შინაფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციისათვის, დამყარდა საფოსტო კავშირი რუსეთის ცენტრალურ ქალაქებთან.

საშინაო ბაზრის შედარებით ზრდას ხელი შეუწყო საქართველოში რუსთა რაზმების ჩაყენებამ. ჯარის მომარაგების საჭიროება ადგილობრივი ვაჭრებისათვის ხელსაყრელი შეიქნა. ვაჭარ-მევახშეები ძველებურად სისხლს სწოვდნენ წვრილ მწარმოებლებს, მათგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ და ძვირად ჰყიდნენ მათ პროდუქციას.

ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული საქონელი ჯერ კიდევ ძალზე მცირე როლს თამაშობდა. ამას შედეგად მოსდევდა მმართველობისა და აქ განლაგებული ჯარის შესანახავად გამოყოფილი ფულის ნიშნების გადინება ირან-ოსმალეთში. ეს კი დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ახლო აღმოსავლეთში, რომლის ბაზარი იმ დროს

იწგლისს ეპყრა ხელთ. ამიტომ რუსეთის მთავრობა სერიოზულად ფიქრობდა, საქართველო-ამიერკავკასიაში გაეხსნა გზა ფრანგულ-გერმანული საქონლისათვის და ამით შეესუსტებინა ყარს-არზრუმის გზით მომავალი ტრანზიტი, რომელიც ინგლისის ხელთ იყო. გარდა ამისა, რუსეთის მაშინდელი მესვეურები ფიქრობდნენ ამიერკავკასიაში თავიანთი მფლობელობის განმტკიცებაზე, რაც იმ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა, თუ მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ მაინც არ შემსუბუქდებოდა. ყველა ამის გამო საჭიროდ მიიჩნიეს უცხოურ საქონელზე 10 წლის ვადით ბაჟის ძლიერ შემცირება. ამასთანავე ნებადართულ იქნა ევროპული საქონლის უბაჟოდ ზიდვა ამიერკავკასიის გზით ირანისაკენ. ეს ღონისძიება განხორციელდა 1822 წ. 1 ივლისიდან.

დაიწყო უცხოური იაფი საქონლის მრავლად შემოზიდვა საქართველოში. ევროპული საქონელი მოჰქონდათ ყულევში, აქედან ცივის არხის მეშვეობით ამოჰქონდათ მდ. რიონამდე, სოლო შემდეგ — რიონს ამოღმა, ვიდრე სოფ. ორპირამდე. აქედან კი იწყებოდა სასმელეთო გზა, თბილის-ბაქოსაკენ და უფრო შორსაც მიმავალი.

შეღავათიანმა და თითქმის თავისუფალმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო ადგილობრივი ვაჭრების გამდიდრებას. მათ ხელში დაგროვდა ფულადი კაპიტალი, რომელიც საერთოდ წარმოადგენს წარმოების ახალი წესის გაჩენის ერთ-ერთ პირობას. მაგრამ ეს ვაჭრები უმთავრესად უცხოურ საქონელს ასაღებდნენ და ნაკლებ უწყობდნენ ხელს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების, მისი ეკონომიკური წინსვლის საქმეს. გარდა ამისა, საგრძნობლად შესუსტდა ქართველ ვაჭართა კავშირი რუსეთის ცნობილ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზართან. ამან კი რუსეთის ბურჟუაზიის უკმაყოფილებაც გამოიწვია. ამიტომ შეღავათიანი ბაჟით ვაჭრობა ვადამდე ერთი წლით ადრე შეწყდა. რუსეთის მთავრობა საკუთარი ბურჟუაზიის მფარველობის გზას დაადგა. მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა რუსული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად უნდა გადაქცეულიყო.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, შეღავათიანმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას ჩვენ ქვეყანაში.

ბ) ცვლილებები საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების მდგომარეობაში

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რუსეთში ფეოდალ-მემამულეებს არ ჰქონდათ ისეთი დიდი პრივილეგიები, როგორც ქართველ თავადებს. რუსეთის ფეოდალები თავიანთ მამულებში მხოლოდ სამეურნეო დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ისინი პასუხს აგებდნენ მთავრობის წინაშე, რომ მათ გლეხებს დროულად და წესიერად შეესრულებინათ სახელმწიფო ვალდებულება. თავის მხრივ სახელმწიფო იცავდა მემამულეთა საკუთრებასა და უფლებას მათ მიწებსა და ყმა გლეხებზე, აიძულებდა გლეხებს, რომ მებატონეთა მონურად მორჩილნი ყოფილიყვნენ. ქართველ თავადებს კი თავიანთ სათავადოებში სამემკვიდრეო მართვა-გამგეობისა და სამართლის უფლება ჰქონდათ. ამასთანავე, მათ განკარგულებაში იყო ყმა გლეხთა იძულებით დამორჩილების აპარატი.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო ვერ შეურიგდებოდა ნახევრად სელმწიფური უფლებებით აღჭურვილი თავადების არსებობას საქართველოში. ამიტომ მან იმთავითვე გამოუთხარა ძირი ქართლ-კახეთის სათავადოებს. დაიწყო ქართველი თავადების გადაქცევა რუსული ტიპის მემამულეებად („პომეშჩიკებად"). თავადებმა ჯერ საქვეყნო მართვა-გამგეობის სამემკვიდრო პრივილეგიები დაკარგეს. ხოლო შემდეგ, უფრო გვიან — აზნაურებზე ბატონობის უფლება. ეს პროცესი გრძელდებოდა მე-19 ს. მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში.

პროგრესულ ზემოქმედებასთან ერთად რუსეთის სახელმწიფომ ჩვენში უაღრესად გააძლიერა მებატონეზე ყმის პირადი დამოკიდებულება. რუსეთის სახელმწიფო ბატონყმობას იცავდა, ძლიერი მთავრობა ახლა უწინდელზე გაცილებით უფრო მეტად იმონებდა მშრომელ მასებს. 1807 წ. კანონით ქართველ მემამულეებს უფლება მიეცათ საკუთარ გლეხებს შორის აღმოცენებული სამოქალაქო საჩივრები განეხილათ. 1832 წ. მთავრობამ ყმათა ფლობა მხოლოდ თავადაზნაურთა პრივილეგიად სცნო (მანამდე საქართველოში ყმები ჰყავდათ ვაჭრებსაც, მოქალაქეებსაც და გლეხებსაც კი). მათ უფლება

ცენიჭათ, დამნაშავე ყმები ჩრდილო კავკასიაში გადაესახლებინათ.

მე-19 ს. პირველ მესამედში რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთში შექმნა თავადაზნაურთაგან განსხვავებული, პრივილეგირებული საზოგადოებრივი ჯგუფი — სასულიერო წოდება. წინათ მაღალ სამღვდელო პირებად თავადები და აზნაურები იყვნენ, სოფლის დაბალი სამღვდელოება კი ყმა გლეხთა ბანაკს ეკუთვნოდა და თითქმის ისეთსავე ჩაგვრას განიცდიდა, როგორსაც სხვა გლესები. 1808 წ. 7 ივლისის კანონით დაბალი სამღვდელოება განთავისუფლდა ბატონყმური ექსპლუატაციისაგან. 20—40-იან წლებში ეს ღონისძიება დასავლეთ საქართველოშიაც გატარდა. ამრიგად, მეფის მთავრობამ სასულიერო წოდების შექმნით ახალი და საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი გაიჩინა.

საქართველოში რუსეთის გაბატონებასთან დაკავშირებით გლეხთა ცხოვრებაშიაც მოხდა ცვლილება. უპირველეს ყოვლისა, გამწვავდა მათი ექსპლუატაცია. ძველ საბატონყმო ბეგარა-გადასახადებს ზედ დაერთო ვალდებულება ახალი მმართველობისადმი. როგორც ზემოთ ითქვა, მეფის რუსეთის მოხელეები ოდნავაც არ უწევდნენ ანგარიშს გლეხთა ქონებრივ შემძლეობას და შეუძლებელს მოითხოვდნენ მათგან.

მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია არა მარტო ექსპლუატაციის გაძლიერებამ, არამედ აგრეთვე მეფის რუსეთის მიერ დამყარებულმა ეროვნულმა ჩაგვრამ. უცხო მოხელეები აბუჩად იგდებდნენ მათ მრავალსაუკუნოვან კულტურულ ტრადიციებს.

გლეხები თავიანთ ბატონებს სამგვარ ბეგარა-გადასახადს უხდიდნენ: შრომით, ნატურალურსა და ფულად ბეგარას. დანარჩენებს ჭარბობდა ნატურალური ბეგარა. ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განუვითარებლობის გამო ფულადი ბეგარა ჯერ კიდევ მცირე იყო.

საერთოდ ყმა გლეხებს მცირემიწიანობა ახასიათებდათ. აღმოსავლეთ საქართველოს საბატონო გლეხთა ყოველ კომლზე საშუალოდ 3,5 დესეტინა მოდიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — არა უმეტეს 2,5-სა. დიდად იყო დარღვეული პროპორცია მებატონეებსა და გლეხებს შორის. ქართლ-კახეთ-

ში ყოველ მებატონე კომლზე დაასლოებით 9 კომლი გლეხი მოდიოდა, დასავლეთ საქართველოში კი — 5-6. ამიტომ დასავლეთში ყმათა ჩაგვრას უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლეთში.

ესპლუატაციის გაძლიერებას გლეხები კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმით უპასუხებდნენ. ბრძოლის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იმ დროს ბატონისაგან გაქცევა იყო. გლეხები „ცუდ" მებატონეებს გაურბოდნენ და „კარგებთან" მიდიოდნენ, ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდნენ. სშირი იყო გლეხთა გამოქცევა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში. გარდა ამისა, გლეხები უჩიოდნენ მოძალადე ბატონებს და უარს აცხადებდნენ ყმური მოვალეობის შესრულებაზე.

მაგრამ გლეხები უფრო აქტიურადაც იბრძოდნენ. წინანდელთან შედარებით გახშირდა ყმათა მიერ ავი ბატონების დახოცვისა და ყაჩაღად გავარდნის შემთხვევები.

გ) გლეხთა აჯანყებები მე-19 ს. პირველ მესამედში.

მე-19 ს. პირველ მესამედში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მაჩვენებელი იყო ის რამდენიმე აჯანყებაც, რომელიც ამ დროს მოხდა. გლეხები კოლონიურ რეჟიმს ებრძოდნენ და იმ წყობილებასაც უცხადებდნენ პროტესტს, რომელიც ისე თავგამოდებით იცავდა ბატონყმობას, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. მაგრამ გლეხები სტიქიურად იბრძოდნენ და, კლასობრივი შეუგნებლობის გამო, მიზანს ვერ აღწევდნენ.

აჯანყება ქართლის მთიანეთში 1804 წ. აღმოსავლეთ ქართლის მთიანეთს შეადგენდა მთიულეთი, გუდამაყარი, თრუსო, ხანდო და ჭართალი, ქსნისა და არაგვის ზემო ხეობები, რომლებიც რუსული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ჯერ დუშეთის მაზრაში შედიოდნენ, ხოლო 1803 წლიდან — ანანურის მაზრაში.

ამ მთიელთა სოციალური ცხოვრება არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც ბარის მოსახლეობისა. მთაში შემორჩენილი იყო ძველი გვაროვნულ-თემური წყობილების ნაშ-

თები. ქართველ მეფეთა დროს მთიელები სახელმწიფო გლეხთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, ნახევრად თავისუფალ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ და მსუბუქადაც იბეგრებოდნენ.

რუსული რეჟიმის დამყარება, მიუხედავად მისი უარყოფითი მხარეებისა, მთიელებს უფრო აახლოვებდა საქართველოს ცენტრებთან, ხელს უწყობდა მთაში არსებული დრომოჭმული წეს-ჩვეულების რღვევას და მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას. მაგრამ ეს სდებოდა მშრომელთა ჩაგვრის გაძლიერება-გამწვავების ხარჯზე. ახალი მთავრობა მთიელთაგან ზოგჯერ ფულად მოითხოვდა იმ გადასახადებს, რომლებსაც ისინი წინათ ნატურით ისდიდნენ. მათ კი აქ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განუვითარებლობის გამო, ფული იშვიათად თუ მოეპოვებოდათ. განსაკუთრებით გაუარესდა იმ კუთხეების მდგომარეობა, რომლებიც დარიალის გზის გასწვრივ მდებარეობდნენ (მთიულეთი, ჭართალი, ხანდო, სევი). დარიალის სამხედრო გზა კი იმ დროს ერთადერთი იყო, რომლითაც საქართველო რუსეთს უკავშირდებოდა. ამ გზაზე მიმომავალი რუსთა რაზმებისათვის მთავრობა მოსახლეობისაგან გზის ხშირად შეკეთებას, ტრანსპორტისა და სურსათის მიწოდებას და კიდევ არაერთ სხვა სამსახურს მოითხოვდა.

მთის მოსახლეობა ვერ აუდიოდა მთავრობის მოხელეთა მოთხოვნილებას. მოხელეები კი ძალმომრეობდნენ. სცემდნენ გლეხებს და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ ოჯახებს. ზამთრის სუსხიან ამინდში მათ გზის გასაწმენდად ერეკებოდნენ. თოვლში მუშაობის დროს ჩამოწოლილმა ზვავმა 4 კაცი მოკლა. მარტო მთიულეთში მეფის რუსეთის მოხელეებმა ცემით მოკლეს 23 კაცი. იყო შემთხვევა, როცა ხარების მაგიერ უღელში დედაკაცები შეუბამთ.

არაგვის ხეობის აჯანყებული გლეხები აღნიშნავდნენ, რომ წინათ ისინი „ღმერთსა სთხოვდნენ“ საქართველოში რუსთა ჯარის გაძლიერებას, ახლა კი სიკვდილს ნატრულობენ და თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად თავების დასოცვა გადაწყვიტეს, რადგან მათ მეფის რუსეთის ჯარის გამკლავება არ შეუძლიათ. „ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესო საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, ასე დავიხოცნეთო“.

1804 წ. მთიანეთის აჯანყება დარიალის სამხედრო გზის შეკეთებაზე მომუშავე გლეხებში დაიწყო.

მთიელთა აჯანყება საქართველოში მეფის რუსეთის მთავრობისათვის უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში მოხდა. აქ მყოფი რაზმები ფაქტიურად უკვე ჩაბმული იყვნენ ირანთან ომში. მთავარსარდალი ციციანოვი რუსის ჯარის ძირითადი ნაწილით ერევნის ციხის ასაღებად იბრძოდა. გართულებული მდგომარეობით ისარგებლეს ტახტისათვის მებრძოლმა, იმერეთში გადასვეწილმა ბატონიშვილებმა, ქართლში გადმოვიდნენ და სცადეს გლეხთა აჯანყების გამოყენება თავიანთი მიზნებისათვის. კავშირი გააბეს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან. ბატონიშვილები და მათი მომხრე ფეოდალები აჯანყებულებს ვითომდა მხსნელთა როლში მოევლინენ. ამრიგად, მთიელი გლეხების ბრძოლა ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსთა რაზმების განდევნისა და ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლად გადაიქცა.

ივლის-აგვისტოში აჯანყება გაფართოვდა. აჯანყებულებმა ჩაკეტეს რუსეთთან დამაკავშირებელი დარიალის გზა. აჯანყება მოედო ოსეთს, ფშავ-ხევსურეთს, ბარის ზოგ კუთხეს და კახეთის ფეოდალთა ერთ ნაწილსაც. მთიანეთში მსხვერპლი დიდი იყო. რუსთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, ანადგურებდნენ და სწვავდნენ მათ სოფლებს. აჯანყებულმა ოსებმა მთლიანად მოსპეს როკის უღელტეხილით ლიახვის ხეობაში (სოფ. ჯავასა და კოშკთან) გადმოსული რუსთა ახალი პოლკი. საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობას დიდი საფრთხე შეექმნა. ამასობაში მთავარსარდალი ციციანოვი იძულებული გახდა ერევნისათვის ალყა მოეხსნა. ახლა მან თავისი რაზმები აჯანყებული მთიანეთისაკენ დაძრა.

1804 წ. ოქტომბერში ციციანოვმა აჯანყება ჩააქრო. შეიპყრეს და დასაჯეს აჯანყების 73 მოთავე და წამქეზებელი. აჯანყების შედეგად მეფის მთავრობა იძულებული გახდა ხარკისა და სამხედრო გზაზე მუშაობისათვის სათანადო ქირა დაეწესებინა.

აჯანყება კახეთში 1812 წ. კახეთის აჯანყება თითქმის ისეთივე მიზეზმა გამოიწვია, რაც 1804 წ. მთიანეთის აჯანყება. ახალი აქ ის იყო, რომ ირან-ოსმალეთთან ომის

დროს უწევულო მოუსავლობის, შიმშილობისა და შავი ჭირის ვითარებაში მეფის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ გლეხებს. ისინი ოდნავაც არ უწევდნენ ანგარიშს ხალხის ქონებრივ შემძლეობას: სურსათი ძალით, რეკვიზიციის წესით მიჰქონდათ, „ურჩ“ სოფლებსა და გლეხებს უყენებდნენ ჯარის ნაწილებს, რომლებიც მათ უნდა ერჩინათ, სოლო თავხედი ოფიცრები მადლობის ნაცვლად შეურაცხყოფდნენ გლეხთა ოჯახებს.

კახეთის სოფლებიდან გამუდმებით გამოჰყავდათ ურმები და ცხენები თავიანთი მხლებლებითურთ. საერთოდ, ქართლ-კახეთს წელიწადში 112 ათასზე მეტი ურემი გამოჰყავდა. ომის დროს სურსათისა და საჭურვლის გადასაზიდად ურმებსა და ხარ-კამეჩებს უსასყიდლოდ ერეკებოდნენ შორეულ გზებზე — ფოთში, ახალციხეში, სომხეთში, ირანში. ურმებიც იმტვრეოდა და საქონელიც იღუპებოდა, გლეხი კარგავდა წარმოების იარაღს, დიდძალ დროს, შრომის უნარსა და ხალისს.

სასოწარკვეთილსა და საბრძოლველად განწყობილ გლეხებს ვითომცდა „მფარველთა“ როლში ევლინებოდნენ მათივე კლასობრივი მჩაგვრელები და მტრები, ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც აგრეთვე უკმაყოფილო იყვნენ — უმთავრესად ძველი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვით. მაგრამ თუ მოძრაობის დასაწყისში მოწინააღმდეგე კლასთა ინტერესები რამდენადმე დაემთხვა ერთიმეორეს, ეს იყო დროებით, რადგან მათ შორის არსებული კლასობრივი შუღლი და გლეხთა ანტიბატონყმური მისწრაფება მოძრაობის განვითარების ბოლო საფეხურზე ფეოდალებს კვლავ ცარიზმის ბანაკისკენ ერეკებოდა.

ფეოდალებს სურდათ, რომ გლესთა ბრძოლის გამოყენებით განეხორციელებინათ თავიანთი რეაქციული მიზანი — ძველი თავადური, პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს ადგენა, გლეხთა შეუგნებელი და სტიქიური ბრძოლა კი მიმართული იყო არსებული სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხები იბრძოდნენ უკეთესი ხელისუფლებისათვის, „უკეთესი მეფისათვის“, რომელიც მათ მდგომარეობას შეუმსუბუქებდა და აღნიშნული ჩაგვრისაგან დაიხსნიდა.

აჯანყება დაიწყო 1812 წ. 31 იანვარს, სოფ. ახმეტაში. გლე-

სებმა განდევნეს სოფელში სურსათის შესაკრებად მისული რაზმი, თებერვალში აჯანყება მთელ კასეთს მოედო და ქართლის მთიანეთშიაც გავრცელდა. კასეთის სოფლებში სისხლისმღვრელი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყებულები შურს იძიებდნენ მათ შეურაცხმყოფელ ოფიცრებზე და გულქვა მოხელეებზე, მაგრამ გარკვეული სიმპათიით ეკცეოდნენ რიგითს ჯარისკაცებს და ისეთ მოხელეებს, რომლებიც მათ ადრე თანაუგრძნობდნენ. გლეხებმა ალყა შემოარტყეს თელავის, ყარაღაჯის, ქოდალოსა და სხვა სიმაგრეებს; აიღეს თელავი და სიღნაღი; გაანაგურეს რუსთა საპოლკო შტაბები, გაძარცვეს და დასწვეს მათი საღგომები, დიდი იყო მსხვერპლიც, 6 თებერვალს ს. ბოდბისსევთან შეტაკებაში 200-ზე მეტი კაცი დაიხოცა.

აჯანყებულები დაუკავშირდნენ ტასტისათვის მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ირანში იმყოფებოდა და მაშველი ლაშქრით კასეთში შემოსვლას აპირებდა. მეორე მხრივ თანდათანობით თავი იჩინა კლასობრივმა შუღლმა მებატონეებსა და გლეხებს შორის. აჯანყებულმა გლეხებმა მთავრობის მომხრე ფეოდალთა სახლკარის დარბევაც იწყეს. მერყევი და თავგანწირვას უჩვეულო ფეოდალები მოძრაობას შორდებოდნენ და მთავრობის მომსრეთა ბანაკში გადადიოდნენ. მარტის დასაწყისში ცალკეულ ჯგუფებად მებრძოლი აჯანყებულები უკვე მარცხდებოდნენ.

იმ დროს საქართველოს მთავარსარდლად დანიშნული იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი იტალიელი მარკიზი პაულუჩი, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩაქრობას. მან პირველმა ამართა სახრჩობელები კასეთის სოფლებში. ჩამოხრჩობილ გლეხთა რაოდენობა 13 უდრიდა, ხოლო მოკლულებისა — 520. დიდი ზარალი განიცადეს დამსჯელმა რაზმებმაც, რომლებმაც მოკლულ-დაჭრილთა სახით 1.140 კაცი დაჰკარგეს. 1812 წ. 10 მარტისათვის კახეთი „დამშვიდებულ“ იქნა.

1812 წ. აჯანყება წარმოადგენდა გრანდიოზულ გამოსვლას კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი სოციალური მონობის წინააღმდეგაც იყო მიმართული — იმდენად, რამდენადაც ცარიზმი სოციალურ ჩაგვრასაც ახორციელებდა.

აჯანყება იმერეთსა და გურიაში 1819—1820

წწ. 1811 წ. მეფის რუსეთმა მოუსპო დამოუკიდებლობა ქართულ ეკლესიას და ქართლის კათალიკოსის ხელისუფლება გააუქმა. ქართული ეკლესია, რომლის მეთაურად „საქართველოს ეგზარქოსი" დაინიშნა, რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. 1817 წლიდან დაწესდა, რომ სიონის საკათედრო ტაძარში კვირაში სამჯერ წირვა-ლოცვა რუსულად უნდა ყოფილიყო. ეს ცარიზმის პოლიტიკას, მკვიდრთა გარუსების მიზანს ემსახურებოდა.

საქართველოში მეფის ხელისუფლების არსებობის დროს ეკლესია-მონასტრები ყმა-მამულებს ფლობდნენ და მაღალი სამღვდელოება საეკლესიო ყმათაგან მოკრებილი ბეგარა-გადასახადით ცხოვრობდა. ახალი საეკლესიო რეჟიმის მიხედვით კი ეკლესიის მამულები სახაზინო მართვა-გამგეობაში უნდა გადასულიყო, ხოლო სასულიერო პირებს ჯამაგირი ენიშნებოდათ. ამრიგად, თანდათანობით ირღვეოდა ქართული საეკლესიო-ფეოდალური ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში. მსგავსი ცვლილება უნდა ჩაეტარებინათ დასავლეთ საქართველოშიაც. 1819 წ. ივნისში კიდევაც შეუდგნენ იმერეთში საეკლესიო ყმა-მამულების აღწერას.

იმერეთის ეკლესიაში გაბატონებული ფენები, რომლებიც ძველ პრივილეგიებს კარგავდნენ, მტრულად შეხვდნენ აღნიშნულ რეფორმას. მათ შეუერთდნენ ცარიზმის რეჟიმით საერთოდ უკმაყოფილო თავადები. მღვდელებმა და თავადებმა მოიმხრეს გაწამებული გლეხებიც, რომლებმაც მთავრობის ამ ღონისძიებაში დაინახეს თავიანთი ისედაც ბეჩავი და აუტანელი მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება. გლეხებმა გარეკეს ჭონების აღსაწერად მოსული მოხელეები, უკმაყოფილება სწრაფად გავრცელდა. დაიწყო აჯანყება.

ამ აჯანყების დასაწყისშიაც, ისევე როგორც წინა აჯანყებათა დროს, მოხდა გაბატონებული და დამონებული კლასების დროებითი გაერთიანება საერთო ამოცანებისათვის ბრძოლაში.

აჯანყება დაიწყო, როგორც მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის სტიქიური გამოვლინება, განვითარების შემდგომ საფეხურზე კი იგი იქცა გლეხთა ანტიბატონყმურ ბრძოლად. რაც შეეხება ფეოდალებს, ისინი მხოლოდ ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ და თავიანთი ძვე-

ლი პრივილეგიური მდგომარეობის აღსადგენად იბრძოდნენ. მათ სურდათ იმერეთში ქართველი მეფის სელისუფლების აღდგენა.

მეფის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება. აჯანყებულთა სოფლები გაანადგურეს და დასწვეს; ბაღ-ვენახები გაჩეხეს და ძირფესვიანად მოთხარეს; აჯანყებული მოსახლეობა ისე დასაჯეს, რომ თვით კავკასიის მთავარსარდლის გენ. ერმოლოვის სიტყვით, ისინი „კიდევ ბევრ წელიწადს ვერ აღიდგენდნენ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მათი სასჯელი“.

§ 91. მმართველობის სისტემა. კოლონიური ჩაგვრა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ნაბიჯები

რუსეთი XIX ს. დამდეგს წარმოადგენდა ვრცელ იმპერიას, რომელსაც ეკავა მთელი აღმოსავლეთი ევროპა და აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. მისი მოსახლეობა მაშინ 40 მილიონს — მთელი ევროპის მოსახლეობის ერთ მეოთხედს — უდრიდა.

იმ დროს ევროპის მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმი იმარჯვებდა; რუსეთი კი სოფლის მეურნეობის, ჩამორჩენილ ბატონყმურ ქვეყანას წარმოადგენდა, თუმცა ფეოდალიზმი აქაც უკვე შეუნერებლივ ირღვევოდა და მის წიაღში თანდათან ახალი, კაპიტალისტური წყობა ვითარდებოდა.

რუსეთის ცენტრალიზებული და ძლიერი სახელმწიფო XIX ს. დამდეგს დიდ როლს თამაშობდა მსოფლიო პოლიტიკაში. სახელმწიფოს სათავეში უდგნენ მეფე და მემამულეები, რომლებიც ჩაგრავდნენ არა მარტო რუს ხალხს, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებსაც. მაგრამ, ცარიზმის ანტისახალხური პოლიტიკის მიუხედავად, ქვეყანა მაინც წინ მიდიოდა.

ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარების მხრივ რუსეთი დიდად უსწრებდა წინ საქართველოს მეზობელ მტაცებლურ აღმოსავლურ სახელმწიფოებს — ირანსა და ოსმალეთს. ასევე წინ უსწრებდა იგი საშინაო და საგარეო მტრების

მიერ დაუძლურებულ-დაქსაქსულ საქართველოს, რომელიც XIX ს. დამდეგიდან მეფის რუსეთმა თავის პოლიტიკურ მიზნებს დაუმორჩილა.

ქართლ-კახეთში ჩამოყალიბებულ მმართველობას რუსეთის ხელისუფლება ფართო ამოცანებს უსახავდა. მმართველობას უნდა ებრძოლა რუსეთის მფლობელობის დამყარება-განმტკიცებისათვის მთელ საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში.

1802 წ. ქართლ-კახეთში შექმნილი ახალი მმართველობის სათავეში იდგა „საქართველოს მთავარსარდალი", რომელსაც „მთავარმართებელსაც" უწოდებდნენ. იგი ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ კი მთელი საქართველოსა და ამიერკავკასიის საქმეებზე რუსეთის სახელმწიფოს წინაშე უმაღლესი პასუხისმგებელი პირი იყო და აერთიანებდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლებას.

ახალმა მმართველობამ მოსპო ძველი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნა ქართული ენა. მისი ადგილი ხალხისათვის უცხო ენამ, რუსულმა დაიკავა. რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობა მაშინ ჩვენში ძალზე ცოტა იყო. ახალი მმართველობის მეთაურებს — რუსებს და მათ მრჩეველ ქართველებსაც კი არა გაეგებოდათ რა ერთიმეორისა. ამიტომ ეს მმართველობა დასაწყისში უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებოდა.

რუსული მმართველობა გამოხატავდა მეფის რუსეთის მიერ საქართველოში დამყარებულ რეჟიმს, რომელიც, სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგვრასაც ეწეოდა.

ფეოდალთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო თავისი ძველი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვის გამო. განსაკუთრებით შეაშფოთა ისინი ქართველი მეფის ხელისუფლების დროს ნაქონ თანამდებობათა დაკარგვამ. წინათ მოხელეობა ამა თუ იმ ფეოდალური გვარის სამემკვიდრეო საკუთრებას წარმოადგენდა და მოხელეს დიდი შემოსავალიც ჰქონდა.

რეაქციონერი ფეოდალები სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართავდნენ ქართველი ხალხის საუკუნოვან მტრებს — ირანისა და ოსმალეთის სახელ-

მწიფოებს, რომლებიც თავის ისრივ შეშფოთებული იყვნენ ქართლ-კახეთში რუსეთის გაბატონებით.

რეაქციონერი თავადებისაგან განსხვავებით, პროგრესული დასის წარმომადგენლები ძველი, დრომოჭმული მმართველობის აღდგენას კი არ მოითხოვდნენ, არამედ განასლებულ-გაუმჯობესებული ქართული მმართველობის დამყარებისათვის იბრძოდნენ. ამ პროგრესულ მიმართულებას სათავე ერეკლეს სანაში ჰქონდა.

ქართული თვითმმართველობისათვის მებრძოლი ეს დასი არ უკავშირდებოდა გარეშე, მტრულ ძალებს. იგი მეფის რუსეთის ძალადობას ქვეყნის შიგნითვე ებრძოდა. მას სურდა ცარიზმის პოლიტიკის იმგვარად შეცვლა, რომ იგი მისაღები ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. ცარიზმმა ოსტატურ ხერხს მიმართა და უკმაყოფილო ქართველი ფეოდალების დასაწყნარებლად საქართველოში მთავარსარდლად 1802 წლის ბოლოს გამოგზავნა ქართველი, მაგრამ რუსეთში გაზრდილი და გარუსებული გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი). ამით ცარიზმმა ნაწილობრივ უპასუხა მოწინავე ქართველობის მოთხოვნას, მაგრამ ქართული თვითმმართველობა მაინც არ აღადგინა.

ციციანოვმა მოკლე ხნის განმავლობაში შეძლო მეფის რუსეთის პოლიტიკური მფლობელობის გავრცელება მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ქართულმა წარმოშობამ ციციანოვს გაუადვილა გაბატონებული კლასის ფართო ფენებთან დაახლოვება. მან ანგარიში გაუწია ფეოდალთა ინტერესებს და სცადა არსებული მმართველობა ნაწილობრივ მაინც შეეხამებინა ძველი წეს-ჩვეულებისათვის. რამდენადმე აილაგმა მოხელეთა ბოროტმოქმედებაც.

იმ დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მეფის მთავრობის მიერ კარგად მომარჯვებულ ლოზუნგს ისტორიულად მთლიანი საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების შესახებ. ეს ლოზუნგი შეესაბამებოდა ქართველ პატრიოტთა ინტერესებს. ისინი რუსის ჯართან ერთად წარმატებით იბრძოდნენ როგორც აბრაგულად მოთარეშე მტრის რაზმების წინააღმდეგ, ისე ძველი ქართული მიწების დასაბრუნებლად და შემოსაერთებლად. ასე იყო, მაგალითად, 1803 წელს, როცა შემოერ-

თებულ იქნა საქართველოსაგან XVIII საუკუნის 20-იან წლებში ჩამოცილებული ჭარ-ბელაქანი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ქართველობაში. ჭარის ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 4.500-მა ქართველმა მეომარმა.

მოწინავე ქართველთა დასი უკვე ჩაება საქართველოს მიწაწყლის გაერთიანებისა და მტრული გარემოცვის გარღვევისათვის წარმოებულ, პროგრესულ ბრძოლაში. ამასთანავე იგი არც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას წყვეტდა და ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფობას იცავდა.

საქართველოს სამეფო სახლის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების ყოფნა სამშობლოში სამეფო ტახტის აღდგენისთვის ბრძოლას ფართო გასაქანს აძლევდა. რუსეთის იმპერატორი მათ პეტერბურგში ეპატიჟებოდა, მაგრამ ბევრი მათგანი ნებით არ ტოვებდა თავის ქვეყანას და მათ ძალით ასახლებდნენ, ამას კი ზოგჯერ სისხლიანი შეტაკებაც მოსდევდა. 1803 წ. აპრილში გენ. ლაზარევი კაზაკთა რაზმით შეიჭრა გიორგი XII-ის მეუღლის მარიამ დედოფლის სასახლეში. შეურაცხყოფილმა დედოფალმა ხანჯლით მოჰკლა ლაზარევი. მიუხედავად ასეთი ინციდენტისა 1803—1805 წლებში ძველი სამეფო სახლის თითქმის ყველა წარმომადგენელი გადაასახლეს რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში. ბატონიშვილთაგან ყველაზე უფრო აქტიური მებრძოლი ალექსანდრე ირანის შაჰის კარს აფარებდა თავს და მისი დახმარებით ფიქრობდა ქართლ-კახეთში სამეფო ტახტის აღდგენას.

მე-19 ს. დამდეგს მოწინავე ქართველები ქართული თვითმმართველობისათვის იბრძოდნენ. საქართველოში ციციანოვის დანიშვნით ცარიზმი ნაწილობრივ გამოეხმაურა მათ ბრძოლას. ციციანოვის მოკვლის შემდეგ მის მაგიერ ცნობილ პეტრე ბაგრატიონის გამოგზავნას ფიქრობდნენ. მაგრამ ეს არ განხორციელდა და 1806 წლიდან საქართველოს მთავარსარდლებად მხოლოდ რუს გენერლებს ნიშნავდნენ. ერთი სიტყვით, ცარიზმმა ისიც კი არ სცნო სასურველად, რომ ქართველთა ხელით ემართა ქვეყანა. მიუხედავად ამისა, მოწინავე დასელები მაინც არ თანაუგრძნობდნენ რეაქციონერ ფეოდალებს და რუსეთისაგან ჩამოცილებას მხარს არ უჭერდნენ.

მეფის რუსეთი ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოე-

ბის გაფართოებისათვის იბრძოდა. რუსეთის ბრძოლას. მოწინავე ქართველებმა თავიანთი პატრიოტული მიზნები შეუთავსეს. მტრული გარემოცვის გარღვევა, დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება და ფეოდალური შინაომების აღკვეთა ქართველებს სწორად ესმოდათ, როგორც სამშობლოს, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა.,

მე-19 ს. პირველი ათეული წლების განმავლობაში მომხდარმა მოვლენებმა ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების მოწინავე წარმომადგენელთა დაახლოებას.ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები მალე ჩაებნენ სამხედრო სამსახურში და დიდ როლს ასრულებდნენ რუსეთის ომებში. ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა პეტერბურგსა და მოსკოვში. რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში ისინი ეცნობოდნენ რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას და მოწინავე საზოგადოებრივ იდეებს. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი, იაგორ ჭილაშვილი და სხვები, განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა და აქ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა.

მე-19 ს. 20-იან წლებში მოწინავე ქართველთა პროგრესულ ჯგუფში ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის განთავისუფლების მიმდინარეობა, რომელიც საქართველოს საელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სათანადო ნიადაგის შესამზადებლად საქმიანობდა.

განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზე თავადაზნაური რევოლუციონერების გამოსვლამ პეტერბურგს, 1825 წ. დეკემბერში. იქ მყოფი ქართველი ახალგაზრდები სენატის მოედანზე მომხდარი სისხლიანი ამბების მოწმენი გახდნენ. დეკაბრისტულ მოძრაობაში ორი ქართველიც კი მონაწილეობდა — ა. განგებლიძე და მ. ბარათაშვილი.

მეფის მთავრობამ სასტიკად დასაჯა დეკაბრისტები, ბევრი მათგანი გადმოასახლეს ამიერკავკასიაში, რომელსაც „თბილ ციმბირს" უწოდებდნენ. გადმოსახლებულები — ნ. რაევსკი, ა. ოდოევსკი, სუხორუკოვი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ბურცევი და სხვები — უახლოვდებოდნენ მოწინავე ქართველებს, რომლებიც მაშინ რუსთა რაზმების მეთაურებად მსახურობდნენ. ასეთები იყვნენ პოეტი და გენერალი ალ. ჭავ-

ჭავაძე, პოეტი და შემდეგ აგრეთვე გენერალი გ. ორბელიანი და სხვები.

ალ. ჭავჭავაძე მეგობრობდა დეკაბრისტ რაევსკის. შემდგომ ცნობილი დრამატურგი გ. ერისთავი დიდ პატივს სცემდა ბესტუჟევ-მარლინსკის. დეკაბრისტებს თანაუგრძნობდნენ გ. ორბელიანი და სხვა ქართველებიც. გ. ორბელიანმა 1831 წ. ქართულად თარგმნა ცნობილი დეკაბრისტი პოეტის რილეევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება", რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ქართველი ახალგაზრდობისა და დეკაბრისტების ურთიერთობას ამჭიდროებდა საქართველოში მყოფი დიდი რუსი მწერლის ალ. გრიბოედოვის ნათესავური კავშირი პოეტ ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან.

მე19 ს. 20-იანი წლების მიწურულში თბილისში, წინანდალსა და ყარაღაჯში (ამ უკანასკნელში პოლკს ჰქონდა ბინა) შეიქმნა პროგრესულ ძალთა თავშესაყარი პუნქტები, სადაც ერთიმეორეს ხვდებოდნენ მოწინავე რუსი და ქართველი ადამიანები. ალ. გრიბოედოვი და ალ. ჭავჭავაძე ამ შეხვედრათა ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. რუსებთან ერთად ქართველი ახალგაზრდებიც ცოცხლად ეხმარებოდნენ იმ დროინდელ ევროპისა და რუსეთის ახალ ამბებს. დეკემბრის დიდმნიშვნელოვანი აჯანყების შემდეგ, მათი ყურადღების ცენტრში იყო 1830 წ. რევოლუცია ევროპაში და 1830-31 წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლონეთში. საქართველოში გამოხმაურებას პოულობდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, ევროპის რევოლუციური სიტუაცია და მისი გადაზრდა რევოლუციაში. რუსი და ევროპელი სალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი კიდევ უფრო აღვივებდა ამიერკავკასიელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ს. დოდაშვილის მეთაურობით ქართველმა ინტელიგენტებმა 1832 წ. იანვარში დაიწყეს გამოცემა პირველი ქართული ჟურნალისა — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელმაც გააჩაღა ბრძოლა ქართული ენის, მწერლობისა და საერთოდ კულტურის განვითარებისათვის. ჟურნალი ეწეოდა ერეკლე II-ის გმირულ საქმეთა პოპულა-

რიზაციას, იბრძოდა ხალხის განათლებისათვის და სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს ქადაგებდა. მაშინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში, როდესაც მეფის მსახურები ახშობდნენ ყოველგვარ მოწინავე აზრს, ჟურნალი შენიღბულად ასერხებდა კოლონიური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

მე-19 ს. 20-იანი წლებიდან პეტერბურგში მყოფი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები იქ ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს პროპაგანდას უწევდნენ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად. მოწინავე ინტელიგენტთა მომხრობის მიზნით ბატონიშვილები ჩვენში რესპუბლიკური თუ კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაზედაც ლაპარაკობდნენ. ასეთი პროპაგანდა თავდაპირველად მართლაც აერთიანებდა პროგრესული და რეაქციული ჯგუფების ბრძოლას, მაგრამ ეს გაერთიანება დროებითი იყო და წინააღმდეგობით აღსავსე.

პეტერბურგში აღმოცენებულმა თავადაზნაურული შეთქმულების ცენტრმა 1829-1830 წლებში თბილისში გადმოინაცვლა ადგილი. 1829 წ. აქ თავი მოიყარეს შეთქმულთა ხელმძღვანელებმა: ოქროპირ ბატონიშვილმა, ელიზბარ ერისთავმა და იასე ფალავანდიშვილმა. აქტიურ შეთქმულებს შორის ერია ცნობილი სოლ. დოდაშვილიც. მაგრამ იგი დანარჩენთა მონარქიულ მიზნებს არ იზიარებდა და საქართველოში რესპუბლიკური წყობილების მაგვარი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა.

შეთქმულები დიდ იმედს ამყარებდნენ პოლონეთის 1830 — 1831 წწ. აჯანყებაზე. 1831 წ. სექტემბერში პოლონელთა მარცხმა მათ ეს იმედი გაუცრუა. შეთქმულები — ე. ერისთავი, ა. ორბელიანი, ი. ფალავანდიშვილი და სხვები — მაინც განაგრძობდნენ საქმიანობას. მათ შეადგინეს ე. წ. „პირველი ღამის განკარგულება“, რომლის მიხედვით, თბილისში გამართულ საზეიმო ვახშამზე, 1832 წ. 20 დეკემბერს, უნდა მოეწვიათ რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები და ამოეწყვიტათ ისინი.

მთავრობამ შეიპყრო და გაასამართლა 38 შეთქმული. ისი-

ნი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის გუბერნიებში. შორეულ ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს ს. დოდაშვილიც.

სამშობლოსათვის თავდადებულმა დოდაშვილმა სასამართლო გამოძიებისას ამხილა თვითმპყრობელური მმართველობის უმსგავსოება. მან ცხადჰყო, რომ ეს მმართველობა, რომლის ენა და კანონები ხალხს არ ესმოდა ანტიხალხური და ფართო მასებისათვის მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა, იგი არ იზიარებდა რეაქციონერ შეთქმულთა გეგმებს. სხვაგვარი იყო მისი ბრძოლის გზა და მიზანი. ეს ცხადი შეიქნა გამოძიების დროსაც, მაგრამ დოდაშვილი სხვებზე უფრო მკაცრად დასაჯეს. ამის მიზეზი, — გარდა იმისა, რომ იგი დაბალ წოდებას ეკუთვნოდა, — ისიც იყო, რომ დოდაშვილი თვითმპყრობელური წყობილებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა. ჭლექით დაავადებული ს. დოდაშვილი გარდაიცვალა ქ. ვიატკაში 1836 წ.

თავი VIII

საქართველო მე-19 ს. 30—50-იან წლებში

§ 92. ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა

მე19 ს. 30—40-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება დაწინაურების გზით წავიდა.

საქართველოში შეუჩერებლივ მატულობდა პურის მოთხოვნილება. სასაქონლო პურის მთავარი მომხმარებელი კვლავ რუსის ჯარი იყო, პურს ფასი დაედო და გლეხებიც ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ, მეტი მოეყვანათ. საამისოდ ისინი მიწისმფლობელთაგან იჯარით იღებდნენ მიწებს და სახნავსათეს მინდვრებს აფართოებდნენ. საქართველოს ცალკეულ მაზრებში პურის მთელი მოსავლის მეოთხედი ბაზარზე გადიოდა. 1821—1861 წლების მანძილზე მარცვლეულის რაიონებში ჭირნახულმა ერთი სამად იმატა. შესამჩნევად იზრდებოდა ღვინის საბაზრო წარმოებაც, 40—50-იან წლებში ღვინის მთელი მოსავლის მეოთხედი გადიოდა ბაზარზე. ბაზარზე მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა აგრეთვე მეცხოველეობის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი და სხვა საქონელი. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველოში მარტივი სასაქონლო მიწათმოქმედება განუხრელად იზრდებოდა.

გამოცოცხლება დაეტყო აგრეთვე მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, მეთამბაქოეობას და სოფლისმეურნეობის სხვა დარგებს, რომელთა განვითარებას 40-იანი წლებიდან სტიმულს აძლევდა რუსეთის მზარდი მრეწველობა.

40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ფულადი რენტის ზრდაშიაც გამოიხატა. 1843—

1845 წლებში ჩატარებული საფინანსო რეფორმის შედეგად სასელმწიფო გადასახადში ფულადი ბეგარა გაბატონდა. მართალია, საერთოდ და უმთავრესად კი ყმა გლეხთა საბეგარო დამოკიდებულებაში ნატურალური რენტა ჭარბობდა, მაგრამ ფულადი ბეგრის სვედრითი წონის მატება მაინც გამოხატავდა მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალი ურთიერთობის აღმოცენებისაკენ.

40-იანი წლებიდან გაიზარდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ვ: ჭარ-მევახშეები ყვლეფდნენ წვრილ მწარმოებლებს. 40-იან წლებში გლეხებს რამდენიმე წლის მოსავალი წინასწარ ჰქონდათ ვალში გაყიდული. ეს იწვევდა გლეხების დამონებას, მათი ექსპლუატაციის გამწვავებას. სავაჭრო კაპიტალი ჯერ კიდევ ძალზე ნაკლებად ებმებოდა წარმოებაში. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის ფართო გავრცელებასა და ფულის კულტის თანდათან გაბატონებას საგლეხო რეფორმის წინა ხანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სავაჭრო კაპიტალის ტიპიური წარმომადგენელი დაგვიხატა მწერალმა ლ. არდაზიანმა თავის ნაწარმოებში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი".

40-იან წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ ძლიერ შეარყია თავადაზნაურთა მიწისმფლობელობა — მათი ბატონობის საფუძველი. გახშირდა შეუძლო მოვალე თავად-აზნაურთა ყმებისა და მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ვალის დასაფარავად. სავაჭრო და სავახშო კაპიტალმა ბევრ მემამულეს დააკარგვინა საკუთრება. ფეოდალთა ნივთიერი გაჩანაგების პროცესის შესაჩერებლად მთავრობამ იაფი კრედიტი მისცა მებატონეებს და ამით ხელი შეუწყო მათ მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესებაში, სასაქონლო წარმოების მოწყობაში. ბევრმა მართლაც შეძლო კრიზისისათვის თავის დაღწევა და მეურნეობის რაციონალურად მოწყობა. ზოგი მებატონე დაქირავებულ შრომასაც კი იყენებდა

მიუხედავად აღნიშნული ზოგიერთი წარმატებისა, თავადაზნაურთა უმეტესობას არ აღმოაჩნდა მეურნეობის გარდაქმნის უნარი და შესაძლებლობა. იგი უწინდებურად უსაქმურსა და უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა, განცხრომასა და სია-

მოვნებაში ატარებდა დროს. 1863 წ. 1 იანვრისათვის საქართველოს ყმა გლეხთა 26% დაგირავებული იყო მებატონეების მიერ, ეს რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, მათი მიწები რომ გამიჯნული ყოფილიყო. გაუმიჯნავ მიწებს კი ვერ აგირავებდნენ.

მე-19 ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა ძველი ფეოდალურ-ამქრული ხელოსნობის რღვევა და კაპიტალიზმის საწყისების განვითარება. საშინაო ბაზრის ზრდა არყევდა მრეწველობის პატრიარქალურ ფორმებს.

თბილისში ევროპელებისა და ევროპული ცხოვრების მიმდევართა გამრავლება აჩქარებდა წარმოების ახალი დარგების წარმოქმნას. ძველი ჩოხების, უძირო მესტების, ქოშების, აზიური მუსიკალური ხელსაწყოების (ზურნა, დუდუკი, ჭიანური და ა. შ.) და სხვათა წარმოება სუსტდებოდა. თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ ტანსაცმელსა და საგნებზე. ევროპულმა მოდამ შეასუსტა ადგილობრივი ხელოსნური და საშინაო მრეწველობის მნიშვნელობა. ხელოსნურ წარმოებას უნარი აღარ შესწევდა, რომ დაეკმაყოფილებინა ახალი დროის მოთხოვნილება. ამიტომ შეუჩერებლივ მატულობდა ბურჟუაზიული საფუფუნებო საგნების შემოზიდვა.

40-იანი წლებიდან იწყო გაღრმავება საქართველოს ხელოსან მრეწველთა დიფერენციაციამ. ამქრებში (ამქარი ხელოსანთა გაერთიანებას ერქვა) მომუშავე ზოგი ხელოსანი საკუთარი ნედლეულით მუშაობას და დაქირავებული შრომის გამოყენებასაც კი იწყებდა. ეს ნიადაგს უმზადებდა მარტივიდან დიდრონ სარეწაოებზე გადასვლას. იყო გამონაკლისი შემთხვევები, როცა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები იმორჩილებდნენ წვრილ საქონელმწარმოებლებს და აწვდიდნენ მათ ნედლეულს, თვითონ კი გამოშვებულ ნაწარმს ასაღებდნენ და ამრიგად ითვისებდნენ მწარმოებელთა შრომას. წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ ბაზართან უშუალო კავშირის დაკარგვა და შემსყიდველთა მიერ მათი დამორჩილება 50—60-იან წლებში ნელ-ნელა უკვე ვითარდებოდა. ეს კი კაპიტალისტური განვითარების დასაწყისს მოასწავებდა.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა მრავალი წამოწყების მარცხისა, 40—50-იან წლებში ჩვენში, უმთავრესად თბილისში, გაჩნდა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი კაპიტალისტების მიერ დაარსებული ფაბრიკა-ქარხნები. 1848 წ. თბილისში ყორღანოვმა გახსნა თუჯჩამომსხმელი ქარხანა; 1852 წ. გაიხსნა მეორე ასეთი ქარხანა. 60-იანი წლების დასაწყისში ინგლისელმა რაისმა ააშენა ორთქლისძრავიანი სახერხი ქარხანა და მოაწყო აგურის მანქანური წარმოება. 50-იან წლებში ადგილობრივმა ვაჭრებმა გახსნეს თამბაქოსა და ბამბის ფაბრიკები და სხვ. ამ ფაბრიკა-ქარხნებში გამოჩნდნენ პირველი კაპიტალისტები და პროლეტარები. მართალია, მათი რაოდენობა და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, მაგრამ მომავალი მათ ეკუთვნოდათ.

კაპიტალისტური წამოწყებანი გაჩნდნენ არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ასე იყო, მაგალითად, ჩათახში (ბოლნისის რაიონი, ფოლადაურის ხეობა), სადაც 1860 წ. კვლავ განახლდა ერეკლეს დროს წამოწყებული და შემდეგ შეწყვეტილი რკინის მადნის დამუშავება. 40-50-იან წლებში ქუთაისში, ორპირში, ზუგდიდსა და სხვა ადგილებში უცხოელმა კაპიტალისტებმა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები მოაწყეს. ამ ფაბრიკებში ყმა გლეხთა შრომა ჭარბობდა. უპირატესად ყმათა შრომას ემყარებოდნენ აგრეთვე გორის მაზრასა და იმერეთში არსებული ფეოდალური მანუფაქტურებიც. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მებატონე ერისთავების მიერ სოფ. ღვარებში დაარსებული შუშის წარმოება, რომელსაც თავისი ნაწარმი საქართველოს გარეთაც კი გაჰქონდა.

ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში ყმა გლეხთა შრომა მომგებიანი არ იყო და აშკარად იგრძნობოდა თავისუფალ დაქირავებულ მუშათა უპირატესობა. მათი რიცხვი კი, ჩვენში ბატონყმობის ჯერ კიდევ სიმტკიცის გამო, ცოტა იყო, მაგრამ მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე მოთხოვნილება თავისუფალ მუშახელზე.

1846 წ. საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლეობის რაოდენობა 900 ათასს არ აღემატებოდა, ხოლო 1859 წ. იგი 1 მილიონამდე ავიდა. 13 წლის განმავლობაში ნამატი მთელი

რაოდენობის 10%-ს უდრიდა. მომდევნო წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპმა იმატა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი იყო ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის ხარჯზე. 1847 წ. თბილისში ცხოვრობდა 43.863, სოლო 1862 წ. — 62.082 სული. ამრიგად 15 წლის განმავლობაში ნამატი 41%-ს უდრიდა.

საქალაქო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო დაწინაურდა, ვიდრე დასავლეთში. ქართლ-კახეთის ქალაქებში, თბილისს გარდა, 35 ათასამდე მცხოვრები იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში — 20 ათასამდე. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის საერთო რიცხვი იქა და აქ თითქმის თანაბარი იყო. ასეთი განსხვავება იმით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთის ქალაქებზე ძლიერ ზემოქმედებდა თბილისის სიახლოვე.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი იმ დროს კვლავ იქცა საქართველოს ცენტრად. თანაც იგი მთელი ამიერკავკასიის ცენტრალურ ქალაქს წარმოადგენდა. 40-იანი წლებიდან თბილისში შესამჩნევად ვითარდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობა, რომელიც ნელნელა უცვლიდა სახეს ძველ ფეოდალურ ქალაქს. წინანდელთან შედარებით დიდად გაიზარდა ქალაქის ბურჟუაზიული ელემენტი. 1862 წ. აქ თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 33%-მდე აღწევდა.

გაიზარდა თბილისის, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის კულტურული ცენტრის, მნიშვნელობაც, 40—50-იანი წლებიდან აქ გაჩნდა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა; აღდგა ქართული დრამატული თეატრი, დაარსდა კლუბები, საჯარო და სხვა ბიბლიოთეკები; გამრავლდა სასწავლებელთა რიცხვი; გამოდიოდა პერიოდული რუსული გაზეთები, ქართული ჟურნალი („ცისკარი"), მწიფდებოდა და იზრდებოდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივი ძალები. 50-იანი წლების დამდეგს თბილისში მყოფი ლ. ტოლსტოი, შემდგომ დიდი რუსი მწერალი, წერდა: „თბილისი მეტად ცივილიზებული ქალაქია, იგი ძალიან ბაძავს პეტერბურგს და ეს მას კარგადაც გამოუდის. საზოგადოება რჩეული და მრავალრიცხოვანია".

თბილისთან ერთად 40-იანი წლებიდან იზრდებოდნენ

ქალაქები ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, ყულევი, ფოთი, სოხუმი, ცხინვალი, დუშეთი და სხვები. კერძოდ, ქუთაისს განსაკუთრებით დაეტყო ზრდა 1846 წლიდან, როცა იგი საგუბერნიო ცენტრად იქცა.

საშინაო ბაზრის ზრდას, ფულადი რენტის გაფართოებას, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებას თან სდევდა გლეხთა ექსპლუატაციის გამწვავება. გლეხთა შორის დიფერენციაციის გაღრმავება. დიდი უმრავლესობის გაღატაკება-გაჩანაგებასთან ერთად სოფლად შესამჩნევი ხდებოდა შეძლებულ გლეხთა ფენის გაძლიერება — განსაკუთრებით სასილმწიფო გლეხებს შორის, რომელთა რაოდენობა უკვე მთელი გლეხობის თითქმის ნახევარს აღწევდა. გაჩნდნენ მდიდარი მეურნეობის მქონე გლეხები, რომლებიც უკვე დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ასეთები საკმაოდ ბევრი იყვნენ ჩამოსახლებულ კოლონისტებს შორის. სწორედ მათ ბანაკში წარმოიშვნენ პირველი კულაკური ელემენტები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ სოფლის ნახევრად პროლეტარებს და მათ ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ამრიგად. სოფლად, მკრთალად, მაგრამ მაინც, მიმდინარეობდა წარმოების საშუალებათაგან უშუალო მწარმოებლების თანდათან მოწყვეტის პროცესი და ისახებოდა სოფლის მუშათა კატეგორია, რომლის ძირითადი საარსებო წყარო სამუშაო ძალის გაყიდვა იყო. ასეთი პროცესი ახასიათებდა კაპიტალის დაგროვების პერიოდს.

ქირაზე გასული, საქალაქო ცხოვრების ფერხულში დროებით თუ მუდმივ ჩაბმული, გახელოსნებული და გავაჭრებული ყმა გლეხი კაპიკს კაპიკზე ადებდა და მიწისა და თავისუფლების გამოსყიდვისათვის იბრძოდა. მაგრამ ცოტანი თუ ახერხებდნენ, ისიც დიდი ვაი-ვაგლახით, თავის დახსნას, რადგან გამოსყიდვა ძალზე ძვირი ჯდებოდა. ამასთანავე, თავისუფლებას მეტწილად ისინი ინარჩუნებდნენ, რომლებიც მიწიანად გამოისყიდიდნენ თავს. უმიწოდ თავდახსნილ გლეხს კი ძალზე უჭირდა თავისუფლების შენარჩუნება. იგი იძულებული ხდებოდა ხაზინის ხელში გადასულიყო, თუკი ხაზინა მიწას გამოუყოფდა, თუ არა და ხიზნად უნდა დასდგომოდა რომელიმე სხვა მემამულეს. ბატონყმობის სიმტკიცის გამო ჯერ კიდევ ვერ იყო შექმნილი სათანადო პირობები თავდახსნილ-

თა თავისუფლების შენარჩუნებისათვის. განთავისუფლებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა საქალაქო ცხოვრებაში ჩაბმას და ნამდვილი მოქალაქის უფლების მოპოვებას.

40—50-იანი წლებიდან გასშირდა ყმათა თავდასხმის შემთხვევები. 1846—55 წლებში მარტო ქუთაისის გუბერნიაში (სამეგრელო-სვანეთ-აფხაზეთის გამოკლებით) 100-მა კომლმა გამოისყიდა თავი. 1850—1864 წლებში იმავე გუბერნიაში აღრიცხულ იქნა თავდახსნის 1314 შემთხვევა; დაიწერა განთავისუფლების 468 აქტი, რომელთა შორის იყო 351 შემთხვევა, როცა გლეხური ოჯახები მიწიანად განთავისუფლდნენ. თავდახსნილებმა მებატონეებს საერთო ანგარიშით 200 ათას მანეთზე მეტი გადაუხადეს. ნაკლები არ ყოფილა თავდახსნილთა რაოდენობა თბილისის გუბერნიაშიც.

§ 93. მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრა. ქართველი სალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ

საქართველოსა და ამიერკავკასიას მეფის რუსეთი უყურებდა როგორც თავის განაპირა კოლონიურ მხარეს, მაგრამ თვით რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად ამ ქვეყნის კოლონიური ათვისებისათვის. იმ ეტაპზე რუსეთის სახელმწიფოს ჩამორჩენილობა განსაზღვრავდა მისი კოლონიური პოლიტიკის ხასიათს.

მეფის რუსეთის მთავრობამ, საქართველოში თავისი მმართველობის შემოღებიდანვე, მიზნად დაისახა ქვეყნის გარუსება და აქ საიმედო დასაყრდენის შექმნა.

რუსიფიკაციისა და ადგილობრივ საიმედო დასაყრდენის შექმნის პოლიტიკა საქართველოში სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. ერთ-ერთი სახე იყო სანდო ელემენტების ჩამოსახლება და მათი ყოველმხრივ უზრუნველყოფა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ მე-19 ს. პირველ მესამედში საქართველოს სამხედრო-აღმოსავლეთი საზღვრის პირას მდებარე რაიონები უცხო დამპყრობლებისა და ადამიანებზე მონადირეთა მრავალსაუკუნოვანი თარეშის შედეგად გაუდაბურებული და გაუკაცრიელებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით გატიალებული იყო სრიალეთი, სომხეთი, ლორე-ბამბაკი და ზოგიც სხვა

კუთხე. ადგილობრივ გადარჩენილ მოსახლეობას თავისუფალი მიწების დაკავების უფლება და საშუალება არ ჰქონდა. პირიქით, მთავრობა მკვიდრ ელემენტს ხშირად ერეკებოდა დასახლებული სოფლებიდან და მათ მიწა-ადგილს კოლონისტებს უყოფდა. ამ გზით ინერგებოდა შუღლი მოსულებსა და დამხდურებს შორის.

1817—1819 წლებში, უმთავრესად, აღმოსავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აზერბაიჯანშიც ჩამოასხლეს გერმანელთა 500-ზე მეტი ოჯახი. მაშინ, როცა ქართველ ყმა გლეხთა ყოველ კომლს 4-ოდე დესეტინა მიწა ძლივს ჰქონდა, კოლონისტების თითო კომლს 35 დესეტინა საუკეთესო მიწა გამოუყვეს. გარდა ამისა მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მიწები დაეხნათ და საბინაო-საშენი მასალა მოეწოდებინათ ჩამოსახლებულ ახალმოშენეთათვის.

1828—1829 წლების ომის შემდეგ მეფის მთავრობამ საქართველოში ჩამოასახლა ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი, რომლებიც უპირატესად ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის რაიონებში დასახლდნენ.

1837 წლიდან საქართველოში არსდება რუსული სამხედრო კოლონიებიც. ეს კოლონიები შედგა იმ ჯარისკაცთაგან, რომელთაც 15 წლის სამსახურს შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ. ასე წარმოიშვნენ ჩვენში რუსული სოფლები თბილისის ახლოს, წალკაში, თეთრწყაროზე, წითელწყაროზე, გომბორში, მანგლისში, კოჯორში და სხვაგან. გარდა ამისა, მეფის მთავრობა ჩვენს ქვეყანაში ასახლებდა იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის მიერ დევნილ „მწვალებლებს" ან სექტანტებს — დუხობორებს, მოლაკნებს, სკოპცებსა და სხვებს. 1845 წ. მათი რაოდენობა 10 ათას სულს აღწევდა.

რუსეთის მთავრობა საქართველოს ეკონომიკური ათვისებისათვის იბრძოდა. მაგრამ გამუდმებული ომიანობის პირობებში ამ მიმართულებით ცალკეულ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

მიუხედავად ამ ცდებისა, ცარიზმი და რუსეთის ბურჟუაზია XIX ს. I ნახევარში საწადელს ვერ ეწივნენ. რუსეთმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური დაპყრობა. ამის მთავარი მიზეზი რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტე იყო.

XIX ს. 80-იანი წლებიდან ცარიზმმა ამიერკავკასიაში ფართო ამოცანები დაისახა. იგი ქვეყნის კოლონიური ექსპლუატაციისათვის ემზადებოდა და ხედავდა, რომ არსებული მმართველობა მისი მიზნების განსახორციელებლად გამოუსადეგარი იყო, დაიწყო მმართველობის რეფორმის პროექტების შედგენა. 1840 წ. 10 აპრილს, როგორც იქნა, დაამტკიცეს სარეფორმო დებულებაც.

შემოღებულ იქნა ახალი ადმინისტრაციული დანაწილება. ამიერკავკასია გაიყო „საქართველო-იმერეთის" გუბერნიად და „კასპიის ოლქად", 1846 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნია გაიყო ორად — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად.

ამიერკავკასიის მმართველობის სათავეში კვლავ რჩებოდა მთავარმმართველი, ანუ მთავარსარდალი, რომელიც უფლებრივ გაუტოლდა რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს.

ახალი წესის მიხედვით, ცარიზმმა ამიერკავკასიაში დანერგა თითქმის ისეთივე მმართველობა, როგორიც რუსეთის გუბერნიაში იყო და ამით სავსებით უარჰყო ადგილობრივ წესჩვეულებასთან შეხამების ის ელემენტები, რომლებიც ძველ მმართველობას ჯერ კიდევ ახასიათებდა. სავსებით განიდევნა მკვიდრთა მოწაწილეობა მართვა-გამგეობაში. უარყოფილ იქნა საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის ცნობილ კანონთა მოქმედება სამოქალაქო სამართლის დარგში. ყოველივე ეს კიდევ უფრო აშორებდა სახეშეცვლილ მმართველობას ფართო მასებისაგან. გამეფდა უმაგალითო ბიუროკრატიზმი. ერთიორად გაიზარდა მოხელეთა რიცხვი. ამიერკავკასიის საშტატო სარჯებმა ერთნახევარი მილიონი მანეთით გადააჭარბა ქვეყნის ფულად შემოსავალს. გაცილებით მეტი გასაქანი მიეცა მოხელეთა ბოროტმოქმედებას.

ჩატარებული რეფორმის დედააზრი იყო ჩვენი ქვეყნის სწრაფი გარუსება და მისი შედუღება რუსეთის იმპერიასთან.

ქართველი ხალხი წინააღმდეგობას უწევდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ასეთ დამძიმებას. ეს წინააღმდეგობა სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს.

40-იანი წლებიდან ძალზე გახშირდა ყმათა ურჩობის შემთხვევები. ისინი უარს ამბობდნენ ბატონის სამსახურზე, ბატონი კი დახმარებისათვის რუს მოხელეებს მიმართავდა და

გლეხებს სჯიდა. 1843—1846 წლებში აღირიცხა ყმათა ურჩობის 133 შემთხვევა. ამ „შემთხვევათა“ რიცხვში ცალკეულ სოფელთა აჯანყებაც შედიოდა. აღურიცხავ შემთხვევათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ყმის მიერ ბატონის მოკვლა და ყაჩაღად გავარდნა.

მე-19 ს. 30—40-იანი წწ. საქართველოსათვის დამახასიათებელია „ყაჩაღ“ არსენა ოძელაშვილის ტიპი. არსენა გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეტად პოპულარული და ხალხის ღრმა სიყვარულით მოსილი გმირი იყო. მისადმი მიძღვნილ სიმღერაში — „არსენას ლექსი“ — ხალხმა გამოხატა არსებული უსამართლობისადმი შეურიგებელი სიძულვილი. არსენა სდევნიდა ხალხის მჩაგვრელებს და ღარიბ-ღატაკებს ეხმარებოდა. 1843 წ. მცხეთის ახლოს, მუხათგვერდთან, მეფის მსახურთა მიერ მოკლული არსენა გლეხებმა დიდი პატივით დაასაფლავეს.

საქართველოში მოხდა არაერთი, დიდი თუ მცირე გლეხთა აჯანყება და გამოსვლა. ერთ ასეთ დიდ აჯანყებას ადგილი ჰქონდა გურიაში 1841 წ.

გურიაში იმ დროს ნატურალური მეურნეობა ბატონობდა. ადგილობრივ ბაზრებზე შიმოქცევაში ოსმალური ფულის ნიშნები სჭარბობდა, მთავრობა კი გადასახადს რუსული ფულით მოითხოვდა. რუსეთი ჯერ კიდევ იპყრობდა ბაზარს და გლეხებს რუსული ფული არ მოეპოვებოდათ. ამიტომ იყო, რომ 1841 წ. მაისში, როცა გადასახადის აკრეფა დაიწყეს, სოფ. ლანჩხუთის გლეხები აჯანყდნენ. მღელვარება თანდათან მოედო გურიას. რუსული რეჟიმით უკმაყოფილო ფეოდალებმაც დრო იხელთეს და აჯანყებას შეუერთდნენ. მოწინააღმდეგე კლასების წარმომადგენელთა დროებით-მიზნობრივ გაერთიანებას აქაც იგივე საფუძველი აღმოაჩნდა, რაც წინამორბედ აჯანყებათა დროს. ფეოდალების მიზანი აქაც რეაქციული იყო. ისინი ცდილობდნენ, გლეხთა აჯანყება თავიანთი ვიწრო კლასობრივი მიზნებისათვის დაემორჩილებინათ. მათ სურდათ აღედგინათ ძველი დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო, სადაც ფეოდალის უფლება ნაკლებ შეზღუდული იყო. გლეხები კი იბრძოდნენ სოციალური და კოლონიური ჩაგვრის დამცველი სისტემის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ მოძრაობის განვითარების შემდგომ საფეხურებზე ფეოდალები ყოველ-

თვის ზურგს აქცევდნენ გლეხებს და მეფის მთავრობის მხარეზე გადადიოდნენ. ასე იყო გურიის 1841 წ. აჯანყების დროსაც.

მაის-ივლისის განმავლობაში აჯანყება ხან იფეთქებდა და ხან ისევ ქრებოდა ხოლმე. მეამბოხენი დრო და დრო ებრძოდნენ რუსთა რაზმებს. ივლის-აგვისტოში მოძრაობა გაფართოვდა. დიდი ბრძოლა მოხდა სოფ. გოგორეთში, 1841 წ. 9 აგვისტოს. აქ გლეხებმა დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. ამ ბრძოლაში მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობა 77 კაცამდე აღწევდა. გათამამებულმა აჯანყებულებმა მალე ალყა შემოარტყეს სამაზრო ცენტრს ოზურგეთს. მეფის ჯარების საშველად ამოძრავდნენ იმერეთისა და სამეგრელოს ფეოდალები, მაგრამ აჯანყებულებმა მათი რაზმებიც დაამარცხეს. გურულ მებრძოლებს თანაგრძნობა გამოუცხადეს იმერეთ-სამეგრელოსა და აფსაზეთის მშრომელებმაც. მთავრობამ გურიისაკენ ჯარის ახალი ნაწილები დასძრა. აჯანყებულთა ბანაკშიაც დაიწყო შინაგანი განხეთქილება. მოძრაობას თანდათან ჩამოსცილდნენ დროებით ამგზავრებული ფეოდალები, რადგან გლეხთა ბრძოლა მათ წინააღმდეგაც იყო მიმართული. თავადაზნაურები მოეგებნენ ნასაკირალთან მოსულ რუსთა რაზმებს. 5 სექტემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ოზურგეთთან, სადაც აჯანყებულები დამარცხდნენ. გლეხთაგან მარტო მოკლულთა რიცხვი 60-ს აღემატებოდა, ამის შემდეგ აჯანყება მალე ჩაქრა.

გურულ გლეხთა ამ ბრძოლას მიუძღვნა თავისი ნაწარმოები „ჯანყი გურიაში“ ცნობილმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა.

1857 წ. დიდი აჯანყება მოხდა სამეგრელოში. აჯანყებულმა გლეხებმა, რომლებსაც მხნე მეთაურები აღმოუჩნდათ, თავიანთი რაზმები ასეულებად და პატარა ჯგუფებად დაანაწილეს. მალე მათ ფაქტიურად მოშალეს ბატონყმობა სამეგრელოში. გლეხები არბევდნენ და წვავდნენ მებატონეთა სახლ-კარს, ათავისუფლებდნენ მოახლეებს, უარს ამბობდნენ საბატონო დამოკიდებულებაზე. აჯანყებას მეთაურობდა მჭედელი უტუ მიქავა, რომელსაც ბევრი თანაშემწე ჰყავდა.

შიქავას პირადად იცნობდა პოეტი რ. ერისთავი. მისი გად-

მოცემით, მიქავა იყო კარგი ვაჭკაცი და მჭერმეტყველი ადამიანი, რომელიც მებატონეებთან კამათისას შესანიშნავად იცავდა თავის მოძმეთა ინტერესებს. მას სძულდა ბატონყმობა. რუს მოხელეებთან საუბარში მიქავამ ამხილა კიდევაც ბატონყმური დამოკიდებულების უმსგავსობა და მოითხოვა, გლეხი „კაცად ეცნოთ“: იგი ადამიანთა შორის თანასწორუფლებიანობის დამყარებას და წოდებათა მოსპობასაც კი მოითხოვდა. სხვა აჯანყებულთაგანაც ისმოდა ბატონყმობისაგან სრული განთავისუფლების მოთხოვნა.

მჭედელი გლეხის ესოდენ თამამი, მკვეთრი და შეგნებული გალაშქრება ბატონყმობის წინააღმდეგ არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო ბატონყმობის დროის გლეხთა მოძრაობის ისტორიაში.

აჯანყებულებმა მიქავას მეთაურობით გადაწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მიეღოთ რუსი მოხელეებისა და სარდლების დაბმარება სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადარიცხვისათვის. მათ იცოდნენ, რომ რუსული მმართველობის განკარგულებაში მყოფი სახაზინო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ იყო, რომ აჯანყებულებმა ყური არ ათხოვეს სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს ეკატერინე დადიანს, რომელმაც მათ მოუწოდა, დაიშალეთო და აღუთქვა, მდგომარეობას შეგიმსუბუქებთო.

მთავრის ხელისუფლებისადმი გლეხთა ასეთი დამოკიდებულება რუსეთის მთავრობამ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა. ქუთაისის გუბერნატორი დაჰპირდა გლეხებს, რომ „მართლმსაჯულება მალე განსორციელდებოდა“. მაგრამ გუბერნატორმა და კავკასიის მეფისნაცვალმა ეს დაპირება გააუქმეს. მას შემდეგ გლეხებს იარაღით აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ მებატონეებს და ხელი აეღოთ აჯანყებაზე. ასე რომ გლეხებს უკვე ბატონყმობის დამცველი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგაც მოუხდათ ბრძოლა, მრავალი წვრილი და ზოგჯერ დიდი შეტაკებაც. 1857 წ. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დამდეგს მომხდარი ორი შეტაკების შედეგად მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 40-მდე აღწევდა.

მეფის რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა და სხვადასხვა ვადით გააციმბირა აჯანყების 38 ხელმძღვანელი და აქტიური

მონაწილე. უტუ მიქავამ 9 წელიწადი დაჰყო შორეულ გადასახლებაში.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, რომელშიაც 10 ათასამდე გლეხი მონაწილეობდა, გამოხატავდა მასობრივ პროტესტს ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს აჯანყებაც სტიქიურ-გლესური მოძრაობა იყო, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისა და მისი მსგავსი სხვა აჯანყებანი აიძულებდნენ მეფის რუსეთს საქართველოშიაც დაეწქარებინა ბატონყმობის გაუქმება.

გლეხთა აჯანყებები საქართველოში 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლების დასაწყისში ბევრ სხვა ადგილასაც მოსდა.

ეროვნული ჩაგვრისა და, ნაწილობრივ აგრეთვე, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო და უფრო მეტად ებმებოდნენ აგრეთვე თვით ფეოდალთა კლასის ან უფრო დაბალი ფენებიდან გამოსული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები.

სწორედ ამ პროცესის შეკავებას ემსახურებოდა ცარისტული ადმინისტრაციის ზოგი მანევრი, რომელიც ქართველი საზოგადოების ზედაფენებისა და ინტელიგენციის თავის მხარეზე გადმობირებისაკენ იყო მიმართული. ასე შეიძლება შევაფასოთ ჩვენ, მაგალითად, მეფისნაცვლად დანიშნული ვორონცოვის საქმიანობა 40-იან წლებში.

რუსეთის მეფის ერთგულ მსახურს, განათლებულსა და შორსმჭრეტელ ვორონცოვს მეფემ ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო თავისი მიზნები საქართველოსა და ამიერკავკასიაში: თავი და თავი იყო ამ ქვეყნის გარუსება და მისი შერწყმა რუსეთთან, შენარჩუნება რუსეთისაგან ამიერკავკასიის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულებისა. ვორონცოვი ხერხიანად შეუდგა აღნიშნული პოლიტიკის გატარებას. მან არჩია ადგილობრივი თავად-აზნაურების მოფერება-დაყვავებისა და რუსეთის მიზნებისადმი მათი საქმიანობის დაქვემდებარების გზა.

ვორონცოვმა ხელი გაუწოდა გაღატაკების გზაზე დამდგარს, უდარდელსა და უქნარ თავადაზნაურობას. 1848 წ. დაარსებულმა ბანკმა მათ გრძელვადიანი სესხის მიღების სა-

შუალება მისცა. ამასთანავე, დაჩქარდა დიდი ხნის დაწყებული საქმე თავადაზნაურთათვის წოდების დამტკიცებისა. ამას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან უამისოდ სახელმწიფო სამსახურში მიღება გაძნელებული იყო. წოდება დაუმტკიცდა 30 ათასამდე კაცს. დიდი მუშაობა ჩატარდა სათავადო აზნაურთა გასათავისუფლებლად. არსებითად დასრულ და მათი ქონებრივი გამიჯვნა თავადთაგან — ისე, რომ ორივე მხარის ინტერესები შეძლებისდა გვარად დაცული ყოფილიყო.

- 1849 წ. ვორონცოვის წინადადებით დაკანონდა, რომ გლესს თავისუფლების ძიება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თვითონ ექნებოდა თავისუფლების დასამტკიცებელი საბუთი. მანამდე კი, გლესის მიერ ბატონისაგან თავდახსნის მიზნით, საჩივრის აღსაძრავად საკმარისი იყო, რომ ბატონს მისი კუთვნილების დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონოდა შემორჩენილი.

გარდა აღნიშნულისა, ვორონცოვმა თავადაზნაურობას კლუბები და თეატრები მოუწყო. ერთგვარი გასაქანი მიეცა პროგრესული ინტელიგენციის პატრიოტულ მოღვაწეობასაც, თავადაზნაურთა შვილებს ფართოდ გაეხსნათ კ'ბა რუსეთის სამსედრო სამსახ.ურში და სხვადასხვა სასწავლებლებში სადაც ისინი ცოდნას ეუფლებოდნენ.

ამგვარი პოლიტიკის შედეგად დამყარდა მჭიდრო კონტაქტი ქართველი თავადაზნაურობის დიდ ნაწილსა და მეფის მთავრობას შორის.

ქართველი სამსედრო პირები აქტიურად მონაწილეობდნენ მეფის სამსახურში, მაგალითად, დაღესტნის დასაპყრობად. XIX ს. 50-იან წლებში შამილის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს დაღესტანში ქართველი გენერალი, ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი სარდლობდა. რუსეთის ჯარებს აქ რუს გენერლებთან ერთად მეთაურობდნენ სხვა ქართველი გენერლებიც (ზ. ჭავჭავაძე, ლ. სავარსამიძე, დ. ორბელიანი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ შამილის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის დამპყრობლური, კოლონიური ხასიათი ნაკლებ ესმოდა ზოგიერთ სხვა ქართველ მოღვაწეს, რომელიც ძველი ლეკიანობის ასოციაციით, ბრძოლას ქართულ პატრიოტულ მისწრაფებათა განხორციელებადაც კი თვლიდა.

სულ სხვა სასიათი ჰქონდა ქართველთა მასობრივ მხარდაჭერას რუსეთისადმი ყირიმის ომში (1853—1856 წ.), ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ომში საომარი მოქმედების ასპარეზად დასავლეთი საქართველოს მიწა-წყალიც იქცა. აქ, მიმდინარე ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა სახალხო რაზმები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართველოდან საძულველ ოსმალთა განდევნის საქმეში.

ფეოდალურ ყოფიერებაში ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტთა შეჭრასა და მებატონეთა გაღატაკებასთან დაკავშირებით, გაბატონებული კლასის იდეოლოგთა აზროვნებაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ. ისინი დეგრადაციის გზაზე მდგომ თავად-აზნაურებს მეურნეობის გაუმჯობესებასა და ბაზართან მჭიდრო კავშირის დამყარებას ურჩევდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ძველი „თოფისა და ხმლის" მაგიერ ახლა საჭირო იყო სწავლა-განათლება და ვაჭრობა. ამ გზით ფიქრობდნენ ეს მოაზროვნეები ფეოდალთა კლასის ბატონობის შენარჩუნებას. ის კი არ იცოდნენ, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ბატონყმური დამოკიდებულების არსებობა ერთმანეთს გამორიცხავდნენ.

ჩვენში ანტიბატონყმურ იდეალოგიას საწყისი ჰქონდა ჯერ კიდევ იოანე ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, იაგორ ჭილაშვილისა და სხვ. ნააზრევში.

ანტიბატონყმური იდეოლოგიის პირველი სერიოზული წარმომადგენელი საქართველოში იყო ცნობილი მოთხრობის „სურამის ციხის" ავტორი დანიელ ჭონქაძე, რომელმაც მწვავედ დაგმო არსებული სოციალური უსამართლობა. „სურამის ციხე" გამოქვეყნდა 1859 წ., როცა საქართველოში ფართოდ იყო გაშლილი გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა. ფეოდალური რეაქცია მტრულად შეხვდა ამ მოთხრობას და მის ავტორს მოკვლასაც კი უპირებდნენ.

50—60-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან კარგად ცნობილი მოღვაწეები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, რ. ერისთავი და სხვები, რომლებმაც უკვე მაშინდელ ნაწარმოებებში დაგმეს და გაკიცხეს ბატონყმობა.

არ შეწყვეტილა აგრეთვე პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა ბრძოლა, რომლის მიზანი იყო ქართველი ხალხის განთავისუფლება კოლონიური ჩაგვრისაგან.

პროგრესული დასის საქმიანობა კვლავ ვერ ეგუებოდა რეაქციულ თავადაზნაურობას, რომელიც ბაგრატიონთა ტახტის აღდგენაზე ოცნებობდა. ისინი წარსულ „დიდებას", გარდასულსა და დრომოჭმულს, მისტიროდნენ, პროგრესისტები კი იბრძოდნენ საქართველოს განახლება-განათლებისათვის, რის საფუძველზედაც უნდა გაეხორციელებულიყო სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება.

1832 წ. შეთქმულების გამო გადასახლებული ბევრი მოღვაწე მალე დაუბრუნდა სამშობლოს. ბევრ მათგანს არსებობისათვის სხვა გზა არა ჰქონდა, თუ არა მთავრობის სამსახურში შესვლა, მაგრამ ასეთ ძნელ პირობებშიაც ახერხებდნენ ისინი პატრიოტული საქმიანობის გაგრძელებას.

მოწინავე ძალები განაგრძობდნენ იმ საქმიანობას, რომელსაც მე-19 ს. 20—30-იან წლებში ს. დოდაშვილი მეთაურობდა. დოდაშვილის წერილებს იმეორებდნენ თბილისის გიმნაზიის ქართველი მოსწავლეები თავიანთ სელნაწერ ჟურნალებში. მისმა ყოფილმა მოწაფეებმა ნ. ბარათაშვილმა, მ. თუმანიშვილმა და სხვებმა 1835 წ. დაიწყეს ჟურნალ „თბილისის გიმნაზიის ყვავილის" გამოშვება. ისევე, როგორც „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", „გიმნაზიის ყვავილიც" ქადაგებდა სამშობლოსადმი სიყვარულს და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა და საერთოდ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას. ნ. ბარათაშვილისა და მ. თუმანიშვილის მიერ 1836 წ. შედგენილ ანთოლოგიაში შეტანილ იქნა დ. მაჩაბლის ლექსები და გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა". ამით მოწინავე ახალგაზრდობამ გამოსახა თანაგრძნობა პოლიტიკურ-განმათავისუფლებელი იდეებისადმი.

40-იან წლებში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივები თავს იჩენდა მოწინავე ინტელიგენციის მრავალმხრივ საქმიანობაში. ამ დროს გ. ერისთავის, დ. მაჩაბლისა და სხვათა თაოსნობით ამზადებდნენ ახალი ქართული ჟურნალის „სინათლის" გამოცემას. ამ მიზნით გამოშვებულ მოწოდებაში ისინი აღვივებდნენ ხალხის პატრი-

ოტულსა და თავისუფლებისმოყვარულ მისწრაფებას. არსებული ჩამორჩენილობის შესახებ ჩივილში გამოსჭვიოდა პროტესტი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და დიდი ინტერესი მშობლიური ლიტერატურის აღორძინებისადმი: „აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთაველნი და პეტრიწნი? სადღა ისმის ტკბილსმოვანება ბესიკისა? სად გადმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰჭარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, მათთანვე წარსდნეს“.

ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ამიტომ იყო, რომ ჟურნალ „სინათლის“ გამოცემა ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა არ შეწყვეტილა.

40—50-იან წლებში ამოძრავდნენ ეროვნულ-კულტურული ძალები. გახშირდა წიგნების ბეჭდვა; გამოჩნდნენ სამშობლოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებული პირები: აღადგინეს ქართული თეატრი; დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „ცისკარმა“. საქართველოში დაბრუნდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან.

ქართველი მოღვაწეები ქართული თეატრის სცენიდან და პერიოდული პრესის ფურცლებიდან იბრძოდნენ — რამდენადაც ეს მაშინ ყოვლის ჩამხშობი ცენზურის პირობებში შეიძლებოდა — კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ასეთი ბრძოლა მიმდინარეობდა ლიტერატურულ სარბიელზედაც.

პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში იყენებდნენ საქართველოს ისტორიის გმირული ეპიზოდების პოპულარიზაციის ხერხს. 1846 წ. ალ. ორბელიანმა დაწერა დრამა „დავით აღმაშენებელი, ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომელშიც აღმაშენებლის დროის ამბებს ამოფარებულმა ავტორმა გაატარა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეა.

1861—1862 წლებში ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. ამ ნაწარმოებს წინ უძღოდა ახალგაზრდა ისტორიკოსის დ. ბაქრაძის მიერ დაწერილი შესავალი წერილი, რომელიც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარ მოწოდებას შეიცავდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებას უნდა „მისცემოდა მოძრაობა განათლებისა“, „თავისუფლების მოყვარეობისა და სულის სიმტკიცე“.

ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველი მოღვაწეები წინანდებურად უკავშირებდნენ მოწინავე რუსი ადამიანების ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. 1861 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი მოსწავლეები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე და სხვები რუსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში.

§ 94. საქართველოს კულტურა მე-19 ს. პირველ ნახევარში

განათლება. თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი იყო მეფის მთავრობის ერთგულ მსახურთა მომზადება. განათლება გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. ამასთანავე აღნიშნულ პოლიტიკას საქართველოში კოლონიური მიზანიც ჰქონდა: სკოლებს ადგილობრივი მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადებასთან ერთად უნდა ხელი შეეწყო ხალხის გარუსებისათვისაც.

მეფის მთავრობამ სავსებით უარჰყო ძველი ქართული ეროვნული სკოლები.

1804 წ. მთავრობამ თბილისში გახსნა რუსული სკოლა, რომელშიც მაღალი წოდების წარმომადგენელთა და რუს მოხელეთა შვილებს იღებდნენ. სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო. სკოლას არ ჰყავდა მომზადებული მასწავლებლები. მასში პოლიციური რეჟიმი იყო გამეფებული, მოწაფეებს მათრახითა და სახაზავით სცემდნენ. საგნებს გაზეპირების „მეთოდით“ ასწავლიდნენ.

სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლაც დაშვებული იყო, რადგან მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ აქაურ მოხელეებს, რუსულს გარდა, ქართული ენაც სცოდნოდათ.

მთავრობის სკოლის ასეთი მიზანდასახულობის მიუხედავად, 1804 წ. დაარსებულ სასწავლებელს მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ოფიციალური საერო სკოლა ჩვენში.

აღნიშნული სასწავლებელი 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა. თბილისში იმავე წელს გაიხსნა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი, რომელსაც თავადაზნაურთა ასულთათვის რუსეთის მთავრობისადმი ერთგულება უნდა ჩაენერგა. გარდა ამისა, გაიხსნა სამაზრო სასწავლებლებიც — თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისსა და სოფ. სუჯუნაში (სამეგრელოში).

40—50-იანი წლებიდან ოფიციალური სკოლების ქსელი შესამჩნევად გაიზარდა. 1840 წ. ქალთა სკოლა გადაკეთდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად. 1850 წ. თბილისში მეორე გიმნაზიაც გაიხსნა და ამასთანავე ჩამოყალიბდა გიმნაზია ქუთაისში. გაფართოვდა გიმნაზიებთან არსებული პანსიონები.

სასკოლო ქსელის შედარებით გაფართოებასთან ერთად სულ უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა, რაც საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა ქართველ მოსწავლეებში. ცარიზმის სურვილებისაგან დამოუკიდებლად, გიმნაზიებში იზრდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მომავალი მოღვაწეები. საკმარისია ითქვას, რომ მე-19 ს. 30—50-იან წლებში დაასრულეს თბილისის გიმნაზია ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, რ. ერისთავმა და სხვებმა.

ქრისტიანული ეკლესიის მოხელეთა მოსამზადებლად ცარიზმი ჩვენში სასულიერო სასწავლებლებს და სემინარიებსაც ხსნიდა. ეს სასწავლებლებიც რუსული იყო.

არსებული სკოლები მაღალი ფენების მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ სწავლება უცხო ენაზე წარმოებდა და სკოლებ-

ში ჩაბმული მოსწავლეების 1-2% თუ ამთავრებდა სრულ კურსს. გარდა ამისა, სკოლათა რაოდენობა ძალზე მცირე იყო. 1856 წლისთვის საქართველოს სასწავლებლებში ირიცხებოდა 3000-მდე მოსწავლე, რაც მთელი მოსახლეობის 0,3% უდრიდა. მშრომელთათვის ეს სკოლები საერთოდ მიუწვდომელი იყო.

მიუხედავად ცარიზმის კლასობრივ-კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკისა, მშრომელთა მცირე ნაწილი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა დაწყებითი განათლების მიღებას. გავრცელებული იყო ახალგაზრდების მოსაზადებლად მიბარება სოფლის მასწავლებლებთან. იყო კერძო სასწავლებლებიც. გლეხთა ოჯახებში, სასწავლო მოწყობილობის უქონლობის გამო, ხშირად იყენებდნენ ხარის ბეჭის ძვალსა და ნახშირს, რომლებიც დაფისა და ცარცის მაგივრობას ეწეოდნენ.

მოწინავე ქართველები 30—40-იან წლებიდან უკვე აყენებდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, მაგრამ მეფის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა მათ მოთხოვნას. ცარიზმს ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო გაუღვივებდა ქართველებს განმანათლებელ იდეებს და აქ იმპერიის პატრონობის საფუძვლებს შეარყევდა.

სახალხო განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკათა ზრდას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარება. მეფის მთავრობა, თავისი პოლიტიკის შესაბამისად, არ ზრუნავდა ქართული წიგნების ბეჭდვაზე. თუ 1782 წლიდან ვიდრე 1795 წლამდე, 13 წლის განმავლობაში, მარტო თბილისში 20-ზე მეტი ქართული წიგნი დაიბეჭდა, 1801—1815 წლებში არც ერთი არ დაბეჭდილა.

მე-19 ს. 40-იანი წლებიდან, როცა თბილისსა და სხვა ქალაქთა ქართველ მოღვაწეებს გასაქანი მიეცათ, ქართული წიგნის ბეჭდვას წინანდელთან შედარებით ფართო ასპარეზი გაეშალა. თანდათან ვითარდებოდა საგანმანათლებლო მეცნიერული ლიტერატურა.

მეფის მთავრობა არც საჯარო ბიბლიოთეკის გახსნაზე ზრუნავდა. წიგნთსაცავები იყო მხოლოდ სკოლებსა და რუ-

სული მმართველობის ზოგ დაწესებულებაში. ეს სამკითხველოები სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას.

წიგნი მაშინ ძალზე ძვირად ფასობდა: საშუალო ზომის წიგნის ღირებულება აღწევდა 1,5 მანეთამდე, ოქროს კურსით, ისე რომ მისი შეძენა მდიდრებს თუ შეეძლოთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნ. ბარათაშვილმა, დ. ყიფიანმა, ვ. ორბელიანმა, ზ. ფალავანდიშვილმა და სხვ. გაითვალისწინეს ბიბლიოთეკათა მნიშვნელობა მასების გათვითცნობიერების საქმეში და საკუთარი თაოსნობითა და ხარჯით მოაწყვეს კერძო საჯარო სამკითხველო. 1846—1850 წლებში, აღნიშნული სამკითხველოსა და სხვა წიგნსაცავების საფუძველზე, თბილისში გაიხსნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაც.

მეცნიერება. მე-18 ს. მეორე ნახევარში საქართველოში გაჩაღებული მეცნიერული მუშაობა მე-19 ს. პირველ მეოთხედში ვეღარ განვითარდა. მეცნიერების ბევრი მოღვაწე რუსეთში გადაასახლეს და თბილისის სამეცნიერო ცენტრი თითქმის მოიშალა. სამაგიეროდ ქართველები სამშობლოს გარეთ, მოსკოვსა და პეტერბურგში განაგრძობდნენ მეცნიერულ საქმიანობას.

მე-19 ს. 20-იანი წლებიდან, საკმაოდ დიდი ხნით შეფერხების შემდეგ, თბილისში, ს. დოდაშვილის მეთაურობით, კვლავ ჩაიდგა სული მეცნიერულმა მოღვაწეობამ. მაგრამ, 1832 წ. შეთქმულებასთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის კულტურის წარმომადგენლები კვლავ მოწყდნენ სამშობლოს. ასე გრძელდებოდა ვიდრე 40-იან წლებამდე, როდესაც დაფანტულმა და ისედაც სუსტმა ძალებმა მაინც მოიყარეს თავი და თბილისში მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობისათვის უკეთესი პირობები შეიქმნა.

პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის XIX ს. პირველ მესამედში გამოირჩეოდა იოანე ბაგრატიონი (1772—1830), რომელმაც 15 წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა დიდი ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა". ამ ნაშრომში ავტორმა დაგვიხატა მაშინდელი საქართველოს სინამდვილე და ჩამოაყალიბა თავისი ცოდნა იმ დროის მეცნიერების ყველა დარგში. ავტორი მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნულ-კულტურული ტრადიციების დაცვას ცარიზმის ბატონობის პირობებში.

პეტერბურგშივე იოანეს ძმამ დავითმა (1776—1819), თავისი დროისათვის დიდად განათლებულმა პიროვნებამ, 1818 წ. შეადგინა „შემოკლებული ფიზიკის" სახელმძღვანელო. დავითმა, დედაენის გარდა, კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენებიც. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა გაეცნო ლისწინებინა მაშინდელი მეცნიერების მონაპოვარი ფიზიკის დარგში. მის წიგნში იგრძნობა დიდი რუსი მეცნიერის მ. ლომონოსოვისა და ფრანგი მატერიალისტების გავლენა.

მე-19 ს. 40-იან წლებში რუსეთსა და ევროპაში საკმაოდ ცნობილი იყო წარმოშობით ქართველი მეცნიერის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (1818—1876) სახელი. იგი სახელოვანი გმირი სარდლის, პეტრე ბაგრატიონის ძმისწული იყო. მან შეიმუშავა ოქროს მოპოვება-დამუშავების ახალი ხერხი, რომელიც მიიღო და გამოიყენა მაშინდელმა მეცნიერულ-ტექნიკურმა სამყარომ. 1840—1844 წლებში ბაგრატიონი მუშაობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტში, გამოჩენილ რუს აკადემიკოს იაკობისთან. იქ მან გამოიგონა ახალი გალვანური ელემენტი, რისაც როგორც იაკობი ამბობდა, „მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარების ისტორიაში". მანვე აღმოაჩინა მინერალ ორტიტის ახალი სახეობა, რომელსაც 1845 წლიდან „ბაგრატიონი" ეწოდება.

ქართველი მეცნიერები დაინტერესებული იყვნენ ფილოსოფიის საკითხებითაც. ამან გამოხატულება ჰპოვა ს. დოდაშვილის „ლოგიკაში" — იმ დროისათვის სერიოზულ ნაშრომში, რომელიც ფილოსოფიის კურსის შესავალს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მეცნიერები სამშობლოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებისადმი. მე-19 ს. პირველ ნახევრის ისტორიკოსთა შორის გარკვეული ადგილი უკავია ზემოხსენებულ დავით ბაგრატიონს. ძველ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, ბაგრატიონი ისტორიას არ უყურებდა, როგორც ზებუნებრივი ძალებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა ნება-სურვილის ნაყოფს. მას ყოველთვის აინტერესებდა ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი რეალური მიზეზები. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი

ნაშრომი მიუძღვნა სამშობლოს ისტორიის შესწავლას. ასეთებია მისი „საქართველოს ისტორია", „ახალი ისტორია" და სხვ.

დასავლეთ საქართველოდან გამოსული პირველი ისტორიკოსი იყო ნიკოლოზ დადიანი (1765—1834), რომელმაც დაწერა საქართველოს ისტორია ანუ „ქართველთ ცხოვრება". აღსანიშნავია, რომ მან სცადა ქართველი ხალხის ისტორიის პროცესის ერთობლივად, მთლიანად გააზრება.

30—40-იანი წლების რუსეთისა და ევროპის ისტორიკოს-მეცნიერთა შორის საკმაოდ ცნობილი გახდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846). განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაშრომი „ივერიის ისტორია", რომელშიც ავტორმა იმ დროისათვის დიდი მეცნიერული მომზადება და ნიჭი გამოამჟღავნა. იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა ფრანგმა მეცნიერმა, შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, მ. ბროსემ.

ქართველი ისტორიკოსები პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვები გულმოდგინედ აცნობდნენ საქართველოს გმირულ ისტორიას რუსსა და ევროპელ მკითხველებს.

ქართველთმცოდნეობით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდების ზრდას ხელი შეუწყო თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფემ აკად. მ. ბროსემ, რომელმაც ფრანგულად დაწერილი ნაშრომებით საქართველოს მდიდარი წარსული ევროპის მეცნიერებას გააცნო. მან, ქართველ მეცნიერ ზ. ფალავანდიშვილთან ერთად, 1841 წ. გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ეს იყო ამ უკვდავი ნაწარმოების მეორე გამოცემა, რომელსაც პირველი, ვახტანგ მეფის გამოცემისაგან 129 წელიწადი აშორებდა.

1845 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელზედაც ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა. ამ კათედრაზე მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი დ. ჭუბინაშვილი (1814—1891). ჭუბინაშვილმა დიდი შრომა გასწია და შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგუ-

ლი, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე 1846 წ. დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1855 წ. — ქართული ენის გრამატიკა, რუსულად — მისივე რედაქციით 1860 წ. გამოიცა „ვეფხისტყაოსანი".

ლიტერატურა. მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას უწინდებურად ახასიათებდა ცხოვრების ღრმა სიყვარული, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადება, ჰუმანიზმი, ხალხთა შორის მეგობრობის იდეა და მტერთან შეურიგებელი ბრძოლა. ამ ხანაში ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს პრობლემას ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონების შედეგად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი გაბატონდა. ქართული რომანტიზმი წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილების გამომხატველ მიმდინარეობას, რომელსაც იმავე დროს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრესული იდეები ამოძრავებდა. რომანტიკოსთა შემოქმედებაში თავი იჩინა რეალისტურმა ტენდენციებმა და ყურადღებამ სოციალური პრობლემებისადმი.

ქართული რომანტიზმის მამამთავრად ითვლებოდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846). იგი ძველი ქართული პოეზიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ არც რუსეთისა და ევროპის რომანტიზმის გავლენისაგან იყო თავისუფალი. ა. ჭავჭავაძე ფართო განათლების მქონე და თავისი დროის პროგრესული იდეების მიმდევარი ადამიანი იყო.

ალ. ჭავჭავაძე ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მან, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, აიმაღლა ხმა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ლექსში „ვაჲ სოფელსა ამას" გამოხატულია იმედი, რომ წოდებათა შორის უთანასწორობა და მშრომელთა ჩაგვრა მოისპობოდა.

ალ. ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებებში დიდ უკმაყოფილებას

გამოთქვამდა საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო, მაგრამ მას ისიც კარგად ესმოდა, რომ რუსეთის გაბატონების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა და შემდგომი განვითარებისთვის პირობები შეიქმნა.

ალ. ჭავჭავაძე პატრიოტული ლირიკის ერთი წამომწყებთაგანი იყო. სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე ლექსებში პოეტი ამჟღავნებდა გულწრფელ მამულიშვილობას, მაღალ პატრიოტულ მისწრაფებას.

რომანტიზმის მეორე წარმომადგენელის გრ. ორბელიანის (1804—1883) შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს. მე-19 ს. 30-იან წლებამდე იგი ამჟღავნებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ სულისკვეთებას. 30-იანი წლებიდან კი, მას შემდეგ, რაც პოეტმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის ბრძოლა წაგებულად ჩათვალა, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შეიქმნა მწუხარება-სევდის მოტივები. 60-იან წლებში იგი თავისი კონსერვატორული იდეოლოგიით დაუპირისპირდა ახალ, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების თაობას.

გრ. ორბელიანი ქართული ლექსის თვალსაჩინო ოსტატი იყო. მან დაწერა ძველი საქართველოსადმი სიყვარულით გამჭვალული მრავალი ლექსი. პოეტმა დაგვიტოვა აგრეთვე რეალისტური პოეზიის ნიმუშებიც. ასეთია ლექსები: „არავისთვის დღეს მე არა მცალიან“, „დიმიტრი ონიკოვის დარდები“, „მუხამბაზი“ და სხვ. იგი ოსტატურად უმღეროდა თავისი სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას. ცალკე აღსანიშნავია მისი ლექსი „მუშა ბოქულაძე“, სოციალურ პრობლემისადმი მიძღვნილი.

რომანტიკოსმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817—1845) ქართული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ახალგაზრდა მგოსანმა ღრმად მოფიქრებული პასუხი გასცა საქართველოს მაშინდელი ცხოვრების მიერ მწვავედ წამოყენებულ ურთულეს საკითხებს. თავისი შემოქმედებით იგი ენათესავებოდა რუსეთის პროგრესულ რომანტიზმს. მის პოეზიაში, ერთი მხრივ, მკაფიოდ მოჩანს ძიებისა და ბრძოლის მოტივები, ხოლო მეორე მხრივ — მწუხარება, პესიმისტურ-სევდიანი

კ[illegible]ლო, რომელიც იმ დროის შავბნელი სამყაროს ანარეკლია.

კოლონიური რეჟიმითა და ფეოდალური გარემოთი უკმაყოფილო პოეტი უჩივის „სულიერ ობლობას“, ემიჯნება მოწამლულ ატმოსფეროს, „ბოროტ სულს“ და ბუნებაში პოვებს შვებას. იმავე დროს პოეტი პროტესტს უცხადებს არსებულ უსამართლობას და ქართველ ხალხს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ნ. ბარათაშვილმა პოემაში„ბედი ქართლისა“ და ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ღრმად და სწორად შეაფასა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა და მისგან გამომდინარე შედეგები. მისი მართებული აზრით, საქართველომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევის შემდეგ დაიბრუნა დაკარგული მიწა-წყალი და მშვიდობა მოიპოვა. იმავე დროს იგი გამოთქვამდა იმედს, რომ პოლიტიკურად დამონებული საქართველო მომავალში განთავისუფლდებოდა და აყვავდებოდა.

მე-19 ს. ორმოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაეყარა რეალიზმის განვითარებას, რაც გიორგი ერისთავის (1811—1864) შემოქმედებით დაიწყო. მის კომედიებში („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“ და სხვ.) აისახა ქართველი თავადაზნაურობის თანდათანობითი დეგრადაციის პროცესი და სავაჭრო კაპიტალის როლის ზრდა. ამასთანავე მან ნიღაბი ახადა თვითმპყრობელური მმართველი ბიუროკრატიის ბოროტმოქმედებას და ამით პროტესტი გამოთქვა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

გ. ერისთავის ლიტერატურულ ტრადიციებს მისდევდა დრამატურგი ზ. ანტონოვიც (1820—1854).

სოციალური უსამართლობის მოსპობისათვის ბრძოლას მიუძღვნა თავისი შემოქმედება ახალი ქართული რეალისტური პროზის ფუძემდებელმა დანიელ ჭონქაძემ (1830-1860). როგორც ზემოთ ითქვა, მწერალმა თავის„სურამის ციხეში“ საშკაროზე გამოიტანა ბატონყმობის მთელი სიმახინჯე, მწვავედ დაგმო ბატონყმობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ფეხქვეშ გათელვა.

რეალისტური პროზის მეორე თვალსაჩინო წარმომადგე-

ნელია ლავრენტი არდაზიანი (1815—1870). არდაზიანმა თავის ნაწარმოებში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" გვიჩვენა საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდის პროცესი. მან ცხადყო, რომ იმ ხანაში (ე. ი. ბატონყმობის გაუქმების წინ) ჩვენში სწრაფად ვითარდებოდნენ ვაჭრულ-ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც აჩქარებდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმოქმნას და ჩამოყალიბებას.

გ. ერისთავის, დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის შემოქმედებამ საფუძველი მოუმზადა ჩვენში კრიტიკული რეალიზმის მძლავრ განვითარებას.

ხელოვნება. ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ თავისებური გავლენა მოახდინა ხელოვნებაზედაც. XIX ს. პირველ ნახევარში თანდათან იღევნებოდა ქართულ ხელოვნებაში ძველად შემოჭრილი აღმოსავლურ-მაჰმადიანური ელემენტები, რომლებიც აქა-იქ იჩენდნენ ხოლმე თავს — ხუროთმოძღვრებაში თუ წიგნებისა და ხელნაწერების მორთულობაში და სხვ. არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში უკვე შესამჩნევი გახდა რუსული ხელოვნების გავლენა. სურათებს უკვე კერძო პირთა დაკვეთით ხატავდნენ. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა პორტრეტულმა მხატვრობამ, რომელშიაც აშკარად მოჩანდა ხელოვნების რეალისტური საწყისების ჩასახვა და განვითარება.

საგრძნობი ცვლილება განიცადა არქიტექტურამ. საქალაქო მშენებლობაში, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტიქიურობის ნაცვლად, გეგმიანობა ინერგებოდა. დაქვეითებას განიცდიდა ქართული ხელოვნური არქიტექტურა, რომლის შესაბამისი მშენებლობა ფრიად შრომატევადი იყო, და გზას იკაფავდა უფრო მარტივი სტილის სამშენებლო ხელოვნება. თბილისში გაჩნდა რუსული კლასიციზმის სტილისათვის დამახასიათებელი შენობები.

ქართული ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ისევ მშრომელი მოსახლეობა ინარჩუნებდა, რომელიც განაგრძობდა თავისი სახლების შემკობას სხვადასხვაგვარი ქართული ჩუქურთმებით. ხალხის ფართო ფენებიდან ნიჭიერ ხელოვანთა გა-

მოვლინება-გაფურჩქვნას ახშობდა ბატონყმობა და ცარიზმის კოლონიური რეჟიმი.

60-იანი წლებიდან მოწინავე ქართველებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, დაიწყეს ზრუნვა ქართული ეროვნული სახუროთმოძღვრო ხელოვნების უმდიდრეს ტრადიციათა აღდგენა-გამოცოცხლებაზე.

ქართველი მოღვაწეები გამუდმებით ცდილობდნენ მე-18 ს. 90-იან წლებში მოშლილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენას. მე-19 ს. 20—40-იანი წლების მიჯნაზე სცენისმოყვარე ახალგაზრდებმა, გ. ერისთავისა და ვ. ორბელიანის თაოსნობით, თარგმნეს და წარმოადგინეს კიდევაც გრიბოედოვის ცნობილი პიესა „ვაი ჭკუისაგან“. მუდმივი თეატრის აღდგენისათვის ნიადაგი უკვე მზად იყო, მაგრამ ამ საქმეს მთავრობა მხარს არ უჭერდა. იგი დიდი ხნით შეაფერხა 1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნებამაც.

40-იანი წლებისათვის თეატრით გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ, მაგალითად, სოფელ მეჯვრისხევშიც კი დაუდგამთ უცნობი პირის მიერ ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი შექსპირის „ოტელო“. 1845 წ. იმერეთში, სოფ. გორისაში, დაუდგამთ ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“. ასეთი შემთხვევები ძალზე ხშირი იყო იმ პერიოდში.

1845 წ. თბილისში მუდმივი რუსული თეატრის დაფუძნებამ მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისათვის ბრძოლას ძალ-ღონე შემატა. ამ საქმეს კვლავ გ. ერისთავი ჩაუდგა სათავეში.

1850 წ. 2 იანვარს თბილისის ქართული გიმნაზიის სცენაზე ქართველმა სცენისმოყვარეებმა დადგეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. იმ ერთი წლის განმავლობაში ქართველ მსახიობთა მუდმივი დასიც ჩამოყალიბდა და 1851 წ. პირველ იანვარს ქართული პროფესიული თეატრიც გაიხსნა. ეს იყო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

მეფისნაცვალი ვორონცოვი მხარს უჭერდა ქართველი ინტელიგენციის ამგვარ საქმიანობას. იგი ფიქრობდა, რომ ქართულ თეატრს მეფის მთავრობის მიზნებს დაუმორჩილებდა,

მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. ქართულმა თეატრმა ამხილა ფეოდალური წყობილების სიდამპლე და პროტესტი გამოუცხადა კოლონიურ რეჟიმს. აშკარა გახდა, რომ ქართული თეატრი დიდ როლს შეასრულებდა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ხალხის გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ქართულ თეატრს მთავრობამ საარსებო სახსარი მოუსპო და 1856 წ. იგი დაისურა კიდევაც.

თავი IX

საქართველო საგლეხო რეფორმის შემდგომ სანაში

(მე-19 ს. 60-იანიდან 90-იან წლებამდე)

§ 95. 60-იანი წლების რეფორმები

XIX საუკუნის 50-იან წლებში აშკარა გახდა, რომ ბატონყმობის მოუსპობლად შეუძლებელი იყო რუსეთის ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა. ყირიმის მარცხიანმა ომმა და გლეხთა მოძრაობის უმაგალითო ზრდამ თვით რუსეთის მთავრობა და გაბატონებული კლასებიც კი დაარწმუნა, რომ ბატონყმობის გაუქმების გადადება აღარ შეიძლებოდა.

1855 წ. გარდაიცვალა რუსეთის მეფე ნიკოლოზ I და მის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე II. ახალი მეფე ბატონყმობის მომხრე იყო, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო იძულებული გახდა რეფორმების გზას დასდგომოდა.

გლეხთა განთავისუფლების პირობების ირგვლივ რუსეთის თავადაზნაურთა შორის ცხარე კამათი გაიმართა. შემუშავდა სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ასახავდნენ თავადაზნაურთა რეაქციული და ლიბერალური ჯგუფების შესედულებებს.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და გლეხთა მოწყობის დებულებას, რომელიც ცნობილია „19 თებერვლის დებულების" სახელწოდებით. ვაბატონებულმა კლასებმა მიაღწიეს თავის მიზანს: „დებულება" ითვალისწინებდა გლესთა

განთავისუფლებას ისეთი პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ თავადაზნაურობის ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებას. გლეხობის ინტერესები კი დავიწყებული იქნა. მართალია, ყმა გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი ეკონომიკური მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება კვალდაკვალ მისდევდა რუსეთის ცხოვრების განვითარებას. ამიტომ ბატონყმობის გაუქმება საქართველოშიც უკვე გადაუდებელი ამოცანა გახდა.

1856—1862 წწ. კავკასიაში მეფისნაცვლად იყო ფელდმარშალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი, ხოლო 1862—1882 წწ. — დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. ბარიატინსკის განკარგულებით რეფორმისათვის სამზადისს საქართველოში ჯერ კიდევ 1857 წელს შეუდგნენ, მაგრამ პეტერბურგიდან საამისო ოფიციალური მითითება მხოლოდ 1861 წლის მარტში იქნა მიღებული. ამის შემდეგ შეიქმნა ცენტრალური საგლეხო კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა რეფორმისათვის მზადების ხელმძღვანელობა და სათანადო პროექტის შედგენა.

1861 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მაზრებში მიმდინარეობდა თავადაზნაურთა ყრილობები, რომლებზედაც უნდა შეეჩუშავებინათ გლეხთა განთავისუფლების პირობები, მაგრამ ამ ყრილობებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. რეფორმისათვის მზადება მეტისმეტად ჭიანურდებოდა, რადგან თავადაზნაურობა გააფთრებით იბრძოდა გლეხების წინააღმდეგ, მათზე ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის შესანარჩუნებლად.

რაკი სამაზრო ყრილობები უშედეგო გამოდგა, 1862 წლის აპრილში თბილისში მოწვეული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობა, რომელმაც მოახერხა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება საგლეხო რეფორმის პროექტის შესადგენად. ამ პრინციპების საფუძველზე პროექტის შედგენა ყრილობამ დაავალა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს.

დ. ყიფიანის შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი

მოიწონა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა უდიდესმა უმრავლესობამ – 536 მემამულემ. თავადაზნაურთა მცირე ნაწილმა (14 მემამულემ), რომელიც უმრავლესობის პროექტს არ მიემხრო, ცალკე პროექტი შეადგინა. ეს პროექტები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა, შინაარსი ორივეს ბატონყმური და რეაქციული ჰქონდა – და ორივე ყმა გლეხების უმიწაწყლოდ განთავისუფლებას ითვალისწინებდა, ქართველ თავადაზნაურობას უნდოდა, რომ გლესებისათვის სრულიად არ მიეცა მიწა და ხიზნების მდგომარეობაზე გადაეყვანა ისინი.

ლიბერალური თავადაზნაურობის ბანაკიდან მხოლოდ ორმა მოწინავე ინტელიგენტმა, სახელდობრ გენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და მოსამართლე ნიკოლოზ ჭავჭავაძემ გამოიჩინეს ეპოქის სულისკვეთების შედარებით სწორი გაგება და მთავრობას წარუდგინეს ყმების განთავისუფლების საკუთარი პროექტები, რომლებიც მოითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის განსაზღვრული რაოდენობით მიცემას. მათი აზრით, ეს აუცილებელი იყო საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი წინსვლისათვის. მართალია, ეს პროექტები ზემოხსენებული პროექტებისაგან განსხვავდებოდა და მათზე უფრო პროგრესული იყო, მაგრამ გლესთა მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არც ისინი ითვალისწინებდნენ.

დაჩაგრული ქართველი გლეხობის ინტერესთა ერთადერთი დამცველები იყვნენ ახალი თაობის წარმომადგენლები – თერგდალეულები, რომლებიც ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას ჩაებნენ რევოლუციურ მოღვაწეობაში.

1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა რუსეთის გლეხობა და მან მეფის მიერ ბოძებულ „თავისუფლებას" მღელვარებით უპასუხა. გლეხობის გამოსვლას აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის „რაზნოჩინცულმა" (ესე უწოდებდნენ ხალხის ქვედა ფენებიდან გამოსულ რევოლუციონერებს) ინტელიგენციამ, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი მეთაურობდნენ. ამ რევოლუციონერების გავლენით 1861 წელს პეტერბურგის სტუდენტებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოაწყვეს. ამ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ სტუ-

დენტთა დიდი ჯგუფი, რომლიდანაც ბევრი დაპატიმრებული იქნა და თავიანთ რუს მეკობრებთან ერთად რამდენიმე თვეს იჯდა კრონშტადტის ციხეში. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ გამოჩენილი თერგდალეულები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე და სხვები.

თერგდალეულთა იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იმჟამად პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მას სტუდენტთა დეპორტაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მასზედაც გაავრცელა რეპრესიები: 1861 წლის 12 ოქტომბერს ი. ჭავჭავაძე გამორიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდების ჯგუფი და უაღრესად ფართო ლიტერატურული და პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების — აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა ანტიბატონყმურ ნაწარმოებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ქართველი გლეხობის გამოფხიზლებისა და კლასობრივი გათვითცნობიერებისათვის. ბატონყმური წყობილებისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძის უკვდავ ნაწარმოებებს: „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!. პოემაში „აჩრდილი“ ილია ჭავჭავაძე გაბედულად მოითხოვს „კაცთა ცხოვრების უემფერხებელი ბორკილის დამსხვრევას“ და „შრომისა ახსნას“, აქ იგი პირველად აყენებს ახალი თაობის მთავარ ლოზუნგს, „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“. პოემაში „კაკო ყაჩაღი“ ილია ჭავჭავაძე სიყვარულით უმღერის XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობის ბელადს არსენა ოძელაშვილს და ხატავს მეამბოხე გლეხთა ისეთ ტიპებს (კაკო, ზაქრო), რომლებიც იარაღით ხელში უსწორდებიან საძულველ ბატონებს. მებრძოლი გლეხის ასეთივე ტიპია დასატული მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ გაბროს სახით.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას როდი სჯერდებოდა, პრაქტიკულადაც იბრძოდა გლეხობის ინტერესთა დასაცავად. ამის გამო თავადაზნაურობამ შეიძულა ილია ჭავჭავაძე და სდევნიდა მას. თავადაზნაურ-

თა ერთი-ერთ კრებაზე ილია ჭავჭავაძე ძლივს გადარჩა სიკვდილს. ამ კრებაზე ილიამ მოითხოვა, გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. ამის გამო ერთმა თავადმა სანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლა“. გაშმაგებული თავადი ძლივს შეაკავეს.

ასევე სდევნიდა თავადაზნაურობა თერდალეულთა მეორე გამოჩენილ ბელადს, დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს. მებატონეთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია აკაკის ლექსმა „მუშური“ და „გლეხის აღსარება“, რომლებშიც ბატონყმური წყობილების დაუნდობელი და უაღრესად მახვილი კრიტიკაა მოცემული. როცა „გლეხის აღსარება“ გამოქვეყნდა, თავადაზნაურთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. თავადმა მიქელაძემ სასიკვდილოდ მიიწია პოეტზე, რომელიც სალხმა ძლივს გადაარჩინა.

ასე თავდადებით იბრძოდნენ თერგდალეულები მშრომელი გლეხობის ინტერესთა დასაცავად. მათ ბრძოლას უღიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ შედგენილი რეფორმის პროექტები განხილულ იქნა მთავრობის ორგანოებში. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა მემამულეთა ინტერესები, მაგრამ იმავე დროს ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია, ერთი მხრივ, გლეხთა ბოდა რევოლუციად გადაზრდილიყო, ხოლო, მეორე მხრივ, მზარდი უკმაყოფილებისათვის, რომელიც ადვილად შეიძლებოდა ხაზინის ინტერესებისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ გლეხს არსებობის მინიმალური პირობები მაინც ჰქონოდა, რათა ხაზინისათვის გადასახადების გადახდა შეძლებოდა. ამიტომ მთავრობამ უარყო ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნა გლეხების სრულიად უმიწოდ განთავისუფლებისა და მათი ხიზნების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ. მოავრობამ თუმცა მთელი მიწა მებატონის საკუთრებად აღიარა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა დაეტოვებინა გლეხებისათვის მიწის მცირე ნაკვეთები, იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთებით სარგებლობისათვის გლეხებს გარკვეულ ვადამდე მემამულეებისათვის ზძიმე გადასახადი ეხადათ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოესყიდათ მათგან ნაკვეთები და თვითონ გამხდარიყ-

ვნენ მისი მესაკუთრენი. ამ ნაკვეთების გამოსყიდვამდე განთავისუფლებულ გლეხებს „დროებით ვალდებული ვლეხები“ ეწოდებოდათ.

1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ დაამტკიცა „მთავარი დებულებები“, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების პირობები. იმავე წლის 8 ნოემბერს ქალაქ თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრში ერთდროულად იქნა გმოცხადებული ბატონყმობის გაუქმება. „13 ოქტომბრის დებულებები“, ზოგიერთი არაარსებითი ცვლილებით, შემდგომ გავრცელდა დასავლეთ საქართველოზედაც. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა და გურია) ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა 1865 წლის ნოემბერში, ხოლო სამეგრელოში — 1867 წლის თებერვალში. აფხაზეთში ბატონყმობა გაუქმდა 1870 წელს, სვანეთში კი — 1871 წელს.

მთავრობის მითითებით, ბატონყმობის გაუქმება ყველგან ცხადდებოდა დიდი ზეიმით, რომლის ცერემონიალი წინასწარ იყო შემუშავებული. ამით მთავრობას უნდოდა გლეხობაზე შთაბეჭდილების მოხდენა, მისთვის თვალის ახვევა და საქმის ისე მოჩვენება, თითქოს რეფორმა ბედნიერებას მოუტანდა გლეხობას. მაგრამ ზეიმობდნენ მხოლოდ მთავრობის მოხელეები და თავადაზნაურობა, რომლებიც რეფორმის „წარმატებით“ ჩატარებისათვის რუსეთის მეფემ ჯილდოებით აავსო. გლეხობას კი საზეიმო არაფერი ჰქონდა, რადგან იგი მალე მიხვდა, რომ მოტყუებული დარჩა. გლეხობის მასები რეფორმას აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ქართველი გლეხობის მაშინდელ სულისკვეთებას კარგად გამოხატავს ხალხური ლექსი, რომელიც ბატონყმობის გაუქმების პირველ ხანებშივეა შექმნილი:

„ბატონყმობა გადავარდა,
ასე როდი მეგონა.
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყოდა,
ასე როდი მეგონა!“

საგლეხო რეფორმა რუსეთშიც მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ გატარდა და წარმოადგენდა ბატონყმური ხასიათის რეფორმას, მაგრამ საქართველოში რეფორმის ამგვარი ხასიათი კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა. აი როგორ

მოატყუეს და გაძარცვეს გლეხობა: რეფორმის გატარებამდე ყმა გლეხები სარგებლობდნენ 84.665 დესეტინა მიწით, რეფორმის შემდეგ კი მათ დაუტოვეს მხოლოდ 55.679 დესეტინა, დანარჩენი 28.986 დესეტინა ჩამოაჭრეს და მემამულეებს გადასცეს (ამას ეწოდებოდა „ჩამონაჭრები"). ამის შედეგად, თუ რეფორმამდე თითო ყმა გლეხი საშუალოდ 5.2 დესეტინა მიწით სარგებლობდა, რეფორმის შემდეგ თითეულ დროებით ვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა მხოლოდ 3,4 დესეტინა (აქ შედიოდა როგორც კარმიდამო და ბაღ-ვენახი, ისე სახნავ-სათესი მიწები). კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ საქართველოს გლეხები. ქუთაისის გუბერნიაში თითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა მხოლოდ 2,5 დესეტინა მიწა. სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იყო.

კანონით გლეხებს არ მიეცათ არც ტყე, და არც საძოვრები და ასეთი ადგილებით სარგებლობისათვის მათ მემამულისათვის მძიმე გადასახადი უნდა ეძლიათ. სრულიად არ მიუღიათ მიწა იმ გლეხებს, რომლებსაც რეფორმამდე არა ჰქონდათ ოგი, აგრეთვე შინაყმებსა და ხიზნებს. დროებითვალდებულ გლეხებს მიწის იმ მცირე ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც მათ კანონით გამოუყვეს (ამ ნაკვეთებს „ნადელებს" ეძახდნენ), მებატონეთათვის გაცილებით მეტი გადასახადი უნდა ეძლიათ, ვიდრე ბატონყმობის დროს იხდიდნენ. გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ე. წ. „ურთიერთ თავდებობის" წესის შემოღება, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხები თავიანთი ქონებით იყვნენ ერთიმეორისათვის პასუხისმგებელნი გადასახადის გადახდაზე. რეფორმამდე საქართველოში ასეთი წესი არ ყოფილა.

ამრიგად, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა რეფორმის შედეგად არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა კიდევაც. სამაგიეროდ, მემამულეთა ინტერესები სრულიად არ შელახულა. მათ გადაეცათ გლეხებისაგან ჩამოჭრილი მიწები, რომელთა ფართობი რამდენიმე ათეულ ათას დესეტინას აღწევდა. გარდა ამისა, მეფემ თავის ერთგულ თავადაზნაურობას გლეხებისათვის პირადი თავისუფლების მინიჭების საზღაურად „უწყალობა" დიდი ფუ-

ლადი დასმარება: თითოეული ყმის განთავისუფლებისათვის ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა საზინიდას მიიღეს 25-დან 50 მანეთამდე, რაც საერთოდ რამდენიმე მილიონ მანეთს აღწევდა. გლეხებს, რომლებსაც თავიანთი სისხლითა და ოფლით მორწყული მიწები უნდა გამოესყიდათ, მემამულეები ყოველნაირად ავიწროებდნენ: უზომავდნენ მდარე ან სულ უვარგის მიწებს და აიძულებდნენ დათანხმებულიყვნენ მიწით სარგებლობის უმძიმეს პირობებზე: მემამულეები გლეხთა საკუთარი მიწების პირდაპირ მიტაცებასაც არ ერიდებოდნენ.

ასე მოატყუეს და შეავიწროეს ისედაც დაბეჩავებული გლეხები რეფორმის დროს. ამიტომ ამბობდა ლენინი, რომ „ყბადაღებული განთავისუფლება იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“.

მაგრამ, მიუხედავად თავისი ბატონყმური ხასიათისა, საგლეხო რეფორმა მაინც ბურჟუაზიული რეფორმა იყო და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ისტორიაში. რეფორმის შედეგად გლეხს პირადი თავისუფლება მიენიჭა, მემამულეს უკვე აღარ შეეძლო გლეხის არც ყიდვა და გაყიდვა, არც გაცვლა და გაჩუქება, ვერ ჩაერეოდა გლეხის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, ვეღარ აუკრძალავდა მას ქორწინებას, ვეღარ გაუყიდდა ქონებას. გლეხს უფლება მიეცა თავისი სახელით დაედო ხელშეკრულება, ჩაბმულიყო ვაჭრობა-მრეწველობაში, შეეძინა უძრავი თუ მოძრავი ქონება, გამოსულიყო სასამართლოში მომჩივნად თუ მოპასუხედ, მიეტოვებინა სოფელი, გლეხის წოდება და ჩაწერილიყო „მოქალაქედ“ ან ვაჭრად. ერთი სიტყვით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი ადამიანი გახდა.

საგლეხო რეფორმასთან ერთად რუსეთში გატარდა სხვა ბურჟუაზიული რეფორმებიც, მათ შორის: საერობო, საქალაქო და სასამართლო.

1864 წელს რუსეთში შეიქმნა ე. წ. „ერობები“ ანუ ადგილობრივი (სამაზრო და საგუბერნიო) მმართველობის ორგანოები. ერობის ხმოსნებს ირჩევდნენ მიწისმფლობელები და გლეხები, აგრეთვე ქალაქის შეძლებული მცხოვრებნი.

არჩევნები ხდებოდა საადგილმამულო ცენზის საფუძველზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ მთავრობის ორგანოები გლეხებს აიძულებდნენ ხმოსნებად კულაკები აერჩიათ. ამის გამო ერობაში მსხვილი მიწათმფლობელებისა და ბურჟუაზიის ორგანოებად იქცნენ. მიუხედავად ამისა, ერობების შექმნას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ერობები ხელს უწყობდნენ კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარებას; მათ გაჰყავდათ გზები და რკინიგზები, აარსებდნენ ბანკებს, აწყობდნენ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვ.

საქართველოში საერობო რეფორმა არ გატარებულა. ერობების ნაცვლად აქ შემოიღეს ყოველგვარ უფლებას მოკლებული „სოფლის საზოგადოებანი", რომლებიც აერთიანებდნენ ერთი სოფლის (ზოგჯერ კი რამდენიმე სოფლის) მიწა-წყალზე მცხოვრებ გლეხობას. სოფლის საზოგადოების მთელი მოსახლეობა კომლობრივ შეადგენდა სოფლის ყრილობას, რომელიც ირჩევდა სოფლის მამასახლისს. სოფლის ყრილობა და მის მიერ არჩეული სოფლის მამასახლისი, აგრეთვე სოფლის გლეხთა სასამართლო, ერთად შეადგენდა „სასოფლო მმართველობას", რომელსაც არსებითად არავითარი უფლება არ გააჩნდა. სასოფლო მმართველობის თითქმის მთელი საქმიანობა ამოიწურებოდა გლეხებში გადასახადების აკრებით და სახელმწიფო ბეგარა-სამუშაოთა შესრულების თვალყურის დევნებით.

1866 წელს თბილისში გატარდა ქალაქის მმართველობის ნაწილობრივი რეფორმა, რაც უშუალოდ შედეგი იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყებისა. ამ აჯანყების შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის მიმართ ერთგვარ დათმობაზე წასულიყო და წინანდელი „ექვსხმოსნიანი საბჭოები" შეეცვალა ახალი საქალაქო მმართველობით, რომელსაც ირჩევდნენ გაცილებით უფრო ფართო საარჩევნო სისტემის საფუძველზე და მოქალაქეთა ქონებრივი ცენზის, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გათვალისწინებით.

მაგრამ 1866 წლის სანახევრო რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზია და იგი კვლავ გააგრძელა ბრძოლას თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების მოსპობისა და საკუთარ უფლებათა გაფართოებისათვის. ამით

აიხსნება, რომ რუსეთში გატარებული საქალაქო რეფორმის დებულება, რომელიც მეფემ 1870 წელს დაამტკიცა, 1874 წელს თბილისშედაც გაავრცელეს. ეს რეფორმა ახალი ნაბიჯი იყო თბილისის მმართველობის ბურჟუაზიულად გარდაქმნის გზაზე. ახალი რეფორმით სრულიად ისპობოდა წოდებრივი საარჩევნო სისტემა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვინც კი გადასახადს იხდიდა, მიუხედავად მათი წოდებრივი კუთვნილებისა. არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქონებრივ ცენზს; ერთი მუჭა მდიდარი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია ქალაქის ნამდვილი ბატონ-ბატრონები ხდებოდნენ.

საქალაქო მმართველობის რეფორმები საქართველოში მეტისმეტად გააჭიანურეს. ქუთაისსა და ბათუმში რეფორმა მხოლოდ 1888 წელს გატარდა, სოხუმსა და ფოთში — 1892 წელს, ხოლო გორში, დუშეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, სიღნაღსა და თელავში — 1894 წელს. ამ ქალაქებში რეფორმა ბევრად უფრო კუდშეკვეცილი და გამარტივებული იყო, ვიდრე თბილისში.

თბილისის ბურჟუაზიას თავის უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლა საქალაქო რეფორმის შემდეგაც არ შეუწყვეტია. მაგრამ ეს ბრძოლა მიმართული იყო უკვე არა იმდენად მეფის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ არსებითად მხოლოდ გაბურჟუების გზაზე შემდგარი ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა თავისი წოდებრივი პრივილეგიები გამოეყენებინა და ქალაქის მართვა-გამგეობა ხელთ ეგდო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საქალაქო რეფორმა მოკლებული იყო ნამდვილი დემოკრატიულობის ნასახსაც კი, მას მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. საქალაქო მმართველობის ახალი ორგანოები გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ წინანდელ წოდებრივ ორგანოებზე, უფრო შეეფერებოდნენ ახალ ვითარებას და ხელს უწყობდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

რუსეთში გატარებულ ბურჟუაზიულ რეფორმებს შორის ყველაზე უფრო თანმიმდევრული იყო სასამართლო რეფორმა, რომელიც განხორციელდა 1864 წელს. ამ რეფორმით ძველი,

წოდებრივ-ბატონყმური სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის დროიდან არსებობდა, შეიცვალა ახალი, ბურჟუაზიული სასამართლოთი. თუ წინანდელი სასამართლო მთლიანად მთავრობის პოლიციურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ხელში იყო და თვით მოსამართლესაც მთავრობა ნიშნავდა, სასამართლო რეფორმის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: ახალი დებულებით სასამართლო მთავრობის ორგანოებისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო; საქმის გამომძიებას პოლიციის ნაცვლად აწარმოებდნენ სასამართლოს მოხელეები — გამომძიებლები; საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის მიერ არჩეული ნაფიცი მსაჯულები; ბრალდებულს იცავდნენ ვექილები, ხოლო ბრალდებას ასაბუთებდა პროკურატურა. შემოღებული იქნა აგრეთვე მოსამართლეთა არჩევა. სასამართლოს სხდომები უკვე იმართებოდა საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით. ნებადართულ იქნა სასამართლო პროცესების ანგარიშთა გამოქვეყნება პრესაში. ერთი სიტყვით, ახალი სასამართლო ფორმალურად უახლოვდებოდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“ ბურჟუაზიულ პრინციპს და თუმცა არსებითად შორს იყო ამ პრინციპისაგან და შეძლებული კლასების ინტერესთა სადარაჯოზე იდგა, მაგრამ მაინც წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს და შეესაბამებოდა რუსეთის სახელმწიფოში შექმნილ ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას.

მეფის მთავრობამ არ მოისურვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის იმგვარად გატარება, როგორც რუსეთში გატარდა. ამის მიზეზად ასახელებდნენ „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს“. ნამდვილი მიზეზი კი მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა იყო; ცარიზმი ცდილობდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის შეუზღუდველი თვითნებობა შეენარჩუნებინა და ფორმალური უფლებაც კი არ მიეცა კოლონიების ხალხთათვის, რომ კანონიერება ეძიათ. ამით აიხსნება, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმას თითქმის გამოცლილი ჰქონდა ის დადებითი შინაარსი, რომელიც რუსეთში გატარებულ რეფორმას ჰქონდა.

საქართველოში სასამართლო რეფორმა გატარდა 1867 წლის კანონის საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა წინანდელი

წოდებრივი სასამართლოები და შეიქმნა შემდეგი ახალი სასამართლოები: მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებითურთ, საქალაქო სასამართლოები და სასამართლო პალატა. მომრიგებელი განყოფილებანი ითვლებოდნენ სასამართლოს ყველაზე დაბალ ინსტანციებად და არსდებოდნენ საქართველოს ყველა მაზრაში; შემდგომი, უფრო მაღალი ინსტანცია იყო საოლქო სასამართლოები, რომლებიც არსდებოდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში; სასამართლო პალატა კი ითვლებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის უმაღლეს სასამართლო ორგანოდ. პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ პეტერბურგს, სენატში.

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში არ გატარებულა სასამართლო რეფორმის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი, სახელდობრ: არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევა და მათ წინანდებურად მთავრობა ნიშნავდა; არ შემოუღიათ არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, ერთი სიტყვით, მოსახლეობის მიერ არჩეული სასამართლოს მაგიერ საქართველოში შეიქმნა მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებიც მთლიანად და სავსებით ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის ხელში იყო. ამ სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ხალხის განსაკუთრებით შემაწუხებელი ნაკლი ის იყო, რომ საქმეები ირჩეოდა რუსულ ენაზე, რომელიც ხალხის დიდი უმრავლესობისათვის სრულიად გაუგებარი იყო. ამიტომ სასამართლო რეფორმამ საქართველოში ძალიან მცირე დადებითი ნაყოფი გამოიღო, ხალხს წინანდებურად სძულდა მისთვის გაუგებარი სასამართლო და იგი გულში იგროვებდა უსამართლობითა და ჩაგვრით გამოწვეულ უსაზღვრო ბოღმას.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ბურჟუაზიული რეფორმების ისტორია. აქედან ჩანს, რომ რევოლუციური სიტუაციით შეშინებული მეფის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია რუსეთის სახელმწიფოში შექმნილი ახალი ვითარებისთვის და რამდენიმე რეფორმა გაეტარებინა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ეს რეფორმები, მიუხედავად მათი შეზღუდულობისა, მაინც მნიშვნელოვან წინგადადგმულ

ნაბიჯს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „1861 წ. რუსეთშიც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით".

საქართველოში ეს გადატრიალება მოხდა 1864—1871 წლებში. მას შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გაცილებით უფრო სწრაფად წავიდა წინ.

§ 96. კაპიტალიზმის გავრცელება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და მისი შედეგები

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში უკვე შესამჩნევად ვითარდებოდა მანუფაქტურული საწარმოები. ამ საწარმოებში მრავლად მზადდება საქართველოს ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო საქონელი: ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფესსაცმელი, ქუდები, რკინის სხვადასხვა იარაღი, სამშენებლო მასალა, თიხისა და მინის ჭურჭელი, საღვინე კასრები, ხის ავეჯი, საპონი და მრავალი სხვა. მარტო თბილისის გუბერნიაში 60-იან წლებში უკვე არსებობდა 450-მდე საწარმო, სადაც 5.000-ზე მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა.

განსაკუთრებით 50-იანსა და 60-იან წლებში მანუფაქტურული საწარმოებიდან თანდათან გამოიყო ცალკეული დიდრონი საწარმოები, სადაც გამოჩნდა პირველი მანქანები, თუმცა იქ ხელით შრომა ჯერ ისევ გაბატონებული იყო.

საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლის პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ისახება, მაგრამ უფრო სწრაფად და ფართო მასშტაბით ეს პროცესი 70-იან წლებიდან მიმდინარეობს. ამ დროიდან ხელით შრომას, რაც გაბატონებული იყო წარმოებაში, თანდათან ცვლის მანქანა, რომელიც წარმოების წამყვანი ძალა ხდება.

70-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობის განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო: ამ დროიდან სწრაფად განვითარდა ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა და საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

1873 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე. 1877 წელს სადგურ რიონიდან გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი ქუთაისამდე და, ამრიგად, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა, ერთი მხრივ, საქართველოს დედაქალაქს თბილისს, ხოლო მეორე მხრივ — შავ ზღვას. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის გაყვანა ბათუმ-სამტრედიასა და თბილისი-ბაქოს შორის და, ამრიგად, რკინიგზის ხაზი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. 1886 წელს გაყვანილ იქნა აგრეთვე ქუთაის-ტყიბულის რკინიგზა.

რკინიგზებმა დააახლოვა და ეკონომიკურად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, დააჩქარა აღებ-მიცემის განვითარება და წიაღისეული სიმდიდრის მოპოვება-დამუშავება, გამოაცოცხლა ცხოვრება. რკინიგზების მშენებლობას თან სდევდა სამთამადნო მრეწველობის სწრაფი განვითარება, განსაკუთრებით ფართოდ 70-იან და 80-იან წლებში ქვანახშირისა და მანგანუმის მრეწველობა დაწინაურდა.

ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა ტყიბულის საბადო. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში იქნა აღმოჩენილი მანგანუმის საბადო ჭიათურის მიდამოებში, მაგრამ მისი სამრეწველო დამუშავება მხოლოდ 1870 წელს დაიწყო. მანგანუმის წარმოება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის წამყვან დარგად იქცა.

ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის ზრდას ქალაქ ბათუმში. მას შემდეგ, რაც ბათუმი რკინიგზით თბილისსა და ბაქოს დაუკავშირდა, იქ სწრაფად გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი. განსაკუთრებით ფართოდ ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბაქოდან მიღებული ნავთის საზღვარგარეთ გატანასთან. ფართოდ განვითარდა კერძოდ, ნავთის საექსპორტო ჭურჭლის (ბიდონებისა და ყუთების) წარმოება.

იმ ხანებში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა ჩვენში მსუბუქი მრეწველობაც. 1870 წელს მდიდარმა ვაჭარმა მირზოევმა თბილისში გახსნა ბამბის ქსოვილთა დამამზადებელი ფაბრიკა, რომელიც მოწყობილი იყო უახლესი ტექნიკის სა-

ფუძველზე. 1875 წელს თბილისში კაპიტალისტმა ადელხანოვმა ააშენა ტყავის გადამმუშავებელი დიდი ფაბრიკა, რომელშიც ორთქლის ქვაბები მუშაობდა.

90-იან წლებში საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოება და ქალაქების სწრაფი ზრდა ხდება.

1894 წელს გაიხსნა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზი. 1895 წელს დამთავრდა რკინიგზის ვიწროლიანდაგიანი ხაზის მშენებლობა შორაპანსა და ჭიათურას შორის.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. სულ ათიოდე წლის განმავლობაში ტყიბულში ქვანახშირის ამოღებამ რამდენიმეჯერ იმატა. თუ 1890 წელს ამოღებული იყო 600.000 ფუთი ქვანახშირი, 1900 წელს ამოღებამ უკვე 3.875.000 ფუთს მიაღწია. კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდა მანგანუმის მრეწველობა. 1890 წელს მოპოვებული იყო 10.468.000 ფუთი მანგანუმი, 1900 წელს კი 40.363.000 ფუთი.

ამავე დროს მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოში მსუბუქ და საშენ მასალათა მრეწველობა. განსაკუთრებით სწრაფად თამბაქოსა და ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა განვითარდა. 1896 წელს საქართველოში მუშაობდა თამბაქოს 10 დიდი ფაბრიკა (თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში). თამბაქოს მრეწველობაში ხელის დაზგების ნაცვლად დაიდგა ორთქლისა და გაზის ძრავებით მომუშავე დაზგები. საშენ მასალათა მრეწველობაში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა აგურის მექანიზებული წარმოება, აგურის ქარხნებში იდგმებოდა ორთქლის ქვაბები. საგრძნობლად განვითარდა იმ სანებში ხე-ტყის მრეწველობაც; 1897 წელს საქართველოში 100-ზე მეტი სახერხი ქარხანა იყო.

მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ, სავაჭრო ბრუნვის გაფართოებამ და სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველოს ქალაქების არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა გამოიწვია.

განსაკუთრებით გაიზარდა და განვითარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის, კერძოდ სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. თუ თბილისის მცხოვ-

რებთა საერთო რაოდენობა 1865 წელს უდრიდა 71.051 სულს, 1897 წლისათვის 159.590 სულამდე ავიდა. თანდათან უმჯობესდებოდა საქალაქო მეურნეობა, კერძოდ, ტრანსპორტი. შენდებოდა ქვის დიდი სასლები და ახალი ხიდები, ფართოვდებოდა წინანდელი ვიწრო ქუჩები.

დედაქალაქთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა და განვითარდა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქები; წარმოიშვა ბევრი ახალი ქალაქი, სარკინიგზო კვანძი და დაბა. თბილისის შემდეგ, განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ქალაქი ქუთაისი, რომელიც საგუბერნიო ცენტრს წარმოადგენდა. დიდი სისწრაფით განვითარდა ქალაქი ბათუმი, რომელიც თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების დროს სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. იგი 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა. მანგანუმის მრეწველობამ წარმოშვა ახალი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი ჭიათურა, ხოლო მანგანუმის ექსპორტის ზრდამ გამოიწვია ქალაქ ფოთის გადაქცევა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნავსადგურად. წარმოიქმნენ მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები: საშური, ზესტაფონი, სამტრედია, რომლებიც შემდეგ ქალაქებად იქცნენ.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მრეწველობაში. მიუხედავად ამისა, საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობა მთელი სიღრმითა და სიგანით ვითარდებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში იმ დროს ყველაზე უფრო დიდი ადგილი მარცვლეულს (ხორბალს, სიმინდს) ეჭირა. ხორბალი განსაკუთრებით ბევრი ითესებოდა თბილისის გუბერნიაში. სიმინდი კი ქუთაისის გუბერნიაში. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლებიდან დიდძალი მარცვლეული გადიოდა არა მარტო შინაურ, არამედ მსოფლიო ბაზარზედაც.

მარცვლეულის მეურნეობის შემდეგ საქართველოს მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი დარგი მევენახეობა-მეღვინეობა იყო. მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რაიონი იყო კახეთი. კახური ღვინო მთელს ამიერკავკასიაში იყო განთქმული და არა მარტო ადგილობრივ ბაზრებზე ბატონობდა, არა-

მედ რუსეთშიც საკმაოდ ბეჭრი იგზავნებოდა. 70-იანი წლებიდან სასაქონლო ღვინის წარმოება ფართოდ განვითარდა აღმოსავლეთ ქართლსა და იმერეთში.

ფართო ვაჭრობის საგნად იქცა მეცხოველეობის ნაწარმიც. მეცხოველეობას საქართველოს, განსაკუთრებით მთიანეთის, სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბაზარზე მრავლად გამოჰყავდათ სახორცე პირუტყვი, უმთავრესად ცხვარი, ღორი და თხა, აგრეთვე ფრინველი, გამოჰქონდათ კვერცხი და სხვ. ჩვენებური მეცხოველეობის ნაწარმი ბლომად გადიოდა არა მარტო ამიერკავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, არამედ მსოფლიო ბაზარზედაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეთამბაქოეობა, მებამბეობა და მეაბრეშუმეობა. სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს იღებდა აგრეთვე მეხილეობა. საგრძნობლად ვითარდებოდა მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და სოფლის მეურნეობის მრავალი სხვა დარგი, იმავე დროს ეკუთვნის საქართველოში ჩაის დანერგვის ცდები.

ჯერ კიდევ რეფორმამდელ საქართველოში როგორც მემამულეთა, ისე გლეხთა მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოების წესი ისახებოდა. რეფორმის შემდეგ სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მემამულეთა ერთი ნაწილი საგლეხო რეფორმების შემდეგ დიდი რაოდენობით იყენებდა სეზონურად დაქირავებულ მუშებს, რომლებიც მემამულეთა ინვენტარით ამუშავებდნენ დიდრონ ლატიფუნდიებს. ამ გზით მემამულე უხვად აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ბაზრისათვის.

მაგრამ ყველა მემამულეს როდი შეეძლო თავისი მეურნეობის გარდაქმნა ახალი ვითარების შესაბამისად. უსაქმუროობას მიჩვეული თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ვაჭრებისა და მევახშეების ხელში ჩავარდა, ვალებში ჩაეფლო; მეურნეობის განვითარებისათვის მას არც სახსრები გააჩნდა და არც საკმისო უნარი ჰქონდა. ამიტომ ისინი ამჯობინებდნენ უფრო ადვილი გზით წასულიყვნენ: მიწა იჯარით გაეცათ ან გაეყიდათ. მემამულეთა მიწებს ხშირად იღებდნენ იჯარით ვაჭარ-მრეწველები და კულაკები, რომლებიც დიდ მიწებს იგდებდნენ ხელთ და დაქირავებული შრომის გამოყენებით მნიშვნელოვა-

ნი რაოდენობით ამზადებდნენ სოფლის მეურნეობის ნაწარმს ბაზარზე გასატანად. კულაკებისა და ვაჭარ-მრეწველების მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა.

მემამულეები მიწას იჯარით აძლევდნენ აგრეთვე უმიწაწყლო გლეხებსაც, რათა თავიანთი მეურნეობა უზრუნველეყოთ იაფი მუშახელით. ასეთი გლეხები ნახევრადყმურ მდგომარეობაში ცვიოდნენ.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალურ სისტემას სულ უფრო და უფრო სწრაფად დევნიდა კაპიტალისტური სისტემა. კაპიტალიზმი თანდათან ულმობლად ანგრევდა ფეოდალური წყობილების თვით საფუძველს — ფეოდალურ მიწათმფლობელობას.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სავაჭრო-სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა გლეხთა კლასის სოციალური დიფერენციაცია, დაშლა მდიდრებად და ღარიბებად. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა რეფორმის შემდეგ. გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის შედეგად მარტო თბილისის გუბერნიაში იყო 2034 კომლი სახელმწიფო გლეხი, რომელთაც სრულიად არ ჰქონდათ მიწა. ისინი იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები. იმავე დროს იყვნენ ისეთი სახელმწიფო გლეხებიც, რომელთაც ბლომად ჰქონდათ შეძენილი ადგილმამული. ზოგიერთი მათგანი 15-დან 40 დესეტინამდე მიწას ფლობდა.

მდიდარი გლეხები მიწასთან ერთად დიდძალ მუშა პირუტყვსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ფლობდნენ. ღარიბ გლეხებს კი არც მუშა პირუტყვი ჰყავდათ და არც სასოფლო-სამეურნეო იარაღი ჰქონდათ. ამრიგად, ერთი მხრივ, მიწა და სხვა საწარმოო საშუალებები თავს იყრიდა ერთი მუჭა მდიდრების ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხობის დიდი ნაწილი ღატაკდებოდა, მისი მეურნეობა სრულიად ჩანაგდებოდა. გაღატაკებული გლეხი კარგავდა მიწას და სხვა საწარმოო საშუალებებს.

ასე გაჩნდნენ საქართველოს სოფელში ახალი სოციალური ფენები — სოფლის ბურჟუაზია, ანუ კულაკობა და სასოფლო-

სამეურნეო პროლეტარიატი, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების კლასებს წარმოადგენდნენ.

კულაკობასა და ღარიბ გლეხობას შორის შუალედ რგოლს წარმოადგენდა საშუალო გლეხობა, რომელიც მეურნეობას პირადი შრომითა და საკუთარი საწარმოო საშუალებით ეწეოდა. მაგრამ მისი მდგომარეობა არ იყო მტკიცე: საშუალო გლეხობის ნაწილი მდიდრდებოდა და კულაკად გადაქცევას ახერხებდა, დიდი ნაწილი კი ღარიბდებოდა, პროლეტარდებოდა, სოფელში თუ სოფლის გარეთ სამუშაოს საძებრად დადიოდა.

სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასების ნაწილი ისევ სოფლის მეურნეობაში რჩებოდა და მოჯამაგირეებად დგებოდა ან დროებით დაქირავებულ მუშებად იქცეოდა, ნაწილი კი იძულებული ხდებოდა თავის სასლ-კარს მოშორებოდა და სამუშაო ქალაქებში, სამრეწველო ადგილებში, რკინიგზებსა და ნავსადგურებში ეძებნა. იმ დროს საშოვარზე წასულ ქართველ გლეხს ნახავდით არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებში, არამედ რუსეთის ბევრ ქალაქსა და ნავსადგურშიც.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ვაჭრობა საქართველოში თვალსაჩინოდ გაფართოვდა. ამ დროს მარტო თბილისში ითვლებოდა სამი ათასამდე დუქანი და სავაჭრო დაწესებულება (მათ შორის 17 ქარვასლა). თბილისის საშინაო ვაჭრობის წლიური მოცულობა 8.251.000 მანეთს უდრიდა.

განუხრელად ვითარდებოდა ვაჭრობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ახალქალაქის, გორისა და სიღნაღის მაზრებიდან ბაზარზე გამოდიოდა უმთავრესად სორბლეული და ფქვილი; ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან — ღვინო და მევენახეობის სხვა ნაწარმი; სოსუმის ოლქიდან — თამბაქო, გორისა და ახალციხის მაზრებიდან და მთიანეთის სხვა კუთხეებიდან — მეცხოველეობის ნაწარმი და ა. შ.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნასევარში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად სწრაფად ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის გაძლიერება; საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი ებმებოდნენ ვაჭრობაში.

კაპიტალიზმის განვითარებამ შეაკავშირა და ეკონომიკურად გააერთიანა საქართველოს სხვადასხვა კუთხე. კაპიტალიზმის განვითარებამ საფუძვლიანად შეარყია საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი უძრაობა.

§ 97. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა 80—90-იან წლებში

თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებამ საქართველო უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ქართველი ხალხის ისედაც მძიმე ეროვნულ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80—90-იან წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მეფე ალექსანდრე III-ის მთავრობამ ზედიზედ გაატარა რამდენიმე მკაცრი ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის საბოლოო მოსპობა და ქართველი ხალხის ძალით გარუსება.

1882 წელს შეცვლილ იქნა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანიზაციული წყობა: გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და მის მაგიერ დაარსდა მთავარმმართებლის თანამდებობა: მეფისნაცვლად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი რუსეთში გაიწვიეს, მთავარმმართებლად კი დანიშნეს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იმყოფებოდა. დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ მთავარმმართებლად იყო თავადი შერემეტიევი, რომელიც 1896 წელს თავადმა გოლიცინმა შესცვალა. ყველა ეს ახლად მოვლენილი მმართველი უკიდურესი რეაქციონერი იყო.

80-იანი წლებიდან მოკიდებული, მთავრობამ გააძლიერა საქართველოს კოლონიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი, მშრომელი გლეხობა მიწის მწვავე სიმცირეს განიცდიდა, საუკეთესო მიწებზე ცარიზმი უცხო ელემენტებს ასახლებდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კოლონიზაციამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რაიონებში, სადაც მასობრივად ასახლებდნენ კოლონიზატორულ ელემენტებს რუსეთის შორეული ადგილებიდან და თან არ ანებებდნენ უმიწაწყლო ქართველ გლეხებს იმ ადგილებში დასახლებას.

იმავე დროს არაჩვეულებრივად გაძლიერდა ქართველი სალხის მოწინავე ადამიანების დევნა. სასტიკი ცენზურა დაწესდა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაზე და გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ქართული ენის დასათრგუნავად. იმისათვის, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალა შეესუსტებინა და ქართველი ერის მოსპობა გაეადვილებინა, ცარიზმმა მიმართა ცდას გაეთიშა საქართველო ცალკე ნაწილებად და მისი სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა, კერძოდ, ცარიზმის მოხელეებმა გააჩაღეს კამპანია საქართველოს დანარჩენი ნაწილისაგან აჭარის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ჩამოსამორებლად, მაგრამ მათი მზაკვრული გეგმები მთელი ქართველი ხალხის შეუპოვარსა და ერთსულოვან წინააღმდეგობას წააწყდა.

თვითმპყრობელობის უსუსი კოლონიური პოლიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოისატა მეფის მთავრობის მიერ ქართული სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში. ცარიზმის აგენტები, 60-იანი წლებიდან მოკიდებული, სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ქართულ ენას საქართველოს სკოლებში. 1878 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველად, ე. ი. კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელად, დაინიშნა რეაქციონერი მოღვაწე კ. იანოვსკი, რომელმაც სასტიკი იერიში მიიტანა ქართული ენის წინააღმდეგ. ცარიზმის მოხელეებს უნდოდათ სრულიად განედევნათ ქართული ენა სკოლიდან და კიდევაც მიაღწიეს თავის მიზანს. უკვე 80-იანი წლების ბოლოს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდანაც განდევნილ იქნა და ბავშვებს სკოლაში შესვლის დღიდანვე რუსულად ასწავლიდნენ საგნებს. სკოლებში ქართული ლაპარაკი სასტიკად აიკრძალა. ქართველ მასწავლებლებს სამსახურიდან ითხოვდნენ და მათ მაგიერ ქართული ენის სრულიად უცოდინარ პედაგოგებს ნიშნავდნენ.

ცხადია, ასეთ ძალადობასა და ეროვნული უფლების აბუჩად აგდებას ვერ შეურიგდებოდა ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია.

მეფის თვითმპყრობელობის მიერ ქართველი ხალხის ეროვნულ—კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მძლავრი აღ-

მავლობა. 80-იანი წლების დასაწყისში ამ მოძრაობის დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა.

დემოკრატები, რომლებიც უმთავრესად გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი. რ. ერისთავი და სხვები), დარწმუნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად საქართველოში.

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა 80—90-იან წლებში დიდი და მძიმე ბრძოლა ჩაატარეს ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების დასაცავად, ხალხის ენისა და კულტურის გადასარჩენად, განსაკუთრებით თავგანწირვით და ღეუკოვრად იბრძოდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეები საქართველოს სკოლებში მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის. მათ სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ცარიზმის აგენტებს. იანოვსკისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკული წერილები დაბეჭდეს ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა და სხვებმა. საქართველოს ინტელიგენცია, მძიმე ცენზურული პირობების მიუხედავად, 80-იან წლებში სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ და რუსულ პრესაში მებრძოლ წერილებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამავე მიზანს ემსახურებოდა მაშინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ალ. ყაზბეგის უკვდავი პოეტური და პროზაული თხზულებანი.

ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები მარტოოდენ იდეურ ბრძოლას არ დასჯერებიან; მათ, გარდა ამისა, შეძლეს გაეტარებინათ მრავალი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ღირებულება ჰქონდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნას და ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოების გამოცემას.

ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა დიდმა ქართველმა პედაგოგმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა (1840—1912). მის მიერ შედგენილმა ბრწყინვალე სახელმძღვანელოებმა „დედაენამ“ და „ბუნების კარმა“ და აგრეთვე ქართველთათვის რუსული ენის სახელმძღვანელომ „რუსკოე სლოვომ“ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს. ამ სახელმძღვანელოებზე ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა აღიზარდა, თავისი სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

თავადაზნაურული ლიბერალები, თერგდალეულებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, თანდათან განდევნილ იქნენ საზოგადოებრივი სარბიელიდან. მათმა მოძრაობამ ერთხანს სრულიად დაჰკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მათი ჟურნალი „ცისკარი“, თუმცა ცდილობდა თავისი აზრების ახალი დროისათვის შეფარდებას, თანდათან ჰკარგავდა მკითხველებს. კნინდებოდა შინაარსითაც და ფორმითაც და ბოლოს (1875 წელს) სულაც დაიხურა.

მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. იმ დროს კვლავ შეიქმნა პირობები ლიბერალური მოძრაობის გამოცოცხლებისათვის. ალექსანდრე III-ის რეაქციამ და ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა უკიდურესმა შევიწროებამ ლიბერალური თავადაზნაურობა კვლავ გამოიყვანა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ლიბერალები ალაპარაკდნენ ქართველი ხალხის შელახულ ეროვნულ ინტერესებზე და მათ სელი გაუწოდეს დემოკრატებს. მართალია, მეორე ხელით ისინი კვლავ მეფის მთავრობასა და მსხვილ მემამულურ არისტოკრატიასთან იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც საკმაოდ გაბედულად შეუერთეს თავიანთი ხმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ხმას.

ლიბერალურ მოძრაობაში ქართული თავადაზნაურობის მრავალი განათლებული წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ: გამოჩენილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, პოეტები გიორგი შარვაშიძე, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი) და სხვები. მაგრამ ამ მოძრაობის უმნიშვნელო-

ვანესი მოვლენა იყო ლიბერალური მოძრაობის ხელმძღვანელისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის (1814—1887) გამოსვლა მეფის მოხელეთა წინააღმდეგ.

დ. ყიფიანმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამდეგს აიმაღლა სმა ქართული ენის დასაცავად. მან მკაცრი წერილით მიმართა სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის, რომელმაც საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა მოინდომა: „ვერც ჩინგის-ხანმა, ვერც თემურ-ლენგმა, ვერც შაჰ-აბაზმა და ვერც ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის მეობა და ასლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!“ — სწერდა ყიფიანი იანოვსკის და მოუწოდებდა ხელი აეღო თავის უგუნურ განზრახვაზე. 1885 წელს დ. ყიფიანი არჩეულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. იმავე წელს მას მოუხდა შეტაკება კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვთან. მთავრობამ არ მოუწონა თავადაზნაურთა წინამძღოლს დედაენის დაცვაზე ზრუნვა და ხელმწიფის მითითებით იგი ოფიციალურად გაკიცხა. მაგრამ დ. ყიფიანმა უკან არ დაიხია. 1886 წელს, როდესაც მოსწავლე ი. ლაღიაშვილმა სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი მოკლა, საქართველოს ეგზარქოსმა, უკიდურესმა რეაქციონერმა პავლემ საჯაროდ დასწყევლა ქართველი ერი. ეგზარქოსის ასეთმა თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ ხალხში. ამ შემთხვევის გამო დ. ყიფიანმა მას გაუგზავნა მკაცრი წერილი, რომელშიც მოითხოვდა, რომ ეგზარქოსს დაეტოვებინა საქართველო.

მეფის მთავრობამ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა დ. ყიფიანი, რომელიც იმჟამად უკვე ღრმა მოხუცი იყო. იგი 1886 წელსავე გადააყენეს თანამდებობიდან და გადაასახლეს სტავროპოლში. ერთი წლის შემდეგ კი თვითმპყრობელობის აგენტებმა გადასახლებული მხცოვანი მოღვაწე მსეცურად მოკლეს.

დ. ყიფიანის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. მისი დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქცია.

როგორც უკვე ითქვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი მოღვაწენი არ სჯერდებოდნენ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინა-

აღმდეგ იდეურ ბრძოლას პრესის ფურცლებზე და ამასთანაჟე ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებანი და საზოგადოებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული კულტურის დაცვას და შემდგომ განვითარებას, ქართველი ხალხის სამეურნეო წინსვლას. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს უწოდებდნენ.

თვითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ქართული ენის დაცვისა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ". ეს საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. მისი დამაარსებლები და აქტიური ხელმძღვანელები იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მეთაურები და წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბ. ღოღობერიძე, ა. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვები. სწორედ ინტელიგენცია იყო ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი მისი არსებობის მთელ მანძილზე. მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოება ცარიზმის აგენტების მიერ დევნა-შევიწროებისაგან დაეფარათ და მთავრობის ორგანოებში მისი წესების დამტკიცებაც გაეადვილებინათ, დემოკრატმა მოღვაწეებმა საზოგადოების დაარსების საქმეში ჩააბეს (მის დამფუძნებელ წევრებად მიიწვიეს) ცნობილი ლიბერალები და ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატიის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები, სახელმწიფო თანამდებობის პირები, გენერლები და ა. შ. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე დ. ყიფიანი იყო, სოლო მისი „ამსანაგი" (მოადგილე) ი. ჭავჭავაძე. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად ი. ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელებას; ძველი ქართული უნიკალური წიგნებისა და ხელნაწერების, არქეოლოგიური ძეგლების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ფოლკლორის შეგროვებასა და დაცვას; ქართველ ხალხში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივე-

ბას. ამ მიზნით საზოგადოება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს გარეთ (სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ) ქმნიდა სახალხო სკოლებს და აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. ადგენდა და სცემდა სასელმძღვანელოებს, მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ პოპულარულ წიგნებს; აგროვებდა, იძენდა და შეძლებისამებრ ბეჭდავდა კიდევაც ძველ ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს. აგროვებდა ზეპირსიტყვიერების მასალებს და ა. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. მის მიერ დაარსებული სკოლები და სამკითხველოები, გამოცემული წიგნები ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდნენ პირობებს მასების ამოძრავებისათვის.

80—90-იან წლებში ქართველმა ხალხმა, ცარიზმის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, არაერთხელ მოახდინა თავისი ეროვნული ინტერესების, შეგნებისა და ეროვნული სოლიდარობის აშკარა დემონსტრაცია. 1893 წელს განჯიდან თბილისში გადმოასვენეს გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ეს ფაქტი უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა. გადმოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები, გაზეთი „კვალი" წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვებედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს". გადმოსვენების დროს სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა. დამსწრე საზოგადოების აღტკინება და ერთსულოვნება უსაზღვრო იყო.

1895 წელს თბილისში არაჩვეულებრივი ზეიმით იქნა გადახდილი შესანიშნავი ქართველი დემოკრატი პოეტის რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობი-

ლი მრავალრიცხოვანი სტუმრები. ზეიმზე მიმავალ, თეთრცხენებიან ეტლში მჯდომ პოეტს, რომელსაც გვერდით ილია და აკაკი უსხდნენ, მთელი ქალაქი მიაცილებდა.

ასეთივე განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა თბილისში კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლის თარიღები. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად კრწანისის მინდორზე მრავალმა ათეულმა ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერეკლე მეფისა და თავდადებული გმირების ხსოვნას ხალხმა მუხლმოყრილმა სცა პატივი.

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია ქართველი ხალხის მაშინდელი სულისკვეთებისა და მისწრაფებისათვის. სწორედ აქ იჩენდა თავს ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ი ს ზ რ დ ა, რაც წარმოადგენდა პირდაპირ შედეგს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა იდეური ბრძოლისა და ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობისა, როგორც იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".

საქართველოს მშრომელი ხალხი სრული თანაგრძნობით ეპყრობოდა და მხარს უჭერდა ინტელიგენციის ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის შელახული უფლებების დასაცავად, რადგან ეს მის საკუთარ, ღვიძლ საქმეს წარმოადგენდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს წოდებათა შერიგების ქადაგებით ქართველი ხალხის ერთიანობა, ე. ი. გაძლიერება სურდათ.

§ 98. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. სალხინური მოძრაობა

საგლეხო რეფორმამ ვერ გაამართლა გლეხობის იმედი. რეფორმამ არსებითად ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა. რეფორმის შემდეგ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაისაკუთრეს აგრეთვე ვაჭარ-მრეწველებმა, მთავრობის მოხელეებმა და სხვა პარაზიტულმა ელემენტებმა, რაც შეეხება მიწის უშუალო დამმუშავებელს — გლეხობას, მას სრუ-

ლიად უმნიშვნელო რაოდენობით ჰქონდა საკუთარი მიწა. საქართველოს გლესობის კუთვნილი მიწების რაოდენობა სულ 418.110 ჰექტარს უდრიდა, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 6,4 პროცენტს შეადგენდა. ამ მიწების დიდი ნაწილიც გლეხთა ზედაფენის — კულაკების ხელში იყო.

გლეხობის გაჭირვებას კიდევ უფრო ამწვავებდა რეფორმის შემდეგ ყოველგვარი გადასახადის შეუნელებელი ზრდა. გლეხობისათვის განსაკუთრებით შემაწუხებელი იყო გადასახადები ტყითა და საძოვრით სარგებლობისათვის. გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა აგრეთვე საეკლესიო გადასახადები.

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ვაჭარ-მევახშეები და კულაკები. ისინი ხშირად სულ მუქთად ითვისებდნენ არა მარტო გლეხის მონაგარს — პურს, ღვინოს, პირუტყვს, არამედ მისი მიწის პატარა ნაკვეთსა და სახლკარსაც კი.

რეფორმის შემდგომ საქართველოში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა გლეხთა უკმაყოფილება.

1876 წელს ზუგდიდის მაზრაში იფეთქა გლეხთა ამბოხებამ. ამბოხება დაიწყეს სოფ. ლიას და ფასულანის დროებით-ვალდებულმა გლეხებმა. მათ უარი განაცხადეს თავად დადიანის სასარგებლოდ ყოველგვარ გადასახადზე. მალე აჯანყებულებს სხვა სოფლის გლეხობაც შეუერთდა და დაიწყო გლეხთა ფართო მოძრაობა. შეიარაღებულ გლეხებსა და მთავრობას ჯარს შორის მომხდარ შეტაკებაში მოკლეს 18 და დაჭრეს 30 კაცი.

დაახლოებით იმავე ხანებში დაიწყო გლეხთა დიდი აჯანყება სვანეთში. ამ მთიან მხარეში უფრო მეტად იგრძნობოდა მიწის სიმცირე, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. ახალი გადასახადების გაწერის მიზნით, 1875 წლის ზაფხულში მთავრობის მოხელეები სვანეთში მიწების აზომვას შეუდგნენ. ამ ღონისძიებამ გლეხობა მოთმინებიდან გამოიყვანა, დაიწყო მღელვარება. სოფელ ხალდეში ჯართან და პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკების დროს გლეხებმა მოკლეს მაზრის უფროსი და სამხედრო რაზმის უფროსი. ამის შემდეგ მთავრობამ სვანეთში გაგზავნა რეგულარული ჯარის ნაწილი და მილიციის დიდი რაზმი. მათ ნამდვილი საომარი წესების დაცვით შეუტიეს სვანეთის სოფლებს. სოფელი ხალდე იერიშით

აღღეს და მიწასთან გაასწორეს: სოფელში ყველა სახლი დაწვეს, ხოლო კოშკები ნაღმებით ააფეთქეს.

1878 წელს აჯანყდნენ ქიზიყელი გლეხები. მათი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომთან დაკავშირებით ახალი ბეგარის შემოღებამ და დიდმა მოუსავლიანობამ. გლეხობამ ვეღარ აიტანა გაჭირვება, შეიარაღდა კეტებით, სანჯლებით, ცულებით და დაიძრა სიღნაღის მაზრის თავადობისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ. მაზრის უფროსი გრაფი ტიზენჰაუზენი, ჯარის სარდალი გენერალი ორბელიანი და სხვა მოხელეები იმ დროს ბაკურციხეში თავად ვაჩნაძის სასლში ნადიმობდნენ. 5 ივლისს ამ სახლს ალყა შემოარტყა ხუთი ათასზე მეტმა ამბოხებულმა გლეხმა. მათ დაარბიეს ვაჩნაძის სახლი და შეუბრალებლად სცემეს ტიზენჰაუზენს, ორბელიანსა და მათ თანმხლებ პირებს, ხოლო შემდეგ სოფლებს მოედვნენ და იწყეს მამასახლისების, კულაკების, მედუქნეების, მეღვინეებისა და ყველა მათი რბევა, ვინც წურბელებივით ასსდნენ გლეხებს კისერზე.

მთავრობამ სამხედრო ძალის გამოყენებით ადვილად მოასერსა უიარაღო გლეხთა მღელვარების ჩაქრობა. ამბოხების აქტიური მონაწილენი (21 კაცი) გაასამართლეს და კატორღაში გაგზავნეს. მათ შორის იყო ორი ქალი — მელანია ხელაშვილი და საბედა გულსადარაშვილი, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ გაჭირვებული ხალხის უფლებების დასაცავად.

მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის მიერ მიღებული სასტიკი ზომებისა, 80-იანი წლების დასაწყისში გლეხთა უკმაყოფილება და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები მთელ საქართველოს მოედო.

მშრომელი გლეხობის ინტერესთა დამცველად 70-იან წლებში გამოვიდა ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი ჯგუფი, რომელიც „ხალხოსნების“ სახელით არის ცნობილი. ხალხოსნები მეფის მთავრობის დამხობასა და გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების მოპოვებას ისახავდნენ მიზნად. ისინი „გავიდნენ ხალხში“, რათა გაეჩაღებინათ რევოლუციური აგიტაცია და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად აემხედრებინათ გლეხობა.

ხალხოსნებს რევოლუციურად განწყობილ ქართველ ახალ-

გაზრდობაში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შექმნეს მრავალრიცხოვანი ფარული წრეები და ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღეს. 1874—1876 წლების განმავლობაში საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაციები საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში შეიქმნა. საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები იყვნენ ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი, გოლა ჩიტაძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები ძირითადად ისეთივე იყო, როგორც რუსეთის ხალხოსნებისა, მაგრამ ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აევლოთ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილებისათვის და მათ კიდევაც შეიტანეს თავიანთ პროგრამაში ეროვნული საკითხი.

ქართველი ხალხოსნების რევოლუციურ აგიტაციას, მათ „ხალხში სიარულს" რაიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ეს იმით აიხსნება, რომ ხალხოსნები ვერ იცნობდნენ გლეხების ცხოვრებას და მათ ვერ მიაგნეს იმ გზას, რომელსაც შეეძლო მშრომელი ხალხისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოტანა.

მას შემდეგ, რაც ხალხოსნების ფარული ორგანიზაციები მეფის პოლიციამ გაანადგურა, ხოლო „ხალხში სიარულის" ტაქტიკას რეალური შედეგი არ მოჰყვა, ქართველი ხალხოსნების უმეტესმა ნაწილმა ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე და ქართველი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, ამხანაგობათა დაარსებით და სხვა ამგვარი ლეგალური ღონისძიებებით ცდილობდა.

§ 99. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებანი

მუშათა კლასის გაჩენამდე მეფის კოლონიური პოლიტიკისა და მემამულეების წინააღმდეგ მთავარი მებრძოლი ძალა გლეხობა იყო. მას მხარში ედგა და აქტიურად ეხმარებოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა (მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები), ნაწილობრივ აგრეთვე ბურჟუაზია. გლეხობას, ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებს და ბურჟუაზიას, ე. ი. „მესამე წოდებას", ერთი დროშის გარშემო აერთიანებდა დრომოჭმული ბატონყმური წყობილებისადმი სიძულვილი. მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ შორის თავი იჩინა ეკონომიკურმა ანტაგონიზმმა, რასაც შედეგად მოჰყვა „მესამე წოდების" დაშლა. მსხვილი ბურჟუაზია ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლებს დაუპირისპირდა.

ქონებრივი უთანასწორობის ზრდამ მკვეთრად გათიშა და ერთმანეთს დაუპირისპირა ბურჟუაზიისა და ღარიბი ხალხის ინტერესები ჯერ ეკონომიკურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროშიც. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ განვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია თერგდალეულთა ჯგუფის, როგორც ერთიანი იდეური მიმდინარეობის დაშლა.

1876 წლის გაზაფხულზე თერგდალეულებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს თავიანთი მთავარი ორგანოს გაზეთ „დროების" არსებობის ათი წლისთავი. იმხანად თერგდალეულთა შორის ჯერ კიდევ ერთსულოვნება სუფევდა, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა.

ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების" რედაქციიდან და 1877 წელს დააარსა ახალი ორგანო — გაზეთი „ივერია". ცოტა ხნის შემდეგ „დროების" რედაქცია დატოვეს აგრეთვე ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა. ნ. ნიკოლაძემ 1878 წელს დაიწყო რუსული გაზეთის „ობზორის" გამოცემა. ახალ ორგანოთა შორის გაჩაღდა კამათი მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე.

ახალი იდეური მიმართულება, რომელიც თერგდალეულთა ჯგუფის დაშლის შემდეგ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შექმნეს, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება იყო და თავის არსებობის პირველ პერიოდში შედარებით აქ-

ტიურად იბრძოდა ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ მიმართულების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გ. ზდანოვიჩი (მაიშვილი) და სხვები.

პროგრესული ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ თავიანთი წინანდელი თანამოაზრეების თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქართველი ერის მესვეურობა კულტურულ თავადაზნაურობას უნდა კუთვნებოდა. ისინი ამბობდნენ: თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, დიდი ხანია დრო მოჭამა და ახლა იგი ვერ გამოდგება ერის მესვეურად. „ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“, — წერდა ნ. ნიკოლაძე. ასევე ფიქრობდა გ. წერეთელიც.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევრები სავსებით მართალი იყვნენ, როცა ქართველ თავადაზნაურობას დრომოჭმულ წოდებად თვლიდნენ.

მეორე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც თერგდალეულთა ერთიანი ჯგუფის დაშლის შემდეგ წარმოიშვა, წარმოადგენდა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ირგვლივ შემოკრებილი გვიანდელი თერგდალეულების ჯგუფი, რომელიც ამ დაჯგუფების იდეურ ხელმძღვანელთა აზრით, ქართველი ერის მშრომელი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ს. მესხი და სხვები. ამავე ჯგუფს შეუერთდნენ 80-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული დიდი ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, რომლებმაც თავიანთ უკვდავ მხატვრულ ნაწარმოებებში ჩააქსოვეს სამოციანელების იდეები.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოსაგრენი ფიქრობდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასთა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ხალხს, ამას კი, მათი აზრით, ცარიზმი გამოიყენებდა და სრულიად მოსპობდა ქართველ ერს; სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ისინი ქართველი ხალხის ერთიანობას, რათა მას შეძლებოდა უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია მეფის თვითმპყრობელობის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისათვის.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას შედეგად მოჰყვა საზოგადოების ახალი კლასის, — სამრეწველო პროლეტარიატის ვაჩენა.

მუშათა კლასის, ანუ პროლეტარიატის გაჩენა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარების მაღალ სტადიასთან, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლასთან.

რეფორმის შემდგომ ხანაში, სამრეწველო კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვიც. თუ 61-იან წლებში მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მანუფაქტურულ წარმოებაში 5 ათასი მუშა ითვლებოდა, 90-იან წლების ბოლოს მარტო თბილისში ყველა კატეგორიის მუშათა რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. ამათგან 12 ათასი კაცი სამრეწველო პროლეტარიატს მიეკუთვნებოდა.

ასლად ჩამოყალიბებულ პროლეტართა კლასს უაღრესად მძიმე, თითქმის აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა. ხელფასი მეტისმეტად მცირე იყო, სამუშაო დღე კი 14 საათს გრძელდებოდა. მუშებს არ ჰქონდათ რიგიანი ბინები და ნესტიან ქოხმახებში უხდებოდათ ცხოვრება. ფაბრიკებსა და ქარხნებში ჭუჭყი და ანტისანიტარია იყო გამეფებული. განსაკუთრებით მძიმე პირობებში შრომობდნენ სამთამადნო მრეწველობის მუშები; მუშათა მძიმე საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა კაპიტალისტების განუსაზღვრელი თვითნებობა, უკანონო ჯარიმები და მუშების პირდაპირი მოტყუება. მუშები სრულიად უუფლებონი იყვნენ. ცარიზმის მთელი სახელმწიფო აპარატი კაპიტალისტების მხარეზე იყო.

კაპიტალისტების მხრივ ექსპლუატაცია და უაღრესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები იწვევდა მუშათა კლასის უკმაყოფილებასა და პროტესტს. მუშათა მოძრაობის ძირითად ფორმას გაფიცვა წარმოადგენდა.

მუშათა პირველი დიდი გაფიცვა მოხდა 1872 წელს თბილისში, მირზოევის ბამბის ქსოვილთა დამამზადებელ ფაბრიკაში, სადაც 600-ზე მეტი კაცი მუშაობდა. გაფიცვა მთელ კვირას გრძელდებოდა, მაგრამ იმ დროს მუშებს არ გააჩნდათ თავიანთი ორგანიზაციები, გაფიცვას დარაზმულობა აკლდა და იგი მარცხით დამთავრდა.

გაცილებით უფრო დარაზმულად ჩატარდა თბილისში ზეიცერის ავეჯის ფაბრიკის მუშათა გაფიცვა 1878 წელს. მუშათა ენერგიულმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო: გაფიცულთა თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

80-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის ავანგარდში რკინიგზელი მუშები ჩადგნენ; მუშათა მოძრაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კერა იყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 3 ათასამდე კაცი მუშაობდა.

1898—1900 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა: გათავდა მუშათა სტიქიური შეუგნებელი მოძრაობის ხანა და დაიწყო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა დარაზმული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. ამ ახალი ეტაპის დასაწყისი იყო რკინიგზის მუშათა გამოსვლა 1898 წელს, რომელსაც მუშათა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

მუშა-რევოლუციონერთა პირველი თაობის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს მუშათა მოძრაობის გასაძლიერებლად 70—90-იანი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუშები: მიხა ჩოდრიშვილი,იოსებ დავითაშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, მიხა ბოჭორიძე და სხვ.

რევოლუციონერი მუშები საქართველოს ჩაგრული კლასების — მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილები იყვნენ. თითოეულმა მათგანმა ძალიან ადრე, თითქმის ბავშვობიდანვე იგემა დაქირავებული მუშის მწარე ხვედრი. თბილისის, ბათუმის და საქართველოს სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში მათ რევოლუციური აღზრდის მკაცრი სკოლა გაიარეს და მუშათა მოძრაობის ორგანიზატორებად იქცნენ. 90-იან წლებში მუშა-რევოლუციონერები გაეცნენ მუშათა კლასის მსოფლმხედველობას — მარქსიზმს და გადაჭრით დადგნენ მის მხარეზე.

§ 100. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის გავრცელება

მარქსიზმის გავრცელებამდე საქართველოში რევოლუციურ მუშაობას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, ეწეოდნენ თერგდალეულები და ხალხოსნები, აგრეთვე ნაწილობრივ — 80-იანი წლების ბურჟუაზიულ-პროგრესული და წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები.

საქართველოს მშრომელი მასების ცხოვრების პირობებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში წარმოშვეს სოციალისტური იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც მაშინ დამოუკიდებელი მიმდინარეობის სახით კი არ არსებობდნენ, არამედ საერთო დემოკრატიული აზროვნებისაგან განუყოფელი იყვნენ. გაზეთი „დროება", ჟურნალები „საქართველოს მოამბე", „მნათობი" და „კრებული" სავსეა სხვადასხვა ელფერის სოციალისტური აზრებით, რომლებიც მეტწილად ევროპისა და რუსეთის უტოპისტ-სოციალისტებისაგან იყო ნასესხები.

განსაკუთრებით ფართოდ გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა ხალხოსნებმა. ქართველ ხალხოსნებს რუსი ხალხოსნების მსგავსად, თავი სოციალისტებად მიაჩნდათ, თავიანთ ნაწერებში ისინი პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზანი სოციალისტური წყობილების დამყარებაა.

ნამდვილად კი თერგდალეულების, ხალხოსნების და სხვა ქართველი სოციალისტების მოძღვრება წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობას წარმოადგენდა.

როგორც თერგდალეულთა, ისე ხალხოსანთა მოძღვრება შეიცავდა ძვირფას კრიტიკულ ელემენტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო წვრილბურჟუაზიულმა თეორიებმა ჩვენში დიდი გამძლეობა გამოიჩინეს და ისინი დიდხანს იყვნენ გაბატონებული საზოგადოებრივ სარბიელზე, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა.

რუსეთში რევოლუციონერებმა უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დაინახეს ხალხოსნური კონცეფციის გაკოტრება, გაემიჯნენ მას და აღმართეს მარქსიზმის დროშა. მარქსიზმის პროპაგანდისტმა გ. პლეხანოვმა, რომელიც წინათ ხალხოსანი იყო, გაწყვიტა კავშირი ხალხოსნებთან და 1883 წელს საზღვარგარეთ დააარსა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“.

„შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დაარსებამ და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. ქართველმა რევოლუციონერებმა ზურგი შეაქციეს და ბრძოლა გამოუცხადეს როგორც ხალხოსნების, ისე გვიანდელი თერგდალეულების შეხედულებებს. თავიანთ ბრძოლაში ხალხის მომავლისათვის მათ თვალი მიაპყრეს პროლეტარიატის ბელადების — კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი, ე. ი. მისი შემობრუნება წვრილბურჟუაზიული აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ, კარგად აისახა ქართველი რევოლუციონერი მწერლის — ეგნატე ნინოშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში.

თავის მოთხრობებში ე. ნინოშვილმა ასახა ყოველმხრივ დაჩაგრული და შევიწროებული ქართველი გლეხების ცხოვრება. ე. ნინოშვილი არ დასჯერდა მარტო რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებას. მან გარს შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა წინანდელი დემოკრატიული და ხალხოსნური შეხედულებანი და ცდილობდა მარქსიზმის მიერ ნაჩვენები გზით წასულიყო, მაგრამ მწერალ-მებრძოლს აღარ დასცალდა სთავეში ჩასდგომოდა რევოლუციური მოძრაობის ახალ, მარქსისტულ ეტაპს. ე. ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის მაისში.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში იწყება 90-იანი წლების დამდეგიდან.

მარქსიზმის გავრცელებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპაში ნამყოფმა ქართველმა მარქსისტებმა.

რევოლუციური ქართველი ახალგაზრდობის იმ ჯგუფებმა, რომელმაც მწერალ ე. ნინოშვილის გარშემო მოიყარა თავი, პირველი ოფიციალური კრება მოაწყო 1892 წლის 25 დეკემბერს (ძველი სტილით) დაბა ზესტაფონში, სადაც მაშინ მსახურობდა ე. ნინოშვილი. კრების მიზანი იყო რევოლუციონერთა მომავალი მოქმედების პროგრამის შემუშავება.

ზესტაფონის კრებას ესწრებოდნენ ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი და სხვები. ამ ჯგუფთან კავშირი ჰქონდა აგრეთვე ფ. მახარაძეს, რომელიც მაშინ ქ. ვარშავაში ცხოვრობდა.

1894 წლის მაისში ე. ნინოშვილის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვაში ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი პროგრამა. იმავე ხანებში გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე დაიწყო მათი საპროგრამო წერილების ბეჭდვა.

ასე შეიქმნა (1893 წლიდან) პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“, რომელმაც დასაბამი მისცა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში (სახელწოდება „მესამე დასი“ შემოიღო მწერალმა გიორგი წერეთელმა).

რუსეთში მუშათა მასობრივი მოძრაობა 90-იანი წლების შუა ხანებამდე სტიქიურად ვითარდებოდა, თუმცა გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა დაიწყო მარქსიზმის გავრცელება და დადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობასთან დასაასლოებლად, მაგრამ სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა მაინც ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებისა და მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნის ამოცანა რუსეთში გადაწყვიტა ვ. ი. ლენინმა. დაიწყო მუშაობა რევოლუციური მოძრაობის ახალი ეტაპი.

ლენინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ და მისმა ნაშრომებმა, აგრეთვე მის მიერ შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“

დიდი გავლენა მოახდინა მუშათა მოძრაობაზე მთელი რუსეთის იმპერიაში. იმ დროს მუშათა მოძრაობა ყველგან, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, აღმავლობას განიცდიდა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება მოუხდა მესამე დასის ბირთვს, რომელსაც ეკუთვნოდნენ: ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია და სხვები. „მესამე დასის“ რევოლუციური ბირთვი წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ჩანასახს საქართველოში.

1898—1900 წლებში „მესამე დასის“ რევოლუციური ბირთვის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასი ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე გადაგიდა.

§ 10.1. ქართული კულტურა მე-19 ს. მეორე ნახევარში

მეცნიერება. კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ეროვნული კულტურის სწრაფ განვითარებას.

ქართული კულტურის საერთო აღმავლობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მეცნიერების განვითარებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ვითარდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ქართული აზროვნება საგრძნობლად წასწია წინ და საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალი დარგი ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების პუბლიცისტურმა ნაშრომებმა, როგორიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი). და სხვები. განსაკუთრებით თვალსაჩინო დონეს მიაღწია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთმა დარგებმა, როგორიცაა: ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და ეთნოგრაფია. საბუნების-

მეტყველო მეცნიერების დარგებიდან საქართველოს შვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქიმიასა და ფიზიოლოგიაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის. მას შემდეგ, რაც თერგდალეულებმა, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, ლიტერატურულ ქართულში სახერთო-სახალხო ენა დაამკვიდრეს, საენათმეცნიერო საკითხებისადმი ინტერესი გაძლიერდა. ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემათა დამუშავებას თვალსაჩინო ნაშრომები უძღვნეს ცნობილმა მეცნიერებმა დ. ჩუბინაშვილმა, ალ. ცაგარელმა, ნ. მარმა და ალ. ხახანაშვილმა. ქართული ენის საკითხების დასამუშავებლად სერიოზული შრომა გასწიეს აგრეთვე დ. ყიფიანმა, თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, ი. გოგებაშვილმა, ს. ხუნდაძემ, პ. ჭარაიამ და სხვა მეცნიერმა-მოღვაწეებმა.

იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა უნივერსიტეტი და სამეცნიერო ინსტიტუტები, ქართველი მეცნიერება იძულებული იყვნენ სწავლის დასრულების შემდეგ რუსეთის ქალაქებში დარჩენილიყვნენ და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ემუშავათ. პეტერბურგის უნივერსიტეტში ნაყოფიერად მოღვაწეობდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილი, რომელიც 1854 წლიდან განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. დ. ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ შედგენილ საუცხოო ქართულ-რუსულ, ქართულ-რუსულ-ფრანგულსა და რუსულ-ქართულ ლექსიკონებს. მოსკოვის უნივერსიტეტში ასეთსავე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფესორი ა. ხახანაშვილი, რომელმაც ოთხტომიანი საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი იყო პროფესორ ა. ცაგარელის (1844—1929) მოღვაწეობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, სოლო შემდეგ თბილისში. ქართლელი ღარიბი მღვდლის შვილმა ა. ცაგარელმა 1865 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ გიმნაზიის სრული კურსი და 1867 წელს სწავლის გასაგრძელებ-

ლად გაემგზავრა პეტერბურგში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ცოდნის გასაღრმავებლად წავიდა ევროპაში. ისმენდა ლექციებს მიუნხენსა და ვენაში. დ. ჩუბინაშვილის შემდეგ (1871 წ.) ა. ცაგარელი მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელად.

ა. ცაგარელი თერგდალეულთა თაობის უშუალო გავლენას განიცდიდა. ის იყო გამოჩენილი ენათმეცნიერი, რომელიც დაუღალავად მუშაობდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლაზე. ა. ცაგარელის საენათმეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“, რომლისთვისაც მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ცაგარელის სამტომიან ნაშრომს „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ“, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მის მიერ გამოცემულმა დოკუმენტებმა, რომლებიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVIII საუკუნეში.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგში უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ისტორიკოსები და ეთნოგრაფები: დ. ბაქრაძე, ს. ბარათაშვილი, მ. ჯანაშვილი, თ .ჟორდანია, ა. ყიფშიძე (ფრონელი), ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), რ. ერისთავი, ე. თაყაიშვილი, თ. სახოკია, ს. ზვანბა და სხვები.

საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის დ. ბაქრაძეს (1827—1890).

დ. ბაქრაძემ უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან უარი თქვა სასულიერო მოღვაწეობაზე და მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას შესწირა. მის გამოკვლევათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, „ქართული პალეოგრაფია“ და „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „ისტორია სა-

ქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნემდე" და სხვ. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დ. ბაქრაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი ქართული ისტორიული ძეგლების, უძვირფასესი ხელნაწერების დასაცავად. მისი უახლოესი მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრეთვე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება", რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი არქეოლოგთა V ყრილობის საქართველოში მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა ჩატარდა თბილისში 1881 წელს. მან ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას. ყრილობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დ. ბაქრაძე. მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის ის აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის დაუღალავად იღწვოდა აგრეთვე პროფესორი მ. ჯანაშვილი. მან განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემაზე. 1884 წელს მ. ჯანაშვილმა გამოსცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებისათვის XIX საუკუნის საქართველოში პირობები არ არსებობდა, რის გამოც ამ დარგის ქართველ მეცნიერებს სამშობლოს გარეთ უსდებოდათ მოღვაწეობა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდნენ და გამოჩენილ მეცნიერთა სახელი მოისვენებს ფიზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა და ქიმიკოსებმა ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა.

განათლება. 60-იანი წლების რეფორმათა სანაში მეფის მთავრობა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო ანგარიში არ გაეწია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ მომსდარი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის, იძულებული გახდა გაემრავლებინა საშუალო სკოლების (გიმნაზიების, რეალური და სასულიერო სასწავლებლების) რიცხვი, რომლებსაც „სახალხო სკოლები" უწოდეს. ამ სკოლათა შენახვა მთლიანად ხალხს დაეკისრა, სწავლა კი მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამითა და პოლიციური აპარატის ზედამხედველობით წარმოებდა.

ქართველმა გლეხობამ სცადა ფართოდ გამოეყენებინა

სწავლის უფლება და ენერგიულად შეუდგა სკოლების გახსნას. 60—70-იან წლებში სახალხო დაწყებითი სკოლების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა: თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოება ცდილობდა სკოლის გახსნას. გლეხები საკუთარი სახსრებით აშენებდნენ სკოლის შენობებს, იძენდნენ სასკოლო ინვენტარს და იხდიდნენ მასწავლებელთა ხელფასს, მაგრამ სახალხო სკოლებისადმი გლეხობის ინტერესი სულ მალე განელდა.

რეაქციის გაძლიერებასთან ერთად მთავრობა სულ უფრო და უფრო ავიწროებდა სკოლებს: სკოლის ხელმძღვანელობა მთლიანად პოლიციას დააკისრეს. მასწავლებლებად ნიშნავდნენ შეუფერებელ პირებს, რომელთაგან ბევრმა სრულიად არ იცოდა ქართული ენა; სწავლისა და აღზრდის ერთადერთი მეთოდი მოსწავლეთა განუკითხავი ცემა-ტყეპა იყო. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 80-იან წლებში სახალხო სკოლებიდანაც სავსებით განდევნეს დედაენა. გლეხობამ დაინახა, რომ სკოლას მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ხარჯი კი დიდი სჭირდება, ამიტომ გლეხობამ შეიძულა სახალხო სკოლები. 80-იან წლებში ზოგიერთი სოფლის გლეხებმა ძალით დაანგრიეს მათ მიერვე აგებული სკოლის შენობები და ცეცხლს მისცეს სასკოლო ინვენტარი. ეს იყო ბუნებრივი შედეგი მეფის მთავრობის ანტიხალხური საგანმანათლებლო პოლიტიკისა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხელს უშლიდა და აფერხებდა ქართველ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების საქმე მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდა. 90-იანი წლების ბოლოს წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში. საქართველოში განათლების შედარებით სწრაფი წინსვლა აიხსნებოდა, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციებით, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაჩვეულებრივი სისწრაფით გამოცოცხლდნენ და გაძლიერდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, თერგდალეულთა ენერგიული საგანმანათლებლო მოღვაწეობით, კერძოდ კი მათ მიერ შექმნილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაობით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა წარმოშვა გამოჩენილ პედაგოგთა მთელი თაობა, რომელიც თავდადებით მუშაობდა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთებით აღსაზრდელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი სახალხო განათლების დარგში მიუძღვის დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომლის სახელმძღვანელოები „დედაენა“ და„ ბუნების კარი“ ქართველი მოსწავლეების უსაყვარლესი წიგნები გახდა. ი. გოგებაშვილთან ერთად სახალხო განათლების დარგში უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი პედაგოგები: ნ. ცხვედაძე, ი. წინამძღვრიშვილი, ზ. გულისაშვილი, ა. ჯუღელი, ლ. ბოცვაძე, ნ. ჯანაშია ა. ჭიჭინაძე, ივ. როსტომაშვილი და მრავალი სხვა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში უნივერსიტეტი გახსნილიყო, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის არსებობისათვის პირობები ყოველმხრივ მომზადებული იყო, მეფის მთავრობამ გადაჭრით უარი თქვა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე. მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა რუსეთის დაჩაგრული სალხები და მათ შორის ქართველი ხალხი.

ქართული პრესა. ქართული კულტურის აღმავლობის ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში პრესის სწრაფი განვითარება. მეფის მთავრობა ყოველნაირად ავიწროებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს; ცენზურა უფლებას არ აძლევდა მათ დაებეჭდათ თუნდაც მცირედი სიმართლე ხალხის ჭირ-ვარამზე; ხშირი იყო გაზეთების დახურვა და „ურჩი“ რედაქტორების პასუხისგებაში მიცემა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტელიგენციის დაუღალავი მეცადინეობის მეოსებით, განუხრელად იზრდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების რიცხვი და ტირაჟი. ქარიულ პრესაში ამ დროს მთავარი ადგილი ეჭირა დემოკრატიულ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვას ისახავდნენ მიზნად.

რეფორმის წინა ხანაში ერთადერთი ქართული ორგანო იყო

ლიბერალური თავადაზნაურობის ჟურნალი „ცისკარი", რომელიც 1852 წელს დააარსა მწერალმა გიორგი ერისთავმა. 1853 წელს „ცისკარის" გამოცემა შეწყდა, მაგრამ 1858 წელს მისი განახლება მოახერხა ივანე კერესელიძემ, რომლის რედაქტორობით ეს ჟურნალი 1875 წლამდე გამოდიოდა.

1863 წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ახალი თაობის მებრძოლი ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალით იწყება ქართული დემოკრატიული პრესის ისტორია. „საქართველოს მოამბეში", ლერმონტოვის, ჰიუგოს და სხვა გამოჩენილ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანებთან ერთად, იბეჭდებოდა ქართველი მწერლების შესანიშნავი მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებანი. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველად ი. ჭავჭავაძის უკვდავი მოთხრობა „კაცია ადამიანი?!", აგრეთვე ნაწილობრივ, პოემები „აჩრდილი" და „კაკო ყაჩაღი" და მოთხრობა „გლახის ნაამბობი". აქვე დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლთა დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი მრავალი ნაწარმოები.

„საქართველოს მოამბეში" სარკესავით აისახა რეფორმის წინანდელი საქართველოს მშრომელი მასების სულისკვეთება.

მას შემდეგ, რაც უაღრესად მძიმე ცენზურული პირობების გამო „საქართველოს მოამბე" დაიხურა, თერგდალეულებმა დაიწყეს ზრუნვა საკუთარი გაზეთის გამოცემაზე. 1866 წელს მათ მოახერხეს დაეარსებინათ გაზეთი „დროება", რომელიც 1885 წლამდე გამოდიოდა. თავდაპირველად „დროებას" კვირაში ერთხელ უშვებდნენ, 1874 წლიდან — კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან კი ყოველდღიურად. „დროება" თერგდალეულთა მთავარი ორგანო იყო და თითქმის ოცი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მოწინავე ქართული აზრის შესანიშნავ ტრიბუნას. გაზეთში იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებშიც გაბედულად იყო წამოყენებული მწვავე სოციალური და ეროვნული პრობლემები.

1871—1873 წლებში „დროებას" თან ერთვოდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული", რომელმაც აგრეთვე უაღრესად დიდი როლი შეასრულა თერგდალეულთა იდეების გავრცელების საქმეში. „კრებული" მთლიანად „დროების" იდეურ პო-

ზიციებზე იდგა. დაახლოებით იმავე დროს (1869—1872 წწ.) გამოდიოდა ჟურნალი „ცნობა", რომელიც ძირითადად თერგდალეულთა შესედურებებს იზიარებდა, მაგრამ ამასთანავე ხშირად ხალხოსნურ იდეებსაც ქადაგებდა. 1868—1880 წლებში თერგდალეულები უშვებდნენ აგრეთვე „სასოფლო გაზეთს", რომლებშიც იბეჭდებოდა პოპულარული წერილები, უმთავრესად სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

1885 წელს მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო თვითმპყრობელობამ დახურა გაზეთი „დროება". ამის შემდეგ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა თავი მოიყარეს ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის" გარშემო. გაზეთი „ივერია" დაარსდა ჯერ კიდევ 1877 წელს. როდესაც თერგდალეულთა ბანაკში განსხვავება მოხდა და ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების" რედაქციიდან. მაგრამ შემდეგ, როცა „დროებას" ჩამოშორდნენ ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების მეთაურები ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამოაზრენი კვლავ დაუბრუნდნენ „დროების" რედაქციას, გაზეთი „ივერია" კი ჟურნალად გადააკეთეს. „დროების" დახურვის შემდეგ ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა „ივერია" კვლავ გაზეთად გადაეკეთებინა და მრავალი წლის განმავლობაში ის იყო ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი. ამ გაზეთის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი და მასში თანამშრომლობდნენ არა მარტო მაშინდელი დემოკრატი მოღვაწეები, არამედ თავადაზნაურული ლიბერალებიც. გაზეთმა „ივერიამ" უაღრესად დიდი როლი ითამაშა 80—90-იანი წლების პერიოდში ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში.

90-იან წლებში ქართულ პრესას შეემატა გაზეთი „კვალი" (დაარსდა 1893 წ.) და ჟურნალი „მოამბე" (დაარსდა 1894 წ.). ორივე ეს ორგანო ბურჟუაზიული მიმართულებისა იყო. გაზეთი „კვალი" მრავლად აქვეყნებდა აგრეთვე რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილებს, რომლებშიც ავტორები კლასთა ბრძოლის იდეის პროპაგანდას ეწეოდნენ. შემდეგ „კვალი" პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის" უმრავლესობის ორგანოდ იქცა.

ქართულ გაზეთებთან ერთად XIX საუკუნის მეორე ნახე-

ვარში გამოდიოდა აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების რუსული და სომხური გაზეთები. მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო გაზეთი „კავკაზი“, რომელიც 1846 წლიდან არსებობდა. ამ გაზეთში, მთავრობის მოხელეებსა და რეაქციონერ მიღვაწეებთან ერთად, ქართველი ლიბერალებიც მონაწილეობდნენ. 1873 წელს იწყო გამოსვლა ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების გაზეთმა „ტიფლისკი ვესტნიკმა“, რომელიც კ. ბებუთოვმა დააარსა და 1880 წლამდე გამოდიოდა. 1884 წელს დაარსდა იმავე მიმართულების გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. 1872 წელს შეიქმნა სომხური ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთი „მშაკი“ (მუშაკი), რომელსაც გ. არწრუნი რედაქტორობდა.

პერიოდული პრესის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე ქართული წიგნის გამოცემა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე წლის განმავლობაში საშუალოდ თითო წიგნი გამოდიოდა, საუკუნის მეორე ნახევარში ეს საშუალო რიცხვი წელიწადში რამდენსამე ათეულ წიგნს აღწევდა. მაგალითად, 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს —45, 1893 წელს — 93, ხოლო 1899 წელს — 112. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული ანბანისა და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემას. მარტო 1868—1892 წლების განმავლობაში დაიბეჭდა 100 ქართული სახელმძღვანელო.

რეფორმის მომდევნო ხანაში საგრძნობლად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. გაჩნდა ახალი, ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული მკითხველი. საუკუნეობრივი ფეოდალური უძრაობისა და ძილისაგან გამოფხიზლებული ხალხი ხარბად დაეწაფა წიგნს, ცოდნას. ამით აიხსნება, რომ რეფორმის შემდგომ ხანაში უაღრესად გაძლიერდა მოთხოვნილება არა მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებზე, არამედ მხატვრულ ლიტერატურაზედაც. უკვე დიდი ტირაჟით იბეჭდება ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა ნაწერები, აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის მწერლების თხზულებათა თარგმანები. განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი შ. რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისადმი“, რომელიც რამდენიმე-

ჯერ დაიბეჭდა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ზრუნავდა იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იაფად გამოეცა და სალხისათვის ხელმისაწვდომი ეყოხადა. თუ რამდენად გაიზარდა ხალხში წიგნისადმი სიყვარული, ამას მოწმობს ხალხური „არსენას ლექსის“ არაჩვეულებრივი წარმატება. ამ პატარა წიგნაკს ხალხი ბაზარზე გამოსვლისთანავე იტაცებდა. 1872 წლიდან 1892 წლამდე „არსენას ლექსი“ ოცდახუთჯერ გამოიცა.

ქართული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურის წინსვლას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ასახავდა მხატვრული ლიტერატურის განვითარება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა კლასიკოსებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ა. ყაზბეგმა და სხვებმა შექმნეს ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც არაჩვეულებრივი სიძლიერით გამოვლინდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია.

ქართული ლიტერატურის წარმატებას ხელი შეუწყო მისმა მჭიდრო კავშირმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. მოწინავე ქართველი მწერლები იმავე დროს იყვნენ მოწინავე მოაზროვნეები და საზოგადოებრივი მოღვაწენი, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის გადადგა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა (1811—1864), რომლის შემოქმედება 40—50-იან წლებში გაიფურჩქნა. მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში რეალიზმის მეთოდის მომარჯვებამ მას საშუალება მისცა დიდი სიმართლით დაეხატა რეფორმის წინა ხანის საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. გ. ერისთავმა დაწერა შესანიშნავი კომედიები: „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „წარსული დროების სურათები“ და სხვ., რომლებშიც ნიჭიერად არის ასახული, ერთი მხრივ, ფეოდალური წყობილების რღვევა და ქართველი თავადაზნაურობის გადაგვარება, ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და სავაჭრო ბურჟუაზიის ზრდა.

გ. ერისთავის რეალისტური ხაზი დრამატურგიაში განაგრ-

ძეს ზურაბ ანტონოვმა (1820—1854) და ავქსენტი ცაგარელმა (1857—1902). ზ. ანტონოვმა დასწერა კომედიები: „მზის დაბნელება საქართველოში“. „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“„ მე მინდა კნეინა გავსდე“ და სხვ. ეს კომედიები, განსაკუთრებით კი „მზის დაბნელება საქართველოში“, წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. ნიჭიერი დრამატურგის ა. ცაგარელის პიესებიდან განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა კომედიები: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“ და სხვ.

ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლავრენტი არდაზიანის (1815—1870) რომანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც დახატულია რეფორმის წინა ხანის საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების ტიპური სურათი.

განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, 50-იანი წლების ბოლოს, კრიტიკულმა რეალიზმმა დანიელ ჭონქაძის (1830—1860) შემოქმედებაში. მისი შესანიშნავი მოთხრობა „სურამის ციხე“ არის ქართული ლიტერატურის პირველი დიდი პროზაული ნაწარმოები, რომელშიც აისახა ბატონყმური უღლისაგან გაწამებული გლეხობის დუხჭირი ცხოვრება და სულისკვეთება.

60-იანი წლებიდან იწყება ქართული რეალისტური ლიტერატურის ნამდვილი აყვავების ხანა. იმ დროს დაიწყეს თავიანთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება ქართული ლიტერატურის კორიფეებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიას უკვდავი ლექსები, პოემები და მოთხრობები — „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ნანა“, „მესმის, მესმის“, „კომუნის დაცემის დღე“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“. „ოთარაანთ ქვრივი“ და მრავალი სხვა; აკაკის ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები — „სალამური“, „მუშური“, „გლეხის აღსარება“, „ციცინათელა“, „განთიადი“, „აღმართ-აღმართ“, „გაზაფხული“, „ხანჯალს“, „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კასი“, „ნათელა“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ. უდიდესი სიღრმით და სიძლიერით აშუქებენ საქართველოს მაშინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, გა-

მოხატავენ ქართველი ხალხის სულისკვეთებას, მის აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. ილა ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლები არიან. ქართველი ხალხის ეს საამაყო მწერლები მრავალი ათეული წლის განმავლობაში მეთაურობდნენ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის წინსვლას.

XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში, ილიასა და აკაკისთან ერთად, უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები — პროზაიკოსი გიორგი წერეთელი და პოეტი რაფიელ ერისთავი (1824—1901).

გ. წერეთელი, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად დაუღალავად მუშაობდა მხატვრული პროზის დარგში. მან დაწერა რომანები „პირველი ნაბიჯი" და „გულქანი", მოთხრობები „რუხი მგელი", „მამიდა ასმათი", „ჩვენი ცხოვრების ყვავილი". „განწირულნი" და სხვ. ამ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი რომანში „პირველი ნაბიჯი", დიდი სიმართლითა და მხატვრული ძალით არის ასახული საქართველოში ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი.

რ. ერისთავის პოეზიის მთავარი თემა ქართველი გლეხის ცხოვრება იყო. პოეტი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე ბევრად ადრე გამოექომაგა ჩაგრულ გლეხობას. შემდეგ მან გამოაქვეყნა მრავალი შესანიშნავი, დიდი გულწრფელობით დაწერილი ლექსი, რომლებშიც ღარიბი გლეხობის ფიქრები და გრძნობებია გამოხატული. რ. ერისთავის პოეზია შეეხო ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის პრობლემასაც. მისი ნშვენიერი პატრიოტული ლექსი „სამშობლო ხევსურისა" მთელმა ქართველმა ხალხმა შეიყვარა.

60—70-იან წლებში განაგრძობდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც. იმ ხანაში მისმა პოეზიამ განიცადა ახალი თაობის აზროვნების გავლენა.

80—90-იან წლებში ქართული ლიტერატურა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრეს დიდმა ქართველმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა. მხატ-

ვრული სიტყვის ამ გამოჩენილმა ოსტატებმა თავიანთ უკვდავ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში არაჩვეულებრივი ძლიერებით ასახეს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გამოწვეული ტკივილები. ვაჟა-ფშაველასა და ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების მოქმედება მთიან კუთხეებში მიმდინარეობს, მაგრამ მათი ფიქრი და სწრაფვა მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ვაჟა-ფშაველას მრავალრიცხოვანი ლექსები და მოთხრობები განსაკუთრებით კი მისი უკვდავი პოემები „გოგოთური და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვები, ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი განძია. ქართული პროზის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ყაზბეგის ისეთ შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებს, როგორებიცაა „ელგუჯა", „ელისო", „მამის მკვლელი", „ხევისბერი გოჩა", „მოძღვარი" და სხვები.

70—80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ხალხოსნური მიმართულების მწერლებმა: ეკატერინე გაბაშვილმა (1851—1938), ანტონ ფურცელაძემ (1839—1913), ნიკო ლომოურმა (1852—1915), სოფრომ მგალობლიშვილმა (1851—1925), ზაქარია (შაქრო) გულისაშვილმა (1857—1913) და სხვებმა. მათ მრავალრიცხოვან მოთხრობებში დახატულია ქართველი გლეხობის ცხოვრება და მოცემულია მაშინდელი წყობილების კრიტიკა, ხალხოსნური იდეების თვალსაზრისით. ხალხოსანი მწერლები, განსაკუთრებით ა. ფურცელაძე და ე. გაბაშვილი, განიცდიდნენ თერგდალეულთა იდეების ძლიერ გავლენას. მხატვრულობის თვალსაზრისით ყველა ხალხოსანი მწერლის ნაწარმოებები არ გამოირჩევა მაინცა და მაინც მაღალი ოსტატობით. გამონაკლისს წარმოადგენს ე. გაბაშვილისა და ნ. ლომოურის პროზა, რომელიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სიმაღლეზე დგას.

90-იან წლებში სამწერლო სარბიელზე გამოვიდნენ ნიჭიერი მწერლები: ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი და სხვები. ამ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებში აისახა ის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომ-

ლებიც იმ დროს მოსდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ე. ნინოშვილმა (ინვოროყვამ) დაწერა მოთხრობები: „გოგია უიშვილი", „პალიასტომის ტბა", „მოსე მწერალი", „განკარგულება", „სიმონა", „ქრისტინე". „ჩვენი ქვეყნის რაინდი", და სხვ., აგრეთვე ისტორიული რომანი „ჯაბაყი გურიაში". ე. ნინოშვილის საწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია ღარიბი გლეხების ცხოვრების თემი.

ე. ნინოშვილი სწავლობდა მუშათა კლასის ცხოვრებას და ამზადებდა მოთხრობას მუშათა ცხოვრებიდან; მაგრამ მას აღარ დასცალდა ამ განზრახვის შესრულება. მისი გზა წარმატებით განაგრძო პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა (ხოსიტაშვილმა) (1873—1915). თავის ლექსებში ირ. ევდოშვილმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში უმღერა საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც ემზადებოდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

დავით კლდიაშვილის (1862—1931) შემოქმედებაში განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ქაროველი თავადაზნაურობის დეგრადაციის პროცესი. მისი ნიჭიერად, ძლიერი იუმორით დაწერილი მოთხრობები და პიესები — „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქამუშაძის გაჭირვება", „დარისპანის გასაჭირი" და სხვები — არაჩვეულებრივი სიზუსტით და სიმართლით გადმოგვცემენ ეკონომიურად და სულიერად დაკნინებული წოდების, „შემოდგომის აზნაურების" ცხოვრებას.

ქალაქისა და სოფლის ცხოვრების, აგრეთვე საქართველოს ისტორიული წარსულის სურათები დასატეს თავიანთ მსატვრულ ნაწარმოებებში მწერლებმაა ვ. ბარნოვმა. შ. არაგვისპირელმა (დედაბრიშვილმა) ლალიონმა (არსენ მამულაიშვილმა), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ, დუტუ მეგრელმა (დიმიტრი ხოშტარიამ), საბავშვო მწერალმა შიო მღვიმელმა და სხვებმა, რომლებმაც 90-იან წლებში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა.

თეატრი. ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართული თეატრი აღდგენილ იქნა 1850 წელს, დრამატურგ გიორგი ერისთავის თაოსნობით. ეს თეატრი თავიდანვე რეალისტური ხე-

ლოვნების გზას გაჰყვა. მის სცენაზე იდგმებოდა გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის შესანიშნავი პიესები, უმთავრესად კომედიები, რომლებშიც ავტორები სატირის შოლტით ამათრახებდნენ გადაგვარებულ თავადაზნაურობას, ვაჭარ-მევახშეებს, მეფის მოხელეებს.

მუდმივი თეატრის აღდგენა დიდი კულტურული მოვლენა იყო ქართველი სალხის ცხოვრებაში. მაგრამ ახლად აღდგენილ თეატრს უაღრესად ძნელ პირობებში უხდებოდა არსებობა და განვითარება, მეფის მოხელეები ყოველნაირად დევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართულ თეატრს: წაართვეს მას შენობა, სასტიკი ცენზურა დაუწესეს რეპერტუარზე და ა. შ. ყოველივე ამის გამო 1875 წელს გ. ერისთავის თეატრის დასი დაიშალა. მას შემდეგ 70-იანი წლების ბოლომდე მუდმივი დასი აღარ ყოფილა და ქართული თეატრი მხოლოდ სცენისმოყვარეთა ძალებით ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას.

ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარების ახალი, მეტად ნაყოფიერი საფეხური იწყება 1879 წლიდან, როდესაც თბილისში, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით, ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა მოახერხა პროფესიული დრამატული თეატრის ხელახლა აღდგენა. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი დაარსდა აგრეთვე ქუთაისში. იმ დროს ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები: ვ. აბაშიძე (1854—1926), ლ. მესხიშვილი (1857—1930), ნ. გაბუნია (1859—1910), მ. საფაროვა-აბაშიძისა (1860—1940), კ. ყიფიანი (1849—1921), კ. მესხი (1859—1914), ვ. გუნია (1862—1938). ესენი იყვნენ ქართული სცენის უნიჭიერესი ოსტატები, რომლებმაც ქართული თეატრალური ხელოვნება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს.

80-90-იანი წლების რეაქციის დროს ქართულმა თეატრმა უდიდესი პროგრესული რძალი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი რეალისტური პიესები ისეთი გამოჩენილი ავტორებისა, როგორიც იყვნენ: გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე. ა. წერეთელი, ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, ა. ოსტროვსკი, უ. შექსპირი, ფ. შილერი და სხვები. თეატრის წარმატებას ხელს

უწყობდა მისი მჭიდრო კავშირი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რის შედეგადაც ქართული თეატრის სცენა გასმანთავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ტრიბუნად გადაიქცა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა შესანიშნავი პატრიოტული პიესები — დ. ერისთავის „სამშობლო“ და ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების იდეებს.

ქართული თეატრი და მისი მოღვაწენი უაღრესად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რუსული თეატრის, კერძოდ მოსკოვის სახელგანთქმული მცირე თეატრის მოღვაწეებთან. ბევრმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ განათლება რუსეთში მიიღო. ქართული თეატრის კავშირს რუსეთის თეატრებთან დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერი დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ მოსკოვის მცირე თეატრში.

სასცენო ხელოვნება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი ღრმად ეროვნული სასცენო ხელოვნება, რომელიც წარმოადგენდა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ საფეხურს. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება დაეტყო ფერწერას. ქართველმა მხატვრებმა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და თავიანთ შემოქმედებაში ხალხურობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, შექმნეს მრავალი შესანიშნავი, ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი ტილო.

60—70-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა მსტეფანი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე (1814—1885), რომლის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო იჩენდა თავს დემოკრატიულ-რეალისტური ხელოვნების სულისკვეთება. გ. მაისურაძე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა იყო. ის ჯერ კიდევ 1837—1844 წწ. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მან მრავალი საუკეთესო პორტრეტი შექმნა და საგრძნობლად წასწია წინ ქართული პორტრეტული მსატ-

ვროპა. 60-იან წლებში დაიწყო მუშაობა ნიჭიერმა თვითნასწავლმა მხატვარმა-გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა (1838—1911), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ბეჭდვითი გრაფიკული ხელოვნების, გრავიურის განვითარებაში.

ახალი ქართული საბვითი ხელოვნება განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა 80-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროს შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები რომანოზ გველესიანი (1859—1884) და ალექსანდრე ბერიძე (1858—1917), რომლებმაც საგრძნობლად გააღრმავეს და გააფართოვეს ქართული ფერწერის ტრადიციები რ. გველესიანი და ა. ბერიძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ. არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა რ. გველესიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა საინტერესო რეალისტური ნაწარმოებები: „კახელი დოქით“, „უცნობის პორტრეტი“, „ქართველი მანდილოსანი“, „ალავერდის ხიდი“, „მოედანი“ და სხვ. ა. ბერიძის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან საუკეთესოა: „ეწყემსი“, „სალამურზე ღამკვრელი ბიჭი“, „მოხუცი ქალი აივანზე“, „პატარა გოგონა წინდას ქსოვს“ და სხვ. ა. ბერიძემ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებაში.

ახალი ქართული ფერწერის ნამდვილი ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი იყო გამოჩენილი მხატვარი გიგო გაბაშვილი (1862—1936), რომელმაც მრავალი ბრწყინვალე მხატვრული ტილო შექმნა. გ. გაბაშვილი ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო მხატვრობით. 1886—1888 წლებში გ. გაბაშვილი სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ ის გულმოდგინედ დაეწაფა სახვითი ხელოვნების შესწავლას და განსაკუთრებით გატაცებული იყო ი. რეპინის შემოქმედებით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. გაბაშვილმა მოაწყო თავის ნაწარმოებთა გამოფენა (1891 წ.), რომელზედაც 70-მდე სურათი წარმოადგინა. ამ გამოფენამ გ. გაბაშვილს შესანიშნავი მხატვრის სახელი დაუმკვიდრა. 1894 წელს გ. გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში და მრავალი კოლორიტული სურათი შექმნა სამარყანდისა და ბუხარის ცხოვრებიდან. იმავე წელს ის გაემგზავრა ევროპაში სწავლის

გასაღრმავებლად, წარმატებით დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია (1897 წ.), იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში.

გ. გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი დაგვიტოვა. მათი უდიდესი უმრავლესობა ასახავს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. ღრმა იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრითა და შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა: „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „მთვრალი ხევსური", „ბაზარი სამარყანდში", „ალავერდობა", „ტივებზე", „მუსიკოს დე როზას პორტრეტი", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტი", „განთიადზე სასაფლაოს ეკლესიასთან", „ქიდაობა" და მრავალი სხვა.

ახალი ქართული ფერწერის გამოჩენილი წარმომადგენელია აგრეთვე ალექსანდრე მრევლიშვილი (1866—1933), რომლის შემოქმედება 90-იან წლებში გაიფურჩქნა. ალ. მრევლიშვილმა 1890 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი. შემდეგ იგი სწავლობდა პარიზში, მოგზაურობდა იტალიასა და გერმანიაში. ა. მრევლიშვილი დიდხანს ცხოვრობდა გლესებს შორის თავის სამშობლო მცხეთაში და თვითონაც ეწეოდა სოფლის მეურნეობას. მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა სოფელი, და თავისი ხელოვნება ღარიბი და დაჩაგრული ხალხის ცხოვრების რეალისტურ ასახვას მიუძღვნა. ა. მრევლიშვილმა შექმნა ღრმად იდეური და ღიდად მხატვრული სურათები: „დაბალ ღობე", „სოფლის კანცელარიის წინ". „დრამის აკრეფა", „ჯვარედინ გზაზე", „სოფლელი ბიჭი და მდიდარი ქალები" და სხვ.

90-იან წლებში ღაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა აგრეთვე ღარიბი ხალხის წრიდან გამოსულმა დიდად ნიჭიერმა მხატვრებმა ანტონ გოგიაშვილმა (1878—1907) და მოსე თოიძემ (1871—1954), რომელთა მრავალრიცხოვანი სურათები ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

90-იანი წლების ბოლოს იწყებს მოღვაწეობას გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე (1876—1951),

რომელიც ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელია. მისი პირველი მნიშვნელოვანი ქანდაკება „შოთა რუსთაველი“ გამოფენილ იქნა 1879 წელს. შემდეგ ი. ნიკოლაძემ შექმნა მრავალი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოები.

ქართული მუსიკა. ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნა უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი და ლამაზი მუსიკა, რომელშიც ასახულია ხალხის ფიქრი და გრძნობა, განცდა და მისწრაფება. ქართული ხალხური მუსიკა სრულიად ორიგინალური და თავისთავადია. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მრავალხმიანობა (ხალხური სიმღერა ძირითადად სამხმიანია). თუ წინათ ფეოდალიზმის ხანაში ქართული პროფესიული მუსიკა უმთავრესად ეკლესიის ხელში იყო, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა ხალხური მუსიკის საფუძველზე, განვითარებული მუსიკალური კულტურის ყველა მიღწევის ფართო გამოყენებით.

საქართველოს მუსიკალური ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა უკვე 50—60-იან წლებში. 1851 წელს თბილისში მოწვეული იქნა იტალიური დასი და გაიხსნა საოპერო თეატრი, რამაც ბელი შეუწყო მუსიკალური კულტურის ზრდა-განვითარებას. იმავე დროს გაძლიერდა ინტერესი ქართული ხალხური მუსიკისადმი. გამოჩნდნენ განათლებული ქართველი პროფესიონალი მუსიკოსები, რომლებმაც შეამზადეს ნიადაგი ახალი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების შესაქმნელად.

ახალი ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მოღვაწე იყო ნიჭიერი მომღერალი ხარლამპი სავანელი (1845—1890), რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან. ხ. სავანელი სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, მისი დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და გატაცებით შეუდგა ქართული საერო პროფესიული მუსიკის აღორძინების საქმეს. 1873 წელს მან დაარსა საგუნდო კურსები, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და იქცა მუსიკალურ კურსებად, ხოლო 1885 წელს გადაკეთ-

და პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია.

ხ. სავანელთან ერთად 60—80-იან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა და მუსიკალურ კურსების დაარსებაშიც აქტიურად მონაწილეობდა შესანიშნავი ქართველი პიანისტი და კომპოზიტორი ალოიზ მიზანდარი (1838—1912). ა. მიზანდარი ჯერ პეტერბურგში სწავლობდა, შემდეგ რამდენსამე წელს პარიზსა და ვენაში მოღვაწეობდა. 1886 წლიდან კი თბილისში დასახლდა და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ხალხში პროფესიული მუსიკალური განათლების გავრცელების საქმეს.

80-იან წლებში ქართული მუსიკის მოღვაწეთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1885 წელს ლადო აღნიაშვილმა (1860—1904)დააარსა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომლის ხელმძღვანელად ბიიწვია ჩეხი მუსიკოსი ი. რატილი. გუნდი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, აწყობდა ეთნოგრაფიულ კონცერტებს, ეწეოდა ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას. იმავე ხანებში სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა შესანიშნავი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მთელი ჯგუფი, რომელთაგან ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულეს: ფილიმონ ქორიძემ (1830—1911), მელიტონ ბალანჩივაძემ (1862—1937), ილია კარგარეთელმა (1867—1939),. ანდრია ყარაშვილმა (1857—1925), ზაქარია ჩხიკვაძემ (1862—1930), ანდრია ბენაშვილმა (1850—1908) და სხვებმა. ისინი სიყვარულით აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს. ეწეოდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდას, ამზადებდნენ და ზრდიდნენ მუსიკოსთა ახალ კადრებს. მათვე გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯები კომპოზიციის (მუსიკის შეთხზვის) დარგში.

იმდროინდელი ჩვენი მუსიკის მოღვაწეები იბრძოდნენ ახალი, რეალისტური ქართული მუსიკალური კულტურისათვის. რუსეთის გამოჩენილი კომპოზიტორები დიდად აფასებდნენ ქართულ ხალხურ მუსიკას, ბევრი მათგანი (მაგალითად, მ. გლინკა, მ. ბალაკირევი, ა. რუბინშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და სხვები) საგანგებოდ სწავლობდა და

შემდეგ თავის ნაწარმოებებში იყენებდა ქართული სალსური მუსიკის ჰანგებს.

80—90-იან წლებში ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარება საგრძნობლად დაწინაურდა. შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, მოამწიფდა პირობები საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის. 1897 წელს პეტერბურგში დაიდგა ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი". ეს იყო ქართული ოპერის შექმნის პირველი ცდა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

თ ა ვ ი I. საქართველო უძველესი დროიდან ელინისტური ხანის დასაწყისამდე 6

§ 1. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე 6

§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილების დარღვევა. საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა . 9

§ 3. უძველესი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები 11

§ 4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები 14

§ 5. საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 და მე-6 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით 18

§ 6. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროზე . . 19

§ 7. ძველი ბერძნული ცნობები საქართველოს შესახებ . . 20

§ 8. იბერია-კოლხეთი და აქემენიდების სამეფო . . . 24

თ ა ვ ი II. საქართველო ელინისტურ და რომაულ ხანაში . . . 27

§ 9. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა 27

§ 10. ქართლის სამეფო ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნეში . . 29

§ 11. საგარეო პირობების გაუარესება. საქართველო ჩვ. წ. აღ-მდე მე-2 საუკუნესა და 1-ლი საუკუნის დასაწყისში . 30

§ 12. რომის დაპყრობითი ომები ახლოსავლეთში 32

§ 13. რომაელები საქართველოში 33

§ 14. საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამდეგს ჩვ. წ. აღ-მდე 35

§ 15. საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს ჩვ. წ. აღ-მდე 37

§ 16. ქართლის სამეფოს გაძლიერება ჩვ. წ. აღ-ით I-მე-2 სს-ში 39

§ 17. კულტურული ვითარება ძველ საქართველოში . . 41

§ 18. დასავლეთ საქართველო ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში. ლაზიკის სამეფოს გაძლიერება . . 46

§ 19. ქართლის სამეფო მე-3—მე-4 საუკუნეებში. ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრება ქართლში 49

თ ა ვ ი III. საქართველო მე-5 — მე-10 საუკუნეებში 56

§ 20. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება 56

§ 21. ქართლი მე-5 საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი და მისი ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ 58

§ 22. ქართლი სპარსელების ბატონობის ქვეშ 61

§ 23. ეგრისი მე-6 საუკუნის დამდეგს. ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ეგრისში . . . 63

§ 24. „საუკუნო ზაი" და მისი შედეგები 65
§ 25. ომის დაწყება ეგრისში. ომის მიზეზები 65
§ 26. სპარსელების ნამდვილი განზრახვის გამოაშკარავება. ომის გაფართოება 68
§ 27. მდგომარეობა აბაზგიაში 71
§ 28. პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ მეფის მოკვლა 73
§ 29. სახალხო კრება ეგრისში და ბჭობა ორიენტაციის საკითხის შესახებ 74
§ 30. მისიმიელების აჯანყება. სპარსელების საბოლოო დამარცხება ეგრისში 76
§ 31. კულტურა და იდეოლოგია მე-4—მე-6 საუკუნეებში . 78
§ 32. საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 საუკუნეში . 83
§ 33. საქართველო მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში . . 84
§ 34. არაბების შემოსვლა და გაბატონება საქართველოში, ბრძოლები მათ წინააღმდეგ 85
§ 35. არაბების დასუსტება. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში 89
§ 36. პირობების მომზადება ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის 92
§ 37. საქართველოს გაერთიანება. ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება 96
§ 38. კულტურული ვითარება მე-8—მე-10 საუკუნეებში . . 116

თავი IV. საქართველო მე-11—მე-12 საუკუნეებში 19

§ 39. საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალი მე-11 საუკუნეში 119
§ 40. საქართველოს კულტურული ვითარება მე-11 საუკუნეში 125
§ 41. დავით აღმაშენებელი 128
§ 42. კულტურული ვითარება დავით აღმაშენებლის მეფობაში 137
§ 43. გიორგი მესამის მეფობა 138
§ 44. თამარის გამეფება. ბრძოლა სამეფო კარზე 142
§ 45. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლელად 143
§ 46. შინაური მდგომარეობა თამარის მეფობის დასაწყისში . 144
§ 47. საგარეო ომები თამარის მეფობაში 146
§ 48. ქართული სახელმწიფოებრიობა თამარის მეფობაში, მთიელების აჯანყება 149
§ 49. საქართველოს კულტურული ვითარება მე-12 საუკუნეში 152

თავი V. საქართველო მე-13—მე-17 საუკუნეებში 156

§ 50. მონგოლთა გაბატონება საქართველოში 156
§ 51. მონგოლური მმართველობის წესი საქართველოში . . 158
§ 52. კოსტასთავის შეთქმულება. ცოტნე დადიანის გმირობა . 158

§ 53. დავით ულუს და დავით ნარინის მეფობა 153
§ 54. აღმოსავლეთ საქართველო დემეტრე მეორის (თავდაღებულის) მეფობაში 160
§ 55. შინაური მდგომარეობა საქართველოში მე-14 საუკუნის დამდეგისათვის 164
§ 56. გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, მეფობა 166
§ 57. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში . 169
§ 58. საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის თემურის წინააღმდეგ 171
§ 59. ზავის დადება თემურ-ლენგსა და საქართველოს შორის 175
§ 60. საქართველოს სამეფოს რღვევის პირველი ნიშნები . 177
§ 61. შინაური ზავის შეკვრა და შემდგომ მისი ნაშლა . . 178
§ 62. საქართველოს დაყოფა ცალკე სამეფოებად 179
§ 63. ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში . . . 185
§ 64. ბატონყმობა 186
§ 65. სიმონ პირველის მეფობა ქართლში 189
§ 66. კახეთი მე-16 საუკუნეში. პირველი კონტაქტები რუსეთთან 191
§ 67. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-16 საუკუნის მიწურულში 194
§ 68. სამცხე-საათაბაგო მე-16 საუკუნეში 196
§ 69. ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შაჰ-აბასის წინააღმდეგ მე-17 საუკუნის დასაწყისში . . 199
§ 70. გიორგი საკაძე 203
§ 71. აჯანყება კახეთში. კახეთის აოხრება 205
§ 72. ქართლ-კახეთი 1616—1622 წლებში 210
§ 73. გიორგი საკაძის აჯანყება 213
§ 74. მარაბდის ომის შემდეგ. საკაძის დამარცხება . . . 217
§ 75. კახეთის აჯანყება 1659 წლისა 221
§ 76. დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნეში . . . 223
§ 77. კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში . . 226

თ ა ვ ი VI. საქართველო მე-18 საუკუნეში 228

§ 78. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა 228
§ 79. ვახტანგ მეექვსისა და პეტრე პირველის ურთიერთობა . 235
§ 80. ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში 237
§ 81. ლეკიანობა მე-18 საუკუნის საქართველოში . . . 240
§ 82. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ 245
§ 83. ერეკლეს საგარეო პოლიტიკა 249
§ 84. ღასავლეთი საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში 250
§ 85. მორიგე ჯარი 254

§ 86. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. საქართველოს თავდასავალი მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში 256
§ 87. კრწანისის ომი 258
§ 88 ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთება . . . 261

თავი VII. საქართველო მე-19 ს. პირველ მესამედში . . . 263

§ 89. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების თანდათანობითი შეერთება რუსეთთან 263
§ 90. ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მე-19 ს. პირველ მესამედში . . 272
ა) ეკონომიკური ვითარება 272
ბ) ცვლილებები საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების მდგომარეობაში 276
გ) გლესთა აჯანყებები მე-19 ს. პირველ მესამედში . 278
§ 91. მმართველობის სისტემა, კოლონიური ჩაგვრა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ნაბიჯები . 284

თავი VII. საქართველო მე-19 ს. 30—50-იან წლებში . . . 292

§ 92. ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა 292
§ 93. მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრა. ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ 298
§ 94. საქართველოს კულტურა მე-19 ს. პირველ ნახევარში . 309

თავი IX. საქართველო საგლეხო რეფორმის შემდგომ ხანაში (მე-19 ს. 60-იანიდან 90-იან წლებამდე) 32

§ 95. 60-იანი წლების რეფორმები 32
§ 96. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და მისი შედეგები 333
§ 97. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა 80—90-იან წლებში 340
§ 98. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ხალხოსნური მოძრაობა 247
§ 99. თერგდალეულთა ჯგუფის დამლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებანი 351
§ 100. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის გავრცელება . . 355
§ 101. ქართული კულტურა მე-19 ს. მეორე ნახევარში . . 358

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ავალიანი
მხატვარი მ. ოტენი
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორები: დ. კილასონია, თ. კაკულია

გადაეცა წარმოებას 5.XII.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.90 ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ქაღალდი ღრმა ბეჭდვის. ბეჭდვა მაღალი. გარნიტურა ივერია. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20.16. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.25. უე 01040. ტირაჟი 100 000. შეკვეთა № 675.

ფასი 6 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета по печати Грузинской ССР, пр. Гр. Робакидзе № 7.